# მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**3-4**

**2003**

# მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 79-ე | № 3-4 | 2003 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

*დამფუძნებლები:*
*საქართველოს მწერალთა კავშირი*
*და ჟურნალ „მნათობის" რედაქცია*

## შინაარსი

### სიმონ ჩიქოვანი – 100

**სიმონ ჩიქოვანი** – ლექსები ..... 3
**ემზარ კვიტაიშვილი** – სიმონ ჩიქოვანი ..... 10
**ნიკა ჩიქოვანი** – მოგონების მოგონება ..... 19

### პოეზია, პროზა, დრამატურგია

**თამაზ ჭილაძე** – ნადირობის სეზონი. პიესა ..... 29
**ჟანა ოთხვანი** – ლექსები ..... 45
**რამაზ ჭილაია** – მოთხრობები ..... 52
**შალვა ბაკურაძე** – ქმრების საკითხავი. პოემა ..... 59
**ბესო ხვედელიძე** – მოთხრობები ..... 66
**დავით ქართველიშვილი** – მოთხრობები ..... 83
**თეა ქარჩავა** – ლექსები ..... 88

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

**ზეინაბ სარია** – სამშობლოს ტრაგიკული განცდა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ..... 90
**ცისანა გენძეხაძე** – „წრეში მოქცეული დრო და სივრცე" ..... 96
**ზოია ცხადაია** – 2001 წლის ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ..... 105
**ანდრო ბუაჩიძე** – ლირიკაში აღბეჭდილი სინათლე... ..... 113

*იხ. მე-2 გვ.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

*(გაგრძელება)*

### მეცნიერება

**ბაჩანა ბრეგვაძე** – „მაგრამ თუ ერთხელ სოფელს
უნდა ბოლო მოეღოს“... ........ 115
**ვახტანგ ითონიშვილი** – საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესია ........ 125

### პუბლიკაცია

თანამედროვეთა მოგონებები ივანე მაჩაბელზე.
წინასიტყვაობა **ჯემალ მჭედლიშვილისა** ........ 137
**ანა ვარდიაშვილი** – რეჟისორი-მაგნიტი.
წინასიტყვაობა **დავით სოლომნიშვილისა** ........ 148

### თვალსაზრისი

**კამილ სენ-სანსი** – დოქტორი კემბრიჯში.
თარგმანი **მანანა მიქელაძისა** ........ 150
**მარიო ვარგას ლიოსა** – ერთი რომანის ამბავი.
თარგმანი **ანდრო ბუაჩიძისა** ........ 153

### ხელოვნება

**რეზო ადამია** – პრაქსიტელეს „აფროდიტე“ ........ 156

### ბიბლიოგრაფია

**ანდრო ბუაჩიძე** – ამაფორიაქებელი კითხვები. ........ 157
**მიხეილ მახარაძე** – ახლებურად გააზრებული
XX საუკუნის ფილოსოფია ........ 160

---

მთავარი რედაქტორი
**თამაზ ჭილაძე**

სარედაქციო საბჭო:
**მარიამ აგიაშვილი**
**ანდრო ბუაჩიძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე)
**გურამ გვერდწითელი**
**აკაკი მინდიაშვილი**
**მანანა მიქელაძე**
**მზია შატბერაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვინა სთქვა

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები — შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან შეაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი, თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით.

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი — ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთათ აღბეჭდილი ქართველის რწმენით.

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინ შემოგაქვს ყვავილები

შინ შემოგაქვს ყვავილები,
სურნელება მთის კალთის თუ მინდვრის,
შენ შრომობ და არ იღლები
და ბუნება თითქო სალამს გითვლის.

ყვავილები იზრდებიან,
ოთახს ყანის დასდებია ფერი.
ყვავილები ცისკრებია,
გაზაფხულის სიზმრებია წრფელი.

ყვავილები ჰგვანან თასებს,
ოქროს ეჟვნებს და ფასკუნჯის დეზებს.
მე მინახავს ხვამლის მთაზე
და ლატფარზე აცვიფრებდა მწყემსებს.

ყვავილები ჰგვანან ბუკებს,
ვარსკვლავებს და შენს მოყოლილ ზღაპარს.
რომ არ დაჭკნეს სიჭაბუკე
და წინ ვწევდეთ სამშობლოსთვის ჭაპანს.

ყვავილებში არ იღლები,
თხელ ფურცლებში ფრთას ნიავი ნაბავს.
ვით ეჟვნები, ყვავილები
ამშვენებენ შენს ზაფხულის კაბას.

მცხეთის გზაზე გვეძახიან,
წყლის ჩხრიალით აღვიძებენ ოთახს.
სახლში თითქო ვენახია
და ჯეჯილი შენს გარშემო შფოთავს.

გულშიც შენი ყვავილია,
ხელის სითბო და ოცნების ფერფლი.
მამული მთლად დამივლია
და ყვავილებს, როგორც ჰანგებს, ვკრეფდი.

ქარმა ფრთა ვერ მომამტვრია,
ყანას ვმკიდი, ძმისთვის გავდგი ხიდი,
და არასდროს მინატრია
შინ მქონოდა სიწყნარე და ბინდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ამიტომ ვუკრავ ბუკებს,
არ დავკარგოთ შრომის შნო და გემო,
არ დაგვშორდე, სიჭაბუკევ,
არ დამშვიდდე, სიცოცხლეო ჩემო!

## ორი ფრთა

არ მიხერხდება კენტად სიმღერა,
გაქრება მისი მსუბუქი ბოლი.
როგორც ორი ფრთა სჭირდება ფრენას,
ისე ჩემს გულსაც სჭირდება ტოლი.

ამიტომ მუდამ ვეძახი მოძმეს,
სიმარტოვე და დუმილი დავგმე.
ეგებ მოყვასმა ცალი ფრთა მომცეს,
შემაძლებინოს გავფრინდე სადმე.

რომ მივუტანო ჩემი ხმა შოთას,
როგორც მწვანე რტოს წაილებს მტრედი,
განვაცდევინო ორი ფრთის შფოთვა
და აფრენილი სიმღერა ერთი.

●

არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი.
ხელში შეგრჩება დაღლილი ქორი,
ჯამში დაშრება სპეტაკი შხამი.

ეს ჟამი დადგა, დავეჭვდი, ძმანო!
გამხდარ თითებში ნელდება ალი.
პირველი ცეცხლის დახარჯვას ვნანობ,
როგორ ავანთო ფურცელზე ბწკარი!

სულის თვისება, მღერა და ცრემლი,
როგორ ვამგვანო აპრილის კოკორს!
ანუ ოსტატის გაწვრთნილი ხელი
ალსარებისთვის ალვმართო როგორ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთები მოტყდა თუ დამშვიდდა ქორი,
გულს სიჭაბუკე აშოროს ლამის,
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
სინანულის და სიმორცხვის ჟამი!

ეს ჟამი დადგა, მეცვლება ფერი,
ველი დაჭკნა და მცირე ხნით მოთოვს.
მინდა, მიწაზე ცხოვრება ჩემი
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.

ჩემო მამულო, მაჩუქე ნამი,
უშველე მინდვრად გამოსულ მთესველს.
მტირალი მოველ მიწაზე ღამით
და მინდა მღერით ავიდე მთებზე.

შემომაშველე მაისის თქორი,
გულში ყვავილი დამიჭკნეს ლამის,
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების და სიმორცხვის ჟამი!

## თვინიერი ზღვა

ზღვა ნაწვიმარზე ადრე მწუხრდება,
მებადურებმა დასძრეს სანდლები.
მთვარის ამოსვლა აფრებს უხდება,
თითქო ანთია ზღვაზე სანთლები.

ზღვა თითქო ნაპირს ემუდარება,
გულში ქარიშხლის მიპყრობს ეჭვები.
ზღვა ცას, მოკენჭილს, დაედარება,
და დაცურავენ ზღვაში კენჭები.

სანდლების მწკრივი მიეშურება,
ზღვა დამშვიდდება ალიონამდი.
დილით გააღებს თვალებს ბუნება
და მზე შემოვა, როგორც ხომალდი.

უკუიქცევა და გამომყვება
ზღვის მოტანილი მლაშე სურნელი,
თეთრი ღრუბელი ზღვაზე გალღვება,
თვალწინ გაქრება თეთრი ღრუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვპოვებ ნიჟარით შემკულ ხომალდებს,
შემიპყრობს დილით უცხო ზმანება,
და ზღვა თათივით ტალღას მომადებს,
თვინიერ სპილოს დაემგვანება.

## ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად

ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად,
მთა და ბარში ხვეული და სწორი.
მთაში ბევრგზის შეგვხვდა დილა,
კართან ბევრგზის მოგვეწია თქორი.

მოგვაფრქვია სიხალისე,
ჩამოგვრეცხა მტრის შური თუ ჭორი,
და შენ შემრჩი ხელში ისე,
როგორც ვაზი ან ლამაზი ქორი.

ორი ფრთა გაქვს, ერთი კვამლი,
ორი ბეჭდის გადაწნილი ზოლი,
შენს თვალში ჩანს ცისკრის ჭავლი,
შენს თმაზე დევს გაზაფხულის თოვლი.

დრო მიჰქრის და მაიმედებ,
ცხენს მიკაზმავ თუ მიჭედავ ნალებს,
წლები გვანან განვლილ ქედებს
და სახლი ჰგავს შენი ხელის ალერსს.

მეც არ მჯერა, თუ მოვხუცდი,
არ ვისვენებ, არ დამედოს ქონი.
შენს ჭაღარას მე მოვუცდი
და მერე კი დავბერდები, მგონი.

მარგე სითბო და სინაზე,
ნასადილევს უსიზმრებო ძილი.
მტკვარი გვიჩის აივანზე
და მამულში წყვილად შეგვაქვს წვლილი.

რაც შეგვეძლო, გავისარჯეთ,
მე ლექსს ვწერდი, შენ გზავნიდი წერილს.
კიდევ ბევრჯერ გავალთ გზაზე,
რომ მეგობრებს არ ჩამოვრჩეთ მერმისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დაგვჭირდა, შევმჭიდროვდეთ,
ხელისგულზე მოვთავსდებით მყისვე,
ღამე ვარსკვლავს ვეჭიდები
და შენს სუნთქვას, ვით წყაროს ხმას, ვისმენ.

მეც შემეძლო ჩეხვა შეშის,
მთაში ირმის შეპყრობა თუ ჯიხვის
ცდა და ღელვა მოსახვევში,
ოფლის დაღვრა და გალხობა ჭირხლის.

დღეს შენ მიღებ სახლის კარებს,
ფანჯარასთან მე მიცდი თუ ქუხილს?
გამკრავ ქარში მომეფარე,
არ შეუშვა შინ წვიმები მწუხრის.

არ მოედო სადმე ეკალს,
როცა გზაზე სწყვეტ ვარსკვლავს თუ ყვავილს,
ხანდაზმული გრძნობა რეკავს,
მწუხრი რეკავს და ცისკარი ხვალის.

## გამოთხოვება და ომში წასვლა

(პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“)

უეცარად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს კრეფდი, ვინანე
მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
ვერ გიპოვე, სიმძიმილი ვინამე!

ამხედრების შემხვდა ჯერი,
დაიფერე თაფლისფერი ბაია.
დამიქროლე დარაია ჭრელი,
ბალისფერი, როგორც ჭიამაია.

მე დავრახტე ჰუნე მალი,
დამეფუშა ჩრდილოვანი კარავი.
გადმომხედე, შეიფუთნე შალით,
განშორების ჟამია და ვარამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დავიჭრა, მწვავდეს წყლული,
ვაი დედა, მეწილადოს ვაგლახი,
მომიტანე თვალით გაზაფხული,
შემირჩიე სამკურნალო ბალახი.

მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობლის ბაია,
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა, ჭრელი ჭიამაია.

სად მოვკვდები სადაური!
ვერ დავკრიფე დაშაქრული ყურძენი,
მე ვარ წიგნის მხოლოდ სათაური,
ჩემი ჟამი — დასაწერი ფურცელი.

გამაყოლე ტურფა ლანდი,
ყივჩაყივით თუ მეტოქემ ამკაფა,
გამონახე ჩემი მუხარადი,
ჩააწვეთე შენი ცრემლი კამკამა.

მოძმეს მიეც სახოებით,
მუხარადით შესვას ჩემი ვარამი,
გამაგონე მოთქმა განშორების,
დამაფარე ივერიის ალამი!

ემზარ კვიტაიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიმონ ჩიქოვანი

უფროსი მწერლის, გამოცდილი ოსტატის ურთიერთობას, საუბრებს ასაკით უმცროს თანამოკალმეებთან კარგა ხნის ისტორია აქვს. ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილია მალარმეს მაგალითი; პოეტის ბინაზე, სამშაბათობით, თავს იყრიდნენ მისი მეგობრები, სრულიად უცნობებიც კი, ვისაც საამისო სურვილი ჰქონდა. პოლ ვალერი საგანგებოდ აღნიშნავს – მალარმე ყველას თანაბარი თავაზიანობით ექცეოდა. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გახლდათ ეს „სამშაბათობები", ამაზე ბევრი დაწერილა.

ასეთი საუბრების ოსტატი იყო, აგრეთვე, დიდი ბერძენი პოეტი კონსტანტინოს კავაფისი (1863-1933), რომელსაც მშობლიურ ქალაქ ალექსანდრიაში, თავის ბინაზე, მრავლად დაუდიოდნენ მეგობრები, თანამოაზრეები. კავაფისის უმცროს მეგობარს, მისი შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარსა და კომენტატორს სარეიანისს ცოცხლად აქვს აღწერილი ოციანი წლების დაუვიწყარი საღამოები და ის გარემო, სადაც იმართებოდა ესოდენ მძაფრი, დრამატული საუბრები, რომლის დროსაც სტუმართმოყვარე მასპინძელი თანმიმდევრული მსჯელობის არაჩვეულებრივ უნარს ავლენდა. მოვიტან ერთ მცირე ნაწყვეტს. მასში სარეიანისის პირადი შთაბეჭდილებაა გადმოცემული: „როდესაც ვკითხულობ მალარმეს მეგობრებს, რომლებიც მისი საუბრების სწორუპოვარ მომხიბლაობას აგვიწერენ, უმალ მახსენდება კავაფისი, რომელიც ასევე მომხიბლავი მოსაუბრე იყო. ის ათითორმეტი საათი, საუკეთესო წლებში, მის პირისპირ რომ გავატარე, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. უზომოდ ვნანობ, მისი სახლიდან გამოსული, მის ნათქვამს რომ არ ვიწერდი. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, კავაფისს თავისი ეკერმანი რომ შეხვედროდა, მისი საუბრები მისსავე ლექსებს გაუტოლდებოდა".

ეს მცირე წინათქმა ერთი რამისთვის დამჭირდა; ასი წელი სრულდება მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოეტის სიმონ ჩიქოვანის დაბადებიდან (თითქმის ორმოცი წელია, რაც იგი გარდაიცვალა) და ვფიქრობთ, დროა, მისი ღვაწლი და ამაგი, დანატოვარი პირუთვნელად შევაფასოთ, ღირსეული პატივი მივაგოთ მის ხსოვნას.

ჩემი თაობა მუდამ განსაკუთრებული მადლიერებით მოიგონებს უაღრესად მრავალფეროვან და ნაყოფიერ ლიტერატურულ საუბრებს, ახალგაზრდა მწერლებთან – პოეტებთან, პროზაიკოსებთან, კრიტიკოსებთან – სიმონ ჩიქოვანი რომ ატარებდა. მისი ინტერესების სიფართოვე და ცოდნა მართლაც რომ სამაგალითო იყო. ლიტერატურით ცოცხლობდა და სუნთქავდა, წიგნის გარეშე მცირე ხნითაც ვერ წარმოედგინა არსებობა და თავის ირგვლივაც ასეთსავე ატმოსფეროს ქმნიდა. ჩვენში ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. რაოდენ რთული პრობლემაც არ უნდა დასმულიყო, ბატონი სიმონი ჩვეული მგზნებარებით, ანთებული ლაპარაკობდა და მთელი სიღრმით წარმოგვიდგენდა საკითხის არსს, ჩვენც უამრავ საფიქრალსა და საზრუნავს გვიჩენდა, შემოქმედებითად განგვაწყობდა.

ჩვენს დაუცხრომელ ცნობისწადილს სიმონ ჩიქოვანი არასოდეს ტოვებდა უყურადღებოდ. ერთ-ერთი შეკრების დროს პრუსტის ხატვის მანერაზე შევეკითხე, ნოდარ გურეშიძემ სთხოვა, თავისი აზრი გამოეთქვა ეკზიუპერის პროზის არსებით ნიშნებზე. კარგა ხანს გვესაუბრა და ძალზე კმაყოფილნი დავრჩით. იმ დღეს, მახსოვს, ასეთი რამ სთქვა: შედარებით ახალი მიმდინარეობის – იმპრესიონიზმის – ელემენტები შეიძლება თვით ჰომეროსის ეპოსში აღმოვაჩინოთო. ძალზე დამაფიქრებელი და ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა. ამ უეცარი ნათქვამიდანაც ჩანს, თუ როგორი ალღო, რა მახვილი თვალი ჰქონდა ბატონ სიმონს, როგორც ლიტერატორს და სწორედ ამის გამოა, რომ მისი ლიტერატურული წერილები წარუვალ შემეცნებით და ესთეტიკურ ღირებულებას ინარჩუნებს, დღემდე ძალდაუტანებლად, სასიამოვნოდ იკითხება.

იმავე ხანებში მეოცე საუკუნის პროზის კიდევ რამდენიმე გამორჩენილ წარმომადგენელზე მივეცით შეკითხვა; ისიც შეაპარეს, კლასიკური მემკვიდრეობა ხომ არ მოძველდაო. ბატონმა სიმონმა გატაცებით ილაპარაკა აზროვნებისეულ და ფორმისმიერ სიახლეებზე, რაც იმ დროისათვის მსოფლიო მწერლობაში ხდებოდა,

ღიმილით აღნიშნა — ახალგაზრდობაში თვითონაც ავყოლივარ ზოგიერთ მოდურ მეამბოხურ მიმდინარეობას, რისი კვალის დაძლევას დღემდე ვცდილობ და იქვე დასძინა, ყველაფერი ეს საყურადღებოა, მშვენიერია, კარგია, მაგრამ მე ახლა ისევ ტოლსტოისკენ ვარ მიბრუნებული, მისი პროზის ეპიურობა და სისადავე ყველაფერს მირჩევნიაო. ტოლსტოის პიროვნებისადმი მის გამორჩეულ სიყვარულზე ქვემოთ კიდევ მომიხდება თქმა, როცა მისი ერთი ლექსის მოხმობა და რამდენიმე სტრიქონის ციტირება დამჭირდება.

დაკვირვებული მკითხველი უსათუოდ შეამჩნევდა — სიმონ ჩიქოვანის მრწამსი, ძირითადი შემოქმედებითი პრინციპები საკმაოდ სრულად ჩანს მის ლექსებში. საერთოდ, პოეზიის, პოეტური ოსტატობის თემა მეტად ორგანული იყო სიმონ ჩიქოვანისათვის, ღრმად ჰქონდა განცდილი და ამიტომაც ამ ლექსებში არ იგრძნობა წიგნურობის, ე. წ. „ლიტერატურშჩინის" კვალი, სიტყვა ცოცხალ უჯრედად წარმოგვიდგება. გავიხსენოთ „მეორე მინაწერი", სადაც პოეტი თითქოს საკუთარ თავს ეკამათება; ჯერ ლექსის უპირველეს ღირსებად ფერია გამოცხადებული, მაგრამ იქვე მობოდიშებასავით ნახსენებია „ავთანდილის გალობა", მუსიკის მომაჯადოებელ სიმბოლოდ მოხმობილი ღვთაებრივი უნარი. ამ დაეჭვებაში თავიდანვე იკვეთება ჭეშმარიტი აზრი, რომ ნამდვილ ლექსში ეს ორი უმთავრესი და უძლიერესი საწყისი შერწყმული უნდა იყოს:

**ხელნაწერი ჰგავს ბაღნარს და ღადარს,**
**ვგონებ, ფერია მშვენება ლექსის,**
**მაგრამ როდესაც განვლილ დღეს ვხატავ,**
**მე ავთანდილის გალობა მესმის.**

სიტყვასთან უმძაფრესი და დაუსრულებელი ჭიდილის მაუწყებელია პოეტის მღელვარე სინანული, ამავე ლექსში რომ გამოთქვა, ოღონდ ცოტა ქვემოთ:

**ვერ შევუთანხმე გალობა სურათს,**
**ვერ შევაერთე ოცნება ორი.**

მიუხედავად ამ გულწრფელი და ბუნებრივი წუხილისა, როგორც ჭეშმარიტი პოეტისაგან იყო მოსალოდნელი, მას საკმაოდ ჰქონდა სიხარულისა და შვების მომტანი ბედნიერი წუთები, როცა „გრძნობა მიიღებს სახეს, დაემგვანება ჰანგსა და სურათს".

თავადაც აღუნიშნავს საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა, რომ პოეტთა ერთი ნაწილისათვის ლექსის ბგერითი აღნაგობა და ჟღერადობა, მუსიკაა ამოსავალი, ხოლო მეორენი თავისებური ხედვით გამოირჩევიან. სამართლიანად ფიქრობდა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს სახის შექმნაში მუსიკა აძლევდა ბიძგს, მისი ყოველი სიტყვა ამ პრინციპს ემყარებოდა. მანვე გამოთქვა ასევე უდავო თვალსაზრისი ტიციან ტაბიძის პოეზიაში, მუსიკალურობის საპირისპიროდ, ვიზუალური ელემენტების სიჭარბეზე.

სიმონ ჩიქოვანი ცალ-ცალკე არც ერთ ამ თვისებას არ ანიჭებდა უპირატესობას და უმთავრესად მიაჩნდა ამ თვისებებში გამოვლენილი დრამატიზმი ანუ გარემომცველი სამყაროს განცდის ინტენსიურობა, სიმძაფრე. სწორედ შინაგანი მღელვარება და დრამატიზმი ხიბლავდა მას ტიციან ტაბიძის პიროვნებაში; თავისი უფროსი მეგობრის მსგავსად ფიქრობდა, რომ ლექსი ზედმეტ გარანდვას არ საჭიროებს, სტრიქონს ბუნებრივი ხორკლი უნდა დაჰყვებოდეს. თუმცა სიმონ ჩიქოვანი არ იყო მოკლებული გარკვეულ პოეტურ სმენას, მაგრამ, შეიძლება ითქვას, მისი ლექსი უფრო საგნობრივ სიცხადეს ელტვის, სიტყვაში ფერწერული ხატისკენ იხრება და ამ მხრივ, რამდენადმე, ტიციან ტაბიძეს ენათესავება. საამისო მაგალითების მოხმობას აღარ შევუდგებით.

აქვე გვახსენდება ტიციან ტაბიძის პოეზიის თავისებურებებისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე წერილი (რატომღაც იგი სიმონ ჩიქოვანის ოთხტომეულის მესამე ტომში არაა შეტანილი). ამ წერილში დიდი სიცხადითაა წარმოჩენილი ტიციან ტაბიძის შეხედულებანი პოეტურ ხელოვნებაზე, კერძოდ, უმთავრესი დებულება, რომ მეტაფორათა, სიტყვიერ სამკაულთა სიჭარბე ლირიკის შინაგან ბუნებას, განცდათა უშუალოდ გამოხატვას ეწინააღმდეგება. „გაუთლელი ლერწამის" პოეტიკას ზუსტად ესადაგება ასეთი თვალსაზრისი:

„ტიციან ტაბიძის შეხედულებით, ფერწერა ან ზედმეტი მელოდიურობა სალირიკო პოეზიის მთავარ ამოცანას ხელს უშლიდა. პოეტი ამტკიცებდა, რომ ლირიკული ლექსი ავტორის სულის ძახილია და ეს ძახილი მხოლოდ სიტყვის ხელოვნებით, ფრთიანი ფრაზით, სხარტული თქმებით, ინტონაციით და, საერთოდ, პოეტური თქმით უნდა იყოსო გამოსახული".

სიმონ ჩიქოვანისთვის, როგორც აღვნიშნეთ, მიუღებელი იყო ერთი რომელიმე პრინციპის გაფეტიშება და მეორის ხელაღებით უარყოფა და, ამდენად, იგი შევარვით ეკამათება ტიციან ტაბიძის უკიდურესობას,

მითუმეტეს, თვლიდა, რომ „ლექსი მენყერის" ავტორი „თავის შეხედულებას საკუთარ პოეტურ პრაქტიკაში არც თვითონ ახორციელებდა თანმიმდევრულად". სიმონ ჩიქოვანი მკაფიოდ აყალიბებს თავის პოზიციას: „... მე მაშინვე ვფიქრობდი და ახლაც მგონია, რომ ფერწერის თუ მუსიკის თვისებების ზომიერი შეჭრა პოეზიაში დიდი ცოდვა არ არის. მე ყოველთვის მომხრე ვიყავი ლირიკული პოეზიის ჩარჩოების გაფართოებისა და ვიცავდი ლირიკულ ლექსშიც მაღალი პროზის ელემენტების შეჭრის აუცილებლობას... სხვა ხელოვნების თვისებები ისე უნდა იყოს შესული ლირიკულ პოეზიაში, რომ ისინი პოეზიის ენად უნდა იქცნენ და, ამდენად, არ უნდა წარმოადგენდნენ ლექსში ფერწერის თუ მუსიკის ენის განმეორებას".

თუ რაოდენ კეთილმყოფელი გავლენის მოტანა შეუძლია პროზაული ინტონაციის ზომიერ, ოსტატურ გამოყენებას, ამაზე მეტყველებს სიმონ ჩიქოვანის ცნობილი სატრფიალო ლექსის („მგზავრის სიმღერა") ერთი ადგილი. ლექსს ზუსტი მისამართი აქვს, პოეტის ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრისადმი არის მიძღვნილი და აქაც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ხაზგასმითაა ნათქვამი სახის, თვალთა ჭრილის გამო, ქალის მონგოლურ იერზე. უკიდეგანო სივრცეში მიმქროლავი მატარებლის ვაგონებიც ამ დეტალების წარმოსაჩენად არის ნახსენები:

**მომგონებიხარ, მომგონებია**
**ლერწმად რხეული შენი სხეული.**
**ეს ვაგონებიც მონგოლებია**
და სად მივყავარ შენი რჩეული.

ჩვენთვის საყურადღებო, განზრახ პროზაულად შეფერილი ფრაზა, ხუმრობის კილოც რომ დაჰკრავს და ალერსიანი საყვედურიც ურევია, ინტონაციურად გაძლიერებულია ლექსის ფინალურ სტრიქონებში:

**შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?**
**გამხადე ღირსი ყურადღებისა.**

ჩვენ უკვე მივუთითეთ პოეტის ლტოლვაზე, ბგერისა და სურათის ურთიერთშეხამებაში რომ გამოიხატება. ასეთი სინთეზური ტროპები სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში მრავლად მოიპოვება და ბევრი მათგანი უმაღლესი ხელოვნების ნიშნითაა ალბეჭდილი.

ზოგჯერ პოეტი ფიქრს, განცდას საგნიერ სიმკვრივეს ანიჭებს და ჩვეულებრივში იდუმალის დანახვა, მანამდე უცნობი თვისების აღმოჩენა შეუძლია. ერთ სიჭაბუკისდროინდელ სატრფიალო ლექსში („შენი ჩრდილის საძებრად") უკვე [illegible]ს რთული, მრავლისგან [illegible]ოვნება:

**მე შენ გიგონებ და მამულის მწვანე იარას**
**და ციხის შიგნით დაშრიალებს შენი სახელი.**

ადვილად წარმოსადგენია და, ამავე დროს, იშვიათი სილამაზისაა სიმონ ჩიქოვანის ერთ-ერთი უძლიერესი პოეტური სახე, მონიფულობის ჟამს დაწერილი ცნობილი ლექსიდან რომ გვახსოვს: „ურმულივით ახლოვდება შელამება".

ცოტა ვინმეს თუ დაუხატავს ასეთი სილბოთი და შთაგონებით ჩამავალი მზის სხივებზე გაბრწყინებული ქართლის მდუმარე პეიზაჟი. თვალნათლივ ვხედავთ მელანივით დაღვრილ, თანდათანობით გამუქებულ მწუხრის ფერსაც და იმავდროულად ყანიდან დაბრუნებული გლეხკაცის სევდიანი სიმღერის გაბმული ღუღუნიც ჩაგვესმის. ასეთი უნაკლო ოსტატობის გამოვლენა და ბუნებრიობა სჭირდება ჰანგისა და სურათის შეწყვილებას, მათს ჰარმონიულ მთლიანობაში მოქცევას.

ზემოთ შემთხვევით არ გვითქვამს, რომ სიმონ ჩიქოვანის ლექსი მელოდიურობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, წარმოსახვასთან დაკავშირებული პლასტიკური ხატები ძალზე უხვად არის გაბნეული მის პოეზიაში.

აქ უნდა მოვიხმოთ ოციან წლებში დაწერილი მრავალმხრივ საყურადღებო ლექსი „ქალაქში მაგონდება ჩემი სოფელი", სადაც სოფლის პეიზაჟი დიდი ქალაქის ცხოვრების რიტმთან ნაზიარები კაცის თვალითაა დანახული, ყოველ დეტალში იგრძნობა ახლებური ხედვა, შორი და ახლო პლანების სწრაფი მონაცვლეობა. მთელი ლექსი სოფლის მყუდრო, პატრიარქალური ყოფის მონატრებაა, ხოლო თვით განცდა იმდენად ინტენსიურია, ავტორთან ერთად ჩვენც ამ იდილიური სურათების უშუალო მხილველნი ვხდებით. პოეტის შთაგონებას როგორც ჩანს, ბიძგი მისცა მარკ შაგალის გენიალურმა სურათმა „მე და სოფელი", მხატვრის პარიზში პირველად ყოფნის მეტად ნაყოფიერ პერიოდს (1910-1914) რომ განეკუთვნება და მისსავე მანერასთან შეხამებული კუბიზმის ზომიერი გავლენა ეტყობა.

შაგალის ტილოსთან მიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის ხსენებული ლექსის ერთი სტროფი:

**მიახლოვდება სურათივით ჩემი სოფელი.**
**აფრინდებიან ვაშლის ხიდან ჭრელი**
**ჩიტები,**

**რტოზე მარტია ჩამომჯდარა ჩემი მხმობელი,**
**და დედაჩემი ძროხას წველის გრძელი**
**თითებით.**

ამ ლექსის მსგავსად, შაგალის სურათსაც ჰყავს თავისი ლირიკული გმირი. იგი თავად მხატვარია, ვისი მეოხებითაც ვეცნობით მის გარემომცველ სამყაროს. სანახევროდ ჩამოკვეთილი მწვანე, ნაოჭით ამოღარული ახალგაზრდა კაცის სახე (როგორც ფიქრობენ, უფრო ნიღაბი), ტილოს ქუდის წითელი, თეთრარშიებიანი კოკარდა, ლიბრგადაკრული ამოთეთრებული თვალი და მის მოპირდაპირედ ნაღვლიანად მზირალი, თეთრად, მუქლურჯად , იასამნისფრად, წითელ-ყვითლად დაკენკილ-დასარტყლული ძროხის თავი – ერთმანეთთან ფერადი წრეებით გადაჯაჭვული, სურათის კომპოზიციის ღერძს წარმოადგენს და ყველაფერი ამ ორი არსების ირგვლივ ლაგდება.

სურათის ცენტრალურ ადგილას, მამაკაცის თითებშუა ამოწვერილი და სამკუთხედში ჩახატული, ზღაპრულად აყვავებული პაწია ტოტი მინიერი სილამაზის, უჭკნობი მშვენიერების სიმბოლოდ გამოიყურება და სიმონ ჩიქოვანის ლექსში ნახსენები, ჭრელი ჩიტებით დახუნძლული ვაშლისხეც ამავე აზრით უნდა იყოს დატვირთული. შაგალის სურათზე ძროხის მოსაწველად ჩამუხლული ქალის ფიგურასაც აქვს თავისი გამოძახილი ამ მრავალგანზომილებიან ლექსში.

საერთოდ, ხელოვნებათმცოდნენი ხშირად მიუთითებენ შაგალის ფერწერის მეტაფორიულობაზე, სადაც ზღაპრულ-პირობითი და რეალური, ცხოვრებისეული პლანები ერთმანეთზეა გადაბმული; აღნიშნავენ, რომ მისი ტილოების ფანტასტიური და საზეიმო იერი, კალეიდოსკოპური ფერადოვნება ხალხური ნიადაგიდან ამოზრდილ კარნავალურ ხელოვნებაში იღებს სათავეს. ამ დაკვირვებას უთუოდ მყარი საფუძველი აქვს.

ლურჯ-მწვანე-წითელი ტონების დიდოსტატს, შაგალს, უყვარს ფიქრის გადატანა პლასტიკის ენაზე, ოცნების, უკიდეგანო ფანტაზიის მატერიალურ გარსში მოქცევა, ადამიანის ყოველდღიურ ყოფასთან მისადაგებული მყარი სიმბოლოების შექმნა. რა მართალია ილია ერენბურგი, როცა იგი მარკ შაგალს მშობლიური, პატარა, პროვინციული ქალაქის – ვიტებსკის – გამაუკვდავებელს, გენიალურ დანიელ მეზღაპრეს ანდერსენს ადარებდა და სიყვარულით წერდა შაგალზე, თავიდანვე პოეტი იყო და სიცოცხლის ბოლომდე (საუკუნის შესრულებამდე ორი წელი დააკლდა) პოეტადვე დარჩაო. ძნელია, ამაზე დიდი, უფრო ამაღლებული შეფასება [illegible]ის პიროვნებას. ვფიქრობ, ამ [illegible] მოსწონდა სიმონ ჩიქოვანს შაგალის უაღრესად თამამი, თავისებური შემოქმედება, რამაც კონკრეტულად ხსენებულ ლექსში იჩინა თავი.

ეს მსჯელობა, რამდენადმე მაინც, ცაში გამოკიდებული დარჩებოდა და ბევრს თვითნებობად, ნაძალადევ პარალელად მოეჩვენებოდა, რომ არ არსებობდეს 1927 წელსვე დაწერილი ამ ლექსის ვარიანტი (სათაურიც თითქმის იგივეა, სიტყვებია გადაადგილებული: „სოფელი მაგონდება ქალაქში"), სადაც შაგალი თავიდანვეა ნახსენები და მის ცნობილ სურათზედაც იქვეა მინიშნება:

**მე მეჩვენება, რომ ოთახთან მოდის სოფელი,**
**გაპობილ სახით მივეკვრები, როგორც შაგალი...**

ვარიანტში ზოგი დეტალი პირდაპირ მეორდება („იქ ნაოდართან დედა ზის და..."), ზოგიც გადასხვაფერებულია. აქაც შეინიშნება შაგალისთვის მახლობელი სამყარო, მისებური ხედვა („სჩანან მინდვრები, სიმწვანენი ფოთლის ხორცივით, ხბოების ხვნეშა და ხმაური კაპას იხვების... დგანან ლაფშები და გაქცეული კვიცი ჭიხვინებს..."). ასეთ მომენტებზე საგანგებო საუბარია საჭირო, რისი საშუალებაც ამჯერად არა გვაქვს.

კახეთის შემოდგომის თვალისმომჭრელი სიმსუყე რომ დაგვიხატოს („შემოდგომის დილა კახეთში"), სიმონ ჩიქოვანი ჯერ ფლამანდრიელ ოსტატებს, ხოლო მერე, ერთმანეთის გვერდიგვერდ, სეზანსა და ფიროსმანს ახსენებს. ეს დაწყვილება არ არის შემთხვევითი.

სეზანი ის მხატვარი იყო, ვინც სრულიად ახალი ამოცანები დაუსახა სახვით ხელოვნებას. ფიროსმანაშვილის ადგილი და მნიშვნელობაც თანდათან იზრდება მსოფლიო ხელოვნებაში (ეს ადგილი „აქტრისა მარგარიტას" დამხატველს, სიმონ ჩიქოვანის ცნობიერებაში იმთავითვე ჰქონდა), მას წმინდა პრიმიტივისტად აღარც თვლიან, თავისებურ პროფესიონალ მხატვრად მიიჩნევენ, ვინც მხოლოდ თავისი ფუნჯით შოულობდა ლუკმა-პურს და შეკვეთებზე მუშაობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩარჩო, სამომავლოდ, კიდევ უფრო გაფართოვდება, ოღონდ ამაზე თვითონ მხატვრის სამშობლომ მეტი უნდა იზრუნოს.

სიმონ ჩიქოვანის ლექსში სეზანისა და ფიროსმანის ერთად ხსენების მთავარი მიზანი ის გახლდათ, რომ ჩვენს თვალწინ გაცოცხლებულიყო ორივე მათგანის გასა-

ოცარი, ხასხასა ფერებით ამეტყველებული ნატურმორტები, ხელშესახები საგნობრივი სიცხადის ილუზიას რომ იწვევენ და, ამ გზით, კახეთის მიწის ზღაპრულად უხვი მადლი დაგვენახა.

თუ რა მიმზიდველი და ახლობელი იყო სიმონ ჩიქოვანისთვის ამ ორი გენიალური მხატვრის მიერ დანახული სამყარო, საგანთა მათეული, განუმეორებელი ხედვა, ეს ამავე ხასიათის სხვა ლექსშიც კარგად ჩანს:

**და ამეხილვის ხილთა ქებაში**
**ფიროსმანის და სეზანის თვალი.**

ოციანი წლების ერთ ლექსში პოეტს აქვს საგულისხმო დეტალი: ნერვიულად განლაგებულ სტრიქონებში უეცრად შემოიჭრება და ცოცხლდება როიალთან დამჯდარი სტრავინსკის სახე. სიმონ ჩიქოვანის ლექსში არ უნდა იყოს მოულოდნელი ხსენება მეოცე საუკუნის გამოჩენილი ნოვატორი კომპოზიტორისა, ვინც თავის შემოქმედებაში უპირისპირდებოდა ტრადიციულ, კლასიკურ ფორმას, რიტმს, ინტონაციას და პრინციპულად ახალ მუსიკას ქმნიდა, ახალ გზებს სახავდა.

ასეთი მინიშნებები ავტორის ფართო ინტერესებსა და გარკვეულ ტენდენციებზე მეტყველებს და სულაც არ გულისხმობს იმას, თითქოს სიმონ ჩიქოვანის პოეზიას სეზანისა და ფიროსმანაშვილის მხატვრობას ანდა სტრავინსკის მუსიკას ვადარებდეთ.

აქაც იმის თქმა გვინდოდა, რომ „ორკესტრული ლექსალობის" დამწერი ხშირად ამსხვრევდა ქართული ტრადიციული ლექსის საზომებს, ახალ ფორმებს, გამოსახვის ახალ ხერხებს ეძებდა. მოგვიანებით ამ დაჟინებულ ცდებს საკმაოდ კარგი შედეგი მოჰყვა; პოეტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეტრიკისა და რიტმიკის სფეროში. მისი ოსტატობა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, სიახლის განცდას მაშინ ბადებს, როცა ერთი სტროფის ფარგლებში სხვადასხვა საზომთა კანონზომიერი მონაცვლეობა ხდება. გავიხსენოთ ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე":

**უეცრად ომში მიხმეს,**
**ტყეში იყავ, სოკოს კრეფდი, ვინანე,**
**მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,**
**ვერ გიპოვე, სიმძიმილი ვინამე!**

**ამხედრების შემხვდა ჯერი,**
**დაიფერე თაფლისერი ბაია.**
**დამიქროლე დარაია ჭრელი,**
**ბალისფერი, როგორც ჭიამაია...**

სიმონ ჩიქოვანს, შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში, არაერთხელ გამოუვლენია ჭეშმარიტი პოეტის იშვიათი უნარი [illegible]-სული მშვენიერების სახის [illegible]-ცხლებისა საუკუნეთა მიღმა დარჩენილი ტკივილის ამოზიდვის და გათავისებისა...

ჟამთააღმწერლის მოსხლეტილ, ძუნწ სტრიქონებს შორის მან თათართა ურდოში შეუბრალებლად მოკლული გვანცა დედოფლის უზარმაზარი ტანჯვა ამოიკითხა, დაგვანახა შეუდრეკელი სულიერი მხნეობისა და ენის აუწერელი მშვენიერების პატრონი სვეგამწარებული ქალი, ვინც ჯალათის მომლოდინე „ლოყებზე წვავდა ალიონს", თვალწინ დაგვიყენა:

**ტანი კენარი, მზრები ლამაზი**
**და მონგოლებით შემკრთალი სახე.**

აქვე გვახსენდება ლექსების საუკეთესო ციკლი „არმაზის აჩრდილები", სადაც თვალს გვჭრის პიტიახშების სამარხიდან გამოხმობილი, სილამაზეში სწორუპოვარი სერაფიტას უმშვენიერესი ლანდი. ჟრუანტელის მომგვრელია ფიქრი იმაზე, რომ ბრონეულის „დამანული ფესვი" სამარეში მოეფერა მზეთუნახავის დანაცრებულ სხეულს, შეისრუტა ფერფლი და იისფერ ყვავილად ამოიტანა გაჩახჩახებულ სამზეოზე.

ამ იდუმალად შერხეულ ფერფლს ჩასძახის წუთისოფლის ულმობელი ტრიალით შეძრული შორეული შთამომავალი, მშვენიერების მეტრფე და მქებელი:

**ვინ გიწოდა სერაფიტი!**
**სად ხარ, გვამცნე ხვაშიადი!**
**ჟამი გასჭერ, გადმოფრინდი,**
**სუროს კაბით აშრიალდი.**

ამის დამწერს პირადი ტრაგედიის დროსაც წარსულში უძებნია თავისი დარდის გამოძახილი. ერთ ლექსში („პირველი მინაწერი") უახლოესი ადამიანის, ოჯახის წევრის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება რომ გაექარვებინა, მან დიდი რომაელი ლირიკოსის ხმამაღალი მოთქმა გაიხსენა:

**ორი ათასი წლის წინათ აგრე**
**ძმას მისტიროდა ლექსით კატული,**
**ლექსი არა ჰგავს მდუმარე ნანგრევს**
**და ახლაც რეკავს, როგორც სანთური.**

ეს დაუყუჩებელი, საუკუნეებში გამოვლილი ტკივილი, რომელზედაც ამ სტრიქონებშია ლაპარაკი, კატულუსის ერთ ელეგიურ ლექსში (LXV) აქვს სიმონ ჩიქოვანს ამოკითხული. ოდესღაც ულმერთოდ ლა-

მაზი და ზნემსუბუქი ლესბიას მომღერალი ასე მიმართავს ლეთას მრუმე ტალღებში განბანილ, ძმის გაცრეცილ აჩრდილს:

**სიტყვას ვეღარ გეტყვი მე შენ, ვეღარც შენს ნაუბარს მოვისმენ,**
**სიცოცხლეს, თავსაც რომ მერჩია, ვერასდროს ვიხილავ თვალებს,**
**ძმაო სანატრელო, მიყვარხარ, ასე მეყვარები მარად,**
**სულ გიგლოვ, სიმღერას ნაღვლიანს მე არ დავასრულებ შენზე.**

ქართველი პოეტის მგრძნობიარე სულთან შეიძლება იმიტომაც უფრო ახლოს იყო დიდი რომაელის მწუხარე ამონაკვნესი, რომ იგი მუდამ მორწმუნის თაყვანისცემით ახსენებდა ჩვენთვის სალოცავ იბერიას, ლეგენდარულ კოლხეთსა და ფაზისს.

სიმონ ჩიქოვანს შეეძლო მთელი ლექსის განწყობილება ერთ სტრიქონში ჩაეტია. მისი ერთი ძველი ლექსი ასე იწყება: „გადავსხვაფერდი, როგორც ჰაერი წვიმების შემდეგ." ამგვარი, შინაგანი განახლების მომტანი, ფერისცვალებით არის გასხივოსნებული სიცოცხლის მიწურულს დაწერილი ლექსები, მისი უკანასკნელი, სიკვდილის მერე დასტამბული კრებული („ნიგნს გიტოვებ") რომ შეადგინა.

ადვილი წარმოსადგენია, რა სატანჯველი იქნებოდა თვალისჩინწართმეული პოეტისათვის სიცოცხლის ბოლო წლები. გამწვავებულმა ქრონიკულმა დაავადებამ და მძიმე გულისტკივილმა (სამწუხაროდ, მას ჰქონდა საბაბი, გულნატკენი ყოფილიყო) მთლად დაუშრიტა თვალთა ნათელი, მაგრამ მისი გონება ძველებურად მძლავრობდა. იგი ახლობელ ადამიანებთანაც არ ამხელდა თავის სიბრმავეს, რაც დღეისთვის კარგადაა ცნობილი.

სიმონ ჩიქოვანის იმ ბოლო კრებულიდან მხოლოდ ერთ ლექსს („ბინდი შრიალებს") შევეხები. ბინდი აქ კარს მომდგარ ცხოვრების მწუხრს, სიკვდილის სიახლოვეს ნიშნავს. პოეტის გონებაში (პირველად არა) ცოცხლდება ტოლსტოის ძვირფასი ხატი, დიდი მოხუცის საყვარელი პოზა, რამდენიმე ფოტოსურათზეც რომ არის შემორჩენილი:

**ვარ, ვით ტოლსტოი, წვერმოშვებული**
**და ცერით ქამარს ვეთამაშები.**

აქვე ეკლესიიდან ტოლსტოის მოკვეთაზეც არის მინიშნება, მაგრამ ეს მხოლოდ მეტაფორად არის გამოყენებული, პოეტი ოდნავ ირონიული კილოთი ამბობს, რომ მისი მრავალი „ჩუმი ნვალება" კალენდარს არ ალუნუსხავს, და იგი „არ ჩარიცხეს წმინდანთა რიცხვში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შედარებაც – „მთიდან გავიქეცი ვარ, როგორც ტოლსტოი"... – დიდი მწერლის სახლიდან გაქცევაზე მიგვანიშნებს და უნებურად გვახსენდება ბუნინის წიგნი „ტოლსტოის განთავისუფლება", სადაც შეუდარებელი ძალით არის გადმოცემული ამ ღმერთკაცის ბოლო დღეების ტრაგედია. განსაკუთრებით ამაღელვებელია ერთი დეტალი. გზად, სოფელ შამარდინის მონასტრის კარებთან ქუდმოხდილი იდგა ნესტით გაჟღენთილ სიცივეში და მოძლვარს შეუთვალა, მე ლევ ტოლსტოი ვარ, ეგებ არ მაქვს მანდ შემოსვლის უფლებაო (ეკლესიას ხომ იგი შეჩვენებული ჰყავდა). მონაზონი ღვთისნიერი კაცი გამოდგა, თავად გაალო კარი, გულში ჩაიკრა მოსული, „ძმაო ჩემოო", უთხრა და ეს ტიტანი მის მკერდზე აქვითინდა... ამ სურათის მარტო წარმოდგენაც კი შეგძრავს.

მუცლით ნაშობს ცოტას თუ მიუცია იმდენი ადამიანთა მოდგმისათვის, რამდენიც მან მისცა და ეს კაცი ნატრობდა, ყველასათვის უცნობი სალოსი ყოფილიყო, ზურგზე ფუთამოგდებულს სოფელ-სოფელ ევლო (როგორც მისი მამა სერგი დადიოდა გზა-შარებზე) და გლეხების ფანჯრებთან მიმდგარს, მათგან მოწყალება მიელო.

„ომისა და მშვიდობის", „ანა კარენინას", „ჰაჯი მურატის" დამწერის ასეთნაირ თვითგვემას რომ გაიხსენებ, შეუძლებელია, არ გაგაოცოთ სხვადასხვა ჯურის ლიტერატურული მანიაკებისა და ლაგამამოუდებელი გრაფომანების გულისამრევმა უტიფრობამ, თავიანთი თავის გარდა არავინ რომ არ უჩანთ თვალში და ნიადაგ საკუთარ ტრიუმფებზე ფიქრობენ, სიცოცხლეშივე უნდათ უკვავების განაღდება.

ჩვენ არაფერი გვითქვამს (ეს ალბათ ცალკე საუბრის თემაა) იმ ულრმეს, ფესვეულ კავშირზე, დიდ წინაპრებთან რომ ჰქონდა სიმონ ჩიქოვანს და მის მრავალ ნერილში, ლექსსა თუ პოემაში თვალნათლივ ჩანს.

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თავსატეხზე დაფიქრებული ყველა მოაზროვნე ადამიანის მსგავსად, ალბათ სიმონ ჩიქოვანსაც აფორიაქებდა საწუთროსთან მოსალოდნელი განშორება, მაგრამ ერთგან იგი ლაღად, შესაშური სიმსუბუქით ამბობს:

**რა არის სულის გარდაცვალება? —**
**ფერისცვალება, გადასვლა ხალხში.**

ეს მართლაც უკვდავების ერთადერთი ფორმაა და ძნელია არ დაუჯერო, არ მიენდო ამ უბრალო და მართალი სტრიქონების დამწერს:

**გაზაფხულივით გავჩნდებით ისევ,**
**და გრძნობა თუ არ დამეხავსება,**
**ჩემს სიყმაწვილეს მეორე ჰპოვებს,**
**კაცი, რომელიც მე მემსგავსება.**

არც ის უნდა იყოს საეჭვო – ასეთ ღრმა რწმენას ნამდვილი შემოქმედის ნიჭი, აუმღვრეველი სული და პატიოსნება ესაჭიროება.

* * *

დასასრულ ზოგი რამ კვლავ უნდა გავიხსენო. ეს თითქმის ორმოცი წლის წინანდელი ამბავია. „ცისკრის" რედაქტორი საკმაოდ მკაცრი და თავისებური კაცი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე იყო. იმჟამად მეც „ცისკარში" ვმუშაობდი. ბატონი კონსტანტინე პორთფელში ნომრის მასალებს ალაგებდა. რატომღაც სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი წერილი გადაფურცლა (ავტორი აღარ დამამახსოვრდა), წუთიერად გაირინდა. რედაქციის თანამშრომლებმა ვიცოდით, თავისი თანატოლის პოეზიას მაინცდამაინც დიდად არ წყალობდა (ხელოვნური ენა აქვსო, უთქვამს) და გვეგონა იმ წერილსაც წინასწარვე დაიწუნებდა. პირიქით კი მოხდა. წერილში მოხმობილი ერთი ლექსის („თბილისის თოვლი") ფინალურმა სტროფმა აშკარად მოხიბლა და რამდენჯერმე ჩაილაპარაკა: „ძალიან კარგია!" ჩვენდა გასაგონად, ხმამაღლაც წაიკითხა შესამჩნევად აღელვებულმა:

**ჩემი სისხლია თოვლში ჩაღვრილი,**
**მაინც თეთრია თოვლის ფიფქები.**
**შენი ყელი ვარ, შენი საყვირი**
**და შენი ფესვიც მალე ვიქნები.**

ვეება ფანჯრის მხარეს გაიხედა. სათვალე უციმციმებდა: „ლექსმა ასე უნდა შეგძრას, გულს უნდა მოხვდეს. რამდენი ტკივილია ბოლო სტრიქონებში... რა ლამაზია და თან რა მართალი!.." მერე იქ მყოფთ მოგვიბრუნდა: „თქვენ ჯერ ახალგაზრდები ხართ, ბოლომდე სრულად ვერ ჩაწვდებით ამ ლექსში ჩადებულ აზრს, სევდას. ასე ვერ მოეფერებით მშობელ მიწას, თქვენს ქალაქს, საამისოდ ჯერ ვერ მოიცლით!.." არ შევკამათებივართ. ისევ აგვარიდა მზერა, კვლავ დადუმდა, მოიწყინა. ძნელი სათქმელი იყო, რას ფიქრობდა იმ წუთებში. ერთი რამ ცხადი იყო – სიმონ ჩიქოვანის ლექსმა უცნაურად მოალბო, შეცვალა სამოც წელს გადაცილებული პირქუში ყმაწვილი, რომელიც დიდმა ბერძენმა პოეტმა კონსტანტინოს კაზანძაკისმა სრულიად ყმაწვილი ნახა ოციან წლებში და თავისი ქართველი სეხნია „გამხდარად და ბრაზიანად" მოიხსენია.

* * *

იმ დღიდანაც თითქმის ასევე ორმოცი წელიწადია გასული. მახსოვს, „ცისკარში" ორი პოლონელი ლიტერატორი გვეწვია, ახალგაზრდები. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი აბაშიძემ ისინი ჩვენთან გამოაგზავნა, საერთო ენას ახალგაზრდები ერთმანეთთან უფრო იპოვითო. პოლონური ლიტერატურული გაზეთის მუშაკები იყვნენ – ერთს ანჯეი ერქვა, მოძრავი, ტემპერამენტიანი ყმაწვილი იყო, მეორისა არც სახელი და არც გვარი არ დამამახსოვრდა. თავიანთი გაზეთის რამდენიმე ნომერი გვაჩვენეს – თანამედროვე მხატვრობის რეპროდუქციებმა და თამამმა მასალებმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, ზოგ რამეს თავად გვიხსნიდნენ. მაშინვე გავუხსენით გული ერთმანეთს, ბევრ რამეში თანამოაზრენი აღმოვჩნდით, ერთ ბედში მყოფნი. ცნობილია, პოლონელები იმთავითვე თავისუფალი აზროვნებითა და თავისუფლების სიყვარულით გამოირჩეოდნენ. თავისუფლებისადმი ლტოლვა და თავისუფლად წერის, ცენზურის ზედამხედველობიდან თავის დაღწევის სურვილი არც ჩვენ გვაკლდა და ამაზე კარგა ხანს ვილაპარაკეთ. საღამოს უკვე ფუნიკულიორის ვერანდაზე ვისხედით. პატივისცემით გავიხსენეთ პოლონეთის საუკეთესო მწერლობა, მისი კულტურა. მერე ბრმა პოეტის სადღეგრძელო შევსვით. აღვნიშნეთ, სიმონ ჩიქოვანმა ლექსების რა შესანიშნავი ციკლი შექმნა პოლონეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე.

ღირს იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც პოეზია და პოეტები ასეთი თავდავიწყებით უყვართ და განსაცდელში მყოფს ასეთ დიდ თანადგომას უცხადებენო, თქვეს ჩვენმა სტუმრებმა. არასოდეს დამავიწყდება ის საღამო. ფეხზე ამდგარებმა მხნეობა ვუსურვეთ ბატონ სიმონს, რომელსაც მაშინ თურმე ამქვეყნიური ცხოვრების ერთი წელიც არ ჰქონდა დარჩენილი.

აქვე მოკლედ იმასაც ვიტყოდი – სრულიად განსაკუთრებული, უგულითადესი დამოკიდებულება ჰქონდა სიმონ ჩიქოვანს არჩილ სულაკაურთან. არჩილი მუდამ ცდილობდა „მნათობის" რედაქტორობის დროს სიმონ ჩიქოვანისეული სულისკვეთება დაემყარებინა, მასავით გაძღოლოდა ჩვენს უპირველეს ჟურნალს. სიმონ ჩიქოვანის ასეთივე თაყვანისმცემლები და უმცროსი

მეგობრები იყვნენ რევაზ ჯაფარიძე, შოთა ნიშნიანიძე და გია მარგველაშვილი. დაუვიწყარ გურამ ასათიანს, ჩემი თანდასწრებით, არაერთხელ უთქვამს – სიმონ ჩიქოვანი ჩემს სულიერ მშობლად მიმაჩნიაო. საერთოდ, სამოციანელთა დიდი უმრავლესობა ყოველთვის თვლიდა, რომ ბატონი სიმონი მთელ ქართულ მწერლობაში ჭკუასაკითხავი კაცი, ჩვენი კეთილი მასწავლებელი, მოძღვარი იყო.

* * *

მაგონდება სიმონ ჩიქოვანის გამოსვლა მისი დაბადების სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. ორმოცი წელია გასული მას მერე. იმხანად ჯანმრთელობა საგრძნობლად შერყეული ჰქონდა, მაგრამ მხნედ ეჭირა თავი. მხედველობის სავალალო დაქვეითებასაც ვერ ატყობდნენ გარეშენი. საღამოს დასასრულს იუბილარმა შეკრებილ საზოგადოებას მადლობა მოახსენა და თავისი ერთ-ერთი შედევრი, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე „ვინა სთქვა" წაიკითხა – მღელვარედ, უდიდესი შთაგონებით. მისი ოდნავ მოცახცახე ხმა ზარივით რეკავდა. თითქოს ახლაც ყურში ჩამესმის:

*ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს*
*ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,*
*ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,*
*ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!*

*აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,*
*მთები — შემკული სხივების სირმით,*
*ააშრიალეთ არწივის ფრთები,*
*კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის...*

რა ტრაგიკული და ამავე დროს რაოდენ გამამხნევებელი იყო ჯანგატეხილი პოეტის ეს ვაჟკაცური შემოძახება. იგი თავის თავს აღარ დარდობდა – საქართველოს გაურკვეველი მომავალი აწუხებდა. მაშინ ერთხელ კიდევ ვირწმუნე, რომ პოეტის ლექსებს პოეტივით სხვა ვერავინ წაიკითხავს.

ახლა ვფიქრობ – პოეტის სული ზეციურ საქართველოში ალბათ შეძრული იქნება, რომ მისი დაშრეტილი მზერის მიერ ნაფერებ-ნალოლიავები ბუმბერაზი მთებიდან მრავალი კარგა ხანია, გადამთიელთა ხელშია მოხვედრილი, ველურმა ბანდებმა დაუცველი, უიარაღო ქართველები უმოწყალოდ ამოხოცეს და რუს სამხედროებთან ერთად, ჩვენი სისხლი და ხორცი მისსავე სამშობლოში ლტოლვილებად აქციეს – შიდა ქართლის დიდ ნაწილს სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკა დაარქვეს და ჩვენგან განუყოფელი ისტორიული კუთხის, აფხაზეთის, სამუდამოდ მიტ[illegible]ენ. მოწინავე მსოფლიო და [illegible]ო ვერასოდეს შეურიგდება ამ უკიდურესად დამამცირებელ მდგომარეობას და ვიმედოვნებთ, არც ისე შორი უნდა იყოს ის დრო, როცა ჩვენი ტანჯული სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა და შელახული ღირსება აღდგება. სწორედ ამას მოითხოვენ ჩვენგან წინაპართა ძვირფასი აჩრდილები, რომელთა შორისაც ასი წლის სიმონ ჩიქოვანის მღელვარე სულის ლალადიც გვესმის.

* * *

ეს მცირე ეპიზოდი სიმონ ჩიქოვანის სიცოცხლის მიწურულს განეკუთვნება (რამდენიმე თვეში კიდევაც გარდაიცვალა) და მის დიდ პროფესიონალიზმზე და სიტყვის კაცობაზე მეტყველებს; სერგეი ესენინის იუბილე ახლოვდებოდა და „ცისკარში" რაიმე მასალა უნდა დაბეჭდილიყო. მანამდე გიორგი ლეონიძეს ჰქონდა ლიტერატურულ გაზეთში ძალზე საინტერესო მოგონება რუს პოეტზე და ვიფიქრე, სიმონ ჩიქოვანიც უარს არ გვეტყოდა ასეთსავე მასალაზე. დავურეკე და მორიდებულად ვთხოვე, თუ ძალიან არ შეწუხდებით, ეგებ ესენინის პოეზიისა და პიროვნებისადმი თქვენი დამოკიდებულება გამოხატოთ-მეთქი. ყურადღებისთვის მადლობა გადამიხადა და დამპირდა, რაღაცას უსათუოდ გავაკეთებო, ვადაც დამითქვა. ერთი კვირის შემდეგ (მაშინ უკვე ძალზე შეუძლოდ იყო) ვეახლე. პატარა, მშვენიერი წერილი დამახვედრა, მანქანაზე ლამაზი შრიფტით გადაბეჭდილი – ისეთი მოხდენილი შრიფტი მაშინ, ვგონებ, მხოლოდ ბატონი სიმონის საბეჭდ მანქანაზე იყო დაყენებული.

* * *

ოთხმოციან წლებში „სოვეტსკი პისატელს" სიმონ ჩიქოვანის პოეზიის რჩეული უნდა გამოეცა (ცნობილი სერია – „პოეტის ბიბლიოთეკა"). რედაქტორობა გურამ ასათიანმა იკისრა. წინასიტყვაობა გია მარგველაშვილს დაევალა (ქართულად დაწერილი ჰქონდა და თარგმნას იოლად შესძლებდა). ასეთ გამოცემას უთუოდ უნდა დართვოდა კომენტარები. ეს საჭოჭმანო, საწვალებელი და არცთუ სასარგებლო საქმე (მცირედი ანაზღაურება) არავინ ითავა, იმათმაც, ვისზედაც ბატონ სიმონს დიდი ამაგი გაეწია. ვილაცას გამომცემლობისთვის ჩემი გვარი მიეწოდებინა და მოსკოვიდან დამირეკეს, მთხოვეს ლექსების კომენტირება. უარი ველარ ვუთხარი. პოეტის ვაჟთან,

ლიტერატურის საუკეთესო მცოდნესა და მეტად დახვეწილი გემოვნების ადამიანთან ნიკა ჩიქოვანთან ერთად სხვადასხვა რუსული გამოცემებიდან (კრებულის მოცულობა განსაზღვრული იყო) დავიწყეთ რჩეულის შედგენა. ყველაფერს რედაქტორს, გურამ ასათიანს ვუთანხმებდით. კომენტარებზე მუშაობას დიდხანს მოვუნდი, ოთხი საავტორო ფორმა გამოვიდა. გამომცემლობის რუს თანამშრომელთან (ქალბატონის გვარი აღარ მახსოვს) მიწერ-მოწერა მქონდა, ტელეფონითაც მიკავშირდებოდა. კომენტარები მოიწონეს, მაგრამ ებევრათ; შემომითვალეს, უმეტესობა თქვენი განმარტებებისა უფრო სტატიის მასალად გამოდგება და თუ გნებავთ, მარგველაშვილის შესავალ წერილში გადავიტანოთო. ამაზე არ დავთანხმდი. მომწერეს, აგრეთვე, რომ პაოლო იაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმონ ჩიქოვანის ლექსი ტომიდან უნდა ამოვიღოთ, ხელისუფლებამ (ბრეჟნევის ხანა იყო) ოცდაჩვიდმეტი წლის ხსენება სასტიკად აკრძალა, ამ ლექსს არაფრით არ გაუშვებენო. მე იმათთან რას გავაწყობდი – ხსენებული ლექსი, თავისი კომენტარებიანად, უკვალოდ გააქრეს.

წიგნი, საბოლოოდ, ურიგო მაინც არ გამოვიდა. როგორც იტყვიან, მოწონება ხვდა წილად. ტექსტში ჩასართავი ფოტოებიც ნიკამ და მე შევარჩიეთ. ერთი გვიანდელი ფოტო განსაკუთრებულად მომწონს. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრეა გადაღებული, ზამთარში. პოეტი სკამზე ზის, წახრილია, ფლანელის ფართოუჯრედებიანი ხალათი აცვია, თბილი. მწარე საფიქრალს მისცემია, მაგრამ ტანჯვა არ არის აღბეჭდილი სახეზე. გარეგნობაც ამჟღავნებს, დღის სინათლეს რომ ვერ ხედავს. უკვე აჩრდილთა სამყაროშია გადასული. ამ დროს ჯერ კიდევ არაა დაწერილი მისი უკანასკნელი – მშვენიერი და მწუხარე ლექსი – „არ მშორდება ჭირვეული მარტი...“

* * *

თუკი საფლავის სილამაზეზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა, სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელ განსასვენებელზე უფრო მოხდენილი, სადა და პოეტური რამ იშვიათად მინახავს. როგორ უხდება, როგორ ამშვენებს იგი მთაწმინდას.

ამ საფლავმა (გრანიტის [illegible] ფილაზე პატარა ბრონეულის ხეა ამოზრდილი) ერთხელ კიდევ გამახსენა სიმონ ჩიქოვანის უბრწყინვალესი ლექსი „ბროწეული პიტიახშების სამარეზე“. კვლავ უნდა დავუბრუნდე ამ ლექსის უმთავრეს, გამაოგნებელ ხატს, ოღონდ ხედვის წერტილი და მიზეზიც ამჯერად სხვაა – მცხეთის სანახებს, გადათხრილ არმაზს მამადავითის მყუდრო სავანე ენაცვლება. ჯერ პირველი სტროფი უნდა მოვიხმო:

**ბროწეულმა ფესვით კუბო გაარღვია,**
**საფლავს ჩასწვდა და იპოვა სამაჯური,**
**სერაფიტის ფერფლი თითქოს დაარხია,**
**სამაჯურში ფესვი გაჰყო დამანჭული.**

გიკვირს – რაოდენი სინაზე და სილამაზეა ჩაღვრილი ამ იდუმალებით აღსავსე ლექსში, სადაც პოეტს წითლად გადაბრიალებული ბრონეულის ხე სწორუპოვარი სერაფიტის აშოლტილ ტანად წარმოუსახავს. ამ ბრონეულზეა ნათქვამი: „ქალწულის ფერფლს, როგორც ყვავილს, გაუფრთხილდა...“ „და ნაყოფში ჩაილაგა ვარსკვლავები“.

რაოდენ გულისმომკვლელი და ამასთან ამამაღლებელიცაა ის ამბავიც, რომ პოეტის ცხოვრების სამაგალითო, თავშეწირული მეგობრის, ქალბატონ მარიკას ფერფლმაც აქვე ჰპოვა სამუდამო თავშესაფარი. ახდენილ სიზმარივით, წინასწარმეტყველებასავით ჟღერს ხსენებული ლექსის ფინალური სტროფი, სადაც პოეტი თითქოს მისსავე სამარეზე წამომართულ, სერაფიტის ორეულად ქცეულ, ზღაპრულად გატოტილ ბიბლიურ მცენარეს, ბრონეულს შეჰღაღადებს და ევედრება. დავაკვირდეთ და ვნახოთ თუ ასე არ არის:

**შენ მოჰყევ თუ შენ გამოგყვა სერაფიტი,**
**მისი ფერფლი იპოვე და ჩაგვაბარე,**
**მოწეულო ბროწეულო, გადმოფრინდი,**
**შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.**

კაცის ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ თუკი რამეს ნიშნავს სურვილის აღსრულება, ნამდვილად შეიძლება ითქვას – პოეტის სანუკვარი ნატვრა, ოცნება აცხადებულია.

ნიკა ჩიქოვანი

ბიბლიოთეკა

# მოგონების მოგონება

ერთი უცნაური თვისება ჰქონია ჩემს მეხსიერებას — მე ზედმიწევნით კარგად მახსოვს წაკითხული ან მოსმენილი და ბევრად უარესად ის ეპიზოდები, რომელთა თვითმხილველიც ვყოფილვარ. ასე მაგალითად, მშვენივრად მახსოვს სიმონის ნაამბობი მის ბავშვობაზე ან ახალგაზრდობაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ მის საუბრებს არანაკლებ საინტერესო პიროვნებებთან, რომელთა მონაწილე თუ არა, მოწმე ხშირად ვყოფილვარ. ჩემი მეხსიერების ეს ანომალია უეჭველად დაასვამს თავის დაღს მოგონებებს, რომელთა წერასაც ახლა ვიწყებ. კაცმა რომ თქვას, ეს არც თუ ცუდია, რადგან სიმონ ჩიქოვანის მოგონებები ნიკა ჩიქოვანის მოგონებებზე საინტერესო მუდამ იქნება. თვითონ სიმონს საოცარი მახსოვრობა ჰქონდა. ასე მაგალითად, მას თვალნათლივ ახსოვდა, თუ როგორ იწვოდა აბაშა, რომელიც 1905 წელს გადაწვეს მათი ნათესავის — გენერალ ბესარიონ ჩიქოვანის ჯარებმა. ამ ბესარიონ ჩიქოვანის ამბავი თავისთავად იმდენად საინტერესოა, რომ თავს უფლებას მივცემ ცოტა ხნით შევჩერდე მასზე, თუმცა იგი არ არის პირდაპირ დაკავშირებული სიმონ ჩიქოვანის ბიოგრაფიასთან. სიმონის მამის — ივანეს, როგორც დასავლეთ საქართველოში იტყვიან, გარე ბიძაშვილი — ბესარიონი, იმ დროს უკვე გენერალი იყო და მას მიანდეს ალიხანოვ-ავარსკის ექსპედიციის იმ ნაწილის სარდლობა, რომელსაც ევალებოდა „წესრიგის დამყარება“ სამეგრელოში. ისიც, როგორც ეტყობა, დიდი მონდომებით და ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე შეუდგა საბრძოლო დავალების შესრულებას. ერთადერთი შეღავათი, რომელიც მან გაუკეთა თავის მშობლიურ აბაშას, ანუ, უფრო სწორად, თავის თავს, იყო ის, რომ თვითონ პირადად არ დასწრებია აბაშის აოხრებას. ერთი სიტყვით, ასეთი საქციელით ბესარიონ ჩიქოვანი ქართველების თვალში იმდენად ოდიოზურ ფიგურად გამხდარა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, იგი არ მიუწვევიათ დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ იგი რომელიღაც მხრიდან ბიძად ეკუთვნოდა ნოე ჟორდანიას. ერთ მშვენიერ დღეს ნოე ჟორდანიას დაუბარებია თავისი „უმუშევარი“ ბიძა და უთქვამს: „ასე და ასე... იძულებული ვიყავით დაგვეპატიმრებინა ფილიპე მახარაძე, მაგრამ რად გვინდა ფილიპეს ციხეში ყოლა, ამიტომ მოდი, გააპარე ფილიპე ციხიდან და გადაიყვანე ჩრდილოეთ კავკასიაშიო“. ბესარიონმაც პირნათლად შეასრულა ეს დავალება, რაც ნამდვილად არ იყო ძნელი, რამდენადაც შეთქმულებაში მთავრობის თავმჯდომარეც მონაწილეობდა. სამაგიეროდ, გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკებმა ალიხანოვ-ავარსკის ამ ოდიოზურ თანამებრძოლს დაუნიშნეს პერსონალური პენსია, როგორც ძველ რევოლუციონერს. ჰო, კიდევ ერთი დეტალი: სამეგრელოს ექსპედიციის დროს ბ. ჩიქოვანს ჰყავდა ადიუტანტი — ა. ეგოროვი, შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი. მეორე მოგონება, რომელიც სიმონს ჰქონდა 1905 წლის რევოლუციის ამბებთან, ანუ უფრო სწორად, უკვე რეაქციის პერიოდთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ ამ დროს სიმონი უკვე სამი თუ ოთხი წლისაა, მას ახსოვდა, როგორ ჩამოაყენეს მათ სოფელში დამსჯელი რაზმი — დრაგუნები. სანამ დრაგუნები შემოვიდოდნენ, მეზობლებმა, ვისაც რაიმე ფასეული ნივთი ჰქონდა, მოიტანეს ჩიქოვანების ოჯახში. საქმე ის იყო, რომ სიმონის ბაბუა — სიკო ჩიქოვანი გურია-სამეგრელოს სათავადაზნაურო დრუჟინის რიგებში მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის უკანასკნელ ომში. იქ, როგორც ეტყობა, თავი გამოიჩინა, ყოველ შემთხვევაში ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სახლში. იმ დროისათვის სიკო ჩიქოვანი უკვე აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ მისმა ქვრივმა ბალიშზე მიაბნია ქმრის სამხედრო ჯილდოები და ეს ბალიში დაასვენა აივნის შესასვლელში, კიბის თავში. როდესაც მოსულმა დრაგუნებმა ამ ოჯახში ნახეს ამდენი სამხედრო ჯილდო, აუღეს მხედრული სალამი, გატრიალდნენ და წავიდნენ. სიკო ჩიქოვანს ამ ჯილდოებთან ერთად მიღებული ჰქონდა უფლება ერთი შვილისათვის მიეცა საშუალო განათლება ხაზინის ხარჯზე. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი ვაჟი — ივანე, მაგრამ პატარაობისას იგი გადმოუგდია ცხენს და მას დაზიანებია ფეხი. მეგრელი ბიჭისათვის ცხენიდან ჩამოვარდნა იმდენად დიდი სირცხვილი ყოფილა, რომ ბავშვს, მიუხედავად ფეხის ტკივილისა, დიდხანს არ გაუმხელია მშობლებისათვის მომხდარი ამბავი, ხოლო როცა სიმართლე გამოაშკარავდა, უკვე გვიან იყო —

ფეხი მას სამუდამოდ გაუფუჭდა. ალბათ, სწორედ ამიტომ, მშობლებს შეეცოდათ ხეიბარი ბავშვის დიდი ხნით მოშორება ოჯახიდან და სასწავლებელში მისი და — ნადეჟდა გაუგზავნიათ. გოგონამ წარმატებით დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი, მშობლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მის მომავალზე, მაგრამ მას შეუყვარდა მეზობელი — ერთობ თვალტანადი, მაგრამ ცოტა არ იყოს თავქარიანი აზნაურიშვილი დიმიტრი ესაკია და გათხოვდა იქვე, ნაესაკოვოში. (ესენი იყვნენ კინორეჟისორ ლეო ესაკიას მშობლები). თავისთავად სოფელში დარჩა ივანეც. ინვალიდობის გამო ის თვითონ ვერ ამუშავებდა მიწას და თავის ყანებს იჯარით, მოსავლის ერთ მესამედად, აძლევდა ერთ შეძლებულ გლეხკაცს. სხვათა შორის, როდესაც სიმონის რომელიღაც იუბილესთან დაკავშირებით ჩავედი აბაშაში, იქ გავიცანი რაიკომის პირველი მდივანი გურამ მგელაძე, რომელიც ახლადდაწყებულ „აბაშის ექსპერიმენტთან“ დაკავშირებით დიდი გატაცებით ლაპარაკობდა „საოჯახო იჯარაზე“, თუ როგორ ემადლიერებიან მას (იჯარას) კოლმეურნეები და ა. შ. ... მე, ცოტა არ იყოს, ცივი წყალი გადავასხი მის ენთუზიაზმს, როდესაც ჩავილაპარაკე: „ივანე ჩიქოვანი მოსავლის ორ მესამედს უტოვებდა-მეთქი თავის მოიჯარეს“. ივანე, თურმე, შესანიშნავად ფლობდა იმ დროს უკვე იშვიათ ხელობას — მიმინოების დაგეშვას. მიწათმოქმედებისაგან თავისუფალი, იგი დროს ამ ხელობას თუ ჰობის უთმობდა. მიუხედავად სისტემატური განათლების უქონლობისა, მან კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია — ზეპირად ახსოვდა ვრცელი ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“, დიდი თაყვანისმცემელი იყო ილიასა და აკაკის პოეზიისა. ივანეს მამას, სიკო ჩიქოვანს თვითონ უცდია კალამი მელექსეობაში — იგი ჩაბმული ყოფილა სახუმარო პოეტურ მიწერ-მოწერაში იმ დროს ძალიან პოპულარულ პოეტთან, სიმონ გუგუნავასთან, ხოლო მისმა მეუღლემ, ებემ მართლაც ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხისტყაოსანი“, სიმონი ბევრჯერ ყოფილა მოწმე, თუ როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მისი ბებია და მამა რუსთაველის პოემის ცოდნაში.

სიმონი ადრე დაობლდა, დედამისი მასზე მშობიარობას გადაყოლია, ბავშვი მეზობელ სოფელში ტყვირში გაუძიძავებიათ გლეხის ოჯახში. იქ ორ წლამდე იზრდებოდა, შემდეგ მამასთან და ბებიასთან დააბრუნეს ნაესაკოვოში. ძიძა, რომელმაც დედობა გაუწია, სიმონს, ბუნებრივია, ძალიან უყვარდა. ერთხელ მის მოსანახულებლად მოსულ ძიძას გაეტირა, როდესაც მან სახლში დაბრუნება დააპირა, ქალიც იძულებული იყო შელამებამდე დარჩენილიყო სტუმრად. შემდეგ კი გზად ცნობილი ტყვირის ეკლესია და სასაფლაო უნდა გაევლო, არ ვიცი რა მოეჩვენა, მაგრამ იმდენად შეეშინდა, რომ გაგიჟდა და მალე გარდაიცვალა. მერე ბებია ზრდიდა „ბებია, მშვიდი და მწიგნობარი“... ერთხელ, ზამთარში სიმონი ავად გამხდარა, ბებია დიდ თოვლში ექიმის მოსაყვანად წასულა, როგორც ეტყობა, გზაში გაციებულა და ფილტვების ანთებით გარდაცვლილა. სიმონი ამბობდა ხოლმე „ბავშვობაში სამმა ქალმა შემწირა სიცოცხლეო — დედამ, ძიძამ და ბებიამ“. სამივეს მიუძღვნა მან დიდი სინანულითა და სიყვარულით გამთბარი სტრიქონები.

რაკი ტყვირის ეკლესია ვახსენე, აქვე მოვყვები მასთან დაკავშირებულ ერთ ამბავს. ეს ეკლესია არის XIV-XV საუკუნის არქიტექტურული ძეგლი, ეკუთვნოდა ჭილაძეთა გვარს, მგონი, შერჩენილი უნდა ჰქონდეს კედლების მოხატულობა, მაგრამ მისი მთავარი ღირსშესანიშნაობა ყოფილა ვაზის ფიცრებისგან (!) შეკრული კარები. მეორე მსოფლიო ომის წლებში ვიღაცას ჩამოუხსნია ეს კარები და დაუწვავს. როდესაც სიმონი, მაშინ უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჩასულა აბაშაში, რაიკომის პირველი მდივნისთვის უსაყვედურებია: „გავა ხანი და არავის ეხსომება რამდენი პროცენტით გადააჭარბეს სიმინდის ჩაბარების გეგმას რაიონის კოლმეურნეობებმა, მაგრამ იმას, რომ შენი მდივნობის დროს მოისპო ტყვირის ეკლესიის უნიკალური კარები, მუდამ გაგიხსენებენო“. მდივანს სწყენია ეს საყვედური და კანდიდ ჩარკვიანთან უჩივლია: „ჩამოვიდა სიმონ ჩიქოვანი და მომიწოდა — კოლმეურნეობებს თავი დაანებე და ეკლესიები აშენეო“.

მაგრამ, დავუბრუნდეთ XX საუკუნის დასაწყისს: სიმონის მამა ოცნებობდა, რომ მისი ვაჟი სამთო ინჟინერი გამოსულიყო, იმ დროს ეს პროფესია მეტად პრესტიჟული იყო, ამიტომ სიმონი მიაბარეს არა კლასიკურ გიმნაზიაში, არამედ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. პირველ წელს, როდესაც სიმონი ჩაირიცხა მოსამზადებელ განყოფილებაზე, მამამ ის მდგმურად დააყენა თავად დგებუაძეების ოჯახში. დგებუაძეებს ჰყავდათ ორი ქალიშვილი: ფუცუ (შემდგომში მწერალი ფ. დგებუაძე-ფულარია) და პაუსია. ეს პაუსია, რომელიც მაშინ ამთავრებდა ქალთა გიმნაზიას, ამზადებდა სიმონს რუსულ ენაში. ამ ოჯახში ლიტერატურული ატმოსფერო სუფევდა: კითხულობდნენ და ზოგჯერ წერდნენ კიდეც ლექსებს, დგამდნენ შარადებს და ა. შ... აქ დაუწერია პატარა სიმონს თავისი პირველი ლექსი, როგორც თვითონ იგონებდა — მამია გურიელის „ადამიანის“ გა-

ვლენით, რითაც უფროსების მოწონება დაუმსახურებია. შემდეგ წელს, როდესაც სიმონი უკვე მიიღეს რეალური სასწავლებლის პირველ კლასში, იგი საცხოვრებლად გადავიდა ჩაჩავების ოჯახში. ჩაჩავებს ჰყავდათ შვილი კოლია, სიმონის კბილა. ოჯახის დიასახლისმა, კოლიას დედამ ძალიან გულთბილად მიიღო სიმონი, შეიძლება ითქვას, თავის ვაჟში არ არჩევდა. ერთხელ კოლიასა და სიმონზე ვილაცისთვის უთქვამს: „შეხედე, რა თეთრებია ჩემი ბავშვებიო“. თვითონ ის ფაქტი, რომ სიმონს მთელი სიცოცხლის მანძილზე ახსოვდა ეს „ჩემი ბავშვები“, მეტყველებს იმაზე, თუ რა მგრძნობიარეა ობოლი ბავშვი დედობრივის მსგავსი გრძნობის გამოვლენისადმი. სიმონთან ერთად, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად, ცხოვრობდა დათიკო გაჩეჩილაძეც. კოლია და დათიკო სწავლობდნენ ქართულ გიმნაზიაში. სწორედ მათ შეიყვანეს სიმონი გიმნაზისტთა წრეში. აქ მან გაიცნო ბესო ჟღენტი და აკაკი ბელიაშვილი. ბუნებრივია, რომ ქართულ გიმნაზიაში ლიტერატურული ცხოვრება ბევრად უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე რეალურ სასწავლებელში. მეგობრები უშვებდნენ ხელნაწერ გაზეთს, მონაწილეობდნენ ლიტერატურულ დისკუსიებში. ერთხელ მოაწყვეს ერეკლე II-ის ლიტერატურული გასამართლება ნ. ბარათაშვილის პოემის მიხედვით. ცხადია, რომ ლიტერატურული გასამართლება იყო მხოლოდ საბაბი რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და შემდგომში მის შემადგენლობაში დარჩენის მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობისათვის. „გასამართლებას“ ისეთი წარმატება ჰქონია ქუთაისის საზოგადოებაში, რომ მეგობრებს „გამსვლელი სესიებიც“ კი მოუწყვიათ ახლო-მახლო პროვინციულ ქალაქებში. ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებზე ხელგანაფულმა ახალგაზრდებმა ერთხელ გადაწყვიტეს ნამდვილი გაზეთის გამოშვება. ამისათვის საჭირო საწყისი კაპიტალიც იშოვნეს: ერთ-ერთ მათგანს, დათიკო გაჩეჩილაძეს მშობლებმა რამდენიმე ფუთი სიმინდი გამოატანეს, რომელიც უნდა გაეყიდა და იმ ფულით მთელი წელიწადი ეარსება. მეგობრებმა დაითანხმეს დათიკო, სიმინდში აღებული ფულით გაზეთი გამოეშვათ. გამოუშვეს კიდეც, მაგრამ მხოლოდ ერთმა მეგაზეთემ გამოართვა რამდენიმე ცალი, დანარჩენი ეგზემპლარები შერჩათ. მაშინ „კომპანიონებმა“ უარი თქვეს თავიანთ წილებზე და მთელი ტირაჟი დათიკოს დაუტოვეს, მერე კარგა ხანი ქუთაისის ბულვარზე დარბოდა საწყალი ბიჭი „გაზეთი, ახალი გაზეთის“ ყვირილით. ერთხელ ბედმა გაუღიმა:

— ეს რა გაზეთია? აქამდე არ მინახავს — მიმართა მას კეთილშობილი გარეგნობის მოხუცმა.

— ეს, ბატონო, ქუთაისელი ახალგაზრდა მწერლების გაზეთია — მიუგო დათიკომ.

— საინტერესოა, საინტერესო... — ჩაილაპარაკა მოხუცმა, ჩაუდო ხელში დათიკოს ოქროს თუმნიანი და იქვე დაუწყო გაზეთს თვალიერება.

— ბიჭებო, აი, ის კაცი მოტყუვდა და ერთ ცალ გაზეთში თუმანი მომცა — მიიჭრა იქვე, შორიახლო მდგარ მეგობრებთან გახარებული დათიკო, მათ შეხედეს მოხუცს და იცნეს — ეს იყო ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი ლასხიშვილი, რომელმაც, რა თქმა უნდა, „ახალგაზრდა ქუთაისელი მწერლების“ წასახალისებლად გაიღო ასეთი თანხა.

საგამომცემლო საქმიანობის მეორე ცდა დაკავშირებულია კიდევ ერთ ცნობილ საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის იოსებ ოცხელის სახელთან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორმა, იოსებ ოცხელმა დაიბარა აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა და სიმონი. აკაკი და ნიკოლოზი მისი მოწაფეები იყვნენ, ხოლო სიმონი კი, როგორც უკვე ვთქვი, რეალურ სასწავლებელში სწავლობდა და გიმნაზიის დირექტორთან მისი მიწვევის ფაქტი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის, სიმონს თავისი ლიტერატურული საქმიანობით უკვე მიუპყრია ქუთაისის საზოგადოების ყურადღება. როდესაც მეგობრები გამოცხადდნენ ოცხელთან, მან დაახლოებით ასე მიმართა: „ეხლა ისეთი დრო მოდის, რომ ყოველმა ქართველმა ახალგაზრდამ რაიმე რეალურ საქმეს უნდა მოკიდოს ხელიო. ...აი, თქვენ ფული, შეარჩიეთ რომელიმე ნაწარმოები და გამოეცით წიგნად... ამ წიგნში აღებული ფულით გამოეცით მეორე, შემდეგ — მესამე და, ვინ იცის, წარმატების შემთხვევაში, ეგებ სოლიდურ გამომცემლობას ჩაეყაროს საფუძველიო“. ბიჭებმა მართლაც იპოვნეს ერთ-ერთ ჟურნალში კიტა აბაშიძის წერილები ფრანგული პოეზიის შესახებ და გამოსცეს კიდეც წიგნად. წიგნს წააწერეს გამომცემლობა „აკსიმკოლი“. მერე სიმონი მიყვებოდა: „ერთხელ, გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში წავაწყდი ამ წიგნს, სოსომ კი მკითხა, ხომ არ იცი, რა გამომცემლობა იყო ასეთიო... გაცინებია სიმონს, ეს ჩვენი სახელებისგან შედგენილი აბრევიატურა არისო: აკაკი, სიმონი, კოლია. ვინაიდან „აკსიმკოლის“ საქმიანობა ამ წიგნის გამოცემით ამოიწურა, უნდა ვიფიქროთ, რომ მას თავისი გამომცემლებისათვის ფინანსური წარმატება არ მოუტანია. წიგნის წარუმატებლობა გაპირობებული იყო უკვე ლიტერატურული მასალის არჩევით, რომელიც თუმცა მოწმ-

ობს გამომცემელთა კარგ გემოვნებაზე, მეორე მხრივ ავლენს მათ სრულ უსუსურობას, როგორც ეხლა იტყვიან, მარკეტინგში. რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმას, რომ 1917 წელს უკიდურესად აგზნებულსა და პოლიტიზირებულ ქართულ საზოგადოებაში ძნელი გახდებოდა ფრანგული პოეზიის შესახებ დაწერილი წიგნის მკითხველისა და მეტადრე მყიდველის გამონახვა (ი. გრიშაშვილი ბედნიერი გამონაკლისია).

ერთ დილას, როდესაც სიმონი გამოვიდა სახლიდან, ის შეაჩერა მეზობელმა, მეაფთიაქე ალექსანდრე თორაძემ (კომპოზიტორ დავით თორაძის მამამ), მას ხელში ეჭირა გაზეთი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ცნობა ოქტომბრის გადატრიალების შესახებ და ბოლშევიკური მთავრობის – სახკომსაბჭოს შემადგენლობა.

– მოდი, სიმონ, აი, ნახე – გაუწოდა თორაძემ გაზეთი – ისე ხომ არ შეიძლება რუსეთში რამე მოხდეს, ერთი მატრაკვეცა ქართველი რომ არ გაერიოს?! ვინაა ეს ჯუღაშვილი-სტალინი, რა უნდა ამ ბოლშევიკებში? – ასე გაიგონა პირველად სიმონმა სტალინის სახელი.

სიმონი ხშირად მიყვებოდა ხოლმე დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების რეალიების შესახებ. პოლიტიკური ბრძოლების საჯაროობა, დაწყებული თავისუფალი არჩევნებით და გათავებული ცხარე საპარლამენტო დისკუსიებით, რაღაც მშვენიერ ზღაპრად მოსჩანდა პირქუშ ან ძალად სადღესასწაულო საბჭოთა სინამდვილიდან. თვით პოლიტიკური სკანდალებიც კი, რომლებიც არც თუ იშვიათი იყო პირველი რესპუბლიკის ისტორიაში, ვერაფერს აკლებდნენ ჩემს თვალში ამ ზღაპრულ სურათს, პირიქით, რაღაც მხიარულ ფერებს მატებდნენ მას. მაგრამ ბოლო ათწლეულმა ცოტა არ იყოს გააუფერულა სიმონის მონათხრობით შექმნილი წარმოდგენები, ამიტომ არ შევჩერდები მათზე. ანდა, საერთოდ, ვის გააკვირვებ ან დააინტერესებ იმ ამბით, თუ როგორ გაანწნა სილა შალვა ნუცუბიძეს ბენია ჩხიკვიშვილმა?! ვიტყვი მხოლოდ, რომ 1918 წელს გარდაიცვალა სიმონის მამა, ოჯახს ძლიერ გაუჭირდა. ეს გაჭირვება გამოწვეული იყო არა იმდენად მარჩენალის დაკარგვით, რამდენადაც 1918-1919 წლებში ჩატარებული აგრარული რეფორმით, რომელიც საწინააღმდეგოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მტკიცებისა, საკმაოდ რადიკალური ყოფილა. სიმონი და მისი დედინაცვალი იძულებული გახდნენ გაეყიდათ წაბლის ხით კოხტად ნაგები პაპისეული ოდა-სახლი. მყიდველმა ფიცარ-ფიცარ დაშალა იგი და წაიღო აბაშაში, სადაც თავიდან ააწყო. 50-იან წლებში, როდესაც სიმონს ვახლდით აბაშაში, სიმონმა მიჩვენა „აი, ეს იყო ჩვენი სახლიო". შეიძლება ახლაც იქ იდგეს, წაბლი ძალიან გამძლე მასალაა.

1921 წელს, როდესაც დადგა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, სიმონი ქუთაისელ მოხალისეთა რაზმის შემადგენლობაში ჩამოვიდა თბილისში. ეს, სამოცდაათკაციანი რაზმი შედგებოდა ქუთაისის გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლის უფროსკლასელთაგან. სიმონის გარდა ამ რაზმში იყვნენ გამოჩენილი საოპერო მომღერალი დიმიტრი მჭედლიძე, ცნობილი თეატრალური მოღვაწე პოკო მურღულია და სხვები. განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით სიმონი იგონებდა ბიძინა პირველს, რომელიც ერთი წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა სვანეთის ცნობილ აჯანყებას. თბილისში ჩამოსულ მოხალისეებს სიტყვით მიმართა საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრმა დავით ონიაშვილმა, ისინი ასეულის სახით ჩარიცხეს არმიაში და დააბინავეს ყაზარმაში. მაგრამ უშუალო ბრძოლაში ამ ასეულს მონაწილეობა არ მიუღია, ალბათ ვიღაცას შეეცოდა ბავშვების გაყვანა ფაქტიურად უკვე წაგებულ ბრძოლაში. სამაგიეროდ, მათ ბოლომდე იწვნიეს თბილისიდან უკანდახევის მთელი სიმძიმე და სიმწარე, შეშფოთება და შიში საქართველოს მომავლის გამო მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა სიმონს და დროდადრო ამოსთქვამდა ხოლმე მის ლექსებში.

შემდეგ, 1922 წელს მეგობრები ჩამოვიდნენ თბილისში, რათა შესულიყვნენ უნივერსიტეტში და დაემკვიდრებინათ ქართულ ლიტერატურაში ახალი მიმდინარეობა. ასეთ მიმდინარეობად მათ აირჩიეს ფუტურიზმი. მათ დააარსეს ჯგუფი „მემარცხენეობა", რომელშიც გაერთიანდნენ სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, ჟანგო ღოღობერიძე, დემნა შენგელაია, ბენო გორდეზიანი, მხატვარი ირაკლი გამრეკელი და სხვ. პირველ ხანებში ფუტურისტები მანიფესტებს, დეკლარაციებსა და პოლემიკურ წერილებს მეტს აქვეყნებდნენ, ვიდრე ლექსებს. ამან საბაბი მისცა პაოლო იაშვილს პიტნავას დუქანში, მეზობელ მაგიდასთან მსხდომ ფუტურისტებისათვის გამოეგზავნა ქაღალდის ხელსახოცზე დაწერილი ასეთი ექსპრომტი:

*ექსპრომტი ს. ჩიქოვანს*
*(ქართველ ფუტურისტებს)*

უწინ ლეკები, შმაგი ქისტები
თავზე ესხმოდნენ კახეთის მდელოს,
დღეს კი ჭაბუკი ფუტურისტები
ანადგურებენ ძველ საქართველოს.
მაგრამ დგებიან ჩვენწინ კითხვები
სად არის ბრძოლის თავი და ბოლო?
პასუხად გვესმის ბენოს სიტყვები, —
„პოეზიაა მიმიკა მხოლოდ.
ამიტომ არ გვსურს ვწეროთ ლექსები
და ვეშურებით პიტნავას დუქანს,
სჯობს მწვადი, ღვინო, მწიფე ნესვები
გიჟმაჟ პაოლოს, ტიციანს მსუქანს".
არჩევანია სახელოვანი,
ჩვენ კი სიცოცხლეს კიდევ ვეცდებით
და მიხარია, რომ ჩიქოვანი
ჩვენ გვანადგურებს მანიფესტებით.

ჟანგო ღოღობერიძეს პასუხად გაუგზავნია რაღაც ფუტურისტული ლექსი, რომელიც სიმონს არ ახსოვდა. სამწუხაროდ, ფუტურისტებისა და „ცისფერყანწელების" შეტაკებები ყოველთვის არ მთავრდებოდა ასე მშვიდობიანად. ერთხელ ლაღიძის წყლებში სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ისე გამწვავდა, რომ პაოლოს სიმონისთვის უსვრია წახნაგებიანი ჭიქა, უსვრია მთელი ძალით — ტყვიასავით გამიშხუილაო — ყვებოდა სიმონი. პასუხად სიმონსაც უსვრია ბოთლი, რომელიც პაოლოს ასცდა, მაგრამ თავი გაუტეხა გოგლა ლეონიძეს. მაშინ ლაღიძის წყლებში ერთი ძალიან ლამაზი ქალი მუშაობდა მოლარედო, — იგონებდა სიმონი — და მან აღმოუჩინა გოგლას დახმარება, შეუჩერა სისხლი და გადაუხვია ჭრილობაო. მაინც ასეთ ჩხუბამდე იშვიათად მიდიოდა საქმე, მხარეები სიტყვიერ პაექრობას აძლევდნენ უპირატესობას. ასე ერთხელ, იტალიელი ფუტურისტის, მარინეტის გავლენით სიმონმა და მისმა მეგობრებმა გამოაცხადეს, ძეგლები უნდა დავანგრიოთო. ვილაცამ იკითხა: „კი, ბატონო, იტალიაში უამრავი ძეგლია, თქვენ კი რომელ ძეგლებს უპირებთ დანგრევასო". პაოლომ ადგილიდან დაიძახა: „ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში ექიმ თოფურიძის ძეგლი რომ დგას, ნამდვილად იმას უპირებენ დანგრევასო". ასე, ქართველი ფუტურისტები იმეორებდნენ იტალიელ თუ რუს ფუტურისტთა ლოზუნგებს, მაგრამ განსხვავდებოდნენ მათგან თავისი დამოკიდებულებით კლასიკოსებთან. სიმონი, მაგალითად, ასე მიმართავს ნ. ბარათაშვილს:

და საქართველო ფეხზე ადგომით
ჩემში შენს წყლულებს მიესალმება
.......................................
და შენი სისხლი, ჩემს ძარღვებში რომ სდგას,
შთამომავლობას მე დავუმტკიცებ.

ან კიდევ:

ბარათაშვილის და ჭავჭავაძის
მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი.

დაპირისპირება „ცისფერყანწელებსა" და ფუტურისტებს შორის მინელდა ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც დაშალეს მწერლური დაჯგუფება და მწერლები გააერთიანეს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირში.

და აი, დადგა ავბედითი 1937 წელი. ერთ დღეს ბერიამ დაიბარა მწერლები, არ მახსოვს გამგეობის პრეზიდიუმი თუ გამგეობის მთელი შემადგენლობა. ორი პარტმუშაკის თანხლებით დარბაზში შემოვიდა ბერია, ამ პარტმუშაკების არც თანამდებობები, არც სახელები არ მახსოვს, ამიტომ პირობითად დავარქვათ მათ დოქსოპულო და რიკტაფელოვი. ბერია დაჯდა მაგიდასთან, გახსნა საქაღალდე და დაიწყო მიხეილ ჯავახიშვილის „ჩვენებების" კითხვა. „ჩვენ ჩვენს ტროცკისტულ-ტერორისტულ ჯგუფში ჩავაბით ესა და ეს..." აქ ბერია წაიკითხავდა რამდენიმე გვარს უკვე დაპატიმრებული პირებისა, შეავლებდა თვალს აუდიტორიას და იტყოდა: „აქ კიდევ დასახელებულია რამდენიმე გვარი, მაგრამ მე მათ გამოვტოვებ, რადგანაც ისინი ამ ოთახში სხედან" და ასე რამდენჯერმე. შეავლებდა ხოლმე თვალს მწერლებს და „ისევ ვტოვებ გვარებს"... ბოლოს და ბოლოს დამთავრდა „ჩვენებების" კითხვა, ბერიამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი სულგანაბულ დარბაზს და მიმართა ტიციან ტაბიძეს: „ამხ. ტაბიძე, რას გვეტყვით ყველაფერ ამის შესახებ? რომ იცოდეთ იმ გამოტოვებულ გვარებში თქვენიცაა". მერე ისევ მიუბრუნდა დარბაზს და ნაწყენი ტონით განაგრძო: „რას გვერჩით? აი, ამდენი და ამდენი სკოლა ავაშენეთ, ამდენი უმაღლესი სასწავლებელი გავხსენით, ამდენი თეატრი, ამდენი ათასი წიგნი გამოვეცით და ა. შ... მითხარით, რა უნდა გაგიკეთოთ ისეთი, თქვენ რომ გული მოგიბრუნდეთ საბჭოთა ხელისუფლებისკენ?! კარგი, ახლა წადით, გვიპატიებია რაც აქამდე ჩაიდინეთ, მაგრამ აწი ერთი შეცდომაც რომ დაუშვათ, თქვენ თავს დააბრალეთ". პროზაიკოსმა ელიზბარ პოლუმორდვინოვმა (ზედგენიძემ) იკითხა: „უნებლიე შეცდომასაც არ გვაპატიებთო?"

„როგორ თუ უნებლიე შეცდომა" – გაუწყრა ბერია – „ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მწერალი არის, არის..." აქ ბერიამ ცოტა წაიფორხილა. „ადამიანების სულთა ინჟინერი" – შეაშველა სიტყვა ბესარიონ ჟღენტმა. „სულთა ინჟინერი" – გამოსცრა ბერიამ და დაამატა: „თქვენ, ამხანაგო ჟღენტი, ზეპირად იცით ყველა ლამაზი სიტყვა, მაგრამ ჩვენც ზეპირად ვიცით ყველა თქვენი შავ-ბნელი საქმე". ამ დროს სიტყვა აილო პავლე საყვარელიძემ, ანუ პატარა პავლემ, როგორც მას ეძახდნენ პარტიაში. იგი ცეკამ მოავლინა მწერალთა კავშირში პარტიული ხაზის გასატარებლად.

– კი, მაგრამ რას გვპატიობთ, რა დანაშაულს? – იკითხა მან.

– თქვენ რა, არ იცით თქვენი დანაშაული?

– არ ვიცი.

– თქვენ პარტიის ძველი წევრი ხართ, არა? – დაიწყო ბერიამ.

– მერე ეს დანაშაულია? – გააწყვეტინა პატარა პავლემ.

– თავი დაანებეთ აქ პროვოკაციების მოწყობას! – იყვირა ბერიამ, აქ პატარა პავლე ეტყობა შეშინდა და უკან დაიხია.

– მე რომ რაიმე ანტიპარტიული ზრახვები მქონოდა, ადვილად ვიპოვნიდი გზებს ბუდუ მდივანთან, – დაიწყო თავის მართლება პატარა პავლემ.

– სწორედაც იპოვნე, სწორედაც , რომ შეეკარი! – არ ცხრებოდა ბერია. შეშინებულნი და შეურაცხყოფილნი წამოვიდნენ ცეკადან მწერლები. რას აკეთებდნენ ამ დროს დოქსოპულო და რიკტაფელოვი? მთელი შეხვედრის განმავლობაში მიმიკისა და რეპლიკების საშუალებით ისინი კვერს უკრავდნენ ბერიას ყოველ სიტყვას, ისინი... დააპატიმრეს იმავე საღამოს, პავლე საყვარელიძეზე ადრე.

სიმონს მარიკასადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში აქვს ასეთი სტრიქონები:

**წელი დაგვესხა ოცდაჩვიდმეტი**
**შინ შემოვარდა და დაგვარბია.**

ამ ავბედით წელს დააპატიმრეს მარიკას მამა ნიკო ელიავა, ძმა ზურაბი და რძალი თინა. ეს ზურაბი და თინა – ჩემი მშობლები არიან, მათი დაპატიმრების შემდეგ მარიკამ და სიმონმა ამიყვანეს აღსაზრდელად, ხუთი წლის ასაკში. შემდგომში მათ ოფიციალურად გააფორმეს შვილად აყვანა, რათა ჩამოეცილებინათ ჩემთვის „ხალხის მტრის" შვილის დამღა. თურმე ქართული ოჯახისათვის ასე ბუნებრივი საქციელიც დაბეზღების საგანი გამხდარა – ს. ჩიქოვანის ოჯახში ხალხის მტრის შვილი იზრდებაო. საერთოდ, ელიავებთან დამოყვრებამ ალბათ, უფრო გაართულა სიმონის მდგომარეობა. ბერიამ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, როდესაც ლაპარაკობდა ქართულ მწერლობაზე, საერთოდ არ ახსენა სიმონ ჩიქოვანი – არც კარგად, არც ცუდად, რაც როგორც წესი, ავისმომასწავებელი იყო. „ეხლაც თუ არ დაიჭირეს სიმონ ჩიქოვანი, გავგიჟდები პირდაპირო!" – ემოციურად წამოუძახია ერთ მწერალს. მაგრამ ამასობაში ბერია გადაიყვანეს მოსკოვში, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც მწერალთა კავშირში მუშაობის დროიდან კარგად იცნობდა სიმონს. მან, როგორც სჩანს, აარიდა სიმონს საფრთხე. შემდეგშიაც, რამდენადაც შეეძლო, კანდიდ ჩარკვიანი იცავდა სიმონს მტრული გამოხდომებისაგან.

ზემოთ მე თითქოს გაკვირვება გამოვთქვი იმის გამო, რომ ობლად დარჩენილი ხუთი წლის ბავშვის პატრონობა დაბეზღების საგანი გახდა, თუმცა ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მაშინ დაბეზღებათა კორიანტელი იდგა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა მწერალმა ამ ჟანრში უფრო გამოიჩინა თავი. მაბეზღართათვის არ არსებობდა არაფერი წმინდა. ნინო ტაბიძე ჰყვებოდა: როდესაც ტიციანს „ამუშავებდნენ" მწერალთა კავშირში, ერთ-ერთმა გამომსვლელმა დააბრალა ტიციანს „ანდრე ჟიდი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შენ განაწყვეო". ტიციანს უპასუხია "მე როგორ განვაწყობდი, თუკი მასთან ურთიერთობა „ინტურისტის" ოფიციალური თარჯიმნის საშუალებით მქონდაო". ამაზე სალონიდან ფოიეში გამოვარდნილა აი, ის მწერალი, რომელიც გიჟდებოდა, სიმონს რატომ არ იჭერენო და უკითხავს: ნიტამ იცის ფრანგულიო? ტიციანის ქალიშვილი მაშინ 12 თუ 13 წლისა იყო. – არ იცისო – უპასუხიათ. – ოხ, ერთი სცოდნოდა, მაშინ ნახავდითო. როდესაც ეს ამბავი ტიციანისათვის მოუყოლიათ, მას გული შესწუხებია.

ერთხელ, ირაკლი აბაშიძემ მოჰყვა ჩვენს ოჯახში: პაოლომ თავი რომ მოიკლა, მე ვიტირე და ალბათ რაღაც ვთქვი კიდეცო. მეორე თუ მესამე დღეს სიმონმა გამაჩერა და მითხრა, „პაოლოს რომ დასტიროდი, დაუბეზღებიხართ პარტიის თბილისის კომიტეტში, მე დამიბარეს და მკითხეს, მე რუსული „პოლნი ატკაზი" დავურტყი, შენ თუ დაგიბარეს, ღმერთი არ გაგიწყრეს და არ აღიაროო". მართლაც დამიბარეს, მაგრამ არ გავტყდი და მტკიცედ უარვყოფდი. ბოლოს, როგორც იქნა თავი დამანებეს. მერე გავიგე, რომ შალვა რადიანიც დაუბარებიათ, იმასაც უარი უთქვამს, მსგავსი

არაფერი ყოფილაო. რაკი ის პარტიის წევრი იყო, მის სიტყვას მეტი წონა ჰქონდა.

ერთხელ, ეს იყო 1939 თუ 1940 წელი, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე გამოვიდა ცკ-ს მაშინდელი მდივანი იდეოლოგიის საკითხებში ილია თავაძე. მან ძალიან მკაცრად გაკიცხა სიმონი „ცხოვრების ბურჟუაზიული წესის" გამო. იმ ხანად მოსკოვში „ცხოვრების ბურჟუაზიული წესის" გამო გააკრიტიკეს მწერალი ალექსეი ტოლსტოი, რომელიც დემონსტრაციულად ცხოვრობდა ისე, როგორც შეეფერებოდა გრაფ ტოლსტოის: შავ ფრაკსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი ლაქია მიართმევდა ხოლმე ლოგინში საუზმესა და დილის ფოსტას და ა. შ... სიმონს ამის მსგავსი, რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდა, დიდი ბინის გარდა, რომელიც მაშინ იმდენად თავისუფალი იყო ავეჯისაგან, რომ მე დაუბრკოლებლად დავაქროლებდი ოთახებში ველოსიპედს. სიმონი ვერ გაერკვა თუ რა იყო მისი კრიტიკის მიზეზი. მით უმეტეს, რომ ზოგადი დადანაშაულება არ იყო განმტკიცებული კონკრეტული ფაქტებით. სიმონი მივიდა კ. ჩარკვიანთან, რომ გაეგო ამ ამბის სარჩული. რამდენიმე ხნის წინ თბილისში ჩამოსული იყო რუსი პროზაიკოსი, საკავშირო მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი პეტრე პავლენკო. ჩვეულებისამებრ ქართველმა მწერლებმა წაიყვანეს სტუმარი საქეიფოდ მცხეთაში. უკან დაბრუნებულებს არ უნდოდათ დაშლა და სიმონმა მოიპატიჟა ისინი ჩვენს სახლში. მარიკასთან ამ დროს სტუმრად იყო ნინო ტაბიძე. პეტრე პავლენკოს, რომელიც კარგად იცნობდა ტიციანსაც და ნინოსაც, გახარებია მისი ნახვა, მიფერებია და უთქვამს, რომ მოსალოდნელია რაღაც რეაბილიტაციები და ეს ტიციანსაც აუცილებლად შეეხებაო. ვიღაცას დაუბეზღებია სიმონი „რუს მწერლებს ტიციან ტაბიძის ცოლს ახვედრებსო". სიმონი უნდა დასჯილიყო, მაგრამ ისე, რომ ხალხისათვის ზედმეტად არ შეეხსენებიათ, რომ არსებობდა ასეთი პოეტი ტიციან ტაბიძე. ამიტომ გადაწყვიტეს სიმონისათვის დაებრალებინათ „ცხოვრების ბურჟუაზიული წესი". პლენუმის მუშაობის მეორე დღეს მოხდა იმ დროისათვის გასაოცარი ფაქტი – გამოვიდა ილია თავაძე და ფაქტიურად უკან წაიღო თავისი „ბრალდებები" სიმონის მიმართ.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. საინტერესოა, რომ სანამ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ გერმანიის მოკავშირე იყო, სიმონის 1940 წლის ბოლოს თუ 1941 წლის დასაწყისში დაწერილ ლექსებში „მიწისძვრა თბილისში" და „დიკენსის მოლანდება" არის სტრიქონები, რომლებშიც გამოხატულია ავტორის აშკარა თანაგრძნობა საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ:

**ხოლო გადალმა დასცეს პარიზი,**
**მისთვის ვარამი მიუზღავს ივნისს,**
**ის იყო ჩემი ყრმობის ხალისი**
**და ეხლა ვაჟას ხმალივით ჩივის.**
**მას გვირგვინივით დაადგეს კვამლი**
**და ვენახები მოისრა ბარში,**
**ჩაქრა შამპანში ყივილი მამლის**
**აღარ ჭიხვინებს როლანდის რაში.**

გასაკვირი არ არის, რომ სიმონს ჰქონდა სიმპათიები დემოკრატიულ სახელმწიფოთა მიმართ, მაგრამ ფაქტი ამ ლექსების გამოქვეყნებისა ნიშანდობლივია, იგი მოწმობს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას.

1942 წლის გაზაფხულზე, როდესაც ფრონტი მოუახლოვდა კავკასიას, სიმონს სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ხშირად აგზავნიდნენ მომქმედ არმიაში, ძირითადად ქართულ დივიზიებში. აქ ისინი ეხმარებოდნენ სამხედრო ჟურნალისტებს დივიზიის გაზეთის გამოშვებაში, ხვდებოდნენ მებრძოლებს წინა ხაზზე, აგროვებდნენ მასალას მხატვრული ნარკვევებისათვის და შთაბეჭდილებებს ლექსებისათვის. მაშინ დამკვიდრდა იდეოლოგიური მუშაობის ასეთი უცნაური ფორმა: პოეტები ლექსად წერდნენ მშრომელთა მიმართვას მეომრებისადმი, ამ მიმართვით მწერალთა ჯგუფები მიდიოდნენ ფრონტზე და სამხედრო ნაწილებში უკითხავდნენ მეომრებს ამ მიმართვას. შემდეგ სწერდნენ მეომრების საპასუხო მიმართვას მშრომელებისადმი, ჩამოჰქონდათ თბილისში და აქვეყნებდნენ მას რესპუბლიკურ პრესაში. ფრონტულმა შთაბეჭდილებებმა ასახვა ჰპოვეს ლექსთა ციკლში „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", სადაც ოფიციალურ სააგიტაციო ლექსებთან ერთად არის ლირიკული ლექსები, რომლებიც გამოხატავენ იმდროინდელ ჭეშმარიტ განცდებს, შთაბეჭდილებებსა და სულისკვეთებას. ამავე წლებში დაიწერა მისი, შეიძლება ითქვას, საუკეთესო ნაწარმოები „სიმღერა დავით გურამიშვილზე".

1944 წელს სიმონი აირჩიეს (ან უფრო სწორად დანიშნეს) მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. პირველი, რაც მან გააკეთა ამ თანამდებობაზე იყო ლადო ასათიანის კრებულის გამოცემა, თავისი წინასიტყვაობით. ეს წიგნი შეიცავდა იმ ლექსებსაც, რომელთა გამო მოსპეს მთელი ტირაჟი მისი წიგნისა „წინაპრები". სიმონმა პოეზიაში გზა

დაულოცა ანა კალანდაძეს. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული კლასიკური პოეზიის პოპულარიზაციას საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამიტომ სიმონი ცდილობდა, რომ ჩვენი დიდი პოეტები რუსულ ენაზე ეთარგმნათ საუკეთესო რუს პოეტებს. 1945 წელს ბარათაშვილის იუბილესთან დაკავშირებით მისი მთელი პოეზია სიმონის თხოვნით მთლიანად თარგმნა ბორის პასტერნაკმა. პატიმრობიდან ახალგანთავისუფლებული ნიკოლოზ ზაბოლოცკი ჩამოიყვანა საქართველოში, მოაწყო საგურამოს შემოქმედებით სახლში და ათარგმნინა გრიგოლ ორბელიანი. შემდგომში ნ. ზაბოლოცკიმ თარგმნა ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი და ბოლოს რუსთაველი.

1946 წელს გამოვიდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჟურნალების „ზვეზდა" და „ლენინგრადის" შესახებ. ამ დადგენილებაში და ჟდანოვის მოხსენებაში, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული ეს დადგენილება, გაკრიტიკებული ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გალანძღული იყვნენ ანა ახმატოვა და მიხეილ ზოშჩენკო. ამ დადგენილებას მოჰყვნენ ანალოგიური დადგენილებები კინოსა და მუსიკის შესახებ. ეს იყო ტოტალური შეტევა კულტურის ყველა დარგზე. ასეთ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა ხანჯლის პირზე სიარულს ჰგავდა: იგი უნდა იდგეს სოცრეალიზმის სადარაჯოზე, რომელიც სხვა არაფერია თუ არა მთავრობის ქება-დიდება, მისთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ ნამდვილი მწერლისა და მოქალაქის ვალია დაიცვას მწერლობა ამ იდეოლოგიური ტერორისაგან. ობიექტური სიძნელეების გარდა, რაც გამოიხატებოდა პარტიის პოლიტიკაში, იყო სუბიექტური მომენტიც: ცკს მდივნად იდეოლოგიის დარგში იყო როსტომ შადური, რომელსაც თავის მოღვაწეობის მთავარ მიზნად მიაჩნდა ბრძოლა ნიკო მუსხელიშვილთან და სიმონ ჩიქოვანთან, რისთვისაც იგი იყენებდა უკმაყოფილო ადამიანთა ჯგუფებს, როგორც მეცნიერებათა აკადემიაში, ისე მწერალთა კავშირში.

ერთხელ, მწერალთა კავშირის პლენუმზე გამოვიდა რ. შადურის გამოგზავნილი, ცენტრალური კომიტეტის მუშაკი და გააკრიტიკა სიმონის მოხსენება, ალბათ არასათანადო იდეურობის გამო. მაშინ ნებისმიერი რანგის პარტიული მუშაკის გამოსვლას ეძლეოდა პარტიის გენერალური ხაზის მნიშვნელობა. სიმონს მეგობრებისათვის უთქვამს: „ახლა გამოვალ და მაგ ბითურს შარვალს ჩავხდიო", მათ უთქვამთ: „აჰ, მაგას როგორ იზამო?!" სიმონი მაინც გამოსულა საპასუხო სიტყვით და ქვა ქვაზე არ დაუტოვებია ამ ფუნქციონერის ნაცოდვილარიდან.

1951 წლის იანვარში თბილისის პარტორგანიზაციის XX კონფერენციაზე კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში, რომელშიც ძირითადად ლაპარაკი იყო ქალაქის სამეურნეო საკითხებზე, ყველასათვის მოულოდნელად გაილაშქრა ვაჟა-ფშაველას ენის წინააღმდეგ. ყველასათვის ცხადი იყო, რომ თვითონ კ. ჩარკვიანი ვერ იქნებოდა ვაჟას ამ „დევნის" ინიციატორი და რომ იგი ასრულებდა სტალინის დავალებას. ამიტომ ყოველგვარი დისკუსია კარგავდა აზრს. აქვე იგი გადაწვდა სიმონს და გიორგი ლეონიძეს საბჭოთა კრიტიკისათვის ტრადიციული ბრალდებით ბუნდოვანებასა და ფორმალიზმში. სიმონი და გოგლა გამოვიდნენ სიტყვებით, აღიარეს თავისი „შეცდომები" და აღუთქვეს კონფერენციას, რომ გაითვალისწინებენ ამხ. კ. ჩარკვიანის კრიტიკას შემდგომ მუშაობაში. უნდა ითქვას, რომ დარბაზმა მტრულად მიიღო მათი გამოსვლები – ხელს უშლიდნენ რეპლიკებითა და შეძახილებით. ამ ამბის შემდეგ, 22 და 23 თებერვალს ჩატარდა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელზეც ისევ გააკრიტიკეს სიმონი, რომლის მოხსენებაშიც, როგორც აღნიშნა თავის გამოსვლაში ერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა, „სუსტი იყო კრიტიკა, სულ არაფერი თქმულა ამოცანებისა და ღონისძიებათა შესახებ". ახლაც მაინტერესებს, მაინც რა ღონისძიებების დასახვასა თუ ჩატარებას ელოდნენ სიმონ ჩიქოვანისაგან ვაჟა-ფშაველას ენასთან დაკავშირებით? ბოლოს, სიმონი მოხსნეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან. იმავე წელს, 6 მარტს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა მისი რედაქტორის – ბ. ნანიტაშვილის წერილი „გადაჭრით აღმოვფხვრათ სიმბოლიზმის ნაშთები ქართულ საბჭოთა პოეზიაში". ამ წერილში ავტორი აკრიტიკებდა სიმონის შვიდი წლის წინ გამოცემულ წიგნს „ჩემი მამული". კრიტიკოსი ბრალს სდებდა ძველ ფუტურისტს სიმონ ჩიქოვანს სიმბოლიზმში. ეს რალაცით მოგვაგონებს იმ ამბავს, რომ საუკუნეების განმავლობაში ევროპას მოწყვეტილ საქართველოში ყველა დასავლეთ ევროპელს ეძახდნენ ფრანგს. შემდეგი ბრალდება იყო ის, რომ 200 გვერდიან წიგნში მხოლოდ 22 გვერდი ეძღვნება დიდი სამამულო ომის თემას. ამ თავისთავად აბსურდულ წერილს შეიძლება ჰქონოდა ავბედითი გაგრძელება, რადგან მასში გაკრიტიკებული იყო სიმონის „სიმღერა დავით გურამიშვილზე", რომელიც დაჯილდოებული იყო პირველი ხარისხის სტალინური პრემიით, ხოლო საბჭოთა კავშირში მიღებული წესით სტალინური პრემიით დაჯილდოებულ ნაწარმოებებს არ

აკრიტიკებდნენ, თუ არ იყო სტალინის მითითება. მითუმეტეს, ნიკოლოზ ტიხონოვის მონაყოლიდან ვიცოდით, რომ სტალინს პრემიების დამტკიცების დროს უთქვამს – „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ წაკითხული მაქვს რუსულადაც და ქართულადაც და ქართულად ბევრად უკეთესად ჟღერსო. ამიტომ მარიკამ, ყველაზე ცუდის მოლოდინში, შეკრიბა ერთ შეკვრად სიმონის ყველა დროს გამოცემული წიგნების თითო ეგზემპლარი და მისცა შესანახად თავის დას ელისოს. „სიმონს თუ დაიჭერენ, მისი წიგნების ყველა გამოცემას გაანადგურებენო“. სიმონი ამ დროს იყო მოსკოვში, უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მარიკასთან მოვიდა ვინმე აგაჯანოვი, მისთვის თითქმის უცნობი. იგი იყო რომელიღაც ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტი საქართველოში. მან ურჩია, სასწრაფოდ წასვლა სიმონთან მოსკოვში და სტატიის ჩატანა. მანვე უშოვა ავიაბილეთი. სიმონი მოსკოვშივე შეხვდა კ. ჩარკვიანს, გააცნო მას თავისი კონტრარგუმენტები. ისიც შეპირდა, რომ როდესაც გამოვიდოდა უკვე წარმოებაში ჩაშვებული სიმონის ერთტომეული, „კომუნისტშივე“ დააბეჭდინებდა დადებით რეცენზიას. ეს დაპირება მართლაც შესრულდა – „კომუნისტში“, რომელსაც რედაქტორობდა იგივე ბ. ნანიტაშვილი, დაიბეჭდა სარედაქციო წერილი-რეცენზია ერთტომეულზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 6 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში დაშვებული იყო არა სწორი შეფასებები.

მარიკას არასოდეს არ უთხოვია სიმონისათვის წასულიყო რაღაც დათმობებზე პრინციპულ საკითხებში. აქაც მწერალთა კავშირის პლენუმის წინ ურჩევდა, არ შეერთებოდა ვაჟა-ფშაველას მგმობელთა რიცხვს: რა სჯობია იმას, რომ მოგხსნან ვაჟა-ფშაველას დაცვის გამოო.

სიმონს მარიკა შეუყვარდა ერთი ნახვით. 1927 წელს მარიკა თავის უფროს დასთან, სუსანასთან ერთად მიდიოდა რუსთაველის პროსპექტზე. სიმონს, რომელიც მეგობრებთან ერთად იდგა ჭადრის ჩრდილში, უკითხავს: ვინ არის ეს გოგო სუსანა ელიავას რომ მოყვებაო? (სუსანა იმ დროს თბილისში ერთ-ერთ ულამაზეს ქალად ითვლებოდა) – ეს მისი დაა, მარიკაო – უთხრეს. – ჰოდა, სწორედ მაგას შევირთავ ცოლადო – გამოუცხადებია სიმონს. ამ დაქადნების შესრულებას ბიბლიური იაკობივით შვიდი წელი მოანდომა. მარიკა მერე იგონებდა, ხანდახან ვიფიქრებდი ცოლად გაყოლას, მომიბრუნდებოდა მისკენ გული, მაგრამ უცებ ისეთ რაიმეს ჩაიდენდა, წამიხდებოდა გუნებაო. ვთქვათ, უწინდებოდ მოვიდოდა, ან ლექსს დაწერდა ისეთს, რომ ჩვენი ურთიერთობა იმ სტადიაში არ იყო, როგორც მის ლექსებიდან ჩანდა და ეს მწ[illegible]

1933 წელს დაქორწინდნენ. სიმონი მაშინ ოცდაათი წლის იყო, მარიკა – ოცდასამის. ორივეს ძალიან გაუმართლა ამ ქორწინებით. პირველი კი, რამაც ძალიან გააკვირვა სიმონი ქორწინების შემდეგ იყო მეორე სეზონზე გამოჩენილი თბილი ტანსაცმელი. ეს საიდანო, – გაოცდა. თვითონ ბოჰემური კაცი იყო, ტანსაცმელი არასოდეს შეუნახავს, სულ კარგავდა და მერე თავიდან ყიდულობდა ხოლმე. მარიკა მწერლისათვის იდეალური ცოლი გახლდათ. ყველაფერში ხელს უწყობდა, თუმცა როგორც ვთქვი, უკომპრომისობით გამოირჩეოდა. სიმონს ასე თუ ისე უხდებოდა კომპრომისებზე წასვლა: სტალინზე დაწერა ლექსები, ბერიაზე, რაც მარიკას ძალიან სწყინდა. სიმონს ადვილად შეეძლო პატიება, მარიკას – არა. იყო ერთი-ორი ვითომ მეგობარი, რომელთაც რაღაც შეეშალათ სიმონთან ურთიერთობაში. სიმონი მერე შეურიგდა მათ, მარიკამ კი გულიდან ამოიშალა ისინი, – სახლშიაც არ იღებდა. მარიკა ზრუნავდა იმაზე, რომ სიმონს ოჯახში ჰქონოდა კომფორტი და ღირსეული გარემო. მაგრამ, მაგალითად აგარაკი ჩვენ არ გვქონია, ვინაიდან სიმონს არ უყვარდა ზაფხულში ქალაქიდან გასვლა. ერთხელ კიდეც შეიტანეს ფული რაღაც კოოპერატივში წყნეთში სახლის ასაშენებლად, მაგრამ ამ დროს სიმონს გამოუჩნდა შესაძლებლობა ინგლისში წასვლისა, საჭირო თანხა კი არ ჰქონდათ, მარიკამ აგარაკისათვის შეტანილი ფული გამოიტანა და ქმარი გაისტუმრა ლონდონში. მომჭირნეობა არ ახასიათებდა არც ერთს, ყოველთვის ხელგაშლილად ვცხოვრობდით. ჩვენს ოჯახში არ ილეოდა სტუმარი. იმ დროს საერთოდ მწერლებსა და ხელოვნების სხვა დარგების მოღვაწეთა შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობა იყო. მწერალთა კავშირის კრებებზე არავის გაუკვირდებოდა კომპოზიტორის ან მსახიობის ნახვა. მწერლებისათვისაც მახლობელი იყო კულტურის სხვა დარგებში წამოჭრილი პრობლემები. ვთქვათ, გიორგი ლეონიძემ და სიმონმა დიდი როლი ითამაშეს ლადო გუდიაშვილის გამოფენის გახსნაში 1957 წელს.

მწერლებთან ერთად ჩვენი ოჯახის ტრადიციული სტუმრები იყვნენ ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ვაჩნაძე, მიხეილ ჭიაურელი, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, იონა ტუსკია, შალვა მშველიძე, მეცნიერები: ელეფთერ ანდრონიკაშვილი, გიორგი წერეთელი, შოთა ძიძიგური, ალექსანდრე ბარამიძე.

1951 წლის თებერვლის შემდეგ საქართველოში სამჯერ შეიცვალა პარტიული ხელმძღვანელობა, გარდაიცვალა სტალინი,

დახვრიტეს ბერია, მაგრამ სიმონი სულ რაღაც შერისხულის მდგომარეობაში იყო. ასე მაგალითად, 1954 წლის ივნისში ჟურნალისტმა პ. კოხრეიძემ „კომუნისტში“ მიიტანა რეცენზია სიმონის ახალ წიგნზე „მგზავრის დღიურები“. რედაქტორმა ჯერ საერთოდ უარი უთხრა გამოქვეყნებაზე, მერე კიდევ აიძულა შეეტანა რაღაც კრიტიკული შენიშვნები.

როგორც იქნა მისდამი დამოკიდებულება შეიცვალა და 1955 წელს იგი დანიშნეს ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორად. სიმონი დიდი ხალისით შეუდგა მუშაობას. როგორც იგონებდა ლადო ავალიანი, სიმონის „მნათობში“ მისვლისთანავე ეს ჟურნალი გადაიქცა საქართველოში ლიტერატურული ცხოვრების ცენტრად. სიმონმა მიიზიდა ნიჭიერი ავტორები. ამ დროს გამოქვეყნდა ანა კალანდაძის ლექსები, არჩილ სულაკაურის მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“, გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა“, პავლე ინგოროყვას პოლემიკური წერილები და სხვა. ჟურნალი იმდენად გამოცოცხლდა, რომ მისი ტირაჟი გაიზარდა.

როგორც ამბობენ „არც ერთი კეთილი საქმე არ რჩება დაუსჯელადო“. ჟურნალსაც გამოუჩდნენ მტრები. სანამ „მნათობისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ ბრძოლა არ გასცდებოდა ლიტერატურული პოლემიკის ფარგლებს, საქმეს არა უშავდა. სიმონი ხომ თვითონ ამბობდა: „ის რა რედაქტორია, ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ ცკ-ში თუ არ ეძახიან და მოხსნით არ ემუქრებიანო?!“ ბოლოს პირდაპირ სუკ-ში დააბეზღეს: „სიმონ ჩიქოვანი ნამდვილ პროლეტარულ მწერლებს უგულვებელყოფს და ჟურნალის ფურცლებს ნაპატიმრალ ხალხს უთმობსო“. აივსო რედაქცია სუკ-ის ხალხით, ხან ერთ თანამშრომელთან ჩაიკეტებოდნენ, ხან მეორესთან, რაღაცას ეკითხებოდნენ. აეშალა ნერვები სიმონს. მივიდა მჟავანაძესთან – „რაშია საქმე, არ მენდობით, თუ რა ხდება? მოდიან უშიშროებიდან და ხელს გვიშლიან მუშაობაშიო“. აღშფოთებულა მჟავანაძე: „აუჰ, ეგ როგორ გაბედესო, მაგათ ბერიას დრო ხომ არ ჰგონიათ, პარტიაზე წინ რომ იდგნენო?! სიმონ, მაგათი დარდი ნუ გაქვს, წადი და იმუშავეო... მე კი ვიმუშავებ, მაგრამ რომ დადიანო – სიმონს მჟავანაძის რეაქციიდან გამომდინარე ეგონა, აიღებს ახლა ყურმილს და სულ ცოტა მაგრად გაჯორავს ინაფურსო – მან კი – იარონ, კაცო, იარონო – დაამშვიდა.

ბოლოს მაინც „პოლიტიკური ბრალდებით“ მოხსნეს სიმონი „მნათობიდან“. ჟურნალში იბეჭდებოდა ქავთარაძის (რეჟისორისა და მსახიობის გოგი ქავთარაძის მამის) ავტობიოგრაფიული რომანი. იქ იყო ასეთი ეპიზოდი: გერმანელ ჯარისკაცს დასახვრეტად მიჰყავს ტყვე. მერე რაღაც მიზეზის გამო, აღარ მოჰკლავს მას და უვნებელს გაუშვებს. ატყდა ამაზე ერთი ამბავი, ფაშისტი სიმპათიურად არის გამოყვანილიო, ფაშიზმის აპოლოგია არისო და ა. შ...

ვ. მჟავანაძეს, როგორც ეტყობა, არ უნდოდა სიმონის წყენინება. „მნათობის“ რედაქტორობის ნაცვლად მას შესთავაზეს „საბჭოთა მწერლისა“ და „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობების შეერთებით მიღებული გამომცემლობის (რომელსაც შემდეგ ეწოდა „მერანი“) დირექტორობა. მჟავანაძის თვალსაზრისით სიმონი კმაყოფილიც კი უნდა ყოფილიყო – რედაქტორის ნაცვლად დირექტორის პოსტს ღებულობდა. მაგრამ სიმონმა, რომელიც საოცრად შეურაცხყოფილი იყო და მათი ხელიდან არაფრის მიღება არ სურდა, უარი თქვა ამ წინადადებაზე. თანაც არ გაუადვილა ცკ-ს თავისი მოშორება „მნათობიდან“ და არ დაწერა განცხადება საკუთარი სურვილით განთავისუფლების შესახებ.

სიმონმა ეს ამბავი მტკივნეულად განიცადა, ბევრად უფრო მტკივნეულად, ვიდრე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან მოხსნა. ვფიქრობ, რომ ამ უსამართლობასთან დაკავშირებულმა ნერვიულობამ იმოქმედა მასზე არა მარტო მორალურად, არამედ ფიზიკურადაც – გაამწვავა მისი ავადმყოფობა, რითაც საბოლოო ჯამში დააჩქარა მისი სიკვდილი.

სიმონ ჩიქოვანის სიცოცხლის ბოლო წლები ძალიან კარგად არის აღწერილი მარიკას დღიურებში და ამიტომ მათზე არ შევჩერდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ სიკვდილამდე ერთი-ორი კვირით ადრე, როდესაც მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე გახდა, სიმონი აკვიატებულად იმეორებდა აკაკის სტრიქონს – „მეც მივდივარ, შენც მიდიხარ, გეთხოვები საქართველო!“.

თამაზ ჭილაძე

ბიბლიოთეკა

# ნადირობის სეზონი

ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია

ექვს სურათად

პერსონაჟები:

1. ია
2. ალე
3. შლიაპიანი
4. "უფლისწული"
5. მონადირე

1.

სიბნელე. ტელეფონის ზარი.
სანოლთან, ტუმბოზე, ნათურა ინთება.

ი ა - (იღებს ყურმილს. გაღიზიანებული, გაბრაზებული. როგორც ჩანს, ტელეფონის ზარი არ ასვენებს) - გისმენთ? ალო! გისმენთ-მეთქი! ალო!

ახეთქებს ყურმილს. აქრობს ნათურას.

პაუზა

ია სანოლიდან დგება. შუქს ანთებს. საშინაო ხალათს იცვამს. ფანჯარასთან მიდის. ქუჩაში იხედება. მერე სამზარეულოში გადის. ონკანიდან პეშვით სვამს წყალს. მაგიდასთან ჯდება. სიგარეტს უკიდებს.

პაუზა

რეკავს ტელეფონი.

ია აუჩქარებლად ბრუნდება სანოლ ოთახში. იღებს ყურმილს. ჩუმად უსმენს. დებს ყურმილს. ისევ ფანჯარასთან ბრუნდება. სიგარეტს ეწევა. მოტრიალდება. ავანსცენისკენ წამოვა. სიგარეტს საფერფლეში ჩაჭყლეტს. სკამს შემოატრიალებს. ჩამოჯდება. იდაყვებს საზურგეზე დააწყობს. ზედ თავს დაასვენებს.

პაუზა

მოულოდნელად თავს წამოსწევს, თითქოს რაღაც შემოესმაო. ცოტა ხანს ასეა მიყურადებული, დაძაბული. უეცრად ხმამაღალი სიცილი აუვარდება. იცინის გულიანად, დიდხანს.

ი ა - მოჩვენება ვიყო და თანაც ბრმა?! თუ გაგიგონიათ, ან თუ გინახავთ სადმე ბრმა მოჩვენება?

ოთახში, რომელსაც ვერ ვხედავთ, რაღაც ტყდება.

- აი, ხომ ვთქვი! აღარ შემიძლია! რა ვქნა, სად წავიდე, სად დავიმალო...

ტირის, ისევე ხმამაღლა და გულიანად, როგორც წეღან იცინოდა. ცრემლს იწმენდს.
მშვიდდება. სლუკუნებს.

- საცოდავო...
- საცოდავო...

შეცვლილი ხმით, მტკიცედ.

- მთავარია, გავუძლო. ოღონდ, რას და რატომ? მაგრამ მაინც... ეს არავინ იცის... მთავარია გაძლება...

**ისმის ჯოხის კაკუნი.**

- არაფერი გატეხო, იცოდე! აღარაფერი შემარჩინა...

**პაუზა**

**თავს წამოსწევს.**

- მე რომ ვიცოდე, ნამდვილად არსებობ, იცი, რას ვიზამდი - აბა, თუ გამოიცნობ. ვერა, ტყუილად ეცდები, იმიტომ რომ წამითაც არ დაუშვებ, ამის გაკეთება თუ შეიძლია - ძაღლივით გაგაგდებდი ქუჩაში! რაო, რა თქვი? ძაღლს ასეთ ამინდში არავინ აგდებს? მე გაგაგდებდი. დაუფიქრებლად. თუმცა, მართლაც, საზიზღარი ამინდია. ბინძური მარტია. რაო, ძაღლი არ მყოლია არასოდეს და იმიტომ? მართალი ხარ, ძაღლი კი არა, მახლობელი ადამიანი არ მყოლია არასოდეს, ისე გავატარე ცხოვრება, ისე გავხდი ორმოცი წლისა. ღმერთო, მგონი, რაღაც საშინელებას ვუახლოვდები.

**ისმის მსხვრევის ხმა.**

- აი, კიდევ გატეხა რაღაც! უზრდელი! ყველა მოჩვენებამ კი არ უნდა იცხოვროს ქალაქში. საერთოდ, რა უნდა ქალაქში მოჩვენებას, თანაც კომუნალურ ბინაში!

**ოთახში აშკარად ვიღაც უხილავი დადის, ჯოხის კაკუნით.**

- შენც არ გეძინება? რა იყო, რას ეძებ? გშია? რა გაჭამო? რას მიირთმევენ, ნეტა, მოჩვენებები? გინდა, ჯამში რძეს დაგისხამ, როგორც ფისუნიას (ნაილილინებს) ფისუნია, კატაო, აგრე რამ დაგხატაო...

**მაცივრიდან იღებს რძის ბოთლს. რძეს ჯამში ასხამს. ჯამს კართან დგამს.**

- არც კატა მყოლია არასოდეს...

**თითქოს რაღაცას იხსენებს, თუ ხმამაღლა ფიქრობს.**

- გაღეღილი საყელოდან ვერცხლის პაწაწინა მედალიონი მოუჩანდა. მე ვიცოდი, რაც ეწერა იმ მედალიონზე...

**ჯიბიდან იღებს სიგარეტს. უკიდებს.**

- საფერფლე მაინც მომაწოდე, თუ მოჩვენებას ქალის პატივისცემა არ მოეთხოვება! რაღაცით ხომ უნდა განსხვავდებოდე ჩვენგან?..

**სიგარეტს კოლოფზე აფერფლებს.**

ბიბლიოთეკა

- რომელიღაც ჩემთვის უცხო ენაზე ლაპარაკობდა, უცხოელ პრინცს ჰგავდა. ოღონდ სიზმარს სუბტიტრები ახლდა და ამიტომ ყველაფერი მესმოდა. მე არ მიყვარს კეკლუცი და მოვლილი ბიჭები, თმის კულულებზე ნაზად რომ შეივლებენ ხოლმე ხელს, მაგრამ იმას თვალს ვერ ვაშორებდი. სიზმრიდან მისი სიმხურვალე გამომყვა. სხვათაშორის, სწორედ იმ სიმხურვალეთი ვიცანი მეორე სიზმარში, სადაც სრულიად სხვა სახით მომევლინა: ვითომ მონადირე იყო, ვითომ დახოცილი ანგელოზები ეკიდა ქამარზე, მწყრებივით. ასეთი პატარა ანგელოზები ვერც კი წარმომედგინა. ოღონდ ანგელოზებს თვალები ჰქონდათ ცოცხალი, თვალებით მელაპარაკებოდნენ კიდეც, მაგრამ ვერაფერს მაგებინებდნენ, რაც სრულებითაც არ მანაღვლებდა - რატომ უნდა მცოდნოდა მე მკვდარი ანგელოზების თვალების ენა!.. მისმენ? სად წახვედი? ააა, რძეს მიირთმევ! მაშ, მართლა გშიებია. მე ახლა ერთ საიდუმლოს გაგანდობ. რადგან შენც გღვიძავს, ეტყობა, ვგავართ კიდეც ერთმანეთს, ოღონდ არ ვიცი, მოჩვენებები ტაზეპამს ყლაპავენ თუ არა. მაშ ასე, ყური დამიგდე: რატომღაც მგონია, არა - დარწმუნებული ვარ, ეს ჩემი ბინა არ არის, ანუ ჩემი ბინა კი არის, მაგრამ ნამდვილი არა - სხვა, სხვაგან, სხვა განზომილებაში, შეიძლება სხვა ათასწლეულშიც კი - ჩემი ნამდვილი ბინის დეკორაცია, მაკეტი, ზუსტი ასლი. სადა ვარ მაინც, რა ჰქვია ამ ადგილს. ღამით, სხვათაშორის, გეოგრაფია აღარ არსებობს. რა იცი, იქნებ ჯოჯოხეთიც კია. არა, არ შეიძლება ჯოჯოხეთი ასეთი საშინელი იყოს! ჯოჯოხეთი ხომ ადამიანისათვის არის მოგონილი, ამიტომ ანტიადამიანური ვერ იქნება. აი, კიდევ გატეხა რაღაც! დაჯექი და ისე მომისმინე! რას დაბორიალობ, რას ეძებ ამ ბინაში, რა დაგკარგვია. მითხარი, იქნებ მე თვითონ დაგეხმარო. მეც ვეძებ რაღაცას სულ, სულ, სულ, არ კი ვიცი, რას. თითქოს ისეთი რაღაც დამეკარგა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამკარგვოდა. თითქოს ღმერთმა მომაბარა, მე კი დავკარგე. იმიტომ რომ... იმიტომ რომ... არა, არ ვიცი, რატომ...

**წამოდგება. სიგარეტს საფერფლეში ჩააგდებს. ისევ სკამზე ჩამოჯდება.**

- ზოგჯერ ვფიქრობ, ხომ იყო ნამდვილად ის დრო, როცა აი აქ, ამ ბინაში ჩემი სიმარტ-

ოვის რეკვიზიტით, ანუ ჩემი საყვარელი ნივთებით, გარშემორტყმული, თუნდაც წიგნს ვკითხულობდი. ვტიროდი, ვიცინოდი, მუშტს პირზე ვიფარებდი, სიმწრისგან ან სიხარულისგან რომ არ მებღავლა. ამ ტახტზე ვიწექი, მუხლებზე პლედი მეფარა, ეს ნათურა მქონდა ჩართული, ახლოს მოჩოჩებულ სკამზე საფერფლე მედო, ამ კარადიდან გადმოღებულ წიგნს ვკითხულობდი. თიხის ქოთანში შარშანდელი პრემიერის ხმელი ყვავილები ეწყო. აღარ მახსოვს წიგნის სათაური. ყვავილების სახელიც დამავიწყდა. ბოლოს ყველაფერი ერთად გროვდება, ყველაფერი ერთში იყრის თავს - მილიონი ყვავილი ერთი ხდება, მილიონი წიგნი ერთი პაწაწინა ბროშურა, რომელსაც ყდა მოხეული აქვს, სათაურზე კი სამოთხის ბიბლიოთეკის შტამპი გატყაპნილა, რომ ველარ გაარჩიო, რას კითხულობ, თუკი კითხვა გახსოვს საერთოდ. სად წახვედი? აქა ხარ?

**ისმის ჯოხის კაკუნი.**

- ერთად მაინც ვიაროთ, გვერდიგვერდ. შენ გგონია, მე ვხედავ რამეს, ან თუ ფიქრობ, რომ ვინმე მხედავს? სხვა რაღაა მოჩვენება! მოდი, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი... მოდი, ჩემთან, მოდი, შე საცოდავო...

თითქოს, მართლაც, ვილაცასთან ერთად ხელჩაკიდებული დადის ოთახში.
ბნელდება.

2.

რეკავს ტელეფონი.
შუქი ინთება.
ია ისევ სკამზე ზის, თითქოს ძინავს. ყოველშემთხვევაში, არ ესმის, როგორ იღება ბინის კარი - ფრთხილად, ნელნელა.

რეკავს ტელეფონი.

**ბინაში შემოიპარება, შემოიძურწება მონადირე: რეზინის ჩექმები, ფარფლებიანი ქუდი, ორლულიანი თოფი. თითისწვერებზე დადის. გულდასმით ათვალიერებს და ჩხრეკს ბინას. აშკარად რაღაცას ეძებს. თოფის ტუჩით ქექავს კომოდისა თუ კარადის უჯრებს, გარდერობს. საწოლის ქვეშაც იხედება, კარადის იქითაც...**
**ტელეფონი გაბმულად რეკავს.**
**ია გაუნძრევლად ზის.**
**ბნელდება.**

3.

**ალეს ოთახი.**
**დილაა.**
**ალე და ია ლოგინში წვანან.**

**პაუზა**

**ია** - **(ჩურჩულით, გაუბედავად)** - გღვიძავს?
**ალე** - რაღადროსია!
**ია** - **(ღიმილით)** - დილა მშვიდობისა!
**ალე** - მაშ, წამოფრინდი, საქმეს მიხედე. ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო, ხომ გაგიგონია!
**ია** - ეგ კურდღელზეა ნათქვამი, ჩემზე კი არა.
**ალე** - ხალხური სიბრძნე ყველა შტერზე ერთნაირად ვრცელდება.
**ია** - გეგონოს! მწევარიც ხომ ადრეა ამდგარი, რას მიკეთებს, რატომ ვერ ეწევა? გამოდის, რომ ადრე ამდგარი მწევარი ვერ ეწევა ადრე ამდგარ კურდღელს. ეს სიბრძნეა? გეკითხები. ამ დილაუთენია რაღა მე გამოვეკიდო საცოდავ ბაჭიას!
**ალე** - ქალო! სად მცალია მე შენთან საკამათოდ!
**ია** - მწერალი ხარ, სიტყვებზე ფიქრობ, ახალ წიგნზე!
**ალე** - მოგცლია ერთი, ვინაა წიგნის წამკითხველი! რაღა წიგნი გადაშალოს, "კოკაკოლას" ბოთლს გახსნის და მოიგებს პრეზერვატივს.
**ია** - ან ეგ ვილას ახსოვს...
**ალე** - ნამეტანი ღრმა პესიმიზმში გადაჩეხილხარ, ჩემო კარგო.

**პაუზა**

**ია ტუმბოდან იღებს "როლს", ხმამაღლა კითხულობს.**

**ია** - პარკში პატარა ტბა იყო. ნაპირზე უყვარდა დგომა...
**ალე** - ოპო?
**ი ა** - **(განაგრძობს კითხვას)** - და როცა წვიმდა, მაშინ თითქოს კიდევ უფრო პატარავდებოდა ის ტბა...
**ალე** - ოპო-მეთქი!
**ია** - ბატონო? მე მითხარი რამე?
**ალე** - რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, ხმამაღლა ნუ კითხულობო!
**ია** - მე ყოველთვის ასე ვსწავლობ როლს. ხმამაღლა. **(განაგრძობს კითხვას)** - ტბა მავთულის ბადით იყო შემოღობილი. იმიტომ რომ...
**ალე** - არ გესმის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ია** - დამაცადე.

**ალე** - როლს სწავლობ თუ კითხვას?

**ია** - **(განაგრძობს ხმამაღლა კითხვას)** - იმიტომ რომ ბავშვები არ ჩავარდნილიყვნენ შიგ...

**ალე** - მოიხედე აქეთ!

**ია** - **(მოხედავს)** - ბავშვები ხომ თვითმკვლელები არიან!

**ალე** - მოდი, სცენაზე იკითხე ხმამაღლა, ასე აჯობებს.

**ია** - სცენაზე ლაპარაკობენ, მწერალო, კითხვით შინ კითხულობენ, თუკი, რასაკვირველია, გაქვს შენი ბინა, შენი კუთხე. უიმე, ჩემი ბინა გამახსენდა!

**ალე** - ძალიანა გთხოვ, არ ამატირო.

**ია** - მეც მქონდა ჩემი ტელევიზორი, ჩემი სარეცხის მანქანა, ჩემი მაცივარი. ოღონდ არც ერთის ხმარება არ ვიცოდი. ბანანი მინდა!

**ალე** - რა გინდა, გენაცვალე?

**ია** - დილით საბანზე მიწყობდა ხოლმე. გავიღვიძებდი და ჰაპ!

**ალე** - დააბჩენდი პირს და ჰაპ, ხომ, ჰაპ?!

**ია** - ჰაპ, ჰაპ, ჰაპ!

**ალე** - კარგი, არ გადამყლაპო. შენ ის მითხარი, გცემდა თუ არა?

**ია** - შენ წარმოიდგინე - არა.

**ალე** - არ ყოფილა კარგი პედაგოგი.

**ია** - არა, ეკონომისტი იყო. მატარებელში გავიცანი. ქათამი დაჭრა კოხტად.

**ალე** - კი, ქათამი მატარებლის ფრინველია.

**ია** - ლიმონათი. ქაღალდის ჭიქები. ვგიჟდები ქაღალდის ჭიქებზე.

**ალე** - გამახსენე და გიყიდი.

**ია ხმამაღლა კითხულობს.**

**ია** - მივიდა და უთხრა, ნუთუ არავის ესმის ჩემი...

**ალე** - რა გატირებს?

**ია** - მეცოდება.

**ალე** - ვინ?

**ია** - **(არ პასუხობს, კითხულობს)** - უნდოდა გაეგო, ვინ ვიყავი. მე კი გედს შორიდან ვეჩურჩულებოდი: გენრიეტა, შე საცოდავო, შე საცოდავო, შე საცოდავო. თითქოს პატიმარი იყო...

**გაჩერდება, რაღაცას ფიქრობს.**

**ალე** - მორჩა?

**ია** - ვფიქრობ.

**ალე** - არ დაგცადოს.

**ია** - ჩემს საწამებლად იგონებს რაღაცას. **(კითხულობს)** ჯანდაბა, თუ რამე დაგიშავეთ. ნუთუ არავის ესმის ჩემი...

**ალე** - **(უყვირის)** - შენთვის იკითხემეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა! **(პაუზის მერე)** ამას ვინ ამბობს?

**ია** - აჰა, დაინტერესდი?

**ალე** - კი, აბა, დავინტერესდი! ზრდილობისთვის გეკითხები.

**ია** - ჯერ არ ვიცი. **(განაგრძობს კითხვას)** ღმერთო, რა ლამაზად ლაპარაკობენ ადამიანები...

**"როლს" გვერდზე გადასდებს.**

- იდიოტი.

**პაუზა**

**ალე** - მოდი, სამამდე დავთვალოთ და წამოვხტეთ ერთად.

**ია** - მე თვლა არ ვიცი. მე თუ მკითხავთ, ადამიანის პირველი მტერი არითმეტიკაა.

**პაუზა**

**ალე** - არადა, არითმეტიკით გარჩენდა შენი ქმარი. ცოლად მაინც როგორ გაჰყევი?

**ია** - გაგიჟდი! ეგღა მაკლდა!

**ალე** - საერთოდ, რა გინდოდა იმასთან, როგორ ჩერდებოდი?

**ია** - როგორ გითხრა... როგორ აგიხსნა...

**ალე** - მოკლედ, გააბედნიერე არა?

**ია** - რა ვიცი... მე მგონი, ჭკუაზე შეიშალა. იქნებ ბედნიერებაც ეს არის, რას გაუგებ. როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა - ბედნიერება! არ არსებობს ამაზე გაუგებარი და ამაზე უფრო ცინიკური სიტყვა... ტუალეტში რომ შევიდოდა, კართან დამადგმევინებდა სკამს და კროსვორდს ვავსებდით.

**ალე** - ერთად!

**ია** - ხო.

**ალე** - საერთო ძალით!

**ია** - კი.

**ალე** - ნამდვილად ბედნიერი ყოფილა საწყალი.

**პაუზა**

- რატომ არ გცემდა?

**ია** - პატივისცემით იყო გამსჭვალული ჩემდამი. ეს მისი სიტყვებია. მოუსმინე, როგორ ჟღერს - გამსჭვალული! მითხარი, რატომ წაართვი იმ საწყალ ბანკირს ჩემი

თავი, რად გინდოდი? როგორც ვატყობ, ტყუილად.

**ალე** - იმას რად უნდოდი?

**ია** - იმას ვჭირდებოდი დანიშნულებისამებრ. მოგიყვე, დრო გაქვს?

**ალე** - ერთადერთი, რაც მართლა მაქვს, დროა.

**ია** - ეჰ, არ ღირს...

**განაგრძობს კითხვას, ოღონდ ჩუმად, ტუჩების ცმაცუნით. თან სტრიქონს თითს აყოლებს.**

**პაუზა**

**ია** - **("როლს" გვერდზე გადასდებს)** - გახსოვს, ქუჩაში რომ გამაჩერე?

**ალე** - მაგას რა დამავიწყებს, შენი ჭირიმე, ნულა გამახსენებ.

**ია** - ვითომ რატომ?

**ალე** - მერჩია, მატარებელი გამეჩერებინა და სადმე გადავკარგულიყავი.

**ია** - **(პაუზის მერე)** - უკაცრავადო, მითხარი. დიდი ბოდიში. მაპატიეთ, ქუჩაში რომ გაჩერებთო. გულში ვიფიქრე, ახლა რომ მკითხოს ქალიშვილო, რომელი საათიაო, გავუშლი და ვფერთხავ ერთს გემოზემეთქი. არადა, მაშინვე მაჯახე: ქალიშვილო, რომელი საათიაო.

**ალე** - მერე მაგას წამოეგე? ვაი, სირცხვილო.

**ია** - არ არსებობს ქალი, ეგ ანკესი არ გადაყლაპოს. გინდაც ელისაბედი იყავი.

**ალე** - აბა, ელისაბედი?

**ია** - რომელი საათია, დედოფალო, თქვენს ბიგ ბენზე?

**ალე** - კი, ასეა. აბა, გააჩერე ქუჩაში ქალი და უთხარი: "ძვირფასო, სული მევსება თოვლითო", შეგიყრის ქვეყანას, შეიძლება დაგაჭერინოს კიდეც, მაგრამ თუ გაიგო, ქალიშვილო, რომელი საათიაო, შემოგაფრინდება ზედ.

**ი ა** - ეტყობა, პაროლია. აბა, დაუგდე ყური: ქალიშვილო, რომელი საათია! - მყვირალობის ქრონომეტრი ჩაირთო თითქოს, ახალი წელთაღრიცხვა იწყება! კაცობრიობა ამ პაროლის აკომპანიმენტის თანხლებით მრავლდება.

**ალე** - ფანქარი რომ მქონდეს, უსათუოდ ჩავიწერდი.

**ი ა** - დააკვირდი, რამდენი რამეა ამ ფრაზით ნათქვამი, თუნდაც მე, რამდენ რამეს მახსენებს - აი, ჩვენი საქორწილო სარეცელი...

**ალე** - სხვათაშორის, ფრაზა არც კი მქონდა დამთავრებული...

**ია** - ...შენი "ფოლკსვაგენის" გადახსნილი სკამი იყო ჩვენი საქორწილო სარეცელი. ფანჯრის მინა ჩამტვრეული, [illegible] გამაყოფინე სარკმელში ფეხი. ვილაც გამვლელმა ფეხსაცმელი წამაძრო და წაიღო. წითელი "ადიდასი". ვკვდები სიცილით, როცა მახსენდება. ქალს რომ ფეხსაცმელს მოპარავ, თანაც იმ დროს, თანაც ცალს, როგორია!

**ალე** - კარგი, გეყოფა, ნუ გადაიჭერი ტკბილ მოგონებებში. მაგას ჯობს, წამოვხტე და ვივარჯიშო ერთი გემოზე. რამდენი ხანია არ მივარჯიშია.

**ია** - ერთი წუთით მათხოვე შენი ხელი.

**ალე** - ჩემი ხელი რად გინდა?

**ია** - მე გასწავლი კარგ ვარჯიშს. აი, რა გაჩვენო!

**ალე** - რა უნდა მაჩვენო, ქალო, ხელით როდის ვხედავდი?

**ია** - აბა, თვალით რომ ვერ ხედავ, კარგა ხანია ვიცი.

**ალე** - გამიშვი ხელი, ვის ვეუბნები. ჰა, არ გამაბრაზო!

**ია** - აჰა, შენი ხელი. გქონდეს. ვინ გართმევს. კარგად შეინახე. წუნკი. ბანკირი ეძახე შენ, წესიერად და გულმოდგინედ ასრულებდა თავის მოვალეობას, წუთი წუთზე. ყოველდღე. კვირა დღეს კი დილით და საღამოს.

**ალე** - მაგას ვინ ჭამს!

**ია** - გეფიცები.

**ალე** - შენს თავს მოატყუე. ეგ მარტო ტელევიზორშია ასე. ხალხს აგიჟებენ. თვითონ ეს პრობლემა აღარ აწუხებთ. ონანისტები. ამას წინათ ეკრანიდან ერთმა ოყლაყმა მოგვახსენა, რაც შეეხება ამ საკითხსო, ხო ზუსტად ასე - ამ საკითხსო, პირადად მე, თვითმომსახურებაზე ვარ გადასულიო.

**პაუზა**

- ყოველდღე?

**ია** - ხო, ძალიან წესიერი იყო.

**პაუზა**

**ალე** - ბანკირი კი არა, კაზანოვა ყოფილა!

**ია** - არ ვიცი, გვარი არ მიკითხავს...

**პაუზა**

**- (ღიმილით)** - რამდენიმე ნაბიჯით რომ გამშორდა, მოტრიალდა, წელში თავაზიანად მოიხარა, შლიაპის მოხდით მომესალმა, გამარჯობათ, მშვენიერო ქალბატონოო...

**ალე** - ეგ ვილაა? იმედია, ბანკირზე დავამთავრეთ საუბარი.

**ია** - უკაცრავად, ვერ გიცანით, ისე ჩაგიარეთ გვერდითო. ბედნიერი ვარო. მადლობთო. და წავიდა... რატომ იყო, ნეტავ, ბედნიერი?

**ალე** - არ ვიცი, ვისზე ამბობ, მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, გეტყვი: ალბათ იმიტომ, მშვიდობით რომ გაგეცალა, გაგასწრო, თავს უშველა. მიხვდი?

**ია** - **(ღიმილით)** - ვინ იჭერდა, ნეტავ? მე ხომ იმას არც კი ვიცნობდი...

**ალე** - სამაგიეროდ, ის გიცნობდა ალბათ. ან ჩემი მკითხველი იყო. ჩემი ბიოგრაფია ჰქონდა წაკითხული მსოფლიო ენციკლოპედიებში. "ჰუ ეს ჰუ". ალბათ კი არა, ნამდვილად გიცნობდა. ბედნიერი ვარო. უყურე შენ! კი, ნამდვილად გიცნობდა.

**ი ა** - **(ღიმილით)** - თუკი ასეა, თუკი ასეთი საშინელება ვარ, თუკი უსათუოდ უნდა გამექცეს, გამერიდოს ადამიანი, თავს უშველოს, შენ, შენ რატომ არ გარბიხარ, რას უცდი, ვინ გაკავებს?

**ალე** - მე ხომ გითხარი, მატარებელზე დამაგვიანდა-მეთქი. თანაც შლიაპა არა მაქვს, მოგიხადო, მოგესალმო, მადლობა მოგახსენო.

**ია** - ხო, მადლობელი ვარო... რატომ, ნეტავ?

**ალე** - მეც ეგ მიკვირს, სხვათაშორის. თუმცა, როგორც გითხარი, ალბათ იმიტომ, მშვიდობით რომ გაგასწრო. "მადლობაც" და "ბედნიერი ვარ" ამას ნიშნავდა.

**ია** - არა, არ გაბედო! ამის უფლებას არ მოგცემ. გაჩუმდი. არ შეიძლება ყველაფრის ტალახში ამოსვრა, ამოთითხვნა. არ შეიძლება. ის ქრისტე იყო. დიდება შენს სახელს, მაცხოვარო.

**ალე** - შლიაპიანი ქრისტე?

**ია** - თუნდაც!

**ალე** - ააა, მივხვდი, მივხვდი, ვიზედაც ლაპარაკობ. არა, ჭირიმე, ის ჩვეულებრივი რიგითი მაწანწალა იყო. იუდას ბიძაშვილი, როგორც ყველა დანარჩენი, ვინც ქრისტე არ არის. მოკლედ, ჩვენისთანა, ჩვენიანი. მე ყველაფერს ვხედავდი ლუდხანის გამოღებულ კარიდან - როგორ გაგშორდა, მერე როგორ მოტრიალდა, როგორ მოგიხადა შლიაპა. ოღონდ, რა გითხრა, ვერ გავიგე...

**ი ა** - მადლობელი ვარო...

**ალე** - მერე ის შენი ქრისტე ბარში შემოვიდა. ახლა აქ მოიხადა შლიაპა, ოღონდ ახლა სამათხოვროდ - შემეწიეთ კახპა ცოლის პატრონსო. თან სურათს გვაჩვენებდა. მერლინ მონროს სურათი იყო, ჟურნალიდან ამოხეული. დაჭმუჭნული. ხელისგულით ასწორებდა. სულით ავადმყოფს მომეხმარეთო. უპატრონოსო. უბედურსო. უსვინდისოსო, უფულოსო. მშვიდობისთვის მებრძოლსო. მშვიდობისთვის ომში დაინვალიდებულსო. ყველამ ჩაუყარა შლიაპაში ფული - კახპა ცოლი შენს მტერს! მეც მივეცი ოცი თეთრი...

**ია** - ოჰო?

**ალე** - მეტი აღარ მქონდა. აღარც ლუდი მომივიდოდა იმ ფულით. ავდექი და მივეცი. თუნდაც იმიტომ, რომ შლიაპა მოგიხადა, გამოგელაპარაკა. თუმცა მაშინ არ ვიცოდი, რა გითხრა.

**ია** - ბედნიერი ვარო.

**ალე** - ხურდა გადათვალა, მუჭით ჩაუყარა ბარმენს პეშვში. ლუდი ჩამოასხმევინა. კათხას სინათლეზე გახედა. ქაფს სული შეუბერა, მოსვა და ამოიგმინა, კარგიაო. აი, მაშინ ნამდვილად ბედნიერი იყო. ულვაშზე ქაფი შერჩენოდა, ბნედიანის დუჟივით.

**ია** - ვიტირებ, იცოდე.

**ალე** - იტირე, რა ვქნა. ეს ჩემი ცოლიაო, მერლინ მონროზე. მეტი არა მაქვს-მეთქი. ხომ არ ვეტყოდი, ის ფული შენი ჩანთიდან რომ ამოვილე, ხომ არ გადავუშლიდი გულს იმ ავადმყოფს, იმ სალახანას, იმ ბედნიერს!

**ია** - რა გაყვირებს?

**ალე** - სხვათაშორის, მეც უნდა გითხრა მადლობა, მეც ხომ შენი ფულით დავლიე ლუდი!

**ია** - არ არის საჭირო... დარჩა საფულეში რამე?

**ალე** - ჩემო ძვირფასო, აქამდე როგორ ვერ მიხვდი, რომ მე ვილევ ან ყველაფერს ან არაფერს! ერთი რამე კი უნდა შეგნიშნო, რასაკვირველია, მორიდებით: ტყუილად დააქანავებ მაგ "კოზლას", ერთი ფულიანი ქაჯი ვერ მიიბი ზედ. ხომ იცი, ყველაზე მდიდარი ხალხი ღარიბ ქვეყანაშია. გამოიჭირე ვინმე კრეტინი, ჩაჯექი "მერსედესში" ან "ვოლვოში", მე რას მომჩერებიხარ. ჭამე ეკლერი, პიცა, დააყოლე "ფანტა" ქაღალდის ჭიქით. ხომ გიყვარს!

**ია** - მაცალე **(ხმამაღლა კითხულობს)** - რა ლამაზად ლაპარაკობენ ადამიანები...

**ალე** - დამაგლიჯა ნერვები ამ ოხერმა, ამ განათლებულმა უვიცმა ამან. მართლა გამაგიჟებს ეს ქალი და ამით დამთავრდება...

**წამოდგება. საწოლიდან გადაუსვლელად იცვამს. მერე ბალიშზე დაჯდება.**

- სულ თამაში გამიგია?!

**რეკავს ტელეფონი.**

**ალე შარვლის ჯიბიდან იღებს მობილურ ტელეფონს.**

- გისმენთ? კი, ალე ვარ. შენი ქმარი. სხვა ვინ უნდა ვიყო? რას ვაკეთებ? არ იცი? ტენისს ვთამაშობ! ვერთობი! არა, არ ვბრაზობ. ვისთან ვწევარ? კარგი რა! შენი აზრით, ახლა ვისთან შეიძლება ვიწვე! ხო, ისასთან ვწევარ, ისათან. ნამეტანი ეჭვიანი ხარ, მეტი რომ არ შეიძლება. დაგალაპარაკო? ვინ? სრულ ჭკუაზე ხარ?! კარგი, გადავცემ. **(იას)** მოგიკითხეს.

**ია** - მადლობთ.

**ალე - (ტელეფონში)** - ბავშვებს მიმიხედე. მეტი არაფერი გევალება. სარეცხს ხელი არ დააკარო. მოვალ და ერთად ამოვწურავთ. საოჯახო სონატა ოთხი ხელისთვის! რაო? უთხარი, მამა მოვა და გამოგიყვანს-თქო. მათემატიკას მარტო ვერ მოერევი-თქო. მათემატიკამ დამღუპა, თორემ რა ჩემი საქმე იყო მწერლობა, მითუმეტეს, თეატრი. ღმერთმა ყველა ჩემიანი დაიფაროს. აბა, ყურმილი მიეცი. გამარჯობა, გიო, მახსოვს, როგორ არა. განა როდისმე დამვიწყებია? ვთქვა, რა უნდა მოგიტანო? კი, ბატონო, ბანა...

**ია** - ნი!

**ალე** - შენ არ გეუბნები! **(ტელეფონში)** შენს დას ხელი არ დააკარო. დაუთმე, გოგოა. მე ყველას ვუთმობ, ყველას! შენ არ გიჯავრდები. კარგი, კარგი. გკოცნით. აბა, თქვენ იცით.

ჯიბეში იდებს ტელეფონს.

პაუზა

**ია** - **(ღიმილით)** - თვალებით დავუყვირე, ვკვდები-მეთქი. ვერ გაიგო.

**ალე** - რა თქვი?

**ია** - **(ღიმილით)** - არაფერი. რაღაც გამახსენდა.

**ალე** - მერე?

**ია** - რა მერე?

**ალე** - ვკვდებიო, დავუყვირეო, თვალებითო. იმან რაო, ან ვის დაუყვირე?

**ია** - **(ღიმილით)** - მოვატყუე.

**პაუზა**

**ალე - (სიგარეტს უკიდებს)** - კი, ყველას ვუთმობ... რას იზამ. თავს ზევით ძალა არა მაქვს.

**ია** - არადა, მგონი, მამაჩემი იყო.

**ალე** - ვინ იყო მამაშენი? მამა გყავს საერთოდ, შე კომბოტოს წნილში ნაპოვნო, შენა! რაღაც არ მახსოვს, მშობლები გეხსენებინოს როდისმე. მიმალავდი? მამაზე "მგონის" ვინ ამბობს, ქალო?

**ია** - **(ღიმილით)** - მამაჩემი მკვდარია.

**ალე** - ესე იგი, მამის აჩრდილიც დავირტყით. ნაღდი თეატრია!

**ია** - მადლობთო. ბედნიერი ვარო. შლიაპა მომიხადა.

**ალე** - ის გიჟი იყო მამაშენი, მერლინ მონროს ქმარი?

**ია** - **(ღიმილით)** - არტისტი!

**ალე** - დაიცა, მამაშენიც მსახიობია?

**ია** - მამაჩემი მეხანძრე იყო თეატრში.

**ალე** - ხომ ვთქვი, თეატრია-მეთქი!

**ია** - ოქროს ჩაჩქანი ეხურა. ბრეზენტის ფორმა ეცვა. ხრაშახრუშით დადიოდა. ავად რომ ვიყავი, იმ ჩაჩქანზე მსვამდნენ, ქოთნის მაგივრად - აბა, ჩემი გოგო, ფიში ფიში, მამიკოს ხათრით, აბა, ჰე! მილიციის კლუბში კარლ მოორს თამაშობდა.

**ალე** - თუ მკვდარია, როგორღა დაუძახე, როგორღა ჩაუჟუჟუნე თვალები, მამიკო, მამიკო, ვკვდებიო!

**ი ა** - ხომ გითხარი, მოვატყუე-მეთქი. მე რა მომკლავს... ბედნიერი ვარო. მადლობთო.

**ალე** - ლოთებმა ასეთი ლაპარაკი იციან, სანამ ფულს დაგცანცლავენ. გიჟი პოლიციელი არ მენახა და ესეც ვნახე.

**ია** - პოლიციელი კი არა - მეხანძრე!

**ალე** - მითუმეტეს! მითუმეტეს! მეც არა ვთქვი, რა ქველმოქმედება ამიტყდა, გადასაყრელი ფული ვინ მომცა, ოცი თეთრი ცოტაა? გულმა მიგრძნო, მახლობელს ვაძლევდი, ჩემიანს. ასე რომ, დაკარგულად არ ჩაითვლება ის ფული. ისევ ოჯახში დატრიალდება. მერე იტყვიან, ღმერთი არ არსებობსო. მაგათი დედაც... შემეწიეთ ბოზი ცოლის პატრონსო! მგონი კი არა, ნაღდად მამაშენი ყოფილა, არ უნდა მაგას ბევრი ლაილაი, ნოტარიუსი, რამე რუმე.

**ია** - შენ ის მითხარი, დედა თუ გყავს?

**ალე** - დედა?

**ია** - დედის საფლავზე თუ ყოფილხარ? დედის საფლავი ეკლესიასავითაა.

**ალე** - ნუ ფილოსოფოსობ-მეთქი, ხომ გითხარი!

**ია** - რა სჯობს დედის საფლავზე ტირილს...

**პაუზა**

**ალე** - დედაჩემს საფლავი არა აქვს, იმიტომ რომ ცოცხალია და თბილისის ზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზე ჰუმანიტარულ მაკარონს მიირთმევს უპატრონო მოხუცების სახლში. ალბათ!

**ია** - ალბათ?

**ალე** - ატყობ, რა კარგი სიტყვაა?

**ია** - შენ ხშირად ხმარობ მაგ სიტყვას.

**ალე** — იმიტომ, რომ შიგ მთელი სამყარო ეტევა, ტყუილიცა და მართალიც. მიდი, შეამოწმე! ალბათ, ალბათ! არავითარი პასუხისმგებლობა! ასე რომ, ალბათ როდისმე ვიყიდი ყვავილებს, წავალ თბილისის ზღვაზე და ალბათ პირველს, რასაც დავინახავ, პოლიციელთა მოხეტიალე დასი იქნება, რომელიც ტრიალ მინდორში წარმოდგენას მართავს. პოლიციელებს უყვართ ყაჩაღობანას თამაში. უპატრონო მოხუცები კი მერხებზე სხედან და სძინავთ, რადგან მკვდარი საათი აქვთ. კანონების ყველაზე ერთგული დამცველები მოხუცები და უპატრონოები არიან. საერთოდ, ყველანი დღეში ერთი საათით მაინც რომ ვკვდებოდეთ, უკეთესი ცხოვრება გვექნებოდა. დედა ალბათ მე მელოდება და ამიტომაც არ სძინავს. და ალბათ სწორედ ამ დროს სასწაული ხდება: კარლ მოორს შლიაპას სტაცებს ქარი და ქუდი მიფრინავს, მიფარფატებს, როგორც პაწაწინა მფრინავი თეფში, მფრინავი ლამბაქი და ნელა და მძიმედ ეშვება უპატრონო დედაბრის კალთაში. ლამბაქიდან ალბათ კოსმოსური ჰუმანიტარული დახმარება გადმოხვავდება მოულოდნელად - კოსმოსური ძღვენი დედამიწის ალბათ ყველაზე ღარიბი მაცხოვრებლებისთვის და საპასუხოდ ალბათ იფეთქებს მილიონობით მადლობა, მერსი ბოკუ, თენქიუ ვერი მაჩ, დანკე შოონ, ბოზი ცოლებისაგან, ლოთი ქმრებისგან, ნარკომანი შვილებისაგან, მოკლედ, ყველასგან, ვის გამოც ალბათ ამ მოხუცებს უპატრონოები ჰქვიათ. წარმოდგენა კი ალბათ გრძელდება, გუგუნებს, ზანზარებს სასულე ორკესტრის აკომპანიმენტით. კიდევ კარგი, შილერი ადვილი სათამაშოა. თითქოს კლასიკა ზარზეიმით სამუდამოდ ეთხოვება თავის უკანასკნელ მკითხველსა და მაყურებელს. მორჩა, მარტო კლიპების სცენარები უნდა ვწერო. "საკითხავი კლიპები სექსუალურად მოწყენილი თანამემამულეებისთვის". "ილიადათი" დავიწყეთ და კლიპით ვამთავრებთ. მალე კაცობრიობა ერთ სამწუთიან კლიპში მოიყრის თავს. მე და შენც კლიპის პერსონაჟები ვართ ალბათ, არ კი ვიცით...

**ია** - გენრიეტა თუ იქნება იმ კლიპში?

**ალე** - რეპი და კლიპი,
კლიპი და რეპი,
მოგიჩანს ჭიპი,
გიხდება კეპი.

- გენრიეტა ვიღაა?

**ია** - გენრიეტა პარკერი ჰქვია ჩემს როლში. რკინის ბადით შემოღობილ გუბურაში დაცურავს. შეხედე, სტუმარი გვყავს!

**4.**

**შემოდის შლიაპიანი, კახპა ცოლის ქმარი.**

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - გამარჯობათ, გამარჯობათ, მოგესალმებით. როგორ გიკითხოთ, ბატონებო?

**ია** - ამას აქ რა უნდა?

**ალე** - ეს ჩემი საახალწლო საჩუქარია.

**ია** - რა დროს ახალი წელია ამ შუა ნოემბერში!

**ალე** - მითუმეტეს.

**ია** - რა მითუმეტეს, რა ხდება, გამაგებინეთ!

**ალე** - არაფერიც არ ხდება. ჩვენთან რა უნდა ხდებოდეს? შენ კი, მოსულო, რადგან იმდენი თავხედობა გეყო, რომ მართლა მოხვედი...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დიახ, როგორც მიბრძანეთ. ადვილად მოგაგენით. ზუსტად დამიხაზეთ. კარიც ღია დამხვდა, როგორც შევთანხმდით.

**ალე** - ხოდა, რადგან მოხვედი, გაიხადე და დაწექი ჩვენთან.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - მადლობთ. ბედნიერი ვარ. ეს ჩემი ცოლის სურათია, თქვენთვის არ მიჩვენებია?

**ია** - მომაშორეთ აქედან!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ლამაზი ქალია. კინოვარსკვლავი. ძმები კენედები და კამპანია.

**ია** - ნახე, ალე, რა ტალახიანი ჩექმები აცვია!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - რომ იცოდეთ, საიდან მოვდივარ!

**ია** - ყარს!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დიდი დრო გავიდა. დიდი მანძილი გამოვიარე. მაგრამ გავიდა კი დრო საერთოდ? სად მიდის დრო, სად? მე და პრეზიდენტმა ასეთი ხელშეკრულება დავდეთ - იმას მშვიდობა უნდა დაემყარებინა, მე კი სამაგიეროდ... როგორც არის. მკლავში ხელი გამომდო, გვერდზე გამიყვანა და მითხრა, გეთაყვა, მშვიდობა არ არსებობს, მშვიდობა პრეზიდენტების მოგონილიაო. თან ბრაზილიური ყავის, ფრანგული ოდეკოლონის, კუბური სიგარისა და საერთაშორისო გაიძვერობის თბილი სურნელი შემომაფრქვია სახეში. ჩემო ძვირფასოო, მითხრა პრეზიდენტმა,

მშვიდობისათვის ბრძოლა კახპა ცოლივითაა, შენს მტერსო. მენიშნა, რადგან, რაღა შორს მივდივართ - აი, მე პირადად მშვიდობისათვის ბრძოლას შევეწირე. გამიყვანეს და კედელთან დამაყენეს, რომელზედაც დიდი ასოებით მეოცე საუკუნის ყველაზე აბსურდული ფრაზა ეწერა: "დაივიწყე ყველაფერი, დალიე "კოკა კოლა"! ექვსმა მესროლა, ექვსმა ჯარისკაცმა. არადა, ოქმი რომ შეადგინეს, დიახ, სიკვდილსაც ოქმი ჭირდება, ხუთი ნატყვიარი აღმოჩნდა. ერთმა ამაცდინა. შეგნებულად, რადგან აცდენა შეუძლებელი იყო. როცა ჩემი დამხოგველის ვინაობა ვერ დაადგინეს, ექვსივე დახვრიტეს. მე კი სულ იმ ერთზე ვფიქრობ, იმ ერთს დავეძებ. არადა, როგორ გინდა იპოვო ამდენ ხალხში ერთი ნამდვილი ადამიანი! აი, შეხედეთ ჩემს ქურთუკს - ეს ნაჩვრეტები უბრალო არ გეგონოთ, ანდა სიძველის ნიშანი, ნატყვიარებია. ეს ჩემი ბრაილის ანბანი გახლავთ. მართლაც, ალბათ ყველაზე ძვირფასი წიგნია, რაც კი როდისმე წამიკითხავს...

**ალე** - დაიცა, დაიცა, განა შენ ბრმა ხარ?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - არა, მე მკვდარი ვარ. ეს წიგნი სიცოცხლეზე მიყვება. თურმე ადამიანი თავისი სიკვდილით იბადება და თავისივე სიკვდილს დაეძებს მთელი სიცოცხლის მანძილზე და ეს არის სწორედ სიცოცხლის სტიმული. ძალიან უნდა გიყვარდეს სიცოცხლე, უფრო მეტიც - უნდა გესმოდეს მისი აზრი, ამას რომ მიხვდე. უსინათლოთა კლავიშებზე უნდა შეასრულო შენივე გაუთავებელი აგონიის ბოლო აკორდები. ეს არის და ეს. მსოფლიო მოვიარე, სად არ ვიყავი, სიზმრებშიაც კი დავეძებდი. ბრმა ხარო? - მკითხეთ წელან, დიახ, უსინათლო მოჩვენებაც კი ვიყავი და ერთი ღვთისნიერი მარტოხელა მსახიობი ქალის ბინაში ვცხოვრობდი...

**ია** - აჰ!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ეს საქართველოა ხომ? მადლობთ. ბედნიერი ვარ. რამდენი რამ არის კარგი ამ ქვეყნად. ყოველ ნაბიჯზე ახალი და ახალი კარგი რამ გხვდება. მთავარია, დაინახო, ოღონდ თვალით არა, თვალით დანახული კარგი მშვიდობასავითაა - არ არსებობს! მე ზუსტად ასე წარმომედგნა თქვენი ბინა, თქვენი საწოლი. "კომედი ფრანსე". დიახ, ვერავითარი სცენა ვერ შეედრება საწოლს, ერთმანეთის პირისპირ დარჩენილი ორი დედიშობილა ადამიანის კომედიასა თუ ტრაგედიას. საწოლი ყველაზე დიდი თეატრია.

**ალე** - ხოდა, შენც გაიხადე, რაღას უცდი. ვიფიქრე, აღარ მოვა-მეთქი და შენც გამოჩნდი. მოდი, ჩათბი, ჩაბუდბუდდი ლოგინში. მართალი ხარ, ლოგინიც ერთ რამედა ღირს. ასეა!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - აქ სიყვარულით სავსე გულები ფეთქავენ. გააღეთ ფანჯარა!

**ია** - არ გააღოთ, გავიყინებით! გაგიჟდი! დახურე ახლავე! ეს ვინ ყოფილა!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ამ ფანჯრიდან, როგორც რადიორეპროდუქტორიდან, სიყვარულის ხმა უნდა მოეფინოს ქვეყანას. კაცობრიობას სიყვარულის ვიტამინი აკლია. თუ გადარჩენა გინდათ, უსმინეთ მარტო საკუთარ გულს. ამოიგლისეთ ყურები ცვილით, კუპრით, თაბაშირით, ცემენტით, განავლით, რითაც გინდათ, ოღონდ ამოიგლისეთ. შეხედეთ ამ ნაჩვრეტებს, ხედავთ რამეს? დიახ, ამ ნაჩვრეტებიდან მშვიდობის ყველა მსხვერპლი შემოგვყურებს. მათ შორის ის პატარა ბიჭიც, რომელმაც შეგნებულად ამაცდინა ტყვია და რომელსაც ყველგან ვეძებდი - მონადირედ, მეთევზედ, მყვინთავად, მეკობრედ, ჟანდარმად თუ ტერორისტად გადაცმული თუ გარდაქმნილი. დიდ ქალაქებში, სოფლებში, უდაბნოში, ესკიმოსის ყინულის ქოხშიაც კი და, როგორც გითხარით, სიზმრებშიაც. ასე რომ, მსხვერპლი უკვე გაღებულია.

**ალე** - ამოდი, რაღას უცდი. მოგეხმარო, თუ შენით ამოხვალ?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - (საწოლზე ადის) - ამოსვლით კი ამოვალ, მაგრამ როგორ გავიხადო, შიგნით შიშველი ვარ. თამბაქოს ფოთოლი კი მაქვს_აფარებული. ეს კუბაა ხომ?

**ალე** - არა, საქართველოა.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ხედავ, კიდევ შემეშალა. კუბაში ლელვის ფოთლის ნაცვლად, თამბაქოსას იფარებენ. აქ ალბათ ვაზისას არა? მე ვუთხარი, სერ, ასე მოვრიგდეთ-მეთქი, ბოლოს და ბოლოს, ორივე ჯენტლმენები ვართ-მეთქი - თქვენ ჩემი ცოლი, მე კი თქვენი მშვიდობა-მეთქი. ინგლისურად დაველაპარაკე, თუმცა იქამდე ერთი სიტყვაც კი არ ვიცოდი ინგლისური. თუ მოინდომებ, უფრო სწორად, როცა გაგიჭირდება, შენით ალაპარაკდები ნებისმიერ ენაზე. მივხვდი, ყველა ენა ჩვენშია, ოღონდ ვერ ვიყენებთ, იმიტომ რომ საკუთარ თავს არ ვენდობით. მგონი, გადავუხვიე სათქმელს. ხო, ასე ვუთხარი, სერ, რაც უნდა იყოს, თავისუფალი ადამიანი ვარ-მეთქი. ესეც ინგლისურად მოვახსენე...

**ალე** - ვის მოახსენე?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - გაიცინა. მხარზე ხელი მომითათუნა: "თავისუფალი ამ ქვეყნად მარტო თავისუფლების ქანდაკებააო". ვის და... სხვას ვის ვეტყოდი?

**ალე** - ხედავთ, ამ ქვეყნად რა ამბები ხდება, ხალხი მშვიდობისთვის იბრძვის, აქ კი, ანუ ჩვენში, პოლიციელები შილერის პიესას თამაშობენ!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - უკაცრავად, ჩემო ბატონო, შილერი ვინ არის?

**ალე** - შილერი დიდი გერმანელი პოეტია.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - გოეთე ყოფილა.

**ალე** - არა, შილერია.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - მით უარესი მისთვის. ქალბატონო, აბა, ცოტა ჩაიჩოჩეთ.

**ია** - არ მომეკარო! ალე, გავგიჟდები!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - რა აყვირებს ამ ქალს, კაცი არ უნახავს? ეს შენი სისუსტეა, ძმობილო.

**ალე** - ასე იცის დილაობით.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - შეიძლება, არც გაემტყუნება. ზოგჯერ მე თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ. ვერაფრით მოვუყარე თავი ჩემი ფიქრის ნაგლეჯებს, ვერ მოვაგროვე, ვერ გავაერთიანე. ერთდროულად ათას რამეს ვხედავ, ოღონდ, ტელეოპერატორივით, არ შემიძლია ერთი მთავარი ამოვარჩიო, მთავარი კადრი დავიჭირო როგორმე, თუნდაც ნამით. ალბათ იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაფერი მთავარია. ხან პოლუსზე ვარ, ხან საჰარაში, ხან ზღვაზე, ხან კი აფრიკელის ჩალის ქოხში ვარ შეყუჟული, როგორც ემბრიონი - საშვილოსნოში. აი, თითქოს გრძელი, დაჟანგული, ღრუბელივით ზოზინა ტანკერის ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი მეზღვაური ვარ, გამწარებული რომ ჩაფრენია საჭეს, ჰორიზონტს რომ მიშტერებია, როგორც გიჟი - გამორთული ტელევიზორის ეკრანს, თუმცა, ისედაც ვერაფერს ხედავს, რადგან უძილობისგან თვალები ძირმაგარებივით დასჩირქებია. მღვრიე, ჭრელი ნავთი ლაყლაყებს ტანკერის სტომაქში, როგორც გამდნარი ცისარტყელა, ანდა ენერგიისა და სიბრიყვის მილიარდი სპერმა, რომელიც, ოქროს წვიმასავით, უნდა გადმოიღვაროს ევროპის ლაჯებს შორის, ანდა ფიდელ კასტროს სახელობის ბორდელში.

**ია** - **(შეჰკივლებს)** - ოი!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - არ ვიცი, რომელ ერთზე შევაჩერო თვალი, რომელი სურათი გამოვარჩიო იმ უცნაური კალეიდოსკოპიდან. აი, უკვე სიკვდილის პირას მისული კეთროვანი, თითქოს ლეპროზიუმის ჭიშკართან ვდგავარ და ვიღაც ტურისტი ქალი სურდოს მალამოს მიდებს განვდილ პეშვში, ჰუმანიტარულად მეხმარება. და ცხოვრებაში პირველად ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ. მართლაც, განა არ არის ეს ბედნიერება! დიახ, ბედნიერებაც ღმერთივითაა - გწამს, რადგან აბსურდულია!

**ია** - არა, არა, მე ხომ თქვენ გიცნობთ. ქუჩაში რომ შემხვდით, იმას არ ვგულისხმობ!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - როგორც იქნა! მადლობთ! ჩვენ ხომ ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ, უფრო ზუსტად - ერთი პიესის გმირები. ამიტომაც მოვიჩქაროდი თქვენსკენ. მორიელებში მეძინა. ზღვის ქვებს ვლოკავდი. მარხილის ძაღლებს საჭმელს ვპარავდი, ჩემი საკუთარი ხორცი რომ არ მეჭამა. სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, რა არ გადამხდენია თავს. "არგოს" გემბანზე "სირტაკი" მიცეკვია ჰერკულესთან ერთად. გჯერათ? მე თქვენ უკვე ერთხელ დამიჯერეთ და შემიფარეთ კიდეც. გახსოვთ? კართან რძიან ჯამს მიდგამდით და მეც კატასავით ვხვრეპდი რძეს. ეს იყო პირველი რძე ჩემს ცხოვრებაში, რადგან დედის რძეც კი არ მღირსებია. დედა ძუძუზე მდოგვს ისვამდა, მე რომ არ მომეწოვა... სხვათაშორის, ცოცხალმა კვალმა მომიყვანა თქვენთან.

**ია** - ვისმა კვალმა? არაფერი მესმის!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - **(პეშვად შეკრულ ხელისგულებს უწვდის)** - და აი, ის პატარა ტბა მოგიტანეთ. თუმცა, ტბა კი არა, გუბურაა...

**ია** - მავთულის ბადით შემოღობილი?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დიახ, დიახ, აი, ბადეც, ბავშვები რომ არ ჩაცვივდნენ...

**ია** - იმიტომ რომ, იმიტომ რომ...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ბავშვები ხომ თვითმკვლელები არიან! ბავშვობა პატარა ჯოჯოხეთია. ბადეს თითებით ჩაფრენოდი. შენს გვერდით გავჩერდი. ქუდი მოვიხადე, თუმცა წვიმდა. წვიმის მათხოვარივით ვიდექი. მადლობთ. ბედნიერი ვარ. უჰ, რა კარგია! ვინა ხარო? - მკითხე ცოტა ხნის მერე, ისე რომ ჩემთვის არც შემოგიხედავს...

**ია წამოდგება. გრძელი, ჩაფართხუნებული მეზღვაურის მაისური აცვია, მუხლებამდე წვდება. ხელის მტევნები არ უჩანს. ეტყობა, ალეს მაისურია. ამის შემდეგ, ჩვენს თვალწინ თითქოს სასწაული ხდება - ის უკვე სხვა ქალია, რომელმაც იცის, თუ რა საშინელებაა წვიმაში მავთულის ღობესთან დგომა და ტბის ყურება. მაისური, რომლის სახელოებსაც აუჩქარებლად იკეცავს, ქალის ლამაზ და იშვიათ ტანსაცმლად უნდა გადაიქცეს.**

რეკავს ტელეფონი.

**ალე** - **(ჯიბიდან იღებს ტელეფონს)** - გისმენთ? ოოო! რა ვქნა, როგორ გამოვრთო

ეს ოხერი! შეიძლება ბულალტერიიდან დამირეკონ. ჭამა ხომ გინდათ, თქვე მამაცხონებულებო. დამანებეთ თავი. დამაცადეთ. საქმე მაქვს, საქმე! ყველა წუთი ძვირფასია. ახლა დგას ჩემი ნადირობის სეზონი. როგორ ვერ გაგაგებინე, როგორ ვერ შევიდა შენს თავში, რომ უსაქმური არა ვარ. შენს პირველ ქმარში ხომ არ გეშლები! რაო? მესმის, როგორ არ მესმის, გიოს მეტი ყურადღება ჭირდება. დიახ, გარდამავალი ასაკი. გარდატეხის პერიოდი. დიახ, დიახ, უღელტეხილი. რასაკვირველია, რასაკვირველია. დედა ხარ, ვალდებული შვილზე იფიქრო, მაგრამ, ნამდვილად გადამრევს ეს ხალხი! ნუ დაგავიწყდება, რომ ჩემი შვილიცაა. რაო? დავუშვათ? რას ქვია დავუშვათ? სხვათაშორის, დიდი ხანია ეგ შენი თუ ჩვენი შვილი გარდატეხილია, ოღონდ საით, საკითხავი აი ეს არის! მე მგონი, უფრო შენსკენ, უფრო სწორად, ჩემი პატივცემული სიდედრისკენ...

**ი ა** - პარკში პატარა ტბა იყო. მის ნაპირზე უყვარდა დგომა. როცა წვიმდა, მაშინ თითქოს კიდევ უფრო პატარავდებოდა ის ტბა.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ბადეს თითებით ჩაფრენოდი...

**ალე - (ტელეფონით ლაპარაკობს).** ალო! ხო, მესმის, მესმის. სალომეს გამოართვი. უარი გითხრა? ელისოს თხოვე. ჩვენ რამდენჯერ გავუმართეთ ხელი. როდის? რა ვიცი, როცა გვქონდა, არასოდეს არ გვქონია? კარგი ერთი. ასე ყველაფერი როგორ გავიწყდება. მახსოვრობა აშკარად არ გივარგა. არაუშავს, ეს ქალების საერთო სენია. მოკლედ, ნახვამდის, ჩაო. აუფიდერზეინ. აღარ დარეკო. მე თვითონ დაგირეკავ, როგორც კი დავამთავრებ.

**ტელეფონს ჯიბეში იდებს.**

**ი ა** - მე ხმა არ ამომილია. ვიღაცამ სხვამ, უცნობმა, ჩემს შიგნით დაიძახა. იმ სხვას უნდოდა გაეგო, ვინ ვიყავი. იმ სხვას ჯერ კიდევ ყველაფერი აინტერესებდა. მე კი ტბაზე მოცურავე გედს ვუყურებდი, ნისკარტი სარეცხის სამაგრს რომ უგავდა და ჩურჩულით ვეძახდი: გენრიეტა, გენრიეტა, შე, საცოდავო. თითქოს პატიმარი იყო, მე კი მის სანახავად მოსული ნათესავი...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ძლივს ავფოფხდი მავთულის ღობეზე. წვალებით გადავედი მეორე მხარეს. ფერდობი ჩავირბინე, უფრო სწორად, ჩავსრიალდი, რადგან სველ ბალახზე ფეხი დამისხლტა და დავასკდი ტრაკით. უკაცრავად. და თუმცა წვიმდა, თუმცა ციოდა, ტანსაცმელი გავიხადე **(იხდის ტანსაცმელს)** და ტბაში შევედი. აჰ! ბბბრ! კარგია! და შევცურდი. ნელა, ძალიან ნელა, რადგან ვშიშობდი, არ დამეფრთხო, მივცურავდი გენრიეტასკენ, რომელიც თითქოს არც კი მამჩნევდა, თავისთვის დაცურავდა, ლამაზიცა და უშნოც ერთდროულად, როგორც სამეფო დინასტიის მდაბიო რძალი, უფრო რომ ჰგავს დედოფალს, ვიდრე ნებისმიერი პრინცესა. გენრიეტა! გენრიეტა! ის კი ისევ მშვიდად განაგრძობდა ცურვას, თითქოს ცოცხალი არსება არც კი იყო, თითქოს ტბაში გედის თაბაშირის ქანდაკება ჩაეგდო ვიღაცას, რომელსაც წყალი თავის ნებაზე დაატარებდა...

**ია** - როცა წვიმდა, მაშინ კიდევ უფრო პატარავდებოდა ის ტბა. თუმცა, ეს უკვე ვთქვი. განა მე თქვენ რამე დაგიშავეთ! ნუთუ, არავის, არავის არ ესმის ჩემი!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ...და როცა მივუახლოვდი, როცა ფეხებში ვტაცე ხელი, რადგან ჩემს მიახლოვებისთანავე კი არ გაცურდა, ცურვით კი არ გამერიდა, არამედ ფრთების ტყლაშუნით წყალზე გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ თითქოს რაღაც უზარმაზარი აფეთქდაო - ბორცვი, გორაკი, მთა, ქალაქი - ცაში ავარდა, აიჭრა და მეც თან ამიყოლა. უჰ, რა კარგია! მძლავრად, ღონივრად, ხარბად მიფრინავდა, თითქოს კი არ მიფრინავდა, ცას ნთქავდა...

**ი ა** - ქუჩაში რომ შემხვდით, გულმა მანიშნა, შენ ამას კარგად იცნობო. მაგრამ უცებ დაიკარგეთ, ვერც კი მოვასწარი ვინაობა მეკითხა. არადა, მთელი არსება მთხოვდა, უფრო მეტიც - მიბრძანებდა, გამეგო, თუნდაც თქვენი სახელი.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - კარგი იქნებოდა, ჩემი სახელი მე თვითონ რომ მცოდნოდა.

**ი ა** - ჯერ მამას მიგამსგავსეთ. მასსავით მხრებში იყავით მოხრილი და მასსავით საცოდავად გეხურათ დალაქული შლიაპა, როგორც სამოქალაქოდ გამოწყობილ სამხედროს. მამა მეხანძრე იყო და მილიციის კლუბში კარლ მოორს თამაშობდა. ისიც უცებ გაქრა. ისიც უცებ დაგვეკარგა. მხოლოდ თითის ანაბეჭდები დაგვიტოვა ერთადერთ ჭიქაზე, რომელსაც დიდხანს ვინახავდით ცელოფანის პარკში, როგორც თვითმკვლელობის მამხილებელ საბუთს და ასეც იყო ნამდვილად... და მაინც თქვენ უფრო იყავით მამაჩემი, ვიდრე ის მხრებში მოხრილი კაცი, რომელიც ღამით ჩემს საწოლთან ჩამომჯდარი, სლუკუნით მეხვეწებოდა, მამა დამიძახეო. მოკლედ, წერტილ-მძიმესა ჰგავდა - არც წერტილი იყო და არც მძიმე...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - პაწაწინა შიშველი კაცუნა თითქოს უზარმაზარი გლობუსის

ირგვლივ დავფრინავდი და ქვეყვით ფანტასტიკურ რეკლამებივით ელავდნენ ქალაქები თუ ქვეყნები. **(ყვირის)** გენრიეტა, აგე პართენონი! თეთრი, მშვენიერი და ცოცხალი, როგორც აპოლონის ჩონჩხი! ელადა! ელადა! ჩვენი სიმდაბლისა თუ სიმაღლის გამართლება!

**ია** - მერე მიგამსგავსეთ ჩემს ძმას, რომლის გაჩენასაც დედა გადაჰყვა და რომელიც სამი წლისა, როგორც მაშინ თქვეს, ბოშებმა მოიტაცეს. ხშირად კი მესიზმრებოდა - ხან სამთვლიან ველოსიპედზე შემჯდარი, მოკლეშარვლიანი, რომელიც, რატომღაც, უცებ კვდებოდა და, საშობაო ბარათივით, ლამაზი და პატარა საფლავის ქვა ჰქონდა. ხან უცნაურად მეცხადებოდა, ბოშა ქალივით გადაცმული, პომადიანი ჭაბუკი, ხურდა ფულის მძივების წკრიალ-ჩხრიალით რომ ცეკვავდა დაირით, ანდა გასაქანს რომ არ მაძლევდა კარტით ხელში, გიმკითხაო, გიმკითხავოო. ამაზე ამაზრზენი და საშინელი სიზმარი იშვიათად მინახავს...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - **(ყვირის)** - აგე, ბრიტანეთი! წყალბურთელივით ამომსკდარი ზღვიდან. "ყოფნა-არყოფნა". ტაუერი. უემბლი, ორით ნოლი. ხედავ, გენრიეტა, ხედავ?! **(ჩვეულებრივად)** არც კი გაუგია ჩემი ხმა, რადგან ცის ზვირთებს მიაპობდა, ფრთოსან კაშალოტივით და სინამდვილეში ალბათ წყალს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე ცას და ახლა განგების სასჯელისგან თავდახსნილი, საკუთარი სითამამით გაბრუებული თუ გათიშული, თითქოს მთელი კოლუმბია ჰქონდა შეშხაპუნებული, ვეება ფრთებს მძიმედ და მძლავრად იქნევდა, მითოლოგიური ხომალდის ნიჩბებივით...

**ია** - სიკვდილსაც კი ვაპატიებდი, ასე თეძოების რხევით ცეკვას კი - არა!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - **(ყვირის)** - აგე, მექსიკა! ხედავ, გენრიეტა, სომბრერო, პილპილი, პანჩო ვილა, კაქტუსი!

**ია** - მერე მიგამსგავსეთ ჩემს ქმარს, რომელიც არასოდეს მყოლია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გადამფრენ ჩიტადა ვარ ჩაფიქრებული ბუნებისგან და ნებისმიერ ბუდეში ზედმეტი დახანება ჩემთვის სიკვდილს ნიშნავს. რატომაა, რომ ნამდვილზე მეტად, ადამიანს გამოგონილისა სჯერა? მითხარი, ალე, შენ მაინც მითხარი, რას გაჩუმებულხარ!

**ალე** - **(ჩუმად)** - მე თავი დამანებეთ...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - და მერე შორიდან დავინახე კირით შეთეთრებული ქოხები და მილიონობით პაწაწინა ანგელოზი, ხარიხებზე ფეხით ჩამოკიდებული, როგორც დასაკითხი პატიმრები დიქტატორის ღილეგში. და თითქოს მივედი კიდეც იქ, სადაც დაიწყო ჩემი გრძელი გზა დიდიხნის წინათ და როცა უვნებლად დავეშვი დედამიწაზე, შევნიშნე ზღვის პირას გამართული ბრეზენტის ფანჩატური, სადაც თავი შეეფარებინათ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის პრეზიდენტებს, თვით აბრაამ ლინკოლნსაც კი, და კალკულატორებზე ანგელოზებს ითვლიდნენ. ერთმა მათგანმა დამინახა თუ არა, წამოდგა, მიატოვა დანარჩენები და ჟესტით ნაპირზე გასეირნება შემომთავაზა. დიდხანს ვსეირნობდით ზღვის თუ ოკეანის პირას ისე, რომ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია, თუმცა მე უფრო მეტი მქონდა სათქმელი, ვიდრე მას, რადგან ახალი ჩამოფრენილი ვიყავი ციდან, სადაც ერთი გედი-კაშალოტი ახლა უკან, თავისი გუბურისკენ მიიკვლევდა გზას ღრუბლებისა და მეტეორების ჯუნგლებში. უცებ გული ამომიჯდა, თუ დამიჯერებთ, ტირილიც კი მომინდა, რადგან მივხვდი, რომ მე და ის პრეზიდენტი ერთნაირები ვიყავით, გარეგნულადაც ერთმანეთს ვგავდით, იმიტომ რომ ერთი ქალი გვიყვარდა. ქალი უნებურად გიმსგავსებს - თუ ბელურაა, შენც ბელურა ხდები, თუ გედია, შენც გედივით გიგრძელდება კისერი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ჩვენ ორივე, ანუ მე და ის პრეზიდენტი, ბატებს ვგავდით, ოღონდ ჭუკებს. პრეზიდენტმა მაჩუქა სწორედ პოლაროიდით გადაღებული ჩემი ცოლის სურათი.

**ი ა** - იქნებ სამივე იყავით ერთდროულად - მამაც, ძმაც და ქმარიც, ანუ არსება, რომელსაც სახელი არა აქვს!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ბედნიერი ვარ. მადლობთ. ამ ქვეყნად ყველაფერზე ძვირფასი გულისხმიერებაა.

**ია** - რა ლამაზები არიან ადამიანები, როდესაც სხვებს თამაშობენ.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - **(ქუდს მოიხდის)** - შემენიეთ უბედურს, კახპა ცოლის პატრონს!

**რეკავს ტელეფონი.**
**ალე ჯიბიდან იღებს ტელეფონს.**

**ალე** - გისმენთ? კარგი რა! აღარ შემიძლია! მომკლა შენმა ეჭვიანობამ! რამდენჯერ უნდა გითხრა - ვმუშაობ, ვმუშაობ-მეთქი! ხო, ხო. არა მცალია. მერე დაგირეკავ. **(ჯიბეში იდებს ტელეფონს. ამათ)** - უკაცრავად.

**ია** - სასწაულია! სასწაული!

**ალე** - რა მოხდა, რა გაყვირებს?

**ია** - თვალი ამეხილა, თვალი! დამაცადეთ! **(შლიაპიანს)** მე ხომ თქვენი ქვრივი ვარ!

**ალე** - შეიშალე?

**ი ა** - **(ალეს ყურადღებას არ აქცევს)** - თქვენს გარდა, სხვა მამაკაცის ხელი არ შეხებია ჩემს სხეულს...

**ალე** - ვინ დაგიჯერებს, ქალო, ამას?!

**ი ა** - დამაცადე-მეთქი! არ დამთუთქვია კანი სხვისი მხურვალე სუნთქვით. არ გასრესილა ჩემი ძუძუს კერტები სხვისი ხელისგულების დოლაბებით. არ აფეთქებულა ჩემი სხეულის წიაღში სხვისი, ხელყუმბარასავით თავკომბალა სურვილი. ტკივილით ვცოცხლობ, ტკივილით, რომელიც მაფხიზლებს და არ მიშვებს, რომ დავიძინო. უკვდავება ტკივილი ყოფილა. ახლა ვხვდები, თუ ვინ ვიყავი წინა ცხოვრებაში. **(ცეკვავს)** მე შენ გელოდები ყოველდღე, ყოველ წამს და აი, ოცი საუკუნე გავიდა შენს მოლოდინში. ამ ხნის განმავლობაში ჩემი არსების წიაღში, ჩემი სულის ყველაზე შორეულ გამოქვაბულში, სადაც შეხედვისაც კი მეშინია, ჩემივე უთქმელი სიტყვებისგან თუ ფარული ბოლმისგან ამოიზარდა სტალაგმიტი, ქანდაკება რისხვისა და სიძულვილისა, კუშტი და ამაყი, ქვის ფალოსივით, ბერწი ქალები მდუღარე ცრემლით რომ რწყავენ. ჩემს მუხლებს ახსოვთ შენი, ობობას საცეცებივით, ფრთხილი და დაშაშრული თითები, ჩემს ხელებს კი - სიმძიმე შენი, ქარისგან თუ დილეგის ჭუჭყისგან, კვერცხივით გაშიშვლებული თავისა, საიდანაც გამოიჩეკა იდეა მარადიული მოლოდინისა. და აი, მეც გელოდები, მარადიული ქვრივი ქალწული. შემომხედე! შემომხედე!

**ალე** - **(ყვირის)** - გაჩუმდით! გაჩუმდით! **(ყურებზე ხელებს აიფარებს. ჩუმად)** გთხოვთ. გემუდარებით. გეყოფათ. გაჩუმდით-მეთქი... **(ცოტა ხნის მერე ჩვეულებრივი ხმით)** ყველაფერი ტყუილია. ყველა ტყუის, რადგან ყველამ ერთად დაკარგა ერთადერთი მართალი სიტყვა. სად არის, სად? არავინ იცის. იქნებ, მარგალიტივით, სადღაც ოკეანის ფსკერზე, წყალმცენარეთა აბლაბუდაში გახვეულ ნიჟარაშია შეყუჟული. ვიდრე იქამდე მიხვალ, ვიდრე მიაგნებ, ზვიგენი შეგჭამს. არადა, უამრავი, უამრავი სიტყვის შემცვლელი, თუ ყალბი სიტყვაა დახვავებული ჩვენს გარშემო, მთასავით, როგორც ელევატორში - ხორბალი. ჩაყავი ხელები ოქროსფერ, ბუსუსიან, ჩახურებულ ხორბალში იდლიამდე და გაირინდე. ხელოვნური ყოველთვის ნამდვილზე ეფექტურია, თანაც ადამიანს ყველაფერი ბევრი უყვარს, თუმცა ერთ სიტყვას ელოდება სულ, სულ, დაბადებიდან სიკვდილამდე. ყველა სიტყვა ერთ სიტყვაში ეტევა, ოღონდ არავინ იცის, რა სიტყვაა ის. **(იჩოქებს)** ღმერთო, ერთი სიტყვა! ერთი სიტყვა მიწყალობე! **(წამოდგება)** მოდით, ჩამეკარით გულში. მოდით. უბედურებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორივეს მკერდში ჩაიკრავს.**

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - მადლობთ. ბედნიერი ვარ.

**ტირის.**

**ალე** - შვილებო, შვილებო...

**ი ა** - აი, როგორც იქნა, ჩემი ლოდინიც დამთავრდა! ამიტომ არასოდეს არ უნდა გაიტეხოს ადამიანმა გული. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მთავრდება, ლოდინიც კი!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - არა, არა, ნუ იტყვი მაგას, ეგ არ დაიჯერო. წერტილი არ არსებობს, ანუ არაფერი არ მთავრდება. ყველაზე პირობითი, შეიძლება ითქვას - ილუზიური, ამ ქვეყნად რაიმეს დასასრულია. შენ მართლა ელოდები ვიღაცას, ოღონდ ის ვიღაც მე არა ვარ, სხვაა, ჩემს შემდეგ მოდის. ახლაც კართან დგას. სულ დამავიწყდა!

**ალე** - მოიყვანე, ვინც გინდა. ეს საწოლი ყველას დაიტევს.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ისეთი მორიდებულია, ჯერ შენ შედიო.

**ალე** - ხოდა, დაუძახე-მეთქი, რაღას უცდი. არ გესმის?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - **(ტანზე იცვამს. თან ეძახის)** - თქვენო უმაღლესობავ, შემობრძანდით, შემობრძანდით, თქვენო უმაღლესობავ!

5.

**შემოდის მულტფილმის უფლისწული.**

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - მობრძანდით, მობრძანდით, ნუ გერიდებათ.

**"უფლისწული" ჩართავს პორტატიულ მაგნიტოფონს. ისმის სასიყვარულო მელოდია.**

**ია** - ღმერთო! ნუთუ ეს შენა ხარ!

**"უფლისწული" უბიდან იღებს ერთ ცალ წითელ "ადიდასს"**

- უიმე! - მოდი აქ!

**ფეხს გაუწვდის.**

- ჩამაცვი!

**"უფლისწული" ცალ მუხლზე იჩოქებს და ისე აცმევს.**

- ეს ხომ ჩემი "ადიდასია", ღმერთო!

**ალე** - კი მაგრამ, მეორე სად არის, ასკინკილით ხომ ვერ ივლი?

**ია** - **(ღიმილით)** - ასკინკილა ცუდია?

**ალე** - მე არ მითქვამს, ცუდიაო. მე სხვა რაღაც გკითხე. მგონი.

**ია** - აი, მეორეც!

**ბალიშის ქვემოდან გამოაძრობს მეორეს, ოღონდ თეთრ "ადიდასს"**

- ტყუილად კი არ ვინახავდი, ტყუილად კი არ მედო თავქვეშ. აქედან ამოდიოდნენ თითქოს ჩემი ტკბილი სიზმრები.

**ფეხს გაუწვდის "უფლისწულს".**

- ესეც ჩამაცვი!

**ცალ მუხლზე დაჩოქილი "უფლისწული" აცმევს მეორე "ადიდასსაც".**

- ხომ მიხდება?

**ალე** - დაიცა, დაიცა, აქ რაღაც გაუგებრობაა. თუ თვალი არ მატყუებს, მგონი, ეს თეთრი უნდა იყოს არა?

**ია** - კი, თეთრია.

**ალე** - ესე იგი, არ მეშლება.

**ია** - არა, დალტონიკი ნამდვილად არა ხარ.

**ალე** - ხოდა, თუ არ მეშლება...

**ი ა** - ააა, მივხვდი, მივხვდი, რისი თქმაც გინდა. მე რომ ცალცალ ფეხსაცმელს ვატარებ, არ იცოდი? მოკლედ, ჩემი ლოდინი ახლა კი ნამდვილად დამთავრდა. წერტილი როგორ არ არსებობს. აი, ეს თეთრი "ადიდასი" იგივე წერტილია. მოკლედ, მომილოცეთ. ამისრულდა, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ველოდი.

**ალე** - მაინც რა აგისრულდა, ჭირიმე?

**ია** - გაღეღილი საყელო. ვერცხლის მედალიონი...

**ალე** - ბოდავს!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - არც არის საკვირველი.

**ია** - ქალიშვილო, რომელი საათია!

**ალე** - ხომ ვთქვი, ბოდავსო!

**ია** - მედალიონს აწერია, მედალიონს!

**ალე** - მაგის მეტი ვერაფერი დაიხსომე?

**ია** - როგორ არა, როგორ არა, მითხრეს, დედოფალი გახდებიო!

**ალე** - ეს ვიღამ მოგახსენა?

**ია** - ბორიამ!

**ალე** - ბორიამ! ბორია, ბორია... ბორია ვინ არის?

**ია** - ბორია თაგვია.

**ალე** - თაგვი?

**ია** - თეთრი.

**ალე** - აუჰ!

**ია** - იმან ამოიღო ყუთიდან ქაღალდი.

**ალე** - გერბიანი?

**ია** - დიახ, დედოფალი გახდებიო!

**ალე** - მერე თაგვს უჯერებ, ქალო?

**ი ა** - აი, თუ არ ვუჯერებ! თაგვი ეძახე! ეტყობა, ეს იყო ჩემი ბედი. წამიყვანე, ჩემო უფლისწულო, სადაც გენებოს, წამიყვანე!

**ალე** - კარეტა არ დაგავიწყდეთ, კარეტა!

**ია** - ნუ ბრაზობ, ალე.

**ალე** - ეგლა მაკლია!

**ია** - მე შენ აზნაურობას გიბოძებ.

**ალე** - რისთვის, დედოფალო?

**ია** - აი, თუნდაც, ამ მაისურისთვის.

**ალე** - ეგ არაფერი. გამიხსენეთ ხოლმე, როცა საკუთარ იახტაზე იქნებით.

**ია** - მოკლედ, ჩვენი წასვლის დროა. დღეიდან რადიოთი მოგმართავთ ხოლმე, ყოველ კვირა დღეს.

**ალე** - მადლობთ, დედოფალო, მადლობთ.

**ია** - წავიდეთ, უფლისწულო, წამიყვანე. რაღას ვუცდით!

**ალე** - მართლა არ შემშალოთ ახლა! ეს მგონი, საშაა - კინოსტუდიის ცნობილი ლოთი. რისი წამყვანია! დაეტიე მანდ!

**ია** - **("უფლისწულს")** - ალექსანდრე, ძვირფასო, მიმღერე რამე!

**"უფლისწული" რთავს მაგნიტოფონს. ასლოკინებს. ტუჩებზე ხელის ზურგს მიირტყამს.**

**ია** - უიმე, ამან, მგონი, ლაპარაკი არ იცის!

**ალე** - იმიტომაც მღერის, სულელო, სიმღერა მუნჯის ენაა!

**ია** - მე ყოველთვის შენი მადლობელი ვიქნები, ალე, მაგრამ ახლა გამიშვი, გთხოვ. მე შენ არასოდეს დაგივიწყებ. იცით, მგონი, ბედნიერი ვარ. ჩქარა, ალექსანდრე, ჩემო ხელმწიფევ, წამიყვანე აქედან, ამ სახლიდან, ამ ქალაქიდან, ამ პლანეტიდან, ამ გალაქტიკიდან, ჩქარა!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დაიცადეთ, დაიცადეთ!

**ია** - ჩქარა-მეთქი!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ერთი სიტყვა მათქმევინეთ.

**ია** - მერე, მერე, მერე!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - რა ვქნა, იძულებული ვარ, საიდუმლო გაგიმხილოთ.

**ია** - უკაცრავად, ჩემო ბატონო, ბედნიერებს საიდუმლო არ გააჩნიათ!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - არა, ეს უფრო მეტია, ვიდრე საიდუმლო.

**ია** - მითუმეტეს, მითუმეტეს!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - სწორედ მას დავეძებდი ყველგან, ყველგან, ცხადშიაც და ძილშიაც, წარსულშიაც და მომავალშიაც. ყველა ბიბლიოთეკის ფიჭასავით ტკბილი თაროები გამოვწუწნე, ათასობით კინოლენტის პაწაწინა ყუწნებში ვარ გამძვრალი, მთელ სხეულზე დედამიწის ატლასი მაქვს ამოსვირინგებული და იცით რატომ? გამწარებულს მისი შიშველი ტერფები მკერდში რომ ჩამეკრა და დამეკოცნა, მადლობის ცრემლით განმებანა. აი, ეს ყმაწვილი...

**ხელს გაიშვერს "უფლისწულისკენ".**

**ია** - ჩემი ალექსანდრე!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - გახლავთ ის ჯარისკაცი, ვინც მე თოფი არ მესროლა!

**ია** - აჰ!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - და ვინც, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვე.

**ია** - კი მაგრამ...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - თუმცა, ძალიან ბევრი კი ვენამე.

**ია** - აკი, აკი ექვსივე დახვრიტესო?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - შენ ეს ცოცხალი გგონია?

**ია** - კარგით რა, გეყოფათ. დამინდეთ.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - და უფრო მეტსაც გეტყვი...

**ია** - მეტი რაღა უნდა მითხრა, რა?!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ეს შენი ძმაა, შენი ღვიძლი ძმა!

**ია** - გაჩუმდი!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ბავშვობაში დაკარგული შენი ძმა!

**ია** - ღმერთო...

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - გახსოვს, გითხარი, კვალმა შენთან მომიყვანა-მეთქი!

**ია** - რა ხდება ჩემს თავს!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დიახ, შეუმცდარად მოვედი შენთან, მაგრამ, როგორც არ არსებობს წერტილი, ასევე არ არსებობს თურმე სიზუსტეც. მის ნაცვლად, შენ შემრჩი ხელში. მაგრამ, როგორც ხედავთ, ბოლოს მაინც ვიპოვე. არ იკითხავთ სად? სად და მულტფილმში! თავიდანვე [illegible] არ ვიფიქრე, რომ კეთილი [illegible] და მხოლოდ მულტფილმში უნდა მეძებნა!

**ია** - ძმა? ეს ჩემი ძმაა? როგორ ამიხდა სიზმარი - ქალივით ეცვა და ქალივით ცეკვავდა. დაირით.

**ალე** - განა ამას, ანუ შენს ძმას, ქალივით აცვია?

**ია** - ეს ერთი და იგივეა.

**ალე** - დაირას სადლა ხედავ?

**ია** - **(მაგნიტოფონზე უთითებს)** - აგე დაირა!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დიახ, ექვსივე დახვრიტეს.

**ია** - და ამან... ამან არ გესროლა?

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - იმ ექვსიდან მარტო ამან არ მესროლა.

**ია** - მადლობთ, შენ უფალო!

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - დიახაც, ამან უნდა თქვას, მკვდარი ვარო!

**ი ა** - **("უფლისწულს" ხელზე კოცნის. მერე მკერდში ჩაიკრავს. ეფერება. ტირის)** - მადლობთ, უფალო, მადლობთ... ერთი სიტყვა მითხარი, ძმაო, ერთი სიტყვა.

**შ ლ ი ა პ ი ა ნ ი** - ასე ძალიან უყვარს?

**ალე** - არა, თავისი თავი სძულს...

**"უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი"** - **(ასლოკინებს. ტუჩებზე ხელისზურგს მიირტყამს)** - პარდონ!

**ბნელდება.**
**ისმის ფრთების მძლავრი შხუილი.**
**უეცრად ელვა გაანათებს სცენას - ოთახში არავინაა.**

## 6.

**პირველი სურათის დეკორაცია - იას ბინა.**

**იას საშინაო, თეთრი ხალათი აცვია. თითქმის ავანსცენაზე უდგას სკამი. აწრიალებულია.**

**სიგარეტს ეწევა.**

**ეტყობა, უძილობა აწამებს.**

**რეკავს ტელეფონი. ია ყურადღებას არ აქცევს.**

**პაუზა**

**ი ა** - ასე მგონია, ადრე გედი ვიყავი. მავთულის ბადით შემოღობილ გუბურაში

დავცურავდი. არაფერზე ვფიქრობდი. შეიძლება ითქვას, ეს იყო ბედნიერება პარკის მასშტაბით. მერე ამ ბინაში გადმოვსახლდი, წიგნებით, აფიშებით, ყვავილებით გარშემორტყმული, ოღონდ, ყოველ დილით მაინც პარკში გავრბოდი. მავთულის ბადეს თითებით ჩაფრენილი, გედს ველაპარაკებოდი, ვუყვებოდი, რაც თავს გადამხდენოდა. თითქოს პატიმარი იყო, მე კი მის სანახავად მისული ნათესავი. ახლა ვფიქრობ, შეიძლება ჩემს თავს ვეძებდი, მე ხომ სულ ჩემს თავს დავეძებ უამრავ, უამრავ, უამრავ სხვის სახესა თუ სხვის სიტყვებში რომ დამკარგვია უიმედოდ. სიმარტოვე იმ ქვეყანასავითაა, ანუ ყველასგან და ყველაფრისგან მოწყვეტილი და მოშორებული ხარ. თუმცა, ეს ქვეყანა და ის ქვეყანა ხშირად მერევა ხოლმე, თუნდაც იმიტომ, რომ იმათთან უფრო დიდხანს და უფრო დიდი ხალისით ვსაუბრობ, ვინც დიდიხანია ამ ქვეყნად აღარ არის. იტყვიან, სიმარტოვის წამალი სიყვარულიაო. სიყვარულის ჭიდან მე ყოველთვის გვამები ამომქონდა ხოლმე, აი, ახლაც, მესმის, როგორ ჭრიალებს ოწინარი. მძიმედ, ძალიან მძიმედ. ყოველთვის მეშინოდა ამ ხმის, ამ ჭრიალის. ამ დროს იწყებოდა ჩემი ტკივილიცა და სიხარულიც ერთდროულად, რასაც, ჩვეულებრივად, სიყვარულს ვეძახით. მეშინოდა კი იმიტომ, რომ ბოლოს მაინც მარტო ვრჩებოდი, მართლაც, პარკის გედივით და საშინელი ეჭვი გაავსებდა ხოლმე ჯერ ჩემს გულს, მერე ჩემს ბინას, მერე მთელ სამყაროს: ვინ, ვინ გვეტყვის დაბეჯითებით, რომ სწორედ ეს, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, არ არის საიქიო?!.

**პაუზა**

- ღმერთო, რა კარგია სიცოცხლე, როცა არ იცი, რომ ცოცხალი ხარ!..

**მეზობელ ოთახში რაღაც ტყდება.**

- დაიწყო!

**ისმის ჯოხის კაკუნი.**

- დაიწყო, დაიწყო! აღარ შემიძლია, ისევ თავიდან, ისევ თავიდან!.. აღარ შემიძლია!..

**ბინაში შემოიპარება, შემოიძურწება მონადირე: ძალიან ფრთხილად დადის, თითისწვერებზე. გულდასმით ჩხრეკს ყველაფერს, თოფის ტუჩით ქექავს თეთრეულს. საწოლის ქვეშ იხედება, კარადის უკანაც.**

ჯოხის კაკუნი ახლოვდება.

რეკავს ტელეფონი.

თანდათან ბნელდება.

*28.8.02*

დასასრული

## ხვედრი

მე არ ვიცი, ბედისწერა გერქვა
თუ „უთქმელი, უცნაური ღმერთი...“
ბეწვის ხიდზე გავდიოდით ერთად,
უხილავი, მომყვებოდი გვერდით.

წყალობასაც, სიმკაცრესაც ერთგვარს
თოვდი, როცა ჩემს ბედის წიგნს წერდი:
დაებედოს — თითქოს ასე გეთქვას —
სიმართლისთვის განდევნილთა ხვედრი!..

●

მე? — არაფერი...
მე უბრალო მსხვერპლი ვარ მხოლოდ
იმ გაუგებარ სინამდვილის,
რომელშიც ვცხოვრობ...

გამწირეს —
პასუხს არ ვითხოვდი არავისაგან
და მტრისთვისაც კი
მოველოდი
ხსნას,
ხსნას ღვთისაგან.

მე? — არაფერი!..
მე... მორიგი მსხვერპლი ვარ მხოლოდ
იმ დაუნდობელ სინამდვილის,
რომელშიც ვცხოვრობთ!..

## რკინის ხელები

დაალამეს —
მიწას ტყვიის ხუფი მძიმედ დაახურეს —
სახურავი დააჭედეს კუბოს —
რკინის ხელებმა
.......................................
ნეტავი თქვენ —
თქვენებურად
თავისუფლად
მსუბუქად და
უტკივილოდ
რომ ეშვებით
ქვაფენილზე
ფ
ო
თ
ლ
ე
ბ
ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „უმადური“

ცეცხლით, მახვილით,
კეტით, მათრახით
მდევნის სატანა —
„კეთილ განზრახვით“,
რომ მაზიაროს
„მონობის სიბრძნეს!“ —
მაგრამ... მე მაინც
ვერაფრით ვიგრძენ
ხიბლი მახვილის,
მადლი მათრახის...
ეჰ! —
ლაპარაკი
ჩემთან
არცა ღირს!..

## უარყოფა

„გველებით ფეხებდაგესლილი, გველებს მივათრევ...“
შარლ ბოდლერი

წუთისოფელო, შე ჭრელო გველო,
არც ერთგულება, არც სხვა სიკეთე
უანგაროდ და დაუყვედრებლად
ჩემთვის არა და არ გაიმეტე.

არც მე დავეცი შენს წინ მუხლებზე,
არც მე დაგახევ კალთას ვედრებით,
არც გამახსენო ლურჯი სიზმრები,
განშორებები და შეხვედრები!

არც შენს შხამს შევსვამ და არც შენს შარბათს,
მშვენივრად ვხედავ, გუნდრუკს ვის უკმევ,
უნდა უარგყო, როგორც უარმყავ,
მე შენგან უნდა გავთავისუფლდე!

## სიკვდილთან თამაში

არცა შაჰ-აბასები,
არცა ალი-ფაშები
არ მსურს გავიბატონო...
სიკვდილს ვეთამაშები...

არც იუდას ვერცხლები,
არც ორპირთა ტაშები
არ მსურს, ჩემო ბატონო...
სიკვდილს ვეთამაშები...

ვერა, ვერ მაყვარებენ
წამლით ექიმბაშები
ბოროტებას, სიძულვილს...
სიკვდილს ვეთამაშები...

•

შავი სიბნელე რად გაშინებს
ბავშვივით, ნეტავ?

თეთრი სიბნელის გეშინოდეს
სიკვდილზე მეტად!..

•

შენ — შემოდგომის ოქრო და ქარვა,
მე — იანვრის დღე, მკაცრი და ქუში...
წლები, რომლებიც წაიღო ქარმა,
სევდით მოჰქარგეს ფიფქებმა სულში...

დღეს მეოცნებე მე უკვე არ ვარ,
არ აყვავდება იმ გზაზე ნუში...
შენ — შემოდგომის ოქრო და ქარვა,
მე — იანვრის დღე, მკაცრი და ქუში...

•

თოვლში სასოწარკვეთის
ნამსხვრევები ბრწყინავენ,
მიჰქრის თავგანწირული
ვარსკვლავების მდინარე

და შორ, მაღალ სივრცეებს
უხმობს სასოწარკვეთა —
ცრემლი, თვალს შეყინული,
ცივ, დამსხვრეულ სარკეთა...

## ღმერთი დაუვიწყებიათ

ძველ გაგრას და ახალ ათონს
ძველი ხიბლი აღარ ათბობს.

ძველ გაგრას და ახალ ათონს
აღტაცება აღარ ათოვს.

ძველ გაგრას და ახალ ათონს
სიბნელე და ნისლებია,

რახანია, რაც სიკეთის
სხივი აღარ ღირსებიათ!

აღტაცება აღარ ათოვს,
სიყვარული აღარ ათბობს,
ღმერთი დაუვიწყებიათ
ძველ გაგრას და ახალ ათონს!..

## გზადაკარგულნი

უცხო ბილიკი ფეხს არ იკარებს,
ეს... დედამიწა თითქოს არც არის...
ღმერთო, გვიხსენი და შეგვიწყალე,
ოდენ ფერფლი ვართ, ოდენ ნაცარი...

შემოგლალადებთ განწირულები
სასოწარკვეთის უფსკრულებიდან,

დამარცხებულებს და განდევნილებს,
გზა დაგვეკარგა, დღე დაგვებინდა...

მიდის უმზეო წუთისოფელი —
თითქოს არის და თითქოს არც არის!..
შენ აღადგინე, ფერფლით, უფალო,
რწმენა ჯვარცმული, გზა ნახანძრალი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმძიმესი ტვირთი

ღმერთო! შენს გარდა სხვა მფარველი არ გამაჩნია,
არ გამაჩნია სხვა სიმდიდრე, გარდა სიმართლის,
მაგრამ ჰინათლეს ბნელზე ჯერ არ გაუმარჯვია,
და ეშმაკისგან ყოველივე ვიდრე იმართვის,
არის გოლგოთა მართალთათვის
და ანათემა —
ვინაც ეშმაკის უარყოფას ბედავს, იმათთვის...
არ მეგულება უფრო მძიმე ტვირთი ამქვეყნად,
თავგანწირული ერთგულება ვიდრე სიმართლის!

## მკლავს ჩემი ხალხის ჩაკლული სული

მე არც შიში მკლავს, არც სიძულვილი,
თუმც დამარცხების ჩრდილი გვფენია,
თუმცა, ნასროლი საქართველოსთვის,
გულს ერთი ტყვიაც არ ასცდენია —
მკლავს მათი ურცხვი ღრეობა, ვინაც
სვა ერის სისხლი, ჭამა სხეული,
მკლავს ჩემი ხალხის ჩაკლული სული —
ზეცა, გოდებით ჩამოქცეული...

## ვალერის — უდროოდ დაღუპულ ძმას

მხოლოდ თოვლის საბანი,
მხოლოდ ცივი ბინა...
დედის ცრემლით განბანილ
სამარეში გძინავს...

მხოლოდ შავი ფიქრები,
მხოლოდ თოვლის შუქი...
არ მოდიხარ სიმღერით
სოფლის ვიწრო შუკით...

მხოლოდ ღამე ტიალი,
მხოლოდ შავი სევდა...
შენს საფლავთან მტირალი
უბედური დედა...

მხოლოდ თოვლის საბანი,
ცივი, უცხო ბინა...
ნაბრძოლს მღვრიე ენგურთან
სამუდამოდ გძინავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღმერთო, გვიხსენი!

მტერმა აჩეხა ბაღიც, ვენახიც,
ღმერთო, დიადო, ნუ მიგვატოვებ,
ჩვენი პატრონი მხოლოდ შენა ხარ,
მხოლოდ შენა ხარ ჩვენი ბატონი.
გზანი დავკარგეთ თამარისანი —
სამეგობრონი, განა სამტრონი,
მზე აღარ გვათბობს თავისუფლების,
ღრუბელნი დიან დღეს საავდრონი.
იავარქმნილი, აოხრებული
კუთხე დავკარგეთ და მივატოვეთ —
ნუ მიგვატოვებ მაინც, უფალო,
მამულში მტერს ნუ გაგვიბატონებ!

## მხარე ლამაზი სხვისია, სხვისი!

„რომელი მეფე ერეკლე მე ვარ,
ანდა რომელი მსაჯული მისი!..“
**მუხრან მაჭავარიანი**

არც მე გახლავართ მეფე ერეკლე,
არც მე გახლავართ მსაჯული მისი,
არც ნესტანი ვარ, არც თინათინი,
არცა ფატმანი და არცა ვისი!

მე არც იესო ქრისტე გახლავართ,
რომ მატვირთვინოთ ცოდვები სხვისი,
არც სატანა ვარ — თქვენგან განდევნის
და ანათემის რომ ვიყო ღირსი!

მე ვარ დევნილი ჩემს სამშობლოში,
დაკარგულ სახლით, ცარიელ ქისით,
დიდი ხანია, დიდი ხანია
მხარე ლამაზი სხვისია, სხვისი!

სხვის ტახტს არ ვეძებ,
ჩემს მთებს ვდარაჯობ —
მე წინაპართა ანდერძი ვიცი.

## თეთრი სიბნელე
## (ანუ თავისუფლების რეკვიემი)

მიგასვენებენ და პროცესია უხმო უცრემლო მიჰყვება გზისპირს
მიგასვენებენ — ქვითინის ნაცვლად ზურნა-დუდუკის ჭყვიტინი ისმის
მიგასვენებენ — მიიმღოვრება თეთრი სიბნელით მთვრალი მდინარე
მიგასვენებენ — არავინ იცის ვინ იმარხება მკვდარი ვინ არის
მიგასვენებენ — სადღაც სიზმარში დაბზარულ გოდოლს გააქვს ზანზარი
ღრეობს ხარხარებს ზეობს ზიმზიმებს ამაოების ჭრელი ბაზარი
მიგასვენებენ — მზე დახვრეტილი ულონო ციდან მკვდარ სხივებს ისვრის
უფსკრულის გვერდით ბრმა პროცესია ცეკვა-სიმღერით მიჰყვება გზისპირს.

მიგასვენებენ

## დამარცხებული მუსიკა

„იღრიალე იღრიალე იღრიალე იღრიალე...“
**ტრისტან ტცარა**

ყოველ ნაბიჯზე
ხმაჩაწყვეტილი ყვირილია
ყოველ ნაბიჯზე
მუსიკაა
ფრთებდამსხვრეული
გათელილი
ხელგამოწვდილი

ო თავდახრილო მათხოვარო
სევდიან ჰანგთა ჯადოქარო
მაგ სიმებივით მოწკრიალე ვარსკვლავეთიდან
სასოწარკვეთის უფსკრულებში დანარცხებულო

მუსიკავ
მასხრად აგდებულო
დამარცხებულო
ი ღ რ ი ა ლ ე
მ ი წ ა  დ ა ი მ ს ხ ვ რ ა

გაქვავებული ოცნებების
გაოგნებული დუმილი და
თვალს შეყინული ცრემლებია
ყოველ ნაბიჯზე

## სული

„როდესაც სული დაიწყებს კივილს...“
**თამაზ ჭილაძე**

როდესაც სული სივრცეში გადის,
სხეული რჩება უაზროდ, მარტო,
ყურს უგდებს გარესამყაროს ქადილს
და არყოფნაზე ფიქრებიართობს.

ვიღაცას ნებავს, გაქციოს ხორცად,
სხვას შენი სისხლიც კი მოუნდება...
გული კი მაინც იმედით ცოცხლობს,
რომ ერთ დღეს სული შინ დაბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაო, ჭადარო?..

ახლოვდებიან
სიძულვილის ლეგა ღრუბლები...
შენ კი, ჭადარო,
სიყვარულზე მესაუბრები!..

გახუნებულა
მშვენიერი შენი ზღაპარი,
გვეძებს სიკვდილი,
არსად არის თავშესაფარი...

ძლიერდებიან
სიძულვილის ლეგა ღრუბლები...
რაო, ჭადარო? —
კვლავ... სიზმრიდან მესაუბრები?..

## გზა გაგვინათე, მეფეო დავით!

ვმოძღვრავდი ჩემს თავს: „სულელი ნუ ხარ!"
და აი, სიბრძნეც, მეფეო დავით:
თურმე, ვისაც კი სალამი ვუთხარ —
ჩემი ბატონი ეგონა თავი!

მე დამარცხებულ სამშობლოს ვწუხვარ,
მწუხრს გაუშლია დროშები შავი,
ჩვენს სახლთა ხანძარს, ვითარცა ბუხარს,
მიჰფიცხებია ვიღაცა, დავით!

ნუთუ პასუხი არ უნდა გავცეთ,
როცა მუქარით ეშმაკნი ყეფენ?
გვითხარი სიტყვა, ღვთის სიტყვის მსგავსი,
და გაგვინათე გზა ხსნისა, მეფევ!

## ილია ჭავჭავაძის საფლავთან

გძინავს, მტრისგან გათვალულს,
მოტყუებულს, მოთენთილს...
საყვარელო მამულო,
ოჰ, როდემდის, როდემდის?..

დამონებულს, გაყიდულს,
გიხმობდი და ვგოდებდი,
ეს ორასი წელია:
— ოჰ, როდემდის, როდემდის?!.

ღალატებით გადაღლილს,
სულს არ შეგიშფოთებდი,
ხრამთან რომ არ გეძინოს...
ოჰ, როდემდის, როდემდის?..

იმიტომაც გამწირე,
მტრის უბეში რომ თვლემდი...
მამულო, საყვარელო,
ოჰ, როდემდის, როდემდის?!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ ჭილაია

# მოთხრობები

## დეპუტატი

ანთიმოზ ივანიჩი იმ კუთხის ყოველი მცხოვრებისთვის ცნობილი იყო. არათუ პროვინციაში, დიდ ქალაქებშიც კარგ ექიმს ყველა იცნობს. ანთიმოზ ივანიჩი კი კარგი ექიმი იყო. დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, ქართულისათვის უცხო მიმართვის ამ ფორმას რატომ იყენებდა დიდ-პატარა მასთან ურთიერთობისას. ალბათ, გამორჩეული პატივისცემის ნიშნად, ისე, დაბადების მოწმობაში თამაზი ეწერა. მთავარი ის იყო, რომ პატივს სცემდნენ, ეიმედებოდათ და უყვარდათ კიდეც. ისიც გულისყურით ეკიდებოდა ყველა მომსვლელს, მომსვლელი კი ბევრი ჰყავდა.

ამბულატორია, რომელშიც ანთიმოზ ივანიჩი ილვნოდა კარგა ხნის ყავლგასულ ერთსართულიან შენობაში იყო განთავსებული. მოსაცდელში ბევრთაგან ნაპრიალები მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ორი სკამი იდგა. იმ დღესაც, როდესაც ელიკო ამბულატორიაში შევიდა, ერთ-ერთზე თვალებჩაწითლებული, ასე ორი კვირის სამართებელუნახავი კაცი იჯდა.

ანთიმოზ ივანიჩს დღეს მიღება აქვს? — იკითხა ქალმა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია ოთახში შევიდა. ექიმი რაღაცას წერდა, მერე თავი ანია და ანიშნა, დაჯექიო. ელიკო დაემორჩილა უსიტყვო ბრძანებას, მოსაკითხით სავსე მოწნული კალათა გვერდით მიიდგა.

— რას უჩივით, — ათასგზის დასმული კითხვით დაიწყო ექიმმა.

— მე, ანთიმოზ ივანიჩ, სნეული ვარ, გული მიწვრილდება, ზეზეურად ვხმები ქალი.

— ზეზეურად? როდიდან უჩივით ამგვარ მოვლენებს.

— მარიამობის თვიდან. მას აქეთ სნეული ვარ. მას აქეთ რაც შავ-გოგია, ჩემი მეუღლე, ქალაქიდან ჩამოვიდა. ჩამოვიდა და ცუდად შევიქენი. სამზარეულოში ვფუსფუსებ, ხინკლის ცომს ვზელ, შავ-გოგიას ხინკლები უყვარს. თანაც ვფიქრობ, ჩემი მეუღლე რა ხანია თბილისშია, დეპუტატია, დიდი კაცი, ჩემნაირ ხინკალს იქ ვინ მოუხვევს...

— მოიცა, მოიცა, ხელის აწევით ანიშნა ანთიმოზ ივანიჩმა, ნუ გააჭენე, ის მითხარი, რა გტკივა, რას უჩივი?

— აკი მოგახსენეთ, სამზარეულოში ვარ და ცომსა ვზელ, ამ დროს მეზობლის რძალი შემორბის, მუსიკის მასწავლებელი და მიყვირის — ჩამოვიდა, ჩამოვიდა, ჩვენი დეპუტატი ჩამოვიდა! მუხლი მომეკეცა, გული საგულედან ამოხტომას ლამობს. ვდგავარ და გამალებით ვახვევ ხინკლებს... მივაგდე ყველაფერი, ფქვილიანი ხელებით გამოვვარდი ეზოში. გარეთ მზიანი დარია, ირგვლივ ამო ჰაერია, ჩვენი დიდდეზებიანი მამალი მეზობლის დედალს საეჭვოდ მისდევს, უნაბისფერი ბოჩოლა კუდით ბუზებს იგერიებს იმ მსხლის ხეზე მიბმული, შავ-გოგიას რომ უყვარს.

— კმარა!! ხმის აწევით აჩერებს ანთიმოზ ივანიჩი პაციენტს, საქმეზე გადადი, რას უჩივი, რა გტკივა.

— როგორც მოგახსენეთ, პატივცემულო, ოღონდ ნუ გამიწყრებით, თქვენი ჭირიმე. გამოვდივარ ეზოში, გულს დაგადუგი გააქვს, ენა მებმის. ჭიშკართან შავ-გოგია დგას უცხოურ სამოსში, ჭრელი გალსტუკით, დეპუტატის სამკერდე ნიშნით ავ თვალს არ ენახვება. მანქანიდან რაღაც ფერადი ყუთები გადმოაქვს. როგორ არ ჩავიკეცე ღობესთან, ვერ გეტყვით. იმ ყვავილებიან გალსტუკს რომ შევხედე, გავიფიქრე — ამის მერე ეგ კაცი ჩემთან დაწოლას მოინდომებს?! მივაშტერდი გალსტუკს, ვერც წინ მივდივარ, ვერც უკან. სად დეპუტატი, სად მე? ერთი უბირი დედაკაცი როგორ გაუტოლდება ამხელა კაცს. ისევ გაქვავებული ვდგავარ ერთ ადგილას, თვალს ვერ ვაცილებ ყვავილებიან გალსტუკს და ვფიქრობ — გადამივიწყა, გადამეჩვია კაცი, გალსტუკით დადის, დეპუტატია! მზემოკიდებული, წვრილწელა ჟურნალისტი გოგონები ალბათ ყოველდღე აძლევენ მასალას მის შესახებ ნაირ-ნაირ გაზეთებში. ამ დროს მეუღლის ხმა მაფხიზლებს — „სალამი მაინც მოგეცა ქალო. ანარადა, რა გაუნათლებელიც იყავი, ის დარჩი, ნეტა შენთან რა უნდა მქონდეს საერთო. რაზე უნდა გელაპარაკო — ინგლისური შენ არ იცი და კომპიუტერი, ინტერნეტი — რაიონულ ცენტრში უწლოვანთა ინტერნატი რომ არის, ის გგონია. სეკვესტრზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. სხვა ჩემ ადგილას უეჭველად მიგანებებდა თავს უწიგნურობისათვის." გაქვავებული ჩემთვის ვბუტბუტებ: მართალი ხარ გოგიავ, მართალი, მიმატოვებ და სწორიც იქნები, ვის მოვუნდები ასეთი. ის კი ნაზად მხვევს ხელს მხრებზე და შემპარავი ხმით მეუბნება: „გეხუმრე ქალო, გეხუმრე, აზრადაც არ გაივლო აუგი." ისევ მომეკვეთა მუხლი, გული საგულედან გადმოხტომას ლამობს. წურას უკაცრავად, ვეუბნები ჩემ მეუღლეს — ფრანგულში, სკოლაში სწავლისას, სულ ხუთები მყავდა, „ვისრამიან-

იც“ ზეპირად დამასწავლა ცხონებულმა ბებიაჩემმა და „უსწორო კარაბადინიც“ თავით ბოლომდე ხელით მაქვს გადაწერილი ჭრელ ბლოკნოტში. ასე რომ, წურას უკაცრავად.

ანთიმოზ ივანიჩმა ნერვიულად ჩააქრო მორიგი სიგარეტი საფერფლედ წოდებულ თავმოკვეთილ თუნუქის ქილაში და განწირული ხმით მიმართა ელიკოს — მოათავე ქალო ზღაპრები, მითხარი რა გტკივა!

— ტკივილით ალარაფერი. ახლა უკვე კარგად ვარ! ჯანმრთელობას არ ვუჩივი. შავ-გოგიამ მითხრა — გეხუმრეო. ე.ი. გამეხუმრა არა? — ანთიმოზ ივანიჩმა ღრმად ამოისუნთქა, სახეზე ცუდად ნათამაშევი სიმშვიდის ნილაბი მოიმარჯვა და ასევე ძალდატანებითი ღიმილით კბილებში გამოცრა — გეხუმრა, გეხუმრა, რა თქმა უნდა, გეხუმრა. აბები ხომ არ გამოგიწერო?

— არა, არ შეწუხდეთ, პატივცემულო, ძალიან მადლიერი ვარ თქვენი რჩევისათვის, ნამდვილად შვება ვიგრძენი. დაწნული კალათა ექიმის მაგიდასთან მისწია და კარისკენ გაემართა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, მსწრაფლ მოტრიალდა და გულდაწყვეტით ამოიოხრა — ჯანმრთელი კი ვარ, მაგრამ ეს სამიწე „შეკვესტრი“ რაღა დოზანაა, სკოლის მასწავლებელს ხომ არ დავეკითხო?

— რაღა თქმა უნდა სკოლის მასწავლებელს, უსიკვდილოდ სკოლის მასწავლებელს, — სიხარულით წამოიძახა ანთიმოზ ივანიჩმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მედიცინა უძლურია!

## ექსპერტიზა

მას მერე, რაც ჩვენში დასავლური ცხოვრების წესი დაინერგა ან უფრო სწორად, აქტიურად ცდილობენ დანერგონ, ბევრი რამ სასიკეთოდ იცვლება. უკიდურეს შემთხვევაში, ცდას არ აკლებენ. სრულიად არ არის საჭირო ჯერ უცხო ქვეყანათა საელჩოებთან ღამისთევა, შემდგომ სამოგზაურო ბიუროში სირბილი, რათა შეიგრძნო თუნდაც ამერიკული სული. ერთი კოლოფი ან სულაც ერთი ღერი სიგარეტი (დასახელებას შეგნებულად გავურბივარ, რე-კლა-მა!) იყიდე, ვაჟკაცური ნაფაზი დაარტყი და უკვე იქა ხარ (შტატს ან ოლქს მაგალითად, უოშინგტონ D.C., მნიშვნელობა არა აქვს)! საგრძნობლად იკლო მოსწავლეთა შორის (განსაკუთრებით მაღალ კლასებში) მათემატიკაში ჩამორჩენილთა რიცხვმა. საბაზრო ეკონომიკას, შოკურ თერაპიასთან ერთად, სიკეთეც მოაქვს. ლარ-დოლარ-ევროში ფულის გადაყვან-გადმოყვანა ან გადახურდგადმოხურდავება ზუსტ მეცნიერებებზე პასუხისმგებელ ჰემისფეროს მნიშვნელოვნად ააქტიურებს.

ქვებუდანი უნდა იყო, რომ არ იგრძნო რარიგ სათუთად ეპყრობიან ტრანსნაციონალური კომპანიები ეროვნულ ღირებულებებსა და ნაციონალურ ტრადიციებს. ქალის კულტი ჩვენში ოდითგან გამორჩეული იყო. ამის გათვალისწინებითაა, რომ სახელმწიფო თუ კერძო ტელევიზია დროს არ იშურებს როგორმე მაინც შეეხიდოს მანდილოსნებს მათთვის კრიტიკულ დღეებში. ის კი არა, ზოგჯერ მეც, სახლიდან გასვლსას ეჭვი მღრღნის, არა, თქვენ რომ გაიფიქრეთ ის — არა. კრიტიკული, რა თქმა უნდა, პირდაპირი გაგებით დღეები მამაკაცებსაც მოგვიხშირდა ამ ბოლო ათწლეულში და ეგებ ჩვენც გვისაშველოს ვინმე ღვთისნიერმა. აი, ისეთი რამე მოიგონოს, როგორც ნაბახუსევს ბორჯომი რომ არის. დალევ ამგვარ ღვთიურ სითხეს და ორიოდ წუთში ჩირად აღარ გიღირს, რომ კარში ლამაზად გაკეცილ ელექტროკომპანიის საგადამხდელო ბარათზე შენი სარგოს გაათმაგებული რიცხვია ამობეჭდილი. თანაც, ვიღაც კეთილადაღზრდილის მიერაა ბარათი შედგენილი, დიდი მზრუნველობით. ხაზგასმით აწერია — ამა და ამ რიცხვს არ გადააცილოთო ჩვენთან მობრძანება.

ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა თუ მუნიციპალური არა, კერძო სტრუქტურათა ფიქრი და ზრუნვა თანამოქალაქეებზე. ერთ-ერთმა მამამ ბრძანა (წმიდა მამას რომ არ ვგულისხმობ, ალბათ მიხვდით) ისეთი მალეფუჭებადი პროდუქტის, როგორიც ქინძი და ოხრახუშია, ქუჩაში გაყიდვა როგორ შეიძლებაო, მოსახლეობას, ღმერთმა დაიფაროს, რაიმე რომ შეემთხვეს, პასუხს ვინ აგებსო. ჰოდა, ქალაქის საჩინო ადგილიდან მოვაჭრენი დაიფრინა და იმავ ადგილას ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეთი ბენზინ-ზეთ-ნავთ-გაზ გასამართი სადგური წამოჭიმა. არაა ეს ზრუნვა თანამოძმეებზე? სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, დანტისტები (დანტეს შემოქმედების მკვლევარნი არ გეგონოთ!!) ანუ კბილის ექიმები პირდაპირპროპორციულად ყოფილან მიბმულნი ცივილიზაციას. რაც უფრო უხარისხო და უხეში საკვები ჰქონია ერს, მით უფრო სალი კბილები სჭირდება თურმე. საჭმელ-სასმელი ჩვენ არ გვესწავლება და ამიტომაა, ჩვენში იმდენი დანტისტი ანუ კბილის ექიმი გვეყოლება მალე, რამდენი სამკურნალო კბილი შეიძლება აღარც დარჩეს რესპუბლიკაში. არ გეგონოთ სიტყვა გამექცა ან აზრს ვერ ვუყრი თავს. პირაქეთ, კიდევ ერთ, მოქალაქეთა ჯანშეუხებლობის სადარაჯოზე მდგარ კოლექტივზე (კოლმეურნეობებმა ჩაილურის წყალი რომ დალიეს, ხომ გახსოვთ!) მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ. კბილის ექიმებიც ტყუილად არ მიხსენებია, კბილი უსაკვებოდ და საკვები უკბილოდ ისევეა, ვითარცა აპარატის მუშაკი, ფიჭური აპარატის გარეშე (აპარატი რაც უფრო ძვირიანი იქნება, უკეთესია). ჰოდა, იმის თქმა მინდა, რომ შ.პ.ს. „G.F.S.“-ს ჩვენებურად „საქსაკვებ სტანდარტის“ ორი პირის საწარმო „ვარსკვლავთცვენა 001“, ასევე ილვწის ჩვენ ჯანშეუხებლობაზე. უფრო სწორი იქნება — ჯანსაღობაზე. ამის ერთ-ერთი პირობაა ჯანსაღი საკვები, რომლის მაწიერებას, ეკოლოგიურ თუ სანიტარულ სისუფთავეს, შენახვის წესსა და ვადებს სწორედ

უკვენახსენები ორი პირის საწარმო „ვარსკვლავთცვენა 001" (შემდგომში, სიმარტივისათვის, ნახმარი იქნება „ვარსკვლავები"), ადგენს. მხოლოდ მათი დასტურითაა შესაძლებელი ნებისმიერი საკვები პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა.

საწარმოს დამფუძნებელი მართლაც ორი პიროვნებაა, მაგრამ ამ უდავოდ პასუხსაგებ და შრომატევად საქმეს ორი ადამიანი ვერ აუთავდებოდა. ამიტომ საწარმოს პრეზიდენტის, ქალბატონ მადონა ცუცნაშვილის ბრძნული გადაწყვეტილების შედეგად, გაფორმდა ხელშეკრულება „ვარსკვლავებსა" და ამჟამად ნაკლებადდატვირთულ დიეტოლოგიისა და კვების ჰიგიენის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის 3 ლაბორატორიასთან. ამ ხელშეკრულებით ლაბორატორიამ ახალი სიცოცხლე დაიწყო. „ვარსკვლავები" ლაბორატორიას გამოსაკვლევად აწვდიან საკვებ პროდუქტებს, ხდება მათი შესწავლა-დაჭაშნიკება. დადებითი ანუ საკვებად ვარგისიანობის დასკვნის შემდეგ, ახლა უკვე „ვარსკვლავები" გასცემენ ლიცენზიას ამა თუ იმ პროდუქტის რეალიზების შესახებ. კმაყოფილნი არიან 3 ლაბორატორიის თანამშრომლები, კმაყოფილია „G.F.S.", კმაყოფილია მომხმარებელი.

დემოკრატიაშეტკბობილ ქვეყანაში, ჩვეულებრივ მომხმარებელს ეს ყოველივე ნაკლებად აინტერესებს. აი, დემოკრატიისაკენ მიმსწრაფი ქვეყნის მოქალაქე კი შეიძლება ყოფითი პრობლემებით ოდნავ შეჭირვებული იყოს, მაგრამ გლობალური ინფორმაციის მოპოვებისა და ცოდნის მხრით უცილობლად დაჯაბნის პირველს. ღრმად მეეჭვება, რომ ე.წ. საშუალოსტატისტიკურმა სკანდინაველმა იცოდეს რა არის ფიდერი, იცოდეს ის ჯადოსნური სიტყვა, რომელიც უკუსვლით ამუშავებს ნებისმიერ მრიცხველს. ზედმიწევნით იცოდეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს აპარატის უფროსის მდივან გოგონას ოჯახური მდგომარეობა და მისი უსაყვარლესი სუნამოს მწარმოებელი ფირმის სახელწოდება. უინტერესო ხალხია ეს ჩრდილოელები, ზამთრით თხილამურები, ზაფხულში კი აფროსნობა, ესაა და ეს. ლირიკული წიაღსვლა კი იმისათვის დამჭირდა, რომ 3 ლაბორატორიის მუშაობაში მინდა ჩაგახედოთ ცალი თვალით. ტყუილად კი არ ამბობენ, ყველაზე მეტად ინფორმაცია ფასობს დღესო.

ომისა და შრომის ვეტერანი, დარგის წარჩინებული, ბიოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ადოლფ ტურძელაძე გახლავთ საბაზრო ეკონომიკის წყალობით თვითდაფინანსებაზე გადასული, ოდესღაც საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი დიეტოლოგიისა და კვების ჰიგიენის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის 3 ლაბორატორიის ხელმძღვანელი. არაერთი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების თავკაცი დღეს იძულებული შეიქნა შეეკრა მცირე, მაგრამ მის უერთგულეს მხარდამჭერთა და ნამონაფართა გუნდი.

გუნდის შემადგენლობა: ნაწლავში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ხორცისა და ხორცპროდუქტების საგემოვნო თუ სპეციფიკურ ნივთიერებათა, მათ შორის — ინოზინმჟავას, გლუტამინმჟავასა და საერთოდ ექსტრაქტულ ნივთიერებათა უბადლო მცოდნე, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი მერცია აბზიანიძე. რძისა და რძისგან მიღებული პროდუქტების ჯგუფის ექსპერტი, დოცენტი როზეტა პურადაშვილი და გუნდის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი, ბატონ ადოლფ ტურძელაძის რიგით პირველი ასპირანტყოფილი, კვების ჰიგიენის პროპაგანდისტი ზეიკო გელოვანი.

ცოდვა გამხელილი სჯობია, იურიდიული რეკვიზიტით ერთობ შთამბეჭდავი დასახელების უკან, სინამდვილეში ოდესღაც სახელგანთქმული ლაბორატორიიდან გაყიდულ-გაძარცვული ოთახილაა დარჩენილი. მხოლოდ უკეთეს დღეთაგან შემორჩენილი წარწერა მიუთითებს იმას, რომ აქ მართლაც საჭირო კვლევა წარმოებდა. ისევე, როგორც ბევრ სხვა საკვლევ-სამეცნიერო კერაში, აქაც თავის გადასარჩენად მხოლოდ საკუთარ ფხიანობაზეა დამოკიდებული ფიზიკური თუ სულიერი არსებობა. ამადაც იყო, რომ მესამელაბორატორიელებმა განგების ნიშანდებად მიიჩნიეს ქ-ნ მადონა (სახელს დაუკვირდით) ცუცნაშვილის მათთან, როგორც ახლა ამბობენ — დაკონტაქტება.

შეფუთულ-შეუფუთავი პროდუქტის საკვებად ვარგისიანობა გარკვეულ ეტაპზე, მისი საგემოვნო მახასიათებლების დაჭაშნიკებითაც უნდა დადგინდეს. ამ პროცედურას ვერ გაექცევი. აქედან გამომდინარე, ზეიკო გელოვანის წინადადებითა და ბ-ნ ადოლფ ტურძელაძის დასტურით, ასეთ შემთხვევაში ლაბორატორიის ყველა წევრი, თანასწორობის ნიშნად, ერთდროულად ატარებს ტესტირებას, ე.ი. მიირთმევს წარმოდგენილ პროდუქტს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს ქმედება ანალიზის საბოლოო ეტაპია, ამდენად, ნაკლებად სახიფათო. არაიშვიათად სასიამოვნოც კი. გარკვეულ უხერხულობას ის ქმნის, რომ ანალიზსდაქვემდებარებული „მასალა" შეზღუდული რაოდენობითაა და მისი ოთხ ტოლ ნაწილად გაყოფა ჭირს ხოლმე. ამგვარი ექსტრემული სიტუაციისას, წესისამებრ, ზეიკო გელოვანი იღებს ინიციატივას ხელთ და ურეკავს „ვარსკვლავებს" — არიქა, „მასალა" უკმარი რაოდენობითაა, დამატებით მოგვაწოდეთ, თორემ ტესტირებას ვერაფრით შევძლებთო. ისინიც იძულებულნი არიან დაეთანხმონ ექსპერიმენტატორებს. ერთია, გვიანი შემოდგომიდან მოტანებული, მასალის უკმარობის შემთხვევები რატომღაც გახშირდა. ამან ერთგვარი ეჭვიც კი დაბადა ქალბატონ მადონას ნაპროფკავშირალნამამაძალლარ-ნაეშმაკევ ცნობიერებაში, თავად ხომ არ მიირთმევენ სასინჯ ნიმუშებსო. თუმცა, იქვე უკუაგდო ეჭვი, ამაგდარი მეცნიერი, ნამდვილი აკადემიის წევრ-კორი როგორ იკადრებს ტყუილსო. აქვე, ის შემთხვევაც გაიხსენა,

ზეიკომ რომ დაურეკა, გერმანული სოსისის ნიმუში დამატებით მოგვაწოდეთ, თქვენს მიერ მოტანილი „ნოსტალგიამ“ შეჭამა, ლაბორატორიას შემოჩვეულმა კატამო.

კატა რომ ძეხვს ხან შეწვდება, ხან კიდევ ვერა, საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ძეხვეული ძლიერ უყვარს, გამორჩეულად ეტანება ვალერიანას ანუ კატაბალახას ნაყენსა თუ წვეთებს, მაგრამ ნუ იტყვი, თურმე კარაქზე შემწვარი ერბოკვერცხი და ყავაც ყვარებიათ კატებს ერთობ. ისე, რაღა დაგიმალოთ, ტაფამწვარი და ტკბილი ყავა მეც არ მძულს. ჰოდა, ჩემო ბატონო, ნახევრად უკაცრიელ, უსაშველოდ მაღალჭერიან, გაყინულ ლაბორატორიაში მთელი დღე ჯდომას სპეცმომზადება თუ არა, ორგანიზმის მკვეთრად გამოხატული თავდაცვითი მექანიზმების შემუშავება სჭირდება. შემუშავდა კიდეც, გამოცდილ თეორეტიკოსებს ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება თუ ხორცშესხმა (ხორცს ვერ ავცდით მაინც!) გაუჭირდებოდათ ვითომ? ცუდი არ გაიგლოთ აზრად! როგორც ერთხელ უკვე მოგახსენეთ, მოსახლეობის ჯანმეუხებლობაზეა საუბარი და პროფესიონალი თავს იმის უფლებას როგორ მისცემს შეუმოწმებელი დასკვნა გასცეს. ეგ კი არა, რობერტ კოხმა და კონრად რენტგენმა უპირველესად საკუთარ თავზე გამოსცადეს მეცნიერული მიგნებები და მხოლოდ ამის შემდგომ გაუზიარეს კაცობრიობას.

ერთ ბრჭყვიალა ჟურნალში ამოვიკითხე, იაპონიაში თურმე, სამსახურში მისული თანამშრომლები სამუშაო დღეს ხელმძღვანელისა და საკუთრივ ფირმის საქებარი ჰიმნით იწყებენო. კაცმა რომ თქვას, სრულებითაც არაა უცნაური. აბა, მარტო ბახუსხელჩაკიდებულმა უნდა უკმიო გუნდრუკი შენს უფროსს? სწორია, სამსახურში მისვლა იძულებითი არ უნდა იყოს. ხელმძღვანელზეც ბევრია დამოკიდებული, როგორ გარემოს შექმნის ქვეშევრდომებში. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მესამელაბორატორიელები ერთ მუშტად რომ არიან შეკრულნი, უცილოა. ახლაც ერთი ფაცი-ფუცი აქვთ „გოგოებს“. ახლოვდება ბატონი ადოლფის საიუბილეო, 75 წლისთავი. მისალოც ადრესთან ერთად, ჩაფიქრებულია ქ-ნ მერციას საგვარეულო რეცეპტურით ტორტის გამოცხობა.

ლაბორატორიის ქალთა კოლექტივში შემუშავდა სტრატეგიული გეგმა: 1. გადაიხედოს მეცნიერული ექსპერტიზის შემდეგ შემორჩენილი ნაშთი შაქრის, ფქვილის, რძის ფხვნილის, კარაქის, კვერცხის მიმართულებით. 2. ნაშთის არასაკმარისი ოდენობით აღმოჩენისას დაისახოს მისი შევსების გზები. 3. რეცეპტურით გათვალისწინებული არასტანდარტული ინგრედიენტების მოსაპოვებლად ანუ ბარტერის წესით მეზობელ ქუჩაზე განთავსებულ ჯიხურებში ოპერირებისათვის ყადაღა აეხსნას „ენ-ზეს“ (ხელშეუხებელ მარაგს). 2 და 3 პუნქტებზე პასუხისმგებელი — ზეიკო გელოვანი. 4. ფორსმაჟორულ სიტუაციაში, ხსნადი ყავის ნაშთისაგან, სპირტისა და არომატული ნივთიერებების დამატებით ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორს, ქ-ნ მერცია აბზიანიძეს დაევალოს [illegible] ახალი სახეობის „Мерцание“ [illegible] 5. ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების კურატორი — დოცენტი როზეტა პურადაშვილი.

აღწერა-ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა: 1. შაქრის ფხვნილის საჭირო ოდენობაზე 250 გრ. ნაკლებობა. 2. ტორტისათვის აუცილებელი უმაღლესი ხარისხის ფქვილის არარსებობა. 3. ცხიმოვანი ნივთიერების ე.ი. კარაქის საკმაო ოდენობა. 4. რძის ფხვნილის სტრატეგიული (ე.ი. საბარტერო) ოდენობით მეტობა. 5. საჭირო რაოდენობაზე სამი კვერცხით ნაკლებობა. ხელშეუხებელ მარაგზე ყადაღის ახსნისას აღმოჩნდა: ორი შეკვრა ცეილონური ჩაი, ერთი ბოთლი თურქული წარმოების ვაშლის ძმარი და რუსული შოკოლადის ორი ფილა — „აბა წამართვი“.

სურათი სასტარტო ანუ ტორტის ცხობისწინა მდგომარეობისათვის, არც თუ უიმედო აღმოჩნდა. არსებული რესურსები აქტიური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, საშუალებას იძლევა მიზნის შესასრულებლად. ერთია, დრო მოქმედებისათვის „გოგოებს“ შეზღუდული აქვთ. ეს ის ორი ასტრონომიული საათია, როდესაც იუბილარი კაბინეტად წოდებულ მოგრძო ტალანში იკეტება და მუშაობს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ოღონდ არ გამცეთ — სძინავს. ეს რეჟიმი კარგა ხნის დადგენილია და ისევე ჩვეული, როგორც საექსპერტიზოდ შებოლილი პროდუქტების წარმოდგენისას „ნოსტალგიას“ გამოჩენა.

ორი საათი ბევრიცაა და ცოტაც. ჩვეულებრივი რეჟიმისას, ამ ორი საათის განმავლობაში ხერხდება ყველა სატელეფონო ზარის გაკეთება, ნიკოტინის დღიური ნორმის 40% მიღება, სარიტუალო ყავის მოდუღება, ქალაქის უახლესი ჭორების დადასტურება ან გაქარწყლება და მრავალი სხვა წვრილმანი. ახლა კი ე.წ. „საიუბილეო რეჟიმში“ მუშაობისას, დრო ძალზედ შეიკუმშა. ყოველივე ზემოთქმულს უნდა დაემატოს დასაზვერად ზეიკოს მივლინება მეზობლად განთავსებულ ჯიხურებში, საბარტერო მოლაპარაკებანი და, რაც მთავარია, ეჭვშეუპარავი, მოტივირებული ზარი „ვარსკვლავებთან“ — მოსაკლისებულ პროდუქტთა დამატებითი „ექსპერტიზის“ ჩასატარებლად, ანუ შესავსებად...

— ქალბატონო მერცია, — აქოშინებული იწყებს საუბარს ზეიკო! ქალბატონო მერცია, ვილუპებით, ფორსმაჟორია, ფორსმაჟორი! მობილურზე ველაპარაკე მადონა ცუცნაშვილს. უამინდობის გამო გზები ჩაკეტილია, ტრანსპორტი ვერ მოძრაობს, სურსათ-სანოვაგით დატვირთული ტრაილერები დგანან, ტერმინალი ცარიელია, გაჩერებული არიან „ვარსკვლავებიც“. ვერც ფქვილს მოგვაწვდიან, ვერც შაქარს, ვერც კვერცხს.

— ზეიკო, ეგებ მადონამ რაღაც იეჭვა, შეწუხებული ერთვება საუბარში დოცენტი როზეტა პურადაშვილი.

— როგორ გეკადრებათ როზი, იეჭვა კი არა, აქეთ მამშვიდებდა, ისეთები ვუთხარი ტელეფონში. თქვენი ექსპერტიზა წყალშეუვალია, თქვენ შეცდომა არ გაგეპარებოდათ, არაფერზე ინერვიულოთო.

— არ იდარდოთ გოგოებო, რაღაცას მოვახერხებთ — ოპტიმისტურად იწყებს საუბარს ქ-ნი მერცია. მეზარებოდა, მაგრამ რას იზამ — **Придется создавать "Мерцание"**. დიდედასეული გაყვითლებული საოჯახო რეცეპტურათა წიგნაკი მაქვს, იქ მეგულვის ერთი ჩანაწერი. ცოტაოდენი არომატულ ნივთიერებათა დამატება, ცოტა თქვენი დახმარებაც და იმისთანა ლიქიორს დავამზადებ, სერიული წარმოებისათვისაც გამოდგეს იქნებ.

— ქალბატონო მერცია, როგორ მიყვარხართ, რომ იცოდეთ! — ფრთებს ისხამს ზეიკო. უარყოფითს დადებითი მოსდევს ყოველთვის. მართალია, „ვარსკვლავებს" ვერაფერი დავცანცლეთ, მაგრამ ჩემია ჯიხურები! დეიდა აზას ველაპარაკე, ლტოლვილია, პარალელურ ქუჩაზე ორი ჯიხური აქვს. ჩვენ მივაწვდით ნამეტ პროდუქტებს, ის კი გვაძლევს ფქვილს, ვანილსა და ნიგოზს. ოღონდ ხანდახან ტელეფონზე დასარეკად თქვენთან შემოვალ და უარს ნუ მეტყვითო.

— დარეკვაზე უარს როგორ ვეტყვით, გაოცებით ამბობს დოცენტი პურადაშვილი, მაგრამ შაქარი და კვერცხი საშოვნი გვრჩება.

— ჰო, მთავარი არ მითქვამს! — შუბლზე ხელს იკრავს ზეიკო და ისეთ ნაფაზს არტყამს, ანახევრებს ახალმოკიდებულ სიგარეტს. — ქალბატონო მერცია, ხომ იცით ჩემი ხასიათი, არ გამიჯავრდეთ, ლიქიორთან დაკავშირებით წინასწარ ორ ადგილზე მოვსინჯე ნიადაგი. ერთი, რომ დამკლათ მაინც არ ვიტყვი სახელსა და გვარს, ჩემი ყოფილი თაყვანისმცემელია, ალკოჰოლურ ბიზნესშია ჩართული. ასე მითხრა — თუ თქვენი, ე.ი. თქვენი — ქალბატონო მერცია, ლიქიორი მომეწონა ან ნოუ-ჰაუს ვიყიდი ან წილში ჩაგსვამთო. ხომ ზღაპრული იქნება, ეს რომ გამართლდეს, აღტაცებას ვერ მალავს ზეიკო და შემდეგი ნაფაზით ფილტრამდე ჩაჰყავს სიგარეტი.

— მეორე, მეორე ვინაა? — ქალურ ინტერესს ვერ მალავს ქ-ნი როზეტა.

— ვინაა კი არა, რაა — ნიშნისმოგებით ამბობს ზეიკო. — შაქარი და კვერცხია, გაწყდა კაცების სინსილა, სიგარეტი თუ დაგინახეს, ფოლორცი ჰგონიხარ ყველას. დეიდა აზას რომ ველაპარაკებოდი, ავნერვიულდი, სიგარეტს მოვუკიდე. მე რომ ვერ ვხედავ ისე, გვერდითი ჯიხურიდან ჯაყოს მსგავსი არსება მითვალთვალებს თურმე. წასვლისას ცელოფანის პარკს მაწვდის, აქ თქვენ რაც გნებავთ ის პროდუქტებიაო, ქალბატონო. თან დაამატა — საფასურზე არც იფიქროთ, იქნებ შემდგომში ლიქიორით გამიმასპინძლდეთო. გაწყდა ერთ დღეს ყველა კაცი. ისე, დეიდა აზამ არ დააკლო, მეგრული არ ვიცი, მაგრამ მივხვდი მაგარ-მაგრები უთხრა ჯაყოს მსგავსს. პარკი კი არ მიმაბრუნებინა, შენ უფრო გჭირდებაო-ეს, ასე მითხრა...

№3 ლაბორატორიაში მაგიდაზე [illegible] ტორტი დევს, საგანგებოდ გამოყვანილი წარწერით — „გილოცავთ"! ბატონი ადოლფ ტურძელაძე ბავშვური აღტაცებით ისმენს ცნობილი ინგლისური სიმღერის — „Happy birthday to you"-ს გარეკახურ ვარიანტს ქალთა გუნდის შესრულებით. დოცენტი როზეტა პურადაშვილი გულისფანცქალით ელოდება ბოლო აკორდს, რათა ილიაში ამოჩრილი ადრესი გაახმოვანოს. ქალბატონი მერცია მონდომებით ახდენს საღლეისოდ ერთობ იშვიათი კონტრალტოს დემონსტრირებას. ზეიკოს ერთი ნაფაზი, ნახევარ ქალაქად ულირს. სიამეშეპარული მღელვარებაა. ამ დროს გამყინავად რეკს ტელეფონი.

— არ დაგაცლიან ცხოვრებას, ბუზღუნებს ზეიკო, იღებს ყურმილს და თვალები უფართოვდება — არ მატყუებ, დედას გაფიცებ, მართლა?

— ქალბატონო მერცია, ქალბატონო მერცია, მოეწონათ, ლიქიორის რეცეპტურის ყიდვა უნდათ!

— უჩემოდ ვინ რას ყიდის! ახალი სასინჯი პროდუქტებით დახუნძლული შემოდის ქ-ნი მადონა ცუცნაშვილი, — ვცოცხლობთ, გზები გაიხსნა!!!

## თეთრი ბიზნესი

ზემო ქვედურეთის ბიზნეს აკადემიაში წინასაგამოცდო ციებ-ცხელებაა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც საფასურით ან უბრალოდ რომ ვთქვათ, ქრთამით შეიძლებოდა უმაღლეს თუ უმდაბლეს სასწავლებელში მოწყობა.

მოგეხსენებათ, უმაღლესი განათლებისკენ სწრაფვა საქართველოში, ტრადიციულად, პოპულარული იყო. ახლა, მითუმეტეს, მიმღები კომისიის წევრები ვერ უთავდებიან სწავლის მსურველთა განცხადებებს. აკადემიაში სწავლა ნახევრად უფასოა. ეს ფაქტორიც განაპირობებს აბიტურიენტთა მოზღვავებას. ყოველი განცხადება, საბოლოოდ, მისაღები გამოცდების პასუხისმგებელი მდივნის ბეჭედდასმით სრულდება, რომელიც გულდასმით კითხულობს ყველა განცხადებას. ზოგს ბეჭედს არტყამს, ზოგს კი უკან უბრუნებს განმცხადებელს. პასუხისმგებელი მდივანი ქ-ნი ანგელინა უაღრესად გამოცდილი და კრისტალური რეპუტაციის მქონე პიროვნებაა.

საბუთების უკან დაბრუნება პასუხისმგებელ მდივანს ყოველ მეორე თუ არა, მესამე ჯერზე მაინც უხდება. აკადემიის რექტორატის დადგენილების თანახმად, აბიტურიენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს 2 ფოტოსურათი, სრულწლოვანების ცნობა და სასკოლო მოწმობის დედანი. რაც მთავარია, გა-

ნცხადება უსიკვდილოდ მწვანე ფერის მელნით უნდა იყოს დაწერილი. სხვა შემთხვევაში, მიმღები კომისია მას ვერ ჩაიბარებს. ასეთია აწ უკვე პასუხისმგებელი მდივნის დადგენილება.

საბუთების მისაღები ოთახის კარიდან ზოგი გაღიმებული გამოდის, ე. ი. საბუთები ჩაიბარეს, ზოგს კი შიში და სასოწარკვეთა აღბეჭდია სახეზე.

სად უნდა ვიშოვო ახლა მწვანე კალამი, დარდშეპყრობილი კითხულობს ლაწვებშეფაკლული, უცხო გარემოს ჯერ ვერ გაშინაურებული, საგულდაგულოდ ნაწნავდაწნული გოგონა. ამას ნუ იდარდებ, ამხნევებს უკვე გამოცდილებამიღებული და ასევე სხვათაგან დაკვალიანებული თანააბიტურიენტი. ახვალ აკადემიის შენობის მეორე სართულზე, იქ სადაც გაზეთები და წიგნები იყიდება, იკითხავ დეიდა ცუცას, იმას უეჭველად ექნება.

დეიდა ცუცასთან, მეორე სართულზე ხალხმრავლობაა, ვერ ვიტყვი, პრესას მოწყურებულთა ან წიგნისმოყვარულთა მოზღვავება იგრძნობა-მეთქი, მაგრამ მწვანე კალმების ნეტარ მფლობელთა აშკარად კმაყოფილი სახეები საკმაოდაა.

— ქალბატონო ცუცა, მწვანემელნიანი კალმისტარი გვინდა, თუ შეიძლება ორი ცალი — ხმაში კრძალვაშეპარული თავაზიანობით მიმართავს გამყიდველს მორიგი აბიტურიენტის მამა.

— ინებეთ ორი ცალი, იქნებ „ვაჰ, დრონი, დრონიც" იყიდოთ, იცით რა გაზეთია და რა წერია შიგ?

— არა გმადლობ, ჩვენ კალმისტრებიც გვეყოფა.

მსგავსი სურათი მეორდება ყოველდღიურად, დილიდან 17 საათამდე, მიმღები კომისია ამ დროისათვის ამთავრებს მუშაობას. ის დღეც ასევე მთავრდებოდა, როდესაც დეიდა ცუცას ენერგიული, შუახნის ქალბატონი მიუახლოვდა:

— მწვანემელნიანი კალამი ხომ გაქვთ?

— კი ბატონო.

— რა ღირს?

— რვა ლარი და 40 თეთრი, — განაზებული ხმით მიუგო დეიდა ცუცამ.

— რვა ლარი და ორი აბაზი?! რა ამბავია, დავიჯერო თვითონ წერს განცხადების ტექსტს?

— შემოგევლოს დეიდა ცუცა, მე ერთ ლარადაც მოგცემდი, მაგრამ პასუხისმგებელ მდივანს რა ვუყო, რა მოვუყვე, — მობოდიშებით თქვა ცუცამ და იქვე იგრძნო, რომ საშინელი საიდუმლო გაამხილა.

აბიტურიენტის ენერგიული გულშემატკივარი ქალბატონი კი ვერ ფარავდა აღშფოთებას: ესაა განათლების რეფორმა? ესაა ავტონომიური მმართველობა? ესაა დამოუკიდებლობა? ამას გვასწავლის მსოფლიო ბანკი?

## გენდერული ტრეინინგი

წმინდა წერილი ბრძანებს — ქალი რომ ჩაივლის და თვალს გააყოლებ, ცოდვილი ხარო. სანდრო ფხაკაძე ამ მხრივ ცოდვილი იყო. თვალსაც აყოლებდა და თავადაც მიჰყოლია არაერთგზის მოწონებულ ლამაზმანს. ხშირად უმართლებდა კიდეც. ზოგნი ამბობენ მამრთაგან ამგვარი საქციელი იმდენად ღალატი არ არის, რამდენადაც გემის დაკარგვის შიშიო. მეძებარი კვალს რომ ველარ აიღებს, გინდ გყოლია და გინდ არაო.

უცნაური კაცი იყო სანდრო ფხაკაძე, ოჯახში სიმშვიდეს არაფერი ერჩივნა. მზე და მთვარე ამოსდიოდა თავის ქეთუთაზე, ქალბატონ ქეთევანზე, მის კანონიერ თანამეცხედრესა და ერთადერთი ნასათუთევი ქალიშვილის დედაზე. ახლა უფრო გაუმძაფრდა მეუღლის სიყვარული, თაფლობის თვის ბოლოს რომ იყო, იმგვარად. ამის მიზეზი ქალიშვილის ინგლისში სასწავლებლად გაგზავნაც გახლდათ. მარტონი რომ დარჩნენ, პირველხანებში ყურები ჩამოყარეს, მერე კი ისიც თქვეს, სულაც არ ყოფილა ტყუილი გაზაფხულის მეორედ სტუმრობაო. ეგ კი აოა, ქალბატონმა ქეთევანმა მეგობრის დახმარებით უცხოურ ფირმაშიც დაიწყო მუშაობა. ოჯახის მატერიალურ შეხიდებაზე სულ არ იყო საქმე, არ უჭირდათ, საკუთარი თავის თვითდამკვიდრებისათვის მჭირდება ესო — განუცხადა მეუღლეს და ისიც ოდნავი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა ქეთუთას. ღვთის მადლით, ის ფირმა, სადაც სანდრო ფხაკაძის მეუღლემ დაიწყო სამსახური, სულაც არ ითხოვდა აუცილებლად ოფისში ჯდომას. სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება და ანკეტის შევსება სახლში, ტელეფონთან ჯდომითაც იყო შესაძლებელი. ეს პუნქტი ძლიერ ელამაზებოდა ქალბატონი ქეთევანის მეუღლეს, ოჯახში სრული თანხმობა სუფევდა.

ოჯახში სიმშვიდე კი უყვარდა სანდროს, მაგრამ ბუნებით გარემარბი იყო მაინც. გარე-გარე ნავარდი მხოლოდ ჰობია ჩემთვისო, ღალატი რას მიქვიაო, არაერთხელ უთქვამს მეგობრებში.

იმ დღესაც პატარა ბიჭივით ატაცებული იყო, ხან ვისი ტელეფონის ნომერი გაახსენდა, ხან ვისი. ზოგი არ პასუხობდა, ზოგმა ოლონდ დღეს არა და ხვალ გულისფანცქალით გელიო. ზოგი მომსახურების ზონიდან აღმოჩნდა გასული. საბოლოოდ, არც ისე დიდი ხნის წინ გაცნობილმა ისეთი მუნათი დაადო — სად დაიკარგე ამდენ ხანსო, სანდროს ბოდიშის მოხდაც კი მოუხდა. ქალაქში არ ვიყავი, მაგრამ მაინც შენზე ვფიქრობდიო. ტელეფონზე პროზაულ საუბარს შეხვედრისა და ლაღობის პოეზია მოჰყვა. „პოეზიით" დაღლილს ისევ პროზა მოეძალა, საქმიანი შეხვედრა სულ ამომივარდა თავიდან, პარტნიორები რას იფიქრებენ ჩემზეო. ისე შეაცოდა თავი „პოეზიის" ქურუმს, ახლავე გაქანდი ოფისში, საქმე არ წაახდინოო.

მანქანაში რომ ჩაჯდა, სანდრომ მობილური ტელეფონი მოიმარჯვა და სახლში დარეკა. ავტომოპასუხემ თავაზიანად მიმართა — დატოვეთ თქვენი შეტყობინებაო. არ მოეწონა, ახლა მეუღლის მობილური მოსინჯა, იქაც გულგრილი

პასუხი მიიღო — აბონენტი ან გასულია მომსახურების ზონიდან, ან... წინადადების დასრულებას არ დაელოდა, ისე დაძრა მანქანა ადგილიდან. საკმაო მანძილი სახლამდე ავტომრბოლივით დაფარა. ეზოში, გარეგნულად, საგანგაშო ვერაფერი შენიშნა, არც სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა, არც პოლიციისა, არც არავინ ირეოდა დაბნეული სახით. ოდნავ დამშვიდდა, ლიფტს აღარ დაელოდა, ისე აირბინა მეოთხე სართულზე. საგულდაგულოდ ნაჭედი და შემდეგ ასევე საგულდაგულოდ მოხატული კარიც ხელშეუხებელი დაუხვდა. თუმც კი რაღაც უგრძნო ტანმა. ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო, მაგრამ კარი ვერ გაალო. ხელმეორედ გაიმეორა პროცედურა, კარი შიგნიდან ჩაკეტილი აღმოჩნდა. ღელვამ იმატა, სალოკი თითი ზარის ღილაკს მიაწება. კარგა ხნის შემდგომ, თითქოს ვიღაცის ნაბიჯები შემოესმა. სანდროს სერიოზული მღელვარება დაეტყო. ნაბიჯების ხმას, აშკარად გამოკვეთილი რიტმული მუსიკის ჰანგები დაემატა. კარი მაინც არავინ გაალო. ათასგვარ ფიქრმოძალებული სანდრო მუშტებითა და წიხლით ეძგერა რკინის კარს. შედეგად ქალის კისკისი შემოესმა, რამაც საბოლოოდ გაახელა ისედაც გაღიზიანებული სანდრო. შემდეგ შეჩერდა, ხმები ბინიდან ნამდვილად ისმოდა, მოჩვენება გამორიცხული იყო.

წონასწორობადარღვეულმა სანდრომ კისრისტეხით ჩაირბინა კიბე და ქუჩაში გავარდა. რამდენიმე წუთში ვიღაც კაცთან ერთად ლიფტში შევიდა და მეოთხე სართულზე თავისი ბინის კართან აღმოჩნდა.

— ჟორა, ხუთ თუმანს გაძლევ, ოღონდ აი, ეს კარი უნდა გამიღო!

ჟორამ ზედმეტი კითხვის გარეშე შეათვალიერა კარი, უფილტრო სიგარეტს მოუკიდა და კომპეტენტურად წარმოთქვა:

— საკეტი, გინდა ფირმენი იყოს, გავაღებ! აი, შიგნიდან ურდული თუ აქვს, აქ ჟორა პას, სვარკა უნდა.

ხუთიოდ წუთის დაძაბული მუშაობის მერე, ჟორა სწორი აღმოჩნდა, კარი შიგნიდან ურდულით იყო ჩაკეტილი. ისედაც ნერვიულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა მუსიკის ხმა, რომელიც კარს მიღმა ისმოდა. სანდრომ საფულედან ხუთთუმნიანი ამოიღო და ჟორას გაუწოდა. ჟორამ ფულის აღება იუკადრისა, განა რა გავაკეთეო და სანდროს შემდუღებლის მოყვანა შესთავაზა.

დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ, რომელიც სანდრო ფხაკაძეს უსაშველოდ გაწელილად მოეჩვენა, ლიფტიდან ჟორა გადმოვიდა მინი შესადუღებელი აპარატით.

— სანდროჯან, სვარკა მეც ვიცი, აპარატი გამოვართვი ბიჭებს, აკურატნად ჩავჭრი საკეტს, ნუ ნერვიულობ!

— არა, არ ჩაჭრა, პირიქით, შეადუღე!

— ვა! ეგ როგორ?

— აი, ისე, როგორც გეუბნები, შიგნიდან რომ ვერავინ გამოვიდეს.

— კარი შენია, როგორც იტყვი.

შედუღებისას სანდროს მოეჩვენა, რომ მუსიკის ხმა შეწყდა, მაგრამ ეს აპარატის შიშინს მიაწერა. ჟორამ ოსტატურად შეასრულა სამუშაო, კარი ახლა აღარც შიგნიდან გაიღებოდა და აღარც გარედან. სანდრო ოდნავ დაწყნარდა, მაგრამ თვალებში რაღაც ეშმაკები დაურბოდა. ერთხელ შეთავაზებული ხუთთუმნიანი ჟორას ძალით ჩაუჯიბა, ეს აპარატის საფასურად ბიჭებს მიეციო. შემდეგ ეზოში ჩავიდა, მანქანა დინჯად აამუშავა და კუთხეს მიეფარა. ოდნავ დაბნეულმა ჟორამ, შესადუღებელი აპარატით ხელში, ეზო გადაჭრა და სადღაც გაუჩინარდა.

არ გაუვლია დიდ ხანს, ეზოში რომ სანდროს მანქანა და მის უკან გერმანული წარმოების სახანძრო მანქანა შემოვიდა. სახანძრო მანქანა მართლაც შთამბეჭდავი შესახედაობისა იყო. ხასხასა წითელი საღებავით შეღებილი, ესპანურ წითელს რომ უძახიან ისეთი, მონიკელებული სახელურებითა და გრძელი გასაშლელი კიბით. სახანძრო განწესის უფროსი თავზე ჩაფხუტით და სრული სახანძრო ეკიპირებით მარდად გადმოხტა მანქანიდან. სანდროს მიუახლოვდა და ხმადაბლა დაუწყო საუბარი. სანდრომ რაღაც იუარა, მაგრამ მალევე დაეთანხმა მანქანისკენ მიმავალ უფროსს. თვალის დახამხამებაში თავადაც სრული წესის დაცვით, მოიერიშე მეხანძრის ფორმაში გამოეწყო. მხოლოდ ამ პროცედურის აღსრულების შემდგომ დართეს საკიდელაში ჩაჯდომის უფლება და კიბემაც ჭრიალით დაიწყო გაშლა. სანდროს საკუთარი გულისცემა ესმოდა, სიმაღლის შიშიც სადღაც გამქრალიყო, თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა — ვისი მზე უნდა ჩაესვენებინა ფანჯრიდან შესულს...

თუ როგორ აღმოჩნდა საკუთარ ბინაში, სანდრომ ვერ გაიგო. ვერ გაიგო თუ რატომ იყო გაბოლილი დიდი ოთახი, არც თავად და არც მეუღლე ხომ არ ეწეოდნენ სიგარეტს. ვერ გაიგო ისიც, რა ესაქმებოდა ბიჭურად აკრეჭილ, ულალთმიან, ტაფაზე დადებულ ნაყინივით უფორმო, ზღაპრული დევების სარგო ჯინსებში გამოწყობილ აშკარად უცხოელ დედაკაცს. ვერ გაეგო რატომ ხარხარებდნენ მისთვის უცნობი ქალები.

ოღონდ მეუღლის დაბნეული, სინანულით აღსავსე, საოცრად მეტყველი თვალები არ დაავიწყდება სანდროს არასოდეს. არც იმ დევქალის ნათქვამი დაავიწყდება დიდხანს — მისტერ სანდრო, ჩვენ გენდერული ტრეინინგი ჩავატარეთ, გვაინტერესებდა, როგორ იქცევიან კავკასიელი, კერძოდ ქართველი კაცები, ექსტრემულ სიტუაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქმრების საკითხავი

## პოემა

1.

ამ გამოშიგნულ ვაგონებში ცხოვრობენ გზები ბალახმოვლილი და უიმედოდ
დავიწყებული
რუხი ბალახი — ასე ჰქვია მერძევე მოხუცს, კარდაკარ ყველს რომ დაატარებს და
გარდაცვლილთა ამბებს გვიყვება
მისი თვალები მინდვრის ცისფერი ყვავილებია ჩემს სასკოლო ჰერბარიუმში
მისი ტუჩები კარადაზე ჩამომხრჩვალი ვაშლის ჩირია
და მაყვლის ბუჩქთან აბუზული ბელურებია მისი სიტყვები

ის ამბობს
თითქოს გვქონდეს გული
და ეს გული გრძნობდეს სიყვარულს
თითქოს გვყავდეს ღმერთი რომელიც
ხედავს ნასვრეტებს ჩვენს ყველივით ქათქათა გულზე
თითქოს ვგრძნობდეთ ბავშვობას როგორც
ძირგახვრეტილ ჩექმებს წვიმაში

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი როცა მოკვდებით“ —
იტყვის და თვალებს გააპარებს შენობებისკენ
რომლებშიც კედლებს ისეთივე გრილი კანი აქვს
როგორც ადამიანს სიცოცხლის შემდეგ

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი როცა მოკვდებით
თქვენი კეთილი ფანჯრები და სავარძლები როცა მოკვდებით
ეს თქვენით სავსე ოთახები როცა მოკვდებით
როცა ამ ჭერქვეშ ვერ შემოხვალთ

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი
იმ დილით ახლადგაღვიძებულებმა კარი რომ შეაღეთ
მან კი გთხოვათ:
ნუ შემოხვალთ, ბებო მოკვდაო
გარეთ თოვდა
და დაორთქლილი შუშიდან დაინახეთ
ეზოში
საადრეო ვაშლის ადგილას პერანგისამარა იდგა ბებო
და ბავშვივით ფეხისწვერებზე წამოწეული
ცდილობდა შეეხედა ოთახში სადაც
დედა ტიროდა
თქვენ კი ფიქრობდით თოვლზე რომელიც
როგორც იქნა მოვიდა
და ბებოზე
რომელმაც ყველას დაგასწროთ ადგომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფეხშიშველი გავიდა თოვლში
ხელისგულზე ფანტელების შესაგროვებლად
სიკვდილიც მაშინ ეს გეგონათ
როცა ფანტელები ხელისგულზე აღარ დნებიან
მერე გამოანათა მზემ და მოვიდნენ ახლობლები
მეზობლები და ნათესავები
და თითოეულმა საკუთარი წილი სიკვდილი წაიღო თქვენგან
წაიღეს მაგრამ არცერთს სახლამდე არ მიჰყოლია
სახლი კი უფრო დაცარიელდა
არც ბებო იყო აღარც სიკვდილი და აღარც თოვლი

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი
მატარებლით გაემგზავრეთ უცხო ქალაქში
ფანჯრებიდან ისევ ნაცნობი ცა მოჩანდა
დედიკოც ისევ ახლოს იყო
და თქვენ შეგეძლოთ მის კალთაში დიდხანს გეთვლიმათ

გახსოვთ ის კაცი ტამბურში ასტრას რომ ეწეოდა
თან ისე მძიმედ ახველებდა იფიქრებდით ნახველს გულსაც ამოაყოლებსო
გახსოვთ მისი რუხი პალტო
ჟღალი თმები და სისხლისფერი წყლიანი თვალები
გახსოვთ ის კაცი მაშინ შეშლილი რომ გეგონათ —
ახლა მკვდარია
ის შუაღამით თქვენს კუპეში შემოეხეტა
და იღრიალა:
„ყველა მოკვდებით ადრე თუ გვიან
და ვერ მიხვდებით საითკენ მიდის
ეს გზა რომელსაც სიცოცხლე ჰქვია
და ეს სიკვდილი რომელსაც ჭყინტი
ყველის ყიდვისას დუმილით გამცნობს
მერძევე კარის ზარზე რომ რეკავს
ის ყიდის კარაქს ყველსა და მაწონს
და ნაცვლად წარსულს ყიდულობს შენგან

მე კი ვიყიდე ერთხელ სიბერე
რაც რამ მებადა გავყიდე და შუა ომში უწვერული ყმაწვილებისგან
ნაოჭები და სევდა ვიყიდე
გულგრილობა და სიკვდილის შიში ვიყიდე
და შემდეგ უკვე მათ საფლავთან მქონდა ცრემლები
და წუთი-წუთზე ამოსაყვანი ყველივით თბილი სიტყვებიც
მათი კანივით ქორფა ვარდებიც
და შეძენილი გულგრილობაც
და მაშინ მითხრა სასაფლაოზე მოხეტიალე ათი წლის ბიჭმა:
„დილით როდესაც მეძინა დედამ
მერცხალი ხარო ასე თქვა ძია
მე კი თქვენს გამშრალ თვალებში ვხედავ
რომ მეც მოვკვდები ადრე თუ გვიან
და ვერ მივხვდები საითკენ მიდის
ეს გზა რომელსაც სიკვდილი ჰქვია
და ეს სიცოცხლე რომელსაც ჭყინტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველის გემო აქვს და მაწვნის სუნი
ღამღამობით რომ მაჭმევენ ძალით
და ჭამის შემდეგ მერევა გული
და ვარწყევ როგორც ფეხმძიმე ქალი
მთელს დედის რძეზე ნაყიდ ბავშვობას“
მკვდარი იყო ის ბიჭი

ჰოო, დედათქვენი ახლა შორსაა
ცოცხალია და რძისფერ ღრუბლებში დაფარფატებს რძისფერი ფრთებით
მამათქვენი კი ჩააძაღლეს
ისინი მიხვდნენ და ჩააძაღლეს
მიხვდნენ — ჰო, მიხვდნენ თუ ვინც იყო
რომ თქვენს მამობას იბრალებდა
და სააღდგომო ღორივით დაკლეს
მდინარის პირას რომელსაც ჰქვია
ჩვენთან არს ღმერთი

თქვენ კი ზღვისპირას უნდა იცხოვროთ
და უნდა ჭამოთ თაფლი და თევზი
ესაა მამის ბოლო სურვილი
ესაა მამის ბოლო ლექსი

„სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა და გეკითხები ცოცხლებს შორის განა
იცნობ ვინმე ისეთს, ამ თვისებაში ეჭვს რომ შეიტანს.
შენი ქმარი ვარ და ყოველ დილით ამ სიზმრებისგან დაცლილ ზეცას,
ამ სიხარულს და ამ ქალაქს ვიწყებ შენიდან.
და ამ უკვდავი ღმერთითა და მოკვდავი ძმებით გულისრევამდე ბედნიერი ვარ,
ვერ გავრკვეულვარ ღვთის სიძულვილს თუ თქვენს სიყვარულს გამოვხატავ, როცა ხეიბარ
სიტყვებს ვაგროვებ ლოცვისათვის და როცა ღამით შენთან წოლის ვითხოვ უფლებას
და ვისმენ ეჭვი გულის ბნელი სარდაფებიდან ნესტიანი ხმით მესაუბრება,
რათა მეასედ დამარწმუნოს, რომ ყველა ქმარი მოკვდავია და სიკვდილიდან რომ ვარ მოსული,
რაც თავი მახსოვს ცოცხალი ვარ — რა ვუპასუხო — შემრთეს ქალი, რომელიც
მიყვარს და ის არის სხვისგან ორსული.
და ბნელ ოთახში ატუზული იღლიის ქვეშ ცოლის დაკარგვის შიშის ლაქას ვეხები როგორც ნიშნობის ბეჭედს,
მაგრამ ის მაინც ყოველ ღამით სხვასთან მიდის და მთვარის შუქზე წმინდანივით მიარხევს ბეჭებს,
ხოლო მე ისიც აღარ ვიცი, რა უნდა ვიგრძნო, სად მტკიოდეს, უბრალოდ ვზივარ, ვეწევი და ვხედავ ფანჯრიდან
კუპრისფერი ზღვა როგორ რიყავს მეომართა წაშლილ გვამებს,
მესმის დაჭრილთა
მიწისფერი ხროტინი და შენ გეკითხები რისთვის დაჭირდა
უფალს ამდენი ბედნიერი, ამდენი მოწმე მისი ღრეობის.
მე ხომ არაფერს, არაფერს არ დავიშურებდი, რომ ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც გადავხვეოდი
მათ, ვისი ხსოვნაც გადააქციეს საფლავის ჯვრებად, მარმარილოდ, ანდა გრანიტად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა სიცოცხლე, როგორც უბნის ბებიაქალი დახმარებოდათ გამოძრომაში
სიკვდილის თბილი ჭუჭრუტანიდან...
და შეეყვარათ ისე, როგორც მიყვარხარ ახლა,
ყველაზე შორი, ყველაზე უცხო
და რაც ამ გრძნობას სიხარული და ცრემლი ახლავს
ამ გულის გარდა არავინ უწყის.
სწორედ ამიტომ ვიმეორებ: სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა და ვიწყებ ისევ
შენი შვილიდან.
ის ღმერთი როა, აშკარაა და მოდის რათა გადაღლილი და
დამძიმებული, დაკოჟრილი ხელისგულები შემოვავლო სიყვარულს, როგორც
ანთებულ სანთელს.
ის ბავშვია და უფროსებმა, როგორც ბავშვური საიდუმლო სიცოცხლე ანდეს
და სიზმრად როცა შენს მუცელზე ყურმიდებული ვისმენ მის ყოფნას, ვრწმუნდები
რომ ადამიანთა
ყველა ღიმილი და ყველა ცრემლი ამ ცეროდენა მფეთქავ გულში გაერთიანდა.
რომ შენ იცოცხლებ უსიკვდილოდ, მე კი მომკლავენ როგორც მოკლეს ქმრები
ჩემამდე და ახლა ნებსით
თუ უნებლიედ შუაღამით თავდახრილი ვდგავარ ზღვასთან და საკუთარ თავს
დავეძებ მკვდრებში,
რომ მივასვენო მამის სახლში, რომელშიც კედლებს
ისეთივე გრილი კანი აქვთ, როგორც ადამიანს სიცოცხლის შემდეგ.
რომელშიც სკამებს კუბოს ირგვლივ ალაგებენ და ფერად-ფერად
ყვავილებში მჯდომ ორ წინაპარს, მშობელთა კვდომას რომ შეესწრნენ და
ვერაფრით წარმოედგინათ ჩემი სიკვდილი, ალბათ უფრო ამიტომ ჯერათ
რომ აღარა ვარ და ცივ ნუგეშად იტოვებენ მტვრიან ფარაჯას, მაისურს და
თიხიან ჩექმებს,
ჩარჩოში სვამენ ძველ ფოტოებს, ჭერს ღებავენ და კედლებზე ქაღალდს აკრავენ,
ეგებ
ოთახის ძვლებმა მათზე უკეთ შეინახონ ჩემი სიცოცხლის ნაფლეთები რუხ
ბათქაშზე ნესტად რომ რჩება,
საფლავს ჯებირებს უშენებენ, რომ დავიწყებამ არ დატბოროს და ყოველწლიურ სერობებზე
სანთელივით უნთებენ ხელფასს
გარდაცვლილის სულს, შენ კი ცოცხლობ რათა გიყვარდეს ყველა,
ვინც შენში ჩემი ცოლი ვერ დაინახა,
ყველა ვინც მომკლა, ან ვერ მომკლა, ვინც ვერ დამთმო დავიწყებისთვის და ვინც
კინაღამ
ღმერთად მომნათლა..."

თქვენთვის არავის უთხოვია ბუნებრივი სიკვდილით მოკვდითო
თქვენთვის არავინ გაიმეტა ნაოჭები სიბერე ან ჭაღარა
როცა სიძულვილს აუდუღარ რძესავით გასმევდნენ
როცა შიშისპირა ქალაქში გზრდიდნენ

ისინი იდგნენ თავდახრილნი თქვენს ლოგინთან და გიმღეროდნენ ნაზის ხმით
დაიძინე
მე გაგზავნი როგორც მგელს ცხვრის ფარაში
დაიძინე
მე გასწავლი სხვისი სიკვდილით გახარებას
და კვლისპირა ქალაქში გზრდიდნენ

თქვენ კი გინდოდათ ყოფილიყავით მამათქვენზე სულ ცოტა უფრო ბედნიერი
გყოლოდათ ცოლი თეძოების ნაზი რხევით გაძლებასა და სიკვდილს რომ
გასწავლიდნენ

გესუნთქათ მისი მკერდიდან გადმოღვრილი რძისფერი ღამეები
მაგრამ სიძვისპირა ქალაქში გზრდიდნენ

ისინი მუდამ უკითხავად შემოდიოდნენ და ბოლოთას სცემდნენ თქვენს სიზმრებში
ღვთის სიყვარულს გირევდნენ პურში ღვარძლივით
ღვთისკენ ლოცვებს აშრიალებდნენ ზურგზე ფრთებად
და ღვთისპირა ქალაქში გზრდიდნენ
ღვთისპირა ქალაქში

2.
„სადღაც იპოვეს უფროსებმა შავ-თეთრი დროშა
და გასაფერადებელი ალბომივით
გვაჩუქეს ბავშვებს“

ჩვენ კი გავიხსენეთ ისტორიის სახელმძღვანელო
და სკოლაში დაზეპირებული ლექსები
და ყოველ შემხვედრს ცხვირწინ ვუფრიალებდით სამშობლოს სიყვარულს
მოკვდავ მეზობელს ნაჭრის ბურთივით ვტენიდით პირში ჩვენს უმიზეზო უკვდავებას
და ნესტიანი სანგრებისაკენ მივათრევდით დასაღვრელ სისხლს საგმირო სხეულებით

მე მახსოვს შენი სისხლი
მოედანზე როცა მუხლი გადაიტყავე
სკოლის ექთანმა იოდით მოგბანა ჭრილობა და
გაოფლილ შუბლთან გიშრისფერი თმა ხელისგულით გადაგიწია
ეს რა მტირალა ყოფილხარო — ჩაგიცინა
და მამაჩვენს სამსახურში გადაურეკა
მამამ კინოში წაგვიყვანა და ვნახეთ ფილმი ომზე
წლების შემდეგ კი ერთმანეთი წავიყვანეთ ომში როგორც კინოში

მე მახსოვს შენი სისხლი
თბილ ხნულში შავი ღივებივით რომ მოჩანდა
სისხლიც როგორ გაგშავებია-მეთქი გავიფიქრე
ვიდრე ზურგზე მოგიკიდებდი უკვე ცივს და სიკვდილგაჟღენთილს
შენ კი საბოლოო უსასრულო სიზმარს ხედავდი

„მე მინახავს მწვანე მოლზე შინდისფერი თბილი ლაქები
ეს არ იყო ჩვენი დროშის ნაგლეჯები
ეს იყო აბზაცები მეგობრების საბოლოო სიზმრებიდან“

ვინ დავაჯერო რომ ღმერთი ვარ
ერთი აბზაციც ვერ შევცვალე შენს სიკვდილში
ერთი მძიმეც ვერ წავშალე
ერთი პატარა მწვანე მორჩიც ვერ გადმოვრგე ჩემი გულიდან

ვინ დავაჯერო რომ ღმერთი ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ღიმილი შევუთვალე ცრემლი მაუწყა
ვისთვისაც ცრემლი გავიმეტე ყველა მკვდარია
მე კი უმიზნოდ უნდა ვსუნთქავდე გაზაფხულს წლიდან წლამდე

ვინ დავაჯერო რომ ღმერთი ვარ
ყოველ დილით პურს ვყიდულობ მაღაზიაში
მივირთმევ ვახშამს
ვიღებ ხელფასს
და გულს ვინახავ სიყვარულისთვის
ჩემს შიშველ ზურგთან ბევრი იწვა
და მკერდიც უკვე სხვისი ვნებებით მაქვს გაჯირჯული
ოცნებებს კი ისე ვაფურთხე გამვლელები მესალმებიან
დარბაისელი კაციაო — ასე ამბობენ

„სამშობიარო სადაც დავიბადე
დაბომბვის დროს დაინგრა
როგორ აღარ ვიფიქრო სიკვდილზე“

ვინ დავაჯერო რომ გაქრობის არ მეშინია
როცა შიშები ქინქლებივით ეხვევიან ჩემს ლამფასავით მბჟუტავ სიცოცხლეს
როცა იმედი საგულედან ხურდა ფულივით ამომაცალეს
როცა ლექსებს ფესვებივით ვიწვდი მიწისკენ
მიწისკენ სადაც თქვენ მეგულებით
და შემორჩენილ სიხარულებს შემოდგომის ფოთლებივით ვაშრიალებ

3.
ვის ვუმღერო ჩემი გათოშილი გული
ვის ავუნთო ჩემი დავიწყებული ლოცვა
ვისკენ გავახილო ჩემი თვალდათხრილი ქალაქი

მე უფლება მაქვს ვიყო ერთ-ერთი
ვითრევდე
კორპუსების ტეხილ კონტურებს
ვრითმავდე
სიკვდილთან მისასვლელ დღეებს

გვერდით ოთახში პერანგს აუთოებს დედა
ხანგრძლივი თვალებით იატაკს ჩაჰყურებს
მას ყველაფერი დაავიწყდა
დაავიწყდა რომ მკვდარი ვარ და ყველაფერი მორჩა უკვე
რომ მამაჩემის ძაძა ვერ მოირგო
რომ ველარცერთი ჩემი ღიმილი ვერ მოინატრა
ვის მოვუთხრო ჩემი სახლის ჩამქრალი ფანჯრები

მე უფლება მაქვს ვირბინო შენსკენ
ქანცგაწყვეტამდე
სიყვარულამდე ვათეთრო შენსკენ ნათევი გზები
დედა
მიყვარხარ დედა
რძისფერი კანი და მიწისფერი თვალები რომ გაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარხარ დედა
მამა რომ მოკლეს მეც რომ მომკლეს და შენ მაინც ცოცხალი ხარ
მიყვარხარ დედა
ის ქალიც ჩემთან ვინც დაწვება
ვინც შემიყვარებს და შემდეგ დედა რომ გახდება და
მიყვარხარ დედა
ყველას სიმღერა შენსკენ რომ მოდის
ყველა ლოცვას რომ შენ ლოცულობ
ყველა ფანჯრიდან შენ რომ ჩანხარ
მიყვარხარ დედა

მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
და ველარასოდეს ვისურვო დაბადება
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
და ბნელ ოთახში ძველებურად ყვაოდნენ ქოთნის იები
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
ვიდრე მომკლავდნენ
ვიდრე აქ ვარ
ვითომ ცოცხლად შენთან ერთად
შენს საშოში
მიყვარხარ დედა

არაფერია უფრო ულრუბლო ვიდრე ჩემი სიყვარული
უფრო ულრუბლო ვიდრე ჩემი სიყვარული

ბესო ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოთხრობები

## გაფრინდინელა

შენ გალიზიანებულად მშვიდად ხარ...

მდგომარეობა, რომელიც ყოველთვის უძიროდ გაფიქრებს, წარსულის იმ მონაკვეთისკენ გახედებს, გალაქტიკური ღირებულების ორნამენტად რომ გასდევს მთელ შენს ცხოვრებას - დაწყებული შენი დედის ჭიპის შეჭრიდან დღემდე.

შენ გახსენდება... გახსენდება იმდროინდელი, გონების ყველაზე ნათელ სიღრმეში, საკუთარი გულისა და გონების კარნახით სათუთად შემონახული, კიდეებშემომწვარი, მაგრამ მაინც უახლობლესი ფოტოების დარი სცენები და ამაკივლებელი ფალცეტით გიჟურად ახარხარებულს, მოწკურული თვალებიდან ენითაღუწერელი ბედნიერება გწვეთავს - ოთახშიც გაზაფხულის ყველაზე მზიანი დღის მათრობელა სურნელი იწყებს ტრიალს. ფრთხილად თვალმოხელილს, თბილი ღიმილით მიმოკაწრული ზმორება გთენთავს და ყოველგვარი ქვენა ზრახვების გარეშე, ცის იმ უმწეო ნაგლეჯს, შენი ოთახის ფანჯრის ამომტვრეული კუთხიდან თვალშისაცემად რომ ილანდება, თვალის ჩაკვრით ეუბნები 'დილა მშვიდობისას".

გუშინ ჩუმად თოვდა. დღეს - აღარ, თუმცა არც მზე მზეობს ხმამაღლა და შესაბამისად, ძალიან - ვერავინ თბება. ყველაზე თბილი ამჟამად, სკამის ის მონაკვეთია, შენს საჯდომს რომ უჭირავს და უკავია. ამ ყველაფრის ფონი მუსიკაა, რადიომიმღებიდან მოურიდებლად გადმოღვრილი და ოთახის მთელემარე სივრცეში უნიათოდ გამოკიდებული. მუსიკა, რომელიც არ ისმინება - რომელიც უბრალოდ ისმის.

საწოლის გადაადგილებამ ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში, მშვიდი ძილი მოგიტანა. ეს ის ადგილია, საიდანაც გარემოს ყველაზე გაფილტრულად აღიქვამ. ეს ის პოზიციაა, როდესაც გარემოს თავად განაპირობებ და არა პირიქით. როგორც ხედავ და გრძნობ, ყველაფრის ათვლის წერტილობა დიდი ბედენაა და ამასთან, ყავლი არ გასდის პრინციპს: - სადაც შენ ხარ, იქ ყოველთვის ყველაფერი კარგადაა.

დაბალ, სამფეხა სკამზე უმნიშვნელოდ მდგარ წყლიან ჭიქაში შენი ოთახის საიდუმლო ნიშიდან გამოღებულ, მომწვანო ფერის 'შვების აბს" მორიდებულად აგდებ და ჭიქას, ფანჯრიდან შემოსხლეტილი დილის შუქზე მოწიწებით გაჰყურებ. აბი მთრთოლვარე შიშინით იხსნება წყალში. ტანში ელექტრო-ჟრუანტელდავლილი მოწწარო სითხეს სულმოუთქმელად სვამ და ხელშიც უმალ შენი თითების ტემპერატურას შეგუებული კალამი გელებინება.

სულ მალე აშკარად შავის სალუქად თეთრზე გადმოტანით, შენ იმ წარსულში მიგრირებას იწყებ.

1.

ოთახის კომპაქტური, თუმცა კი ზომიერად ტევადი სივრცე ფილტვების მხურვალე გამონასუნთქითაა შეზავებული. ოთახში მყარად და უძრავად გამოკეტილ ჰაერს საკუთარი წონაც აქვს, სუნიც და ფერიც. მის ასამოძრავ-განსაახლებლად ფანჯრის ოდნავი შეღებაც კი კმარა - ეს თვალნათლივ შესამჩნევია. თვალნათლივ შესამჩნევია ისიც, რომ ჯერ არავინ ჩანს ამის უხეშად ჩამდენი.

არადა, იყვნენ... ოთახში იყვნენ. თავიდან ჩუმად, მერე ხმამაღლა... ურთიერთოადნენ - სვამდნენ, ცეკვავდნენ, ანთებული თვალებით მიამიტი სმენისთვის ძნელად ალსაქმელ, უთანხმოვნებო საგებს გაჰკიოდნენ. ამატირებლად სადა, პლასტიური მოძრაობებით ერთმანეთს შეუმჩნევლად ეკვროდნენ და ეტმასნებოდნენ. რომ დაშოშმინდნენ, სულ სხვა ოთახიდან მოვარაყებული სარკეები გამოიტანეს, კედლებთან მეტად 'აკურატულად" ჩაამწკრივეს, თან ისე, რომ ყველას ყოველი თვალწინ რამდენჯერმე ჰყოლოდა და აუტანლად ალალად გაელიმათ.

ამ ლალმა სიჩუმემ იმდენ ხანს გასტანა, ვიდრე შავი ზღვის აუზის ქვეყანათა თანამეგობრობის ყველაზე მტვრიან დედაქალაქში ცხარე ზაფხულის სამოცდამეცამეტე დღეს, ყველაზე ნამდვილი გოგო არ დაიბადა. ჰოდა, სიხარულისგან აწივლებულლებმა ერთურთს ტანსაცმელი მეტად უშუალოდ შემოაფლითეს და მომხდარის ალსანიშნავად, დედიშობილად დარჩენილებმა ტრანს-გრანდიოზული ორგია მოაწყეს - იყო ერთმანეთის ცვლა, ვნებიანი კვნესა, სველი კოცნა-ლოშნა, ოფლიანი თვალები, გალიპული სხეულები, ერთმანეთში ჩახლართულ-ჩაგლესილი უმოქნილესი კიდურები, ნეტარებისგან მოღლილი სახის ნაკვთები და უსულო ძილი. იქაური ჰაერი კიდურთა და ორგანოთა ნაირგვარი არო-

მატებით შეფერადდა, შეივსო, გაიჟღინთა; მერე დამძიმდა, მოგლუვდა, მოითენთა და ბოლოს მასაც ბურანისკენ მიექცა პირი - ისე რომ, თვით ჰაერიც კი უხმაუროდ ფშვინავდა და როგორც ყველაფერს ირგვლივ, მასაც უზომოდ ნაორგაზმალის იერი ედო.ს

ვიდრე ოთახიდან დრო საბოლოოდ გაიწრიტებოდა, ეს ყველაფერი მკაფიოდ შეისისხლხორცა, გაითავისა, იგრძნო და ბოლოს, სიყვარულის სურნელით პირთამდე სავსემ, მანაც თავისის თქმას, უფრო კი - თავისის ქნას მიჰყო ხელი:

- თავიდან ყველანი თვალგაუხელელად ფეხზე წამოაყენა და აქეთ-იქით არწია. მერე კი, მშვიდად და აუღელვებლად, ისე რომ ხელი არაფრისთვის ახლებინა, ფეხაკრეფით, სულ რაღაც წამის მეასედში დაატოვებინა ჯერ ოთახი, მერე ბინა, მერე სახლი, ქალაქი, ქვეყანა, კონტინენტი, ნახევარსფერო, პლანეტა, გალაქტიკა, სამყარო - თვალდახუჭულები დააწია საკუთარ თავს და გახადა მარადიულები.

ისინი ოთახში სიყვარულის დაბადებას ზეიმობდნენ.

2.

შენ სხეულის ყველა მგრძნობიარე ფორითა და ნასვრეტით შეისრუტე იქ დაგუბებული სივრცე და ახლა, გულზე ხელებდაკრეფილი იმ ოთახის აივანზე დგახარ. შენს მზერას ტრადიციულად გაუქრელი კოზირი უჭირავს - ის ყველაზე დიდ სინათლეზე ნათელია.

სიხარულით გამთბარი სხეული შესამჩნევად გითრთის და ტანში სასიამოვნო ასობგერა 'ჟ"-ს გიტოვებს. თვალი ნაყრდება ირგვლივ გადღაბნილი, მჭახე ფერებით. თვალი იმ ქალაქის აწყლიანებული ცქერით ძღება, რომელიც კვლავაც თავისებურ, ბასრად წვეტიან, ულტრა-თანამედროვე ელექტრო-პანკს უბერავს. მერე თვალს სწყინდება ქალაქი და ცაზე გადადის. ცას უძიროდ უყვარხარ და ყოველთვის მკაფიო ძგერით გისუნთქავს. თვალი ხედავს, თუ როგორ დაუნანებლად ანთხევს მზე ქალაქს თავზე მთელი დღის ნაგროვებ ცხელ ბოლმას სითბოსა და ფერის სახით. თვალი იმასაც ამჩნევს, რომ ამის გამოისობით, დასავლეთისკენ ჯერ კიდევ სისხლისფრად ჩახჩახებს ჰორიზონტი. დამშვიდებულ და ქალურად ანაზებულ სახის ნაკვთებზე რბილად გელამუნება ცის გამონასუნთქი ნოტიო სიო. თვალი ძღება, ივსება, იტენება, როგორც მთელი დღის მუშაობისგან გამოფიტული, დამჯდარი აკუმულატორი.

ამ დროს, თვალწინ ქალალდის ფარატინა თვითმფრინავი გიფარფატებს. შენი ფერადი მზერა მას იქამდე მისდევს, ვიდრე და სანამ ის ყველაზე მაღალი ხის ტოტებს შორის არ ეჩხირება. წრფელად ასიხარულებული და შიგნიდან ცხოველურად აყივლებული ცას კიდევ ერთხელ უკრავ თვალს და იქვე გახსენდება, რომ დაბადებიდან ცის შვილობაზე გაქვს ხელი მოწერილი.

3.

მოსკოვი ფერადი ქალაქია. ზოგჯერ იმდენად ფერადი, რომ ჭრელიც კი, როგორც პისაროს ნებისმიერი ტილო. მისი ქუჩები, მუდამ ობობის ქსლისებრ დახლართული მეტროპოლიტენიდან ამოსული, გახვითქული მგზავრების სუნთქვა-ოხშივრითაა მოკირწყლული. მეტროპოლიტენი მოსკოვის აორტაა. მის გარეშე მოსკოვი უბრალოდ არ აღიქმება. უმეტროპოლიტენოდ იგი ისევე მოკლებულია ბუნებრიობას, როგორც ის ოთხფეხა ძაღლი, უკანა ფეხის აუწევლად რომ ცდილობს მოშარდვას. მოსკოვი ცოფიან რიტმში მსუნთქავი მასაა. მისი შიგთავსი განუწყვეტელ მოძრაობაშია.

მოძრაობაში კი არა, სწრაფვაში.

სწრაფვაში კი არა - სირბილში.

დარბიან ფეხით მოსიარულენი, ადგილზე მდგომები, ტრანსპორტით მომგზავრენი; თავად ტრანსპორტიც არავის და არაფერს ეპუება. ეგ კი არა, ღრუბლებიც კი სპრინტერული სისწრაფის განვითარებაში სპეციალიზდებიან. ჰოდა, რა გასაკვირია, ერთი დღისთვის განკუთვნილი დროც ისე თვალისდახამხამებაში გადიოდეს აქ, როგორც უკანასკნელი მოდელის კრიალა ავტომობილი მოასფალტებული გზატკეცილის ასმეტრიან მონაკვეთს თუ დისტანციას.

დროს აქ მკაფიოდ ყურშისაცემი სინტაქსი და მორფოლოგია აქვს. გაკრახმალებული კბილების თვალისმომჭრელი ელვარებით იმზირებიან, ავტოსტრადებზე წამოჭიმული სარეკლამო ფირნიშებიდან ცხვირაპრეხილი სლავი 'ნაშები". თვალშისაცემია ფოსფორისკონტურიანი ელასტიური მინანერი - 'დრო ფულია, ფული კი მდგომარეობა. იჩქარეთ!"

ამის ყოველდღიურად შემყურე, ყოველი მოსკოველის თავ-ტვინ-გონებაში მტკიცედაა ჩადულაბებული აქსიომა, რომ აქ, ყოველ წუთსა და წამს განუზომელი ღირებულება აქვს. ამიტომაც, ვერცერთი ბეჩავად თავჩაქინდრული, თუ პირიქით - წელში ამაყად გაჯგიმული, ვერაფრით ღალატობს საზოგადოებრივად მიღებულსა და აღიარებულ, მოძრაობის პრესტისიმო-ტემპს. აქ

დრო კარნახობს ყველას ცხოვრების წესს, სტილს, მანერას, მოდას, სქესსაც კი. დროს აქ მაღალი რანგის მაესტროს შეურყვნელი სტატუსი უპყრია, უჭირავს და უკავია.

-იყავი პუნქტუალური! - ყოველი ფეხის ნაბიჯზე დამარცვლით გესმის მკაცრი მონოდება, რომელსაც შენ, ისევ გულზეხელებდაკრეფილი, აინუნშიაც არ აგდებ. შენთვის, ყოველმხრივ უსაათოსთვის, ძლიერ უცხო და უცნობია აქაური ლაჟვარდისფერი ტერმინი - დროის არქონის ფაქტორი.

შენ შენი დროის 'შეფი" ხარ - ბოსი, პრეზიდენტი, კანცლერი, კეისარი, მეუფე და იმპერატორი და თავსაც ყოველთვის ხელგაშლილად აძლევ უფლებას, აუტანლად ზანტად მიიღო ორგანიზმში საყვარელი, ცხელი და არომატული სასმელი - ლიმნიანი ჩაი. იმის დროც გაქვს, უზომოდ მოიხიბლო იმ უცხო არომატით, ამ ორი სტიქიის - ჩაისა და ლიმნის სინთეზი რომ შობს. იმის დროც თავზესაყრელად გრჩება, გონების ზედაპირზე ამოიტივტივო ის ყველაფერი, რასაც ეს ორი რამ - ჩაი და ლიმონი გახსენებს.

ჩაი შენთვის მხიარული წნევაა, წვეტიანი პულსაციაა, აზრთა მოზღვავებაა, სასწრაფო დახმარებაა, გამომაფხიზლებელი შხაპია, სექსია ფეხზე მდგომიარედ... სტოკატო, გოლი საკუთარ კარში, ფუნიკულიორი ზამთარში, იასერ არაფატის ყელსაბური, ყინულზე მოცურების შიში, სტომატოლოგის ღიმილი, სადარბაზოში დაკარგული ქალიშვილობა, შემდეგი სადგური 'ბოტანიკური ბაღი", კუბური სიგარების მალაზია, სკოლის დღიურში საკუთარი ხელით ჩაწერილი ხუთიანი მინუსით, პირველი სექტემბერი, ქალაქი მიწისქვეშა გადასასვლელების გარეშე, კლაუსტროფობია, მე ვიყო პატარა, ჯიმ მორისონის სათამაშოები, ეფემერული ეფ-ემ დოსტოევსკი, დღესასწაული 'მზესუმზირობა"...

არც ლიმონი გრჩება განზე:

ქვიშიანი პლიაჟის ცხელი სიმხურვალე, პლიუს-მხედველობა, საზ-ტრანსპორტში უცაბედად აკიდებული ზე-ერექცია, გამოპარსული იღლია, 'საველიჩის" ბენზინი, უციფერბლატო ტელეფონი გადადებული ყურმილით, ბრუცელიოზი, ბებიის მოსაქსოვი გამაშები, ჩინური კედები, ფარს ასხლეტილი ბურთი, აფხაზეთის დაკარგვა, ლიფტში დაკარგული ვაჟიშვილობა, 'ნუ მიეყრდნობით", ჰოტელი 'ვირუ", ელექტრონის შუქზე გამოზრდილი კაქტუსი, -ასე მალე გაათავე? შუშაზე მოჭყლეტილი პომადიანი ტუჩები, როცა გეცემინება და ვერ აცემინებ, ხელისგულზე ამოსვირინგებული ბანკის ანგარიში, პერუს დედაქალაქი, თამაშდება 'ლიმუზინი", საზამთროს მურაბა, ცეროზი, სკლეროზი, აპოთეოზი...

ლიმნიანი ჩაი კი უბრალოდ გაფრენაა. გაფრენა, რომლის დროც სამყაროზე მეტი გაქვს, რადგან შენიდან ამოსროლილი ყოველი სიტყვა თუ წინადადება, უკვე დროის ყველაზე მცირე მონაკვეთზე სხარტად ითქმის.

თითქოსდა მოსკოვში ცოფი ბობოქრობს.

იქ?

იქ ყველას ყველაფერი ჯერ კიდევ წინა აქვს.

4.

წინ პერსპექტივებით მსუყედ მიმოხუნძლული, კაი ხნის აულაგებელი საწოლის მსგავსი ქალაქია გადაშლილი, რომლის ფეთიანი უნიათობაც, შენი „ფრენის" ერთ-ერთი წინაპირობაა. შენთვის ხომ ერთგვარი თამაშია, რითი იქნები ხვალ დღევანდელზე ერთი დღით უფროსი. ამას ვერაფრით არქმევ ავანტიურას. ზურგის ტვინითაც კი გრძნობ - ეს იმის უბრალო და სალი იმედია, რომ ერთ მშვენიერ ხვალეს, შენს მიერ დღეს მიმოფანტული პერსპექტივები აუცილებლად ჰპოვებენ ხორცშესხმას და პირში ყველას კარგადყოფნისთვის მოსახმარ სულს ჩაიგუბებენ.

გახსოვს წარსულმა ვიოლინოობა გარგუნა. მართალია პირველი - მაგრამ მაინც ვილაცის მწარე მარწუხებს შორის მოქცეულ ჯოხს დამორჩილებული ვიოლინოობა. ის ნეო-რეალისტური წარსული, თავზეხელაღებული მანევრებითურთ, როგორც ჰუმანიტარული დახმარება, უკვე ისტორიას ჩააბარე. ეს იმ ისტორიას, დღევანდელობამდე რუდუნებით რომ გათრია და სწორად ცხოვრების დაწყებისთვის ყოველმხრივ შეგამზადა, როგორც მასწავლებელმა რჩეული მოწაფე მასწავლებლობისთვის.

წინ კვლავ მომავალია. ისევ აულაგებელი და უკვე მხოლოდ შენი ასალაგებელი.

5.

აქაურ უსიგრძეგანო ქუჩებს ბოლო არ უჩანთ, დაუსრულებლად გრძელდებიან, თუმც მათი განი და ფართი შენი გაუშინაურებელი მზერისთვის მაინც სიგრძეზე მეტად საჩხვლეტია. ქუჩა ცაში ყურებით მიგერეკება, დღის სინათლით განათებულს უჩვეულო სვლით მიგაბიჯებინებს და გახვედრებს, რომ ყოველ დიდ ქალაქს, თავისებური ქუჩური ბიჯი უხდება. მეტად ვერბლანურად ერითმებიან შენი ნაბიჯები შენივე გულისცემას და ძალიან გიკვირს, ამ ფერ-

მკრთალი ფეხებისა და ცხვირანეული სახეების უწესრიგო ნაკადში, მოწესრიგებულად რომ გესმის, თუ რა ჯანგლ-რიტმებით ხარ გაჯერებული.

აქაურობა დაარსებიდან მიუჩვეველია სკვერთა სიმცირეს, თუმცა აქამდე, შენი გონების ვინჩესტერში მხოლოდ ერთმა მოძებნა კუთვნილი დირექტორია: - სულ მოწყენილსახიანი ხალხი დაიარება ასეთივე ძაღლებით... ჩიტებიც ისეთი მობუზულები არიან... უთენია დილიდან ორსული ქალივით გაქვს აქ შესვლა აკვიატებული. ისე, ცივ მაწონსაც დიდი სიმჩატით ეშვილებოდი და წინა დღის შლეგი ღამე გახსენდება... ხურდა ფულის აღმოსაჩენად ჯიბეში ხელს იფათურებ.

არიოლი თუ რეშკა?

ცივი მაწონი თუ პამიდვრის წნილი, მჟავე კიტრის წვენი ქილით, ბორჯომის ერთი უგაზო ყლუპი, თურქმენული კუმისი, აქლემებით ბარიგობა, სიფილისი, თბილისი, 'კიდევაც დაიზრდებიან", ჩასახვა ყურში, ფსევდონიმი - გრუპენ ერთობლივი, თემურ პირველყოფილი, ტუალეტში დაწერილი მადრიგალი, მაგიდისქვეშა სექსი, 'რა უნდა პურის მაღაზიაში შაქარს", ალფაბეტური სასადილო 'კაკლი-კუკლი", აფხაზური გვარი - კუსტბა, ზოდიაქალური თევზაობა, მანიაქალური კურკური, ქალური 'გაჩე", საჭადრაკო კამასუტრა, ცამპა-ცუმპა, ერთ-ორ, მარჯვენა, მარჯვენა, ერთეული სდექ, შიდსი ხომ არა გაქვს, ფონიჭალელი დერვიში, ხომ-კავშირი, ტუ-ტუ, დამპლები და დუმპლები, მუტლფილმი, სასაფლაოდან მოპარული დუმფარები, ქენ ბაბილონ, ფეხებიანი ქიშმიში, მონოხორდიზმი, მიე თითი, საპრეზიდენტო არადნები, ფრინველთა ვანდამი...

ყველაზე ხორკლიან ხეს მხრით მიყუდებული, გეოგრაფიული ენით საკუთარი კბილების თვლას იწყებ, თან ისევ ცისკენ ხარ. ცას კბილებივით დანაწევრებულს ხედავ ხის ტოტებს შორის, ცისფერემალგადაკრული თავზე გრილად რომ დაგკრიალებს.

თუ არსებობს ნამი დედამიწაზე, როდესაც ცაში არავინ იყურება. მთელი სხეულითა გრძნობ, რომ სადღაც, ვიღაცაც იგივე განსჯა-გაფრენაშია. შენი და მისი ფიქრები ღრუბლების ფონზე თვითმფრინავებივით ეჯახებიან ერთმანეთს...

-არაფერიც!! - ამ შემთხვევაში საკუთარი თავის აბოლუტური წინააღმდეგობა ხარ. - თვითმფრინავები ერთმანეთს არასდროს ეჯახებიან!

ავტომობილები - გინახავს, გემებზე - გაგიგია, აი თვითმფრინავები კი...

-მიდი, სიგარეტი ექნება! - გესმის ზურგს უკნიდან მოულოდნელი გადალაპარაკება მშობლიურ ენაზე და ისეთ სახეს იღებ - ვითომც არაფერი.

-ძმაკაც, სიგარეტი არა გაქვს?

შენ ტრიალდები და ვ[illegible] ქუდჩამოფხატულ, შენს კბილას ხედავ, იქვე - მეორეს. ხმისამოუღებლად გადაგაქვს მზერა ცისკენ.

-სიგარეტი არა გაქვს? - უმალ რუსულად გითარგმნის კითხვის დამსმელი და შენს თვალებში ჩაძრომას ცდილობს.

-არა. - შენს რუსულ პასუხს უკვე აქაური სუნი, ფერი და სიმშრალე ახასიათებს და საყელოაწეული ისევ ზურგით დგები.

-რეხვია ვიღაცა. - გესმის უკნიდან გადალაპარაკება. - არა მაქვსო!

-ვა, აქაურია? - უკვირს მეორეს. - აბა, რა გრუზინივით დგას?!

...როგორ აღარ გინდა ამ აქცენტის, ბგერათა ამ თანწყობის მორევში ჩაძირვა. როგორ აღარ გსურს საერთო გქონდეს ამ თუ სხვა ექს-შენიანებთან. შენიანია ის, ვინც ყოველთვის შენთანაა. შენი წარსული კი, აღარაფრით განეკუთვნება მსგავს კატეგორიას. თუმცა, ზუსტად ისეთი რომ არა, როგორიც იყო, მშობლიურსაც ასე უცხოდ ხომ ვერავინ გაგაგონებდა. ის რომ არა, იქნებ, უფრო სხვაგან, სხვისი სხეულით გამთბარ იმ სარეცელზე გეგორავა, სადაც ადამიანები ყველაზე დიდ საიდუმლოს ჯერ კიდევ ლელვის ფოთლის უკან მალავენ. ან სულაც, აქამდეც ვერ მოგელწია - რომელიმე კომფორტაბელურ თვითმფრინავში მჯდომს ცხელ-ცხელ პრესაში მსოფლიო ბაზრის ვალუტის უახლესი კურსები გეკითხა და ამ დროს, შენს თვითმფრინავს სხვა თვითმფრინავისთვის წაეკრა ცხვირი.

-ავტომობილები ეჯახებიან, გემებიც ეჯახებიან - აი თვითმფრინავები კი...

სხარტად დაბზრიალებული, აგურისფერ ბილიკზე მშობლიური სვლით მიმავალი ორისაკენ იწვრილებ კისერს:

-ჰეი!! - ყვირი მათი მისამართით და შენსკენ მოტრიალებულებს მხიარულად უქნევ ხელს.

ნაცნობი მიხვრა-მოხვრით მოახლოებულები წარბშეკრული სახით გაკვირდებიან. შენ გარინდული დგახარ და ტუჩებთან მშობლიური ღიმილი გითრთის.

-რა გინდა? - ერთდროულად გეკითხებიან აქცენტიანი რუსულით და თავიდან ფეხებამდე აგდებულად გზომავენ.

შენ უკვე ერთ დიდ ღიმილად ხარ ქცეული.

-დაგვცინის, ტო?!

და აქ უკვე ლამის სიცილად იქცე...

-თქვენ ხომ არ იცით, თვითმფრინავები ცაში ერთმანეთს რატომ არ ეჯახებიან? -

კითხულობ უეცრად მშობლიურად, ღიმილით იკუზები და ჯიბიდან ამოცურებული ქაღალდის პაკეტის ფრთხილად გახსნას იწყებ.

6.

დაბალ, თონთლო და სქელტუჩებიან ტაილანდელს, ტანის გრაციოზული რხევით, ლამფის რბილი შუქით განათებულ მუქკედლებიან ოთახში, მოვერცხლილი ლანგრით შვიდი ორთქლადენილი ჭიქა ჩაი შემოაქვს.

-ტაილანდური ჩაი! - აცხადებს კონფერანსიეს ქლესა ღიმილით.

ოთახში მძიმედ მიყრილთა თვალების ნელი ხამხამი მისთვის დამსახურებული აპლოდისმენტია და ისიც ჭიქების მონიწებით ჩამორიგებას იწყებს. მეშვიდეს თავისთვის იტოვებს. ლანგარს გადამლაშებული სიფრთხილით დებს რბილ საწოლზე და იქვე ნაზად ჯდება. ტაილანდურ ჩაის უცხო სუნი ასდის და არაფრით არ ჰგავს ლიმნიან ჩაის...

-ინდი და განგი, ინდირა განდი, ნიანგი დანდი, ქუჩაში გადი, კინოში წადი, უსმინე მადის, ნუ ჩაიცმევ გამაშებს, 'არვინ ეტყვის მამაშენს", დედამიწა იყო ბრტყელი, ვინც პირველი, ის ტიტველი, რკო მომეცი ღორო, ვინც ბოლო ის ზორო, ზღვა გინდა თუ ხმელეთი, მასწავლე ელეთ-მელეთი, დედა მიყიდე ბერეტი, სიარულს უხდება ველვეტი, გახევადებული მდედრები, თვიურით სავსე ვედრები, ეულად მდგარი კედრები, ვისაა რომ ედრები, მოუხატავი კედლები, კალენდარს ეხევა დღეები, ღმერთს აგინებენ ყლეები, რა უნდა ამ ქალს ჩემგან ტო, როდის დადგება აგვისტო, თორმეტი ნაფიცი მსაჯული, თავს უშენობით ვერ ვუვლი, ნულს გამოვაკელი ნული, მივილე შაქარყინული, ყვავს შეუყვარდა ბულბული, ვგრძნობ მეტისმეტად მაქვს გული...

ოდნავ გამოღებული ფანჯრიდან სვეტად გადის და ღამის ქალაქს სითბოს სახით მქრქალად ეფინება ოთახში მყოფთა ბუნებრივად გამონასუნთქი ნახშირორჟანგი.

-მშვენიერი ჩაია. - არღვევს ოთახში მდგარ სიჩუმეს პირველი ქართველი და ოთახში მყოფებს თვალებით გიღიმით. თანხმობის ნიშნად დაქნეული თავები იქაურ ჰაერს ფხიზელი მზერისთვის შეუმჩნევლად აზანზარებენ.

-ჩვენც არა გვიშავს. - მეორე ქართველის ასევე ღიმილიანი მოსაზრება ექოსავით ისმის ერთმანეთით გამთბარ ოთახში. - ცხელა ალბათ თქვენკენ... - ვარაუდობს იქვე დამდუღრული ხმით და ტაილანდელს ქონიან სახეზე ავლებს მზერას,

-ბანგკოკში? - ცქვიტივ ტაილანდელი და თავს თანხმობის ნიშნად აქიცინებს.

-ცხელა რომელია. - მის მაგივრობას სწევს პირველი ქართველი. - და მაინც, ყველა ასეთ ცხელ ჩაის სვამს. თან დღეში ოცდაათ ჭიქას.

ტაილანდელი კი, ამ დროს ისევ კონფერანსიეს თამაშობს - კვლავ ქლესად გაღიმებული, სათვალეს ხელის ტეხილი მოძრაობით იხსნის, პეწიანად დაუთოებული ცხვირსახოცით გულდასმით წმენდს და უკანვე იკეთებს.

-სიცხე სიცოცხლეა. - ლოტოსის პოზაში მჯდომი, თვალებდახუჭული ავღანელის დამარცვლით ნათქვამი ორი სიტყვა ოთახში მყოფებს სახეებს ღიმილით უფერადებს.

-სადაც ჩვენ ვართ, იქ ყოველთვის ცხელა. - ამბობს პირველი ეკვადორელი და გრძელი კულულის საჩვენებელ თითზე დახვევას იწყებს.

ცოტა ხნით ოთახში სიჩუმე ბოგინობს.

-არადა, აქაურმა სიცივემ, გუშინდლამდე სულ თავის მოკვლაზე მაფიქრა. - ისმის მერე ოთახის ბნელი კუთხიდან მეორე ეკვადორელის ბედნიერი ხმა.

ოთახში მყოფები მკვირცხლად ატრიალებენ თავებს და მისი გაბრწყინებული მზერით უსაზღვროდ დათრგუნულები ერთხმად ამთქნარებენ.

-მერე? - ბედავს და ცოტა ხანში მეგობრული ღიმილით ეკითხება მას პირველი ქართველი.

-მერე, ცოტა დამაკლდა. მაგრამ გიპოვეთ და დამცხა. - ალალად პასუხობს მეორე ეკვადორელი და ტაილანდელს გაჰყურებს.

ტაილანდელი ჩვეულზე სხარტად დგება რბილი საწოლიდან და ოთახიდან შეუმჩნევლად ლღვება. უკან ჩაიდნით შემობრუნებული, არომატული სასმელით ყველას თავიდან უმასპინძლდება.

-ყველაზე დიდი სიცხე, ყველაზე დიდი... - იხსენებს ავღანელი. - ზაფხულობით, ბაბუაჩემის ოპიუმის პლანტაციაში მიგრძვნია... მეტი არსად.

-მერე აქ რა გინდა? - ეკითხება მას მეორე ქართველი და ჭიქიდან ცხელ ჩაის ყლურწავს.

-უფრო დიდს ვეძებ. - იმართლებს თავს ავღანელი და ოთახში მყოფებს კიდევ ერთხელ ფართოდ აღიმებს.

-გაუმაძღარი და უსირცხვილო ხარ. - ხუმრობს მისი მისამართით პირველი ეკვადორელი.

-უსირცხვილო მე ვარ. - ისმის ამ დროს შენი ხმა და ოთახში კვლავ სიჩუმე იტუზება.

ყველანი შენკენ იყურებიან.

შენც, ფეხზე წამომდგარი, ნებართვას არავისგან ილებ, ისე იწყებ:

- ეს ამბავი ათი წლის წინ მოხდა. ან თერთმეტის... თუ მეტის? თუმცა, არა აქ მნიშვნელობა... მოკლედ, მოხდა... ერთს გადახდა, როდესაც სასაფლაოსთან ბორიალობდა და კაქტუსებს აგროვებდა. კლდოვანი ფერდობი იყო. აქა-იქ ეკლოვან კაქტუსებს და სიცხისგან გაყვითლებულ ბუჩქებს წამოეყოთ თავი. პაპანაქება სიცხე იდგა. ჩამოჯდომასა და ცოტა ხნით სულის მოთქმას აპირებდა, როდესაც ერთ-ერთი ბუჩქის უკანა, ქვედა მხრიდან, უცნაური ხმები მოესმა. შეშინებულმა მიაყურადა. ხმები არ ცხრებოდნენ, თუმცა ვერც საუბარს მიამსგავსა, ვერც ტირილს, ვერც სიცილს... დამფრთხალმა და თან ინტერგალვიძებულმა ძალა მოიკრიბა, ბუჩქს მიუახლოვდა და ზემოდან ფრთხილად გადახედა... ორ დედიშობილა ადამიანს მოჰკრა თვალი. იმდენად შიშვლად იყვნენ, რომ ვერ იცნო. ერთმანეთს მჭიდროდ ჩახვეოდნენ და გიჟურ ხმებს გამოსცემდნენ. სწორედ ამ ბუჩქს, თავზე, ზემოდან, უზარმაზარი ლოდი დაჰყურებდა... არ ვიცი, საიდან, რატომ... როგორ... მაგრამ მაინც... ამ ლოდს წიხლი გამეტებით დაჰკრა. ეს ვეებერთელა მასა ხმაურით დაენარცხა ბუჩქს და ხმებიც ერთბაშად დაადუმა... უეცრად გამოფხიზლებულმა და მიმხვდარმა, თუ რა საშინელებაც ჩაიდინა, კაქტუსებიან ტომარას ხელი დაავლო და შინისკენ გულგახეთქილი გავარდა... დღემდე არ იცის, ვინ იყვნენ ის უბედურები... ის სასაფლაო, იმ ამბიდან ხუთი წლის შემდეგ გააუქმეს. ზემოდან ახალი, შავი მიწა მოაყარეს და ზედ ვენახი გააშენეს. იმ ლოდისთვის ხელი არავის უხლია. ხელს არ უშლიდათ, პირიქით - დღემდე იქ დევს და ვენახში მომუშავე გლეხები სასამხრო მაგიდად იყენებენ ხოლმე. - ასრულებ ისტორიას და ოთახში მყოფებს ავლებ მზერას.

თავჩაქინდრულები რაღაცით იმ ვენახში მომუშავე გლეხებს გვანან.

ცოტა ხანში, ოთახში მეტყველი სიჩუმე იწყებს თრთოლას. ტაილანდელი ქსუტუნებს. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და ნესტიან ცხვირს ხმაურით იხოცავს.

-...და თუ მიხვდებით, რატომ ვარ უსირცხვილო? - კითხულობ განყენებულად და ოთახში მყოფებს კიდევ ერთხელ ათვალიერებ.

პასუხად თვალსაც კი ვერ გისწორებენ.

-რატომ და... იმ უბედურს... იმას... დღემდე ლოდის ქვეშ ვგონივარ და სულ არ იცის, რომ ის უზარმაზარი ქვა წკიპზე აგვცდა.

სიუჟეტის ასეთი ბრუნი ყველას ერთხმად აკრთობს და თავებს მაღლა აწევინებს. თავიდან ფრთხილად ილიმებიან, მერე ეს ფრთხილი ღიმილი ფრთხილ სიცილში გადასდით. ბოლოს, ყველანი ერთხმად ხარხარებენ და ოთახიც თვალისმომჭრელ ნათებას იწყებს. ამ ყველაფერს ოთახის ფანჯრის მონოტონური ჭრიალიც ერთვის და სიცილისგან აცრემლებულები აშკარად ხედავთ, თუ რა მოურიდებლად შემოგციმციმებთ ღამის ქალაქიც.

ტაილანდელი კი ამ დროს კიდევ ერთ მსხვილ სიკეთეს სჩადის - ისევ ფრთხილად ლღვება ოთახიდან და რამდენიმე წამში შუშის სინჯარით შემობრუნებული, იქიდან სათითაოდ გირიგებთ მომწვანო ფერის 'შვების აბებს". აბებს ყველანი ერთდროულად და ერთნაირად ყლაპავთ და ზე-მოლოდინით დატყვევებულები ფანჯრისკენ იყურებით.

უცებ, ღამის მოსკოვი თოვლის თეთრ ფანტელებში ეხვევა. თქვენი სხეულების სიცხე უმალ რამდენიმე გრადუსით მაღლა იწევს და უკვე ეჭვიც არავის გეპარებათ, რომ მსოფლიოს ყველაზე ცივ ქალაქში ყველაზე თბილად თოვს.

7.

თვალები მთვრალი ხუჭვა და უკვე იქით ხარ.

წინ ქვიშის უჰორიზონტო ოკეანე გეშლება - ფერით კვასკვასა ყვითელი, ცხელი და მწველი. მზის მჩხვლეტი სხივებით უმოწყალოდ მიმოსერილი და ყველაზე დიდ მდუმარებაზე ჩუმი.

ხარბად ისუნთქავ დასიცხულ ჰაერს და გესმის, რომ შენს გულისცემას მუსიკალური ექო აქვს - უდაბნო შენი სხეულის ყოველ შფოთს ითავისებს და ლაღი გამოჯავრებით, საკუთარ ენაზე გპასუხობს. საკუთარი სიმჩატისა და უწონადობისგან უსაზღვროდ ბედნიერი მზესავით იღიმი და ნაცად ფანდს იხსენებ - თვალს უკრავ მას, ვისაც ყოველდღე და ყოველწამს წყურიხარ. ასეთი კი აქ მხოლოდ მზე გყავს - უდაბნოს ძიძა.

ცოტა ხანში შენდაუნებურ სვლას იწყებ - თავისით მიგებიჯებინება. თუმცა, აქვე ამჩნევ, რომ ეს ნაკლებად ჰგავს დედამიწურ სიარულს - შენ დროზე უსწრაფესად მისრიალებ, მიქრიხარ, მიცურავ, მიფრინავ. შენი მზერა უკან იტოვებს ქვიშის გაქვავებულ, აქოჩრილ ტალღებს, მდინარეთა ამომშრალ, ქვიშიან კალაპოტებს, ქვიშის თვალუწვდენელ პირამიდებსა და მათ მდუმარებას. კაი ხნის ფრენის შემდეგ, ცხვირი წყლის გემრიელი სუნით გინესტიანდება და უმალ მი-

ნდები. უკვე, უხვად მჩქეფი მდინარის პირას დგახარ და წყლის უსუნო სურნელით ძლები. მდინარე თავისთვის, სადად მილივლივებს და მისი ეს უპრეტენზიო დინება, ამაჟრჟოლებელ ფონად გასდევს ჩამონისლულ სიჩუმეს.

მდინარის პირას, ხის მოკლე, კუსტარული ანკესებით ხელში, უკიდურესად გამხდარი, თეთრწვეროსანი და თეთრსამოსიანი ბერიკაცები ჩარიგებულან და ჩაცუცქულები, მდინარის ფერად ფსკერს დაფიქრებული სახეებით ჩაჰყურებენ.

უცაბედად გულაჩქარებული, ფეხაკრეფით მიახლოებასა და პირველივე მათგანის გვერდით უჩუმრად ჩაჯდომას ცდილობ, მაგრამ.... შენი გულის ხმამაღალი ბრახუნი ბერიკაცებს ერთხმად აღებინებს თავებს.

ადგილზე ხევდები. ისინი კი, ბინდნარევი და გამომცდელი მზერით თავიდან ფეხებამდე გსუსხავენ და შენი პირველი ქმედების მოლოდინში ყვრიმალთან იისფერი ძარღვი მძაფრად უტოკავთ.

ცხადად, მთელი სხეულით გრძნობ, რომ ამის პასუხად შენს თვალებს ჯერარნახულად ელიმებათ, რაც სრულიად საკმარისია, რომ ბერიკაცებმა ერთდროულად, მძიმედ და კეთილად დააქნიონ თავები და თევზაობა განაგრძონ.

8.

-თევზაობთ?
-ხომ ხედავ.
-...და იჭერთ რამეს?
-რამეს?
-აბა?
-თევზს.
-მერე... რას უშვებით?
-რა უნდა ვუქნათ?!
-ჭაამთ?
-ამას რა გვაჭმევს...
-აბა?
-სწორად ცხოვრებას ვასწავლით.
-ეგ როგორ?
-უკან ვუშვებთ!

ეს პასუხი თვალებს გახუჭინებს, მიწაზე გაჯენს და შორ, მომწვანო ბურანში მიყავხარ. მერე თვალგახელილი აქეთ-იქით შემცბარი იყურები და ხედავ, რომ ისევ ოთახში ხარ.

9.

-კაკაოს დალევ? - გეკითხება დამტვრეული რუსულით და სამი დღის დაუბანელ სახეს ჯერ წირპლებისგან გინმენდს, მერე კიდევ ნიკაპზე ალმოცენებულ ძირმაგარას გირწყავს.

მისი ასეთი უშუალობისგან გათამამებულს მკლავებზე გბურთგლავს. ის თვალისმომჭრელად გიღიმის და ხაკისფერ ხელისგულს დაუბანელ თავზე გადებს. მერე იხრება და თავის სქელ, ქლიავისფერ ტუჩებს ტუჩებზე განებებს. შენი ტუჩები ცხადად გრძნობენ მისი ნაზად ხორკლიანი ენის ლორწოვან სიმხურვალეს, მაგრამ მაინც მომუწულობას ინარჩუნებენ.

-რატომ? - უკვირს ისევ დამტვრეულად.

შენ თავს ქინდრავ და ადრეულ სიყმაწვილეში გადავარდნილს ყურის კიდეები გივარდისფრდება.

-რა გჭირს? - არ გეშვება ის.

შენ თავს მაღლა სწევ და ათვალიერებ.

ხასხასა წითელი ჯემპრის ქვეშ, აქედანვე ჩანს რომ არც არაფერი აცვია. ჯინსის მკაცრად შემოტკეცილი შავი შარვალი სხეულის ქვედა ნაწილის ქალურ ბორცვებს უკვართავს. ყვითელ ელექტრო-შუქზე, წმინდად გადაპარსული თავი ოქროსფრად უბზინავს და თეთრად ილიმება. ისევ იხრება, ცხელ ტუჩებს ამჯერად შუბლზე გადებს, ენის წვერით მის შუაწერტილს ოდნავ გილბობს და მკვეთრი მოძრაობით შენს მუხლებზე თავსდება.

-შუბლზე მხოლოდ დებილებს კი არ კოცნიან. - გეუბნება თეთრად მოელვარე სიცილით.

-'Skunk anansie." - გახსენდება მუსიკალური სიჭაბუკე. - ერთი კვირაა კბილები არ გამიხეხია. - უხსნი ხმაში ხრინწგარეული და ლოყას მხარზე ადებ. თვალანწყლიანებული თბილად გიხუტებს და თავზე ნაზად გეფერება. შენ მისი აჩქარებული გულისცემა გესმის და ამით გამთბარი, იმ ქორფა სურნელით ძლები, უხვად რომ აფრქვევს მისი ზეთისხილისფერი სხეული.

-რიმ-ტა-რი-რო, როჟე მილა და ჩე გევარა, 'ვაჰ დრონი დრონი", სიყრმეში ნალეჭი გუდრონი, დარბილებული ასფალტი, ბიძია თომას გავარტყი, ყვავის მზიური აჭარა, მე უნდა მომცე - მას არა, 2 рас-ის დაბრედვა შევიტყე, კაუჩუკის ტყეს ესაჭიროება მეტყევე არასრული განათლებით და ქართული ტვინით, მუსტანგები და ზებრები, გახორვატებული სერბები, სკოლის ბუფეტის სოსისი, დრო სიკვდილამდე მოგიცდის, პოეზია ცეკვას ჰგავს, პროზა სახლის შენებას, მზე თუ დედაკაცია მთვარე მისი კაცია, უყდო წიგნები, უნდო მზერები, ჯმუხი ფერები, ჰოტენტოტების ღვთაება, ნეტა იზიდას რა ება, ჰალვა და რაჰათლუქუმი, მუქებს უჭირავთ ბოხუმი, ობოლი კრე-

ოლის ფიქრები, 'ტოროლა და ოლოლი, მიდიოდნენ ორ-ორნი"...

ამ განცდებით მთვრალი შენ მის მოხაკისფრო ყელს ასცქერი. ფიქრებში ჩაძირულს თვალები დახუჭული აქვს და უზომოდ გრძელ წამწამებზე მოვერცხლისფრო ცრემლები ჰკიდია.

-დო-ლო-რეს. - მიმართავ აუტანლად მშვიდი ხმით და თითებით თვალებს უხელ.

-მე ლაურას მეძახიან. - გისწორებს ფრთხილი მტვრევით, თუმცა ღიმილით და სველ წამწამებს სწრაფ-სწრაფად აფახულებს.

-დო-ლო-რეს. - არ იშლი შენსას. - კაკაო მწყურია.

დოლორეს ფეხზე დგება. ჯანმრთელი სხეულის ტაატით სამზარეულოსკენ მიდის და შენთვის ცხელი კაკაო მოაქვს.

...ცხელი კაკაო...

-აფრიკა ბამბაატაა, ყაყაჩოსა სინითლითა, 'შენ აფრენ", რეისი 026, ბარში ელჭექი, ეს მეორე არხია, ლა-ლა-ლი ლა-ლა-ლო, გეპატიჟებათ საპირფარეშო 'ატმოსფერული წნევის სიმაღლე", ხომ არ ჩავარდი, კაკ-პუკ კაკ-კუკ, კუკარაჩა მოკლეეს, აიწონა-დაიწონა, შენ ზოდიაქოთი 'მშვილდოსანი" ხომ არა ხარ, ფაფარაშლილი ცხენი ამოგივიდა, ცხენი დამოუკიდებლობის სიმბოლოა, ჩემი სახელი ყ-ზე იწყება, გვირილების ვენახი, ჩათვლა-არჩათვლა, პასკა პასკა გამოდი, გაბრიელ დაფანჩულის ილლია, სიმბოლიზმი, ჰედონიზმი, დადაიზმი, იზმირი თურქული ქალაქია, ჰოპ ჯოანა, ანა-ბანა ქამირზანა, ვის ყავს პაპა ჩვენისთანა...

შენსა და დოლორესს შორის უსიტყვო კონტრაქტი ფორმდება, რომლის მიხედვითაც გარანტირებული გაქვს სახლი, სითბო, სიჩუმე, კუბური სიგარები, შხაპი დილა-საღამოს, გამჭვირვალე კბილის ჯაგრისი, ფორტეპიანო 'როინიში", მაგნიტოფონი 'აივა", ფერადი ტელევიზორი 'რადუგა", დოლორესის მწიფე მაყვლისფერი ძუძუსთავები... ეს ყველაფერი ცხელი კაკაოს თანხლებით და რაც მთავარია, გეძლევა მშვიდად ყოფნის დრო და უფლება. კონტრაქტის ხანგრძლივობაა ორი კვირა და კიდევ ერთი თვე. მერე კი...

10.

საგამოფენო დარბაზის პირდაფჩენილ კარში მორიდებით შედიხარ და პირველი ოთახის თვალიერებას იწყებ.

აქ იმ დამწყებთა ნამუშევრებია, რომელთაგან საბოლოო ჯამში არცერთი იქცა მხატვრად, არადა, თავის დროზე, ყოველი მათგანი განსაკუთრებულ იმედს იძლეოდა.

-ახალგაზრდავ, ტალახიანი ფეხები გაქვთ! - ვილაც დამჭკნარი ბებრუხანას მკლავზე წითელი ნაჭერი ლაჟლაჟებს.

-გარეთ წვიმს. - ხსნი შენი აზრით დამაჯერებლად, თუმცა იქვე გახსენდება, რომ მართლაც თვეზე მეტია ფეხსაცმელი არ გაგიწმინდავს, ალბათ იმიტომ, რომ ზუსტად ერთი თვეა წვიმს.

-ტილო მაინც დაგეფინათ. - ურჩევ ბებრუხანას და შემდეგ ოთახში გადადიხარ.

აქ იმ მხატვართა ტილოებია, რომლებმაც საზარელი თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

-ჩუსტები გვაქვს. - მოგდევს კუდში ბებრუხანა. - ოღონდ ფასიანი.

-'მაკეევკელი ქვრივები რუსულ აბანოში". - ხმამაღლა კითხულობ ნახატის სათაურს, რომელზედაც სამი ძონძროხა, ცოცხიანი დედაკაცია დედიშობილად გამოსახული.

-ჩუსტები მეც მაქვს. - პასუხობ ბებრუხანას. - სპარსულები. ოღონდ შორს.

ბებრუხანა ქურთუკზე დამჭკნარი თითებით გექაჩება.

-თქვენს მერე ვინ მოწმენდს იატაკს! ახალი რემონტია. დამლაგებელი ბიულეტენზეა - შვილი ჰყავს ანემიით ავად. თუ გგონიათ, რომ მე დავიჭერ ტილოს, მწარედ ცდებით! თან ტილოც არა გვაქვს! აქ ჩემი საქმეებიც თავზესაყრელადაა!

შენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ათვალიერებ კედელზე დაკიდულ ობოლ ტილოებს.

-ტილოების მეტი რაა... - ამბობ შენთვის და მორიგ ნახატს საჩვენებელ თითს უსვამ.

-როგორ არა გრცხვენიათ? - განამუსებს ბებრუხანა. - ნუ ტოვებთ ბინძურ ანაბეჭდებს. ვინ იცის, თქვენი თითები აქამდე სად იყვნენ?!

შენ გეღიმება და თვალებს აელმებ...

-აშლილი როიალის დარდები, მეტალისეკლება ვარდები, ასოებწაშლილი საბეჭდი ფორდი, დმც როზა მოდი მოდი, შავი კლავიშების ალლუმი, ლუმპენთა კონსილიუმი, შენ დაუკარ გარმონო, მონო-მონოპოლია, ფის-ფის-ფის-ჰარმონია, საქორწინო ბეჭდის კვალი, ლალი ლალი ჩემო ლალი, ჯიბის შაში, ძროხის ფაშვი, ენვერ ხოჯას ცრუ-პარპაში, ჰანტელები და გირები, ფანტელების გირაო, ნორდ-ვესტი, ვებ-საიტი, ანბანგანდონ ჭეშმარიტი, მორზეს ნარონპანჟარი, ვენერას ღრმული, მაზლმკვდარი მული, ასტრონომიული ბრანწი, ჭალარაკოპლება ჟირაფი, მენსტრუალური სიროფი, თავში ოფოფი, რკინაზე ხელი, ნიჩურიკი,

არმავირული სიჯიუტე, ბუტე-ბუტე, თითს ნუ იშვერ, ფრჩხილების კოლექცია, შეეშვი ტუტუცია...

-ეს უბრალოდ გამოფენაა, თუ გამოფენა-გაყიდვა? - კითხულობ შენ და მესამე ოთახში გადადიხარ. აქ იმ მხატვართა ნახატებია, რომლებმაც მხატვრობით დიდი თანხა იშოვეს და უმალ დიდ პოლიტიკაში გადაბარგდნენ.

-აუქციონი გუშინ იყო. - გპასუხობს ბებრუხანა და კვლავ უკან მოგყვება. - მაგრამ არაფერი გაყიდულა. ვისღა აინტერესებს მხატვრობა. ახლა სულ სხვა დროა. შეხედეთ, რეებს ხატავენ... ასე ხომ მეც შემიძლია. უბრალოდ, ფუნჯები არ მაქვს. რომც მქონდეს, თმის საღებავით ან მანიკურით ხომ არ დავხატავ.

-პომადას მე გაჩუქებთ. - პირდები გულმხურვალედ და კედელ-კედელ მოძრაობას განაგრძობ.

ბებრუხანა ხელისგულით ქაფმომდგარ ტუჩებს იმშრალებს.

-ააა, ესე იგი მხატვარი ხართ. აი რატომ გაცვიათ ტალახიანი ტუფლი. - ასკვნის გამარჯვებულის ტონით.

-რა, ინჟინრებს არ აცვიათ ტალახიანი? - გიკვირს შენ და ჯიბიდან სიგარეტს იღებ.

-ინჟინრები აქ არ შემოდიან. სად ცალიათ? - გიხსნის ბებრუხანა და თან მკაცრდება. - დღეს ჩვენთან არ ეწევიან!

-ხანძრის გეშინიათ? - გამომშრალი სახით სიგარეტს ჯიბეში იბრუნებ.

-ხომ ხედავთ, მასტიკა ახალი მოსმულია! - არ ცხრება ბებრუხანა და ჩრდილივით მოგყვება.

-ჯობდა ტილო დაგეფინათ. - ურჩევ კიდევ ერთხელ და მორიგ ნახატს შეჰყურებ.

-„ალტერნატიული ჭინთვა." - კითხულობ ხმამაღლა ნახატის სათაურს და ისევ ბებრუხანას უტრიალდები. - საპირფარეშო გააქვთ?

-ფასიანი. წუთი ოცი კაპიკი. - ამაყად გპასუხობს ილლიაში დავთარამოჩრილი ბებრუხანა. - ოღონდ, ქაღალდიც ჩვენთან უნდა იყიდოთ.

-ხელების დაბანა რომ მინდოდეს? - ეკითხები ხმაში ბზარით.

-პირსახოციც ფასიანია. იქიდან სველი ხელებით ხომ არ გამოხვალთ? - დამაჯერებლად ლოგიკურია ბებრუხანა და ჯიბიდან რაღაც ქვითრებს იღებს. - უკვე, ხუთ კითხვაზე გიპასუხეთ. თქვენზე გადასახადია. მოცლილი ხომ არ გგონივართ?

შენ სასონარკვეთა გიპყრობს და იხდი. იხდი ტალახიანი ფეხსაცმელებით დატოვებული კვალის მოწმენდის, საპირფარეშოში შესვლის, კუჭში გასვლის, ხელის დაბანის, პირსახოცში ხელების შეწმენდის, კითხვებზე გაცემული პასუხების თანხას.

მერე, ბებრუხანას ყელზე ხმაურიანი კოცნით ემშვიდობები. გამოფენის დარბაზიდან გასვლისას, შემოსასვლელში მძლავრად იფერთხ ფეხსაცმელზე შემხმარ ტალახს და უკანმოუხედავად გადიხარ.

გარეთ წვიმს.

11.

ოთახს თეთრი კედლები აქვს და საყოფაცხოვრებო ნივთების ნაკლებობას განიცდის. კედლებს ზეთის საღებავის მწვავე სურნელი ასდით. ოთახში მხოლოდ დაბალი სამფეხა ტაბურეტი დგას, რომელზე დედიშობილად მოკალათებული ფოტოგრაფს პოზირებ.

ის არაპროპორციული აგებულების, მოკლეფეხება, მსუქანი და ოქროსკბილება ქალია. ჯინსის ფართო შარვალი აცვია და შენს გარშემო, აპარატით ხელში, გომბეშოსავით დახტის. ყოველი გაჩხაკუნების შემდეგ ბორდოსფერ ტუჩებს სქელი ენით ილოკავს და თვალს გიპაჭუნებს.

შენ მორცხვად ულიმი და გული გამალებით გიძგერს. ცხვირში ადგილობრივი ოდეკოლონის 'ნატაშას" ის გამალიზიანებელი სურნელი გცემს, მის დონდლო სხეულსა და გაზეთილ სახეს რომ ასდის.

-ჩამოფასებული საქონლის გამყიდვლის ფიქრები, ლირიული ფიქრები სასვენი ნიშნების გარეშე, საითკენაა უკუნეთი, ხმა მიეცით ნოსტალგიას, არ გაცივდე თბილად ჩაიცვი, ჩაის სმის დაუწერელი წესები, ყალმუხური პოეზიის საღამო, ლექსები 'ამაოებაზე", დაკავებულია გენაცვალე, სპონტანიზმი, უფასო კონცერტები ლტოლვილთათვის, მარჯვენა ხელის დაკოჟრილობა, ქირომანტია, ყველაზე ჰაგიოგრაფიული ზასი, ეგზომ ეგზისტენციალური ეგზიუპერი, სიყვარული მმაჩში ხელისმოწერის შემდეგ, გთხოვთ წარმოადგინოთ საშვი, ფეხებს შორის უცაბედად წარმოქმნილი სისველის ალიბი და მისი ქიმიური შემადგენლობა, ანტრაქტი, კონტრაქტი, კიბოდ დგომის კონცეფცია, უდანაშაულობის პრეზუმფცია, თინეიჯერი მოშაშის ერექცია...

ქალი ფოტოაპარატს აჩხაკუნებს, ისევ თვალს გიკრავს და გაოფლილ სახეს ლურსმანზე ჩამოკიდებული პირსახოცის ნაგლეჯზე იწმენდს. იქვე შენი ტანსაცმელი და მისი გაცვეთილი ხელჩანთა ჰკიდია.

შენ ფეხზე დგები. მის ხელჩანთასთან სხეულის მორცხვი რხევით მისული იქიდან პატარა მაკრატელს იღებ. ქალი ამ მომენტს

ფირზე აფიქსირებს. შენ ტაბურეტს უბრუნდები, ზედ მძიმედ ელვენთები და მაკრატლით მარჯვენა ფეხის ფრჩხილებს იჭრი. ქალი ისევ ფოტოაპარატს აჩხაკუნებს, მერე ტუჩებს ილოკავს, ოღონდ თვალს აღარ გიპაჭუნებს - შენ საკუთარ ფეხს დაჰყურებ.

კარგამოღებული საპირფარეშოდან წყლის ჩხრიალი ისმის. ქალი ფოტოაპარატს პირსახოცის გვერდით, ლურსმანზე ჰკიდებს. ტუალეტში შესული მხოლოდ ხვანჯარს იხსნის და ფეხზე მდგომი, კაცივით შარდავს. იქვე, თაროზე, თავმოხდილი ოდეკოლონი 'ნატაშა" დევს.

შენ ისევ ტაბურეტზე ზიხარ და უკვე მარცხენა ფეხის ფრჩხილებს იჭრი. ქალი ტუალეტიდან ამღვრეული მზერით გამოდის. შენ ღიმილით იყურები მისკენ. ის ისევ ფოტოაპარატს იმარჯვებს და კიდევ ერთ სურათს გიღებს. მერე გიახლოვდება და თავჩაქინდრულს, შიშველ მხარზე თავის კოჟრიან ხელისგულს გისვამს. შენ მძაღედ გაჟრჟოლებს და უმალ ფეხზე დგები.

-დროა. - ამბობ ხმის კანკალით.

ქალი ნაბიჯს უკან დგამს და ისევ ფოტოაპარატს აჩხაკუნებს.

-იქნებ...? - იწყებს წინადადებას კაცური ხმით, აღარ ამთავრებს და უილაჯოდ ელიმება.

-მელოდებიან. - უხსნი უმწეოდ და საკუთარ ტანსაცმელთან მიდიხარ. უცებ იცვამ, ტრიალდები და ქალს კითხვის ნიშნით შეჰყურებ. ის ისევ ტუჩებს ილოკავს და ამჯერად ძალიან სხვანაირად გიკრავს თვალს.

-მე-ლო-დე-ბი-ან!!! - უმარცვლი ყვირილით.

ქალს სახე უნაღვლიანდება, მერე ჯიბიდან ტკიცინა კუპიურას იღებს და ჯიბეში თავისი ხელით გიცურებს. შენ ბინიდან დაუმშვიდობებლად გადიხარ და კარს მთელი ძალით იჯახუნებ.

ოთახს ისევ თეთრი კედლები აქვს და საყოფაცხოვრებო ნივთების აშკარა ნაკლებობას განიცდის. კედლებს კვლავ ზეთის მძაფრი სუნი ასდით. ოთახში მხოლოდ დაბალი, სამფეხა ტაბურეტი დგას, რომელზედაც აღარავინ ზის.

ფოტოგრაფი ქალი ფანჯარასაა აკრული და სევდიანი სახით გაჰყურებს ქუჩას. მის სახეს, სხეულსა და ხვანჯარს ადგილობრივი ოდეკოლონის 'ნატაშას" გამაღიზიანებელი სურნელი ასდით.

ქალის ღაწვს ცრემლი ასველებს. ის სწრაფად ტრიალდება და ცარიელ ტაბურეტს სურათს უღებს.

12.

შენი აქ ყოფნა შემთხვევ[illegible] [illegible]რით მიენერება. შენ ის [illegible]ინთი - გზა იქიდან აქამდე, საკუთარი ნებასურვილით გალიე და მოიტოვე უკან. უშენობა სველ ლაქად დაემჩნა ერთფეროვანი ბატალიებითა და უსახური სცენებით აღსავსე იქაურ ყოფას და იქაური დროის დუნე და უფერულ, ლამის შავ-თეთრ მდინარებას. საკუთარი 'ავოესა" და გუმანის კარნახით ეს ის გზა იყო:

-გზა ცოდნისა და გამოცდილების ამოუწურავი საბადოსაკენ, საიდან წამოსული მქრქალი სხივებიც აქამდე მხოლოდ ქვეცნობიერად რომ ელამუნებოდნენ შენს ნაადრევად გაჭაღარავებულ სიყმაწვილეს.

ლაბირინთი გაიარე. შენ მოსკოვში ხარ. ტრანსმიგრაცია მოხდა. შენი მომჭკნარი და გადაცვეთილი სიახალგაზრდავე შენდაუნებურად გაახლდა და მისით შემოსილი, იმ დიდ ბავშვად იქეც, ვისთვისაც ყოველი დღე ახალი გაკვეთილია, ეგზოტიკური მოგზაურობაა, ცოდნის ველური თავსხმაა... გრუნტიანი შარა მოასფალტებულმა გზატკეცილმა შესცვალა. სამხრეთული სუნითა და ეჭვიან-შურიანობით დამძიმებული ჰაერი კი - გრილკლიმატიანმა, უჰორიზონტო სივრცემ... და ისევ გამოჩნდა გზა - მართალია ისევ ბარიკადებითა და ბარიერებით გადახერგილი, მაგრამ ამდენის გამთავისებლისა და მნახველისათვის სავალად უკვე შესამჩნევად ადვილი, მარტივი და სასიამოვნოდ დამღლელიც. ამიტომაც მარადჟამ აქტუალურ კითხვას:

- გადავახტი კი ჰორიზონტს? - აქტუალობა სულაც არ დაუკარგავს.

-უკვე ჰორიზონტს იქით ხარ, თუმცა წინ ახალი ჰორიზონტია.

13.

მჭახედ მონიკნიკე საათი გახვედრებს რომ უკვე საღამოა, თუმცა დროის ცვალებადობა ვერც შენს მდორე განწყობასა და ვერც აქაურ მდარე ინტერიერს უცვლის იერსახეს. ერთი ფერისა და მსგავსი სუნის პრეტენზიული ჰეგემონია უგემურ ასოციაციებს გიქმნის და ყელსაც გიქავებს.

საგნებს აქ ერთმანეთისგან სუნითა და ფერით განარჩევენ, და არა მხოლოდ საგნებს.

შენ აღარ გახსოვს და აქედან გამომდინარე, აღარც კი იცი, თუ რას ნიშნავს სიტყვა - 'ჯანმრთელი." გინდა წამოიწიო, მაგრამ შენში სისალის ნატამალი არ შეიმჩნევა და ამასაც კი ვერ ახერხებ.

-'უძლური." - გახსენდება სიტყვა-იარლიყი და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს უგდებ ყურს. სიჩუმე იმდენად მკვდარი და უსუსურია, რომ საკუთარი სუნთქვაც კი არ გესმის და შიში გხორკლავს. იჩქმეტ ბარძაყს - 'ყოფნის" შემოწმების ყველაზე ალალი წესი მაშინვე თავს გახსენებს და გამშვიდებს. ანუ ჯერ კიდევ აქეთ ხარ და ეს სულაც არაა ეიფორია.

საგნებს აქ ერთმანეთისგან ადრეც სუნითა და ფერით განარჩევდნენ, და არა მხოლოდ საგნებს.

მოკრძალებული სიფრთხილით იღება ოთახის კარი. ამ მოქმედებას საოცრად უხდება სიტყვა - 'რუდუნებით." ზღურბლზე მდგარი სილუეტის კონფიგურაცია იმდენად მკაფიო და სხეულის ქვედა ნაწილისთვის ნაცნობია, რომ შენდაუნებურად ილიმები.

ოთახში შუქი ინთება და დაგუბებული სივრცე ყვითელი სინათლით იჟღინთება.

...ექთანი... მსხმოიარე... ქალი...

რატომღაც მაშინვე გიტივტივდება მეხსიერების ზედაპირზე , რომ შენი საწოლის ქვეშ 'სუდნო" (ღამის ქოთანი) უნდა იდოს, რომელშიც გამუდმებით დისტილირებული წყალი ლივლივებს.

საგნებს აქ მომავალშიც სუნითა და ფერით განარჩევენ, და არა მხოლოდ საგნებს.

ქალი-ექთანი შენს საწოლს მკვრივი სხეული ნაზი ტაატით უახლოვდება და უკვე იცი, ხელში რაღაც ზედმეტად თბილი უნდა ეჭიროს.

-საღამო მშვიდობისა. კისელი მოგიტანეთ. ჩემი გაკეთებულია. - ღიმილიანი ფალცეტით რუსულად გიდასტურებს წინათგრძნობას და ელასტიურად მოხრილი, მუქი და ბლანტი სითხით სავსე თეთრ ჭიქას საწოლის თავთით მდგარ დაბალ, კრიალა თეთრ ტუმბოზე დგამს. მისი ეს წამიერი დახრა კი სრულიად საკმარისია შენი ფსევდო-გახრწნილი მზერისთვის, რათა დაიკმაყოფილოს თავისი ბრგე მოთხოვნილება - ის მის უშუალოდ მოღიავებულ გულისპირში ძვრება და ასწრებს მთელი სიგრძე-სიგანით მოათვალიეროს ცისფერი ვენებით ბაცად მიმოხატული მსხლისებრ ნატიფი ძუძუები, მარწყვებივით რომ დასწითლებიათ ხორკლიანი თავები.

ქალი-ექთანი უმალ სწორდება და ზედმეტად შემართული, ქალურად გამჭოლ მზერას სახის ზედაპირზე გისვამს.

ზოგს საგანს საერთოდ არა აქვს საკუთარი სუნი და ფერი, და არა მხოლოდ საგანს.

შენდაუნებური, გაუკონტროლებელი ტალღა სძლევს შენს უმწეო სხეულს - ფეხებს შორის აუტანლად სასიამოვნო თრთოლვას გრძნობ.

-მოხდა რამე? - ქალური ხმით. უკანასკნელი სიტყვის ბოლოს [illegible] გაწელილ კითხვას ასმევინებს, რის ზუსტ პასუხადაც მხოლოდ მხრები გეჩეჩება. კმაყოფილი მოძრაობით გატრიალებული: - ძალლიანნაც კარგი! - ამოთქვამს ისევ ფალცეტით და სხეულის ამაღელვებელი რწევით გტოვებთ შენც და ოთახსაც. ოთახში კი კიდევ კაი ხანს ბობოქრობს მის მიერ შემოტანილი სუნამოს სიფრიფანა სურნელი.

ზოგჯერ არცერთ საგანს არ აქვს საკუთარი სუნი და ფერი, და არა მხოლოდ საგანს.

შენ გეჩვენება რომ დალიე კისელი და თვალებს დანაყრებული ხუჭავ.

14.

სადღაც, ძალიან შიგნით, აუტანელ ტკივილს გრძნობ და მთელ ხმაზე გაჰკივი. თვალები თავისით იხილებიან და მზეს ხედავენ. მზე შენს გვერდით დგას და ნაღვლიანად ასხივებს.

თქვენ სახურავზე დგახართ. ქალაქი აქედან ხელისგულივით პატარა და კომფორტული ჩანს. მზე სევდით აღსავსე მზერით გასცქერის ქალაქს და საწყლად ილიმება.

-როგორ გგონია, მე ყველაფერი წინ მაქვს? - გეკითხება გულუბრყვილოდ.

-არა.

-აბა უკან?

-არა.

-აბა?

-შენ ყველაფერი თავის ადგილას გაქვს. - პასუხობ ალალად და გცხელა.

მზეს ეცინება და თავისი სხივებიდან ყველაზე ცინცხალსა და ნათელს, 'სიყვარული" რომ ჰქვია - შენს გულს ჩუქნის.

-შენ ძმა და მე და! - გთავაზობს მოულოდნელად.

შენ გული გიჩუყს და უარის ნიშნად აქნევ თავს.

-მაშინ, შენ მამა და მე შვილი. - ამბობს მზე და თვითონაც ნაღვლიანდება. - მამა მაინც არა მყავს და...

შენ თვალებიდან ცრემლი გდის და უფრო უარობ.

მზე ჩუმადაა.

-რატომ? - ეკითხები აცრემლებული.

-იმიტომ. - გპასუხობს მზე და მზესავით ილიმება.

-რატომ? - იმეორებ შენ და ცას აჰყურებ.

-იმიტომ რომ... - იწყებს მზე ახსნას და ყოვნდება.

-ჰო...

-იმიტომ რომ... ქალაქი მყავს დასასიცხი. - იგონებს უცებ და ეშმაკურად ციმციმებს.

-კი აბა.

მზე არაფერს გპასუხობს და ცაში იყურება.

-მეც წამიყვანე! - ეხვეწები შენ.

-ვერა. - გპასუხობს თბილად.

-რატომ?

-იმიტომ.

-რატომ? - ჯიუტობ ჩვეულად.

-დაიწვები. - ამბობს მზე და როგორც არადროს, ისე ნაღვლიანდება.

შენ თავს ქინდრავ. მერე მზეს ხელს კიდებ და მის ხელისგულს ტუჩებზე იდებ.

-დაბრუნდები? - ეკითხები ჩურჩულით.

-ალბათ... - გპასუხობს ფიქრის შემდეგ.

-როდის?

-არ ვიცი.

შენ მზეს გულში იხუტებ და ცოტა ხნით მზეობას გრძნობ.

-ახლა კი... - იწყებს მერე მზე.

-ახლა კი... - იმეორებ შენც.

-ახლა კი გზა დამილოცე. - გთხოვს მზე და ისევ მზესავით იღიმება.

შენ თვალებში ცოტა ხანი უტყვად უყურებ. მერე შუბლზე ეამბორები და უმალ დოლორეს გახსენდება - 'შუბლზე მხოლოდ დებილებს კი არ კოცნიან."

-გილოცავ. - ამბობ ნიკაპის კანკალით და ისევ ცრემლდები.

-დროებით! - იძახის მზე და ცაში ვარდება.

-გელოდებიი!! - შენს ყვირილს ექო ანვრცობს, პატარა ჩიტებად აქცევს და ცაში აფრენს.

მზე ქალაქის მოურიდებელ დასიცხვას იწყებს. შენ კი თვალებს ხუჭავ და ამთქნარებ.

15.

უკიდურესობამდე ნერვებდაჭიმულსა და აქაურობისგან გაბეზრებულს თვალები გტკივა, სიცხე გაქვს, რწყევა გინდება, ათ წამში ერთხელ გამთქნარებს. ყელზე გაქვს დამდგარი აქაური თოვლი, აქაური ნესტი, სიცივე, დღე, ღამე, აქაური დრო თუ უდროობა - ყველაფერი ერთად და ცალცალკე.

შენ ძალიან გენატრება:

-აბა, პუმა მოერევა თუ პანტერა?

-არწივი უფრო მაგარია თუ კონდორი?

-დელფინის ხორცი გიჭამია?

-მერსედერსი გაუსწრებს თუ ტრიცატადინი?

-თუ იცი სტივანდერს რა ქვია?

-ჩემმა ძმამ ლიფტში ოცდასამმანეთიანი იპოვა!

ბიბლიოთეკა

.....

-ცხვირსახოცი დაგივარდათ ქალიშვილო!

-ვაიმე, დიდი მადლობა!

-ვერ მიცანით?

-ვერა.

-მე ისა ვარ... აი ის... მაშინ რომ... თმებით... ფეხები შემიმშრალეთ...

-ვაიმე, როგორ შეცვლილხართ? რატომ??

იმიტომ... იმიტომ რომ მოსკოვი დიდია, გაწელილია, გადღლაბნილია, უშნოა. უშნოა, როგორც ქალის გამოუპარსავი იღლია, როგორც ქალის დაჯღვარკული ფეხები, როგორც დაბოლილი ქალის ფიქრი და მოძრაობა... იმიტომ რომ მოსკოვი გასიებულია, გაბერილია, ორსულადაა, ყარს. ყარს, როგორც კბილებგამოუხეხავი ქალის მოურიდებელი გამონასუნთქი, როგორც ქალის გაურეცხავი საცვალი, როგორც ქალის გამოუბანელი ორგანო, როგორც თვით ქალი... არსად ქალი იმდენად ქალად არა გრძნობს თავს, რამდენადაც აქ.

აქ მატრიარქატია. მოსკოვი ქალებს უჭირავთ. ქალები არიან მოსკოვური ცხოვრების სტილის, ყაიდის, პრინციპის მთავარი მარეგულირებლები. მოსკოვი წალეკილია. წალეკილია ქალური ფიქრებით, ქალური პრობლემებით, ქალური ურთიერთობებით, ასეთივე მიხვრა-მოხვრით, ღიმილით, ისტერიით, ქალური სუნით... აქ უკვე კაცებიც კი ქალობენ!

ამიტომაც ბრუნდები, მოდიხარ, მოფრინავ თავქუდმოგლეჯით - შენ არა ხარ ქალი!

16.

თვალების ბოლო გახელა და უკვე აქ ხარ.

მშობლიურ, ვიწრო ქუჩაზე შემოხვეულს გული საგულეში გიდგება და თავისუფლად სუნთქვას იწყებ. ამას ნამდვილი დილა ჰქვია - ცა რიჟრაჟის ბამბით მჭიდროდაა დაფარული. ქუჩა ცარიელია. ის თავის დილის ხილვას აცილებს და ის სიაშკარავე, რაც მას მოულოდნელად ეფეთება თვალში - შენ ხარ... შენი ფორმა და შინაარსია. ბურანში მყოფი მეზობლები, ფანჯრებს სახედაბუჟებულები აღებენ და შენს დანახვაზე უმალგამოფხიზლებულნი სასწრაფოდ ირაზებიან. არადა, დღეს შენ ყველაზე მეტად 'შენ" ხარ. ამას, კუდების რბილი ქიცინით, ქუჩის

მეორე მხარეს შექუჩებული და ფართოდ გაღიმებული უპატრონო, ოთხფეხა ძაღლებიც კი გიდასტურებენ.

ერთიანად ათრთოლებული საკუთარ სახლს ფრთხილი ნაბიჯით, თითქმის ფეხაკრეფით უახლოვდები და უეცრად სახლის კარზე, ყვითელი ცარცით შესრულებულ მინაწერს ამჩნევ.

ეს ის სიტყვებია, მსოფლიოში ყველაზე ხმამაღლა წაკითხვას რომ ითხოვენ:

- „მე შენ მიყვარხარ! მზე."

შენ არ გინდა, ტირილი ჰობიდ გექცეს, მაგრამ ერთიანად აცხელებული მაინც ცრემლდები. სახლში სველი ღიმილით შებიჯებულს და ამაკივლებელი სიხარულით პირთამდე სავსეს, სახლის კარი ღიად გრჩება... თუმცა რა, - შენ, მზე და შენი სახლიც ხომ უკვე კაი ხანია ღია ხართ, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც თქვენთან ბოლომდე მოსვლა სწადია.

## ე რ თ ნ ი

-ააააა... ვაი... მიშველეთ! არავინა ხართ?!

-აქ ვარ... აგერ... შენს გვერდით!

-სად აბა, სად?!

-გადარჩი?

-გადავრჩი?... კი... მგონი კი... ააა... ველარაფერს ვხედავ!...

-ჩემკენ გადმოტრიალდი!... ეგრე... როგორ დაგსისხლიანებია თვალები... სულ ნურნურით მოგდის ყურებიდან, ცხვირიდან, პირიდანაც...

-რა?

-სისხლი!

-ვაიმე, ვკვდებიი!!... მიშველეეთ!

-დაწყნარდი!... შენს თვალებს არაფერი შეხებია - ორივე მთელი გაქვს!...

-მართლა?

-გაუძელი! მალე ალბათ ჩვენებიც მოვლენ და ლაზარეთში გადაგვიყვანენ... იქ კიდევ, მხედველობასაც აღგიდგენენ და ყველაფერს.

-საერთოდ ველარაფერს ვხედავ!

-გაუძელი-მეთქი! ჩვენების მოსვლამდე გაუძელი... აუცილებლად გვიშველიან! უბრალოდ, შეიძლება, მერე სათვალის ტარება მოგიწიოს.

-ვაი, ჩემო უბედურო თავო!...

-შეიძლება-მეთქი! დარწმუნებული არ ვარ...

-აქამდე ხომ ბუზებივით მეხვეოდნენ ქალები!... აწი ვინლა მომეკარება? სათვალიანი ვისლა მოვეწონები?

-შენც მუქი მინები ჩაისვი, ვითომ მზისაა.

-მუქი?... მერე ზამთარში რაღა ვქნა?

-ჩვენკენ ხომ ზამთარშიც იცის მზე.

-არა, არა!! ხომ იცი რანაირიც ვარ... მითხარი, როგორ ავიტან სხვის თვალში დამცირებულ საკუთარ თავს?!.. თან ეს ტკივილი! ისე მტკივა რო... იქნებ მომკლა და მომასვენო!!

-დაწყნარდი-მეთქი! ტკივილით მეც ბევრი მტკივა, მაგრამ ჩუმად ვარ!

-გთხოვ!

-შენი სიკვდილი ჩემი ხელიდან დღეს მაინც არაფრით გამოვა...

-აბა, ასეთი ვის დავენახო, ვის?!

-ეჰ, შენ მხედველობაზე დარდობ, მე კიდევ...

-სხვა რაზე ვიდარდო, რა ჯანდაბაზე?!

-მე კი ხმას არ ვიღებ... არადა...

-ნუ იღებ!... რა არადა?...

-არაფერი.

-რა არადა-მეთქი! ახლავე მითხარი!

-არ დამიჯერებ...

-მითხარი, ნუ მაწვალებ!

-რა და...აფეთქების დროს თავი...

-თავი?

-თავი კი არა, სხეული დავკარგე-მეთქი, რომ გითხრა - დამიჯერებ?!

-რეებს ბოდავ?!... რა თავი?!... თავი თუ დაკარგე, როგორღა მელაპარაკები?

-თავი კი არა, სხეული-მეთქი...

-ბოდავ რაღაცას!

-ვბოდავ??... აფეთქების ეპიცენტრთან იმდენად ახლოს ვიყავი, ტალღა შიგ კისერში მწვდა... თავი მომაგლიჯა... თავი კი არა, სხეული-მეთქი... და აქეთ გადმომისროლა, შენს გვერდით...

-ნაღდი ბოდვააა... სიგიჟეა!...

-მერე კი შენც დამიძახე...

-გაჩუმდი!

-ჩემი სხეული კი, სადღაც, აქედან ძალიან იქით, შორს გდია... ალბათ უკვე უსიცოცხლო და გულგაჩერებული.

-მამხნევებ, არა? მეხუმრები!... მაგარი სახუმარო დრო გამონახე, აი... კაცმა თვალისჩინი დავკარგე და სათვალიანად დარჩენა მემუქრება, ეს კიდევ მასხარაობის გუნებაზეა.

-ეჰ...

-რა ეჰ?!

-დავიფიცებ ყველაფერს, რომ არ ვმასხარაობ!

-რას დაიფიცებ?

-ყველაფერს-მეთქი... თუმცა რა საჭიროა... ხელის მოძრაობა ხომ შეგიძლია? ისიც ხომ არ გაგიფუჭა აფეთქებამ...

-არა, ხელი ორივე მთელი მაქვს! ეგლა მაკლია...

-ხოდა, მარჯვენა ოდნავ მარჯვნივ გამოსწი...

-კარგი რა, რას მემასხრები...

-გეუბნები!

-ხო, კაი... ჩემგან მარჯვენა, თუ შენგან?

-რა მნიშვნელობა აქვს... აი ეგრე...

-მერე?

-რაღა მერე... ეს ჩემი შუბლია. ახლა ქვემოთ ჩააცურე.

-ქვემოთ? ქვემოთ საითკენაა?

-ჰო, ჰო, აი მანდეთ, ცოტათი კიდევ... ო! ეგაა... ჰე, მაინც არ გჯერა?

-ღმერთო ჩემო!!...

-დიახაც...

-ღმერთო დიდებულო!

-ღმერთს თავი დაანებე... ახლა ხომ გჯერა, რომ სწორედ თავიღაა დარჩენილი შენი სპორტული აღნაგობის მეგობრისგან, ვისზეც შენზე არანაკლებ ირეოდნენ ქერათმიანი მოციგურავეები!

-ღმერთო დიდებულო! ეს რა დაგმართნია... როგორ?! მე კიდევ ხუმრობა მეგონა, ისე მამხნევებდი...

-რას იზამ...

-კი მაგრამ, რაღა გეშველება?... რაღა გეშველება კი არა... თფუი... რა საზიზღრობებს ვკითხულობ!

-მაგაზე ნუღარ იდარდებ... ყველაფერი ხდება...

-რა ყველაფერი?!... რაღა უნდა მოხდეს, ამაზე უარესი... კი მაგრამ სხვები? სად არიან სხვები? ჩვენები?!...

-სხვები?... ეჰ, როგორც ვხედავ და მესმის... მგონი აღარავინაც აღარაა - ყველანი დაიღუპნენ!

-რაა?!

-irgვლივ სულ სისხლის გუბეები დგას და ხორცის ნაფლეთები ყრია...

-გაჩუმდი...

-შენ კიდევ ტკივილს სიკვდილით გინდოდა მორეოდი... მე კიდევ შენი კი არა, ანი ერთი ჭუჭყიანი ბუზის მომკვლელიც აღარ ვარ!...

-გემუდარები გაჩერდი!

-ეგ კი არა, შენს ქამარზე ჩემი ნაჩუქარი რევოლვერი ჰკიდია... უკვე მე გთხოვ, ხელი მოკიდო რევოლვერს და თანაგრძნობით გამიხვრიტო შუბლი.

-არა! არასდროს! ნუ მავალებ საშინელებას!

-გთხოვ!

-მე რომ მაგის ოდესმე ჩამდენი ვყოფილიყავი, აქამდე ვიზამდი!

-რა თქვი?

-ძალიან გთხოვ, კარგად გამიგე... მე ვერ გამოვკრავ ჩახმახს თითს! არც იქნება საჭირო... მალე ჩვენები მოვლენ! და გაგვიყვანენ!

-ჩვენები აღარ მოვლენ!

-რას ქვია, აღარ მოვლენ?! შენ თვითონ არ ამბობდი, მოვლენ და გაგვიყვანენო!

-სისულელეა...

-მოვლენ, მართლა მოვლენ და მე ვეტყვი... აგერ ნახავ... შენს თავს სასწრაფოდ ლაზარეთში წაიღებენ და შენს სხეულზე, ანდა თუ ვერ იპოვეს, სხვა თავმოგლეჯილის ტანზე მიაკერებენ!

-გრამაფონში!

-მე სინათლეს დამიბრუნებენ!... მუქ მინებს ჩავისვამ! მართლა გეუბნები... ზამთარშიც სათვალით ვივლი! შენთან ერთად!

-გაჩერდი...

-ნახავ... ჩვენ კიდევ ბევრჯერ წავალთ სტადიონზე მზესუმზირის საჭმელად...

-გახსოვს ბოლოს რომ ვიყავით?

-მაგას რა დამავიწყებს... შენ რომ მსაჯს დედის რძე შეაგინე და გვერდით კიდევ თურმე მისი მამა გვეჯდა.

-კაი იყო...

-იყო კი არა, იქნება! ჩვენები მოვლენ! შენ ტანს მიგაკერებენ, მე თვალის ჩინს აღმიდგენენ! ზღვაზეც წავალთ. ცურვაში ხომ ისევ მაჯობებ, სამაგიეროდ, მე უფრო დიდხანს ვყვინთავ.

-გახსოვს, ძლიერი ქარიშხალი რომ ამოვარდა და ჩვენი ლეიბი გოგოებიანად შუა ზღვაში რომ წაიღო?

-აგერ ნახავ, კიდევ თუ არ იქნება... თხილამურებზეც დავდგებით. თხილამურები ისევ შენ უნდა მათხოვო. ჩემები ხომ იცი, როგორი მოკლეა... ხან მე დავეშვები, ხან შენ.

-ბოლო დაშვებაზე ფეხი რომ მოგტყდა და მედ-პუნქტამდე ხელით რომ გათრიე...

-მახსოვს, აბა რა...

-წელი მთელი კვირა გაკავებული მქონდა...

-იქნება! კიდევ იქნება! აუცილებლად იქნება! რატომ არ გჯერა? აი, ჩვენები მოვლენ და...

-არავინაც აღარ მოვა! ყველაფერი პირთამდე მომსპარია და მე მგონი, ერთადერთი ვართ, თუ ორად-ორი, ვინც გადარჩა...

-სსუ!

-არ მოვა-მეთქი არავინ!... თავს თვითონ თუ ვუშველით!...

-ვილაცა ხომ მაინც გადარჩა?...

-ჩვენ-მეთქი... ეს ძალიან ძლიერი აფეთქება იყო. სიარული ხომ შეგიძლია?

-სიარული?

-წამოიწიე. ადე, ადე, გაუძელი!

-მმმ, საშინლად მტკივა...

-არ მიაქციო ყურადღება... ადე, ადე, და იცი რა ქენი?

-ჰო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ჩემი თავი აილე ხელში!

-რა შენი თავი?...

-აილე-მეთქი!

-ხელში?

-აი მასე!... კარგად მომკიდე... მე ვხედავ გზას და, თუ გასვლაა - ერთად გავალთ!...

-ვერაფერს ვხედავ!...

-პირდაპირ გადადგი ოთხი ნაბიჯი!... ეგრე!... ახლა მარცხნივ. ერთი, ორი, სამი... სტოპ!

-რა ხდება?...

-ფეხი არ დაადგა, ვილაცის მოგლეჯილი ბარძაყი გდია!... ოდნავ მარჯვნივ და პირდაპირ, ოლონდ ჩემი თავი არ გაგივარდეს - ძალიან ცუდად გიჭირავს... წესიერად დამიჭირე! თითები კარგად შემომაჭირე!.. მარცხენა ხელიც მოახმარე!

-ცუდად ვარ!...

-განვაგრძეთ გზა!... თამამად!... პირდაპირ სამი მოკლე ნაბიჯი... ახლა მარცხნივ შეუხვიე... ფრთხილად, ამ მუცელგამოფატრულს არ დაადგა ფეხი!

-ვაი, დედა...

-რა გაკვნესებს...

-ალარ მივედით?

-წესით კი უნდა მივსულიყავით.

-იქნებ გზა აგვერია?

-არა... აქაც გვამებია.

-ბევრი?

-...ვიდრე წარმომედგინა, იმაზე დიდი აფეთქება ყოფილა... წინ ოთხი ნაბიჯიც და მერე მარჯვნივ შევუხვიოთ... აი ეგრე... აგერ წყარო!...

-დავილალე და ყველაფერი მტკივა!

-ჰოდა, წყალი დავლიოთ... მეც დამალევინე... ცოტა შევისვენოთ... ჭიქა აგერ დევს... მარჯვენა ხელი წინ გაიშვირე... ოდნავ მარცხნივ... ოოო, კარგია... ჩაბლუჯე და არ გაგივარდეს... ახლა ცოტა დაიხარე... ჭიქიანი ხელი არსად გასწიო... ზუსტად შენს ქვეშ მილია, საიდანაც წყალი გადმოდის... აავსე... ცოტაც.

-ცივი წყალი...

-მოსვი და მეც მომასმევინე... პირი, ხომ ხვდები სადა მაქვს?

-ვიცი!

-კარგი ხარ... მეტი ალარ მინდა... გადააგდე ეგ ჭიქა... ალარა მგონია კიდევ ვინმეს გამოადგეს!

-იდოს რა... ახლა საით? ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!!

-ჩუ! რა გაყვირებს!... ანდა იყვირე რა, მაინც ვერავინ გაიგონებს.

-ნუთუ მართლა ყველაფერი აფეთქდა?

-სულ ყველაფერი!

სიჩუმე.

-მორჩა!... ასე ალარ შეიძლება! ალარც შემიძლია!

-დაწყნარდი!

-ამ ჩემს სიბრმავეს, საეჭვოდ ალდგენილ მხედველობას, საძაგელ სათვალეს, მირჩევნია საერთოდ არ მედგას ეგეთი თავი კისერზე!

-რეებს ბოდავ?!... მარჯვნივ გატრიალდი და წინ ექვსი ნაბიჯი!!

-მორჩა-მეთქი!

-დაწყნარდი!

-მე უკვე ვიცი, რაც უნდა ვქნა!!

-გაჩერდი-მეთქი!!

-არავითარი ჩვენები ალარ არსებობენ!!

-ნუ კივიხარ!!

-მოიცა... ჩემი სამართებელი ჯიბეში უნდა მედოს... გულის ჯიბეში!

-რა სამართებელი?!

-აქაა!... ვიპოვე!!! ძალიანაც კარგი...

-რაიმე სისულელე არ ქნა!!

-მე ვიცი, რასაც ვიზამ!!

-გაჩერდი-მეთქი!...

-იმას, რაც თავიდანვე უნდა მექნა!!!

-რეებს ბოდიალობ?!

-საერთოდ მოვიჭრი თავს და შენსას დავიდგამ მხრებზე!!!

-რაა??!

-რა და, რაც გაიგე!

-შენ გაგიჟდი!

-ჩვენ ხომ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ - ერთი სიყვარულით, ერთი გემოვნებით, ერთი მიხვრა-მოხვრით, ერთი ვარცხნილობით, ერთი სურვილებით...

-არ ქნა!!! არაააა........

ისმის სამართებლით კისრის ჭრისა და ხროტინის ხმები.

## მეც...

მერე რა, რომ დღეს - მზის აქ ამოსვლიდან ძალიან სხვაგან ამოსვლამდე, დღეს - აქედან და კიდევ ერთხელ აქამდე - დღეს, ის დედამიწას, ამ ალაგ-ალაგ გამაოგნებლად ნოყიერი სიმრგვალის თავბრუს - მარადრწევადი, განივადრწევადი, სიმღერითრწევადი ხელისგულების გადამკიდე, მტკივნეულად თოთო ფეხისგულებითაც კი არ შეხებია და მხოლოდ დედის ძუძუდან წვეთ-წვეთად გადმომდინარი რძის ქორფა სურნელით ცხოვრობს.

-ძალიან მეცნობი.

-მეც...

-ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ერთ თეთრკედლება სამშობიაროში დავიბადეთ

და ერთმა რეზინისხელთათმანიანმა გამოგვამზეურა შიგნიდან გარეთ.

-მეც... და თითქოს, ჩვენი ლამაზი დედები ერთ თეთრკედლება პალატაში, ერთმანეთის პარალელურად მდგარ საწოლებზე ერთნაირ ხალათებში ისხდნენ და ხანდახან თავს იმით ირთობდნენ, რომ სახეზე შუქით, ერთმანეთში გვცვლიდნენ და ერთმანეთის ძუძუს გვაწოვებდნენ.

-ამის შემდეგ, მე ბავშვობიდან მოყოლებული ვერ ვიტან შაქრიან რძეს.

-მეც და თან, პიანინოზე დაკვრაც ვიცი, ოღონდ დაკვრისას, ჩემი თითებით მხოლოდ დედის რძისფერ კლავიშებს ვეხები ხოლმე...

-მეც...

მერე რა, რომ დღეს - მზის აქ ამოსვლიდან ძალიან სხვაგან ამოსვლამდე, დღეს - აქედან და კიდევ ერთხელ აქამდე - დღეს, ის დედამიწას, ამ ალაგ-ალაგ გამაოგნებელი სიმრგვალის თავბრუს, ბავშვური კეფიდან ცრემლების ლაპალუპის თანხლებით მოსახოტრი თმებითაც კი არ შეხებია და მხოლოდ ადრეთუგვიან დასამტვრევ სათამაშოებთან სერიოზული საუბრებით გაჰყავს დღე.

-დღეს უფრო ძალიან მეცნობი.

-მეც...

-ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით და ერთი, წარბებიდან ფეხისფრჩხილებამდე ჭალარა მასწავლებელი გვასწავლიდა პლასტელინებიდან პატარა ადამიანების გამოცალკევებას.

-მეც... და თითქოს, ეს შენს გამოძერწილ კუზიან კაცს მოვაძვრე მე კუზი და და მისგან, ძალიან პატარა ქალი გამოვძერწე დიდი ძუძუებით.

-და თითქოს, იმ მასწავლებლის საჩვენებელი და ცერა თითების უფაფუკეს ბალიშებს, დღემდე შერჩენილი აქვთ ჩემი და შენი ყურის ბიბილოების მტკივნეულად რბილი სითბილე.

-მე ამის მერე, დასანახავად მეზიზღება და როცა მხვდება, ვცდილობ არასდროს არ გავიკარო პირში კანფეტი ნუგა.

-მეც... და თან, ყოველთვის მსურდა არისტოკრატული ფორმის ყურებიანი ცოლი მყოლოდა.

-მეც...

მერე რა, რომ დღეს - მზის აქ ამოსვლიდან ძალიან სხვაგან ამოსვლამდე, დღეს - აქედან და კიდევ ერთხელ აქამდე - დღეს, ის დედამიწას, ამ ალაგ-ალაგ გამაოგნებლად ნოყიერი სიმრგვალის თავბრუს, გადატყაული მუხლებისა და ჭორფლიანი ცხვირიდან ნაუცბათევად წამომდინარე სისხლის მუქი წვეთების გარდა არაფრით შეხებია და ცისფერ ეკრანზე თვალმოჭრილი მულტფილმების დანატრ[illegible] ღიმილით გაჰყავს დღე.

-ახლა კიდევ უფრო ძალიან მეცნობი.

-მეც...

-ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სხვადასხვა დროს, ერთიდაიგივე სკოლის ერთიდაიგივე მერხის წინ მოგვიწია ჯდომა და შენ, ჩემს მიერ მერხის ქვეშ აწეპებულ სალეჭ რეზინს გაუსინჯე გემო.

-მეც... და თითქოს ამ სალეჭი რეზინისგან გაბერილი ბუშტი ისე მჭახედ გავხეთქე, რომ მასწავლებელმა ამის გამო, მეც და შენც, ორივეს სხვადასხვა დროს, ერთნაირი ორიანები დაგვიწერა სკოლის ჟურნალში.

-მე ამის შემდეგ, ორჯერ არასდროს ვრეკავ ზარს კარზე.

-მეც... და თან, ყოველთვის მსურდა ორზე მეტი შვილი მყოლოდა.

-მეც...

მერე რა, რომ დღეს - მზის აქ ამოსვლიდან ძალიან სხვაგან ამოსვლამდე, დღეს - აქედან და კიდევ ერთხელ აქამდე - დღეს, ის დედამიწას, ამ ალაგ-ალაგ გამაოგნებლად ნოყიერი სიმრგვალის თავბრუს, პირველი სტიპენდიით ნაყიდი მზესუმზირის ჩენჩოს გარდა არაფრით შეხებია და მხოლოდ სპორტული პრესის გამალებულ კითხვაში გაჰყავს დღე.

-დღეს კიდევ უფრო ძალიან მეცნობი.

-მეც...

-ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სხვადასხვა დროს, ერთ ქალთან წოლით დავკარგეთ მოუმწიფებელი ვაჟიშვილობა.

-მეც... და თითქოს, ის ქალი იმდენად ერთნაირად და ერთნაირად კარგად გრძნობდა თავს ჩვენს მკლავებში, რომ სხეულის თვალატრიალებული ხუჭვისას, კვნესანარევი ჩურჩულით, ერთმანეთის სახელებს გვეძახდა.

-მე ამის მერე, იქიდან მოყოლებული ვიცი, რომ დედამიწაზე ნებისმიერი ქალის გულის შიმშილისმომკვლელ ღვეზელად შემიძლია ქცევა.

-მეც... და თან, აკვიატებული მაქვს ქალური ჩვევა - თმას ძალიან ხშირად ვიმოკლებ და ისიც მხოლოდ ქალ პარიკმახერებთან.

-მეც...

მერე რა, რომ დღეს - მზის აქ ამოსვლიდან ძალიან სხვაგან ამოსვლამდე, დღეს - აქედან და კიდევ ერთხელ აქამდე - დღეს, ის დედამიწას, ამ ალაგ-ალაგ გამაოგნე-

ბლად ნოყიერი სიმრგვალის თავბრუს, გამოღებული ფანჯრიდან წკიპურტით მოშორებული სანახევროდ ჩამწვარი სიგარეტის გარდა არაფრით შეხებია და მხოლოდ დაკბილულფოთლება მცენარის მტვრის წევაში გაჰყავს დღე.

-უფრო და უფრო მეცნობი.

-მეც...

-ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სხვადასხვა დროს, ერთიდაიგივე კანონის დარღვევისთვის, ერთ ცივ და სველკედლება კამერაში მოგვიწია წლების ხეხვამ და საკუთარი ხელით ამოღებული ზემოდან მეოთხე კბილით, ჩვენი მორკალული ზურგებით შემთბარ ერთიდაიგივე კედელზე, გაუთვითცნობიერებლად ერთმანეთის სახელები ამოვფხაჭნეთ.

-მეც... და თითქოს იმ კამერის იატაკზე მოლასლასე ბუზს, სწორედ შენ შეაწყვიტე მარჯვენა ფრთა, მე კი, სულ სხვა დროს - მარცხენა.

-მე ამის მერე, ჩემი სახლის ფანჯრები, ყველაზე წვიმიან დღეებშიც კი დაჭყეტილი მაქვს.

-მეც... და თან, ჩემს საწოლ ოთახში, კედელზე ჩამოკიდულ გადამწვარ რადიოლაში ორმა მერცხალმა ბუდე რომ გაიკეთა, სულ არ გამკვირვებია.

-მეც...

მერე რა, რომ დღეს - მზის აქ ჩასვლიდან ძალიან სხვაგან ჩასვლამდე, დღეს - იქიდან და კიდევ ერთხელ იქამდე - დღეს, ის დედამიწას, ალაგ-ალაგ გამაოგნებლად ნოყიერი სიმრგვალის თავბრუს, ღმერთნარევი ფეხისგულების გარდა ვერაფრით შეხებია და ქალაქ-ქალაქ სიარულისას ადამიანების გულიდან გულში გადასვლით გაჰყავს დღე.

-ვა, შენც რკინა-კავეულში იყავი?

-შეენც?

-მეც. იყიდე რამე?

-რაც მქონდა, ოცდაათ ვერცხლად ჩავაბარე, შენ?

-მე ეს გრძელი ლურსმნები ვიყიდე.

-იატაკს აგებ?

-არა.

-აბა რად გინდა?

-ჩემი ხელისგულებისთვის.

დავით ქართველიშვილი

# მოთხრობები

## თხრა და გადამწერლობა

I

თხრიან. ებრძვიან მიწას. უძლეველს ნიჩაბ-ნერაქვებით. ეძებენ, გამუდმებით. პოულობენ ხანდახან, თასებს: მათით სმიდა სარიბ-თავადი ღვინოს. სამკაულებს: იგინი ამშვენებდნენ თავადის თავისთავად ამპარტავანი მეუღლის ყელ-კისერ-მკერდს, მაჯებს. უფრო ხშირია უბრალო ნივთნი ყმა-მსახურთა.

საუბარში ჭეშმარიტება იკარგება. ჰქრება — კამათში. იციან ეს და სდუმან, ყუჩად არიან. ჰფუთავენ ნაპოვნს კოხტად და ჩქარი ავტოთი აგზავნიან თბილისში. იქ ისაუბრებენ, იკამათებენ იქ სხვები. ოღონდაც!

თვისნინ ჩამოვიდნენ აქ: წარუდგინეს გამგებელს გათხრების ნებისდამრთველი ქაღალდი და, რაღაი მუშებისთვის მისაცემი თანხა არ ჰქონდათ, თავადვე დატრიალდნენ. აგვისტოა, მარიამობისთვე ძველებურად, შუა. ცხელა ღამითაც, კარვებში სძინავთ.

მოსაწყენი რამ საქმეა მატიანეთა კითხვა. კირკიტი ძველ რუქებში, მაგრამ ამათთვის აუცილებელი. მერვე საუკუნის მატიანეშია მოხსენიებული ცოლ-ქმარი. სარიბ ვით მარჯვე მეხრმლე მტერსშეკვდომილი, ხოლო ჰანიფა: „ქალი შუენიერი, მჭრუეტელი, ცხოვრებისა ფრიად გონიერ", ვინაც „სწერდა თვისსა განცდათ გრძელთა ღამეთა შინა".

— ბატონებო! ისტორიკოსებმა სჩითეს არქივები, მოიარეს ეკლესია-სალოცავები, შეამოწმეს ტაძრები ამაოდ! ვერსად მიაკვლიეს ჰანიფას დღიურებს. არ შემორჩენილა ალი-კვალი მათი. ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ბატონებო, ცოლ-ქმრის სასახლე-საცხოვრებლის ნახატი მაინც გვაქვს სავარაუდოდ. არქეოლოგია ერის მატერიალურ კულტურას იკვლევს — განაცხადა ბანკეტზე (ბიჭებს აცილებდნენ) პირველმა არქეოლოგმა, ინსტიტუტის შეფმა. მერე მშვიდობიანი გზა და წარმატებული მუშაობა უსურვა ბიჭებს და სახლში წავიდა, მიატოვა სუფრა, ხალხი.

ჰე, ცოლი ჰყავდა აშარა-ანჩხლი, მთვრალ ქმარს სახლში არ უშვებდა... ეჰ, (მეორედ).

II

შვილო ტერენტი, ჩვენთან არს ღმერთი!

ამაყობს, შვილო, სოფელი შენით! მე მეიმედება, ხანდახან მაინც მიგონებ მე — უბედურს. მაშო და ზოზია კარგად არიან.

შვილო, დამჩაგრეს ბოლშევიკებმა. გამაპარტახეს. დაერივნენ და თავები დააყრევინეს ჩემს იხვებს, ბატებს, ქათმებს, ინდოურებს. ყელი გამოლადრეს გოჭს — ჩემს ერთას. მერმე გაპუტეს და გატრუსეს ავლადიდება ჩემი, წამოაცვეს შამფურებზე, დაატრიალეს ცეცხლზე, თეთრი ხორცი თვითონ სჭამეს (მხამად და ნავთად!), მე გოჭის ყურები ჩავკვნიტე. მეგემრიელა, ჭეშმარიტად! ისე, მთლად უნამუსონი არ არიან: აჯიკა თავისი ჰქონდათ.

ძალა არაა თავს ზეით, შვილო. მოხუცი ვარ მე — უბედური, ულონო. ბუნტოვჩიკობა ჩემი საქმე არაა.

ახლა უიხვებოდ, უბატებოდ, უქათმებოდ (ვაი, დედაჩემო!) და ა. შ. დარჩენილი მთელს დღეებს ჩვენი ეკლესიის საწიგნეში ვატარებ. ვკითხულობ. რამდენი რამ ბრძნული წიგნი მქონია ნაუკითხავი მე — უბედურს.

მალე ალბათ გამაძევებენ მე — უბედურ ღვდელსა ეკლესიიდან. კულტურული განვითარების მიზნით კლუბად გარდააქცევენ ეკლესიას. სიმართლე უნდა ითქვას: ახალგაზრდობა მომხრეა. კინო ურჩევნიათ ლოცვას. ფუი, ფუი, ფუი!

ამას წინ, შვილო, საწიგნეში ვიქექებოდი. საკითხავს ვარჩევდი. გული — ცოდვილი ვერცრო ამოიჭრი გვაცოცხლებს: იხვებს, ბატებს, ქათმებს, ინდოურებს და გოჭს — ჩემს ერთას დარდობდა. სივდებოდა. გახეთქვაზე იყო ოხერი, მაგრამ უფლის ნებაა სულიერის დაბადება-სიკვდილი, შვილო!

მოკლედ, ვიქექებოდი საწიგნეში. გულდასიებული და სრულიად შემთხვევით (ღვთის ნებით, ესე იგი) ქაღალდები მომხვდა ხელში. გიგზავნი, შვილო, ამ ქაღალდებს, ვიღაც ჰანიფას ჩანაწერებია (ჩვენი წარსულის გამოჩენილი სახელი რო იყოს, მეცოდინებოდა). მიკვირს ნამდვილად, მამა მიხეილმა როგორ ვერ იპოვა. ის ჩვენ ეკლესიაში მუშაობდა ერთს ხანს. მე ნინველი ვიყავ მაშინ. მახსოვს ეჩხუბებოდნენ ავსულნი. რუსო, რუსოო. უწყალებდნენ გულს შეძახილით.

ლაზარე: 1922 წ.

არ მოგენატრა ჩვენებური დაისის ხილვა ჩქიმსანთელო? ჩამოდი, ნახე!

წევს და ელის. დგას და ელის. დადის პალატაში და ელის. დასეირნობს ეზოში ჰაერზე და ელის მნახველს (ჩვენგან შორს) სიკვდილს.

ნერილებს სწერს დებს. მეგობრებს (ვითომ ჰყავს?) თბილისში. ლექსებს აგზავნის რედაქციებში...

სუნთქავს...

საწოლის უკან რაფაზე დასტა დევს ფურცლების. ღამღამობით იღებს და შუქის ჩაქრობამდე (საგიჟეთის რეჟიმი რეგვნული!) ჰკითხულობს.

ჰანიფა მოსწონს სახელი ესე ალლიდი ოტოზე უფრო. ტექსტი, რა თქმა უნდა, დედანი არაა (ვინ იცის მერამდენე ვერსიაა. როგორი შემოკლებულია ანთუ განვრცობილია როგორი. ნარსული სივრცეა უდროო; ვერ დამყარდება იქ ნესრიგი!).

მერმე ლექსებს სწერს. მართლა იტანჯება გამოგონილი მარტოობით...

ლ. ა.

(დასანყისი მე-3 გვერდზე)

ვერაფრით გაერთობა აქ ქალი, გარნა ჭორაობით. ჰაერი ჩვეულებრივია, თითქმის თბილისური. ვსხედვართ აივანზედ. ვსაუბრობთ. ჩემი დიასახლისი ებრაელია — ცნობილი ამბავია ებრაელთა სიმრავლე სურამში — საგიჟეთში ექიმობდა ადრე. ახლა 82 ნლისაა — სახლში ზის. შვილები, შვილიშვილები თელ-ავივში ჰყავს. ეხმარებიან იქიდან შეკელებით.

ხმისგამცემი მჭირდება ფულზე მეტადო — მითხრა შეხვედრისთანავე. ქირას ცოტას მართმევს.

მიყვება ძველ ამბებს. ძირითადად საგიჟეთისას. გრანელი ყოფილა მათთან დამწყვდეული (საშინელო დროვ, გარდასულო!). წყნარი ბიჭი იყო, კარგი. იშვიათად სძრავდა კრინტს. ლირნი ქცევაც მახსოვს მისი: ჩეკისტებმა გაჩხრიკეს საავადმყოფო ჩვენი. ნაილეს ყველაფერი. ყველაფერი ხელთმოხვედრილი. ტერენტის ფურცლებიც. — სიტყვას მართალს ფასი ჰქონდა მაშინ, სდევნიდნენ. — გაიძრო ტანისამოსი, ტიტველი დარბოდა ტალანში, ღმერთო, როგორი გამხდარი იყო საწყალი. გააჟრიალებდა მნახველს.

ერთი ფურცელი გადავანარჩუნე, მოვპარე რეგვენთ — ტყვილია, შვილო, ტყვილი. არადა ამტკიცებენ, ვითომც დიდი ჭკუიანნი იყვნენ სახელმწიფოს კაცები. თოფი უჭირავთ ხელში, შვილო, მაგათ (მაგრად უჭირავთ) — განახოთ?

სახლში შევედით. მომიტანა ფურცელი. გადავიკითხე, ვთხოვე ეჩუქნა. უარი მითხრა.

— მაშინ მომყიდეთ — გავწითლდი.

— გადაწერეთ თუ გნებავთ.

რა მექნა? დავჯექი და გადავწერე. აი, რა გამოვიდა:

ბედი აქუს თვისი ღმერთს და კაცს იალონს ვასწრებ ადგომას და ცისგამრუმებამდის გავჰყურებ გზას. არვინ სჩანს, ომი წყეული! ჰოი ღმერთო იესუ, შენი არგამოგონილი რამ საქმენი მძლავრობენ მინის-ზე!

იონა მსახური შენი და მოძლუარი ჩემი მინიერი სიტყვუით თვისით, ამაღლებს გულს-ჩემს-დონდლოს.

გესიტყუები შენ ყოვლისგამგეს, მცოდნეს ყოვლისას. განა შენ არ მომეც მე გული ესრე მამაკაცური დიაც ჰანიფას, აღელვებს მას სიოც არსაშიში.

ჰე, იესუ კეთილო, მრავალ არს მოთაყუანე ძუელთა კერპთა, ყოფიერობენ იგინი განლაღებულად, ხოლო მე მონაი შენი, ნრფელ მონდობილი შენზედ ვიტანჯვი!

არ გთხოვ შენ ღმერთო ჩემო საქმეს ესრე შენეულს. არ გთხოვ განკითხუას განლაღებულთა! გეაჯები ოდენ გამო ჩემი მეუღლისა. დამიბრუნე ომში წასული მრთლად!

განყალდნენ თუალნი შენგნით ბოძებულნი საჭრუეტად ზეცისა გზისცქერაში, მტუერს ჰხედვიან იგინი გარნა.

ღმერთო უბრალოვ, განა შენ არ ესიტყვებოდი უწინ ადამიანთა, თუცა ცოდვილნი იყვნენ იგინიც ჩემებრ, რაით სდუმხარ აწ!

იონა მსახური შენი და მოძლუარი ჩემი მინიერი ეზოსშინ დატაბუცობს. ჰლალადებს ლოცუათ. თან თუალსმადევნებს, თუალსიმედიანს.

დიდი მეოცნებე იყო ჩვენი ტერენტი. საჭირო როა უშიშროების არქივის დაჩხრეკა, დამეთანხმებით: ღვთის წყალობით იქნებ ვიპოვოთ სხვა ფურცლებიც...

(გაგრძელება იქნება)

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“.
1991 წ. 20.X.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დოკუმენტები გაზიდულია!

— ძალიან კარგი! რაღაც-რაღაცეები დატოვეთ ალბათ?!

— რა თქმა უნდა! მოგეხსენებათ, როგორნი ვართ ქართველები, გვსურს ყოვლისმცოდნეობა.

— თქვენ ქალებიც გსურთ ერთი დღით! ახლა კი საქმე: რჩები?!

— დიახ, ჩემს ერთან!

უშიშროების კომიტეტის შენობას ცეცხლი მოედო!

სპეც. საინფორმაციო გამოშვება
1992 წ. 2 იანვარი

III

თხრიან, ებრძვიან მიწას უძლეველს ნიჩაბწერაქვებით. ეძებენ გამუდმებით, პოულობენ ხანდახან. ჰპოულობენ ყველაფერს, რაც ძვლებზე მაგარია და გამძლე.

## დარჩენილნი

I.

პური ნაჭამი, ღვინო დალეული ჩაშხამდათ. წამოიშალნენ. ყარაჩოხელობდნენ ჭირშიაც, მაგრად იდგნენ.

ბიჭს კი, მათთან მეხად მოსულს, ახარებდა ყურადღება ამოდენა კაცთა, ჰყვებოდა:

– ეგრე საათის წინ ჰნახა რა მამაჩემმა მხატვარი ნიკალა თავის ბინაში მკვდარი.

ვაააჰ! ჭირი და დოზანა სიკვდილს, ყველა მიჰყავს ოხერს განურჩევლად!

დაიძრა ჰამქარი!

– აბა წარსულის მოგონება არ იყოს, არ გვინდა ძერწაობა განავლით, ძმებო! კაცნი ვართ! – ჰაჯიამა სთქვა. ის იყო ჰამქრის სული და გული, კუნთებიც სხვებზე მსხვილი ჰქონდა – უნდა გავაპატიოსნოთ ნიკალა წესისებრ.

უნდა! უნდა! უნდა!

აჩქარდა ჰამქარი!

ხალხი დაჰხვდათ – ზღვა. გატლეკილი ხალხი, უბრალო, გულისმქონე. ვალდებულნიც იყვნენ: ერთი, ორი...

II.

სკამები სახელობითი იყო. მონახეს სტუმრებმა (სულ რჩეულნი იყვნენ მაშრიყ-მაღრიბიდან. ურთიერთობდნენ ფრანციცულის ენით) თავთავიანთი. მოერგნენ.

თამადობდა კაცი გერმანთა ქვეყნიდან, ლაპარაკობდა მოკლედ, სვავდა ცოტას, საზომისაებრ.

– ქართველი ერი თავისუფალი გახდა.

(როგორ მოულოდნელად მერე – ჰფიქრობდა – ყველას თავისი აქვს მძიმე თუ სუბუქი! – ნოე: ვინ არ ვყოფილვარ წარმოსახვაში. მექარხნე, მიუნჰენელი, უორესი, ქრისტე, კვლავ – მოსული, დონ ჟუანი, მაგრამ პრემიერ-მინისტრი აროდეს, არადა ვარ მამაძალი!)

– და უმთავრესი: ჩვენ თქვენთან ვართ აწ და მარადის!

(ტაში ხანგრძლივი – გაიფიქრა ნოემ. ანთუ ინატრა ნოემ)

აუხდა...

III.

არ დაანება ჰაჯიამ საქმე ქალებს: თვითონ, თავისი ხელებით დაჰბანა გვამი. ნიკალ, როგორ დამძიმდი, ბიჭოო... მერე შემოსა, დაჰვარცხნა თმა-წვერი. სტიროდა.

IV.

აამოძრავა დირიჟორმა ხელები. აათამაშა. აჟღერდა ორკესტრი. შტრაუსი – ვალსი.

ეროვნული

დაწყვილდნენ მესუფრენი. ნოეს ერგო მომრგვალო ქალი, სიგანეში წასული. მეუღლე – ცოლი ბრიტანელი საქმოსნისა. ბიზნესის დასატრიალებლად იყო ჩამოსული ინგლისელი ჩვენთან საქართველოში.

მოეხვივნენ ერთურთს, დატრიალდნენ. ეხერხებოდა ნოეს ცეკვა, შემოევლოს დედა!

V.

გაიშალნენ ჭირისუფალნი, გზა მისცეს მეკუბოვეს. საქმისმცოდნე იყო დიდი არტაშა. ხელი ჰქონდა ბაჯაღლო.

შევიდა ოთახში. როგორ ღარიბულ ოთახში, კაცოო.

– სიცოცხლე ჰაჯიას.

– შენც ეგა, არტაშ.

– ჰაჯიაჯან, მასალის ფულს ავიღებ მარტო. ხელობა ფეშქაში იყოს, მიყვარდა, იცი შენ, უბედური.

სთქვა არტაშამ და გაშალა მეტრიანი.

VI.

– მადამ მარგარიტ – ეჩურჩულებოდა ნოე ქალს, წვერით ეხებოდა მის ლოყას ფუმფულას – მოგწონთ ჟორჟია?

მადამ მარგარიტმა თავი გადასწია უკან, გაიღიმა:

– მე პირველად არ ვარ თქვენთან!

– როგორ? – გაოცდა ნოე. ცეკვაც კი შენყვიტა, მხოლოდ წამით.

– როგორ და ისე, ვცხოვრობდი მე აქ ადრე.

– მომიყევით, მადამ მარგარიტ, გთხოვთ.

– სხვა დროს! ეჰ, ცოტა ახალგაზრდა რო იყოთ, მუსიე ნოე, დაგპატიჟებდით ჩემთან ოთახ-კიდობანში.

აი, სიტყვებმა ხო აალზნო ნოე, მაგრამ საკუთარი ლაჯების შუა ქალის ხელი რო იგრძნო, გადაირია მთლად.

არა, ე ივროპელნი სხვანაირი თამამი ხალხია! ჩვენი არ იყოს!

VII.

მეტრიანი დაკეცა. ჯიბეში ჩაიდო არტაშამ.

– კაი კაცი იყო საწყალი ნიკალა.

– საუკეთესო – დაუდასტურა ჰაჯიამ.

– ოღონდ ნამეტანი თვითრჯული, გახსომს, კაფეშანტანის ტუტრუცანას რო ჰყვარობდა – გაიღიმა არტაშამ – სადაა ახლა ნეტავ?

– თბილ ქვეყნებში, ჩემო არტაშ! – სთქვა და კუთხეში ჩაჯდა ჰაჯია ჩვენი...

VIII.

დირიჟორი ხელებს იქნევდა, მარჯვენას, ჯოხიანს შმაგად უფრო...

# ეპილოგიანი მოთხრობა

*მოთხრობა დაწერილი პენ-მარათონზე.*
*გაკეთებული ვადაში, ამუშეული და*
*უარყოფილი განთქმული ჟიურით.*

1.

რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ შემძულებოდა კონსული პილავოანი, იგი მასწავლიდა თეორეტიკას. რაით დავინტერესდი საგნით ამით, რომლისაი სახელი არს თეორეტიკა? ახლავ გეტყვით, მოგახსენებთ, მაშვინ მე სტუდენტი ვიყავი, ახალგაზრდა და გამომდინარე პასაკიდამ ჩემისა მიტაცებდა იდეა ჩვენის სამშობლოს თავისუფალ-დამოუკიდებლობისა და მივენდე მას, კონსულ პილავოანს, კაცს ფრანგს, დიპლომატს, მოძულეს რუსთა ფარულის სიძულვილითა. ძულვა არს გრძნობა, განცდა ძრიელი ვითა სიყვარული და ფარვა უნდა გრძნობას ამასა სიყვარულისებრ — პირველ გაკვეთილზე ეს მითხრა კონსულმა პილავოანმა, შეგვახვედრა ჩვენმა ბედმა. ზოგი ბედსა ღმერთად ისახავს თუ მოიხსენიებს. იქნებ ასეც იყოს. ვინ უწყის? ვინ იცის? თუმცა მატერიალისტი გახლდით იმა დროსა ჩემის სოფხედვით ან კი სოფხედვოდ, სულერთია. იმ ხანობაში ღმერთისა არა მწამდა. ახლა მოხუცი, თმაწვერ თეთრი ვისახავ პალალ პირჯვარსა, მარჯვნით-მარცხნივ პატიებასა გთხოვ შენა უფალო ჩემის იმჟამინდელი სითამამისა გამო, ვდნები!

ბედმა შეგვახვედრა-მეთქი მე და კონსული პილავოანი, შევხვდით კაბაკშიდ, ვრცელსა ქალაქში, პეტერბურგშიდ. ჩამყლაპავი ქალაქია ისე კაცისა, ისე ჩაჰკარგავს და მოინელებს სულიერსა, ვითომც არცრა, ულვთოდ, ულმერთოდ. თუმცა უკვე გითხარით, ამა ჟამსა ლვთისმგმობი გახლდით, ურწმუნო იდეები მქონდა და ნაცნობს, გულისზიარს ვეძებდი, მეგობარნი ჩემნი, ესე იგი სტუდენტნი დაით თანაჯგუფელნი აგრეთვე, სხვათა საგნებით იყვნენ აფრთოვანებულნი, აგრეთები არ: ბუნებისმეტყველება, ანტროპოლოგია. სხვაგან იყვნენ. იქითა მიმართულებით ეთერში პფრენდნენ, ჩემი გულისდარდი კი აქეთა იყო, მიწიური, სამშობლოს თავისუფლებას ვეწადდი. პაი, ახალგაზრდობავ! მედგარო გულო, მეოცნებე გონო! ვდნები!

კაბაკშიდ გავიცანით ერთმანეთი — ბედი იყო! არცვის წარვუდგენივართ, არცვის ჩაუკიდია ხელი, არცვის. ჩვენ თვითონ, ბედი იყო ჩვენი გამრიგე. ისა, კონსული, კაპაკის კუთხეში იჯდა. მე აქეთ ვიჯექი. გამოსასვლელ კართან კოპწია სუფრა მქონდა. ღვინო, პური, ლუკმას ვლეჭდი, ღვინოს ვჰსწრუპავდი და ვიყავ ასე. ჩემი ფიქრი მქონდა, მაგრამ თვალნი ადამიანისანი პო ქვა არ არს. ლოდი უძრავი. ვიხედვიდი აქეთ-იქით და შევპნიშნე სახე მომავალი ჩემი მასწავლებლის, ფიქრით იყო მოცული მისი სახე და თვალნი ჩვენნიც შეხვდნენ. თვალთა შეხვედრა კაც-ქალზედ ითქმის, კაც-ქალური სიყვარულის დასაწყისზედ. მასწავლებელი-შეგირდის ურთიერთობის საწყისად სხვა რამ სიტყვათწყობა აჯობებდა იქნებ და კი, მაგრამ არც არაფერი მომდის თავში ახლა, ასე დავსტოვოთ. თვალნი ჩვენნი შეხვდნენ, თავი დავუკარი ზრდილობის წესად. იმანაც ოდნავ მოხარა კისერში თავი, საყელოსთან ხორცი ჩაუნაოჭდა. მე ჭიქა ავსწიე. იმანაც. ბედი იყო. ბედი იყო. ბედი!, ბედისწერა. ტუჩები ავაცმაცუნეთ ორივემ, ორთავემ. ხუთის წუთის შემდეგ მე მის მაგიდასთან ვიჯექი. მას ერქვა კონსული პილავოანი , მე ვიყავი მე, სტუდენტი ჩიჩუა და ჩვენ გვესმოდა ერთურთის.

2.

დილით ვეამბორე საყვარელსა ჩემსა ელენეს პირწმინდად და გავსწიე კონსულის რეზიდენციაშიდა. რანდევუ გვქონდა, ესე იგი შეხვედრა დანიშნული — გაკვეთილი პირველი!

აქ სწყდება თხრობა პირველ პირში. სტუდენტი ჩიჩუა მოქმედ პერსონაჟად იქცა.

მაშ ასე, ასე მაშ. მოქმედების ადგილი კონსულ პილავოანის რეზიდენცია. მთლად სწორედ კონსულის სამუშაო ოთახი, ფრანგულის მოქცევით კაბინეტი, სტუდენტი ჩიჩუა სავარძელში ზის. ჩაფლულია, ძევს, კონსული პილავოანი მიმოდის, ბოლთას სცემს აქეთ-იქით, აქეთ-იქით, იქით-აქეთ.

კონსული: მაშ სამშობლოს განთავისუფლება მოგწყურებია მონ შერ?

ჩიჩუა: (ოდნავ დაბნეული, რადგან ეუცხოვა ესრეთი ფამილარობა) დიახ, კი.

კონსული: (შეშდება) ოოო.

ჩიჩუა: პოოო!

კონსული: მონ შერ (ამოძრავდება) უპირველესად თქვენ უნდა უწყოდეთ ზედაპირი მაინც თეორეტიკისა!

ჩიჩუა: (ერთსიტყვად) თეორეტიკარაიარ?

კონსული: თეორეტიკა ესა არს სფერო საცა ყოველი ახდების.

და სტუდენტი ჩიჩუა მიხვდა რომე თეორეტიკა უნდა შეესწავლა.

3.

ელენეს კლუჩი მოეშვა თვითმადუღებლისა, კუპრისფერი სითხე მოასხა ფინჯნებში და რაკი ცნობისწადილი სჭირდა, ჰკითხა ჩიჩუას, თავის მეტრფეს ფიზიკურს.

— რა სთქვა კონსულმან მან?

— თეორეტიკა უნდა შეისწავლოო — სტუდენტმა ჩიჩუამ ჩაი მოსვლიპა.

— თეორეტიკა? — ელენემ ნიკაპზე მიიდო ქათქათა ხელისგული, პოზა მიიღო ფიქრიანი.

— თეორეტიკა ესა არს სფერო, საცა ყოველი ახდების.

– ჩვენი დაქორწინილებაც, ნუთუ! – ტაში შემოჰკრა ელენემ.

– ყველაფერი.

ელენემ შეიყვარა თეორეტიკა.

4.

კონსული პილავოანი ჰყვება:

ერთი ყმაწვილი შემომეჩვია, გვარად ჩიჩუა, ტომით ქართველი. გაკვეთილებს ვაძლევ. მე მაოცებს პატარა ერის შვილთა წადილი ცოდნის მიღებისა. ის მაღალია, შავგვრემანი, დინჯადმომსმენი. აღელვებს ბედი თავისი ქვეყნის. ავათვისებინე თეორეტიკა, გავწაფე. განვათავისუფლეთ მისი მამული თეორიულად და ის ხარობს. ახლა თეთრი ღამეების სეზონია, ჩვენ ვსეირნობთ მდინარე ნევის ნაპირზე და ვყვებით ამბებს. დიდი შინაარსი არც ერთშია ჩატვირთული. ღმერთო ჩემო, მე ვიცი, რომ ცხოვრება უსასრული, ლალი წინადადებაა. წერტილ-მძიმეების გარეშე, უამათოდ. რატომ აუქმებს ადამიანი ახალგაზრდობას. რათ? რად მისდევს ფუჭს იდეებს? ყველა მოვკვდებით! ნებისმიერი სახის სიკვდილი ბანალურია. ბრძოლის ველი, საწოლი ერთიდაიგივეა. წლებში შესული ადამიანი ხვდება ამას. ჩვენ, ადამიანები ვანაყოფიერებთ მიწას, ცას, ჩვენი შეჭმული ხორცია გაზაფხული, ჩვენი სულებია სუფთა ცა. ხვდები ამას ადამიანი, მდინარეები, ზღვები, ოკეანეები ჩვენი გაწყალებული სისხლია. მე ეს ვიცი. ვიცი ეს მე! ღმერთო! და მაინც ეს თეორეტიკული მსჯელობანი, მენტორობა. ადამიანის ფუნქციის გაზვიადება. თვითდამკვიდრება. ღმერთო ჩემო, მიწა ვარ, ცა ვარ, მდინარეები ვარ, ზღვები, ოკეანეები. ღმერთო. ყველაფერი ეს ვუთხარი სტუდენტ ჩიჩუას.

5.

შორიდან შევნიშნე: კაცი და ხე. კაცი შუახნისა იყო, ხე უფრო ხნიერი. კაცს ერქვა პილავოანი, ხეს ჭადარი.

მათკენ წავედი. მივდიოდი ნელა.

– გამარჯობა! – ვთქვი მე.

– ბონჟურ! – თქვა პილავოანმა.

ჭადარი გაშრიალდა.

მე ვთქვი: ბატონო კონსულო, მე თქვენ მძულხართ! თქვენი გუშინდელი სიტყვანი მე ვიფიქრე, მე ღამე გავათენე.

– და? – კონსულმა ხელები გაშალა.

– მე თქვენ მძულხართ! – ვსთქვი მკაცრად – მიწა, ცა, წყალი ეს ფიზიკაა?!.

– შეხედეთ ჩემს კანს! – კონსულმა ლოყები გამოქაჩა – ის ლპება, და მე მსურს, რომ მისგან აღმოცენდეს ბალახი.

– რომელსაც მოცელავენ, გათელავენ. ნახვამდის.

– ნახვამდის.

6.

ელენე წერტილად სჩანდა უკვე, ვარდისფერ წერტილად. მე მას დავპირდი რომ დავბრუნდებოდი. მატარებელი მიქროდა. ხმები. მე სამშობლოში ვბრუნდებოდი. მე ვიცოდი თეორეტიკა და მწამდა, რომ ადამიანს სხვა დანიშნულება ჰქონდა. ადამიანი არ არის მიწა, ცა. ადამიანი განმათავისუფლებელია.

რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ მე ეს გამეგო.

### ეპილოგი

ახლა მე ბებერი ვარ, ვჭკნები, შეიცვალა ჩემი მეტყველება. შეიცვალა მიწა, შეიცვალა ცა, გაჩნდა ღმერთი.

მე ვსეირნობ ყოველდღილით ჩემს შემოღობილ ეზოში, ვსეირნობ ნელა, ირგვლივ წრეზე. ჩემი ძველი იდეები გადნენ, ჩემი გონებაც დნება. კვირაში ერთხელ მოდიან ჩემთან ახალგაზრდები. მე მათ თეორეტიკას ვასწავლი. ვდნები, მიწაში, ცაში, მდინარეებში, ზღვებში, ოკეანეებში.

რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდება, რომ შემიძულონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ერთი წიგნი, ორი წიგნი,
სამი წიგნი და ათასი...
. . .
ერთი ძილი, ორი ძილი,
სამი ძილი სღათასი...
. . .
ერთი ფიქრი, ორი ფიქრი,
სამი ფიქრი აღარასი...
. . .
ერთი ვინმე, ორი ვინმე,
სამი ვინმე არვარგასი...
. . .
ერთი ლექსი, ორი ლექსი,
სამი ლექსი რითმა არსად...
. . .
ერთი წელი, ორი წელი,
სამი წელი, სანამ?! ასე?!..

●

წეროები მიფრინავენ შორს,
სადღაც წიწილა მიაქვს ქორს,
და კიდევ სადღაც ნაცარს ქექავს
ნაცარქექია...
ან წითელქუდას ელოდება
ქოხში ბებია;
გინდა, არ გინდა,
წავა და თან წაიღებს,
ამ უფაქიზეს გრძნობებს,
ფერებს და არ დაგიდევს...
როგორ ძნელია,
ხელის დაქნევა,
აღარ გელიან
და გენატრება...
თოჯინები და ხმაურები,
აურები და ზაურები,
და უკვე არა ხარ ბავშვი,
და ცხოვრების წვიმა და ქარში,
გახვიდე, დროა!
ბავშვობა წავა და აღარ მოვა!
. . .
ოღონდაც შიგნით
დარჩეს და იყოს,
სადღაც კისკისი ისმოდეს
შორით,
ნაცარქექია თითქოს
აქ იყო;
ხანაც წიწილებს მიათრევს ქორი...
მერე კონკია უფლისწულს ხვდება...
გაიმართება ჩხიკვების ლხინი,
დიდობა ხშირად ბავშვობა ხდება...
და წლები მიდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ორშაბათს
ტრიალი,
ზზრიალი,
ჭრიალი...
სამშაბათს
გრძელდება...
ერთურთის
გაძლება...
ოთხშაბათს
იმავე
ხმაზე
ლამდება...
ხუთშაბათს
დაღვება
დღე არეული,

პარასკევს...
და ასე
გადარეული
ყოფა
მიჩანჩალებს
(მაჩანჩალებ...)
შაბათი
კამათი
. . .
ხვალ
მაინც გავჩუმდეთ!
ღმერთო, მადლი
გვაჩუქე...
ხვალ!
კვირაა...
წირვაა!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეინაბ სარია

# სამშობლოს ტრაგიკული განცდა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე,
რაა მამული?“

რა სადაა, როგორც ყველაფერი ნამდვილი ამქვეყნად! რა ბუნებრივად ამოჰყვება სახმო სიმებს, მთელ არსებაში უკვდავების შარბათივით განაწილდება, ძარღვებს გაგითბობს, მოგანატრებს გაისხეულო ღვიძლი მიწა; მერე ნელინელ მისი ფესვიდან ამოიზარდო და გახსოვდეს, ის არის შენი დედანიადაგი, ღონისმომცემი, ამაღორძინებელი, შენი წმინდა ძვალთშესალაგი და სამარადისო სამოსიც შენი.

მამულის ტრაგიკული განცდაა დავანებული გალაკტიონის ლექსებში. მკითხველისათვის საცნაური ხდება, პოეტის სამემკვიდროს უჭირს, აღარ დასციმციმებს შუქურვარსკვლავი. მოყვრად მოსული მტერი ათასწილ საშიშიაო, უთქვამთ, და, მართლაც, ჩრდილოელი მეზობლის აქტიურობით ქვეყანა გალაკტიონის თვალწინ კარგავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა. საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცევა და ქართველთა წინაშე კვლავ საბედისწეროდ დგება საკუთარი სახელმწიფოებრიობის პრობლემა. რუსეთი მე-19 საუკუნეში ერთმორწმუნეობის დროშით შემოიჭრა ჩვენში, მე-20 ასწლეულში კი — საერთო პროლეტარულ-ინტერნაციონალისტური იდეოლოგიით. ხედავს ამას პოეტი და გული ეფლითება ქვეყნის საცოდაობით.

საქართველოში საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღარ მიმდინარეობს. რუსეთის ვრცელ იმპერიაში რაც ხდება, იგივე მეორდება აქაც. ქვეყანა ძველის აჩრდილად იქცა. როცა ადამიანში წაიშლება მამულის გრძნობა, დაიკარგება ეროვნული ცნობიერება, აი მაშინ არის იგი გადაგვარებულ-ასიმილირებული. მამულისადმი თავდადების გრძნობა განელდა. მამულიშვილი გახდა ფუნქციადაკარგული პიროვნება. ქართველს სხვა კარნახობდა ყოფის წესს, სხვა განუწესებდა ცხოვრების კანონებს. ვითომ მშვიდობა კი სუფევდა, მაგრამ ეს იყო ტრაგიკული სიმშვიდე, სავალალო ძილი. ვრცელდებოდა ინტერნაციონალისტური იდეები, რაც გადაიზრდებოდა ხოლმე კოსმოპოლიტიზმში. ამგვარი იყო ქართველ მარქსისტთა პოზიცია. სწორედ მაშინ შეიქმნა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, როგორც ნელი მოქმედების ნაღმები, რომლებსაც მაშინ აამოქმედებდნენ, როცა ქვეყანა დამოუკიდებლობას მოისურვებდა.

1921 და 1924 წლების აჯანყებამ ნათელყო, რომ ქართველი დამოუკიდებლობის დაკარგვას არ შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა. 30-იანი წლების მასობრივი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი, ვახტანგ კოტეტიშვილი... რეპრესიების მერე ყოველთვის ტრაგიკული სიჩუმე სადგურდებოდა ხოლმე, მაგრამ მამულიშვილნი საარაკო თავგანწირვით შემოჰკრავდნენ ზარს და ჩაძინებულ ერს აფხიზლებდნენ.

გამოერკვეოდა თუ არა მე-19 საუკუნის საქართველო და ეცოდინებოდა მტრისა და მოყვრის სრულყოფილი გარჩევა, ილია და აკაკი რომ არ ყოფილიყვნენ? მათ არსისმიერი სიტყვით ხალხი დააპურეს, ერის წყლული დაიჩნიეს წყლულად და გულისგულამდე განიცადეს მამულის ტრაგიკული ბედი.

გადავხედავთ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას და ვამჩნევთ, რომ არსებობს მამულის ძილის ილიასებური, აკაკისეული განჭვრეტა.

„ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“
*(ილია „ელეგია“)*

„მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი“.
*(აკაკი, „სატრფო“)*

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს,
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს“.
*(აკაკი, „ავადმყოფი“)*

ილიას „გაზაფხული“ რომელიღაც დაბალ კლასში გვაქვს ყველას საშუალო სკოლის პროგრამით შესწავლილი, მაგრამ რა ვეებერთელა ტრაგიზმიც არის აკუმულირებული ამ ციცქნა ლექსში, ამის გააზრება მერე და მერე ხდება. გარეგნულად როცა ყველაფერი თითქოს რიგზეა, როცა გაზაფხული ჟრჟოლად უვლის

ირგვლივ ყველაფერს და სიცოცხლე თავის საგალობელს ამბობს, სწორედ მაშინ ჩამკვდარა მამულის უშინაგანესი არსება და გლოვობს პოეტი:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთება,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?!“

ეს გაუნელებელი ტრაგიზმი თან სდევს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას. იგივე განწყობილება მემკვიდრეობად გადმოდის გალაკტიონთან. იგი იმავე სისავსითა და ინტენსივობით აღბეჭდილა ლექსში „მტევანი, ვაზის ჯვარი“, რომელიც 1908 წელს დაიწერა. მაშასადამე, ასპარეზზე გამოჩენისთანავე იმავე ტკივილის დაღი აქვს გალაკტიონს, რა ნიშნითაც ილია და აკაკი გამოარჩია არსთაგამრიგემ. მეოცე საუკუნის ქართველის ფიქრთამპყრობელს მეცხრამეტე საუკუნის ერის მამათაგან დაენათლა, გაზაფხულისაგან განახლებულ მთა-მდელოში ჭეშმარიტი აყვავების მოლოდინში მყოფ მამულს ჭვრეტდეს, რომელსაც ჭირის ოფლი სდის:

„მტევანი, ვაზის ჯვარი,
ოხვრა ჩემი მამულის,
ტირის ვაზი ობოლი –
მცნობი გზის მეწამულის“.

აშკარაა, რომ სასიკეთო აწმყო არ უდგას ქვეყანას. შავი ღრუბელი დასწოლია მის ცარგვალს. მაგრამ ავტორი ილიასებურად ოპტიმისტია: „მაგრამ მომავლის შვება ვინ უწყს, რაოდენია?“ მისი მამულის მტევანი დაცხრილულია, მაგრამ პოეტის რწმენით, იგი განახლდება, ფერს მოიცემს და ამღერდება უკვდავებაში:

„ამღერდება სხვაგვარად,
ტყვიებით დანახვრეტი,
მტევანი ათასწლისა
ქვისგან გამონაკვეთი“.

გალაკტიონმა გასული საუკუნის სამოციანელთაგან ესტაფეტასავით მიიღო მაღალი მისია ერისშვილისა. მამულის ყველაზე დიდ, ღრმა, პირშეუკრავ ჭრილობას მეოცე საუკუნეში ის ევლინება უპირველეს სალბუნის დამდებად.

როდესაც მამულის ბედის სიმბოლურ გამოხატულებაზე ვფიქრობთ, ქართულ ფოლკლორულ გმირთა პანთეონში უპირველესად ამირანი გვახსენდება, რადგან მისი ხვედრი ქვეყნის ბედის ასოციაციას იწვევს ჩვენში. მარადიული ტყვის სვე მუდამ გულ-ღვიძლს უდუღებდა ქართველს, რადგან თავის ქვეყანასაც მეტწილად ბორკილებში მყოფს ჭვრეტდა. აბა, რით არა ჰგავს გულმ[illegible] ამირანს დღევანდელი მამ[illegible] ნაქორალი, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი“. ამიტომაც არის, დღევანდელ რუკაზე დახედვაც სულს უწუხებს ქართველს. მისი ლაღი ბუნება და დიდი მასშტაბებისკენ სწრაფვა ვერ ჰგუობს კნინ სინამდვილეს.

აკაკის სამშობლო მიჯაჭვულ ამირანად ჰყავდა წარმოდგენილი:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი,
სიხარულით შეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი“.

(„ამირანი“)

ვაჟას გააზრებით, ამირანი ხტონური ღვთაებაა:

„როდის ადგება ამირან,
ჯაჭვ-აბჯრით შემოსილიო,
ჩამოსდნობოდეს ყინული
და უცინოდეს პირიო...“

როცა კითხულობ ვაჟას ტრიპტიქს „ჩიტი-ჩიორა“, გიკვირს, რა მოხერხებულად არის მამულის გულშესაზარი ტკივილი გამჟღავნებული ვითომ ჩიორაზე დაწერილ ლექსში. დარდების ამშლელია პწკარები:

„მკვდარ ამირანს ჰგავს
მინდორ-ველები:
დუკრეფიათ
გულზე ხელები“.

ლექსში „დაუსრულებელი კვნესა“ ჩანს ამირანის ხტონური ბუნება, მისი ქვესკნელში ყოფნა:

„რა ფერისაა ქვეყანა,
ნეტავ მაჩვენა თვალითა:
მისი ზამთარი, ზაფხული
წყალ-ველით, მთებით მწვანითა...“

აკაკისა და ვაჟას რომ ესმოდათ, ის კვნესა სწვდება გალაკტიონის ყურთასმენას, მთელ მის არსებას. 1937-38 წლებში მიჯაჭვული ამირანის მოტივზე დაიწერა ლექსი „ამირანი მიჯაჭვული“, ხოლო ადრე, 1923 წელს შეიქმნა „მშობლიური ეფემერა“.

პოეტისათვის ღვიძლი გარემო უცხოდქმნილა, სავალალოდ გადასხვაფერებულა. გალაქტიონი, უდიდესი კულტურისა და უძველესი ისტორიის მქონე ერის შვილი, მოდის თავისი ხალხის ლამაზი წარსულიდან და ხედავს კი თავისუფლებაწართმეულ მამულს, სასიცოცხლო ძარღვჩაწყვეტილს. არსად ჩანს არ-

ქაული სილაღე, მხარგაშლილობა. ვერ ცნობს პოეტი მშობლიურ პეიზაჟებს. ზამთარს ბილიკი დაუტანია და გზა მამულისაკენ არ არსებობს:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია!...“
..........................................................
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია“.

რა სახმილიც სწვავდა ილიას („ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა“,), იგივე სატკივარი ტანჯავს გალაკტიონს. მასაც ესმის კვნესა შუაღამით. ვისი ხმაა? ქართველისა, რომელსაც ძილშიც არა აქვს სიმშვიდე, თუ ამირანისა, რომელიც მარადიულად ლეწავს თავის ბორკილებს? კაცმა რომ თქვას, ეს ხომ ერთი და იგივეა?! ქართველი, ამირანი, საქართველო?..

1927 წელს იწერება „ამ ბნელი ღამით“. ამ ლექსში ჩასაიდუმლოებულა ავტორის პოეტური ხილვა: საქართველოს შუაღამეს დამნასავით ჩასობია ქართველის კვნესა:

„ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში,
ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის,
ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში,
სადღეგრძელოში ვახსენოთ
ჩვენ ის.
ამ ბნელი ღამით სადღაც ისმის ხმა დაირისა,
თვალი მეჩვენა ცრემლების ნამით.
უკვე ცისკარმა შორი მთები დაარიხა...
ის კი... კვლავ კვნესის ამ
ბნელი ღამით“.

ადამიანის თვალის შესაძლებლობები ძალზე მწირია, ხოლო სულიერი ხედვა უსასრულოდ მდიდარია, სრული, სავსე. მას ზედაპირზე ის ამოაქვს, რაც შიგნითაა დამალული. მინდიასეულად მზერასრული პიროვნებაა გალაკტიონი. ასეთი ხედვა ზნემაღალი ადამიანის მადლია. მკითხველიც ამ ხილვის თანაზიარი ხდება. გალაკტიონს ინტენსიური შინაგანი ხილვა ახასიათებს, სამყაროს თვალშეუდგამ სივრცეებს მოგვატარებს, თავისუფალი შთაგონების უსაზღვროებას გვაგრძნობინებს. ამჯერად კი მისი პოეტური ხილვა ცხადად წარმოგვიდგენს: საქართველოში ღამეა და ვიღაც კვნესის.

ლექსი „ეს წინათ იყო“ გადმოგვცემს ავტორის წუხილს იმის გამო, რომ დრო სასტიკი კანონით მიდის და მიედინება, მის მამულს კი აუსრულებელი იმედების სინამდვილეში უხდება დარჩენა:

„ეს წინათ იყო, მდინარეს თითქო
ვერცხლის ეფინა მძინ[illegible]
და კიდეებზე მდუმარედ [illegible]
შეუცნობელი შრიალი ჭადრის.
შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის,
უდარებელი სამშობლო მხარე!
რა უწყალოა რონინი ხანის
აუსრულებელ იმედთა გარე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის არსებაში მამულიშვილობის დედაძარღვი ძალუმად ფეთქავს და შვილის უპირველესი ფიქრი ქვეყანას ევლება თავს. რაა მარტომყოფობა და პირადი პრობლემები იმასთან შედარებით, რა ვეებერთელა სვეუკუღმართობაც მის მამულს დასწოლია ნკვარამი ღრუბლის დარად:

„მარტოობასაც ავიტან მწარეს,
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
ჩემი სამშობლოს სანახავიდან
ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს“.
(„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“. 1934 წ.)

საქართველოს ისტორიაში, რასაკვირველია, იყო ეროვნული ცნობიერების მოდუნების პერიოდებიც, მაგრამ ამ დროს განახლება-აღორძინებისთვის საჭირო ძალები ივსებოდა, გროვდებოდა, ძლიერდებოდა, შემდეგ უკვე განმაახლებელი ძალები ილვიძებდა, იწყებდა მოქმედებას. ქვეყანა მუხასავით უძლებდა უთვალავ მუმლს, მტერს:

„პირველად ვიგრძნობდით
სიკვდილის ზღვრას
და ტანჯვის ღულაბს,
მაგრამ სიკვდილი
გვეძლებოდა ვერას,
ვით მუმლი მუხას“.
(„მუმლი წყდებოდა“. 1941 წ.)

გალაკტიონის პოეტური ნათელხილვა მეოცე საუკუნის მდუმარებაში არწივის ძილს ხედავს; არწივისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს თვლემას წაართმევს თავს, გაშლის ფრთებს და დააცხრება სამტროდ შემოსეულს; ვაჟამ თუ დაჭრილი არწივი გაიაზრა საქართველოს მეტაფორად, გალაკტიონმა ახალი სიმბოლო შემოგვთავაზა — ჩაძინებული არწივი.

„ჩასძინებოდათ არწივებს,
სთვლემდნენ მუხათა ტოტები...“

დალლილ-დაქანცული და თვლემამორეული არნივები მკითხველის თანაგრძნობას იმსახურებენ. ისინი გაუთავებელ ბრძოლაში დაილალნენ. მათ ომის სურათები ჩაჰყვათ ძილში:

„ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა,
როგორც ძნას შემოდგომისა,
არწივებს ჩასძინებოდათ,
სიზმრებს ხედავდნენ ომისას".

1954 წელს დაიწერა ლექსი „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა". პირველ რიგში მივაქციოთ ყურადღება იმ ასოციაციას, რომელსაც სათაური იწვევს. წავიკითხავთ მას და სპონტანურად გაგვახსენდება ბარათაშვილი:

„ეხლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა
და საფარქვეშ მხოლოდ რუსეთის
ამოიფხროს ჯავრი სპარსეთის".

ნუ დაგვავიწყდება, 1954 წელია. რუსეთის „საფარქვეშ", ჩემო მკითხველო, „საამოდ" ცხოვრობს საქართველო. და აი, თითქოს მშვიდობადამკვიდრებულ ქვეყანაში იწერება პარადოქსული ლექსი:

„ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა
დაფასდეს შენი ლვაწლი და შრომა,
დარიგდეს წიგნი,
იქუხოს ქართლის სადღეგრძელომა.

ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა
ის გავიხსენოთ, — რისხვა და წყრომა,
რაც თავს დაგვატყდა
განადგურება რომ მოგვინდომა.

ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა
თუ არ დაგვინდო უცხოთ გვარტომმა,
ხმალს იყრას ხელი
ქართველმა ვეფხვმა, ქართველმა ლომმა.

ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
გრილი ნიავის
ქროლა შეიგრძნოს მჭკნარმა მდელომა".

პოეტი ხედავს გამანადგურებელ რისხვას, რომელიც მის ქვეყანას უბედურებად დაატყდა თავს უცხო გვარ-ტომისაგან. ავტორი მოუწოდებს თანამემამულეებს, იბრძოლონ და ასე მოიპოვონ მშვიდობა, რომელიც მამულის მჭკნარ მდელოს აახასხასებს.

გალაკტიონი საქართველოში ცხოვრობდა და ვერ ცნობდა მას, რადგან მთავარი, რაც ქვეყანას საკუთარ სახეს აღუდგენდა, ეროვნული დამოუკიდებლობა, დაკარგული იყო და ბიოლოგიურ სიცოცხლეს მიათრევდა ხალხი, რომელმაც არც კი იცოდა, რა საფრთხის წინაშე იდგა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რაა მამზე გულდამწყვეტი
მეტეხო და დილმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო.
არის ხალხი, რკინიგზები,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო".

გალაკტიონი ხალხს არწმუნებდა, შთააგონებდა, უკვე გლვიძავს და შენი უპირველესი მისია უნდა ალასრულოო, თან ნატრობდა:

„წინ მიიწევ და ხმაურობ,
გლვიძავს,
საქართველოს სევდიანო მიწავ!
ნეტავ მალე დაამსხვრევდე ბორკილს,
ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს!"

როგორც დავინახეთ, გალაკტიონის პოეზიისათვის ნიშნეულია მამულის ტრაგიკული განცდა. წუხილი ქვეყნის მძიმე ვითარების გამო თან სდევს მის ლექსებს ასპარეზზე გამოჩენის დღიდან ბოლომდე. ამგვარ მინორულ ტონალობაში შესრულებული პატრიოტული ლირიკა ზოგჯერ იქმნება საბჭოური სინამდვილის ხოტბის გამომხატველი ლექსების პარალელურად, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეტს ჭეშმარიტი გულისნადების გაპარება უხდება მრავალრიცხოვან „ბედნიერი ყოფის" გამომხატველ ლექსებს შორის.

ქვეყანაში კომუნისტური ტირანია მძვინვარებს, ასიმილაციისაკენ მარშითა და ტაშისცემით მიერეკებიან ხალხებს, ქართველსაც უნდა დაავიწყონ თავისი მამული, ენა, სარწმუნოება.

გალაკტიონი ამ დროს საკუთარ ეროვნულ რაობას უფიქრდება, გრძნობს, რომ წარსულსა და აწმყოს შორის კავშირი გაწყდა; განუზრახავს, გამოაფხიზლოს ქართველი, ანიშნოს, დააფიქროს... მაგრამ თავს დასდგომია სულთამხუთავი, თვალწინ ნამგალ-უროიან დროშას უფრიალებს, უბორკილო, უარტახო სიტყვის თქმას უშლის, სისხლის ზღვას ჩამოატარებს მისი ცხოვრების გზაზე, რომ რაც ტირანიის დროს არ არის გასაბედი, არ გაბედოს და სიცოცხლე არ წააგოს.

გალაკტიონი მაინც ახერხებს, რომ მიანიშნოს. მიმხვედრი უნდა მიხვდეს!..

ეროვნული ფესვების ძიების მოტივი იშლება ლექსებში: „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა", „ვწერ ვინმე მესხი მელექსე", „მესხის გამოხედვა", „თასი", „ავი მუსაიფი", „წამყე ბეთანიისაკენ", „ქებათა ქება ნიკორწმინდას", „ქართლის ცხოვრება მძიმეა", „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირას"...

ლექსი „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა" 1934 წელსაა დაწერილი, გაშლილი სოციალისტური „აღმშენებლობის" დროს. მას ეპიგრაფად უძღვის სიტყვები:

„ღამით მევლო, მოვიდოდი,
ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი."
*(შოთა რუსთაველი)*

ეს გვაფიქრებინებს, რომ ლექსის ლირიკული გმირია დიდი შოთა. იგია საქართველოს თანამდევი სული, მისი მონათესავეა ილიას აჩრდილი, ის მომავალ ეპოქებს და ჩვენს თანამედროვეობას ასე ესიტყვება:

„მარტოობასაც ავიტან მწარეს,
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
ჩემი სამშობლოს სანახავიდან
ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს".

1936 წელს იწერება „ვწერ ვინმე მესხი მელექსე", რომელშიც იგივე ლირიკული გმირია ამეტყველებული. გალაკტიონმა იცის, რომ ქართული სიტყვის გრძნეულება სრულად გამოიხატა შოთას პოემაში. თაობათა უწყვეტი ჯაჭვის კანონზომიერების მიხედვით, არ უნდა დაიკარგოს ის ხიბლი. პოეტის სული ისეა გადაწნული ამ კლასიკურ მემკვიდრეობას, სწორედ ის კვებავს მის შთაგონებას:

„იყოს ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან სროლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი,
ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი.
ის არის სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლეც ის არი".

მაგრამ ტრადიციის ერთგულება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ერთი აგრძელებს მეორის, წინა თაობის წარმომადგენლის, თუ შორი წინაპრის გზას ბრმად, მიმბაძავად, გაუბედავად. განმეორებას, მოგეხსენებათ, არავითარი ფასი არა აქვს. ტრადიციის გაგრძელება ბევრად სხვა ცნებაა. იგი გულისხმობს, რომ ადამიანს შორი წარსული შეუძლია აღიქვას აწმყოდ, დღევანდელობის გადასახედიდან იხილოს ნამყო. მაშინ შეძლებს ის ტრადიციის ნოვატორულ გაცოცხლებას. ამ გაგებით გალაკტიონი მართლაც ისე მოდის შოთას პოემიდან, როგორც ლიტერატურული სამშობლოდან.

ლაღად, დიონისური ექსპრესიით ამეტყველებს გალაკტიონი დიდ წინაპარს და მისი ბაგეებით საკუთარ სათქმელსაც ამბობს.

1940 წელს დაიწერა „მესხის გამოხედვა" (მართლაც, თანამდევი სულია გალაკტიონისათვის შოთა). პოეტი უტყუარი გუმანით გრძნობს ერისთვის საბედისწერო დროის დადგომას, ამიტომაც უკიჟინებს თანამედროვეს, შენს თვალებში დიდი წინაპრის სხივი ანთია, არა ხარ გაწირულიო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ის გამოხედვა მზიური
შვილთა ვალი და სესხია,
შეგრძნება ტიტანიური,
იტყვი: ნამდვილი მესხია".

მტრისგან შეჭირვებული ქვეყნის სიბეჩავით გულშეძრული ავტორი საუკუნეთა წიაღიდან გამოიხმობს შოთას სახეს, როგორც განმაახლებელ ძალას. უშორესი, მაგრამ ბრწყინვალე წარსულის თვალნათლივ წვდომას და გათავისება მას თავისი თანამედროვის ასამაღლებლად სჭირდება:

„გრიგალია თუ სეტყვაა,
არ მეშინია მე სხვისა,
ქართველში გამოხედვაა
იმ ერთი ვინმე მესხისა".

ქართველი გრდემლის, კალმის, ხმლისა და გუთნის ერთგულია, ლაღი მოქეიფე და მომლხენი, მაგრამ უსამშობლოდ მისთვის ლხინი არ არსებობს, სასიკვდილო გაზმორებად ედება სამსალად ქცეული ღვინო ძარღვებს:

„სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი
გადუტანია,
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა
ცხოვრება ქართლის,
ის თავდადების და გმირობის
მატიანეა.
ეხმაურება იმ ხმალს ჩვენი
ხმალი სიმართლის".

ეს უფრო პოეტის სურვილია, ვიდრე სინამდვილე; ეს გახლავთ ავტორის მძაფრი წადილი, რომ გარდასულ დროთა მშიერ ხმლებს გაესაუბროს და გაეთამაშოს დღევანდელი ხმლები. ეს იმიტომ, რომ განსაცდელი, რაც ერს გადახდენია, პოტენციაში განმაახლებელ და გარდამსახველ ძალას შეიცავს.

იგივე იდეური მიზანდასახულება აქვს ლექსს „ირაკლი, მომგები ასი ომის". კონტაქტი წარსულთან აქაც განმაახლებელ სულისკვეთებას ბადებს. პოეტი ერის გმირული წარსულის განუყოფელ ნაწილად თვლის საკუთარ თავს. მის ხსოვნას ელამუნება ის მირაჟად ქცეული ეპოქა – ხმალჩაუგები ბრძოლების დრო და იმგვარად ითავისებს ერეკლე მეფის გამარჯვებებს, რომ შემდეგ შემზარავი გახდეს დამარცხება:

„და ხმალს ფერავდა
მეფე ირაკლი
და იგი ხმალი
ელვასებრ სჭრიდა.

ერთ მებრძოლს ასი
ეხვია მტერი,
ყოველი მხრიდან,
ყოველი მხრიდან".

მუქარასავით ისმის „ავი მუსაიფი":

„გაფიქრებდეს ხელირიბი
ზუწრწურა ძველი ხმლისა:
„მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ ბატონის ირაკლისა".

გალაკტიონს არასოდეს სტოვებს ღრმადეროვნულობის შეგრძნება და ამიტომაც ფორმულასავით აყალიბებს:

„ვინაც გაიგებს
ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას
ჩემსას გაიგებს!"

გალაკტიონის დროს სამშობლოს პრობლემებზე საუბარი აკრძალული თემა იყო. ამიტომაც ამეტყველებს პოეტი შოთას. ანდამატური მიმზიდველობა აქვს დიადი დროის გახსენებას. წარსულში ამგვარი გასეირნების შემდეგ უფრო აუტანელი და აშკარა ხდება აწმყოს შეუსაბამობა იმ ამაყად მხრებგაშლილ საქართველოსთან.

1947 წელს იწერება „წამყე ბეთანიისაკენ". გალაკტიონი ჰამლეტისებურად გრძნობს, რომ „დროთა კავშირი დაირღვა", რომ საჭიროა იმ მებრძოლ და დღევანდელ მძინარე ეპოქას შორის ხიდის გადება. მას იდილიური სიმშვიდის ძიება კი არ გადაუწყვეტია, იმ პატრიოტული სულისკვეთებისა და ვნებათაღელვის გამოწვევა სურს; იმ ხმლების ტრიალი ენატრება, ძლევის კიჟინაზე ოცნებობს:

„წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადლაცა, ახლომახლო
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო".

მიჰყვება რა წინაპრის ნაკვალევს, გვანიშნებს, რომ მამა-პაპათა პატრი[illegible] საქმე უნდა გაგრძელდეს. ეს [illegible] ვიტაციულ ველში" მოგვაქცევს, იდუმალი მუხტით დაგვმუხტავს, ბოლომდე სულმოუთქმელად წაგვაკითხებს თავს, მხოლოდ ბოლოს ამოგვასუნთქებს. ეს არის სამშობლოზე ფიქრით გამსჭვალული უნატიფესი ქმნილება, სადაც კამკამა განცდა დგას. ნაწარმოები გვაფიქრებს: რა ელის ქვეყანას, ხალხს? გადაგვარდება იგი და დარჩება ეთნოგრაფიულ ტომად, რომელიც ემორჩილება ასიმილაციას თუ გახდება ერი და კაცობრიობის სრულუფლებიანი წევრი, რომელსაც ექნება საკუთარი ეროვნული და ინტერნაციონალური მისია?..

„მოდი, სადმე უდაბური ვპოვოთ კუთხე ქედმოძღლო,
გადმოვხედოთ მაღლით თბილისს —
მე აქ უნდა დავესახლო!"

– ასე მთავრდება ლექსი და ის კარნახობს თაობას, რომ მან უნდა შეძლოს დროთა დარღვეული კავშირის შეკვრა.

ამაღლებული სული, ერის ნამდვილ შვილთაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევი თვისებები გალაკტიონს ხალხის წინამძღოლის, ერის წყლულების მოზარის როლში აყენებს. იგი სულიერი წინამძღვარია ქართველებისა:

„ჩვენს სიმდიდრეს მტერმა
რომ ხელი ვერ ახლოს —
ვდგევარ ხომლის კლდეზე
განძთ-სადების ახლოს".

(„ვდგევარ ხომლის კლდეზე", 1947 წ.)

ხომლის კლდე ავტორს საგუშაგო სამზერ კოშკად ესახება, საიდანაც მარადიული სიფხიზლის თვალით მწყემსავს პოეტი თავის მამულს.

დიდი პოეტი თავისი ხალხის შესაძლებლობებს, სიმაღლეს ავლენს. იმიტომაც გვხიბლავს ეს სიტყვები, რომ გალაკტიონის ლექსში ზოგადად ქართველის სულიერი სიმაღლის ამოკითხვაც შეიძლება.

ცისანა გენძეხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „წრეში მოქცეული დრო და სივრცე“

## ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“

„ვიღაცა ვიღაცას ანდობს თავის სანუკვარ ფიქრს, თავის სურვილს, მისწრაფებას...“ — ეს ან უკვე 70 წლის იუბილარი მწერლის ნააზრევია, ანუ ყველაფერი ისაა, რაც მან „გოდორში“ მოაქცია და მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა, ანდო მას „სანუკვარი ფიქრი“, სურვილები და ამცნო მისწრაფება, რითაც ასე მიმზიდველი და საინტერესოა ეს მართლაც საუკუნის რომანი, საუკუნისა, რომელიც ეს-ესაა დაიწყო და არც არავინ იცის რას გვიქადის და მაინც „ანტიკური გმირის სიჯიუტით იგერიებს თავისიანების ყურადღებასა და თანაგრძნობას... როგორც ორესტე – სისხლისმსმელ ერინიებს...“. ნაბილწულა ქვეყანა, მუმლი შესევია, „მუმლმა შეჭამა“, ანუ „ილმუმ ასახუმ სრაგ ადოევხე“. „მრავალნაირი ვნება, გრძნობა, განცდა, მიზანი, სურვილი და ურთიერთობაა ერთმანეთში ჩახლართული – სათაკილო თუ სავალალო, მისაღები თუ მიუღებელი“. „პრეისტორიულ გამოქვაბულს დამსგავსებია“არამხოლოდ სადარბაზოები, ხელოვნურად გახლეჩილა ქვეყანა. „თითქოს სამშობლოს შუაგულში ხარ და, იმავე დროს, უსაშველოდ შორს სამშობლოსგან“. არადა „სამშობლო იყიდება, მისი სურნელი კი, არა. სურნელი მაინც აქ რჩება, გამოცალკევებულ სივრცეში, ნასამშობლარზე“. მწერალს კი ერთი სურვილი შეყრია: „მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი. ხურდა არ მინდა. სიცოცხლეს ვიხდი მთლიანად“. „წრეში მოქცეული დრო და სივრცე“ უნდა გაირღვეს, გამოჩნდეს სინათლე და დაილანდოს კონტურები სამშობლოს გამთლიანებისა, ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი თავისუფლებისა. „უნდა გავიმარჯვოთ, სხვანაირად არ იქნება“! ამგვარი სულისკვეთებით, მსოფლგანცდითაა შექმნილი თანამედროვეობის გამოჩენილი მწერლისა და მოაზროვნის – ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“.

ლიტერატურათმცოდნე მ. კვაჭანტირაძე დიდი ხანია იკვლევს ოთარ ჭილაძის რომანების ენას, ახდენს მისი თხზულებების სემიოლოგიურ ანალიზს, ხსნის მწერლის მხატვრული სამყაროს საიდუმლოებებს და დაკვირვებათა შედეგად იძლევა საყურადღებო დასკვნებს. 2001 წელს მანვე გამოაქვეყნა წერილი: „მნიშვნელობათა ჩამოყალიბების სპეციფიკა ოთარ ჭილაძის რომანებში“. ეს კიდევ ერთი საინტერესო გამოკვლევა ეყრდნობა მწერლის თხზულებებში განფენილ იმ აურაცხელ სპეციფიკურ იმპულსს, რომლითაც აღსავსეა თვით ცხოვრება: თავისუფლება, მონანიება, სიკეთე, ერთგულება, ღალატი, მიმტევებლობა, სიყვარული და ა.შ. ყოველივე კი: მითები, სიმბოლოები, შედარებები, ჩვენებები, მეტაფორათა მთელი გამა, წარმოსახვის ზონები, შემეცნების პროცესი და სხვა მისთანანი მიიმართება ერთი მიზნისაკენ – ეროვნული კონცეფციის გაღვივებისაკენ, ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებისაკენ. და ეს ასე იყო წინამდებარე ყველა რომანში. ამიტომაც წერს მ. კვაჭანტირაძე: „ჭილაძის დისკურსი არის ეროვნული ყოფიერების, სიცოცხლის ფორმები, მისი ძალისა და ენერგიის, მისი სპეციფიკური აღქმის გამოხატულება – სიტყვის განუწყვეტელი დინამიური მოძრაობით მნიშვნელობისაკენ, შინაგანი ძალით, პროცესულობით, თავისუფლებისაკენ სწრაფვით“ („სჯანი“, II, 2001 წ., გვ. 157). მწერლის კრედო უცვლელია ამჟამადაც. თითქმის სულ ახლებური სტილით, განსხვავებული მხატვრული ქსოვილით ოთარ ჭილაძე თავის ახალ რომანშიც კვლავ გამორჩეულია თავისუფლების აღქმის თავისებური რაკურსით, რომელიც საქართველოში მოხდა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. სწორედ ამ იმპულსებს გამოსცემს რომანი „გოდორი“, აღსავსე ეროვნული ცნობიერების პრობლემატიკით ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში, ახალ სოციო-კულტურულ სამყაროში.

რომანი ეძღვნება კონკრეტულად ერთი ოჯახის – კაშელების (სამი თაობის: პაპა, მამა, შვილი) და მათ ირგვლივ მყოფი ადამიანების ცხოვრებას, მათ გაუკუღმართებულ ყოფას, უბედურებას, სრულიად უაზრო არსებობას და ა.შ. ერთი ოჯახის ცხოვრების წესის სტრუქტურა, განვითარების დინამიკა და ყოველი მისი წევრის ფუნქცია იძლევა არსებითად ხასიათების ურთიერთმიმართებათა გამოხატვის საშუალებას, რათა საბოლოოდ ამოხსნილ იქნას, თუ რისთვის დასჭირდა მწერალს ეჩვენებინა ამ ოჯახის, ანუ ქვეყნის ერთი მცირე ნაწილის, მიკროსამყაროს ძირითადი აზრი და მნიშვნელობა.

„გოდორის“ არსობრივი გააზრება განისაზღვრება იმ პრობლემების ახსნისა და გაცნობიერების საშუალებით, რომელნიც მწერლის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ისე დანაწევრებულან, ისე უცვლიათ სახე და ფერი, იმდენად დაშორებულან საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ ტრადიციებს ზნეობრივ და მორალურ სფეროებში, რომ კულტუროლოგიური თვალსაზრისით ქართული ტრადი-

ციული ოჯახისადმი წაყენებული აზრობრივი დატვირთვა დაუკარგავთ და გაუცხოებულან.

განსაცვიფრებელი ოსტატობით ახერხებს, უკვე საკმაოდ გამოცდილი რომანისტი ოთარ ჭილაძე, თხრობის საოცრად მოწესრიგებული სტრუქტურის დაცვით, მისთვის ჩვეული ავტორისეული დისკურსების ჩართვით, წარმოაჩინოს ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ბოლო ათწლეულის (და, რა თქმა უნდა, წინა ათწლეულების) მანძილზე მომხდარი სულიერი კრიზისი ადამიანებისა, ტრადიციების მსხვრევისა, ღირებულებების გადაფასებისა.

ოთარ ჭილაძის „გოდორი", კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ჯერ-ჯერობით ერთადერთი რომანია, რომელიც XXI საუკუნის, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური თვალსაზრისით, სრულიად ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე დაიბადა. ლიტერატურათმცოდნემ და კრიტიკოსმა გ. ბენაშვილმა დაგვასწრო აპრიორის სახით გვეთქვა ის, რაც სრული ჭეშმარიტებაა და სიამოვნებით ვეთანხმებით მის აზრს იმის შესახებ, რომ „იმვა ამ დიდი მწერლის კიდევ ერთი ბრწყინვალე ქმნილება... ან უკვე ახალი XXI საუკუნის ქართული მწერლობის ღირსეული ფ უ ძ ე და მ ა ც ნ ე მომავალი დიდი ლიტერატურული რეალობებისა" („თანამედროვე პროზის ოპოზიციური სილუეტები"-„ლიტერატურული საქართველო", 2002, 30.VIII-5.IX, გვ. 4). ეს შეფასება შემდეგნაირად შეიძლება დავასრულოთ: „გოდორი" უთუოდ წარმოადგენს ქართული პროზის მხატვრული საგანძურის ნიმუშს XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, რომელმაც დაარღვია პრინციპი, რომ ქვემეხების ქუხილისას „მუზები სდუმან". ოთარ ჭილაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული პროზა, მომდინარე V საუკუნიდან დღემდე, ის მარადიული სინათლეა, რომელსაც არათუ აკლდება შუქი, არამედ ახალ-ახალი სხივებით იმოსება და კვლავაც კიაფობს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სრულებითაც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა ანუ ყურადღების მიღმა მისატოვებელი ფაქტი. ვისაც მისი რომანები გაუაზრებია, უთუოდ უგრძვნია ჩვენი ქვეყნის ორსაუკუნოვანი ისტორიის - XIX-XX ასწლეულების მთელი მხატვრული პანორამა-გამოხატვის სრულიად განსაკუთრებული ხერხებით: მითი, ლეგენდა, ფოლკლორული სახეები, ბიბლიური თემები, სიმბოლოთა მთელი წყება, არქეტიპული ზოომორფები, ჯერაც უკვდავი მითოლოგემები, ფაქტების ორიგინალური ორგანიზაცია, ენის სტრუქტურის თავისებურებანი და ა.შ. არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ კიდეც, XXI საუკუნეს მწერალი სრულიად ახალი, თამამად შეიძლება ითქვას, მკვეთრად დისიდენტური დამოკიდებულებით, ხედვით, სინამდვილის აღქმის განსაკუთრებულად ფხიზელი მიდგომით შეხვდა. საგულისხმოა და სიამოვნების მომგვრელიც ქართველი მკითხველისათვის, რომ ოთარ ჭილაძე ქრონოტოპს ისევე აყურადებს და განიცდის, როგორც საკუთარ გულისცემას, „გოდორში" მოქცეული ადამიანების უბედურებას, იგი საქართველოს, ქართველი ხალხის „მაჯისცემის შემგრძნობი" რომანისტია, რომლისთვისაც სრულიად უცხოა სპონტანური აფეთქებანი. იგი კონსტრუქციულად მოაზროვნე მწერალია, რომელმაც საკუთარი ენით, ხელოვნებით, სიტყვათა შეკავშირების ორიგინალური სისტემით, რელიგიური მრწამსით უკვე შექმნა „საკუთარი უნივერსუმი" და თავისი დაბადების 70-ე წელს კიდევ ერთი საუკეთესო რომანით გაამდიდრა ქართული კულტურა, ქართული ლიტერატურა.

დრო კარდინალურად შეიცვალა, სრულიად ახალი სისტემა დამკვიდრდა და მწერალმაც არ დააყოვნა, ფეხდაფეხ მიჰყვა თავისი ქვეყნის შიგნით მიმდინარე სულიერი ფასეულობების გადაფასების პროცესს. საერთოდაც ანუ ზოგადად სამყაროში მიმდინარე პრინციპიალურად ახალი მიდგომები, საშუალებები წარმოადგენს ერთგვარ გასაღებს საერთო ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული-სოციალური პრობლემების ასახსნელად. ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი მოქმედების წარმმართველი და ადამიანის კონცეფციის მხატვრული აზროვნების გზით გახსნა კი იმ პრეროგატივად იქცა, რომელიც ქართველ მწერალს გააჩნდა „შუშანიკის წამებიდან" მოყოლებული და ეს უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი თვისება XXI საუკუნეშიც დიაქრონულად ახასიათებს მას და სინქრონულში ანუ სტატიკურ მდგომარეობაში დარჩენის საშუალებას არ აძლევს. ოთარ ჭილაძის მწერლური აზროვნების, შემეცნების სტრუქტურული თავისებურება, ეროვნული საზრისი, უპირატესად სწორედ ახლა და, ჩვენის აზრით, სრულყოფილად და ყოვლისმომცველად ამ ახალი რომანით დაკონკრეტდა, რამეთუ მისი რომანების თვალმიდევნების შედეგად უკვე აშკარად გამოიკვეთა მოდელირების ის საშუალებანი, რომლითაც მან ქართული ქრონოტიპის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთში გარკვეული თვალსაზრისით მოიცვა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების, ზოგჯერ გამოვარდნების, ზოგჯერაც ჩავარდნების რთული პროცესი. რომანისტმა ყოველივე ეს შეძლო მეტაფორული აზროვნების სიჭარბით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ დიალოგთა ფორმირებით რომანის კომპოზიციური მთლიანობის ფონზე, რემითოლოგიზაციით, ვერბალური დამოკიდებულებით ოცსაუკუნოვანი კულტურული ფასეულობების, რელიგიის, ტრადიციის, სიყვარულის,სიკვდილისა და სიცოცხლის მიმართ.

კულტურის შემსწავლელი მეცნიერება განსაკუთრებულ მოდუსს უძებნის საზოგადოებრივ-ისტორიულ ყოფიერებას, რომელიც წარმართავს ცნობიერებას, ხოლო მწერალი და კერძოდ XX-XXI საუკუნეების გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე ოთარ ჭილაძე, მოყოლებული პირველი რომანიდან პერმანენტულად

ეძიებს და ხსნის ადამიანის საიდუმლოებით მოცულ სამყაროს, მის მოთხოვნილებებს, ფსიქოლოგიას, მიდრეკილებებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა დროში, ანუ მაშინაც, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში ჩართულა, მაშინ, როდესაც არსებობის ვრცელ და ჯერაც შეუცნობ გზაზე მარტოა და მაშინაც, როდესაც „გოდორში" შემალულა და საშველის, ხსნის რეალურ საშუალებებს ეძებს, რამეთუ ტრადიციული ზნეობრივი კანონები და მორალური პრინციპები დარღვეულია და უნდა ვერწმუნოთ დიდებულ მწერალს, რომ ეს მართლაც ასეა, - საჭირო გამხდარა ადამიანთა აზრობრივი სამყაროს ახლებურად ფორმირების შესწავლა და იმ ფასეულობების შენარჩუნება, რომელიც თავს იყრის ჯანსაღ და არა ტრანსფორმირებულ ეროვნულ ცნობიერებაში.

რეალისტური მიდგომა სინამდვილის გამოხატვის მიმართ, თავშეუკავებელი სწრაფვა პრინციპიალურად ახალი ფორმით, ახალი მხატვრული აქსესუარებით წარმოაჩინოს მწერალმა აბსოლუტურად ზნეობაგამოცლილი, თვითლირებულებადაკარგული ვითომც ექსტრავაგანტური, მაგრამ სინამდვილეში აბსურდულად ქცეული ადამიანები და მათი პოზიციები, აზრობრივი რთული კონფიგურაციები, არის ის, რამაც უნდა ღრმად და საგნობრივად წარმოგვადგენინოს თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ისტორიული, სოციალური და მენტალური საფუძვლები.

ყველაფერი კი სათავეს იღებს ოთარ ჭილაძის სულიერ ცხოვრებასა და შინაგან სამყაროში, რომლის კარიც ქართველმა მკითხველმა ჯერ მხოლოდ სანახევროდ შეაღო. მართალია, მას 70 წელი შეუსრულდა, გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს ის ასაკია, როცა გამოცდილებამ, ზნეობრივმა და ინტელექტუალურმა დონემ იმ სიმაღლეს მიაღწია, საიდანაც კიდევ უფრო მეტად უნდა გამოჩნდეს ჩვენი მრავლსაუკუნოვანი ისტორიის მიმდინარე მტკივნეული პროცესების მეტყველი სურათები მხოლოდ ამ და არა რომელიმე სხვა მწერლისათვის დამახასიათებელი ემოციური დაძაბვის უკიდურესი ამპლიტუდით, ჭეშმარიტად პატრიოტული, ეროვნული ცნობიერებითა და გრძნობათა უშუალობით, რომელმაც კიდევ მრავალგზის უნდა განაცვიფროს და გაახაროს ქართველი საზოგადოება, ძირძველი ქართული მწერლობა, კოსმოლოგიური კულტურლოგიური სამყარო.

ჩვენი ქვეყნის თანადროული მოთხოვნებისა და პრინციპების აღქმა მწერლის მიერ, ერთი მხრივ, ხოლო რომანის პერსონაჟების სამოქმედო არეალი და მიზნები, მეორე მხრივ, ოთარ ჭილაძის რომანის ყველაზე მთავარი მონაპოვარია, მხატვრული ქრონოტოპის რემითოლოგიზაციის პრინციპია. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის მხატვრული დროსივრცის არეალში ღირებულებათა დევალვაციის პროცესის გაღრმავება და აწმყოში გაბატონებული ზნეობრივი გადაგვარების ასპექტების იმგვარი მხატვრული გააზრება, რაც მომავლისადმი რწმენის დეფიციტს აჩენს, მწერალს ქვეყნის განვითარების პერსპექტივის საშუალებას არ აძლევს და [illegible] „გოდორში" გამომწყვდეულად წარმოიდგინოს და მკითხველსაც წარმოადგენინოს ჩვენი ქვეყანა — ევრაზიის გზაჯვარედინზე მყოფი, მრავალგზის და მრავლათასიან მტერთაგან დარბეული და გადარჩენილი, რომელიც, მწერლის რეფლექსიიდან გამომდინარე, რაღა თქმა უნდა, უკეთეს ბედს, ცხოვრებას და მომავალს იმსახურებდა და იმსახურებს.

იმ საზოგადოებაში, სადაც ღირებულებათა დეფიციტია, მორალური შიმშილი და ზნეობრივი გადაგვარება გაბატონებულა, შეუძლებელია მაღალ მატერიებზე მსჯელობა, ცნობიერების ნაკადის პრიმატი, დიალოგების ფილოსოფიური შეფერილობით აღჭურვა, ნიღაბი და ა.შ. ჩვენ ვიტყოდით – გამორჩეულმა და XX-XXI საუკუნის დიდმა მწერალმა, მკითხველს ამჯერად შესთავაზა სულ სხვა სტილით, ესთეტიკითა და მრწამსით შექმნილი ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტი სახე, კონკლავი, დაკეტილი ოთახი, მაგრამ არა კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს, არამედ კონკლავი-გოდორი, რომელსაც თავისი შიგთავსიანად, როგორც მის მფლობელთ, წარმმართველთ, ხელმძღვანელთ სურთ, იქით გადააგორებენ, გადაავარებენ, უფსკრულში გადაისვრიან, სულაც ისტორიის სანაგვეზე დაუსრულებელი დროით დაავანებენ. არადა, იმ რომანების ავტორმა, როგორებიცაა: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", „რკინის თეატრი", „მარტის მამალი", „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „აველუმი", ბევრი, ძალზედ ბევრი რამ ითმინა, როგორც მწერალმა, მაგრამ მაინც, მან სხვაზე უკეთ იცის, რომ ქვეყანა უნდა გადარჩეს, აღსადგენი ტრადიცია, სულიერება, მორალი, ზნეობა, ერთიანად კულტურა უნდა აღსდგეს, ამიტომაც მიუსადაგა მწერალმა სათქმელს შესაფერი სტილი – ისეთი რომანი შემოგვთავაზა, რომლის პერსონაჟებიც სრულიად ახლებური აზროვნებით, მეტყველებით, მოქმედებით გამოირჩევიან. შეიქმნა ახლებური მხატვრული ქსოვილი, სისტემა, სადაც ოთარ ჭილაძემ მწერლური თვითანალიზი, მედიტაცია გააძლიერა, რეფლექსია თითქმის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. ფსიქოლოგიური ანალიზი და წამყვან ანუ მთავარ პერსონაჟთა სახისმეტყველება პოლისემიური გახადა, ინტროსპექცია გააძლიერა, ასოციაციური აზროვნება ორიგინალურ ჩარჩოებში მოაქცია და კვლავაც კიდევ უფრო საოცრად საინტერესოდ და მიმზიდველად საკითხავი რომანი მიანოდა მკითხველებს, რომელთაც მისცა საშუალება დისკურსის, საკუთარი განცდების ანალიზის (მწერლის ერთი მნიშვნელოვანი სურვილი, ალბათ, ესეც იყო).

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს „გოდორთან" მიმართებაში, რომ მხოლოდ ის კი არ არის მთავარი, XXI საუკუნის გარიჟრაჟზევე შექმნილი რომანის ავტორი ეროვნული ცნობიერებით

რომ გახლავთ გამორჩეული და ეროვნული პრობლემებით არის პროეცირებული რომანი. ცხადია, ესეც ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ „გოდორი“ არამხოლოდ საქართველოში არსებული არაერთი პრობლემის მატარებელი რომანია და ამ პრობლემებს ოთარ ჭილაძე სვამს, ავითარებს და ნყვეტს (პერსპექტივაში) ისე, როგორც ეს დიდ მხატვარს, ჭეშმარიტ მწერალს შეეფერება. „გოდორი“ სწორედ ის თხზულებაა, რომელშიც დეტერმინიზმი ერთ-ერთ აუცილებელ როლს თამაშობს, ვინაიდან ყველა მოვლენა უცილობელი მიზეზობრივი კავშირით არის მასში განპირობებული. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ რომანი, რომელიც ლოკალურ, მაგრამ მრავალ მნიშვნელოვან ამბავს, პერსონაჟთა მთელ სისტემას წარმოგვიდგენს და საინტერესოდ ალწერს, ალწევს იმ სასურველ შედეგს, რაც საჭირო და აუცილებელია თხზულებისათვის, რომელმაც არა მხოლოდ საკუთარი ხალხის ინტერესი უნდა გამოიწვიოს, არამედ იმგვარი პრობლემების მატარებელიც უნდა იყოს, რომელნიც საინტერესოა ზოგადადამიანური თვალსაზრისით და მხატვრული ხორცშესხმით უნდა აკმაყოფილებდეს საერთოდ ადამიანთა ლიტერატურულ გემოვნებას, მათ სულიერ მოთხოვნილებებს – იქნებიან ისინი საკუთრივ ქართველნი, თუ სხვა ერის წარმომადგენელნი. თუმცა არც ის უნდა იყოს სადაო, უფრო პირიქით, რომ ეს რომანი გაჯერებულია ეროვნული ცნობიერებით, რეალურის მტკივნეული, სახეობრივი ალქმითა და საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ღირებულებების დაცვის იმ ინსტინქტებით, რომლებიც ღრმად ჩამარხულა რომანში და მიმის ზარს უნდა სცემდეს ქვეყნის ხელისუფალთ.

დრო-სივრცე და კაშელების ცხოვრება – აი, ის ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა, რომლის შესახებაც გვიამბობს მწერალი. კაშელების სამი თაობის, განსაკუთრებით მამისა და შვილის – რაჟდენისა და ანტონის, ცხოვრებისეული ფსიქოლოგიური წიაღსვლები, საზარელი აწმყო და ბუნდოვანი მომავალი ის სიმაღლეა რომანში, რომელსაც უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალს მკითხველი. მომნუსხველი ოსტატობით შეაქვს მწერალს „გოდორში“ მეტატექსტი და აქაც ოთარ ჭილაძის შესაძლებლობები შეუდარებელია, ან რად ღირს გაუცხოებული ტექსტი, ავტორისეული დისკურსი და თბილისი-ქვიშხეთის (სრულიად კონკრეტული მიკროსამყაროს) გააზრება კაშელების დამოკიდებულების თვალსაზრისით გარესამყაროსთან, ანუ (პირობითად აღებული) ერთი ოჯახის ფუნქცია კოსმოლოგიურ მოდელში.

ახალი რეალობა შემაძრწუნებელი სიმკაცრით შეჭრილა „გოდორში“, ზემოქმედებს ადამიანთა სულებზე, მათი შესაძლებლობების გამოვლინებათა ფორმებზე, რაც ხან უცნაურ ზმანებებში გარდასახულა, ხან სიძულვილის ჭაობში ჩაფლულა, ხანაც სრულიად გაურკვეველი და გაუკულმართებული სიყვარულით განადგურებულა. ყოველივე ამის ფსიქოლოგიური ანალიზი, დრო-სივრცისა და ადამიანური სიძლიერე-სისუსტეების წინ წამოწევა, გაცხადება-გაცნობიერება იმისა, თუ ვინ [illegible] წარმოადგენენ რომანის პერსონაჟები, როგორია მათი სახისმეტყველება, იმპულსები, მისწრაფებები, ბოლოსა და ბოლოს, აქვთ თუ არა მათ რაიმე მიზნები, სწორედ ეს არის ოთარ ჭილაძის მთავარი საზრუნავიცა და სათქმელიც.

„ახალი სიოს ქროლვა“, ახალი რეალობა, ანუ აზრისა და სიტყვის თავისუფლება, რაც თავისთავად უდიდესი მიღწევაა ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის და ბედნიერებაა ზოგადად საქართველოსათვისაც, ჩვენის აზრით, მაინც ყველაზე ნაკლებ ზეგავლენას ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებაზე ახდენს, რამეთუ იგი ყოველ დროში, ოღონდაც სხვადასხვა ფორმითა და, განსაკუთრებით, განსხვავებული მხატვრული აქსესუარებით ახერხებს სიმართლის თქმას. ამ აზრის დადასტურება უნდა იყოს ოთარ ჭილაძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, სხვათა შორის, იქნება ეს პოეზია, პროზა თუ პუბლიცისტიკა. თავისი სიტყვა თქვა მწერალმა თავის დროზე ლექსით „გრემი“, რომანებით: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და ა.შ. პუბლიცისტური წერილით „სიცოცხლისათვის“ და ა.შ. სხვა საქმეა, რომ ოთარ ჭილაძეს დრომ კი არ მისცა საშუალება შეექმნა „გოდორი“, არამედ ეს დრო გახდა ინტერესის საგანი დიდი მწერლისათვის, რომელიც დაუპირისპირდა ამ დროს, მისი ოპოზიციონერის როლის შესრულების ინიციატივა იკისრა და ჩანაფიქრი ბრწყინვალედ აღასრულა. მართლაც, ოთარ ჭილაძე ისე ალწერს პერსონაჟებსა და სიტუაციებს „გოდორში“, რომ ნორმალურ ადამიანებს და, ცხადია, ასეთები კიდევ შემორჩნენ ჩვენს ქვეყანას, წინააღმდეგობის გრძნობა უჩნდებათ, ალბათ, და თუ ჩვენ მეტ-ნაკლებად მაინც ნორმალურ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, სამომავლო გზების ძიების სურვილიც აღეძვრით.

გავიმეორებთ, რომ XX საუკუნის 60-იანელმა მწერალმა ოთარ ჭილაძემ კიდევ ერთხელ გააოგნა ქართველი საზოგადოება თავისი რადიკალურობით რომანში „გოდორი“. ჯერ მისმა პოეზიის სამყაროდან პროზის სამყაროში გადასვლამ და პირველმა რომანმა, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში სამართლიანად იქცა რემითოლოგიზაციის ქართულ ნიმუშად, გააოცა მკითხველი (არადა ოთარ ჭილაძე ისევე დიდი პოეტია, როგორიც დიდი რომანისტი). უფრო მოგვიანებით მეორემ სასიამოვნოდ დააფიქრა საზოგადოება. ამ რომანებს სხვებიც მოჰყვა, მაგრამ XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ქვეყანა აირია, თავისუფლება, ომი და დამოუკიდებლობა ერთმანეთს ენაცვლებოდა და ერთმანეთში ირეოდა, ისე მიილია 12-ოდე წელი, მწერლები თითქოს დადუმდნენ და მათთან ერთად ოთარ ჭილაძეც, თუ

რამდენიმე პუბლიცისტურ წერილს არ გავითვალისწინებთ. მწერალი კი თურმე სულ წერდა და წერდა და აი, „მნათობმა" 2002 წლის 5-8 ნომრებში გამოაქვეყნა „გოდორი", რომელშიც ყველაფერი ემორჩილება იმ დროის ლოგიკას, რომელზედაც ეს-ესაა ვსაუბრობდით: „ჯერჯერობით, არც მსაჯული არსებობს და არც განსასჯელი. თუ არსებობს, ორივე ერთ ძირგახვრეტილ, უნიჩბო და უიალქნო ნავში ზის და ცხოვრებისგან წამხდარი, მორჩილად მიჰყვება დინებას. არ იცის, რომელ მეჩეჩზე გაირიყება ხვალ...". სუფრის ერთ-ერთი წევრი რომანიდან ასე ოხუნჯობს: „მე ჩემი წილი სამშობლო რახანია ვიხმარე". და აგრძელებს: „კი, ბატონო! ვიხუმროთ, გავძარცვოთ, გავყიდოთ... ჩვენ კი დავგაზოთ უცხოეთში... კი, ბატონო! ყველა ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია და არა ისე, როგორც სურს". მწერალი ასკვნის მწარე ირონიით: „სისუსტე ამართლებს სიგლახეს, სიგლახე ამართლებს ტყუილს" და ასე უსასრულოდ ირევა ერთმანეთში ტყუილი, სიგლახე, ღალატი, ცოდვა-მადლი, რომელიც „მორჩილად მიჰყვება დინებას" - რომანში. ასეა ერთმანეთში გადახლართული მწერლის მსჯელობა-შეგონებანი, პერსონაჟთა ნააზრევი თუ ნამოქმედარი, როგორც ამას ოთარ ჭილაძეს მოქმედ პირთა სულიერი მოთხოვნილებები, მორალი, ზნეობა, ქვეყნის მმართველთა მიერ ჩამოყალიბებული სისტემა კარნახობდა და განაპირობებდა.

მხატვრული სამყაროს ის ინტეგრაციული მხარე, რომელიც თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივი ყოფიერების ისტორიულ ფორმებს, ოთარ ჭილაძის რომანში საოცარი სიცხადით, სიმბოლოთა მოშველიებითა და ყოვლისმომცველი ირონიით აისახება: ქვეყანა თითქმის გადაგვარებულია, „ყველა ოჯახი თავისებურ საიდუმლოდ ქცეულა", ჯალათი და მსხვერპლი ერთმანეთში არეულა, „კვამლით სავსე სადარბაზო პრეისტორიულ გამოქვაბულს დამსგავსებია, შენ კი- პიტეკანტროფს, გაუპარსავი, თმაგაჩეჩილი, კბილებჩაცვენილი... წვავ, რასაც ცეცხლი ეკიდება, წიგნსაც (საკუთარის ჩათვლით), სურათსაც, პარკეტსაც, ავეჯსაც, კარფანჯარასაც... და ჭამ ყველაფერს, რაც ილეწება... ძვირი დაგიჯდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილობა. უკადრისი უნდა იკადრო და ჩაუდენელი ჩაიდინო, ერთი დღით რომ გაიხანგრძლივო სიცოცხლე". ამ დროს მწერალს რომანში შემოჰყავს ლუდოვიკო ბოლონიელი, „ოდესღაც აქ არსებული და ან უკვე უკვალოდ გამქრალი ქვეყნისთვის შეუცვლელი პერსონა გრატა და რომის პაპის, ასე ვთქვათ, დიპლომიანი დესპანი", რომელიც მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: „სად შეიძლებოდა გამქრალიყო ისეთი აღორძინებული, ლაშქარმრავალი, ყმიანი და სახელგანთქმული ქვეყანა, როგორადაც ჩემს დროს თქვენს სამშობლოს იცნობდნენ ევროპაში და რომლის იმედითაც იმდროინდელი რომის პაპი პიო ოსმალების განდევნას აპირებდა ბიზანტიიდან".

ამგვარი უამრავი ჩანართი რომანში, თუნდაც ექვთიმე თაყაიშვ[illegible]ება, გვაფიქრებინებს, რომ თუ კულტუროლოგიაში მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, კულტურა, სოციოლოგია, ეთნოლოგია, ფსიქოლოგია, სემანტიკა და ა.შ., ამავე დროს, მასში აირეკლება ის ისტორიული დრო და სივრცე, ისტორიული სისტემა მთლიანად, რომელიც განსაზღვრავს სათქმელის ძირითად არსს, ფუნქციებს, სტრუქტურას და მოდელირებას ახდენს პერსონაჟთა მოქმედებისას, რათა წარმოაჩინოს კულტუროლოგიური კონტექსტი და პერსონაჟთა არსებობის, მოქმედების, არსობის ფორმები, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მიიმართება ცხოვრების გონივრული, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მოქმედების კვალდაკვალ. საცნაური ხდება რომანში პერსონაჟთა ყოველდღიურობა, ჩვეულებები, გემოვნება, სტერეოტიპები, უამრავი რამ მხატვრულ სახეთა განსაზღვრისას სიმბოლოების საშუალებით ხდება შესაძლებელი. ამ სახეთა, ანუ ამ ადამიანთა შინაგანი სამყარო აღიქმება ერთმანეთთან, ამავე დროს, ცხოვრებასთან ურთიერთმიმართებაში და არსებითად განისაზღვრება მათი მოთხოვნილებებით, რწმენით, გემოვნებით, ჩვეულებით. ამ თვალსაზრისით კულტურული მოდელის რამდენიმე ინვარიანტი ხდება საცნაური რომანში: წარსული ცხოვრების ნიშან-თვისებანი, თანამედროვე ცხოვრების თეორიული მრწამსი და მისი პრაქტიკული განხორციელება და ოთარ ჭილაძის, როგორც მწერლის დამოკიდებულება, რომელიც ორიენტირებულია იმ აუცილებლისა და განმაზოგადებლის გაცნობიერებაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არსებობის განსხვავებულ ფორმებს.

მწერლისათვის ძვირფასია შემოქმედებით პროცესში მოახდინოს სინთეზი ღირებულებების, ტრადიციების, ეთიკური და ზნეობრივი ნორმებისა, წარმოაჩინოს ყველა დასახელებული ნორმის რღვევისა და უფსკრულისაკენ დაქანების აშკარა მაგალითები. კითხულობ რომანს და დროდადრო სულის მოთქმაა საჭირო, რომ სწორად აღიქვა ის, რაც მწერალმა გადმოგვცა და ისიც, ამ გადმოცემულის მიღმა (ან სიღრმეში) რას გულისხმობდა იგი. ეს ჩვეული მანერაა ოთარ ჭილაძისა და საოცარი ოსტატობით ამჟღავნებს ამ დიდებულ ნიჭს იგი წინამდებარე რომანშიც. ზოგჯერ ფიქრობ, რომ დროის სამ განზომილებაში დაფარფატებ — წარსულში, აწმყოსა და, წარმოიდგინეთ, მომავალშიც, ვინაიდან აწმყო ხომ შობილია წარსულისაგან და „არის მშობელი მომავალისა". არადა რა ხელშესახებია ანტონ კაშელის განცდები, ხან მიწიერი, ხანაც ზღაპრული სამყაროდან ამოზიდული, ხან რეალური, ხანაც ირეალური და იქვე გაიელვებს მწერლის სილუეტი თავისი ფილოსოფიური შეგონებებით, მოულოდნელი ჩაფიქრებით, ზოგჯერ ბილწსიტყვაობით ატაცებული და აღშფოთებული იმ არარაობით, რომელიც ასე ღვარძლივით მოს-

დებია იფქლსა ჩვენი ქვეყნისასა. ამ უხეში ძალისა და სივრცის განფენილობა, უძველესი ტრადიციების რღვევის პროცესი, ათასი უბედურება და უზნეობა თითქოს ართმევს ოთარ ჭილაძეს სულიერი სიმშვიდის გარკვეულ ნაწილს და ვერ წარმოუდგენია ყოველივე ამის შესახებ წეროს ისე, როგორც მას სხვა რომანები უწერია. იგი, ანუ მწერალი, თავისი რომანის პერსონაჟების დარად, სულ სხვა განზომილებაში ცხოვრობს და ამიტომ მისი ენაც იმ ბიწიერებას ამოთქვამს, რაზეც ეს პერსონაჟები ფიქრობენ, რაგვარადაც მოქმედებენ, როგორადაც აზროვნებენ.

და, რაც მთავარია, როგორ გავს, ძალიან ხშირად, ეს მეტყველება იმას, რასაც ყოველდღიურად ვისმენთ ჩვენს ირგვლივ. სად და როგორ, ალარ დავაკონკრეტებთ... მკითხველისათვის ისედაც გასაგებია, ალბათ, რასაც ვგულისხმობთ – პირთამდე აივსო ქვეყანა უხამსობით.

რაჟდენ კაშელი, როგორც „გოდორის" პერსონაჟთა მთავარი მამოძრავებელი ძალა, ჩაკეტილი წრის ის ნაწილია, რომელიც ლერძად ქცეულა, „გოდორში" მოქცეულ ადამიანთა სოციო-კულტურულ ღირებულებათა კვინტესენციად მოგვევლინა და ფაქტიურად სწორედ მისი საშუალებით ცდილობს მწერალი წარმოაჩინოს რომანში მიმდინარე დროდ ქცეული სინამდვილე, რომლის ძირითადი არსის გარკვევას მიუსწრაფვის ოთარ ჭილაძე, ვინაიდან ამ დროს, ყოველი პერსონაჟის სულში ჩაბუდებულ ამ მონსტრს შემეცნებითი, კოგნიტური საფუძვლები დაუძებნოს და მიუთითოს ამავე დროში (რა თქმა უნდა, პირობითად, ვინაიდან ნებისმიერი სერიოზული რომანი მხოლოდ ერთი დროისათვის არასდროს იწერება) მცხოვრებ და მოღვაწე ადამიანებს, თუ საით მიდის საზოგადოება და არსებობს კი ამ დაწყევლილი წრიდან თავის დახსნის გზა და საშუალება?!

„წრეში მოქცეულ დროსა და სივრცეში" ადამიანები გადაგვარებულან. „ფოთლისა არ იყოს, ადამიანსაც დრო კლავს, საერთო მსაჯული, საყოველთაო ჯალათი". ეს უსაშველოდ მძიმე, ქვეყნისთვის, ხალხისთვის, მთელი საზოგადოებისთვის ისეთი დამღუპველია ყოველმხრივ პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ზნეობრივად, მორალურად, რომ თითქმის შეუძლებლად მიაჩნია ოთარ ჭილაძეს „გოდორში" მოქცეული სამყაროსათვის, ხალხისათვის უკეთესი დრო წარმოიდგინოს, რომ იგი საბოლოოდ არ გადაიჩეხოს უფსკრულში, არადა გზა არ ჩანს, ხსნის გზა მწერალმა უნდა აჩვენოს საზოგადოებას, მაგრამ როგორ?!

ჯერჯერობით ამ დროს ასე განიცდის ანტონ კაშელი: „ყველანი ერთნაირი მგზნებარებითა და სიტყვებით აგინებდნენ მთავრობას, გაქცეულსაც და დარჩენილსაც... ამას კი, გაჩუმებისთანავე, ისევ იატაკზე გულაღმა გაშხლართული, თვალებდაყვლეფილი და ფალოსშემართული მამა დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ და ისევ მისი სისხლის სუნი აღრჩობდა. მოკლედ, იტანჯებოდა. თუმცა, სიცოცხლეში პირველად გრძნოდა თავს სწორედ რომ მისთვის შესაფერ, მისთვის განკუთ[illegible], რომელიც არც დედის თბილ [illegible] მის კრიალა მანქანაში... არც მზესუმზირაჭამიების უნივერსიტეტში, არც ზღაპრულ ქვიშხეთში და არც ბოზი ცოლის ლოგინში არ უგრძვნია".

ვინლაა ანტონის მამა – რაჟდენ კაშელი? - „ბოლშევიზმის გაჭუპრებული მატლი", „მოწოდებით ჟანდარმი (რომელიც ფეხით შესდგა საკაცეს, რომელზედაც თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭის ცხედარი ესვენა)".

მხოლოდ ამგვარად დახასიათებულ მამაშვილის ოჯახში შეიძლება წარმოიდგინოს მკითხველმა ის წარმოუდგენელი, რასაც მწერალი მართლა ზებუნებრივი ოსტატობით ხატავს, როცა მკითხველს მოუთხრობს რაჟდენის ცოლის – ფეფეს მიერ მისი ქმრისა და საკუთარი რძლის ეროტიული ეპიზოდის ისტორიას. ფეფესი, რომელიც „ყველას მოახლეა", „ყველასგან დავალებული, მაგრამ, ამავე დროს, ერთადერთი დიასახლისი კაშელების ბუნაგისა, კაშელთა სულის სამალავის კლიტის მფლობელია"). სხვათა შორის, ოთარ ჭილაძე ჩინებულად ხსნის ამ რომანში მეორე უმნიშვნელოვანეს პრობლემას – ამ დროის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს – მონებად ქცეულ ადამიანებს, მონობის ფსიქოლოგიას (რაც აგრეთვე ცალკე კვლევის საგანია). და აი, სამზარეულოში (სწორედ იქ და არა სხვაგან) რას ხედავს ფეფე: „ტიტველი ალქაჯები დაპატრონებიან იქაურობას და გამალებულნი, გაალმასებულნი ნთქავენ ერთმანეთს. ვერც ვერაფერს ხედავენ, არც არაფერი ეყურებათ, თითქოს დანიძლავებულან, აბა, ვნახოთ, რომელი რომელს შეჭამს უფრო ადრეო. სულო ცოდვილო და, საკმაოდ საინტერესო სანახაობაა, შეიძლება, სათაკილოც, მაგრამ ნამდვილად რომ სასიამოვნო შეგრძნებების აღმძვრელი. განაფული, გამობრძმედილი მამრისა და სიმწიფეში შესული (გნებავთ, ადრე დამწიფებული) მდედრის შიშველი სხეულები ერთმანეთში შეჭრილან, ერთ არსებად ქცეულან, მიმზიდველნი და მადის აღმძვრელნი, ცხელ ტაფაზე დახლილი კვერცხებივით". ამის მომსწრე და დამნახველი ფეფე „გამოვიდა დიდ ოთახში და სავარძელში ჩაჯდა". სული მოითქვა... დამთავრდა ეს შემაძრწუნებელი სანახაობა... ფეფეს თვალწინ „გამობრძანდებიან" უსინდისო და უჩვეულოდ ნამუსგაწყვეტილი ლიზიკო და რაჟდენი, რომელიც ურცხვად წაიმღერებს: „შეიწყალე უფალო სული მონათლული კომუნისტისა და ფრიად ცოდვილისა მონისა შენისა რაჟდენი-იი-საა". ეს ეპიზოდი მრავალთაგან ერთ-ერთია, რომელიც ცინიზმის ფეიერვერკს წარმოადგენს. უზნეობას საზღვარი არა აქვს. მკითხველის თვალწინ ამგვარი სურათი იშლება: „ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული - იგესლება ლიზიკო. ოთახში მუმლი ირევა ისევე, როგორც მთელ საქართველოში". ამ დროს კაშელების რძალი, კმაყოფილებით აღსავსე ბოდიშობს

დედამთილის წინაშე „იაპონურად“: „ფეფე სან, ფეფე სან, მადლობელი ვარ ჩემი სახელითაც, თქვენი მეუღლის სახელითაც და საერთოდ, გზასამცდარი კაცობრიობის სახელით“... რა ჩინებული მიგნებაა ოთარ ჭილაძისა ზემოდასახელებული ფაქტების მსგავსი გამეორებების მიმართ - „გზასაცდენილი კაცობრიობა“. ადამიანი და მისი გადაგვარება გარკვეულ ქრონოტოპში საერთოა ყველა ქვეყნისათვის. ამიტომაც მიგვაჩნია ჩვენ, რომ „გოდორი“ არამხოლოდ ქართული რომანია და დარწმუნებულნი ვართ, სხვა ენებზეც ითარგმნება, რითაც არა მარტო საქართველო, საერთაშორისო მკითხველიც მოიგებს.

ფეფემ „არამარტო შვილი გაწირა, არამედ ქმარიც დ რძალიც, ყველანი, ოჯახის ყველა წევრი, რათა უზრუნველად იცხოვროს თვითონ კნიაჟნა ქეთუსიას დანატოვარ შ ი შ ს ა და ს ი ძ - უ ლვ ი ლ შ ი“. ფორმალურად ანუ ვითომც „ჩვეულებათა დასაცავად გადავიდა ფეფეც მისი შვილის შემგინებელთა ბანაკში და, ვინ იცის, დარაჯადაც ედგა მისი „სიკეთით“ გათავხედებულ ქმარსა და რძალს, ოღონდ ყოველი დღე ერთად ესადილათ, ერთად ევახშმათ, ერთად ეყურებინათ ტელევიზორისთვის და, რაც მთავარია, სხვების თვალში ისევ ერთ ოჯახად დარჩენილიყვნენ“. უზნეობა, თვალთმაქცობა, სიცრუე და ამორალობა ზეიმობს გამარჯვებას კაშელების ოჯახში, მაგრამ მწერალს არ სურს დაუშვას, რომ მომავალშიც გაგრძელდეს ამგვარი უხამსობა, ვინაიდან ამდენ უარყოფით მოვლენას, გადაგვარებას, სირცხვილს არ შეიძლება სიკეთე მოჰყვეს. საჭიროა რალაც კი არა, ბევრი რამ შეიცვალოს თავშიცა და ბოლოშიც, მთავრობასა და ჩვეულებრივ ადამიანებშიც (ვინაიდან ადამიანი სუბსტანცია, მამოძრავებელი ღერძია ყოველივესი). ბოროტებამ, უზნეობამ, უუნაროდ, არაკეთილგონივრულად, არასწორად ჩამოყალიბებულმა ახალმა სისტემამ (ამ რამდენიმე მძიმედ გადასატან წელინადშიც კი) თავისი თავი ამოწურა. საჭირო გახდა ქვეყნად კეთილი, გონიერი, ზნეობრივი ადამიანების მომრავლება, რაც მისცემს საშუალებას ქართველებს შექმნან სახელმწიფო, ზნეობრივად ჯანსაღი ქვეყანა, რომელშიც სიკეთის პრივალირება დათრგუნავს ყველა იმ უარყოფით მოვლენას, ურომლისოდაც არ წარმოიდგინება ერი – როგორც ასეთი.

ოთარ ჭილაძის, როგორც თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი მწერლის მსოფლმხედველობა სიცოცხლისაკენ და სიცოცხლისათვის არის გამიზნული. მისი საბოლოო მიზანია ქვეყნის (ანუ იმ ადგილის, სადაც მწერალი ცხოვრობს და მოღვაწეობს, რომელსაც ეკუთვნის გენით, სისხლითა და წარმოშობით და სამშობლო რომ ჰქვია) გადარჩენა ამ ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ეროვნული ცნობიერების, ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების აღორძინების, თუნდაც დიდი კატაკლიზმების, წინააღმდეგობების დაძლევის, მონანიების, კათარზისის გზით.

უმძიმესი გზა განვლო საქართველომ და ქართველმა ხალხმა არა მხოლოდ V საუკუნიდან, არამედ ოთარ ჭილაძის პირველი რომანიდანაც დღემდე, ანუ იქამდე, ვიდრე ერთიან „გოდორში“ არ მოვხვდებოდით და ყოვლისმომცველ პატიებას არ გამოვთხოვდით უფალს ჩვენივე უმეცრების, უზნეობის, ტრადიციის, მორალის, კულტურის, რწმენისა და სასოების დაკარგვისა და გადავიწყების გამო. ოთარ ჭილაძის „გოდორი“ ხალხის გამოფხიზლების, მისი გონს მოგების, თვალთა ახელისა და „გულთა სასმენლის“ გზის ძიების ნათლის სვეტია შუაგულ დედაქალაქში რომ ამოსვეტილა და ზარებს არისხებს — თუ არ შევცვალეთ ცხოვრების წესი, დავილუპებით, უფსკრულში გადავიჩეხებით, არადა დაცემას ხომ ამაღლება უნდა მოჰყვეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „გოდორის“ ტექსტი, მისი სიუჟეტი მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნისადმი მიმართულად არ უნდა წარმოვიდგინოთ (თუმცა, ცხადია, რომანში სწორედ თბილისი-ქვიშხეთის შემოგარენისა და კონკრეტულად კაშელების ოჯახის ისტორიაა მოთხრობილი). ასეთ შემთხვევაში რომანის ესთეტიკური, ეთიკური და, რაც მთავარია, ისტორიულ-კულტუროლოგიური ჩარჩოები ერთობ დავიწროვდებოდა. ჩვენის ღრმა რწმენით, ეს მრავალმნიშვნელოვანი, მრავალწახნაგოვანი კულტურულ-ფასეულობითი, სიმბოლურ ნიშანთა მთელი სისტემით გააზრებული რომანი მიმართულია საერთოდ და ზოგადად გლობალური, კოსმოლოგიური მნიშვნელობისაკენ. საქართველო — „გოდორი“, თავისი ხალხით, პრობლემებით, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ნიალსვლებით; მსოფლიო — „გოდორი“, თავისი ერთობ განსხვავებული ქვეყნებით, რელიგიებით, წყობილებით, აგებისა და ცხოვრების თავისებური სტრუქტურებით, მაგრამ ხალხით – ანუ ადამიანებით, რომლებიც, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, მაინც გვანან ერთმანეთს, ერთი საბოლოო მიზანი აქვთ. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ოთარ ჭილაძის ახალი რომანი ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, ახალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული რეალიების ჟამს, კიდევ ერთი და ამჯერად უდიდესი გამარჯვებაა მწერლისა, რომელმაც სრულიად ახალი გზა აირჩია თავისი ახალი რომანისათვის და დისიდენტი მწერლის პოზიციებიდან გამაფრთხილებელი მეტაფორით „გოდორი“ (რომელიც მრავლისმთქმელ სიმბოლოდაც გვესახება) წარმოგვიდგინა საკმაოდ საშიში სამყარო, აღსავსე ამორალობით, დარღვეული ფსიქიკით, შვილისაგან მამის მკვლელობაზე მინიშნებით და ა.შ. და ა.შ. ეს სამყარო უნდა დაინგრეს — სხვა გზა დამღუპველია. არსებობს კი გადარჩენის გზა მწერლისათვის?

შეუძლებელია ეს გზა არ არსებობდეს. რომანში მინიშნებით რამდენიმე ეპიზოდშია ხაზგასმული, რომ „ვერც „მრგვალები“ და ვერც

„გრძელები“, ვერც „მწვანეები“ და ვერც „ცისფრები“ ვერაფერს გახდებიან, უფრო სწორად, ისინიც თანდათანობით კომკავშირის მაგვარ ორგანიზაციებად გარდაიქმნებიან, თუკი რაჟდენ კაშელის სახსენებელი ერთხელ და სამუდამოდ არ აღიგვება პირისაგან მიწისა“.... სხვაგან ვკითხულობთ: „რაჟდენ კაშელი პიროვნება კი არა, სისტემაა, გნებავთ, ზღაპრული დევის თავი – რამდენჯერაც არ უნდა მოკვეთო, მაინც ამოვა, ზუსტად ისეთივე და თანაც ახალი“. „ფოთოლში თუ ზაფხული მთავრდება, რაჟდენ კაშელში კაშელობა უნდა დამთავრდეს, საუკუნოვანი გზა უნდა დამთავრდეს გოდრიდან გამოჩეკილი მატლისა და ეს ცხოვრებისეული, გნებავთ, ისტორიული კანონზომიერებაა“. ოთარ ჭილაძე ამ დახასიათებით არ კმაყოფილდება და კვლავ ცდილობს უფრო ხელშესახებად გაგვაცნოს ის უბედურება, რომლის წინააღმდეგაც უნდა აღდგეს დიდი და პატარა: „კაშელი გვარი კი არა, სენია, და ანტონზე უკეთესად არავინ იცის, რა თვისებები გააჩნია ამ სენს თავის დასაცავი, გარემოსთან შესახამებელი, უფრო ზუსტად კი, ნებისმიერი გარემოს, კლიმატის, ამინდის, ფერის, ზნის, გარეგნობის, სულის, გონების, ენის, რჯულის, მიზნის გარდამქმნელი ყველასათვის, ვისაც შეეყრება“. რა შეიძლება დაუპირისპირდეს ამგვარ სენს? მწერალს პასუხი მზადა აქვს: „აუცილებელია, ყველამ, სრულიად საქართველომ, სასწრაფოდ მოიშალოს მუცელი, უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, გაიკეთოს აბორტი – დაუნანებლად, დაუნდობლად, როგორც არ უნდა დაირღვას ჩვენი გენეტიკური ფონდი, გამოიფხიკოს თავისი წიაღიდან, ანუ, გონებიდან, სულიდან – საიდანაც გნებავთ – კაშელის თესლი, ერთხელ და სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე, თუკი მართლა აპირებს გადარჩენას“.

გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად მწერალს განათლებული ქვეყანაცა და მცოდნე ადამიანებიც მიუჩნევია: „ერთიანად ვუშველოთ სამშობლოს!.. ფული შევაგროვოთ და პატარ-პატარა წიგნაკებად გამოვცეთ ჩვენი ანდაზები, წინაპართა სიბრძნე, თავგადასავალი. ჯიბითა და უბით ვატაროთ თან. ლოცვანივით ვიკითხოთ ყოველ დღე, დღეში რამდენჯერმე“.

რომანის კრედო მაინც ესაა: ბოლშევიზმის საფუძვლები უნდა მოისპოს, კომუნისტური სისტემა უნდა საბოლოოდ ამოიძირკვოს, სამშობლოს წამბილწავი ბოგანოს ნათესლარი არ უნდა გამრავლდეს, ფესვიანად უნდა ამოიჩეხოს ადამიანების ცნობიერებიდანაც კი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობას მნიშვნელობა ეკარგება, ყველაფერი ამაო და უაზრო ხდება.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ასე თვალნათლივ, ასე აშკარად, მხატვრული ოსტატობის განუსაზღვრელი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხერხების ფლობა-გამოყენებით ჯერ არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებში არ ყოფილა გადმოცემული ის საგანგაშო მდგომარეობა, როგორც ოთარ ჭილაძის „გოდორში“. ჩვენის აზრით, მწერლის მსოფლმხედველობა ამ რომანში, მთლიანად ემთხვევა კონცეფციას, სოკრატედან რომ მოდის: „[illegible]“ რაციონალური მარცვალი [illegible] ლაც „გოდორისა“ სწორედ ესაა: ბოლოსა და ბოლოს შევიმეცნოთ ვინა ვართ და რა უნდა ვაკეთოთ, რომ საბოლოოდ არ გადავგვარდეთ. არადა ქვეყანას ქაოსი, უზნეობა, ამორალობა, უსაქმურობა, უვიცობა ემუქრება, რაც პირდაპირპროპორციულია მისი დაღუპვისა და ბოლოს საერთო განადგურებისაც კი. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ტრადიციებზე, ზნეობრივ ღირებულებებზე ორიენტირებული მწერალი ოთარ ჭილაძე, რაც ქვეყანაში გამეფებულა და ვინაც ხელი შეუწყო, ან ვერ მოახერხა შეეჩერებინა ეს ქაოსი და განეპირობებინა ქვეყნის დაავადებული სხეულის გამოჯანმრთელება, ყველას და ყველაფერს ეწინააღმდეგება, როგორც ახლა ამბობენ – ოპოზიციაში უდგება.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის, ტრადიციების, ღირებულებების აღორძინების სურვილზეა დამყარებული ოთარ ჭილაძის მრავალმხრივ საინტერესო, ჩვენ ვიტყოდით, პოლისემიური, მწერლის რეფლექსიათა მთელი სისტემით გაჯერებული საუკუნის რომანი, რომანი-გაფრთხილება, რომელიც გვაუწყებს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

წინამდებარე წერილს პრეტენზია არ გააჩნია განიხილოს რომანის მხატვრული მხარე. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია, ვინაიდან „გოდორშიც“ არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აქტიურად გრძელდება „ქრონონავტების მარადიული სვლა“ (ნ. მიქელთაძე). აქ უნივერსალობამდეა აყვანილი განცდათა მთელი სისტემა, ეგზისტენციალური მოტივები პათოლოგიური ვნებების არსის შეცნობის სურვილს ეწინააღმდეგება. მიმზიდველს ხდის რომანს უამრავი სიზმარ-ცხადი, ზმანებები, ჩვენებები, სიმბოლოები: -სისხლი, ჭუჭყიანი საპირფარეშო, ფსიქიატრიული საავადმყოფო, ჭკუასუსტი მწყემსი, ეკლიანი ვარდი, მიგდებული იები, „რაზ, დვა, ტრი...“ და ა.შ. არაჩვეულებრივად დიდი ტაქტით არის შეპირისპირებული ერთმანეთთან: „აწ“ და „მერე“, „აწ“ და „აქ“, „ჩვენ“ და „ისინი“, „მერე“ და „იქ“ — კოსმოლოგიური მოდელი. რომანის დასაწყისსა და ბოლო ნაწილში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეტატექსტი, შინაგანი მონოლოგი, ცნობიერების ნაკადი, ავტორისეული დისკურსი, მამაშვილობისა და მონობის პრობლემები. შემძვრელ, ერთგვარ ძრწოლის ასოციაციებს იწვევს ომის სიზმრისეული ეპიზოდებისას ერთი და იგივე ბგერათკომპლექსის სისტემატური გამეორება: დრნგ... დრნგ... ან: შსშსშ და სშსშს. „გოდორში“ გაიელვებენ მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და ექვთიმე თაყაიშვილის წმინდა აჩრდილები, ემიგრაციაც - „თავისებური ანევრიზმა ხალხის სულისა“, სოდომები და გომორები - „ცხინვალის ღვედფი და ლადარი, სოხუმში რომ ღვივის“, „ბაგრატიონები და ჩვენი

ბატონიშვილები უცხოელ აკადემიკოსებად რომ დაიღუპნენ“ და ა.შ. და ა. შ.

ელიზბარი რომანში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი პერსონაჟია. იგი ძალზე პრობლემატური სახეა რომანში როგორც სულიერ-გონითი, აგრეთვე შემეცნებითი თვალსაზრისით, რომელიც აგრეთვე სპეციალურ კვლევას საჭიროებს (ახალი სისტემა და მწერალი). ელიზბარი ლიზიკოს მამაა, მწერალია, მაგრამ მხოლოდ დამკვირვებელია და არაფრის შემოქმედი, სისაძაგლეს არ სჩადის, თუმცა არც სიკეთის ქმნისთვისაა მონოდებული. ისიც უბედურია და განწირული სხვებივით. „ზიზღნარევ სიბრალულს იმსახურებს მხოლოდ“, ვინაიდან „წესიერებაა მისი ნაკლი და პატიოსნების გამო ისჯება“ — ჯადოსნურ წრეშია მოქცეული.

„გოდორში“ არ გვხვდება ცნობილი და პოპულარული ზოომორფები: ლომი, ყურშა, ვერძი, თხა, ხტონური დრაკონი და ა.შ., მაგრამ საინტერესო ფუნქცია დააკისრა ოთარ ჭილაძემ სხვა ახალ ზოომორფებს, ისეთებს, როგორიცაა: მატლი, პეპელა, ჭუპრი, ობობა და კაჭკაჭი, რომლის ხმა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რომანსაც ასე ამთავრებს მწერალი: „ამ დროს, ნაბლის ხეზე ისევ დაიჩხავლა კაჭკაჭმა და ლიზიკომ თვალი გაახილა“.

რომანის ბოლო წერტილამდე, ოთარ ჭილაძეს მოსძალებია სურვილი სწორედ თეთრი ლექსით შეხმიანებოდა მკითხველს. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სრულიად გააზრებულად. ფაქტიურად ამ ლექსად გამოთქმულ ნააზრევში არის კონდენსირებული მწერლის ტენდენცია, მიზანიცა და კრედოც. და წარმოიდგინეთ, მაინცა და მაინც არაკონვერსიულ კლასიკურ ლექსში. ესეც ის განსაკუთრებული სტილია, რომელიც ოთარ ჭილაძემ ასე დელიკატურად შემოგვთავაზა მთელ რომანში.

და კიდევ ერთი რამ... „გოდორი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ და, გავიმეორებთ, საუკუნის რომანია. ჟურნალ „მნათობში“ თხზულების გამოქვეყნებიდან სამ-ოთხ თვეში ისეთი მრავალპრობლემიანი რომანის სრულყოფილი ანალიზი, რომელშიც „ჰერმენევტიკური სასიცოცხლო სივრცე“ (ვ. შმიდი) საოცრად მრავალფეროვანია, შეუძლებელი აღმოჩნდა, რისთვისაც მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდით. წერტილის დასმის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ტექსტში ღრმად წვდომა მომავალში კიდევ უამრავ პრობლემას წამოსწევს წინ. „გოდორში“ ყველაფერი მთავარია, მაგრამ ამ პრობლემათა კონცეპტუალურად და ერთიანად დაძლევა, ვფიქრობთ, ერთი კერძო პიროვნების ძალებს აღემატება. იმის გამო, რომ „გოდორი,“ მართლაც „თავისთავად დაიბადა, როგორც ყველაფერი გენიალური“, იგი ქართული ლიტერატურის, ხელოვნების ნიმუშია, კულტურის გამარჯვებაა XXI საუკუნის დამდეგს. ამავე დროს, ცხადია, რომ ეს რომანი მწერლის აღსარებაა, რომელსაც გასაწირავად როდი ჰმეტება თავისი ქვეყანა და მისი სიცოცხლის გადასარჩენად გზები უძებნია – ზმანება ცხადისაგან ჩამოუცილებია, ხილვები რეალობისაგან, ზღაპრები სინამდვილიდან და ღაღადჰყოფს მოძმეს, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია. მწერლის აღსარება კი ღმერთთან ზიარების თანასწორია და უუფლებონი ვართ არ ვერწმუნოთ იმას, ვინც ჩვენი უსწორ-მასწორო ცხოვრება თვალწინ გადაგვიშალა, „ავს ავი უწოდა“ და „კარგი“ ხომ ვერ იხილა, რამეთუ გამქრალა ცხოვრებიდან, სინამდვილიდან, მისი თვალსაწიერიდანაც და ეს აფიქრებს და აკვნესებს... ამის გამოცაა „გოდორი“ სრულიად გამორჩეული რომანი.

ყოველგვარი შედარება სარისკო და პირობითია ლიტერატურაში, მეცნიერებაში მიღებული ტიპოლოგიური კვლევა-ძიებაც კი, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ეს რომანი პირდაპირ ეხმიანება დიდი ილიას „კაცია-ადამიანს?!“ XIX საუკუნეში, მისსავე „ყველა ყრუისა“ და „ყველა ცრუის“ ფილოსოფიას, XX საუკუნეში კი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ ძირითად საზრისს.

დამღუპველად მიიჩნია ილიამ „თათქარიძეობა“ და XIX საუკუნემ ეს დაადასტურა. საშიშ მოვლენად იქცა ჩვენში „ჯაყოობა“ და „ყვარყვარეობა“,-ამაშიც არ შემცდარან მათი ავტორები. ვფიქრობთ, და ასე ფიქრობს ოთარ ჭილაძეც, რომ ამ ეტაპზე „კაშელობას“ მართლაც უნდა დაედოს სამანი, თორემ გადაგვარება კარს მოგვდგომია. XX საუკუნის უბედურების სამი ჰიპოსტასი უკვე სახეზეა: „ჯაყოობა“, „ყვარყვარეობა“, „კაშელობა“.

ილიასა და მიხეილ ჯავახიშვილის ბედი ყველა ქართველისათვის ცნობილია, არც პოლიკარპე კაკაბაძეს ჰქონდა გზა ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ ახლა, ალბათ, მაინც სხვა დროა იმ მხრივ, რომ ჩვენში დემოკრატობანას აწყობენ, სიტყვის თავისუფლობანას ამკვიდრებენ, ანუ ყველაფერი ვითომ კარგადაა, თურმე დამარცხება გამარჯვებას ნიშნავს – ომშიც კი და ამიტომ მიგვაჩნია, რომ იოვანე საბანისძის შეგონებისა არ იყოს, მწერალს საშიშროება აღარ უნდა ელოდებოდეს.

ამ იმედითა და ქვეყნის სასიკეთოდ „მივაპყროთ საჩინონი ესე სასმენელნი ჩუენნი და უფროჲს-ღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა ჩუენისანი განჰვმარტოდ სმენად და მასპინძელ ვექმნეთ სიტყუათა ამათ“ („წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი“), რის გამოც გვაფრთხილებს ოთარ ჭილაძე: „ხსნა ნამდვილად არსებობს, სადღაც აქვე, ახლო-მახლო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2001 წლის ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ

2001 წლის სალიტერატურო პერიოდი საკმაოდ უხვი აღმოჩნდა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემებთან დაკავშირებით – თეორიული ნაშრომებით, კრიტიკული წერილებით, წერილები ცალკეულ პერსონალიებზე, დისკურსები, ინტერვიუები, რეცენზიები... განსაკუთრებით მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ასახვა, შეფასება, ერთგვარი შეჯამება და, გარკვეულწილად, მომავლის პროგნოზიც.

ინტერვიუ გურამ ბენაშვილთან („მნათობი", №7-8, 2001წ.) პასუხს იძლევა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებზე, უპირველეს ყოვლისა, იმაზე, თუ როგორ აცნობიერებს დღევანდელი ქართული მწერლობა ჩვენს არსებულ ყოფას და მიმდინარეობს თუ არა ამგვარი მხატვრული რეფლექსიის პროცესი ქართულ ლიტერატურაში. ვფიქრობთ, გაზვიადებული არ არის ჩვენი თანამედროვე ყოფის პარალელი „დაცემის ეპოქასთან", თავისი არსით სიმართლის დოზა ამაში საკმაოზე მეტია უთუოდ, მძიმე განწყობით იწყება განსჯა. ვიდრე ამასთან დაკავშირებულ არცთუ სასიამოვნო დასკვნებს დავიმოწმებთ ამ ინტერვიუდან, ერთ ფრაგმენტს შევახსენებთ ასევე გურამ ბენაშვილის „არაბესკებიდან" („ლიტერატურული ძიებანი", 2001 წ. XXII), „ლიტერატურის მიმართ ოდენ თანაგრძნობისა და კეთილგანწყობის" დასტურად: „ირგვლივ ჩამომდგარი სრული გულგრილობის მომწამლავი ბურუსი, შესაძლოა იმ სიცილ-ხარხარით დამახინჯებულ სახეებს ფარავს, რომელნიც მთელის არსებით დასცინიან და აბუჩად იგდებენ, კვლავ და კვლავ საკუთარი ღირსებით მოამაყე ლიტერატორთა უმძიმეს, უფრო კი, აუტანელ ყოფა-ცხოვრებას...

რამდენადაა ნორმალური ჩვენი ქვეყანა, ანდა საერთოდ, არის თუ არა იგი ქვეყანა და სახელმწიფო... ეს კითხვა გრომებზე მეტად, გაცილებით მეტად აწუხებთ გალატაკებულ, თუმცა მაინც საკუთარ უილბლო სამშობლოს ბედზე ნიადაგ დაფიქრებულ ქართველ ლიტერატორებს"... ასეთია ფონი იმ ლიტერატურული პროცესების აშკარა თუ ფარული დინამიკისა, რაზედაც საუბრობენ კორესპონდენტი და ინტერვიუერი. სულიერ ღირებულებათა სრულ კაკაფონიად არის შეფასებული არსებული მხატვრული რეფლექსიის პროცესი, რაც არ იძლევა დღევანდელი მწერლობის მხატვრული აზროვნების დისკურსის აღმოჩენის საშუალებას. შეფასება მკაცრია, მაგრამ, ალბათ, დროული, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი კრიტიკის სიმწარეს თუ, საერთოდ, მის არარსებობას.

ვინ არიან და ვინ არსებობენ კონკრეტულად სალიტერატურო ასპარეზზე საბედისწერო უნივერსალური მუტაციის პროცესით შეპყრობილ საქართველოში? – წლოვანთა და გამოცდილთა ინერციის ფეთქვა, რამდენიმე შედარებით ექსტრავაგანტური, ულტრათანამედროვე ენობრივი ქსოვილით გადახალისებული, რაღაცით ძალზე საინტერესო და უფრო პერსპექტივაზე გათვლილი ქმნილებები!" წამოჭრილი პრობლემა ამგვარად და ა. შ. კრიტიკულად არის განსჯილი, რამეთუ განსაკუთრებული ლიტერატურაში დღეს არაფერი ჩანს, კრიტიკოსის აზრით. თუმცა, რწმენა იმისა, რომ მხატვრული ცნობიერების კრიზისი ხანგრძლივი არ იქნება, დაკარგული არ არის.

დროულია კრიტიკა დღევანდელი კრიტიკისა, რომელიც თავისთავად აღიარებულია „კულტუროლოგიური ცნობიერების ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებად". ბევრი რამ არის საგულისხმო „ეროვნულ ღირებულებათა წინააღმდეგ ცხივრაბზუებულ კულტურის „რეფორმატორებზე" გამოთქმულ მოსაზრებაში, ღირებულებათა გადაფასების შესახებ. ასევე, გამჭვირვალეა დღეისათვის „ყოვლისწამლეკავი პოსტმოდერნისტული ლიტერატურის შეფასებაც – რომ დაუჯერებელია პოსტმოდერნის ესთეტიკურ კონცეფციათა არსი თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში იყოს ღრმად ფესვგადგმული, რომ: „ფიქტიურად პოსტმოდერნი არის სიტყვათა მნიშვნელობის თამაში, რაღაც გონებაჭვრეტითი ლაზღანდარობის, მკითხველის პროვოცირებისა და მსუბუქი ინტელექტუალური ფლირტების ესთეტიკა", რომელიც საბოლოოდ წყვეტს ყოველგვარ კავშირს „ტრადიციულ ლიტერატურასთან".

საუბრები „ქომაგში" (№5, 2001წ.) თანამედროვე ქართული ლიტერატურის რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე იძლევა პასუხს და, მათ შორის, ტრადიციისადმი დამოკიდებულებაზე. ყველა თაობის პასუხი თითქმის ერთმნიშვნელოვანია – ტრადიციული ეროვნული ღირებულებანი ყველაფერში და, განსაკუთრებით, ლიტერატურაში „შემოქმედებითი გამარჯვების" საფუძვლად მოიაზრება და ეს „დამოკიდებულება არამც და არამც შემოქმედებითი ძიებისა და ნოვაციების წინააღმდეგ არ არის მიმართული" (ტარიელ ჭანტურია).

რევაზ თვარაძის პასუხი კითხვაზე – როგორ გვესმის „ტრადიცია", – მწვავეა და კრიტიკული, მაგრამ სამართლიანი. უკვე გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის ლიტერატურულ სფეროში დამკვიდრებული თუ გაბატონებული ასეთი დამოკიდებულება ტრადიციისადმი უთუოდ გამაღიზიანებლად თვალში საცემია. ამ თაობის ყურადსაღებად არის ნათქვამი, რომ „ოთხმოცდაათიანი წლების შემდგომ ასპარეზზე მოვლენილი ახალგაზრდობა ზოგჯერ წარმოუდგენელ რასმე იქმს: არამცთუ უგულებელყოფს და უარყოფს ტრადიციებს, იმისთვისაც მზად არის, აგრესიულად შემტევი პოზიცია დაიკავოს და შეაჩვენოს კიდეც ტრადიციები". არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, უკეთ, – ჩვენი გულისთქმაც არ შევუერთოთ იმ დასკვნებს, რომ „სწორედ ლიტერატურაა ის დარგი, სადაც ერთი თავმოსაწონები მემკვიდრეობა დაგვრჩა ქართველებს"... რაც შეეხება იმას, რომ „ამ სიმდიდრის ზიზღით უკუგდება ერთგვარ სავალდებულო პოზად იქცა", არცთუ უსამართლოდ არის შეფასებული „გულდასმით შენიღბულ შინაგან პროვინციალიზმად, რომელიც შედეგია სულიერებისაგან განძარცვული პოსტმოდერნიზმისა". რა თქმა უნდა, ამით ბატონი რევაზ თვარაძე საკითხზე მსჯელობას არ მიიჩნევს ამოწურულად, რამეთუ ეს ფართოდ განსასჯელი პრობლემაა, მაგრამ უკვე ნათქვამში ძირითადი კონცეფცია გამოკვეთილია.

ტრადიციის უგულებელყოფა ასევე არასწორად მიაჩნია მწერალ გიგი სულაკაურს, რომლისთვისაც ტრადიციული ეროვნულ ფესვებად მოიაზრება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ნიჭიერი შემოქმედი, რადგან თანამედროვეც იმავე ტრადიციებიდან მოედინება.

რამდენადმე განსხვავებულია ამ მხრივ დათო ტურაშვილის და ლაშა თაბუკაშვილის პოზიციები, მაგრამ, პრინციპულად არც ისე დაშორებულია.

ბოლო წლების ლიტერატურულ პროცესებს ეხება მანანა კვაჭანტირაძის წიგნში კრიტიკული წერილი „რისგან უნდა გათავისუფლდეს ლიტერატურა?" („წერილები ლიტერატურაზე", თბილისი, 2001წ.) ჩვენი მწერლობის ისტორიაში მოკლე ექსკურსის შემდეგ მსჯელობა ეხება უახლოეს პერიოდს, დღევანდელს, ახალი თაობის აგრესიულ კრიტიციზმს ფასეულობათა მიმართ, ცენტრისა და პერიფერიების დაპირისპირებას. ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებას კრიტიკის როლთან, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით თანამედროვე ქართული ლიტერატურის რეალობიდან გამომდინარე. მინიშნებულია ლიტერატურული მოვლენების სამი არსებითი ტენდენცია: 1. ლიტერატურული პრინციპების მთლიანობის რღვევა, მისი დიფერენციაცია. 2. ჟანრების მიმართულების მრავალფეროვნება; 3. დაპირისპირების გამწვავება. ცენტრიზმში გულისხმობს ცნობიერების ისეთ განწყობას, მიმართებს ისტორიასთან, იდეათა, ღირებულებათა სისტემასთან, კულტურის არსთან და ფორმებთან, როცა იგი (ცნობიერება) განსაზღვრულია ამ ტრადიციული მიმართულებით და ათვლის წერტილად მათ აღიარებს. ამის საპირისპიროდ, დეცენტრაციის იდეა ცნობიერების განმსაზღვრელი, ტრადიციულ იდეათაგან განთავისუფლებას, მის პერიფერიაში გადანაცვლებას გულისხმობს.

ახალი თაობის მწერალთა აგრესიული კრიტიციზმი ფასეულობების მიმართ, მათი გატაცება პოსტმოდერნიზმით და დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, როგორც ერთი და იგივე ისტორიული ეპოქის სხვადასხვა მოდუსები, კრიტიკისაგან სერიოზულ შეფასებას მოითხოვს... ასეთია წერილის ძირითადი პათოსი.

კრიტიკის ილუზიური პრესტიჟულობის დევალვაციამ კრიტიკის დღევანდელი მდგომარეობა შექმნა, როცა „მწერლობა პატივს არა სცემს კრიტიკას". კრიტიკის გამოსავალს მანანა კვაჭანტირაძე ხედავს იმაში, რომ კრიტიკა უნდა გათავისუფლდეს ნაწარმოების ძირითადი აზრის ძიებისაგან და ნიშანთა ბადე-ტექსტი ახსნას. ეს კი მას მიანიჭებს პრესტიჟულობას, როგორც ხდება დასავლეთში. კრიტიკოსი, როგორც კულტურის ტრადიციისა და ღირებულების მატარებელი, მ. კვაჭანტირაძეს არა იმდენად მწერლის წინაშე მიაჩნია პასუხისმგებლად, რამდენადაც იმ ენის წინაშე, რომელიც ტექსტს ქმნის (ენა აქ მიჩნეულია ისტორიული და კულტურული ერთიანობის, სულიერი მისწრაფების, იდეების, გრძნობებისა და ა. შ. გამოხატულებად).

„პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში" ლევან ბრეგაძის 2000 წელს გამოქვეყნებული წერილის გაგრძელებაა („სჯანი", №2, 2001). კრიტიკოსის აზრით, იგი წარმოგვიდგენს ტიპურ პოსტმოდერნისტულ ოპუსებს. პირველი – რევაზ ინანიშვილის ტექსტზე („ჯარგვალე"), სადაც გამოყენებულია პოსტმოდერნისტთა საყვარელი ლიტერატურული ხერხი, უკვე არსებულ ტექსტთა „მოხმარება" საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის, რაც შესაშური ოსტატობით განუხორციელებია მწერალს და ასევე – ტიპიური პოსტმოდერნისტული ფინალით... მართლაც, საოცრად შთამბეჭდავია წერილში მოხმობილი ტექსტი და ტექსტის ფინალი მთლიანობაში. ჭეშმარიტად ობიექტურია ლევან ბრეგაძე, როცა ასკვნის: „ამ უცნაურად ჭკვიანური და ოდნავ ნაღვლიანი ირონიით შეფერილი დამაგვირგვინებელი ფრაზის წყალობით, ეს უჩვეულო ტექსტები ერთბაშად იქცა ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებად".

ასეთივე თვალსაზრისითაა განსჯილი ჯემალ ქარჩხაძის ნოველა „ფანტასტიკური ღიმილი" – ბიბლიური ეპიზოდის პერიფრაზა. შედეგი აქაც შთამბეჭდავი ჩანს. ზაალ სამადაშვილის მცირე ზომის პოსტმოდერნისტული ოპუსი „პიკეტი" – გადმოწერილი სალვადორ დალის მემუარების ერთი ეპიზოდიდან, ასევე ამართლებს ავტორის ცდას, რომ შეძლოს დროსა და სივრცეში დაშორებულ მოვლენებს შორის იდუმალი, პოსტმოდერნისტული მგრძნობელობით აღბეჭდილი კავშირის გაბმა.

ლ. ბრეგაძის სტატიის გაცნობის შემდეგ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ველში პოსტმოდერნიზმის შესახებ: „საეჭოა, სიტყვა „პოსტმოდერნის" წარმოთქმისას ვინმეს წარმოდგენილი „ჰქონდეს, არსობლივად, რაზეა საუბარი. ეს ტერმინი... უკიდურესად არაერთმნიშვნელოვანი და საკამათოა".

ლ. ბრეგაძემ სამივე მწერლის მაგალითზე ტექსტის ისეთი ინტერპრეტაცია გვიჩვენა (განსაკუთრებით მაინც რ. ინანიშვილი), შეიძლება ვიფიქროთ კიდეც – რას ვერჩით პოსტმოდერნიზმს?.. ერთი რამის დამატებით – მხოლოდ ნიჭი, ტალანტი „უხერხებს" ყველაფერს სათავისოდ მოქცევას.

კანონზომიერია კრიტიკის განსაკუთრებული ინტერესი ბოლო ათწლეულის ლიტერატურული პროცესებისადმი, მაგრამ აქვე შევნიშნავთ: წერილების მეტი წილი მაინც ზოგადია, კონკრეტული სახელები კი ნაკლებად ჩანს, არადა, სალიტერატურო ასპარეზზე ჩანან კონკრეტული პერსონალიები, ახალგაზრდები, რომლებიც მოელიან კრიტიკისაგან, ავად თუ კარგად, გამოხმაურებას.

ლალი ავალიანის 2001 წლის სტატიებიდან რამდენიმე ბოლო ათწლეულის ლიტერატურას ეხება: 1. „გამოთხოვება ძველ თბილისთან, ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე" („ლიტერატურული ძიებანი", XXII, 2001), აკა მორჩილაძის რომანზე „გადაფრენა მადათოვზე და უკან", 2. „მოხეტიალე პერსონაჟები" – ზაზა თვარაძის მოთხრობების სამყაროში", („ლიტერატურული საქართველო", 2-8, XI, 2001წ.) 3. „შემოქმედება განმარტოებული ხელოვანის თავის შექცევა როდია" (კოტე ჯანდიერის მოთხრობების კრებულზე „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან", („ლიტერატურული საქართველო", 21-27 X, 2001).

ნოვაციისადმი სწრაფვა მწერლობისათვის და, ზოგადად, ლიტერატურისათვის რომ სასიკეთოა, ეს ყველა დასახელებულ წერილში იგრძნობა და განსაკუთრებით – პირველში (ა. მორჩილაძეზე), მაგრამ ამან, ავტორის აზრით, კარიკატურული სახე არ უნდა მიიღოს და არ დაემსგავსოს უაზრო თამაშს, რომ „ტოტალიტარული ცენზურისაგან ახლადთავდახსნილი დიდი მწერლობის ქვეყანაშ.." ძველისა და ახლის ჭიდილის საქმე იქამდე არ მივიდეს, მკითხველმა ზურგი აქციოს ჭეშმარიტ მწერლობას. დღევანდელ ქართულ მწერლობაში რომ ამის დიდი საშიშროებაა, ამაში დაუჯერებელი არაფერია. ჩვენის აზრით, ყოველივე ეს ნაკლებად ეხება აკა მორჩილაძის პროზას მთლიანობაში. როგორც ჩანს, ლალი ავალიანს თითქმის უკრიტიკოდ და აღტაცებით მიუღია მწერლის ორი წიგნი („მოგზაურობა ყარაბაღში", „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"). რაც შეეხება „მადათოვს", სკაბრეზულობის გამო საყვედურობენ, მითუმეტეს, როცა საყვედურის ადრესატი, ავტორი, კრიტიკოსის მიერ მოიაზრება ჭეშმარიტი მწერლობის ორბიტაში და არა „ისეთ პოსტავანგარდისტულ ფსევდონოვაციებში, ბიბლიისა და „შუშანიკის წამების" უხამს და ბილწ პაროდიას რომ შეიცავს". სკაბრეზულობის ძალუმ შემოჭრას ლ. ავალიანი ხედავს არა მარტო ახალგაზრდულ, არამედ საერთოდ ჩვენს ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, [illegible]ბრივი მკითხველისთვის (თუკი ჰყავს ასეთ ლიტერატურას და, საერთოდ, ლიტერატურას მკითხველი) არ არის შეუმჩნეველი. ეს ზღვარგადასული უხამსობა მწერლობის სახელით ცდილობს ადგილის დამკვიდრებას, უფრო მეტიც – სიტყვასთან, ცინიზმამდე მისული „მეტად თამამი" დამოკიდებულებით, ზემოდან დაჰყურებენ ყველა დანარჩენს. ამდენად, ლალი ავალიანის ეს მინიშნება საგულისხმოა ამ მიმართებითაც.

რაც შეეხება „მადათოვს", კრიტიკოსის სიტყვით, იგი უძლებს მის ვულგარულ მახვილგონივრულობას მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორის ანუ „უნესო" მთხრობელის წრეგადასული ნიჭიერების გამო.

„მოხეტიალე პერსონაჟები" (ზაზა თვარაძის მოთხრობების სამყაროში) საკმაოდ ვრცელი ნაშრომია, მრავალ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს მწერლის შემოქმედებაზე, განსაზღვრავს მას, როგორც ფილოსოფიურ, ინტელექტუალურ პროზას, თხრობის თავშეკავებული, მშრალი, მკაცრი სტილით, რთული ქვეტექსტებით და სიმბოლიკით, რომლის მეოხებითაც იგი ჩამოყალიბებულ, თვითმყოფ, დიდი პოტენციის შემოქმედად ჩანს, თუმცა მკითხველის მიერ აღიარების იმედი არ უნდა ჰქონდეს, სწორედ აღნიშნული „მიზეზით" წერილს არ აკლია კრიტიკული შენიშვნებიც, რომელიც არსებითად ენობრივ ქსოვილს ეხება.

კოტე ჯანდიერის პირველ კრებულზე „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან" ლალი ავალიანი ყურადღებას მიგვაქცევინებს ირონიული სახელწოდების ქვეტექსტზე. მწერალი იმ თაობას წარმოადგენს, ვინც უყვარს, ვისზეც გული სტკივა, – „უდროობის დროის", ყველაფრის მსხვრევისა და გაცრუებული ჟამის ნაყოფს. ლ. ავალიანი კ. ჯანდიერის პროზაში პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ ამბის ორმაგად შენიღბვის ოსტატურად შესრულებულ ცდას ხედავს და გვარწმუნებს იმაში, რომ უხამსი, მდაბიური ნატურალიზმისა და უფუნქციო სკაბრეზულობის გარეშეც ძალუძს მას „ხელშეუხებელი თემების წარმოჩენა".

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს ეხება ზაზა ბიბილაშვილის „სალიტერატურო ავანსცენის მტვერი" („ჩვენი მწერლობა", 31, 08, 2001 წ.) დასკვნები ასეთია: სალიტერატურო სცენა კვლავ არსებობს, მაგრამ „მთლად გუშინდელივით აღარაა საქმე". ავანსცენაზე გამოჩენილი ნოვატორების თამაში და მათი ნოვაციური ცდების არსებობა დადებით ფაქტად არის შეფასებული, მაგრამ არც თუ უსაფუძვლოდ არის დასმული უმთავრესი კითხვა – არის კი სიახლე ყოველივე ის, რაც ამ გრიფით „თამაშდება?" ჩვენი მხრიდან დავსძენთ: ამის პასუხს დრო სჭირდება, ალბათ, რაც არ უნდა ნათელმხილველის როლი დაიჩემოს კრიტიკამ.

გალაკტიონი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ყურადღების ცენტრშია ამჯერადაც. უფრო მეტიც! გაკეთდა ჩინებული საქმე. 2001 წელს შეიქმნა გალაკტიონის კვლევის ცენტრი და ჩატარდა გალაკტიონოლოგთა I სამეცნიერო სესია (ცენტრის ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ დოიაშვილი). ყოველწლიურად გამოიცემა კრებული „გალაკტიონოლოგია".

გალაკტიონის პოეტურ ტექსტებთან დაკავშირებით 2001 წელს დაიბეჭდა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აკაკი ხინთიბიძის „მშვიდობის წიგნის" ინტერპრეტაციისათვის. („ლიტერატურული ძიებანი", XXII-2001 წ.). გენიალური პოეტის ამოუწურავი შემოქმედებითი იდუმალებით მოცული სამყარო ასეთივე ამოუწურავ კითხვებს და ინტერესს ბადებს მის მკვლევართა შორის. წერილი უპასუხებს იმ განსხვავებულ, არაერთგვაროვან მოსაზრებებს, რაც ამ პოემის გამოცემას მოჰყოლია. ჭეშმარიტი ინტერპრეტაციისათვის „შეუფერებელი" დროების გამო, პოემის შექმნიდან თითქმის ნახევარი საუკუნის მერე ითქვა ის, რაც ნაშრომის ავტორისათვის იმთავითვე ცხადი ყოფილა, რომ „მშვიდობის წიგნი" არის სიმართლის წიგნი, რომელშიც დიდმა პოეტმა დიქტატორული რეჟიმის დროს „მარჯვედ აიფარა ნიღაბი", ადრინდელი სიმბოლოებისა და მინიშნების ნაცვლად ყველაფერი გასაიდუმლოებული გახადა. სიტყვა „მშვიდობა", ბატონი აკაკის აზრით, სახარებისეული გაგებით ესმის პოეტს და ამავე შინაარსით გვხვდება იგი სხვა თხზულებებშიც.

გალაკტიონის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ პოემის მიმართ, ფორიაქი და ზრუნვა მის დროულ გამოცემაზე, სავსებით სწორად არის შეფასებული, როგორც არასამართლებრივ სახელმწიფოში სიმართლისათვის თავგამოდებული ბრძოლა.

საგანგებოდ არის აღნიშნული „მშვიდობის წიგნის" სალექსო ფორმის შესახებ, ხაზგასმულია მისი ერთადერთობა ქართულ და არა მარტო ქართულ ვერსიფიკაციაში. ნაშრომი მთლიანობაში გაჯერებულია განსჯის, ცოდნის სიღრმით და სიყვარულის იმ საოცარი გრძნობით, რაც საჩინოს ხდის ბატონი აკაკის ხანგრძლივი მეცნიერული შემოქმედების დამოკიდებულებას გალაკტიონის პოეტურ მემკვიდრეობასთან.

გალაკტიონოლოგიის ახალი შენაძენია თეიმურაზ დოიაშვილის „გზა არტისტული ყვავილებისაკენ" (ლირიკა, 1908-1914 წ.). ესაა, ერთის მხრივ, მთელი ისტორია იმ კრიტიკული რეზონანსისა, რაც მოჰყვა პოეტის პირველ წიგნს, მეორე და მთავარი – როგორ გამოიკვეთა გალაკტიონის უნივერსალიზმზე ორიენტირებული პოეზია, ყოველივე ის, რაც ეპოქის კონტექსტით იყო შეპირობებული, ამასთან, ის კეთილგანწყობა, რაც იმთავითვე შეიქმნა პოეტის გარშემო. რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპს, შეფასება მკვეთრად კრიტიკულია.

გალაკტიონის ადრეული ლირიკის კვლევის ამოსავალი, თ. დოიაშვილის აზრით, უნდა იყოს „ის ისტორიულ-კულტურული ატმოსფერო, რომელშიც ყალიბდება პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი და არა თანამედროვე გემოვნება და ესთეტიკური კრიტერიუმები".

ნაშრომი მოიცავს მრავალ კონკრეტულ დაკვირვებას, რომლითაც სახიერდება ის თემები, პოეტის ადრინდელ ლირიკაში რომანტიულ ტრადიციებს რომ უკავშირდებოდა: სიყვარული, ბუნება, განსაკუთრებით სიკვდილი, როგორც იდეალურ სამყაროში გადანაცვლება, როგორც არსებობა დუმილში, მაგრამ ამასთან – პოეტის ვერშერიგება „სხვა სამყაროში" უვნებო არსებობას, ტანჯვა, როგორც მშვენიერის და პოეზიის წყარო, სურვილი – „სიცოცხლე ტანჯვაში", აქედან გამომდინარე – ტანჯვით ტკბობის მოტივი, ამ თემის ვარიაციები და ასე მივდივართ ლექსის „განახლდა გული" ამგვარ კონტექსტში სრულიად ახლებურ წაკითხვამდე. საგულისხმოა მეტაფორა „წამების ცეცხლი", წამება-წყარო, რომელიც პოეტის „უცნაურ ძალას" დემიურგად აქცევს. სინამდვილესთან შერიგება, რადგან ტანჯვა გალაკტიონთან მოიაზრება პოეზიისკენ მიმავალ გზად.

განსაკუთრებით საინტერესოა სამშობლოსთან სამუდამო გამოთხოვების მოტივი ანუ „ბედს იქით" გასვლის რომანტიზებული განცდა. სამშობლოდან გაუცხოების მოტივს, თ. დოიაშვილის დასკვნით, ქართული პოეზია გალაკტიონამდე არ იცნობდა, მისთვის ჭეშმარიტი სამშობლო არის პოეზია, რომელიც ერთდროულად აბსოლუტთან ზიარების საშუალებაცაა და სინამდვილესთან „შერიგების" მიზეზიც.

ნაშრომში მრავალი საინტერესო პარალელია ბარათაშვილის პოეზიასთან, სამოციანელებთან, გამოკვეთილია მხოლოდ გალაკტიონისეული, თვისობრივად ახალი, განუმეორებელი.

წერილში „კონტექსტის პოეტიკა" („კრიტერიუმი", №3, 2001 წ.) თემურ დოიაშვილი მსჯელობს ესთეტიკურად ნეიტრალური სიტყვის განპოეტურობის უნივერსალური პრინციპის – კონტექსტის პოეტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ გალაკტიონ ტაბიძის მეორე პოეტური რეფორმისათვის, კონტექსტის მეშვეობით ყოფითი სიტყვის პოეტურ სიტყვად გარდასახვაზე, რაც მოცემულია პოეტის რამდენიმე ლირიკულ ტექსტზე დაკვირვებით.

გალაკტიონის პოეტურ სამყაროს მრავალმხრივ საინტერესო ხედვით აზიარებს მკითხველს ირაკლი კენჭოშვილის წერილები: „გალაკტიონის პალიმფსესტი" („სჯანი", III 2001,), „გალაკტიონის ლირიკის ბაროკოს ინტერტექსტი" („კრიტერიუმი", 2001, №2), „გალაკტიონი – Homo Ludens" („კრიტერიუმი", 2001 წ., №4).

„გალაკტიონის პალიმფსესტში" დაკვირვების ობიექტია არაერთ ლექსში სხვადასხვა იპოს-

ტასით წარმომდგარი პიროვნების სახე, რომელიც ყოველთვის უსახელოდ მოიხსენიება „ის", სხვადასხვა კულტურული სტატუსით წარმოდგენილი, ბოლომდე შეუცნობელი ჩვეულებრივი მკითხველისათვის, რომლის ირგვლივ იქმნება სხვადასხვა კულტურული შრეებიდან მოხმობილი ციტატების მთელი ბადე, ნიშანთა სისტემა, რომელიც მკითხველისაგან გარკვეულ კოდების ცოდნას მოითხოვს".

ნაშრომში სათანადო ციტატების ილუსტრირებით ხდება გალაკტიონის პოლისემანტიკური სახის მრავალპიროვნულობის გამჟღავნება. საინტერესოა პარალელი იმ განწყობათა შორის, რომელიც შეინიშნება რენესანსის შემდეგ ანუ ბაროკოს ხანაში და XIX საუკუნის შემდეგ, XX საუკუნის I მეოთხედში. ნაშრომის მთავარი თეზა – ბაროკოს მსგავსად, დუალიზმის – ზეციერისა და მიწიერის წარმოჩენა გალაკტიონის შემოქმედებაში, აზრობრივი სიღრმით და განცდით არის ჩამოყალიბებული და უთუოდ ბევრ სიახლეს აზიარებს მკითხველს.

წერილში „გალაკტიონის ლირიკის ბაროკოს ინტერექსტი" ირაკლი კენჭოშვილი ასევე ყურადღებას მიმართავს ქართული ბაროკოს პრობლემაზე, რომლის გააზრების გარეშე, სრულყოფილად არ ესახება წარმოდგენა ქართული კულტურის ზოგადევროპულ იერსახეზე.

„გალაკტიონი" – Homo Ludens პოეტს იმ დიდ ხელოვანთა შორის აყენებს, რომლებმაც XX საუკუნის სინამდვილეში ირონიზმებით გადაარჩინეს ხელოვნება. კომიზმი, ნაშრომის ავტორის აზრით, ახასიათებს გალაკტიონის არა მხოლოდ „დაბალი" ჟანრის ლექსებს, არამედ „მაღალსაც", რაც სათანადოდ დამოწმებულია. უმთავრესია დასკვნა, რომ ირონია, როგორც რომანტიკული ალსარების გათამაშება, გალაკტიონს აახლოებს ბაროკოს პოეზიასთან.

გალაკტიონის ლირიკის ინტერტექსტუალური ნაკითხვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რევაზ სირაძის „გალაკტიონის "ლურჯა ცხენები" და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი" (ჟ. „ლიტერატურა და სხვა", 2001, №1 (3)).

გალაკტიონს ლირიკის ერთ კონკრეტულ საკითხს ეხება ვენერა კავთიაშვილის „თიბათვის" ანუ „დიდი შუადღის" გაგებისათვის". ტექსტში ჩართულია დანტეს, ნიცშეს, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი შუადღის" სიმბოლოსთან შემოქმედებითი დამოკიდებულება, განსაკუთრებით არის განხილული გალაკტიონის განსხვავებული მიმართება „თიბათვის" სიმბოლიკასთან, რაც ძირითადად გამოიხატება იმ დასკვნის სახით, რომ: დანტე და ნიცშე მარადიულ წრებრუნვას დღე-ღამის ციკლური მოძრაობით უჩვენებენ, გალაკტიონი „თიბათვის" შემოტანით წლიურ ციკლზე ამახვილებს ყურადღებას და ამით „დიდი შუადღის" სიმბოლოს რეალურ დიდ შუადღესთან აკავშირებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია გასულ წელს გიორგი გაჩეჩილაძის წერილებში „საქართველო ესპანეთში და ესპანეთი საქართველოში" („ლიტერატურული საქართველო, №2, 2001) და „მტანჯველ მოგონებათა" ერთი გამოძახილის შესახებ და გამო" („კრიტერიუმი", 2001, №2). ავტორის კონკრეტულ ამოცანად, უპირველეს ყოვლისა, ისახება ქართულ-ესპანურ კულტურათა ტიპოლოგია, მეორე შემთხვევაში – ტანჯვის მაორგანიზებელი ფუნქცია კულტურის სისტემაში.

ანთოლოგიის წინასიტყვაობა მიზნად ისახავს ქართული პოეზიის ცოცხალი თანავარსკვლავედის წინაშე დარჩენილ მკითხველს (უცხოელს) გაუადვილოს მასალის არსსა და ხასიათში გარკვევა. ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ესპანურენოვან მკითხველს მნიშვნელოვან წარმოდგენას უქმნის თანამედროვე ქართული პოეზიის სისტემაზე. სისტემა კი გააზრებულია, როგორც ერის, ისე კულტურის და, მითუმეტეს, პოეზიის მთლიანობად. დაწყებული მითოლოგიიდან – აგიოგრაფია, რუსთაველი, მე-17-18 საუკუნეების ქართული კულტურა, გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, ბაროკოს ტიპის კულტურა, თუ თანამედროვე, ცოცხალი ლიტერატურული პროცესები, რთული და დიდი ინტერესით დამუხტული ქვეტექსტებით არის წარმოჩენილი და მრავალმხრივი დაფიქრების საფუძველს იძლევა.

„მტანჯველ მოგონებათა" შესახებ და გამო" გამოირჩევა ახალი ტერმინოლოგიების მხატვრული დეფინიციით. ესაა „დანაშაულის", „სირცხვილის", „ღირსების" კულტურათა შესახებ და განსხვავება მათ შორის – ადამიანის შეფასების კრიტერიუმები... ცალკეული შტრიხები: „ყივჩალის პაემანის" ახლებური ინტერპრეტაცია თუ მითო-პოეტური სურათების გახსენება გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგსა" და ოთარ ჩხეიძის „არტისტულ გადატრიალებაში". განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში ცნობილი, ფროიდისეული ფორმულა პირველსცენის შესახებ, თუ რა არის იგი... ლიტერატურა, როგორც პირველსცენის კატალოგიზაცია და ა. შ.

წერილში „მოდერნისტული სკოლები და ქართული მოთხრობა", ინგა მილორავა ეხება ქართულ პროზაში სიმბოლისტური მსოფლმხედველობის საფუძვლებს, ასხვავებს პროზაში სიმბოლიზმის ორ უკიდურესობას: რომანი და მინიატურა, ასევე XX საუკუნის მოთხრობის საფუძველში ორ უმთავრეს პრინციპს: 1. წინა ეპოქის ლიტერატურული ტრადიციის ბუნებრივი გაგრძელება; 2. ახალი სააზროვნო ტენდენციების ბუნებრივი შემოსვლა და დამკვიდრება. ქართული მოდერნისტული აზროვნების ნიმუშები განხილულია ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებიდან.

„ტექსტი, როგორც მხატვრული საიდუმლო" – ამ რუბრიკით რამდენიმე საინტერესო წერილს გვთავაზობს ჟურნალი „ლიტერატურა და

სხვა" (2001). ნუგზარ მუზაშვილის წერილი „საიდუმლოებით მოცული უილიამ შექსპირი და უშანგი შერაძე" ეხება მიხეილ ანთაძის ამ სახელწოდების მოთხრობას, გამოირჩევა კვლევის არატრადიციული სტილით, უპასუხო კითხვებით და მინიშნებებით.

ლადო მინაშვილის ვრცელი ნაშრომი ეკა ბაქრაძის პოეზიაზე პროფესიონალის გულისყურით და თვალთახედვით წარმოსახულ სამყაროს გადაუშლის თანამედროვე ქართული ლექსით დაინტერესებულ მკითხველს. ამავე ჟურნალში ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია ელენე კოშორიძის „და ავსებული ბარბაროსულად მიყვარდა სიტყვა მიმინოსებრი" – გიორგი ლეონიძის მხატვრული ენის შესახებ. წერილში ერთმანეთს ერწყმის მაღალი გემოვნების ლიტერატორისა და ჩინებული ენათმეცნიერის უტყუარი დამოკიდებულება პოეტის მდიდარი და გამორჩეული ლექსიკისადმი.

სრულიად ბუნებრივია ის არაერთგვაროვანი რეაქცია, რაც გამოიწვია დავით ანდრიაძის წერილმა „სოცრეალიზმი და ინფატელიზმი (გიორგი ლეონიძის ეპოპეის – „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა" – სოციოკულტურული კონტექსტი). (გაზ. „კალმასობა", №3, 2001). მძაფრია ავტორის კრიტიკული პათოსი, სიმართლე – პირდაპირი, მიშველი, შეულამაზებელი და, ამდენად, პირველი შთაბეჭდილებით – შემაცბუნებელი, ელდის დამცემი, მაგრამ... რაც არ უნდა პარადოქსული გვეჩვენოს, ორივე მხარეს უხვადა აქვს არგუმენტი, თავდაცვისათვის" – წერილის ავტორსაც და განბილებულ მკითხველსაც, ვისთვისაც ასე ადვილი გადასატანი არ გახლავთ ძვირფას სახელთა ხელყოფა.

ჩვენი აზრით, წერილში დარღვეული არ არის, სიმართლის „პრეზუმცია". პირველი შოკის შემდეგ არც იმის გარკვევა ჭირს, რომ გიორგი ლეონიძის პოეტურ ღირსებასაც არაფერს აკლებს ეს თავისთავად მართალი წერილი (რაც, უთუოდ, არც ყოფილა ავტორის მიზანი).

ტექსტი, როგორც მხატვრული საიდუმლო, მრავალმხრივი დაკვირვების და თეორიული დასკვნების სივრცეშია დახასიათებული მანანა კვაჭანტირაძის თეორიულ ნაშრომში „მნიშვნელობათა ჩამოყალიბების სპეციფიკა ოთარ ჭილაძის რომანებში".

ტექსტის მხატვრულ საიდუმლოს ნათელყოფს და ახალ ხიბლს ანიჭებს მაია ჯალიაშვილი ანა კალანდაძის ლექსს „ლოცულობს გველი" ლიტერატურულ წერილში „სიცოცხლის საიდუმლო" („ჩვენი მწერლობა", 2001, 13.IV).

მაკა ჯოხაძის ლიტერატურულ-ესეისტური წერილი „რევაზ ინანიშვილი" გულისტკივილია ჩინებული მწერლის ამქვეყნიდან ნაადრევი წასვლის გამო, ამასთან – მწერლისთვის ესოდენ ძვირფასი სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობის გამო, რომელიც წერილის ავტორის ნააზრევში „მეტად მწარედ" არის ერთმანეთთან გადაკვანძული („ჩვენი მწერლობა", 2001, 13.IV).

დავით ანდრიაძის „იგავი, როგორც კულტურის ტექსტი", („კრიტერიუმი", №2, 2001) განსაზღვრავს იგავის ტექსტს, როგორც მიმართულს მისდამი, ვისაც ესაჭიროება ცნობიერების გამოღვიძება. ნაშრომი იძლევა პასუხს კითხვაზე, როდისაა საჭირო იგავი და როდის – მითი. დამოწმებულია ცნობილი თეორეტიკოსები. იგავისადმი ავტორის გამახვილებული ინტერესი, ჩვენი აზრით, გაპირობებულია თანამედროვე სააზრო სიტუაციით, რასაც დ. ანდრიაძე მისი ისტორიული ფორმების ანალიზის და მათი თანამედროვე ინტერპრეტაციით იძლევა.

ტექსტის მხატვრული საიდუმლოს თავისებურება გამოარჩევს მაია ყანჩაშვილის ნაშრომს „ცოდოსა" და „განგების" ეთიკის კონცეფცია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში („ლიტერატურული ძიებანი", XXII-2001წ.), ქალბატონ დოდონა კიზირიას საინტერესო წერილს „ტ. ტაბიძის ერთი ლექსის ინტერტექსტუალური სამყარო" („კრიტერიუმი", №2, 2001).

2001 წელს მრავალი წერილია გამოქვეყნებული XX საუკუნის ქართული მწერლობის ცალკეულ პერსონალიებზე. ზოგიერთ მათგანს უკვე შევეხეთ.

ქართული ლიტერატურის კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა კვლავ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისადმი, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი პირელი თემა გახდა.

გრიგოლ რობაქიძეს, როგორც XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტ კლასიკოსს, თვითმყოფად მწერალსა და მოაზროვნეს, მშობლიური ენის „აბსოლუტიზაციის აპოლოგეტს" – წარმოგვიდგენს გურამ ბენაშვილის სამეცნიერო ნაშრომი „გრიგოლ რობაქიძე – ეროვნული ფესვების მაძიებელი ფაუსტი" („კრიტერიუმი", №2, 2001). გრიგოლ რობაქიძის მხატვრული ტექსტების განსაკუთრებული ლირიკული მთლიანობის საიდუმლოს მკვლევარი იმ მითოლოგიურ სახე-სიმბოლოებში ხედავს, რომელიც მწერლისთვის „უპირველეს ყოვლისა, სამყაროს ლირიკული ხედვაა, რომელშიც განუყოფლად შერწყმულია სამშობლოს უმთავრესი გრძნობა". გრიგოლ რობაქიძე ნაშრომში აღიარებულია ვაჟა-ფშაველას შემდეგ XX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთ მწერლად, „ვინც მთელი არსებით მიუბრუნდა და შეიცნო მითის პრობლემა". ამ მოსაზრების საფუძველთა მყარი ინტერპრეტაციით ნაშრომი კიდევ უფრო შეუვალს ხდის გრ. რობაქიძის სამკვიდროს ქართული მწერლობის ისტორიაში.

გრიგოლ რობაქიძის სიმბოლისტურ პერიოდს ეხება ბელა წიფურიას „სიტყვის სახელდებითი ფუნქცია სიმბოლიზმში და გრ. რობაქიძის „სიტყვის როია" („ლიტერატურული ძიებანი", XXII, 2001). მკვლევარი მხატვრული ტექსტის განხილვით ნათელს ხდის, რომ სიტყვა გრ. რობაქიძის მიერ არ განიხილება, როგორც ოდენ მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი, არამედ როგორც მეტაენა და სწორედ ამ მეტაე-

ნის კონტექსტში ენიჭება მნიშვნელობა სიტყვას. ნაშრომი მოიცავს მეტაენის მრავალ კონკრეტულ ნიმუშს. საგულისხმოა ისიც, რომ მკვლევარი არ იფარგლება მხოლოდ გრ. რობაქიძის პრობლემით, მასთან კავშირში წარმოსახავს ცისფერყანწელთა დამოკიდებულებას სახელთან და სიტყვასთან, სახელთა ასოციაციების მხატვრულ ფორმას.

ნონა კუპრეიშვილის „1920-იანი წლების კულტურული ამოცანა და ტფილისის არშემდგარი მისია" („კრიტერიუმი", №2, 2001) ასახავს იმ ახალ პარადიგმათა აღმოჩენას და მნიშვნელობას, რომელიც ახალი თაობის კულტურულ ამოცანად იქცა. ამ მიმართებაშია ნაჩვენები გრ. რობაქიძის როლი სულიერ საქართველოს შემეცნებაში.

გრიგოლ რობაქიძის 20-იანი წლების შემოქმედებით მონაკვეთს ეხება აგრეთვე ტატიანა ნიკოლსკაიას წერილი „გრიგოლ რობაქიძე და რუსი სიმბოლისტები" („ლიტერატურა და სხვა", 2001). ნაშრომი მრავალ საინტერესო ეპიზოდს მოიცავს ქართველი და რუსი სიმბოლისტების ურთიერთობიდან, გამოკვეთილია გრ. რობაქიძის როლი საქართველოში სიმბოლისტების პოპულარიზებაში. ამავე ჟურნალში ია მახარაძის „რობაქიძე და კაზანძაკისი" ამ ორი მწერლის პიროვნულ და მხატვრულ-შემოქმედებითი თვისებების საინტერესო პარალელებს გვთავაზობს, ეს ეხება როგორც ვიზუალურ მხარეს, ასევე მსოფლმხედველობრივ ანალოგებს.

სოსო სიგუას „კონფლიქტი მოდერნისტულ ბანაკში" (წიგნიდან „ქართული მოდერნიზმი", 2001 წ.) მნიშვნელოვან ფაქტებს მოიცავს 10-20-იანი წლების იმ ქართველ მწერლებზე, რომელთაც განსაზღვრავს XX საუკუნის I ნახევრის ქართული მწერლობის ისტორია. ამავე წიგნიდან სოსო სიგუას ნაშრომი „ქრისტიანული და წარმართული მოტივები" საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ განზოგადებულად ასახავს ქართველი მოდერნისტების დამოკიდებულებას ბიბლიასთან, როგორც ქრისტიანული კულტურის საყრდენთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მორწმუნენი არ ყოფილან.

მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული შემოქმედების პრობლემებს ეხება 2001 წლის რამდენიმე ნაშრომი. ცისანა გენძეხაძის „ტრაგიკული 30-იანი წლების ექო ქართულ კრიტიკაში" – ეს არის მწარე და სამართლიანი მხილება იმ ტრაგიკული და შემზარავი ვითარებისა, რაც სუფევდა 30-იანი წლების ქართულ კრიტიკაში და, საზოგადოდ, ქართულ სინამდვილეში, ქართულ კულტურაში, ქართულ მწერლობაში. არა ერთი ღირსეული ქართველი გაიწირა იმ ავბედით მონაკვეთში, ერთი მათ შორის – საუკუნის დიდი მწერალი და მოაზროვნე მიხეილ ჯავახიშვილი. სამწუხაროა და წარუხოცელი სირცხვილი იმის გამო, რასაც განიცდიდა მწერალი კრიტიკისაგან, რომელიც იდეოლოგიის მისიის შემსრულებლის საბედისწერო როლში აღმოჩნდა (რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება). ყოველივე ამას ც. გენძეხაძე ფაქტებით და განსჯით წარმოსახავს საკმაოდ ვრცელ ნაშრომში და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ტკივილი იმ წარსულის გამო.

30-იანი წლების ქართული კრიტიკის ისტორიის შესწავლა, მართლაც, მტკივნეული და უმძიმესი წლებისთვის ფარდის ახდის მცდელობაც კი დიდ ფსიქოლოგიურ, ზნეობრივ, მორალურ მზადყოფნას და სიმტკიცეს მოითხოვს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე უნდა ითქვას და სიმართლის თქმა არც ისე ადვილია, რადგანაც ისტორიისთვის ჯერ კიდევ არ გასულა ის დრო, რომელიც პირუთვნელობის და სითამამის სრულ უფლებას იძლევა. ც. გენძეხაძის ნაშრომი ამ მხრივ ერთ-ერთი პირველთაგანია უთუოდ, რაც აქამდე დაწერილა ამასთან დაკავშირებით. მხედველობაში გვაქვს პრობლემის სიმწვავე და სიმართლე, პირდაპირობა და ამასთან – ადამიანური გულისტკივილი, რაც იგრძნობა ნაშრომში.

გაზეთ „კალმასობაში" ც. გენძეხაძე გამოეხმაურა რუსუდან კუსრაშვილისა და რამაზ შინიაშვილის მიერ შედგენილ „პაერივით საჭირო წიგნს" (მიხეილ ჯავახიშვილის წერილები), როგორც ყველაზე სრულყოფილს, რაც აქამდე გამოცემულა. ც. გენძეხაძე წლების განმავლობაში თავად მუშაობდა ამ და მ. ჯავახიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე. ამდენად, მის მიერ გაკეთებული დასკვნა თუ შეფასება სარეცენზიო წიგნისა განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია.

ლელა წიქარიშვილის „დროთა კავშირის აღდგენისათვის" (ალმანახი „ეროვნული ღირსებისათვის", 2001 წ.) ასახავს დროთა კავშირის რღვევის პარალელებს ლეო ქიაჩელის მოთხრობა „წარსული აწმყოში" და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს" შორის, გამოკვეთილია მათი საპირისპირო ნიშნები, მიგნებულია ის მიზეზი, რასაც ორივე შემთხვევაში ერთ შედეგამდე მივყავართ: პიროვნული და ეროვნული ღირსების დაკნინება.

გურამ ბენაშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „ლიტერატურულ-მედიტაციურ სამყაროში" გამოქვეყნდა ლელა წიქარიშვილის „დესაკრალიზება, როგორც განსახოვნების ერთ-ერთი ასპექტი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების" მიხედვით", რომელშიც უმთავრესად მიმოხილულია ბოლშევიკური ღვთისმებრძოლობის ასახვა მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოთა დესაკრალიზებით. წერილი საგანგებო აღნიშვნის ღირსია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში გამოყენებულია დღემდე გამოუქვეყნებელი ჩანაწერები მწერლის არქივიდან.

მიხეილ ჯავახიშვილის ერთი მოთხრობის („ეკა") შესახებ ტექსტის საგულისხმო ანალიზია მოცემული ქეთევან ელაშვილის ნაშრომში „მიმქრალი სახეები ანუ უსახურობის ზღვარი". იგი გვაგრძნობინებს მწერლის ჰუმანურ დამოკიდებულებას, თანადგომას ადამიანური სატკივრისადმი, რომელიც ხშირად „ცხოვრებისეული დეკორითაა" მოპირკეთებული.

ირმა ჩხეიძის წერილი „და მაინც მეფე გიორგი" ახალი რედაქციით გამოქვეყნდა და მან

კიდევ ერთხელ ჩაგვახედა კ. გამსახურდიას დიდებული რომანის პერსონაჟთა ტრაგიკულ, მაგრამ ამაღლებულ სამყაროში (ჟურნალი „დროშა", №1, 2001).

ვახტანგ ინაურს 2001 წელს რამდენიმე წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომელთა შორის გამოირჩევა „60-იანი წლების ქართული პოეზია" და „ირაკლი აბაშიძის ნაწარმოები „პალესტინა, პალესტინა" (გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი"). ეს წერილები თავისი დონით აღემატება საგაზეთო სტატიებს და ავლენს ავტორის დამოკიდებულებას XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლირიკოსის შემოქმედებისადმი. ნაშრომში „წარმართული პანთეონი ვ. ბარნოვის „არმაზის მსხვრევაში" („ლიტერატურული ძიებანი", XXII, 2001 წ.) ვ. ინაური აგრძელებს მწერლის შემოქმედების შესწავლას და ახლებურ გააზრებას.

მანანა ჩუბინიძის „მინიატურების სამყაროში" („ლიტერატურული ძიებანი", XXII, 2001) აღსანიშნავია, პირველ ყოვლისა, იმ თვალსაზრისით, რომ კარგად ასახავს ქართული მწერლობის კავშირს ევროპულ გამოცდილებასთან, აგრეთვე იმდროინდელი კრიტიკის დამოკიდებულებას ახალი თაობის მწერალთა იდეალთან.

მამუკა შელეგიას „ნ. ლორთქიფანიძის ბიოგრაფიის უცნობი ფაქტები" („ლიტერატურული ძიებანი", XXII, 2001) რამდენიმე ახალ ფაქტს გვაცნობს მწერლის ცხოვრებიდან, რაც უთუოდ მნიშვნელოვანია ნ. ლორთქიფანიძის ბიოგრაფიული სამყაროს შესაცნობად.

ჟუჟუნა ქვლივიძე წერილში „მარადისობის კანონი" – ეკრანული სახე" იკვლევს ნ. დუმბაძის შემოქმედების, კერძოდ, „მარადისობის კანონის" ეკრანულ სახეცვლილებას, ნაწარმოების როლსა და მნიშვნელობას ხელოვნებაში და – პირიქით. ჟ. ქვლივიძე დამაჯერებლად ამტკიცებს იმ არსებით მიზეზებს, რამაც განაპირობა, მისი აზრით, ამ ნაწარმოების კინემატოგრაფიული წარუმატებლობა.

2001 წლის სალიტერატურო პრესაში მრავლად არის რეცენზიები, საუბრები, საარქივო მასალები XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან.

ნონა კუპრეიშვილის „ამბავი თავისუფლება წართმეული ლიტერატურისა" ეხება რუსუდან ნიშნიანიძის 2000 წელს გამოცემულ წიგნს „XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან". წიგნის მრავალ ღირსებასთან ერთად, ნ. კუპრეიშვილი აღნიშნავს იმის შესახებაც, რომ „ნაცნობ სახეთა მიღმა ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი სილუეტებიც იკვეთება" და ძალზე საინტერესოდ.

„წიგნი წამებულზე" – ნუნუ ასათიანის რეცენზია ბ. არველაძის წიგნზე „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა" ასახავს ამ გამოცემის უდავო ღირსებას, რასაც, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ავტორის მიერ სუკის არქივის მასალებზე დაყრდნობით თხრობა ჭეშმარიტ მამულიშვილზე და არა მარტო მასზე, საზოგადოდ, 30-იანი წლების უმძიმეს მოვლენებზე.

მაკა ჯოხაძის რეცენზია გურამ ოდიშარიას რომანზე „შავი ზღვის ოკეანე" წიგნის გარკვეულ ღირსებას მიანიშნებს, ფორმის, სტრუქტურის თვალსაზრისით, მ. ჯოხაძის აზრით, წიგნს ქართულ ლიტერატურაში ანალოგი არ მოეპოვება. შეიძლება ამ [illegible] პოსტ-მოდერნისტული უწოდოს, ზოგმა რეალობისა და წარმოსახვის ეკლექტიზმი დაინახოს მასში და ა. შ., მაგრამ მთავარი ისაა, რომ წიგნი მაქსიმალური გულწრფელობით, შინაგანი თავისუფლებით, ადამიანისა და სამყაროს სიყვარულითა და რწმენითაა გამთბარი.

ანდრო ბუაჩიძის რეცენზია დავით თევზაძის წიგნზე „ვასილ წერეთლის ლიტერატურული წერილები და მემუარები" მაღალ შეფასებას აძლევს სარეცენზიო წიგნს, აღნიშნავს იმ ღირსებებს, რამაც განაპირობა ეს წარმატება და მიაჩნია, რომ ამ წიგნით ბატონმა დ. თევზაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის მთლიანი პანორამის აღდგენაში („მნათობი", №3-4, 2001 წ.).

ანდრო ბუაჩიძის მეორე რეცენზია აკა მორჩილაძის რომანზე „გადაფრენა მადათოვზე და უკან" წარმოაჩენს ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებით წარმატებას, ამ რომანის ღირსებას და მიანიშნებს იმ არსებით ფაქტორზე, რამაც განაპირობა ყოველივე ეს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერილში „ლევან გოთუას „გმირთა ვარამი" („მნათობი", №3-4 2001) მკითხველს სთავაზობს მწერლის ოსტატობის საიდუმლოს ახსნას, ისტორიული მასალის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტების გარდასახვას მხატვრულ სიტყვაში, რაც უთუოდ გაამდიდრებს და გააღრმავებს ლევან გოთუას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებულ ლიტერატურულ მასალებს.

საინტერესო საარქივო მასალები გამოაქვეყნა 2001 წლის გაზეთ „კალმასობაში" (№1) გურამ ჭოხონელიძემ – „გიორგი ლეონიძის უცნობი ფსევდონიმის გამო"; მისივე „იაზონ ბაქრაძის წერილები გიორგი ზდანევიჩისადმი", ასევე: სოსო სიგუას, ზეინაბ ლომჯარიას, ზაურ მეძველიას უცნობი საარქივო მასალები „კრიტერიუმში".

უთუოდ აღსანიშნავია „სჯანის" კრებულებში სამეცნიერო ინფორმაციის რუბრიკით დართული თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინოლოგიები – თარგმნილი და შედგენილი თამარ ლომიძის მიერ.

რა თქმა უნდა, 2001 წელს გამოქვეყნებული მასალები XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ ამით არ ამოწურულა. არაერთი ლიტერატურული წერილი თუ სამეცნიერო ნაშრომი შეიძლებოდა განხილულიყო, რაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესრულდა. მათ შორის მხედველობაში გვაქვს ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ ავტორთა შრომებიც, რომელთა შესახებ აქ არ ვმსჯელობთ და უფრო მეტი – რაც საერთოდ ვერ განვიხილეთ: ნ. მამარდაშვილის, ნ. გოგიაშვილის, მ. სულხანიშვილის, ვ. ცხოვრებაძის და სხვ. წერილები.

ანდრო ბუაჩიძე
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლირიკაში აღბეჭდილი სინათლე

ქეთევან შენგელიას ლექსები ფორმითაც და სათქმელითაც ტრადიციული ქართული პოეზიის იმ კალაპოტში თავსდება, რომელიც მუდმივად იცვლება, მაგრამ მაინც ურღვევია და უწყვეტი. ამ უწყვეტობას კი ქართველი ადამიანისათვის მარადიული სულიერი ფასეულობანი განსაზღვრავს. არსებობს რაღაც, ყოველი ჩვენგანისათვის მყარი და წარუვალი, თანაბრად გასაფრთხილებელი, საზიარო. ქეთევან შენგელია სწორედ ამ ფასეულობათა წრეში ტრიალებს, რაც მისი ლექსების კრებულის („აკაციის ხეივანი") პირველივე სტრიქონებიდან ჩანს:

ფარავნის ტბასთან, ფოკაში
სალოცავია ერთი,
მოდი, ახლავე წავიდეთ
„მოვინახულოთ" ღმერთი...
მერე ხიხანში შევიდეთ,
მერე მაჩვენე სხალთა,
წითელი ყაყაჩოებით
ამავსებინე კალთა.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამგვარი სურვილი არ დაებადოს და პოეტურ ალტკინებად არ ექცეს რომელიმე ქართველს. იქნებ ეს ინტონაცია, ამგვარი სწრაფვა, მრავალგზის გამეორებულა ქართული სიტყვიერების ტაძარში, ქართულ პოეზიაში, ჩვენს უბრალო ყოფაში და ცხოვრებაში, მაგრამ განა ეს დასაძრახია, განა არ არსებობს გაუმხელელი აღთქმანი, შეუსრულებელი რიტუალები, უთქმელი აღსარებანი და, ბოლოსდაბოლოს, დაუწერელი ლექსები? ისინი ხომ ისევე იმკვიდრებენ ადგილს ჩვენს ყოველდღიურობაში, როგორც ყველაზე უფრო საყვარელი და საჭირო ნივთები. და ხომ უნდა დაიდოს აღთქმა, შესრულდეს რიტუალი, ითქვას აღსარება, შეიქმნას ლექსები.

ქეთევან შენგელიასაც უკვე ზნეობრივ მრწამსად ქცეული ეს სიცოცხლისმიერი ნება ამოძრავებს, ცხოველმყოფელობას და შემოქმედებით ხალისს ანიჭებს. პოეტი მოკრძალებით ანთებს სანთელს ქართული პოეზიის სამლოცველოში:

მარტი საუბრობს ალუბლის ხესთან,
ღიმილი ყვავის ბუჩქის ტუჩებზე,
კვირტები ნიავს ენაზებიან,
მაგნოლიებზე, ბზებზე, ნუშებზე...

ტყემ ვერ გაიგო ჩემი ჩურჩული,
უბრალოდ, მარტში მას არ ეცალა,
ათასი ჩიტის ისმის ჟღურტული,
ერთი მათგანი, ალბათ, მეცა ვარ.

ალბათ დადგება დრო, როცა საზიარო და საყოველთაო ღირებულებანი სხვა ფორმით და ინტონაციით გამოითქმება, მაგრამ რაც არ უნდა ნაკლები იყოს მოწიწება და კრძალვა, ლირიკული აღმაფრენა და პიეტეტი მაინც დარჩება, როგორც მარადიული საზომი პოეტურობისა. საგანთა არსში წვდომის ჟინი ქეთევან შენგელიასათვისაც არ არის უცხო. მისი ფიქრის მდინარება ლირიკული გრძნობადობის თხელ სამოსელშია გახვეული:

მე ვიცი, რასაც მოვყვები ახლა,
ამას ყვებოდა გრიგალი წუხელ,
მიაჭრიალებს ბედი წვალებით,
ადამის მხრებზე შემოდგმულ უღელს.

ვის უკვირს ჩიტი ნანადირევი,
კაენის ცოდვა, თევზის ფართხალი,
აღარ დავეძებ სხვასთან რომ ტყუი,
შენს თავთან თუ ხარ მაინც მართალი?!

ყველა პოეტი ცდილობს პირნათელი წარდგეს საკუთარი თავის წინაშე. როგორც შემოქმედებითი პროცესის მკვლევარნი ამბობენ, ყოველი შემოქმედებითი აქტი გულისხმობს მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს. ნაწარმოების ეს „მკითხველისათვის განკუთვნილობა" სპონტანური და ქვეცნობიერი უნდა იყოს. ან როგორც უბრალოდ იტყვიან ხოლმე, გულიდან უნდა მოდიოდეს. გონება თუ ჩაერია და მკითხველისკენ მისცა გეზი, ამგვარი „მიზანმიმართულობა" აუცილებლად დაეტყობა ნაწარმოებს. მართალია, ქეთევან შენგელიას ლექსები დაზღვეულია ამ წინასწარგამიზნულობისაგან, მაგრამ სასურველია უფრო მეტად აჩნდეს მოულოდნელობის კვალი.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ქეთევან შენგელიას ჰყავს თავის მკითხველი და ამიტომაც მინდა ვთქვა: სასურველია ავტორმა ბოლომდე მოიშოროს მიამიტობის მომხიბლავი მანტია და თამამად, უშელავათოდ გაუსწოროს თვალი ჩვენს უმკაცრეს რეალობას.

ქეთევან შენგელიას ლექსების უმრავლესობა ოთხმოცდაათიან წლებშია შექმნილი. ამ

---

„ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა", თბილისი, 2002.

პერიოდში საქართველოში შემზარავი ტრაგედიები დატრიალდა. ლირიკური პოეზიისათვის, რა თქმა უნდა, უცხოა დოკუმენტალიზმი, მღელვარე ყოველდღიურობის აღნუსხვა, მაგრამ საზარელ მოვლენათა ექო რაღაც ნიშნით მაინც უნდა გახმიანდეს ლექსებში. ლექსები კონკრეტულ დროში და სივრცეში იწერება და ამ ფაქტის იგნორირება ყოველი მხატვრული ნაწარმოებისთვის უთვისტომობის ტოლფასი იქნებოდა, გავიხსენოთ გალაკტიონი: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ".

ვფურცლავ ქეთევან შენგელიას ლექსებს, ვეძებ ცალკეულ ფრაზებს, რომელთა მეშვეობითაც დროის შესატყვისი ტონალობა იქნება გადმოცემული და ვპოულობ კიდეც („და საქართველო დაკორტნილი, მკერდგაღეღილი, დამარცხებული არწივივით ბოლმით ივსება"), მაგრამ მე ვისურვებდი, უფრო მეტი ყოფილიყო დრამატიზმით აღბეჭდილი სტრიქონები.

ეს სურვილი კი შთამბეჭდავმა პოეტურმა სახეებმა დაბადა, ვთქვათ ასეთმა:

„ნახვამდის თეო!
ღამე მაწვალებს
ქარიშხლიანი სული მქონია,
შენ ქრები დღეო,
როგორც ტალღაზე
ხანდახან ქრება ხოლმე თოლია".

ან ასეთმა:

რამ გადარია, დღეს ამინდი
რამ გადარია
ასე უეცრად?!
მიფრინავს გზაზე ჭრელი ქუდი
ბავშვს რომ ეხურა,
ეგ არაფერი...
ფრთა არ მოსტყდეს
სადმე ბეღურას.

ქეთევან შენგელიას ლექსებს ლირიკული მუხტი ანიჭებს მნიშვნელობას. თანამედროვეობა თითქოს უფრო ეპიკისკენ გადაიხარა და საგრძნობლად მცირე ადგილი დაუტოვა ლირიკას. ეს ტენდენცია [illegible] ქართველი პოეტების შემოქმედებაშიც [illegible]. ერთი რამ ცხადია: ლირიკული ელფერის ნაკლებობა მიმზიდველობასაც უკარგავს პოეზიას, თითქოს რაღაც თანდაყოლილ და პირველქმნილ სიცოცხლეს უქარწყლებს, რასაც ქეთევან შენგელიას ლექსებზე ვერ ვიტყვით.

როგორ აღვილად იძარცვებიან
თანდათან ჩვენი სავსე გულები,
თუ დაუკვირდი, ალბათ მიხვდები,
ყველაფერი რომ იყო ულევი —
ცრემლი, ღიმილი, ალერსი, ფიცი,
თოვლზე სიცოცხლის ნაფეხურები.
რაღაცა დამრჩა უთქმელი, ვიცი,
და თქვენთან ყოფნას დავეშურები...
გაზმორებულა თითქოს ავდარი,
ფოთოლცვენაა მთელი ცხოვრება,
ის რამდენიმე წუთისთვის ღირდა,
იმ რამდენიმე წუთისთვის ღირდა,
სიკვდილის წინ რომ გვემახსოვრება.

ამ ლექსში ყველაფერმა მოიყარა თავი — სევდამ, სინანულმა, ლირიკულმა მგრძნობელობამ, დრამატულმა ვნებათაღელვამ, ამქვეყნიური ცხოვრების წამიერებამ. ქეთევან შენგელიამ შეძლო მცირე ფორმის ლირიკული ნაწარმოები შინაარსობრივი სიმკვეთრითა და სინატიფით აღებეჭდა.

„აკაციის ხეივანი" თემატურად მრავალფეროვანი წიგნია. ეს არის ციკლი, რომელსაც ერთი განწყობილება და შესაბამისად ერთი ინტონაცია მსჭვალავს. პოეტი ძალდაუტანებლად და თავისუფლად ფლობს სალექსო ფორმას. ის არსად ახდენს ზეწოლას ვთქვათ ფრაზაზე ან სარითმო სიტყვაზე, ამავე დროს, მკითხველი ვერსად შეხვდება გაცვეთილ პატრიოტულ ტირადებს, ბანალურ შედარებებს, სადღეისოდ გავრცელებულ სკაბრეზულ შესიტყვებებს.

ქეთევან შენგელიას სამყარო თითქოს იმ ზნეობრივი სისუფთავით და სინათლით არის მადლცხებული, რომლის არსებობაც იშვიათობაა.

# მეცნიერება

ბაჩანა ბრეგვაძე

ბიბლიოთეკა

## „მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს“...

"Tί τὸ γεγονός, αὐτὸ τὸ γενησόμενον· καὶ τί τὸ πεποιημένον, αὐτὸ τὸ ποιηθησόμενον· καὶ οὐκ ἔστιν πᾶν πρόσφατον ὑπὸ τὸν ἥλιον". - „რაც იყო იგივე იქნება, და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, და არ არის რა ახალი მზის ქვეშ"- ამბობს ებრაელთა მეფე, რომელსაც საუკუნეების შემდეგ კვერს უკრავს რომის იმპერატორი: „ნურასოდეს დაივიწყებ, რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის, იგივე იქნება მარად. მიიქეც მთელი დრამებისა თუ ცალკეული სცენების ჭვრეტად, რომელთაც პირადი ცდითა თუ მემატიანეთა გადმოცემით იცნობ; წარმოიდგინე, მაგალითად, ჰადრიანეს, ანტონინუსის, ფილიპეს, ალექსანდრესა თუ კრეზუსის სასახლის კარნი: სპექტაკლი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები".

სოლომონ ბრძენსა და მარკუს ავრელიუსს შორის თორმეტი საუკუნე ძევს. გაივლის კიდევ თორმეტი საუკუნე და სახელგანთქმული ფლორენციელი სახელმწიფო მოღვაწე შემდეგნაირად ჩამოაყალიბებს ისტორიულ ციკლთა მონაცვლეობის მისეულ კონცეფციას, რომელიც, ძალიან მოკლედ, შემდეგნაირადაა გადმოცემული ჩემს ესსეში „ნიკოლო მაკიაველი":

„ისტორიული პროცესის უწყვეტობა, მაკიაველის მიხედვით, ესაა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი, მათი დაუსრულებელი მონაცვლეობა. მთელი ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა უბედურების, უგუნურებისა და საზარელ დანაშაულობათა თანდათანობითი განვითარება, რომელთა შორისაც ჩვენ ვხედავთ მხოლოდ რამდენიმე ხანმოკლე ბედნიერ ეპოქას, ოაზისებივით რომ მიმოფანტულან პირქუშ უდაბნოში. არაფერი ისე მკაფიოდ არ გვიმჟღავნებს მაკიაველის ისტორიულ პესიმიზმს, როგორც მისი „ფლორენციის ისტორიის“ მეხუთე წიგნი, ხოლო ამ პესიმიზმს, ისევ და ისევ, ადამიანის ბუნების მისეული კონცეფცია უდევს საფუძვლად. სიკეთისა და ბოროტების, სახელმწიფოთა დაცემისა და აღზევების, ზნეთა სიწმინდისა და გახრწნილების ურთიერთმონაცვლეობა თითქოს ბედისწერის სტიქიური ძალითაა განსაზღვრული და განპირობებული. მთელი ეს მონაცვლეობა პერიოდულ გადატრიალებათა თუ კატასტროფათა მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც პირწმინდად ანგრევენ გარდასულ ეპოქათა განვითარების ყველა შედეგს და, ასე განსაჯეთ, თვით მათ ხსოვნასაც კი აქრობენ ადამიანთა სულში, რათა მომდევნო თაობებმა ყველაფერი თავიდან დაიწყონ და ხელახლა შეავსონ იგივე შინაარსით ჯერ კიდევ დაუწერელი ისტორიის სუფთა ფურცლები. მაგრამ ამ საყოველთაო ნგრევისა და დავიწყების მიუხედავად, ბოროტება კვლავაც შეუმუსვრელია და დაუძლეველი, ვინაიდან მას თვით ადამიანის ბუნებაში აქვს ფესვი გადგმული. ასე რომ, თავიდან მეორდება იგივე პროცესი, რომელიც ამდენი მსხვერპლის ფასად ესესაა უკან მოიტოვა კაცობრიობამ; მეორდება და გრძელდება მანამ, სანამ მთელი სინამდვილე ხელმეორედ არ აივსება კაცთა სიავით და სანამ ახალი კატასტროფა არ გაწმენდს სიბილწეში ჩამყაყებულსა და ბოროტების მორევში დანთქმულ სამყაროს"...

ამ ტოტალური ნგრევისა და განადგურების, მსოფლიო ისტორიის დრამატულ პერიპეტიებს შთამბეჭდავი ძალით აგვიწერს პოლ ვალერი თავის პატარა ესსეში „სულის კრიზისი":

„ჩვენ — ცივილიზაციებმა — ახლა კი ვიცით, რომ მოკვდავნი ვართ.

ჩვენ ვიცნობთ უგზოუკვლოდ დაკარგულ სამყაროებს. მთელი თავიანთი მოსახლეობითა და ტექნიკით, თავიანთი ღმერთებითა და კანონებით, თავიანთი აკადემიკოსებითა და წმინდა თუ გამოყენებითი მეცნიერებით, თავიანთი გრამატიკოსებით, თავიანთი ლექსიკონებით, თავიანთი კლასიკოსებით, თავიანთი რომანტიკოსებითა და სიმბოლისტებით, თავიანთი კრიტიკოსებითა და კრიტიკოსთა კრიტიკოსებით ზღვებში ჩაძირულსა თუ საუკუნეთა უსასრულო უფსკრულში დანთქმულ იმპერიებს. ჩვენ ვიცით, რომ მთელი ხილული მიწა ფერფლისაგან იღებს დასაბამს, და რომ ფერფლი მოკლებული არ არის მნიშვნელობას. ისტორიის სისქის წიაღ ჩვენ ვარჩევთ აურაცხელი მატერიალური თუ სულიერი ფასეულობებით დატვირთულ ხომალდთა ლანდებს. ჩვენ არ შეგვეძლო მათი აღრიცხვა, მაგრამ ეს საზღვაო კატასტროფები, არსებითად, არც გვეხებოდნენ ჩვენ.

ელამი, ნინევია, ბაბილონი მშვენიერი და ბუნდოვანი სახელები იყვნენ. და ამ ძველ სამყაროთა ტოტალური ნგრევა ისევე ცოტას ნიშნავდა ჩვენთვის, როგორც თვით მათი არსებობის ფაქტი. მაგრამ საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი... ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ესენიც მარტოოდენ მშვენიერ სახელებად იქცნენ. ლუზიტანიაც მშვენიერი სახელია. და, აი, ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიის უფსკრული ყველაფერს იტევს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცივილიზაცია ისევე მყიფეა და მსხვრევადი, როგორც სიცოცხლე. გარემოებანი, რომელთაც ხელეწიფებათ კიტსისა თუ ბოდლერის ქმნილებებს მენანდრეს ქმნილებათა ხვედრი გააზიარებინონ, აბსოლუტურად ენიგმურნი არიან: ჩახედეთ ნებისმიერ გაზეთს"...

ყველაფერი მეორდება, ან შეიძლება გამეორდეს. მრავალგზის ფერნაცვალი სინამდვილე, ეკლესიასტეს თქმისა არ იყოს, „კვლავ უბრუნდება თავის ოდინდელ წრეს" ("in circulos suos regreditur"). სალტედ შეგრაგნილი გველი, საკუთარ კუდს რომ ჩაჰფრენია: ციკლური დროის ძველთუძველესი სიმბოლო; დროისა, მისგან განსხვავებით უკუმოუქცევლად მედინი ხაზოვანი დროის ცნებასთან ერთად თითქმის უწყვეტად რომ გასდევს დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის კულტურულ ტრადიციას.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან მოყოლებული ბერძნული ფილოსოფიური აზრი უკვე ცდილობს დროის ენიგმური ბუნების წვდომას. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჰერაკლიტე ეფესელი (დაახლ. 554-483), ვისი კოსმოგონიური კონცეფციითაც ცეცხლია კოსმოსის პირველსაწყისი, მარადცოცხალი სტიქიონი, რომელშიაც 10800-წლოვანი ციკლის (ე. წ. „დიადი წლის") დამლევს დაინთქმება მთელი სამყარო, რათა შემდეგ კვლავ დაიბადოს. პერიოდულ ციკლთა იდეა შემდგომ განვითარებას ჰპოვებს პითაგორას (დაახლ. 550-495), ემპედოკლეს (დაახლ. 495-435) და სხვათა მოძღვრებებში, მაგრამ ციკლური დროის კონცეფცია ყველაზე სრულად და ამომწურავად ჩამოყალიბებულია პლატონის (427-347) ნააზრევში, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი არისტოტელეს თანამედროვე ფილოსოფოსს ევდემოს როდოსელს მივუგდოთ ყური, თავის მოწაფეებს რომ ეუბნებოდა: „თუ ვერწმუნებით პითაგორელებს, მე ოდესმე, ჯოხით ხელში, კვლავ ვისაუბრებ თქვენთან, როგორც ახლა გესაუბრებით ჩემს წინაშე მსხდომთ, და ასევე განმეორდება ყოველივე დანარჩენი". უფრო გვიან, ციკლური დროის პერიოდთა თანმიმდევრული მონაცვლეობის იდეას იზიარებენ დიდი ნეოპლატონიკოსები — პლოტინი (205-270) და პროკლე (412-485), ვისი მტკიცებითაც, „დრო სწორ ხაზს როდი ჰგავს, უსასრულოდ რომ გრძელდება ორივე მიმართულებით. ის ზღვარდებულია და წრეს შემოსწერს. დროის მოძრაობა დასასრულს აერთებს დასაწყისთან, და ეს უსასრულოდ მეორდება".

ქრისტიანობის პირველი საუკუნეები, დროის გაგების თვალსაზრისით, უპირატესად ციკლური პერიოდიზაციის ნიშნითაა აღბეჭდილი. ასე მაგალითად, დიდი ქრისტიანი თეოლოგი ორიგენე (დაახლ. 185-254), ვის მსოფლმხედველობაშიც ერთმანეთს ერწყმის ნეოპლატონიზმი და ქრისტიანიზმი (ორიგენე, ისევე, როგორც მისი უმცროსი თანამედროვე პლოტინი, ნეოპლატონიზმის ფუძემდებლის ამონიოს საკასის მოწაფე იყო), პირდაპირ აცხადებს: „როგორც ახლანდელი სამყაროს დაღუპვის შემდეგ დაიბადება სხვა სამყარო, ისე ამ სამყაროზე უწინარეს არსებობდნენ სხვა სამყაროები". სამყაროს ისტორიის ციკლისტური ინტერპრეტაციები ფართოდ ვრცელდება ქრისტიან ავტორთა შორის IV საუკუნემდე. შემდეგ, რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში დომინანტობს ნეტარი ავგუსტინესაგან მომდინარე მკაცრი „ანტიციკლისტური" ტენდენცია, რომლის წინააღმდეგაც მხოლოდ დროდადრო იმაღლებენ ხმას ისეთი „ერეტიკოსები", როგორიც იყო, მაგალითად, იოანე სკოტუს ერიუგენა (დაახლ. 810 - დაახლ. 877). სიტუაცია მკვეთრად იცვლება მხოლოდ XII—XIII საუკუნეებში, როცა სწრაფად იზრდება იმ ავტორთა რიცხვი, რომელნიც დროის ციკლისტურ გაგებას უჭერენ მხარს. მათ შორის ვხედავთ ისეთ დიდ სახელებს როგორიცაა პიერ აბელიარი (1079-1142), ჰუგო სენვიქტორელი (დაახლ. 1096-1141), ჯოაკინო დელ ფიორე (დაახლ. 1132-1202), თომა აქვინელი (1225-1274), როჯერ ბეკონი (დაახლ. 1214-1292), სიგერ ბრაბანტელი (დაახლ. 1235 — დაახლ. 1282), უილიამ ოკამი (დაახლ. 1285-1354) და სხვა.

ციკლური დროის კონცეფცია ყველაზე მკაფიოდ იჩენს თავს იტალიელი მისტიკოსის ჯოაკინო დელ ფიორეს ერეტიკულ მოძღვრებაში სამი ისტორიული ეპოქისა თუ სამყაროს სამი რელიგიური მდგომარეობის შესახებ. ჯოაკინოს მთავარი თხზულების — "Concordia novi et veteris testamenti" („ახალი და ძველი აღთქმის კონკორდანსი") თანახმად, სულიერი ევოლუციის პროცესი „დიადი დღით" — სული წმიდის ტრიუმფითა და მისი „მარადიული სახარების" სუფევით უნდა დაგვირგვინდეს. „ძველი და ახალი აღთქმა სწორედ კონკორდანსის მეშვეობით ზომავენ ერთმანეთს, — წერს ფრანგი აკადემიკოსი ემილ ჟებარი, — რადგანაც ძველი აღთქმის სახეები და ფაქტები, არსებითად, ახალი აღთქმის სახეებსა და ფაქტებში მეორდება, მაგრამ ეს უკანასკნელნი თავიანთი ღირსებით აღემატებიან პირველთ, რამდენადაც იოანე ნათლისმცემელი — ისააკზე, ხოლო ღმერთკაცი იესო იაკობზე უმეტესია. პირველი რელიგიური ერა, როცა ადამიანები ხორციელად ცხოვრობდნენ, ადამიდან იწყება და იესო ქრისტემდე გრძელდება; მან მთელი თავისი ნაყოფი გამოიღო აბრაამიდან ზაქარ-

იამდე. მეორე ერა, როცა ადამიანები ხორცსა და სულს შორის ცხოვრობენ, ოსიათი და ელისეთი იწყება და თვით ჯოაკინოს დრომდე გრძელდება. და ბოლოს, მესამე ერა, როცა ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ სულით იცხოვრებენ, წმ. ბენედიქტეთი იწყება და გაგრძელდება უკუნისამდე...

ჯოაკინოს სწამს, რომ დიადი დღე უკვე ახლოა. მისი გამოთვლით, ადამსა და იესო ქრისტეს შორის 1260 წელი, ანუ, რაც იგივეა, ორმოცდაორი თაობის სიცოცხლე ძევს, რომელთაგანაც თითოეულის ყავლი ოცდაათი წლით განისაზღვრება. ორი აღთქმის კონკორდანსის თანახმად, ამდენივე წელი გაივლის ქრისტეს მოსვლიდან სული წმიდის ნეტარ ერამდე. აღსრულდება თუ არა 1260 წელს დიადი მისტერია? აქ წინასწარმეტყველს ეჭვი იპყრობს. მისი აზრით, ორი უკანასკნელი თაობა შეიძლება ანგარიშში არც მივითვალოთ. ამრიგად, რელიგიური კრიზისის დასაწყისი 1200 წელსაა მოსალოდნელი. XIII საუკუნის დამდეგი ეკლესიისათვის ტრაგიკული მოვლენებით იქნება სავსე. მოვა ანტიქრისტე და თავზარს დასცემს მთელ საქრისტიანოს: „აღარც მსხვერპლშეწირვა იქნება და აღარც შემწირველი, საეკლესიო წესრიგი ისე მოიშლება, რომ უთვალავ ხალხში ერთსაც ველარ ნახავ, ვინც გაბედავდა ხმამაღლა ეხსენებინა უფლის სახელი“. მაგრამ იგრგვინებს მთავარანგელოზის საყვირი და აღსრულდება ყველა საიდუმლო, რასაც გვაუწყებს საღმრთო წერილი: „ასე მოიწევა დედამიწაზე მშვიდობისა და ჭეშმარიტების სუფევის ჟამი“...

თაობათა გენეალოგიური ნუსხითა და მათი ამქვეყნიური არსებობის ყავლით ციკლური დროის შინაგანი სტრუქტურის განსაზღვრა, რა თქმა უნდა ბიბლიიდან იღებს დასაბამს („...მთელი შთამომავლობა აბრაამიდან დავითამდე თოთხმეტი თაობა, და დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე თოთხმეტი თაობა, და ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე თოთხმეტი თაობა“. — მათე, I, 17). თუმცა დროის შუალედი, რომელიც თაობებს შორის ძევს, ყოველთვის თანაბარი როდია: ასე მაგალითად, აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოაზროვნე ნიკოლა კუზანელი (1401-1464) თავის შრომაში "De novissimis diebus" („უახლოეს დღეთათვის“) ამ შუალედს ნახევარი საუკუნით განსაზღვრავს. ავტორი 1700-წლიან პერიოდებად ყოფს კაცთა მოდგმის მთელ ისტორიას (1700 წელი = 34 თაობა X 50 წელზე). მისი აზრით, დროის სწორედ ეს შუალედი აშორებს ადამს წარღვნისაგან, წარღვნას — მოსესგან, მოსეს — ქრისტესგან, ქრისტეს კი — განკითხვის დღისაგან. ასე რომ, ქვეყნის დასასრული, ამ ქრონოლოგიის მიხედვით, XVIII საუკუნის დამდეგს უწევდა (1700 X 4 = 6800, საიდანაც 5100 წელი ძველ წელთაღრიცხვაზე მოდის). მადლობა ღმერთს: გადავრჩით.

1619 წელს სვედავსილი — იტალიელი ფილოსოფოსი, თეოლოგი, ასტრონომი და იურისტი ლუჩილიო ვანინი (1585-1619)[1] თავის თხზულებაში „De admirabilis naturae arcanis“ („ბუნების საოცარ საიდუმლოთა შესახებ“) წერდა: „აქილევსი ხელახლა მიაშურებს ტროას; ხელახლა დაიბადებიან რიტუალები და რელიგიები; განმეორდება კაცთა მოდგმის ისტორია; ამჟამად არა არის რა ისეთი, რაც უკვე არ ყოფილა უწინ; რაც იყო, იგივე იქნება, მაგრამ მხოლოდ ზოგადად და არა კერძო მოვლენათა სახით“. ხოლო ინგლისელი ექიმი თომას ბრაუნი (1605-1682), თითქოს ევდემოს როდოსელის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას იზიარებსო, 1642 წელს გამოქვეყნებულ წიგნში — "Religio medici" („ექიმის რელიგია“) წერდა: „პლატონის წელი[2] მრავალსაუკუნოვანი პერიოდია, რომლის გავლის შემდეგაც საგნები კვლავ დაუბრუნდებიან საწყის წესრიგს, და პლატონი ათენის აკადემიაში კვლავ ჩამოაყალიბებს ამ მოძღვრებას“.

ახალი ერის დამდეგამდე ისტორიულ ციკლთა მონაცვლეობას, ჩვეულებრივ, უკავშირებდნენ სამყაროს ციკლურ განვითარებას, რაც განპირობებული იყო კოსმიური კატაკლიზმებით. დედამიწა თითქოს „მინიატურული“ მასშტაბით იმეორებდა კოსმიურ ციკლთა გრანდიოზულ განზომილებებს. მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული მეცნიერული ცოდნისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების შედეგად კოსმოქრონოლოგიას თანდათანობით გეოქრონოლოგია ცვლის, სადაც დროულ ციკლთა სადემარკაციო ხაზი კოსმიურ ერათა გამმიჯნავად კი არ გვევლინება, არამედ კაცობრიობის ისტორიული განვითარების დიად ეპოქათა შორის გადის. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ კოსმოქრონოლოგიური ციკლიზმი გვაინტერესებს, რომელიც ძველი რელიგიური სისტემებიდან იღებს დასაბამს. თითოეული მათგანის თუნდაც ძუნწი განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ ორიოდე სისტემის მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

პირველი — ესაა ძველ ირანელთა რელიგია — ზოროასტრიზმი, რომლის დამაარსებელია ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიური რეფორმატორი ზოროასტრი (ირან. „ზარათუშტრა“), ვის ცხოვრებასაც ზოგიერთი მეცნიერი, ძალზე სავარაუდოდ, ძვ. წ. ა. 628-551 წლებით ათარიღებს (ასე რომ, მისი თანამედროვეა ბუდა — დაახლ. 634-554 წ.წ.). ამ დუალისტური რელიგიის უპირველესი ღვთაებაა ორმუზდი (აჰურა-მაზდა), სამყაროს შემოქმედი და მისი მასულდგ-

1. 1619 წელს ერთმა „კეთილშობილმა“ კაცმა ვანინის ღვთისმგმობლობაში დასდო ბრალი, რის შედეგადაც ინკვიზიციამ ფილოსოფოსს ენის მოჭრა და კოცონზე დაწვა მიუსაჯა. განაჩენი იმავე წელს სისრულეში იქნა მოყვანილი.
2. იხ. ქვემოთ.

მულებელი კეთილი საწყისი, „სხივოსანი პირველმიზეზი", მარადიული სინათლის წყარო, სინათლისა, რომელსაც ის თავს ახვევს წყვდიადით მოცულ მატერიალურ სინამდვილეს. აჰურა-მაზდას უპირისპირდება არიმანი (აჰრიმანი) — მორალური თუ ფიზიკური ბოროტების და სიბნელის პირველსაწყისი. სამყაროს ეს დასაბამიერი დუალიზმი ზარათუშტრას მიერ შემდეგნაირადაა გამოხატული: „დასაბამიდან იყო ტყუპი ძმა: აზრის, სიტყვის თუ საქმის სიკეთე და ბოროტება. აირჩიეთ ერთ-ერთი. შეუძლებელია ერთდროულად ემსახურებოდეთ ორივე სულს... კეთილნი იყავით და არა ბოროტნი... აჰურა-მაზდა წმინდაა და მართალი. ამიტომ სიწმინდითა და სიმართლით ემსახურეთ მას". სიკვდილის შემდეგ ყველა სული წარსდგება აჰურა-მაზდას წინაშე, რათა ყველას მიეგოს მისი კუთვნილი: კეთილნი სასუფეველს იმკვიდრებენ, უკეთურნი კი ჩინევადის ხიდიდან ცვივიან ბნელეთის უფსკრულში.

აჰურა-მაზდას სავანე დღეა, აჰრიმანისა კი — ღამე. ამ ორი ღვთაების მარადიული ბრძოლის შედეგია სამყაროში არსებული სიკეთისა და ბოროტების ალტერნატივა. აჰურა-მაზდას ტახტის გარშემო ექვსი ამშასფანდი, ანუ სინათლის ექვსი სული, ექვსი „ანგელოზი" დგას: ესენი არიან ღვთაებრივი სიბრძნის, ჭეშმარიტების, ძალაუფლების, ღვთისმოსაობის, მთლიანობისა და ხსნის სულნი. აჰრიმანის ტახტი კი ასევე შვიდი დევით, ანუ შვიდი „დემონითაა" გარშემორტყმული: მათ ანარქიის, განდგომილების, ზვაობის, ნგრევის, ხრწნილებისა და მრისხანების სულები ჰქვიათ. მთელი სამყარო სავსეა დაბალი რანგის ამშასფანდებისა და დევების სიმრავლით, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს... აჰრიმანი გარკვეულწილად მოგვაგონებს იუდაიზმისა თუ ქრისტიანიზმის სატანას. ამ ორ თეოლოგიურ კონცეფციას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ სატანა მხოლოდ ცოდვით დაცემული ქმნილებაა, მაშინ როდესაც აჰრიმანს თავისთავადი და ფატალური არსებობა მიეწერება. სხვა მხრივ კი ის, არსებითად, ექვემდებარება სიკეთის ღმერთს, რომელსაც მხოლოდ იმით შეუძლია დაუპირისპირდეს, რომ იძულებულია უკულმართოდ ბაძავდეს მის ქმედით ძალმოსილებას. ამიტომაა, რომ სამყაროს დასასრული სიკეთის საბოლოო ტრიუმფით აღინიშნება. მხოლოდ ეგაა, რომ, სატანისაგან განსხვავებით, აჰრიმანი მთელი თავისი ავსულებითა და ცოდვილი სულებითურთ საბოლოოდ იწმინდება, ესე იგი, სიკეთის მიერ ასიმილირდება, და მაშინ თავიდან იბადება განახლებული სამყარო — სიწმინდის, სიკეთის, სრულქმნილებისა და უკვდავების სასუფეველი.

სიკეთისა და ბოროტების დუალიზმი უდევს საფუძვლად ზარათუშტრას კოსმიურ ქრონოლოგიას, ოთხ სხვადასხვა ეპოქად რომ ყოფს მარადმედინი დროის, გრძლივობას; თითოეული მათგანის დასასრული თავისებურად აჯამებს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ყველა შედეგს. ზარათუშტრა ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ტემპორალურ რეალობას: უსასრულო დროს, ანუ მარადისობას და სასრულ დროს, რომელიც აჰურა-მაზდას მძლეთა-მძლე ნებით მოედინება გონებამიუწვდომელი მარადისობის სიღრმიდან. ოთხ თანაბარ პერიოდად დაყოფილი სასრული დროის ხანგრძლივობა 12000 წელია, ასე რომ, თითოეული პერიოდი 3000 წელს გრძელდება. მთელი სასრული დრო ერთ „დიად ზეციურ წლადაა" დასახული, რომლის უმცირეს დანაყოფადაც სადღეღამისო ციკლი — დღე-ღამის თორმეტ-თორმეტი საათი გვევლინება. 3, 4 და 12 — აი, ამ პერიოდთა მმართველი მისტიური რიცხვები, რომლებსაც უნდა დაემატოს 3+4=7 (აჰურა-მაზდა + სიკეთის ექვსი სული და აჰრიმანი + ექვსი ბოროტი სული). პირველი სამიათასწლოვანი ეპოქა სულიერი შესაქმის ჟამია, როცა აჰურა-მაზდა ქმნის ყოველი საგნის პროტოტიპს. მეორე ეპოქა მატერიალურ შესაქმედ იწოდება: ამ დროს იქმნებიან ზესკნელის მკვიდრნი, სულები, ზეცა, მიწა, წყალი, მცენარეები, ცხოველები და ადამიანი. მომდევნო ეპოქა ბოროტების ზეობის ხანაა, რომელიც შეესაბამება კაცთა მოდგმის მთელ ისტორიას — დასაბამიდან ზარათუშტრას ქადაგებამდე. და ბოლოს, მეოთხე ეპოქა ზარათუშტრას ქადაგებით იწყება და გაგრძელდება განკითხვის დღემდე, რათა შემდეგ მარადისობის უხრწნელ წიაღში კვლავ ჩაისახოს სამყაროული არსებობის ახალი ციკლი...

კოსმიურ ციკლთა მონაცვლეობის ანალოგიურ სურათს გვთავაზობს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რელიგია ინდუიზმი, მხოლოდ აქ ციკლთა ხანგრძლივობა გაცილებით უფრო შთამბეჭდავია თავისი გრანდიოზული მასშტაბურობით. ინდუიზმის მიხედვით, სამყარო მარადიულია. „არაფრისგან არაფერი არ შეიქმნება, — ამბობს დიდი ინდოელი მოაზროვნე სვამი ვივეკანანდა, — ყველაფერი მარადიულად არსებობს და სამარადისოდ იარსებებს. მაგრამ მოძრაობა ციკლურია... მთელი ბუნება ევოლუციისა და ინვოლუციის პროცესებს განიცდის. ევოლუციის პროცესი სიცოცხლის პრიმიტიული გამოვლენით იწყება, თანდათანობით ვითარდება და... ბოლოს თავის აპოგეას აღწევს; მაგრამ ეს რალაცის ინვოლუცია უნდა იყოს" (პაწაწინა თესლიდან ვეება ხე აღმოცენდება, რომელიც თესლის თანდათანობითი ევოლუციის შედეგია, მაგრამ თვით თესლი მეორე ხის ინვოლუციის შედეგად გვევლინება)... „ეს სამყარო, მიწყივ ერთგვაროვანი, — ამბობდა ჰერაკლიტე ეფესელი, — არავის არ შეუქმნია, არც ღმერთთაგანს და არც კაცთაგანს, არამედ

ყოველთვის იყო, არის და კვლავ იქნება, როგორც მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც, თანაბარზომიერად, ხან იფეთქებს, ხან იშრიტება“.

მსგავსად იმისა, როგორც ადამიანი დღისით ფხიზლობს, ღამით კი ძილს ეძლევა, სამყაროს სიცოცხლეშიც ერთმანეთს ენაცვლებიან უძრაობისა და მოძრაობის, სიმშვიდისა და ქმედითობის პერიოდები. ქმედითობის პერიოდი „ბრაჰმას დღეა“, რომელსაც მეორენაირად „კალპა“ ეწოდება. კალპის დასაბამს ბრაჰმა ილვიძებს და ზეციურ, ადამიანურ და დემონიურ სამყაროებს ქმნის, კალპის დასასრულს კი იძინებს და სამყარონი ქაოსში („პრალაია“) იძირებიან. ყოველი კალპა ათას „დიად საუკუნედ“ („მაჰაიუგა“) იყოფა, რომელთაგანაც თითოეული ოთხ არათანაბარ პერიოდს მოიცავს: „კრიტა“, „ტრეტა“, „დვაპარა“ და „კალი“. ეს პერიოდები, თავიანთი ხანგრძლივობით, ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 4:3:2:1 (ევოლუციის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ინვოლუციისა).

„კრიტაიუგა“ — ოქროს ნეტარი ხანა 1728000 მიწიერ წელიწადს გრძელდება. მთელი ამ დროის მანძილზე დჰარმა, სამართლიანობის, მოვალეობისა და, იმავდროულად, სამყაროს დიადი კანონი, „წელგამართული“ დაიარება და მტკიცედ ეყრდნობა „ოთხ ფეხს“: სიმართლეს, პატივისცემას, თანალმობას და გულმოწყალებას. სრულყოფილი და ბედნიერი ადამიანების სიცოცხლის ყავლი 4000 წლით განისაზღვრება. კრიტაიუგას ცვლის „ტრეტაიუგას“ 1296000- წლიანი ციკლი, როცა დჰარმის ქმედითი ძალა ერთი მეოთხედით მცირდება და ის უკვე „სამი ფეხით“ დაიარება. ადამიანთა ქცევას უკვე თავის დაღს ასვამს ანგარება, რაც განხეთქილებისა და აშლილობის წყაროდ იქცევა. თუმცა მართალთა რიცხვი ჯერ კიდევ გაცილებით მეტია, ვიდრე ცოდვილებისა. „დვაპარაიუგას“ დასაბამისას კაცთა სიქველე ნახევრდება, დჰარმა კი სიმყარეს კარგავს და „ორ ფეხსლა“ ებჯინება. ამ ციკლის მთელი 864000 წელი სიცრუისა და დაუნდობლობის მძლავრობით აღინიშნება. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი მისდევს სიქველის გზას და პირველი სამი კასტის წევრები — ბრაჰმანები, ქშატრიები და ვაიშიები კვლავაც განუხრელად ასრულებენ თავიანთ ვალს. და ბოლოს, მეოთხე ხანის — „კალიიუგას“ მთელ მანძილზე (432000 წელი) „ცალფეხა“ დჰარმა ძლივსლა დალასლასებს ქვეყნად. სამყაროში ძველი სიქველის მეოთხედილა რჩება, იშრიტება არისტოკრატიზმის სული, კაცობრიობის უმრავლესობას ცრუ, ვერაგი, გაიძვერა და წუნკალი შუდრები, ანუ მონები შეადგენენ და გაუკუღმართებული ნების თარეში, მბრძანებელთა აღვირახსნილობა და ძალმომრეობა ჯოჯოხეთად აქცევენ ცხოვრებას (ალბათ, სიმბოლურია, რომ დღეს დედამიწაზე, ინდუისტური ქრონოლოგიის თანახმად, „კალიიუგას“ პირველი ნახევარი, უფრო ზუსტად, მისი მეექვსე ათასწლეული გრძელდება, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 3102 წლის 17-18 თებერვლის ღამეს დაიწყო. ასე რომ, კაცობრიობის წინაშე დიდებული პერსპექტივა იშლება: დაახლოებით 427000-წლიანი წყვდიადი)...

ინდუიზმის ქრონოლოგიურ ციკლიზმს გარკვეული მოდიფიკაციებით იზიარებს უფრო გვიანდელი ბუდიზმი, ამიტომ ნულარ შევჩერდებით მასზე და სულ სხვა ცის ქვეშ და სულ სხვა ხალხში — ინდიელთა იდუმალ სამყაროში გადავინაცვლოთ, სადაც ჩვენს თვალწინ იშლება ციკლური დროის კიდევ ერთი აპოკალიპტური პანორამა. „მესოამერიკის“ (ცენტრალური ამერიკის) ტომები (ტოლტეკები, აცტეკები, მაია, ტარასკები, უასტეკები, მიშტეკები, ტოტონაკები, ოლმეკები და სხვა.) ესპანელ კონკისტადორთა შემოსევამდე თითქმის 2000 წლის მანძილზე ქმნიდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცივილიზაციას მისი ნათელი თუ ჩრდილოვანი მხარეებით, დიდებული ქალაქებით — კულტურის ამ მძლავრი ცენტრებით (ტულა, ტენოჩტიტლანი, ჩემპოლანი, მიტლა, პალენკე, მაიაპანი, ჩიჩენ-იცა, უშმალი და სხვა.), სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციით, დახვეწილი ეკონომიური სტრუქტურით, განვითარებული სოფლის მეურნეობით (საირიგაციო ნაგებობები, ტერასებზე გაშენებული ბაღები, ტბებში ხელოვნურად შექმნილ კუნძულებზე მოლაღანე ყანები და ბაღჩა-ბოსტნები), ნატიფი ხელოვნებით (მხატვრობა, ქანდაკება, მონუმენტური არქიტექტურა, ოქრომჭედლობა), სისხლიანი რელიგიით (ადამიანთა მასობრივი მსხვერპლად შეწირვა[1]), ურთულესი კოსმოლოგიით (თავისი 13 ზეცით, 8-გარსიანი ქვესკნელით თუ მიწისქვეშეთით და ურიცხვი ღმერთების ხომლით), ჰიეროგლიფური დამწერლობით, განსაცვიფრებელი ასტრონომიული თუ სამედიცინო ცოდნით, უზუსტესი კალენდრით, ეთიკურ-ფილოსოფიური დოქტრინებით, ქრონოლოგიური სისტემებით და ა. შ.

ინდიელთა, კერძოდ, აცტეკთა ქრონოლოგიამ ორი ძირითადი წყაროს მეშვეობით მოაღწია ჩვენამდე: ესენია — ე. წ. „მზეთა ლეგენდა“ და ვატიკანის ლათინური კოდექსი 3738 (ძველი იტალიური კომენტარებითურთ). „ორივე წყაროში დამუშავებულია კოსმოგონიური მითი, — წერს ლათინურ ამერიკელი მკვლევარი დემეტრიო სოდი, — რომელსაც საფუძვლად უდევს განმეორებადი კატაკლიზმების იდეა და რომლებშიაც გადმოცემულია მზეთა ევოლუციის ქრონოლოგია, რაც მოწმობს

1 ეს მომენტი თვალნათლივ მოწმობს, რომ განვითარებული ცივილიზაციის უდავო მიღწევების გვერდით შეიძლება არსებობდეს ბარბაროსული ობსკურანტიზმი.

აზროვნების დონეს, მის რაციონალურობას, სისტემურობას და დროისა და მისი ეპოქის არსში წვდომის უნარს". ორივე წყაროს მიხედვით, ციკლური დროის ყოველი პერიოდი „მზიდან" „მზემდე", კატასტროფიდან კატასტროფამდე გრძელდება. აქ „მზე" ციურ მნათობს კი არა, პირობითად აღნიშნავს კოსმიურ ერას. „მზეთა ლეგენდის" მიხედვით, სულ ხუთი „მზეა", რომელთა ხანგრძლივობა შესაბამისად შეადგენს: I — 676 წელს; II — 364 წ.; III — 312 წ.; IV — პირველის მსგავსად — 676 წ. და ბოლოს, V — ამჟამინდელი „მზეა". ვატიკანის კოდექსის თანახმად, ციკლური პერიოდები გაცილებით უფრო დიდხანს გრძელდება: I „მზე" — 4008 წელს; II — 4010; III — 4081; IV კი 5026 თუ 5042 წლის წინათ დაიწყო და ჯერაც არ დასრულებულა. ყოველი ეპოქა მთავრდებოდა გრანდიოზული კატაკლიზმებით: არნახული ძალის ქარიშხლები, წარღვნები, მიწისძვრები, ცეცხლის წვიმები სპობდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ან ზღვის უფსკრულში მარხავდნენ წინა ეპოქის ყველა მიღწევას თუ მონაპოვარს. არანაკლებ საშინელი იქნება ბოლო „მზის" დასასრულიც, ძირფესვიანად ამოწყვეტას რომ უქადის კაცთა მოდგმას...

თუ ცენტრალური ამერიკიდან კვლავ ევროპაში გადმოვინაცვლებთ, აქ, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ჩვენ დაგვხვდება პლატონი, კოსმიური კატაკლიზმების მისეული კონცეფციითურთ: „...ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დაღუპულა კაცთა მოდგმა და კიდევ რამდენჯერ და რამდენნაირად დაიღუპება იგი. ყველაზე სასტიკად ადამიანებს მუსრს ავლებდა ცეცხლი და წყალი, შედარებით უფრო ნაკლებ — ათასი სხვა უბედურება. სწორედ აქედან იღებს დასაბამს თქვენი[1] თქმულება ფაეტონზე, ჰელიოსის ძეზე, რომელიც ერთხელ ვითომ მამამისის ეტლში ჩამჯდარა, მაგრამ ვერ მოუხერხებია ჰელიოსის გზით წარემართა იგი, ამიტომაც გადაუბუგავს ყველაფერი დედამიწაზე და, ელვით დაფერფლილი, თვითონაც დაღუპულა. ეს თქმულება მითს მოგვაგონებს, მაგრამ ის სიმართლესაც შეიცავს: მართლაცდა, ცის თაღზე დედამიწის ირგვლივ მბრუნავი სხეულები ზოგჯერ თავიანთი ჩვეული გზიდან გადაიხრებიან, ასე რომ, დროის ხანგრძლივ შუალედებს შორის დედამიწაზე ყველაფერი აბობოქრებულ ხანძარში ინთქმება და ილუპება. ამ დროს მთების, ზეგნებისა თუ უწყლო ადგილების მკვიდრნი გაცილებით უფრო მეტნი იხოცებიან, ვიდრე ზღვისა თუ მდინარეთა ნაპირებზე მობინადრენი... ხოლო როდესაც ღმერთები, დედამიწის განწმენდის მიზნით, წარღვნას მოუვლენენ მას, თავის გადარჩენის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მწყემსებს და მეჯოგეებს, მთის კალთებზე რომ აძოვებენ ნახირს".

ამას წერს პლატონი თავის დიად დიალოგში „ტიმეოსი", სადაც ეგვიპტელი ქურუმის პირით მოთხრობილია, როგორ დაიღუპა ატლანტის ოკეანეში მდებარე უზარმაზარი კუნძული ატლანტიდა „არნახული მიწისძვრებისა და წარღვნის" შედეგად. ატლანტიდისადმია მიძღვნილი ფილოსოფოსის მეორე (დაუმთავრებელი) დიალოგიც — „კრიტია". მხოლოდ ამ ორმა წყარომ შემოინახა ძველი წელთაღრიცხვის XII ათასწლეულის დამლევს ატლანტის ოკეანეში მომხდარი გრანდიოზული კატასტროფის ამბავი. პლატონის შემდეგ კაცობრიობა განუწყვეტლივ დაეძებს იდუმალი კუნძულის ნაშთებს. „ტიმეოსისა" და „კრიტიას" ავტორი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი ხელიდან გამოსული სულ რაღაც ოციოდე გვერდი საუკუნეების განმავლობაში არსებობისათვის გამოიწვევდა უზარმაზარ სამეცნიერო თუ ფსევდო-სამეცნიერო ლიტერატურას ვრცელი გამოკვლევების, მონოგრაფიებისა თუ სტატიების სახით, რომელთა რიცხვი სადღეისოდ რამდენიმე ათეულ ათასს აღემატება.

„საუკუნეების მანძილზე, პლატონიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე, — წერს სახელგანთქმული ფრანგი სწავლული, ოკეანეების იდუმალ სიღრმეთა დაუცხრომელი მკვლევარი ჟაკ-ივ კუსტო, - მოაზროვნეთა ლეგიონები ქმნიდნენ და ქმნიან თავიანთ ჰიპოთეზებს ამ ქვეყნის შესახებ. ფილოსოფოსები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, მისტიკოსები, საიდუმლო ორდენებისა თუ ლოჟების წევრები, ყველა ეროვნების მეცნიერები, ფანტასტები — ჩამოთვლა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, — გულმოდგინედ აანალიზებდნენ და აანალიზებენ ამ ფანტასტიურ ისტორიას. კუნძულის დანთქმა ზღვის სიღრმეში და დიადი ცივილიზაციის დაღუპვა არავის არ ტოვებს გულგრილს... ატლანტიდა ოცნების, მაღალი სულიერებისა და პოეტურობის შერწყმაა. ზოგი მასში მისტიურ საწყისს ხედავს და დარწმუნებულია, რომ ჯერ კიდევ ხელშეუხებლად ინახება ერთგვარი ძველისძველი ცოდნა, ჩვენამდე კი მხოლოდ მისმა დამახინჯებულმა ფრაგმენტებმა მოაღწია. ეს ცოდნა აზრითაა სავსე, მაგრამ ჩვენ მისი წვდომა არ შეგვიძლია. პირწმინდად რაციონალურ პოზიციაზე მდგომთათვის კი ატლანტიდა იყო და კვლავაც რჩება მომნუსხველ ისტორიულ და გეოლოგიურ გამოცანად".

თუმცა პლატონის ნააზრევში ჩვენ ვხვდებით კიდევ უფრო სენსაციურ ცნობას, რომლის თანახმადაც დრო უზარმაზარ დროულ ციკლთა დამლევს „უკუღმა" იწყებს დენას (ამ ციკლთა ხანგრძლივობა, „სახელმწიფოს" მიხედვით 12960000 მიწიერ წელს შეადგენს; ესაა ე. წ. „გეომეტრიული რიცხვი", რომელსაც ტრადიცია „პლატონურ რიცხვსაც" უწოდებს): ეს — სამყაროს ევოლუციათა და ინვოლუციათა

1 ამას ეგვიპტელი ქურუმი ეუბნება დიდ ათენელ კანონმდებელს სოლონს (დაახლ. 638-559 წ. ძვ. წ. ა.), პლატონის შორეულ ნათესავს.

ურთიერთმონაცვლე ციკლებია. თავის ერთ-ერთ გვიანდელ დიალოგში „პოლიტიკოსი" პლატონი წერს: „ღმერთი ხან წარმართავს სამყაროს მოძრაობას, ხან კი ხელს იღებს მასზე, როცა კოსმიური წრებრუნვა დროში სათანადო ზომას აღწევს. მაშინ სამყარო, თავისი თავის ბატონ-პატრონი, საპირისპირო მიმართულებით იწყებს ბრუნვას". ეს კი ნიშნავს, რომ სამყაროსთან ერთად დროც საპირისპირო მიმართულებით მიიქცევა, რადგანაც მას, „ტიმეოსის" თანახმად, ციურ სხეულთა მოძრაობა განსაზღვრავს და განაპირობებს: ღმერთმა „განიზრახა შეექმნა მარადისობის ერთგვარი მოძრავი ასლი და, ცის[1] წესრიგთან ერთად, უძრავი მარადისობის ხატად შეექმნა მოძრავი და მარადმედინი ხატება, რომელიც რიცხვთა კანონის მიხედვით მიედინება და რომელსაც დროს ვუწოდებთ ჩვენ. რადგანაც ცის დაბადებამდე არც დღეები იყო და არც ღამეები, არც თვეები და წლები, არამედ მათი დასაბამი ციური წესრიგის შექმნასთან ერთად იქნა დასახული... და, აი, დროის დასაბადებლად დაიბადნენ მზე, მთვარე და ხუთი სხვა მნათობი, რომლებსაც პლანეტებს ვუწოდებთ; დაიბადნენ, რათა განესაზღვრათ და დაეცვათ დროის რიცხვი".

სამყაროს უკუმოძრაობა და დროის საპირისპირო დინება, „პოლიტიკოსის" მიხედვით, კატასტროფულ ზემოქმედებას ახდენს ცოცხალ არსებათა ბუნებაზე და ძირფესვიანად ცვლის მას: „ყოველივე მოკვდავმა უცებ შეწყვიტა სიბერისაკენ სვლა და... საპირისპირო მიმართულებით მოძრაობისას გაჯეელდა და გაახალგაზრდავდა: ხანში შესულებს ჭაღარა თმა გაუშავდათ, წვეროსნებს ლაწვები გაუგლუვდათ და კვლავ გაჭაბუკდნენ; ყმაწვილებს კი ყოველდღე და ყოველღამ უნაზდებოდათ სხეული, ვიდრე სულითაც და ხორცითაც ახალშობილთ არ დაემგვანენ. შემდეგ კი ყველამ ჭკნობა დაიწყო და არარად იქცა".

მაგრამ ეს საბედისწერო მეტამორფოზი მარტოოდენ ცოცხალ არსებებს კი არ მოიცავს, არამედ კოსმიურ კატაკლიზმად გარდაიქმნება: ინვოლუციის პროცესი თანდათანობით ქაოსში ითრევს სამყაროს, და ასე გრძელდება მანამ, სანამ „დიადი მესაჭე" — არსთა გამრიგე ღმერთი — კვლავ ხელში არ აიღებს სამყაროს მართვას, რათა ამრიგად დაიწყოს ევოლუციის ახალი ციკლი: „მესაჭეს განშორებული კოსმოსი ერთხანს კვლავ ძველებურად ასრულებს თავის წრებრუნვას, მაგრამ, დროთა განმავლობაში, დავიწყების მოძალებასთან ერთად, ძველი უწესრიგობაც ეუფლება, ასე რომ, მასში სიკეთის ნატამალიღა რჩება, ბოროტება კი თანდათანობით მატულობს, რის შედეგადაც მთელ კოსმოსს თვითგანადგურებისა და, რითაც სავსობს, ყოველივე იმის დაღუპვის საფრთხე ემუქრება. მაშინ არსთა გამრიგე ღმერთი, რომელიც ხედავს, რომ ამ განსაცდელში მყოფ სამყაროს მისივე ბორგვა დაშლასა და არყოფნის უფსკრულში დანთქმას უქადის, — კვლავ ხელში იღებს საჭეს, რათა მხსნელად მოევლინოს ყოველივე სნეულსა თუ დაშლილ-დარღვეულს და მისთვის ჩვეული გეზით წარმართოს სამყაროს წრებრუნვა".

„პოლიტიკოსის" ეს პასაჟი თითქმის მთელი 2400 წლის მანძილზე რჩებოდა „შებრკოლების ლოდად", რომელზედაც იმსხვრეოდა ფილოსოფიის ისტორიკოსების, მთარგმნელებისა თუ კომენტატორების ძალისხმევა, ამაოდ რომ ცდილობდნენ დროის უკუქცევის ფარული აზრის წვდომას. XVIII საუკუნიდან მოყოლებული, უკუმოუქცევლად მედინი ხაზოვანი დროის ცნებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი ადამიანთა შეგნებაში, რომ დროის უკუღმა მოძრაობის პლატონური კონცეფცია მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ჟინიან თამაშად აღიქმებოდა, ვიდრე თანამედროვე ფიზიკის, ასტრონომიისა და კოსმოლოგიის მიღწევებმა არ გვაიძულა სულ სხვა თვალსაზრისით განგვეხილა და გაგვეანალიზებინა საკითხის არსი.

აქ მინდა მოვიტანო ჩემი ესსეს — „დრო, სიცოცხლე, ცნობიერება" ერთი პასაჟი, ე. წ. „დიდი აფეთქების" თეორიას რომ ეხება:

„1929 წელს დიდმა ამერიკელმა ასტრონომმა ედვინ პაუელ ჰაბლმა სპექტრული ანალიზის მეშვეობით დაადგინა, რომ სამყარო ფართოვდება: გალაქტიკები ერთმანეთს შორდებიან ფანტასტიური სიჩქარით, რომელიც მათ შორის მანძილის პროპორციულია. ეს სიჩქარე შესაძლებელს ხდის იმ მომენტის გამოთვლას, როცა დაიწყო გალაქტიკების დაშორიშორების პროცესი. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი გალაქტიკა უნდა იყოს ამ უსასრულოდ გაფართოებადი სამყაროს ცენტრი; მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით: საქმე ისაა, რომ ნებისმიერი სხვა გალაქტიკიდანაც დამკვირვებელს იგივე სურათი წარმოუდგებოდა თვალწინ. სამყარო ფართოვდება, მაგრამ ამ გაფართოების ცენტრი არ არსებობს. ასე რომ, დღევანდელ კოსმოლოგიურ კონცეფციასაც საკმაოდ ზუსტად ესადაგება პასკალის სიტყვები: „სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, პერიფერია კი არსად".

რამ მისცა დასაბამი გალაქტიკათა დაშორიშორების ამ უწყვეტ პროცესს? ოდესღაც, როგორც ვარაუდობენ, კოლოსალური სიმკვრივისა და კოლოსალური ტემპერატურის მქონე მთელი სამყაროული მატერია მოქცეული იყო უკიდურესად მცირე მოცულობის ფარგლებში (ე. წ. „წერტილოვანი მასა"); თუმცა მას არც ეთქმოდა მატერია: არსებითად, ეს ნივთიერების თვისობრივად სხვაგვარი მდგომარეობა იყო. 12 თუ 15

1 „ცა" აქ „სამყაროს" ნიშნავს.

მილიარდი წლის წინათ ეს „წერტილოვანი მასა“ აფეთქდა. გრანდიოზული აფეთქების შემდეგ, უწინარეს ყოვლისა, დაიწყო პირველადი ნივთიერების ყოველი მიმართულებით გატყორცნისა და ტრანსფორმირების პროცესი, რის შედეგადაც დასაბამი მიეცა მატერიის უმცირეს წარმონაქმნებს — ელემენტარულ ნაწილაკებს, ელექტრონებს, ატომთა ბირთვებს, თვით ატომებს და მოლეკულებს, მერე კი, მიზიდულობის ძალთა მოქმედებით, — ატომებისა და მოლეკულების გიგანტურ ღრუბლებს, რომელთა თანდათანობითი შემკვრივების შედეგად სამყაროს უსასრულო სივრცეში იშვნენ ვარსკვლავები და მათი გრანდიოზული ასოციაციები თუ ზეასოციაციები — გალაქტიკები და მეტაგალაქტიკები.

როგორც აღვნიშნეთ, „დიდი აფეთქება“ დაახლოებით 12-15 მილიარდი წლის წინათ უნდა მომხდარიყო. მანამდე კი არც დრო არსებობდა და არც სივრცე. დრო სამყაროს შექმნასთან ერთად შეიქმნა. ამ მხრივ, თანამედროვე კოსმოგონიური კონცეფცია, არსებითად, ეთანხმება როგორც იდეალისტური ფილოსოფიის (პლატონი, პლოტინი და სხვ.), ისე ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისსაც. თუმცა აქ უმჯობესია ნეტარ ავგუსტინეს მოვუსმინოთ:

„თუკი მართებულად განვასხვავებთ მარადისობასა და დროს, კერძოდ, იმას, რომ შეუძლებელია დროის არსებობა რაიმე მოძრავის გარეშე, მარადისობისათვის კი უცხოა ყოველგვარი ცვალებადობა, ვინ ვერ შენიშნავს, რომ არ იქნებოდა დრო, თუკი არ იქნებოდა ქმნილება, რომელიც რალაცნაირი მოძრაობით შეცვლიდა რამეს?.. ვინ იტყვის, რომ სამყაროზე უწინარეს უკვე იყო სხვა რამ ქმნილება, რომლის ცვლილებითაც შეიძლებოდა ედინა დროს? მაგრამ რაკი წმიდა და უჭეშმარიტესი წერილი ამბობს, რომ „დასაბამად ქმნნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“, რათა არავინ იფიქროს, თითქოს მანამდე შექმნილიყოს სხვა რამე..., ამიტომ ეჭვშეუვალად შეიძლება ითქვას, რომ სამყარო შექმნილია არა დროში (in tempore), არამედ — დროსთან ერთად (cum tempore), ვინაიდან ის, რაც დროში იქმნება, ან ამა თუ იმ დროის შემდეგ, ან ამა თუ იმ დროზე უწინარეს იქმნება, ესე იგი, წარსულის შემდეგ და მომავალზე უწინარეს. მაგრამ შეუძლებელია წარსული ყოფილიყო სამყაროზე უწინარეს, ვინაიდან არ იყო ქმნილება, რომლის ცვალებადი მოძრაობითაც შეეძლო ედინა დროს. ამიტომ სამყარო დროსთან ერთად შეიქმნა“ (როგორც ვხედავთ, აქ ნეტარი ავგუსტინე მხოლოდ ქრისტიანული თეოლოგიის გარსში აქცევს პლატონის წარმართულ სიბრძნეს. დიდი ღვთისმეტყველი თვითონვე არაერთგზის გვიმოწმებს პლატონიზმის გავლენას მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე)...

ანტიკური თუ ელინისტური ეპოქის, შუა საუკუნეებისა თუ აღორძინების-ახალი თუ უახლესი დროის პირველხარისხოვან მოაზროვნეთა — ფილოსოფოსების, ფიზიკოსების, ასტრონომების, მათემატიკოსების, ფსიქოლოგებისა და სხვ. მთელი პლეადა იკვლევდა და იკვლევს დროის ენიგმურ არსს. საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებიან, ან ერთმანეთის პარალელურად ყალიბდებიან და ვითარდებიან დროის სუბსტანციური და რელატიური, სტატიური და დინამიური თეორიები, აბსოლუტური დროისა და აბსოლუტური სივრცისა თუ სივრცულ-დროული კონტინუუმის ურთიერთსაპირისპირო კონცეფციები... აქ, ვიდრე ჩვენს უშუალო სათქმელზე გადავიდოდეთ, მოკლედ მაინც უნდა შევჩერდეთ თანამედროვე ფიზიკის თავბრუდამხვევ მიღწევებზე. მათი წყალობით ადამიანის მაძიებელი აზრი პირველად გასცდა უშუალო გრძნობადი აღქმის ფარგლებს და მიკრონაწილაკთა იდუმალებით მოცულ სამყაროში შეღწევა შესძლო, სადაც თავი იჩინა ჩვეულ ცნებათა „სიცხადისა“ და „სიაშკარავის“, დღემდე ურყევად მიჩნეულ კანონზომიერებათა წარმოუდგენელმა რღვევამ, და ჩვენს წინაშე გამაოგნებელი, პარადოქსებით სავსე სინამდვილე „გადაიშალა“, რომლის წინაშეც სრულიად უმწეოა ჩვენი სამეტყველო ენაც, ცხოვრებისეული გამოცდილებაც და საყოველდღიურო ლოგიკაც.

პარადოქსულად შეიცვალა დროის დინების ჩვენეული გაგებაც და ცხადი შეიქნა, რომ მაკროსამყაროს კანონზომიერებათა გადატანა (ექსტრაპოლაცია) მიკროსამყაროზე გაუმართლებელი ხდება: „ზღვრულად მცირე სივრცულ-დროულ სფეროებში, — წერს დიდი გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ვერნერ ჰაიზენბერგი, — რომელთა სიდიდის რიგი იგივეა, რაც ელემენტარული ნაწილაკებისა, სივრცე და დრო რალაც უცნაურად ქრებიან, კერძოდ: დროის ესოდენ მცირე შუალედებისათვის ზუსტად უკვე ველარ განვსაზღვრავთ ცნებებს — „უწინ“ და „შემდეგ“. რა თქმა უნდა, სივრცულ-დროული სტრუქტურა, ზოგადად, სულაც არ იცვლება, მაგრამ უკვე ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ექსპერიმენტებში, რომლებიც აღწერენ უკიდურესად მცირე სივრცულ-დროულ სფეროებში მიმდინარე პროცესებს, ირკვევა, რომ ზოგიერთი პროცესი თითქოს იმის საპირისპირო მიმართულებით მიედინება, რაც შეესაბამება კაუზალურ თანმიმდევრობას“. ეს კი ნიშნავს, რომ შედეგი, გარკვეული აზრით, წინ უსწრებს მიზეზს (ნუ დავივიწყებთ, რომ შედეგი, არსებითად, მხოლოდ სახეცვლილი მიზეზია). უკუმოუქცევლად მედინი ხაზოვანი დროის კონცეფციას თვით ზუსტ მეცნიერებათა სფეროშიც პირველი ბზარი გაუჩნდა.

ზოგიერთი ასტროფიზიკური კონცეფციის თანახმად, დროის „უკუქცევის“ დაახლოებით ანალოგიურ სურათს გვთავაზობს მაკროკოსმოსური სინამდვილეც. მაგრამ აქ ჩვენ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ „სამყაროს დასაბამს“ — კოლოსალური სიმკვრივისა და კოლოსალური ტემპერატურის მქონე „წერტილოვან მასას“, სადაც დრო და სივრცე თითქოს გასრესილი იყო წარმოუდგენელი წნევის შედეგად (ერთგვარი „აბსოლუტური ნული“ თუ, მითოლოგიური ტერმინოლოგიის მოყვარულთა მიხედვით, — „კოსმიური კვერცხი“). ზემოთ უკვე ითქვა, რომ „დიდი აფეთქების“ შემდეგ დაიწყო პირველადი ნივთიერების ყოველი მიმართულებით გატყორცნისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფორმირების პროცესი. სამყაროს არსებობის ამ საწყის ეტაპზე ნივთიერების მდგომარეობა, არსებითად, პლაზმური მდგომარეობა იყო. როგორც ფიზიკოსები აღნიშნავენ, ძალზე მაღალი ტემპერატურისა და ძალზე მაღალი სიმკვრივის პირობებში პლაზმა ელექტრომაგნიტური გამოსხივებისათვის გაუმჭვირვალია, ასე რომ, „შედედებული“ პლაზმის შიგნით მიმდინარე სხვადასხვა პროცესში მონაწილე ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ზემოხსენებული „ნადედიდან“ გამოსვლა არ შეუძლია. მაგრამ პლაზმა ამ მდგომარეობაში არამდგრადია და ძალიან სწრაფად ფართოვდება, ეს კი, ცხადია, მის თანდათანობით გაციებას იწვევს, რის შედეგადაც ელექტრომაგნიტური გამოსხივება თავს აღწევს პლაზმის ტყვეობას და გაფართოებადი სამყაროს სივრცეში მოგზაურობას იწყებს. რაკი ეს გამოსხივება სამყაროს არსებობის საწყის ეტაპს უკავშირდება, ამიტომ მას რელიქტურ გამოსხივებას უწოდებენ.

რელიქტური გამოსხივების არსებობა 1947 წელს იწინასწარმეტყველა დიდმა რუსმა ასტროფიზიკოსმა გიორგი გამოვმა (1934 წლიდან ცხოვრობდა და მუშაობდა აშშ-ში). მისი აზრით, რელიქტური გამოსხივების სპექტრი ზუსტად ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც სრულიად გაუმჭვირვალე („აბსოლუტურად შავი“) სხეულისა, ტემპერატურა კი — დაახლოებით 3K-ის (კელვინის[1]) ტოლი. ვარსკვლავებისა და გალაქტიკების გამოსხივებისაგან მის განმასხვავებელ ნიშნად გამოვს მიაჩნდა სპექტრის სპეციფიკური იერი და, ცის ყოველი მიმართულებით, ერთნაირი ინტენსივობა, ესე იგი, იზოტროპულობის მაღალი ხარისხი. 1965 წელს ამერიკელმა რადიოასტრონომებმა არნო პენზიასმა და რობერტ უილსონმა მათ მიერ ახლად შექმნილი რადიოტელესკოპის ანტენის მეშვეობით მართლაც აღმოაჩინეს ამნაირი გამოსხივება, რომლის სპექტრითაც განისაზღვრა გამოსხივების ტემპერატურა: 2,73 K (-270⁰C). გამოვის ჰიპოთეზა ექსპერიმენტულად დადასტურდა. რელიქტური გამოსხივების, „დიდი აფეთქების“ ამ შორეული „ექოს“ არსებობა დღეს უკვე ქრესტომათიულ ჭეშმარიტებადაა ქცეული. კოსმიური გენეზისის ეს უტყუარი მოწმე, თანამედროვე კოსმოლოგიური კონცეფციის თანახმად, დაახლოებით 10 მილიარდი წლის მანძილზე „დასეირნობს“ სამყაროს უსასრულო სივრცეში.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ რელიქტური გამოსხივება არა მარტო შორეული წარსულის სიღრმიდან, არამედ მომავლიდანაც მოედინება. რას ემყარება ეს ვარაუდი? თანამედროვე კოსმოლოგიური კონცეფციის თანახმად, გაფართოებადი სამყაროს მომავალი, არსებითად, მასში არსებული ნივთიერების სიმკვრივის ხარისხზეა დამოკიდებული. თუ საშუალო სიმკვრივე (დაახლოებით 3 ატომი 1 $მ^3$-ში) ერთგვარი „კრიტიკული სიმკვრივის“ ტოლი ან მასზე ნაკლებია, სამყაროს გაფართოება დაუსრულებლად გაგრძელდება, ხოლო თუ საშუალო სიმკვრივე კრიტიკულზე მეტია, გაფართოება ადრე თუ გვიან შეწყდება და თანდათან შეკუმშვით შეიცვლება. მაგრამ საქმე ისაა, რომ დაკვირვების თანამედროვე საშუალებათა განვითარებისა და მეცნიერული ცოდნის დღევანდელი დონე საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ ზუსტად იქნეს განსაზღვრული სამყაროული ნივთიერების საშუალო სიმკვრივე. ზოგიერთი კოსმოლოგის აზრით, ეს სიმკვრივე შესაძლოა კრიტიკულზე მეტიც კი იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სადღაც შორს, უსასრულო უნივერსუმის „პერიფერიულ“ სივრცეში შეიძლება უკვე მიმდინარეობდეს გალაქტიკების დაშორიშორების ნაცვლად მათი თანდათანობითი დაახლოებისა და სამყაროს შეკუმშვის პროცესი, რის შედეგადაც დრო უკუღმა დაიწყებს დენას.

მეტიც, ზოგიერთი უფრო თამამი ვარაუდის თანახმად, კოსმოსის კიდევ უფრო შორეულ სიღრმეში უკვე დაიწყო სამყაროული არსებობის ახალი ციკლი. ამნაირი ვარაუდის თეორიული საფუძველი უკვე მზადაა. XX ს. ცნობილმა ავსტრიელმა ლოგიკოსმა და მათემატიკოსმა კურტ გედელმა (Gödel) საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ გარკვეულ პირობებში ჩვენი სამყარო ხელახლა უნდა დაუბრუნდეს თავის საწყის მდგომარეობას, რათა თავიდან დაიწყოს მის მიერ ერთხელ უკვე გავლილი ციკლი და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ. ამ დასაბუთებას მხარს უმაგრებს ინგლისელი ასტრონომის პ. დევისის „მფეთქავი (პულსირებადი) სამყაროს“ მოდელი, სადაც დრო წრიულად ბრუნავს, ხოლო სამყაროს დაბადებათა და გადაგებათა რიცხვი უსასრულოა. ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ს. ვაინბერგი კი ასე აღგვიწერს მორიგი კოსმიური ციკლის დასასრულს: მას შემდეგ, რაც დაიწყება სამყაროს შეკუმშვა,

1 თერმოდინამიკური ტემპერატურის საზომი ერთეული, რომლითაც იწყება ათვლა „აბსოლუტური ნულიდან“ (-273⁰ C).

მილიონობით წლის მანძილზე არ მოხდება არაფერი, რასაც შეეძლო ჩვენი შორეული შთამომავლების შეშფოთება გამოეწვია. მაგრამ როცა სამყარო დღევანდელი განზომილებების 1/100-მდე შეიკუმშება, ღამეული ცა დედამიწას თავს დააფრქვევს იმდენ სითბოს, რამდენიც ამჟამად დღისით იფრქვევა მის ზედაპირზე. გაივლის შემდეგი 70 მილიონი წელი, სამყარო კიდევ ათჯერ და უფრო მეტადაც შეიკუმშება და ჩვენი მემკვიდრეების[1] ზემოთ თვალისმომჭრელად მოლაპლაპე ზეცა გადაიშლება, ხოლო მომდევნო 700 წლის შემდეგ სამყაროს ტემპერატურა ათეულ მილიონობით გრადუსს მიაღწევს და ვარსკვლავები და პლანეტები გამოსხივების, ელექტრონებისა და ბირთვების მოთუხთუხე მასად, „კოსმიურ ბულიონად" იქცევიან...

ახალი კოსმიური ციკლისა და „დროის საპირისპირო მიმართულებით დინების დასაწყისი სამყაროული მასშტაბით იმ მოვლენის ანალოგიური იქნება, კოლაპსირებად ვარსკვლავზე რომ ხდება. — წერს რუსი სწავლული ა. გარბოვსკი, — ამნაირი ვარსკვლავის ზედაპირზე მდებარე პირობითმა საათმა ჯერ უნდა შეანელოს მოძრაობა, შემდეგ კი, როცა შეკუმშვა... კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, — სულაც გაჩერდეს. ხოლო როდესაც ვარსკვლავი ჩვენი სივრცე-დროის არედან „გაქრება",[2] პირობითი საათის პირობითი ისრები უკუღმა დაიწყებენ ბრუნვას, ესე იგი, დრო უკუიქცევა. მაგრამ ყოველივე ამას ჩვენი ვარსკვლავის ზედაპირზე მდგარი ჰიპოთეტური დამკვირვებელი ვერ შეამჩნევს. სვლის შენელება, შეჩერება და დროის საპირისპირო მიმართულებით დინება შეიძლებოდა შეენიშნა მხოლოდ იმას, ვინც თითქოს „გვერდიდან" აკვირდება კოლაპსირებად სისტემას. თუ ჩვენი სამყარო ერთადერთია და მის გარეშე არა არის რა, — არც მატერია, არც დრო, არც სივრცე, — არც რაიმე „გვერდითი" მზერა იქნება, რომელიც შენიშნავდა დროის მსვლელობის შეცვლასა თუ მის უკუქცევას".

და კიდევ ერთი ანალოგი: პოლ ვალერი ასე ახასიათებს ჩასაქრობად განწირული ვარსკვლავის უკანასკნელ კიაფს, უკანასკნელ გამოსხივებას: „მისი საკუთარი წარსული გზას ადგას ჩვენი მომავალი აწმყოსაკენ". სამყაროს ერთი ციკლის დასასრულისა და მეორის დასაწყისის „ცნობა" ასევე შეიძლება მოჰქონდეს ჩვენსკენ ახალი კოსმიური ციკლის უტყუარ მაცნეს — რელიქტურ გამოსხივებას. „ეს გამოსხივება, როგორც ჩანს, მარტო წარსულიდან კი არ მოდის, არამედ მომავლიდანაც! ესაა „სამყაროული ხანძრის" ათინათი, შემდგომი ციკლიდან რომ იღებს დასაბამს, ციკლიდან, რომლისგანაც იბადება ახალი სამყარო. რელიქტური გამოსხივების ტემპერატურა, დღევანდელი დაკვირვებით, აბსოლუტურ ნულზე 3⁰-ით მაღალია ესაა ტემპერატურა „ელექტრომაგნიტური აისისა", ახალი სამყაროს დაბადებას რომ იუწყება" (ა. გარბოვსკი).

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვეობის ყველა ფიზიკოსი, ასტრონომი თუ კოსმოლოგი როდი იზიარებს ამ თვალსაზრისს. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ კაცთა მოდგმის ისტორიისა და სამყაროს განვითარების ციკლური თეორია, ბრაჰმას „დღეებისა" და „ღამეების" მონაცვლეობიდან მოყოლებული სამყაროთა შობის და კვდომის დღევანდელი კოსმოლოგიური კონცეფციებისა და დროის მარადიული წრებრუნვის ყველაზე თამამი ჰიპოთეზების ჩათვლით, ოდითგანვე არსებობდა ადამიანის სულში (აი, სიტყვები, რომლებსაც „ბრაჰმაივართა პურანა" ათქმევინებს ვედური რელიგიის უზენაეს ღვთაებას — ინდრას, ჭექა-ქუხილისა და მეხთატეხის ღმერთს: „ჩემთვის ცნობილია სამყაროს საზარელი რღვევა. მე მინახავს, როგორ ისპობა ყველაფერი; ისპობა გამუდმებით, ყოველი ციკლის დამლევს. ამ საშინელ ჟამს თვითეული ატომი იშლება მარადისობის წყლების პირველად ნაწილაკებად, რომელთაგანაც ოდესღაც იშვა ყველაფერი... ეჰა, ვინ დათვლის უკვალოდ გამქრალ ან ხელახლა შობილ სამყაროებს, ერთიმეორის მიყოლებით რომ ამოიზიდებოდნენ მარადისობის წყლების უსახო უფსკრულიდან? ვის შეუძლია აღნუსხოს ამ სამყაროთა წარმავალი ეპოქები, დაუსრულებლად რომ ცვლიან ერთმანეთს?"). ერთის მხრივ, სამყაროს საიდუმლოებათა ინტუიტური წვდომა, ხოლო მეორეს მხრივ, მათი რაციონალური შემეცნება, არსებითად, ერთსა და იმავე სურათს გვთავაზობს. საკითხავი მხოლოდ ისაა, ამ ორ გნოსეოლოგიურ ფენომენს შორის ულრმესი შინაგანი კავშირი, „სისხლხორცეული" ნათესაობა არსებობს, თუ მათი მსგავსება უფრო სრული როდია, ვიდრე მსგავსება წარმოსახვის ძალით ასევე წარმოსახულ სივრცეში თავბრუდამხვევი სისწრაფით მფრინავ ზღაპრულ ხალიჩასა და თანამედროვე რეაქტიულ თვითმფრინავს შორის.

ადამიანის ცნობიერებას დღემდე არ მოეპოვება ამ მრავალმხრივ საგულისხმო კითხვის პასუხი.

1 თუკი, საერთოდ, გადარჩა ვინმე.

2 გიგანტური მასის მქონე ვარსკვლავი, რომლის დიამეტრიც ბევრად აღემატება მზისას, კოლაპსურ ფაზაში გადასვლის შემდეგ საშუალებას აღარ მისცემს ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას მისი ზედაპირი მიატოვოს, რის შედეგადაც „მოვლენათა ჰორიზონტის" მიღმა გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ე. წ. „შავ ხვრელად" იქცევა და შორეული დამკვირვებლისათვის მიუწვდომელი ხდება. მისი აღმოჩენა მხოლოდ მძლავრი გრავიტაციული ველის საშუალებითაა შესაძლებელი.

ვახტანგ იორდანიშვილი
ბიბლიოთეკა

# საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხებს შორის, რომელთაც ისტორიული განვითარების გრძელი გზა განვლეს, ქართველ ხალხს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისთვის დამახასიათებელია ღრმა ტრადიციულობა, საკუთარი დამწერლობის, რაფინირებული სალიტერატურო ენის, კუთხური თავისებურებებით აღჭურვილი დიალექტების, მაღალგანვითარებული საეკლესიო და საერო მწერლობის, ორიგინალური მდიდარი კულტურის არსებობა.

ქართველი ხალხის მრავალწახნაგოვანი კულტურის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს სულიერ კულტურას, რომლის უმნიშვნელოვანეს ფენომენად გვესახება სხვადასხვა ეპოქაში ფუნქციონირებადი რწმენა-წარმოდგენები და რელიგიური მსოფლმხედველობა. საქართველოში არსებული რელიგიური მიმდინარეობანი ქართველი ხალხის ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის ევოლუციის პროცესში ყალიბდებოდა და, ამდენად, მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

შეუძლებელია იმ უდაო ჭეშმარიტების უარყოფა, რომ რელიგიური აზროვნების უმაღლესი დონე ქრისტიანობაში, სახელდობრ, მართლმადიდებლურ მოძღვრებაში განსახიერდა. ეს მოძღვრება საქართველოში 20 საუკუნეს მოითვლის, მაგრამ მის გავრცელებამდე ფუნქციონრირებდა სხვადასხვა სახის რწმენა-წარმოდგენები, რაც ცნობილია როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემე ბით.

წერილობითი წყაროებიდან, რომლებიც ქართლში წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს გვაცნობენ, ყველაზე ძველი ვითარების მაჩვენებლებს მოიცავს „მოქცევაჲ ქართლისაჲ" (IX ს.). მისი ანონიმი ავტორი ამ რეგიონში ადასტურებს რელიგიური სინკრეტიზმის არსებობას, რამდენადაც მცხეთაში კაპადუკიელი წმინდა ნინოს მოსვლის დროისათვის თაყვანისცემის ობიექტებს წარმოადგენდნენ ცეცხლი, ქვა და ძელი. აქედან ქვასა და ძელში განსახიერებული იყო კერპთაყვანისმცემლობა, ხოლო ცეცხლისადმი მსახურება გამოხატავდა ცეცხლთაყვანისმცემლობას, სახელდობრ ირანული მაზდეანობის მოქმედებას.

ნინო იმ რწმენით შეუდგა ქრისტიანობის ქადაგებას, რომ ხალხის შეგნებიდან ამოეშანთა „მოგუებასა და ცთომასა შინა" სიბნელეში ყოფნა. აღნიშნულის გამომხატველია მისი შემდეგი სიტყვები: „მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ ღმრთისა მიმართ ცთომათა მათთჳს ქუეყანისა ჩრდილოოისათა (ქართლის — ვ. ი.) დაფარვასა ნათლისასა და დაპყრობასა ბნელისასა. ვხედევდი მეფეთა მათ და ძალდიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარი ჯოჯოხეთსა. და იტყოდეს დამბადებლად ქვათა და ძელთა და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჭედილსა, ღმრთად თაყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად" („ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", I, თბ., 1963, გვ. 120).

მოქმედი რწმენის შერყევისა და ახალი მოძღვრებისადმი იმედისა და ნდობის განმტკიცების უცილობელ პირობას წარმოადგენდა წარმართული კერპებისა და ღვთაებათა პანთეონის განადგურება. „ძეგლის" მიხედვით, ეს განხორციელდა ღვთის წყალობით და აქედან იწყება შთამაგონებელი ქადაგება აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისათვის, მაგრამ ეს არ იყო უმტკივნეულო პროცესი. ძველი და ახალი იდეოლოგიის ჭიდილში დაპირისპირებული მხარეები მოქმედებდნენ, მაგრამ არმაზის მსხვრევისა და თხოთის მთაზე სასწაულებრივი ჩამობნელების შემდეგ თვით მირიან მეფის მრწამსიც რადიკალურად იცვლება და ნინოს სამისიონერო მოღვაწეობასაც გზა ეხსნება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ჩვენებით, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება იწყება IV საუკუნის 30-იანი წლებიდან, მაგრამ მისგან განსხვავებით დასავლეთ საქართველოში ეს პროცესი ბევრად ადრე დაიწყო. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისათვის ჯერ კიდევ I საუკუნეში იღვწოდნენ მოციქულები: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათია, თომა, ბართლომე და თადეოზი. ამათგან ორი მოციქული — სვიმონ კანანელი და მატათია საქართველოში განისვენებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანდრია პირველწოდებულის ღვაწლი ეკლესიების დაფუძნების საქმეში. წერილობითი წყაროების მიხედვით მან ხელი დაასხა საქართველოს პირველ ეპისკოპოსს აწყურში და მას შეუქმნა საეპისკოპოსო კათედრა. ეს არის საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ჩვენში ქრისტიანული ეკლესია და მორწმუნეთა თემები უწყვეტად არსებობდნენ I საუკუნიდან. ქართველი ხალხი ქრისტიანობას მისი წარმოშობის დროიდანვე უნდა გასცნობოდა ერთი მხრივ საქართველოში მოსახლე ებრაელებისა და ბერძენ-რომაელი მოხელეების და, მეორე მხრივ, მაღალი სამხედრო წრეების ქართველ-

ებისა და მოლაშქრე-მეომართა მეშვეობით. მოღწეულია ცნობა ქართველი წარმართი მეფის **რევ მართლის** შესახებ (დაახლ. III ს-ის შუა წლებში), რომელიც სახარებას „მცირედ" გაცნობილი ყოფილა. მას ქრისტიანობის გავლენით აუკრძალავს ზოგიერთი წარმართული ჩვეულება, შემოუღია ღარიბთათვის დახმარება და ა.შ. ქრისტიანობა ადრიდანვე იმდენად მომძლავრებული ყოფილა, რომ უკვე ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას (325 წ.) ესწრებოდნენ ტრაპიზონისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები. შავიზღვისპირა ქალაქების ქრისტიანულ მრევლში ბერძნებთან ერთად ქართველი მოსახლეობაც იგულისხმებოდა. ყოველივე ამის მიუხედავად დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიის სტატუსი არ მიუღია. სამაგიეროდ, ქართლის (იბერიის) სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნეში, რაც თავისთავად დიდი ბრძოლისა და წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად განხორციელდა. ამ მხრივ არსებით განსხვავებას ჰქონდა ადგილი ბარისა და მთის ზონაში. თუ მცხეთასა და მის შემოგარენში წარმართული პანთეონის მსხვრევის შემდეგ ქრისტიანობა ჯერ იბერიის სამეფოს ზედაფენებში და შემდეგ მოსახლეობაში ახალი სარწმუნოების აღიარებით იქნა ამაღლებული, ამ რელიგიის გავრცელებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მთიანეთში, სადაც ასე იოლად არ თმობდნენ წარმართულ რწმენას და კულტის მსახურებას. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულება – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა" სრულსა და დამაჯერებელ სურათს გვიხატავენ იმის შესახებ, თუ მთიელთა მოქცევისათვის რაოდენ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ არა მარტო მისიონერებს, არამედ სამეფო ხელისუფლებასაც.

სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის აღიარება თავისთავად დიდი მონაპოვარი იყო, მაგრამ მისი სიცოცხლისუნარიანობისა და სიტმკიცის შენარჩუნება მოითხოვდა შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებას. მხედველობაში მაქვს ეკლესიების დაფუძნება და მისი მომსახურე პერსონალის ამოქმედება. ეს ფაქტორი თავიდანვე იყო გათვალისწინებული, როდესაც წმინდა ნინოს და მირიან მეფის შეთანხმებული გადაწყვეტილებით „მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი, და წიგნი ელენე დედოფლისაჲ, და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოსთჳს" („ძეგლები", ტ. I, გვ. 86). საბერძნეთიდან მოსულმა სამღვდელოებამ მცხეთაში სამეფო კარიდან დაიწყო მონათვლის წესების აღსრულება: „და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მოიღო მირეან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმა" (გვ. 86).

ვინაიდან სამეფო სახლის, დიდგვაროვანთა და რიგითი მოსახლეობის ნათლისღება იბერიის დედაქალაქიდან დაიწყო, ქართლის პირველი საეპისკოპოსო კათედრაც აქ დაარსდა, რომლის მეთაურიც მთავარეპისკოპოსად იწოდა. ამ ტიტულს ის V საუკუნემდე ატარებდა და, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, ქართული ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა ჯერ კონსტანტინეპოლის, შემდეგ კი ანტიოქიის საპატრიარქოებს. ის ავტოკეფალური გახდა V საუკუნეში, ან უფრო ადრეც – IV ს-ის პირველ ნახევარში.

ამგვარი ვითარება უკავშირდება ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს, როდესაც მდგომარეობას ჯერ კიდევ უკიდურესად ართულებდა რამდენიმე ფაქტორი: 1. მცხეთის საეპისკოპოსო მრევლის მცირერიცხოვნება, რამდენადაც ქრისტიანობა პირველ ხანებში ვრცელდებოდა ამ იდეოლოგიის მხარდამჭერ ფეოდალურ ზედაფენაში, ხოლო რიგითი მოსახლეობა ძნელად თმობდა საუკუნეების მანძილზე ფესვებგამდგარ წარმართობას და რამდენადმე ირანიდან შემოსულ ცეცხლთაყვანისმცემლობასაც; 2. სხვადასხვა რელიგიების ურთიერთდაპირისპირება; 3. ქართლში გავლენისათვის ბიზანტიისა და ირანის ინტერესების შეჯახება.

აღნიშნული მოვლენები შესანიშნავადაა ასახული იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში", რომელსაც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ამ თხზულების მიხედვით, V საუკუნის ქართლში მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის. ერთ მხარეზე იდგა ეკლესია, მისი პერსონალი და ჭეშმარიტი მართლმორწმუნე წამებული დედოფლის შუშანიკის სახით, ხოლო მეორე მხარეზე ირანის ხელისუფლების მიერ შემოგდებული ცეცხლთაყვანისმცემლობა, რომლის დამცველად გვევლინება ამ ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი პიროვნება ვარსქენ პიტიახშის სახით. ამ ბრძოლას ემსხვერპლა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი შუშანიკი, მაგრამ მისი მოწამეობრივი სიკვდილი სრულებითაც არ იყო დამარცხების მომასწავებელი. მართლმორწმუნე ადამიანი შეეწირა მისთვის და ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის საწუკვარ სარწმუნოებრივ იდეალს და ამითი ლახვარი ჩასცა მაზდეანობას. ქრისტიანობისათვის თავდადება იმდენად ამაღლებული იყო, რომ დედამ მოგვობას ზიარებული საკუთარი შვილებიც კი უარჰყო.

შუშანიკის ტრაგიკული სიკვდილი იმის მომასწავებელი იყო, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას სხვადასხვა მეთოდებით დაუნდობლად ებრძოდა ირანის ხელისუფლება. მისი მეცადინეობა პირველ რიგში მიმართული იყო ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) გავრცელებისათვის, რისთვისაც განუსაზღვრელი უფლებამოსილებით მოსავდნენ მმართველობის სისტემაში ჩართულ ქართველ ხელისუფალთ, რაც სახიერდებოდა გადაბირებული პიტიახშის ანტიქრისტიანული და, ამდენად, ანტიეროვნული ქმედებით. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც ირანის ხელისუფლება

ზოროასტრიზმის პერსპექტივის იმედს კარგავდა, ქრისტიანობის ორი მიმდინარეობიდან — დიოფიზიტობიდან და მონოფიზიტობიდან მხარს უჭერდა მონოფიზიტობას. ამ საშუალებით ირანის სახელმწიფო პოლიტიკა უპირისპირდებოდა დიოფიზიტობას, და ამდენად, ბიზანტიას, რათა ქართლის სამეფოზე მისი გავლენა შეესუსტებინა.

ვახტანგ გორგასალმა რეალურად შეაფასა შექმნილი ურთულესი სიტუაცია და ირანის ხელისუფლების დამანგრეველი ზეგავლენისაგან განთავისუფლების მიზნით უკიდურეს ზომას მიმართა — მოაკვლევინა ვარსქენ პიტიახში, როგორც ირანის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად მდგომარეობის ნორმალიზაციას ხელს უშლიდა ქვეყნის შიგნით არსებული ვითარება, განსაკუთრებით კი ანტიქრისტიანული საქმიანობა ეკლესიის შიგნით, როდესაც V საუკუნის 30-იან წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსად იჯდა **მობიდანი**, წარმოშობით სპარსი, ქართლში გაბატონებული „ქრისტიანული მრწამსის" — მანიქეიზმის ფარული მიმდევარი. მანიქეიზმს კი, როგორც ზოროასტრიზმისა და ქრისტიანობის სინთეზს, ირანში საფუძველი დაუდო ნახევრადმითიურმა მანიმ (216-277). მობიდანი, თავის თანამზრახველ 4-5 მღვდელმთავართან ერთად ცნობილი იყო როგორც „შემშლელი წესთა". ის და მისი მომხრეები ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენის მოსასპობად ირანულ რელიგიებს და ირანული ელფერის ქრისტიანულ ერესებს მფარველობდნენ. მობიდანი „ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა".

ანტიქრისტიანული ქმედებით ასევე ცნობილი იყო ქართლში მაზდეანობის გასავრცელებლად ირანის ხელისუფლებისაგან გამოგზავნილი **ბინქარანი** (V საუკუნის II ნახევარი) — მოგვთა (ცეცხლის მსახურთა) უფროსი მცხეთაში, რომელმაც მრავალი ქართველი გადაიბირა. V საუკუნის 80-იან წლებში ირანელთა წინააღმდეგ ქართლის აჯანყების დროს იგი ვახტანგმა დააპატიმრა. ის საპყრობილედან გაიქცა და სიკვდილით დასჯას გადაურჩა. მისი ხელქვეითი მოგვები კი ზოგი ამოწყვიტეს, ზოგიც გააძევეს. თვით ბინქარანი მოკლეს ქართლის საზღვართან, როდესაც ის ირანის ჯარს წინ მოუძღოდა.

ქართლის ცენტრალური ხელისუფლება ენერგიულად ებრძოდა როგორც ცეცხლთაყვანისმცემლობას, ისე ერესებს, უზრუნველყოფდა ერთობას ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, ნიკეა-კონსტანტინეპოლის და ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (325, 381, 451 წ. წ.) დოგმატთადმი ერთგულებას. ამ მხრივ ცნობილია ეპისკოპოს **მიქაელის** (მთავარეპისკოპოსის ტიტულით V საუკუნის 40-70-იან წლებში), ბიზანტიიდან მოწვეული ბერძენი მოძღვარის, ვახტანგ გორგასლის აღმზრდელ-მასწავლებლის დიდი ღვაწლიც. მიქაელი ილვწოდა ქრისტიანობის გავრცელებისათვის, ენერგიულად ებრძოდა ქართლში ფეხმოკიდებულ სხვადასხვა ერესს და მაზდეანობას. მან დაწვა ქართლის ყოფილი ეპისკოპოსის მობიდანის ერეტიკული წიგნები.

მიქაელის მღვდელმთავრად მოღვაწეობის პერიოდში მცხეთის საეპისკოპოსო დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი გახდა. ის, როგორც ქონებრივად მზარდი ორგანიზაცია, იქითკენ ისწრაფვოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისაგან მოეპოვებინა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ ფაქტორების მიხედვით მიქაელი, საეკლესიო ცხოვრებაში დიდი დამსახურების მიუხედავად, ძალაუფლებისა და სიმდიდრის მომხვეჭ მღვდელმთავრად წარმოგვიდგება. იგი არ ემხრობოდა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც ზღუდავდა ეკლესიის დამოუკიდებლობას და უზომოდ გაზრდილ მიწისმფლობელობას. წარმოქმნილი უთანხმოება მეფესა და მიქაელს შორის იმით დამთავრდა, რომ მასთან საამბორებლად მისულ მეფეს მიქაელმა პირკბილში წიხლი უთავაზა. შეურაცხმყოფელი ეპისკოპოსი მეფემ კონსტანტინეპოლს გააგზავნა, რათა პატრიარქს განეკითხა, „ვითარცა ჯერ იყოს". ეპისკოპოსი, რომელსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, შეიწყალეს და მღვიძარეთა მონასტერში გაამწესეს.

მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა დაახლოებით 466-468 წ.წ. შეცვალა ეკლესიის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა, შემოიღო მმართველობის ახალი სისტემა საკათალიკოსოს სახით, მას სათავეში ჩაუყენა კონსტანტინეპოლიდან მოწვეული კათალიკოსი **პეტრე** და დააარსა 12 საეპისკოპოსო ეპისკოპოსთა მეთაურობით. ამის შემდეგ ქართული ეკლესია ბერძნული ეკლესიიდან (ანტიოქიის პატრიარქისაგან) იერარქიულად დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) გახდა. ვახტანგ გორგასალის ინიციატივით მცხეთაში ძველი „დაცემული" ეკლესიის ადგილზე, საკათალიკოსო კათედრად აშენდა ახალი ეკლესია „მოციქულთა" სახელობისა — „სვეტიცხოველი". V საუკუნის შუა წლებამდე ქართლის საეპისკოპოსოში მოქმედებდა ეკლესიები: მცხეთაში — 3, ამათგან ერთი საკათედრო, არტაანისა (ერუშეთში), მანგლისის, წილკნის, ნეკრესის, რუსთავის (კუხეთში), წუნდის, ბოლნისის, სტეფანწმინდის; კლარჯეთში: არტანუჯი, დაბის, მერის, შინდობისანი და ახიზის; კახეთში: ხორნაბუჯის, აგარაკის, კაწრეთის, ბოდბის, ქველდაბის და ა. შ.

ეკლესიების მომრავლება სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეფარდებოდა. მეფის ხელისუფლება და პრივილეგიური ზედაფენა მატერიალური დახმარებით ენერგიულად მონაწილეობდა ეკლესიათა მშენებლობაში, ვინაიდან ეკლესია იყო იდეოლოგიური დამცველი, ეკლესია აკურთხებდა ფეოდალურ სახელმწიფოებრივ წყობილებას, ქადაგებდა სოციალური

უთანასწორობის სასარგებლოდ. ეკლესიე-ბის მშენებელი სახელმწიფო ხელისუფლება და საზოგადოება იმ რწმენით იყო შთაგონებული, რომ „ქართულ ეკლესიას ღრმად ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ტაძრები და მონასტრები ხშირად ციხე-ბურჯებათ იყვნენ ქცეულნი... ეკლესია და მამული მტკიცედ აძლევდნენ მხარს ერთი ერთმანეთს და ამჟამად ძნელიც არის განსაზღვრა იმისა, თუ ვისა ჰქონდა უპირატესობა – სახელმწიფოს, მამულს თუ ეკლესიას – იმგვარად იყვნენ ისინი გადაბმულები და შესისხლხორცებულნი ერთი ერთმანეთთან... საქართველო, წილი ღვთისმშობლისა, მუდმივ ბრძოლაში იყო მაჰმადიანთ წინააღმდეგ. ეკლესია მხარს აძლევს მამულს, წინ უძღვება ღვთისნიერ ჯარს და ღმერთს ევედრება მას დარჩეს გამარჯვება. ჩვენთვის საყურადღებო ყველა ამაში ის არის, რომ ქართულ ძველ ეკლესიას ეროვნული ხასიათი ჰქონდა და ამ სახით მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერისადმი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეკლესიის საზოგადოებრივი სამსახური" (**ა. ჯორჯაძე**, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 304-305).

ქართული ქრისტიანიზმის მებრძოლ ხასიათზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხის დასმისთანავე იშვიათი ზნეობრივი სისპეტაკითა და უზადო პატრიოტიზმით ცნობილი ქართველი „სამღვდელონი" ისეთივე ვაჟკაცური შემართებით ჩაებნენ სამამულო ომებში, როგორითაც ძველი ქართული წესითა და კანონით სამხედროვალდებული „ერისგანნი". ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიული განვითარების ყველაზე ავბედით ეტაპზე ქართული სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა წინამბრძოლებადაც კი იწყეს გასვლა ბრძოლის ველზე, ხოლო ცალკეული „სამღვდელონი" თავისი საარაკო გმირობის მაგალითებით ძლიერ ამხნევებდნენ „ეროვნული ცხოვრების საზღვრების დასაცავად" წარმოებული გაუთავებელი ომებით დამაშვრალ თანამემამულეთ. ცნობილია, რომ საქართველოს ერთიანობის მოშლის შემდეგ, ოთხ სადროშოდ დაყოფილ კახეთის სამეფოში სამ სადროშოს სათავეში ედგნენ ეპისკოპოსები (ბოდბელი, ნეკრესელი, რუსთაველი), ხოლო მეოთხე სადროშოს – მეფის მიერ დანიშნული რომელიმე პირი (უპირატესად ბატონიშვილი). მეტად ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში სპეციალური ქვეთავიც („ეპისკოპოსთა ლაშკრად წასვლისათჳს") კი ეთმობა სამხედრო ოპერაციებში ეპისკოპოსთა მონაწილეობის საკითხს: „არამედ ეპისკოპოზთა სლვა ლაშკართა, ნადირობათა და ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩუეულება იქმნა: რაჟამს უწყეს მაჰმადიანთა შემდგომად დავით მეფისა (იგულისხმება XVI საუკუნის ქართლის მეფე, დავით X – ვ. ი.) დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება და იხილეს ლაღლობა-ულონობა ქუეყნისა ერთა ეპისკოპოზთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოზნი: „ნუ მოლაღლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა, და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩუეულებასა თქუენსა, და ჩუენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქუენნი", და ჰყოფდენცა ეგრეთ (ვითარ მარაბდის ომსა ზედა მრიოველმან ავალიშვილმან, რა მოილო ზიარება, ეტყოდენ: „უკეთუ დღეს აღილებ მახჳლსა ბრძოლად, უბრძანა, რათა გვაზიაროს სხუამან, და უკეთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ". ხოლო იგი იტყოდა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა; ამისთჳს არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქუენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან"). ხოლო მეორე მიზეზი: „ვინაჲთგან შეწერით იყო ლაშკარნი, და ჰყვათ ეპისკოპოზთა აზნაურნი, და მსახურნი, და შეწერილნი გლეხნი წარსლვად ბრძოლასა შინა, ამისთჳს მათთა მოურნეთა თანამდებ იყვნენ წარსლვად, და არს მიერ ჟამითგან ეგრეთ აწამდე" (ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა", „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 37-38).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს, რომ ქართულ ისტორიულ ქრისტიანიზმს „მებრძოლი ქრისტიანობის" ან, სულაც, „მოსაგრე ქრისტიანობის" სახელწოდება მივუსადაგოთ. სწორედ „მებრძოლი ქრისტიანის" ჭეშმარიტი სულისკვეთების და ამაღლებული პათოსის თვალსაჩინო გამოხატულებაა ერთ-ერთ ძველ ქართულ მატიანეში დაუნჯებული შემდეგი ფრაზა: „... აწ მიხედეთ მაშინდელსა მას სიქველესა და მჴეცქმნილობასა და სჯულისა სიმტკიცესა, მკვდრნო საქართველოსანო, ჩინებულნო და რჩეულნო, და თუ ვითარი ახოვნება და გულსმოდგინება აჩუენეს უსჯულოთა ზედა არა დაკნინებისათჳს საქართველოსა, რამეთუ ესრეთ ჯერ უჩნდათ მაშინ ბრძოლა მათი, ვითარმცა მჴეცთა სრვა და შექცევა ყარაიასა შინა" (ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 458).

ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით სამეფო ხელისუფლებამ და საპატრიარქომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ეკლესიების მშენებლობას და ქადაგებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც ეს რელიგია თავისი მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა: ეს პროცესი დაიწყო წილკნის ეკლესიის აშენებით და ამით რეალური ნიადაგი მომზადდა მთიულეთ-გუდამაყრისა და ხევის არაგვთა ხეობებში საეკლესიო მშენებლობისათვის. ამ მხრივ გამორჩეულ რეგიონად მიჩნეულ იქნა ხევი, როგორც ქვეყნის მონაპირე კუთხე და პლაცდარმი ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებისათვის.

ეკლესიების მშენებლობის პარალელურად საქართველოში ფართოდ გაიშალა სამონასტრო მოძრაობა და მონასტრების დაფუძნება. VIII საუკუნიდან დიდი სამონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში, სადაც დაარსებულ იქნა ხანძთის საარქიმანდრიტო (ხანძთა, შატბერდი, გუნათლე და სხვ.). ამ მხარეში მოქმედი მონა-

სტრებიდან აღსანიშნავია: ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა, ხახული და ა. შ. VIII-X საუკუნეებში ქართულ სავანეებში მოღვაწეობდნენ: გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე ზოსიმე, საბა მტბევარი, სერაპიონ ზარზმელი და სხვ.

საქართველოში და საზღვარგარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებს, ფართოდ განსწავლულ მწიგნობრებს, უდიდესი წვლილი შეჰქონდათ როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ქრისტიანულ მწერლობაში. ამ მხრივ ზოგადქრისტიანული მწერლობის სფეროდან აღსანიშნავია „სიბრძნე ბალავარისი" (X ს.) — ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ, რაც შემდეგ ექვთიმე ათონელმა ბერძნულად გადაიღო, აქედან ლათინურად ითარგმნა (XV ს.) და მთელ ევროპაში გავრცელდა.

XI-XII საუკუნეებში ცხოველი მუშაობა გაჩაღდა ბიზანტიური ლიტერატურის ახალი ნიმუშების ქართულ ენაზე გადმოსაღებად და ძველის შესავსებად. ბერძნულიდან ითარგმნა საეკლესიო პრაქტიკისათვის საჭირო ძირითადი ლიტერატურა. საბერძნეთის სასულიერო ცენტრებიდან გადმოიღეს ან აქვე დაიწერა სამონასტრო ტიპიკონები (იერუსალიმის, საბაწმიდის, კონსტანტინეპოლის, ხანძთის და სხვ.). XI-XII საუკუნეებში ითარგმნა ჯერ „მცირე სჯულისკანონი", ხოლო შემდეგ „დიდი სჯულისკანონი" (ნომოკანონი). ითარგმნა და დაიწერა თეოლოგიური და ისტორიული შინაარსის არაერთი თხზულება. დიდი შემეცნებითი ღირებულების ამ საქმიანობაში იღვწოდნენ: ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, არსენ ბერი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები. საეკლესიო ჟანრის ნაწარმოებების გვერდით ამ პერიოდში განსაკუთრებით გამრავლდა საერო თემატიკის ქმნილებები (ისტორიაში, პოეზიაში). მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოსა და უცხოეთის სულიერი კულტურის ისეთ ცენტრებში, როგორიც იყო: გელათის აკადემია (დაარსდა 1106 წ.), შიომღვიმე, ათონი (საბერძნეთში), პეტრიწონი (დაარსდა ბულგარეთში 1083 წ.), იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (დაარსდა XI საუკუნის I ნახევარში), შავი მთა (პალესტინა) და სხვ. მაღალ დონეს მიაღწია მუსიკამ, სახვითმა ხელოვნებამ, საეკლესიო არქიტექტურამ. XI საუკუნეში შეიქმნა ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები: ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, სამთავისი, ალავერდი, ნიკორწმინდა და სხვ. ყოველი ნაწარმოები ხელოვნების, ისტორიის, ლიტერატურის თუ სხვა სფეროში უცილობლად ქრისტიანული რელიგიის დოგმებს და თეოლოგიას უნდა დაქვემდებარებოდა. ქართული ეკლესიის ავტორიტეტი შორეულ გოთიაშიც (ყირიმში) აღწევდა. VIII საუკუნეში მცხეთაში ჩამოვიდა **იოანე გუთელი**, რომელიც ეპისკოპოსად აკურთხა ქართლის კათალიკოსმა.

ეკლესია-მონასტრების ინტენსიური მშენებლობისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის გავრცელების პირდაპირი შედეგი იყო საეპისკოპოსოების რიცხობრივი ზრდა. ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი 12 ეპარქიის შემდეგ მათმა რაოდენობამ შემდგომში მნიშვნელოვნად იმატა. VI საუკუნის ქართლში უკვე მოქმედებდა 24-ზე მეტი ეპარქია, მათ შორის: მცხეთის (შემცირებული ძველი მცხეთის საეპისკოპოსო), ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, ნიქოზის, ცურტავის, რუისის, ურბნისის, ნილკნის, სამთავისის და სხვ. VII საუკუნეში ეპარქიათა რიცხვმა 35-ს გადააჭარბა. XI საუკუნეში საგრძნობლად იმატა ახალი საეპისკოპოსო კათედრების რაოდენობამ. ეკლესიას ებოძა საგადასახადო და სასამართლო შეუვალობა. საქართველოს საპატრიარქოში შემავალი ეპარქიები ადმინისტრაციულად შეესაბამებოდნენ საერისთავოებს და მათ შიგნით არსებულ თემებს. XI საუკუნის დასაწყისიდან დაარსდა საქართველოს საპატრიარქო, რიგით მეექვსე საპატრიარქო მსოფლიოში. ამავე ეპოქიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესაჭე ატარებდა „პატრიარქის" წოდებას. მაგალითად, მელქისედეკი (1010-1033), პირველი კათალიკოს-პატრიარქი საქართველოს საპატრიარქოს ადგილის შესაბამისად რიგით ასევე მეექვსე იყო მსოფლიო პატრიარქთა შორის.

საქართველოს საპატრიარქოსათვის ცნობილი იყო მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება, რომ საეკლესიო საზღვრები მოქცეული ყოფილიყო სახელმწიფო საზღვრებში. მიღებული კანონის შესაბამისად საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია ვრცელდებოდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელზედაც ამჟამად განთავსებულია 27 ეპარქია. XI-XII საუკუნეებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის საკათალიკოსო თავისი საეპისკოპოსოებითურთ, ქალკედონელ მართლმადიდებელ სომხურ თემთა საეპისკოპოსოები, რომელთაც სათავეში ედგათ მიტროპოლიტი, და აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა 40-ზე მეტი ეპისკოპოსი, მათ შორის მცხეთის მთავარეპისკოპოსი, ჭყონდიდელი, მოქველი, ბედიელი, ქუთათელი, მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, მტბევარი, აწჩელი, ერუშნელი, ბანელი, გიშელი, ანელი, მანგლელი, ბოლნელი, დმანელი, ბოდბელი, ნინოწმინდელი, ხარჭაშნელი, ჭერემელი, ნიქოზელი, ალავერდელი, რუსთაველი, ურბნელი, მროველი, სამთავნელი, ნილკნელი, თბილელი და სხვ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიოფიზიტური მიმართულების ავტორიტეტის ზრდის შესაჩერებლად ირანის შაჰები დაპყრობილ ქვეყნებში ბიზანტიური

ორიენტაციის აღმოსაფხვრელად მფარველობდნენ ქრისტიანობის მონოფიზიტურ მიმდინარეობას და სდევნიდნენ დიოფიზიტობას. თავის მხრივ ირანის სახელმწიფოებრივი პოლიტიკით ნაკარნახევ იდეოლოგიურ ზეწოლას უპირისპირდებოდა ბიზანტიური პოლიტიკა და იდეოლოგია. დაპირისპირება და იდეოლოგიური ჭიდილი არაერთგზის გამოვლინდა საეკლესიო კრებებზე (ნიკეის – 325 წ.; კონსტანტინეპოლის – 381 წ.; ქალკედონის – 451 წ.). ბიზანტიის იმპერატორ მარკიანეს ინიციატივით ქალკედონში მოწვეულ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა 640-მდე საეკლესიო მამა. კრებამ განიხილა ბიზანტიელი არქიმანდრიტის ევტიქეს ახალი ქრისტიანული მოძღვრება, რომლის მიხედვითაც იესო ქრისტე იყო არა ორბუნებოვანი, არამედ ერთბუნებოვანი, რომ მას ჰქონდა ერთი ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა. კრებამ ევტიქე ერეტიკოსად გამოაცხადა, ხოლო მისი მოძღვრება მწვალებლობად (ერესად) ცნო. ამის მიუხედავად ევტიქეს მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, რომელთაც ქრისტიანობაში საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას – მონოფიზიტობას. კრებამ მტკიცედ განსაზღვრა მართლმადიდებელი სარწმუნოების შესაბამისი დოგმატი – ქრისტეს ორბუნებოვნება (დიოფიზიტობა). კრებამ დააარსა კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის საპატრიარქოები და შეიმუშავა 30 საორგანიზაციო კანონი, რომელთაგან 28-ე კანონი აღიარებს კონსტანტინეპოლის უპირატესობას და მას „მცირე რომად“ ან „ახალ რომად“ აცხადებს, რაც არ მიიღო დასავლეთის ეკლესიამ.

ქრისტიანობის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 506 წელს საეკლესიო კრების მოწვევა სომხეთის საკათალიკოსო რეზიდენციაში – ქ. დვინში, რომელშიაც მონაწილეობდნენ ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების წარმომადგენლები. ქართლის ეკლესიის დელეგაციას 24 ეპისკოპოსის შემადგენლობით ხელმძღვანელობდა ქართლის კათალიკოსი გაბრიელი, ხოლო სომხურ სამღვდელოებას თავკაცობდა ბაბგენ კათალიკოსი.

ქართულმა, სომხურმა და ალბანურმა ეკლესიებმა ერთიანი რელიგიური პლატფორმა აღიარეს დვინის საეკლესიო კრებაზე. კრებამ მხარი დაუჭირა ბიზანტიის კეისართა დიოფიზიტ-მონოფიზიტთა შემრიგებლურ პოლიტიკას. მცირე ხნის მერყეობის შემდეგ ბიზანტიამ მხარი დაუჭირა ქალკედონიტობას, ხოლო ირანმა მონოფიზიტობას. შესაბამისად, ამიერკავკასიის ქვეყნებს, რომელთაც უკვე დაკარგული ჰქონდათ დამოუკიდებლობა, უნდა გაერკვიათ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მრწამსი. უთანხმოების პირველი ნიშნები VI საუკუნის II ნახევრის დასაწყისში გამოჩნდა, როდესაც სომხეთის ეკლესიამ რანის უზენაესობა აღიარა და დვინის კრებაზე თავის ოფიციალურ მრწამსად გამოაცხადა მონოფიზიტობის მემარცხენე მიმდინარეობა – ივლიანიტობა. ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებმა დვინის კრების განსაზღვრებებს მხარი არ დაუჭირეს, არ დაგმეს ქალკედონის კრება, მაგრამ არც ანტიმონოფიზიტობას დაადგნენ აქტიურად. ირანის იმპერიამ VI საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს კიდევ სცადა ბიზანტიის საპირისპიროდ ერთიანი მონოფიზიტური ბანაკი შეექმნა ამიერკავკასიაში. ამ ცდას მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება მოჰყვა შედეგად. მონოფიზიტობა აღიარეს ქართლისა და ალბანეთის სომხეთთან სასაზღვრო პროვინციების შერეული მოსახლეობის მქონე სომხურენოვანმა თემებმა. სამაგიეროდ, ამავე საუკუნის მიწურულს სომხეთის ეკლესიას დროებით ჩამოსცილდა ტაოს საეპისკოპოსო.

VI საუკუნის დასასრულს და VII საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ისეთი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, რომ ქართლს ირანის რელიგიური ზეგავლენისაგან გამოსვლა და საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნება მხოლოდ ქალკედონიტობის ოფიციალური აღიარებით შეეძლო. მწიფდებოდა საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში. უთანხმოებამ მწვავედ იჩინა თავი ქართლისა და სომხეთის ეკლესიების მეთაურთა შორის გაცხოველებულ მიმოწერაში რელიგიურ და ეროვნულ საკითხებზე, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მწვავე დისკუსია იმითი დამთავრდა, რომ სომხურმა ეკლესიამ ურთიერთობა განწყვიტა ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებთან.

ქართული და სომხური ეკლესიების უთანხმოება მკაფიოდ გამოიკვეთა VI საუკუნის ბოლოს, როდესაც ქართლში ირანის გავლენა შესუსტდა, ეროვნული სახელმწიფოებრივი მმართველობა აღდგა და ეკლესიას სათავეში ჩაუდგა წარმოშობით ქართველი, მაგრამ სომხური მონოფიზიტური წრიდან გამოსული კათალიკოსი კირიონ I. ამ დროისათვის ქართლში უკვე 35-ზე მეტი საეპისკოპოსო არსებობდა. მოხდა მისი ტერიტორიების გაფართოებაც დასავლეთ საქართველოს („მეგრელთა“) მიმართულებით. სომხეთის პატრიარქი იმედოვნებდა, რომ მონოფიზიტური წრიდან გამოსული კირიონი ქრისტიანობის ამ მიმართულების პოზიციებს გაამაგრებდა, მაგრამ მოხდა პირიქით – კირიონმა დაიწყო დიდი ეროვნულ-რელიგიური პროგრამის განხორციელება და მიზნად დაისახა შერეული მოსახლეობის სრული გაქართველება და იდეოლოგიური ნიადაგის მომზადება საქართველოს ერთიანობისათვის. ეს პოზიცია გამოიკვეთა სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის კათალიკოსებთან დოგმატურ საკითხებზე კამათში და დიოფიზიტობის მტკიცედ დაცვაში. ბოლოს და ბოლოს ეს დისკუსია ქართული და სომხური ეკლესიის გათიშვით დამთავრდა 607 წელს. VII საუკუნეში ჯერ ირანის, ხოლო შემდეგ ბიზანტიის ზემოქმედებით კიდევ ორჯერ მოხერხდა ამიერკავკასიის ეკლესიების გაერთიანება ერთი

მრწამსით, მაგრამ VIII საუკუნის 20-იან წლებში კავკასიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი იდეოლოგიური ბანაკი: ქალკედონიტური (ქართლი) და მონოფიზიტური (სომხეთი და ალბანეთი).

ქართლში დიოფიზიტური მიმდინარეობის დაცვა-განმტკიცებისა და საეკლესიო ქსელის გაფართოვებაში დიდი როლი შეასრულეს ასურელმა მამებმა (მოვიდნენ VI საუკუნის პირველ ნახევარში – VI საუკუნის 70-იან წლებში). სირიიდან მათ მოიტანეს მრავალი რელიქვია, ააშენეს 16-ზე მეტი მონასტერი (ზედაზნის, გარეჯის, მღვიმის, ალავერდის, მარტყოფის, ნეკრესის და სხვ.)

ეკლესიისა და რწმენის შემდგომი სრულყოფის აუცილებელი პირობა იყო ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლიანი გაცნობიერება. V საუკუნისათვის ქართულ ენაზე უკვე არსებობდა სახარებები („ევანგელე"), „პავლენი" (ეპისტოლენი), „ასერგასნი ფსალმუნნი" (დავითნი), ბერძენ „მონამეთა წიგნი", „მრწამსი" და სხვ. არაუგვიანეს V საუკუნისა ქართულად უკვე გადმოცემული იყო I-IV მსოფლიო კრებათა დადგენილებები, ქართულად არსებობდა ბიბლიის ძირითადი წიგნები. წყაროებში არსებობს პირდაპირი მითითება ქართულ ენაზე ლიტურგიის არსებობის შესახებ (მაგალითად, ერთ-ერთი ბერძნული საბუთის თანახმად საბას განწმედილის ლავრაში (პალესტინა) ქართველებს და ასურელებს ეკრძალებოდათ ჟამისწირვის აღსრულება დედაენაზე და ნებას რთავდნენ დედაენაზე ეკითხათ მხოლოდ სახარება, სამოციქულო და სხვ.

ქრისტიანული მოძღვრების შესწავლამ და ჭეშმარიტების განმტკიცებამ განაპირობა გარესამყაროს ქრისტიანულ ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობა. V საუკუნიდან ჩვენმა ეკლესიამ მიმოწერის საშუალებით ცხოველი კავშირი დაამყარა რომის, ანტიოქიის (სირია), იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ცენტრებთან. ასეთი კავშირების მეშვეობით ამაღლდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი, რომლის გამოხატულება იყო V საუკუნიდან სირია-პალესტინაში ქართული სავანეების დაფუძნება და მონასტრების დაარსება (საბაწმინდა, შავი მთა, სინა და სხვ.) X საუკუნის დამლევს ქართველთა მონასტერი დაარსდა ათონზე (საბერძნეთი). რეალური სახე მიიღო ქართული სამღვდელოების ურთიერთობამ უცხოეთის რელიგიურ ცენტრებთან. ქ. იერუსალიმში „წმინდა ადგილებში" სალოცავად გამგზავრება ჩვეულებად იქცა. დაახლოებით 440 წელს პეტრე იბერს იერუსალიმში სასტუმროც კი აუგია ქართველი და ბერძენი მოგზაური მლოცველების თავშესაფრად, რომელიც შემდეგში „იბერთა მონასტრის" სახელწოდებით გახდა ცნობილი. შემდგომში ის განაახლა იმპერატორმა იუსტინემ (518-527).

საქართველოს ეკლესიის განვითარებამ და მსოფლიო საეკლესიო ცენტრებთან ინტენსიურმა ურთიერთობამ გაზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და განსაზღვრა მისი ადგილი მსოფლიოში ამჟამად არსებულ 15 ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სისტემაში. საეკლესიო დიპტიქში საქართველოს საპატრიარქოს მუდამ მეექვსე ადგილი ეკავა რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის შემდეგ. ამგვარი იერარქიული მდგომარეობა შენარჩუნებულ იქნა იმის შემდეგაც, რაც კონსტანტინეპოლის პატრიარქმა რუსეთის ეკლესიის მეთაურს XVI საუკუნის დასასრულს პატრიარქის წოდება მიანიჭა და ახალ დიპტიქში (რომის გამოკლებით) მას მეხუთე ადგილი მიაკუთვნა.

ავტოკეფალიის მიღებით ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლების მიუხედავად XIX საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქომ კვლავ წამოაყენა პრეტენზია ქართული ეკლესიის დასაქვემდებარებლად იმ საბაბით, რომ მას ავტოკეფალია თითქოს უკანონოდ ჰქონდა მითვისებული, მაგრამ პატრიარქების – პეტრეს (1052-1056) და თეოდოსის (1057-1059) დროს იგი იძულებული გახდა ეცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა გიორგი მთაწმიდელმა. მონაპოვრის შენარჩუნების აუცილებელი პირობა იყო შინაგანი წესრიგის განმტკიცება, რისთვისაც XI საუკუნის შუა წლებში ქართულ სამღვდელოებაში ფეხმოკიდებულ ზნეობრივ-დისციპლინარულ დარღვევებს ენერგიულად შეებრძოლნენ ბაგრატ IV და გიორგი მთაწმიდელი.

ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდის მაჩვენებელი იყო მისი სამართლიანი და პრინციპული დამოკიდებულება საზღვარგარეთის ეკლესიებში დამკვიდრებული შეხედულებებისადმი. ქართულმა ეკლესიამ არ გაიზიარა ბიზანტიაში 725-843 წლებში თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული ხატმებრძოლობის ერესი, რამაც მისი როლი დიდად აამაღლა. მარცხი განიცადეს ანტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიებმა დაემორჩილებინა ავტოკეფალური ეკლესია: ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ (744-750) ქართულ ეკლესიას ხელახლა დაუმტკიცა ავტოკეფალია. იერუსალიმის პატრიარქმა სერგიმ (843-859) ნება დართო მცხეთაში, სვეტიცხოველში ეკურთხებინათ მირონი. ქართული ეკლესიის მაღალმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ საეკლესიო წრეებში მისი განმადიდებელი იდეებიც წარმოშვა. მაგალითად, იოანე ზოსიმე (X ს.) ქართულ ენას აღიარებდა მსოფლიო საეკლესიო ენად, რომლითაც იესო ქრისტეს უკანასკნელად უნდა განესაჯა ადამიანები („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ").

VII-X საუკუნეებში ქართლში არაბობისა და ბიზანტიის ზემოქმედების პერიოდში სამეფო-სამთავროების და შემდეგ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ქართული ენის, სულიერი კულტურის, ზნეობისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის

იდეის გამომუშავებაში. მწერალმა იოანე საბანისძემ (VIII ს.) მაჰმადიან დამპყრობთა პოლიტიკაში დაინახა გადაგვარების საფრთხე და მკაცრად განსაჯა ის ქართველები, რომლებიც არაბთა წინაშე შიშით „ირყეოდნენ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". ქართველობაში ეროვნული გრძნობისა და სიამაყის გასაღვივებლად მან კარგად გამოიყენა არაბი აბოს გაქრისტიანების ფაქტი (დაახლ. 746-786).

უცხოურიდან თარგმნილ საღვთისმეტყველო, სამართლებრივ და საისტორიო ძეგლებთან ერთად ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფიული, საერო და საისტორიო მწერლობა, რაც, თუ უფრო ადრეული ეპოქიდან არა, ყოველ შემთხვევაში V საუკუნიდან მაინც მომდინარეობს.

X საუკუნეში ქართულმა ეკლესიამ მაღალ მატერიალურ შესაძლებლობებს მიაღწია. ეკლესიას, როგორც ფეოდალურ ორგანიზაციას, ისეთივე სამეურნეო-ეკონომიკური სტრუქტურა ჰქონდა, როგორიც საერო სენიორიას. საეპისკოპოსო და სამონასტრო სენიორიების ძირითადი შემოსავალი იყო შემოწირულობის თუ ნასყიდობის გზით მიღებული ადგილ-მამული და მათზე მსხდომი გლეხებისაგან აკრეფილი გადასახადები. ამას ემატებოდა მრევლისაგან აღებული საწესო-საკულტო გადასახადები სასულიერო მომსახურებისათვის. ეკონომიურად დაწინაურებულმა ეკლესიამ დიდი პოლიტიკური გავლენა მოიპოვა. მსხვილი საეკლესიო ცენტრები (სენიორიები) აქტიურად ჩაებნენ შინაფეოდალურ ბრძოლებში და უმეტეს შემთხვევაში სჯობნიდნენ კიდეც საერო ხელისუფლებას — ალწევდნენ დამოუკიდებლობას. ამ ნიადაგზე საეკლესიო წრეებში შემუშავდა შეხედულება საეკლესიო ხელისუფლების პრიმატის შესახებ, რომლის თეორიული დასაბუთება მოცემულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (დაიწერა 951 წ.).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის (1089-1125) ეპოქაში. სწორუპოვარმა სახელმწიფო მოღვაწემ ეკლესია სრულიად დაუქვემდებარა სახელმწიფოს. უდიდესმა მეფემ მოიპოვა ეკლესიის საქმიანობაში ჩარევის უზენაესი უფლება, რაც იმითი განხორციელდა, რომ საკლესიო საქმეების მეთვალყურედ სამეფო კარიდან დაინიშნა მწიგნობართუხუცესი — ჭყონდიდელი, ხოლო ეპისკოპოსებად განამწესეს ცენტრალური ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი მღვდელმთავრები. სამღვდელოებაში ფეხმოკიდებული დისციპლინარულ-ზნეობრივი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემოიღეს მკაცრი კანონები (რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 თუ 1105 წ.). ცენტრალურმა ხელისუფლებამ დააარსა ახალი სამეფო მონასტრები (გელათი, შიომღვიმე, დავითგარეჯა და სხვ.). ამას მოჰყვა აგრეთვე საერო მმართველი წრის გაძლიერებული ზრუნვა ეკლესიის პრივილეგიებისა და მატერიალური მდგომარეობის ამაღლებისათვის.

XIII-XVIII საუკუნეებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა თანდათანობით დაეცა, რაც გამოწვეული იყო უცხოელი დამპყრობლების: მონღოლების, ირანელების, თურქ-ოსმალების განუწყვეტელი შემოსევებითა და ხანგრძლივი ბატონობით. ეკლესია მწვავე კონფლიქტში აღმოჩნდა მრევლთან. მაგალითად, კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ III წირვა-ლოცვის შეწყვეტით დაემუქრა მრევლს; ბოლოს ნებაყოფლობით გადადგა.

საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრებაზე უკიდურესად მძიმე გავლენა იქონია თურქ-ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობამ (1453 წ.). ამიერიდან საქართველო მაჰმადიანთა გარემოცვაში მარტო აღმოჩნდა.

სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია გამაერთიანებლის როლს ასრულებდა, მაგრამ ეკლესიურ ერთობას ძირს უთხრიდა ზოგიერთი ეპისკოპოსის ანტიეროვნული და ამდენად ანტიქრისტიანული ქმედება. მაგალითად, XV-XVI საუკუნეებში აწყურის ეპისკოპოსები მხარს უჭერდნენ სამცხის ადგილობრივი მთავრების საპროტესტო პოლიტიკას და ამ მხარის გამოყოფას ეკლსიურადაც.

XV საუკუნის 70-იან წლებში სრულიად საქართველოს მცხეთის საპატრიარქოს ჩამოსცილდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომლის მეთაური კათალიკოსად აკურთხა იმ დროს საქართველოში შემთხვევით ჩამოსულმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა (1474-1484). XVI საუკუნეში კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558-1578) დროს საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რაც გამოიხატა სხვადასხვა ისტორიული მიზეზის წყალობით აფხაზეთში ქრისტიანული მრევლის შემცირებაში და სხვ.

XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში მოქმედი იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: ბედიის, დრანდის, მოქვის, ჭყონდიდის, ცაიშის, შემოქმედის, ნინოწმინდის, ჯუმათის, გელათის, ქუთაისის, ხონის, ცაგერის და ნიკორწმინდის.

XVI საუკუნის მიწურულს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოაკლდა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია ამ მხარის თურქებისაგან მიტაცებისა და იქ ისლამის ძალით გავრცელების გამო. XVIII საუკუნეში იმერეთში სოლომონ პირველმა (1752-1789) და ქართლ-კახეთში ერეკლე მეორემ (1762-1798) სცადეს ეკლესიის შერყეული მდგომარეობის აღორძინება. XVIII საუკუნეში საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში (დავითგარეჯა, იოანე ნათლისმცემელი და სხვ.) გამოცოცხლდა ლიტერატურული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა მაჰმადიანთა ხანგრძლივი ბატონობით

შერყეული ქართული ქრისტიანობისა და ეროვნულობის შეგნების განმტკიცებას.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ (1801) რუსეთის ცარიზმმა გააუქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში 1811 წელს, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1814 წელს), აკრძალა ქართულად წირვა-ლოცვა. რუსულმა მმართველობამ განახორციელა ადმინისტრაციულ-სტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, საეკლესიო ქონება ხაზინას გადაეცა და საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი საეგზარქოსოს სახით შეუერთდა რუსეთის ეკლესიას. ეგზარქოსებად ნიშნავდნენ რუსეთიდან მოვლინებულ რუს მღვდელმთავრებს. საქართველოში ეკლესია ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის საყრდენად და გამტარებლად იქცა. 1905-1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის, სამოქალაქო ომებისა და უცხოელთა ინტერვენციის დროს სამღვდელოება მხარს უჭერდა მონარქიას და კონტრრევოლუციას.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ფაქტიურად ბოლო მოუღო ეკლესიის ფუნქციონირებას, მაგრამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველოს გამოყოფის დროიდან 1917 წლის 12 (25) მარტს ქართულმა სამღვდელოებამ აღადგინა ეკლესიის ავტოკეფალია და იმავე წლის სექტემბერში კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ II საძაგლიშვილი (1917-1918). მას შემდეგ საქართველოს ეკლესიის მამამთავრები იყვნენ: ლეონიდე ოქროპირიძე (1918-1921), ამბროსი ხელაია (1921-1927), ქრისტეფორე III ციცქიშვილი (1927-1932), კალისტრატე ცინცაძე (1932-1952), მელქისედეკ III ფხალაძე (1952-1960), ეფრემ II სიდამონიძე (1960-1972) და დავით V დევდარიანი (1972-1977). 1977 წლის 23 დეკემბრიდან სრულიად საქართველოს რიგით 77-ე კათალიკოს-პატრიარქად იმყოფება ილია II ღუდუშაური-შიოლაშვილი. საერთოდ კი, საქართველოს ისტორიაში დოკუმენტურად ცნობილია საქართველოს ეპარქიის 140 მამამთავრის (მათ შორის 13 მთავარეპისკოპოსის), 50 კათალიკოს-მთავარეპისკოპოსის და 77 კათალიკოს-პატრიარქის სახელი.

რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წლის 20 იანვარს (2 თებერვალს) და საქართველოს მთავრობის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, სკოლა – ეკლესიას და გამოცხადდა სინდისის თავისუფლება. ყველა ეს მონაპოვარი აისახა საბჭოთა კონსტიტუციაში. მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოერთვა პრივილეგიები პოლიტიკის, ეკონომიკისა და განათლების დარგებში.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მართავს საეკლესიო კრება, რომლის ერთ-ერთ უფლებას წარმოადგენს კათალიკოს-პატრიარქის არჩევა. კათალიკოს-პატრიარქთან არსებობს სინოდი, რომელიც აერთიანებს ყველა მმართველ მღვდელმთავარს, სინოდის თავმჯდომარეა კათალიკოს-პატრიარქია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (1962 წლიდან), ევროპის ეკლესიათა კონფერენციის, ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციის, ბიბლიის კომისიის, „ეკლესია და საზოგადოებისა" და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სამუშაო კომისიის წევრია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური კათალიკოს-პატრიარქი ილია II არჩეული იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად (1979-1983 წ.წ.).

საქართველო ქრისტიანულ სამყაროში ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყნის სახელით არის ცნობილი, სადაც ინახება მთელი საქრისტიანოს უდიდესი სიწმინდენი – კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ბიზანტიის იმპერატორ წმ. კონსტანტინესაგან ბოძებული ერთ-ერთი იმ სამსჭვალთაგანი, რომლითაც ჯვარცმულ იქნა მაცხოვარი.

ქართველთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუმცა მათ გვერდით საკმაოდ დიდი რაოდენობით აღირიცხებიან მაჰმადიანებიც (აჭარელთა და ინგილოთა უმრავლესობა, თურქეთისა და ირანის ქართველობა, მესხთა ერთი ნაწილი), რომელთა ისლამიზაცია უკანასკნელი სამი საუკუნის მოვლენაა. ამაზე ხომ ნათლად მეტყველებს თუნდაც ეთნონიმ „ინგილოს" უაღრესად გამჭვირვალე ეტიმოლოგია (თურქ. ანგელავ – „ახლად მოქცეული"). ქართველთა ლოკალური ეთნოკონფესიურ ჯგუფებს ქმნიან აგრეთვე გრიგორიანული და კათოლიკური რწმენის ქართველები, რომელნიც არც თუ შორეულ წარსულში შერაცხილ იქნენ შესაბამისად „სომხებად" და „ფრანგებად" და მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანს აქვს ადგილი ამ უკუღმართი სახელდების შედეგების აღმოფხვრას და მათი ჭეშმარიტი ეთნიკური მეობის რეგენერაციას.

მართალია, ქართველი ერი ფაქტობრივად ქრისტიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევართა შენაზავს წარმოადგენს, მაგრამ საქართველო, როგორც აზიის კონტინენტის მართლმადიდებლობის უძველესი ნაკრძალი, მაინც ცალკერძ ასოცირდება უდიდესი კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ქრისტიანულ ქვეყანასთან და კავკასიაში ქრისტიანიზმის ურყევ ბურჯთან.

ქართველმა ხალხმა ჭეშმარიტი და სანუკვარი სარწმუნოების დაცვა-განმტკიცებისათვის შეუპოვარი ბრძოლის გზაზე საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ შეინარჩუნა ქრისტიანობა, რაც გიორგი მთაწმინდელის თქმით, „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ, და რაჟამს ერთგზის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს".

როგორც სულმნათი ილია წერს, „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქა-

რთველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობის საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით" (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ. V, თბ., 1955, გვ. 12).

მართლაც, საქართველოს ისტორია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მრავალსაუკუნოვანი თავგანწირული ბრძოლის კლასიკური მაგალითია, რომელსაც, უნდა ვაღიაროთ, მსოფლიოში ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი. ვფიქრობთ, ოდნავადაც არ აჭარბებს რუსი სწავლული ე. მარკოვი, როცა ქართველებს „ჯვაროსან ხალხს" უწოდებს და მის ზოგადისტორიულ მისიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მისი მართებული მტკიცებით, ქართველ ხალხს ბედმა არგუნა მრავალსაუკუნოვანი შეუპოვარი ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ. აღმოსავლეთიდან მოწოლილი ისლამის დარტყმას პირველ რიგში საქართველო ღებულობდა, რასაც ევროპამ და განსაკუთრებით კი რუსეთმა ჯეროვანი შეფასება ვერ მისცეს. მათ სათანადოდ ვერ გაიცნობიერეს, რომ ქართველი ხალხი — ეს „ჯვაროსანი ერი" არსებითად ევროპის მოკავშირეა და ევროპა რუსეთთან ერთად ვალშია ისლამის შემოტევის წინააღმდეგ მოწინავე პოზიციებზე მებრძოლი ამ ხალხის წინაშე (Е. Марков. Очерки Кавказа, СПб., 1913, с. 182-185).

ე. მარკოვის ესოდენ შთამბეჭდავი შეფასება კიდევ უფრო მოიგებდა, რუს ავტორს რომ წარმოეჩინა ეთნოკონფესიური ნიშნით ქართველთა ისტორიული გვემის ერთ-ერთი ძირითადი მოტივიც — ქართველთა რელიგიური ერთობა ბერძნებთან, რის გამოც მაზდეანიზმის თუ მაჰმადიანობის მიმდევარნი მართლმადიდებელ ქართველებში ბიზანტიელთა უმთავრეს მოკავშირეებს ხედავდნენ კავკასიასა და მთელ წინა აზიაში და შესაბამისად, ქართველთა მიმართ სარწმუნოებრივი დევნა-შევიწროვების გაცილებით უფრო სასტიკ ფორმებს იყენებდნენ, ვიდრე იმავე გრიგორიანული რწმენის ქრისტიანი სომხების მიმართ. თქმულის საილუსტრაციოდ კი სავსებით საკმარისია რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობის (XII ს.) იმ ფრაგმენტის დამოწმება, სადაც V საუკუნეში სპარსთა მიერ „ქრისტიანეთა ზედა დაუცხრომელი მტერობისა" და ქართველებზე ზეწოლის შესახებ ნათქვამია: „... დიდი იყო მაშინ ბრძოლაჲ და დაუცხრომელი მტერობაჲ, ქრისტეანეთა ზედა და უფროჲსად ბერძენთა მიმართ. ხოლო ჩუენ ქართველთა მომართ ამისათჳს, რამეთუ ეძჳნებდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობაჲ. და ესე იყო ნებაჲ მათი, რაჲცა ჩუენცა მათ თანა მტერ ვექმნნეთ ბერძენთა" („ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", I, შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი, თბ., 1946, გვ. 242).

ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მრავალსაუკუნოვანი სარწმუნოებრივი რეპრესიების მიუხედავად მაინც არ უღალატა თავის ეთნოკონფესიურ მრწამსს და ერთმორწმუნე „ბერძენთა მიმართ სიყვარულის და ერთობის" პრინციპიდან მას შემდეგაც კი არ გადაუხვია, როცა ერთ დროს ძლევამოსილი ბიზანტია თურქთა აგრესიის მსხვერპლი შეიქმნა და საქართველო მაჰმადიანური სამყაროს გარემოცვაში აღმოჩნდა. არადა, სწორედ ქართველთა ასეთმა ურყევმა ნებამ და რჯულისათვის თავდადებამ განსაზღვრა მისი ევროპული კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის კურსის საოცრად მდგრადი ხასიათი და ქრისტიანული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად თვითმოაზრების ტრადიციის უჩვეულო გამძლეობა. ქრისტიანული და ევროპული ფასეულობებისაკენ მიზანსწრაფული „... ჩვენი წინაპრები თავის თავს სწორედ ამ კულტურული მოწინავე კაცობრიობის წევრებად სთვლიდნენ და თავის ბრძოლას იმ ბოროტ ძალებთან, რომელნიც ამ სამყაროს საზღვრების გარეშე იმყოფებოდნენ, განიხილავდნენ როგორც ბრძოლას არა მარტო საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის, არამედ იმავე დროს საერთო კულტურული კაცობრიობის ინტერესებისათვისაც. ეს იყო ისეთი ამოცანა, რომლის განხორციელებისათვის მოღვაწეობა ჩვენს მოწინავე წინაპრებს სიმხნესა და სიამაყის გრძნობას ჰმატებდა" (ს. ჯანაშია, „შრომები", ტ. V, თბ., 1987, გვ. 229).

საერთოდ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველთა ეთნოკულტურული კონსოლიდაციის პროცესში. მისი სახით დასაყრდენი იდეოლოგია შეიქმნა როგორც ქართველთა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის, ისე ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის წარმოებულ უთანასწორო სისხლისმღვრელ ბრძოლაში, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, როდესაც საქართველო ქრისტიანობის განმარტოებულ კუნძულად გადაიქცა მთელ წინა აზიაში. მტრული რელიგიური გარემოცვის პირობებში ქრისტიანობა და ეროვნულობა თითქმის ერთმანეთს გაუთანაბრდა. ქართველი ხალხის ეროვნულ-სარწმუნოებრივ ცნობიერებაში „მართლმადიდებელი ქრისტიანი" და „ქართველი" ფაქტობრივად იდენტური შინაარსით დატვირთული სინონიმური ცნებების სახით დამკვიდრდა. ამაზე ნათლად მეტყველებს ჯერ კიდევ საქართველოს გაერთიანების დროს წარმოქმნილი პოლიტიკური შეგნება და იდეალი ქართველი ხალხის ენობრივ-კულტურული მთლიანობის შესახებ, რაც X საუკუნის გამოჩენილ მწერალს გიორგი მერჩულეს მკაფიოდ აქვს ფორმულირებული: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა

შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების" (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", I, თბ., 1963, გვ. 290).

გიორგი მერჩულეს ამ დებულების შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთიმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად. „ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ კვირიელეისონი შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა „ქართლს" განეწესა. მაშ, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიერი საფუძვლების დაცვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთიმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" (ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, „ენიმკის მოამბე", ტ. X, 1941, გვ. 497).

გიორგი მერჩულეს მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში საქართველომ დიდ აღმავლობასაც მიაღწია (დავითისა და თამარის ეპოქა), ხოლო გარეშე მტრების მოძალების შედეგად დამლადაქვეითებაც განიცადა. საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, როდესაც ფაქტიურად დაირღვა ქართველი ხალხის ერთობა, საზოგადოებას ჭირდებოდა შეხსენება იმისა, რომ წარსულში ეს ერთობა არსებობდა და სამომავლოდ აუცილებელი იყო ამ შეგნების რეანიმაცია. ხალხის ამ იდეით შთაგონება, უპირველეს ყოვლისა, ისტორიკოსის მოვალეობას შეადგენდა და ასედაც მოხდა. აღნიშნული იდეის გამოცოცხლება წილად ხვდა ფეოდალური ეპოქის ყველაზე დიდ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც, ლეონტი მროველის კონცეფციიდან გამომდინარე, აღიარებდა ქართველებისა და გენეტიკური კავკასიელების საერთო წარმომავლობას (ვახუშტი, აღწერა... გვ. 14-15), ხოლო საკუთრივ საქართველოს დაქუცმაცებამდე დამახასიათებელი ეროვნული ერთიანობის შესახებ წერდა: „გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინაჲთგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა: პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (იგულისხმება ქართლელი – ვ. ი.), ანუ იმერსა (სახელდობრ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ – ვ. ი.), მესხსა, და ჰერკახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი". მეორეც, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი", მოგიგებს მყის: „ქართული". რამეთუ არა იტყვს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა [illegible]სტერთა ანუ ხატთა და ჯუართა [illegible], რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი თვნიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან", რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა" (ვახუშტი, აღწერა... გვ. 291-292).

ვახუშტისეულ ფორმულირებაში ტერმინი „რჯული" შინაარსობრივად აშკარად „ეროვნების" ექვივალენტურია. მეტად ნიშანდობლივია აგრეთვე იოანე ბატონიშვილის თხზულების ერთი ადგილიც, რომლის მიხედვითაც რიგით რაჭველ მღვდელს მიმართავენ შემდეგნაირი კითხვით: „მღვდელო! რაჭველი ჴარ თუ ქრისტიანე?", რაზედაც მღვდელი უმალ პასუხობს: „ორივე" (ი. ბატონიშვილი, ხუმარსწავლა – კალმასობა, I, თბ., 1990, გვ. 28). ცხადია, ამ შემთხვევაში „რაჭველი" სადაურობის მანიშნებელი კუთხური სახელწოდებაა, ხოლო „ქრისტიანე", როგორც ჩანს, „ქართველს" უნდა შეესატყვისებოდეს.

მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნულობამ განაპირობა „ერისგანთა" და „სამღვდელოთა" ერთობა. ქვეყანაში მათ შორის არასოდეს წამოჭრილა რაიმე სახის დაპირისპირების პრობლემა და ადგილობრივ მოსახლეობას არასოდეს გაუვლია ევროპული ტიპის ხისტი კლერიკალიზმის წნეხში, რის გამოც ქართველ კაცს არ განელებია ქრისტიანული კულტის ობიექტებისადმი ზედმიწევნით გულისხმიერი და მოწიწებით დამოკიდებულების გრძნობა. ამ მხრივ დამახასიათებელია ა. წერეთლის ნათქვამი: „ქართველებს საზოგადოდ ყოველთვის ისეთი შიში და კრძალვა ჰქონდათ ტაძრებისა, რომ არა თუ ეკლესიიდან, საყდრის გალავანშიც რომ ყოფილიყო გინდ თვალ-მარგალიტი, არ გაიტანდა. ბევრგან ნანგრევებში, გაცივებულ საყდრებში, ეყარნენ უპატრონოდ ძველად შეწირული ნივთები და ხელს ვერავინ ჰკიდებდა – თვით ქურდები, კაცის მკვლელები და გადავარდნილები (ყაჩაღები) ღამეს თუ გაათევდნენ იმ წმინდა ნანგრევებში, თორემ არას გაიტანდნენ იქიდგან. ასე ძნელია მისი გატეხა, რაც ხალხს გრძნობა-გონებაში დაუკანონებია" (ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. 13, თბ., 1961, გვ. 36).

ამასთან, სარწმუნოებრივი დევნა-შევიწროების მწარე გამოცდილებამ ქართველ ხალხში განამტკიცა დიდსულოვნება და ტოლერანტული სულისკვეთება, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ რელიგიური შემწყნარებლობის გრძნობა. როგორც ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, „... ქართველმა თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებოდეს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვ-

აყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი, და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა" (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 13). ივ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს და განსაკუთრებით, მისი პოლიტიკური ზეობის „ოქროს ხანის" ქართველთა „უაღრესი კულტუროსნობის" დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ „საქართველოში მშვიდობიანი და კეთილი განწყობილება სუფევდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილთა შორის და სარწმუნოებრივ სიძულვილს სახელმწიფო ცხოვრებაში არამცთუ არავითარი ძალა არ ჰქონდა, არამედ, პირიქით, სარწმუნოების სხვადასხვაობისდა მიუხედავად საერთო საკულტურო მუშაობა სუფევდა... საქართველოს სახელმწიფოში მაშინ (მხედველობაში აქვს თამარის ეპოქა – ვ. ი.) სამი რჯულის სამღვდელოების წარმომადგენელთ – ქართველ მართლმადიდებელთა, სომეხ – გრიგორიანებისა და მაჰმადიან ყადიებისა და შეიხის – საერთო მოქმედება და თანხმობრივი მშვიდობიანი თანამშრომლობა შესაძლებელი ყოფილა. აი, ეს არის საქართველოს უაღრესი კულტუროსნობის დამამტკიცებელი საბუთი, საერთაშორისო თანამშრომლობის იმდროისათვის გასაოცარი და მომხიბლავი მაგალითი" (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 306-307).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე ამგვარი სულისკვეთებით მოქმედებს, რაც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ამ მიმართულებით განვითარების იდეურ-ზნეობრივ საფუძველს ქმნის, მაგრამ სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოს ხელისუფლება სათანადოდ ვერ აფასებს საეკლესიო დოგმატიკის მნიშვნელობას. ზოგიერთ შემთხვევაში კი ზღვარდაუდებელი ტოლერანტიზმი აშკარად ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ინტერესებს და საფრთხეს უქმნის იმ ქვეყნის მომავალს, რომელსაც საქართველო ჰქვია და ავიწყდებათ, რომ სახელწოდება „საქართველო", უპირველეს ყოვლისა, ქართველების მშობლიურ მიწა-წყალს ნიშნავს.

# პუბლიკაცია

# თანამედროვეთა მოგონებები ივანე მაჩაბელზე

### წინასიტყვაობა

ივანე მაჩაბელი ის მოღვაწეა, რომელმაც თავისი ლეგენდარული ცხოვრებით და ყველასგან მოულოდნელი გაუჩინარებით, ჩვენს საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ყოველი ახალი დოკუმენტის პუბლიკაცია, რომელიც ამ მოღვაწეს შეეხება, უდიდეს ინტერესს იწვევს ქართველ მკითხველში. ყველაფერი ეს კი დაკავშირებულია იმ უაღრესად მამულიშვილურ ღვაწლთან და მემკვიდრეობასთან, რაც მან დაუტოვა თავის ერს ხანმოკლე და ბობოქარი სიცოცხლის მანძილზე – მან ხომ სულ 44 წელი იცოცხლა!

დასამალი არ არის, რომ ობიექტური და ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომებთან ერთად დღემდე ქვეყნდება სენსაციური და არაფრისმთქმელი მასალებიც, რომელთაც არავითარი შეხების წერტილი არა აქვთ ვანო მაჩაბლის მოღვაწეობასთან და ამდენად მკაცრი კრიტიკული თვალთახედვით არის ასაწონი. მასალების გამოქვეყნება კი დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა მისი მეუღლის, ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილის თხოვნას ვანო მაჩაბლის სრულყოფილი ბიოგრაფიულ-სამოღვაწეო ნაშრომის შექმნისთვის (თუმცა იგი მაინც არ შექმნილა) ბევრი თანამედროვე გამოეხმაურა. მოგონებები ფრიად საინტერესოა და თითქმის ყველა მათგანი დიდებულად გვიხატავს ვანო მაჩაბლის პიროვნებას. მათ შორის ტენდენციურობით გამოირჩევა და ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა, ეკატერინე გაბაშვილის მოგონებები. უზუსტობისგან არ არის დაზღვეული ზოგიერთი სხვაც, რაზედაც ბოლოში დართულ შენიშვნებში მივუთითებთ.

ჩვენს მიერ მოპოვებულ 37 მოგონებიდან, რომლებიც დოკუმენტურ-ბიოგრაფიულ ნარკვევთან და სხვა მასალებთან ერთად მთლიანად ქვეყნდება დასაბეჭდად მომზადებულ ჩვენს წიგნში „მაჩაბელზე ლეგენდების გარეშე", პუბლიკაციის გარეშეა დარჩენილი ათი, რომლებიც დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ივანე მაჩაბლის ფონდში. სწორედ ამ მოგონებებს ვთავაზობთ მკითხველს. ავტორთა სტილი ყველგან დაცულია.

**ჯემალ მჭედლიშვილი**

### მაშო მაჩაბელი-ამილახვრისა[1]

სვიმონ მაჩაბელს[2] ჰყავდა და – ელენე დიასამიძის ცოლი, რომელიც ადრე დაქვრივდა და სცხოვრობდა თავის ძმასთან. იგი ძლიერ განვითარებული ქალი იყო, ასწავლიდა გიორგის, იასეს და ირაკლის[3] შვილებს... მათში ყველაზე ნიჭიერნი იყვნენ ვასო, ვანო და დარიკო[4]. დარიკო იყო საუკეთესო ნასწავლი ქართული ენისა[5]... ვანო ძლიერ პატარა იყო, როდესაც მშვენივრად იცოდა ქართული კითხვა, შველოდა მღვდელს ეკლესიაში. რადგან ფეხზე დგომით იღლებოდა... დასვამდნენ, დიაკვანს ხელში ეჭირა სამოციქულო და ისე კითხულობდა. პაპიდამ კარგად იცოდა „ხელთა ანგარიში" (მთელი წლისას თითებზე გამოიანგარიშებდა). პაპიდასაგან აკრძალული ჰქონდათ რომანების კითხვა. ვაი იმას, ვისაც შეამჩნევდა ჟურნალს რომელიმე რომანით. გარდა ამისა, აკრძალული ჰქონდათ ჭორაობა...

როდესაც ვანო მისცეს ტფილისში სასწავლებლად, მამა მისი გაჭირვებას განიცდიდა, ისე რომ ვანოსაც ძლიერ უჭირდა. საქმე მივიდა იქამომდის, რომ ვანო თითქმის ქუჩაში ნაპოვნ ქაღალდის ნაგლეჯზე ამზადებდა გაკვეთილებს, მაგრამ მალე მის ნიჭს მიაქციეს ყურადღება (ორბელიანებმა), უშოვეს გაკვეთილები და დაიწყო ვანომ თვით ფულის შოვნა. აიღებდა თუ არა ფულს გაკვეთილებიდან, მაშინვე იყიდდა ჩაის, შაქარს, საპონს და სხ. და გაუგზავნიდა წილს დედას თამარაშენში – „ეგ დახარჯე და მალე კიდევ გამოგიგზავნიო, ეხლა მე ფულიანი გავხდიო!" – სწერდა ხოლმე დედას.

როდესაც სოფელში იყო ხოლმე, მუშაობდა როგორც უბრალო მუშა. მაგალითად, ჩაიცვამდა ქალამნებს და უბრალო ტანისამოსს და მარხილით წავიდოდა შეშის მოსატანათ ტყეში. რომ დაბრუნდებოდა, გადმოალაგებდა მუშებთან ერთად, დაჭრიდა, დააპობდა და სანამ სახლში არ აიტანდა, სანამ, რაც გინდა საამო სტუმარი მოსვლოდა, თავს არ დაანებებდა მუშაობას. როცა კი გაათავებდა, დაიბანდა, გადაიცვამდა სუფთა ტანისამოსს და ვანო ისევ ვანოს დაემსგავსებოდა.

### ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელი[6]

დედა ვანოსი ნატალია მეტად სათნოიანი და კეთილი ადამიანი ბრძანდებოდა. მხიარული გამომეტყველება ჰქონდა, ძალიან მოხუცი, მომცრო ტანისა, წელში მოხრილი, მუხლი მაგარი, უკანასკნელ დღემდე დაუზარელი. პატარა ბავშვს რომ დაესაქმა, გაუგონებდა. ვასოს[7] ოჯახის ბურჯი იყო... ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, არაფერი არ გამოეპარებოდა ოჯახში, რაც კი კეთდებოდა ვასოს სახლში, ყველაფერს ყურადღებას აქცევდა, მსჯელობაში მონაწილეობას იღებდა და ბევრჯელ მისი აზრი იმარჯვებდა.

– შვილო, მეტყოდა ხოლმე, ღვინოს ჰყიდი? მიეცი რასაც გაძლევენ, არაუშავს რა ცოტა იაფად არის, სამაგიეროდ ჩემი შვილი ვასო აქ შესწუხდება, იქიდამ ფულს აღარ გამოგიგზავნის, და მაგ ფულს აქ მოიხარჯიანებ. ყველა წვრილმანს იხსომებდა, თუ მოხდებოდა რამე გადაავიწყდებოდა, უკვირდა, „რად დამავიწყდა, დაიცათ მოვიგონებო", და იმდონს იფიქრებდა, რომ მოიგონებდა. დიდი გამფრთხილებელი ოჯახში ყველაფრისა. ერთი ახალციხული ყუთი ჰქონდა, დახატული, რომელიც ვიღაც ბაყალს მოერთმია ფეშქაშად „კაი ჩირებს ვაკეთებდი და იმიტომ მომართვა ეს ყუთიო" – იტყოდა ხოლმე. იმ ყუთში რა გინდოდა რომ არა ჰქონოდა, ლურსმანი, ბულლი (ალბათ, ბურლი), ნევსები (ნემსები), მახათი, სადგისი და ათასი რამ ამისთანები, რაც კი დასჭირდებოდათ მოსამსახურეებს თუ შვილის შვილებს, იმ ყუთიდგან ამოუძვრენდა და მისცემდა.

„– მომიტანეთ, შვილო, ტომრები, ხურჯინები, საცვლები, მე დავაკერებ, ვინამ პატარათ არი დახეული, ადვილი დასაკერებელია, რომ გადიდდება, ძნელი. დაპირებული შესრულდებოდა. ყველაფერი დანიშნულს ალაგს ჰქონდა შენახული, არაფრის ძებნა არ სჭირდებოდა.

– შვილო, ბევრი ხალხი ნუ შემოგდის ოთახებში და ბალკონში, პოლს ძალა მოუვა, კრასკა გაცვდება, ჩემი შვილი შესწუხდება.

ვანო უყვარდა... უყვარდა ძალიან. სულ მის მოგონებაში იყო.

„– ისე გავზარდე, რომ ერთი არაფერი გაუტეხნია რა, ძალიან ნიჭიერი არის, ვენაცვალე, გინება არ იცოდაო. და არა სჯერავდა თუ დაკარგული იყო ვანო.

– აბა რა? ჩემი ჭკვიანი ვანო ადვილად არ გადაიგდებდა თავს, ის წასულია სხვათა ქვეყანაში, დიდ საქმეებს აკეთებს. აი წერილიც მოსულა, ამბავი მოუტანიათ, მაგრამ მე კი ვერა ვხედავ.

მუდამ შემოდგომას ჩურჩხელებს უმზადებდა ვანოს, – „უყვარსო, ვენაცვალე"; ერთ შემოდგომაზე ატეხილი წვიმები იყო, ჩურჩხელები აღარ შრებოდა. სწუხდა დედა ნატალია, ვანოს ჩურჩხელები დაუობდებაო. ერთი მოურავი სიმონა სუთიაშვილი ჰყავდა, მას შესჩიოდა. მან მოახსენა „ასე გამიგონია, დედა ადამიანი ცხენზე უნდა შეჯდეს, აი წვიმაში გაიარ-გამოიაროს და გადაილებსო".

– ოღონდ ჩემ ვანოს ჩურჩხელები არ წაუხდეს და ჩემზე დედა ადამიანი ვილა არის, შემიკაზმეთ, მე შევჯდები ცხენზედაო, და დედა ნატალია ეზოში ცხენით გაატარ-გამოატარეს!

დედა ნატალია მაინცა და მაინც მორწმუნე არა ბრძანდებოდა, თუმცა კვირაძალზე სანთლებს ანთებდა, სომხის რჯული მაგრა ეჭირა და არას დროს არა ზიარებულა.

– მე როცა მოვკვდე, ქელეხი არ გადამიხადოთ, რა საჭიროა, ჩემი შვილი ხარჯში ჩავარდება.

მოკვდა ნატალია. დაასაფლავეს კარგათ ცხინვალის სამების ეკლესიაში, რომლის აშენებაში და ადგილის შეწირვაში მის ქმარს გიორგის დიდი ღვაწლი მიუძღვის...

აი რას ამბობს მოხუცი გლეხი სოსე მინდიაშვილი გიორგის ოჯახზე, რომელიც ამათი ყმა იყო და ვანოსთან თანშეზრდილი, ჩემს შეკითხვაზე:

– როგორი ცხოვრება ჰქონდა, სოსე, ნატალიას?

– უჰ, ძალიან უკანასკნელი, ჩვენ ხომ განყალებული ვიყავით, არაფრის მქონე და ქალბატონი ნატალია კიდევ უფრო უარესი.

თხელი რილასიც კაბა (ეცვა) განყალებული, რითაც კალთით ჩინჩხვარ ნაფოტებს აგროვებდა და ეზიდებოდა ლობიოს, ღოლოს და ბალბა-კვრინჩხის შეჭამანდის მოსახარშად, რომ თავის შვილებისთვის ეჭამა. აქამდის, ჩვენამდის ჩამოდიოდა და ხან რას გვთხოვდა, ხან რას: „მომეხმარეთო, ჩემი ვასო სკოლაში მყავს, გაიზრდება და გადაგიხდითო". ცოტას ნათესავები ეხმარებოდნენ, როცა მოვიდოდნენ ხანდა ხანაო.

– ვანო როგორი ყმაწვილი იყო?

– სუსტი, პატარა ტანისა, ფერმკრთალი, ჭკვიანი, ჭკვიანი, ჭკვიანი რო, იმის პირისგან ხმა მაღალი არა ამოვიდოდა რა, მისი ბიძაშვილები ზალიკო და ტიტიკო კი აწეულები იყვნენ.

– ტანზე, ფეხზე რა ეცვა?

– არაფერი, ეჰ, სათქმელი არ არის, ფეხზე ჩუსტები ეცვა, რომელსაც აღარც ქუსლები ჰქონდა და აღარც წვერები, თითები უჩანდა.

– როგორი დამოკიდებულება ჰქონდა გლეხის ბავშვებთან?

– ბევრი არაფერი, მაშინ ისეთი დრო იყო, თავს არ გვიყადრებდნენ თავადები, თუმცა ვანო ხანდახან ჩვენ ბავშვებში გამოერეოდა ხოლმე, იშვიათად.

– შკოლაში არ იყო?

– ვასო წაიყვანა მამამ, ის ძ(ლ)იერ უმფროსი იყო ვანოზე, შკოლაში მიაბარა, და ვანო კი თორმეტი წლისაც იქნებოდა შინა ჰყავდა დედას და წიგნს შინ ასწავლიდა[8].

– წიგნებს არ გიკითხავდათ ბავშვებს?

– როგორ არა, მერე შკოლაში რომ მიაბარეს, მაშინ მოდიოდა ზაფხულში და გვიკითხამდა. გვანუგეშებდა, იმედს გვაძლევდა. მერე როცა სწავლა გაათავა და ნაშოვრობაში ჩავარდა, გვეუბნებოდა ხოლმე „აი ვისაც გინდათ ფულით ხელს გაგიმართავთ, წაიღეთ და ისევ მომიტანეთ, სარგებელი არ მინდაო". ვასო კი ამაყი იყო, ძმა ვანოსი.

– იასეს, ზალიკოს მამას, როგორი ცხოვრება ჰქონდა? არ ეშველებოდა ნატალიას?

– არა, შენი ჭირიმე. მთელ ყმასა და მამულს ნატალიას წილსაც ისინი სჭამდნენ, ფაიტონით დადიოდნენ ცოლ-ქმარი, ბიჭები ქორ-მეძებრებით კურდღლებს დასდევდნენ, და ბატონ-ქალბატონი ფაიტონიდგან უჭამანდებდნენ, ნანადირევს შინაური საკლავიც მიემატებოდა და

იყო ლხინი, ქეიფი; ნატალიას არაფერს მისთავაზებდნენ.

ხანდახან, ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ გიორგი მოვიდოდა სახლში[9], აჰკრეფდა შემოსავალს, ცოლ-შვილს არაფერს დაუტოვებდა და წავიდოდა. ცოლშვილში ყოფნა არ უყვარდა...

აი, ასეთ პირობებში იზრდებოდა დიდი ვანო, რომლის შექსპირის თარგმანებით ჩვენ ვამაყობთ, რომელიც ისე უთარგმნია, რომ როგორც მცოდნეები ამბობენ, თვით ორიგინალს არ ჩამოუვარდება და კინალამ უკეთესია...

... როგორც დედა ნატალია მიამბობდა, ვანო მეტად მგრძნობიარე ყოფილა ქალების მიმართ. თორმეტი წლისა იყო, რომ დარიკოს, ბეგთაბეგოვის ქალიშვილს, რომელიც სილამაზით და ტანადობით განთქმული იყო, ხემწიფე იმპერატორის წინ ლეკური ითამაშა, ხემწიფემ[10] ხელზე აკოცა, აი ამ დარიკოს ლექსი მისწერა და აქო მისი სიკეკლუცე. დარიკომ ლექსითვე უპასუხა და ამცნო, რომ ესეთი ლექსი ჯერ არ შეეფერება ეგრეთ ყრმას და ისე მივიღებ, ნათესაური გრძნობითაო. სამწუხაროთ ეს ლექსი არ დამხსომებია, თუმცა ნატალიას მრავალჯერ გაუგონებია ჩემთვის, შეიძლება მანიამ[11] იცოდეს, ვასო ბაგრატიონის მეუღლემ, ვანოს დისწულმაო...

... როცა ვასომ, ვანოს ძმამ, როგორც იტყვიან, თავზე ხელი მოისვა და სასწავლებელი დაამთავრა, ვანოს გაზრდა მან იკისრა. საზღვარგარეთაც გაგზავნა და სწავლა დაამთავრებინა. ვანოს ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ არავისას არას შეირჩენდა და აი ვასოს მიეშველა იმ მშვენიერი სასახლი(ს) აშენებაში, რომელიც ევროპულ გემოვნებაზე და ქართულ საფუძველზე დაამყარა ვასომ, ქვეშ საუცხოვო მარანი ქვევრებით და საწნახელებით, საკუჭნაოებითა და სხვა სამეურნეო განყოფილებებით, ზევით საუკეთესო გემოვნებაზე მორთული საცხოვრებელი ბინა, გვერდზე კიდევ სხვა ფლიგელი ხისა, ქვითკირის მარანზე დადგმული უკვე ევროპიულ მარანზე მრავალი კოხტათ ჩამწკრივებულ ბოჭკებით, სადაც ოცი წლის ღვინოებიც მრავლად მოიპოვებოდნენ და სხვა და სხვა გამოფენებზე საჩუქრები მიელოთ. ღვინოებს ევროპულად აყენებდნენ. და ეს ლამაზი ეზო შენობით მეურნეობის კულტურის ცენტრად გადაიქცა... ვანომ დაუმთავრა ძმა ვასოს შენობა და გაუშენა ვენახები (16 დესეტინა ჰქონდათ). ვასო პეტერბურგში ვექილობდა და ფულს უგზავნიდა. შემდეგ იმ ამაგში, რაც ვასომ გასწია ვანოზე, ხელი აილო ვანომ ბარის მამულზე, ძმას დაუთმო და ხელწერილი მისცა... თითქმის გიორგის, მათ მამას (სხვა მამულები) სულ გაეყიდნა, რის გამო მას, გიორგის „პრადალს" ეძახდნენ მეტსახელად და მოკვდა (გიორგი) გორში, „ბელტიყლაპიას" ტრაქტირის ნომერში და ვინამ დანახარჯში არ გაუსწორდა ვასო, მისი შვილი, ოთხმოც თუმანში, მანამ მკვდარი არ დაანება ბელტიყლაპიამ (მეტი სახელია ტრახტირჩიკ მიხეილ მაისურაძისა). გიორგი მონასტერში დამარხეს, ჰქონდა ერთი ჯვარი და სამი მედალი სოსე მინდიაშვილის სიტყვით. ვანო დაქორწინდა ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალზე. ბოლოს ავადმყოფობდა და უკვალოთ დაიკარგა, რომლის დაკარგვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვასომ, ძმამ და მისმა ყველა ნათესავ-მეგობრებმა ბევრი ეძებეს მტკვარში, სხვაგან, მაგრამ დღესაც ამოცანაა მისი დაკარგვა...

### გაგრძელების სახით:

... 1874 წ. თუ, კარგად არ მახსოვს, 1875 წ. გაჩნდა ქ. გორში ჩვენს შორის ვანო მაჩაბელი; მისი თანამედროვენი იყვნენ მხოლოდ ორი წლით წინ მოსულები, ექიმები ქაიხოსრო ფურცელაძე, ნიკო ხუდადოვი, მიშა ყიფიანი, რამინ ფავლენიშვილი. ამ დროს მოღვაწეობდა ეგნატე იოსელიანიც, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე. მაჩაბელი ჩვენთან დარჩა რამდენიმე თვე, სიტყვით და საქმით გვამხნევებდა, სულ განაბული ვუსმენდით მის ჭკვიან სიტყვებს, მაგრამ მალე დაგვტოვა და გაემგზავრა სწავლის დასამთავრებლად საზღვარგარეთ და დაბინავდა პარიზში[12]. მას დიდი სურვილი ჰქონდა უცხო ენების შესწავლისა და ნიჭიც შესწევდა. პარიჟიდან დაბრუნდა სრულიად განსწავლული და სამუშაოდ მომწიფებული; ამ დროს მან ზედმიწევნით შეისწავლა ინგლისური ენა, შეისწავლა ფრანგული, იტალიური[13] და გერმანული ენები, რომლებზედაც თავისუფლად კითხულობდა და სთარგმნიდა. ჩამოსვლისთანავე საზღვარგარეთიდან ვანო ჩაება საზოგადო საქმეებში; მას მაშინვე დაებადა აზრი შექსპირის მთელი ნაწარმოების თარგმნისა ქართულს ენაზე და შეუდგა კიდეც მუშაობას. იგი აირჩიეს სათავადაზნაურო ბანკის ჯერ დამფასებლად და შემდეგ დირექტორად, იღებდა მხურვალე მონაწილეობას წერა-კითხვის საზოგადოებაში; განსაკუთრებით მის ყურადღებას იქცევდა ქართული თეატრი; მისი თაოსნობით აშენდა არწრუნისეულ ქარვასლაში ქართული თეატრი, ამ საქმეში შველოდა მას ნიკო დიასამიძე, დიდი მოყვარული და გულითადი, თავდადებული მეგობარი ვანოსი. ვანომ ამ დროს არც გორი დაივიწყა.

### ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელი – მოგონებიდან[14]

ამ დროს ჩამოვიდა პეტერბურგში აწ განსვენებული ჩვენი მხცოვანი პოეტი ილია ჭავჭავაძე და ჩვეულებისამებრ ჩამოხტა ვანოს ძმასთან ვასილთან. მან პირველათ გაიცნო ვასოსთან ვანო და ძლიერ სასიამოვნოდ დარჩა ამ გვარად მომზადებული და უცხო ენების მცოდნე ყმაწვილი კაცი(თ). აქ განიზრახეს დიდებული პოეტის შექსპირის მეფე ლირის გა-

დათარგმნა. ვანო, როგორც კარგი მცოდნე ქართული და ინგლისური ენისა და ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი შეუდგნენ ამ გამოჩენილი პიესის თარგმანს და თუ არა ვცდები, მგონი ორს თუ სამს თვეს სრულიად გაათავეს ამ პიესის თარგმნა. შემდეგ ილია ჭავჭავაძე დაბრუნდა ქალაქ თბილისში და ვანოც ზაფხულში 1879 წელს ჩამოვიდა თბილისშივე. ჩვენმა საზოგადოებამ დიდის თანაგრძნობით და ყურადღებით მიიღეს ვანო. არ გასულა დიდი ხანი – რამდენიმე თვე, რომ ის დანიშნეს ინსპექტორად სათავად-სააზნაურო შკოლაში, მაგრამ იქ დიდხანს ვერ დადგა, რადგან სულ სხვა ასპარეზისთვის იყო მომზადებული და პედაგოგიური დინჯი, მომთმენი ხასიათი მას არა ჰქონდა. მან ირჩია ილია ჭავჭავაძის რჩევით შესულიყო ბანკში კასირად და ამასთან ეწარმოებინა ჟურნალი ივერია, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა. მას ჰქონდა ჯამაგირი, როგორც კასირს 80 მანათი (თუ არ ვცდები თვეში) და ილიაც დაჰპირდა ჟურნალის წარმოებაში 75 მანათს თვეში, რომელიც ყმაწვილი კაცისთვის საკმაო იყო. მთელი ორი წელიწადი აწარმოვა ეს გაზეთი, მაგრამ დაპირება გონორარისა[15] დარჩა დაპირებათ და შემდეგ ის აირჩიეს დამფასებლად იმავე ბანკში. ამ თანამდებობის დროს ის დიდი ხალისით მოგზაურობდა სხვა და სხვა საქართველოს კუთხეებში დასაფასებლად მამულებისა და ამასთანავე იკვლევდა ყოველისფერს, როგორც ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, მათ ხასიათს, ისრე ბუნების სიმდიდრეს და სილარიბეს. ვანო იღებდა მონაწილეობას თითქმის ყოველ ჩვენ საზოგადო დაწესებულებაში და სადაც კი აირჩევდნენ წევრად რაც შეეძლო თანაბრად მუშაობდა, მიუხედავად იმისა ეძლეოდა ჯილდო თუ არა.

დამფასებლად ის იყო მცირე ხნით, რადგან მალე ბანკის გამგეობის წევრად აირჩიეს, დავით ავალიშვილის მაგივრად[16]. ამ შემთხვევამ ცოტა არ იყოს გააგრილა დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს ვანოსთან. ამ შემთხვევამდინ ხშირად ბანკში ირჩევდნენ, როგორც სხვა თანამდებობაზედ, ისრე გამგეობის წევრად, უკენჭოდ. რამდენიმე პირი დაიძახებდა უკენჭოთ, უკენჭოთო და ისიც, ვისაც ამ რიგით ირჩევდნენ გამოვიდოდა და თავს დაუკრავდა საზოგადოებას და მეორე სამ წელიწადს კიდევ რჩებოდა. ვანოს ეს წესი არ მოსწონდა და როდესდაც ავალიშვილის არჩევანზედ დაიწყეს ყვირილი, მან მოითხოვა სიტყვა, რომელშიაც აუხსნა საზოგადოებას მავნებლობა ამ წესისა და ამასთან დაუმატა, რომ მართალია ვიცი გამაშავებენ, მაგრამ მე ვდგამ ჩემს ყუთს ავალიშვილის წინაალმდეგ, რომელიც მომხრეა უკენჭოთ არჩევისაო. შემდეგ ამ სიტყვებისა დაიდგა ყუთი და იმ საზოგადო კრებაზედ, სადაც ყვიროდნენ უკენჭოთ ავალიშვილიო, ვანომ უმეტესი თეთრი კენჭი მიიღო, ვიდრე ავალიშვილმა. ეს ამბავი ძლიერ ეწყინა ილია ჭავჭავაძეს და აქედან ისე აღარ უყურებდა ვანოს, როგორც წინათ, მით უმეტეს, რომ იმავ დღეებში ვანომ ზოგიერთ პირების დახმარებით შეისყიდა განსვენებულ სერგეი მესხისგან გაზეთი დროება და „ივერიას" თავი დაანება. მან იკისრა თავის თავზე რვაასი თუმანი, რომელიც გაზეთს ემართა და სერგეი მესხსაც მისცა რამდენიმე ათასი მანეთი გიორგი ქართველიშვილის შემწეობით. ამ გვარად ერთსა და იმავე დროს დირექტორადაც აირჩიეს და დროების რედაქტორადაც. აქედან იწყება მისი რთული მოღვაწეობა როგორც ბანკის საქმეების გამგეობაში, ისრე სალიტერატურო ასპარეზზედ... ამ ხანებში მან გადმოსთარგმნა ინგლისურიდგან ქართულ ენაზედ დიდებული უკვდავი შექსპირის თხზულება გამლეტი, ოტელო, იული ცეზარი, მაკპეტი, რიჩარდ მესამე. ამასთანავე გადმოსთარგმნა პატარა პიესები იტალიურიდგან, თუ არ ვსცდები ისპანურიდგან[17].

დიდი შთაბეჭდილება იქონია ვანოზედ დროების დაკეტვამ, დუნდუკოვ-კორსაკოვის განკარგულებით... თუმცა, საზოგადოება აალელვა ამ უსამართლო მთავრობის განკარგულებამ და ჩვენმა მოწინავე პირთ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით იკისრეს დროების ვალი მაჩაბლისთვის მოეშორებინათ, მაგრამ ეს სურვილი სურვილათ დარჩა და მარტო ვანოს დააწვა ის ვალი. ეს მეორე მიზეზი იყო ვანოს და ილიას უსიამოვნებისა. შემდეგ ხომ მათ შორის გაიმართა დიდი უსიამოვნება და ამბოხი შესახებ ბანკის საქმეების წესიერად წაყვანაზედ... რასაკვირველია ისტორია თავის დროზედ გამოარკვევს ვინ იყო მაშინ მართალი, ეხლა მხოლოდ ისაა სამწუხაროდ, რომ ამისთანა ნიჭიერი და უანგარო მშრომელი კაცი უბრალოდ დაიკარგა და თვალთაგან მოგვშორდა.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ვანო მაჩაბელს ჰქონდა დიდი ნიჭი ენების სწავლაში და ქართული ენა ხომ ზედმიწევნით იცოდა. ამასთან ის იყო მშვენიერი ორატორი, პირდაპირი, გულწრფელი, სიმართლის მიმდევარი, უანგარო მშრომელი ყმაწვილი კაცი და უზომოდ მოსიყვარულე თავის სამშობლოსი, თავის ერისა და აი ესეთი კაცი იყო დევნილი იმისათვის, რომ ყველას დაუფარავად, გულგახსნილად ეუბნებოდა იმას, რასაცა გრძნობდა; ეშმაკობა, გაიძვერობა, საქმის დამაბრკოლებელი ფორმალიზმი და პოლიტიკა იმის კატეხიზში[18] არ მოიძებნებოდა.

მეორეს მხრივ ის იყო მეტის მეტი გულკეთილი, თავაზიანი. უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა და შემწეობას აღმოუჩენდა იმას, ვისაც კი ეს შემწეობა ჰსჭირდებოდა. რამდენი შემთხვევა მინახავს, რომ ტორგის დროს ბევრისთვის თავისი გროშები შეუტანია[19] და დაუხსნია გაჭირვებისგან. რამდენს დახმარებია და წურბელებისგან (ე. ი. მევახშეებისგან – ჯ. მ.) გადაურჩენია.

## ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ვანო მაჩაბელი შვილი იყო გიორგი მაჩაბლისა, რომელზედაც ზემო ქართლის თავად-აზნაურთა შორის სატირული ლექსების თქმულობა იყო და ხშირად გამიგონია ბებია ჩემისგან:

გიორგი მაჩაბელი თბილისში, თურმე მსახურობდა, ლამაზი, ტანადი და ახოვანი ყმაწვილი იყო, მაგრამ მცირე ჯამაგირით ცხოვრება, ნავარდობა, ქეიფი არ შეეძლო და როგორც მაშინდელ დროს შეეფერებოდა და თითქმის ჩვეულებათ იყო ქცეული ქართველი თავადებისთვის, გადასწყვიტა სომხის ქალი შეერთო და იმის მზითვით ხელი გაემართა. მაჭანკლებიც მალე იშოვნა და საქმე გაჩარხა... გიორგიმ ცოლი თამარაშენში მოიყვანა და თითონ ქალაქში სცხოვრობდა, ხანდახან ადიოდა თავის ოჯახში და სამი შვილი შეეძინა: ორი ვაჟი და ერთი ქალი: უმფროსი, ცნობილი ვექილი ვასო მაჩაბელი, ვანო და ეფემია[20]... ვასო რომ წამოიზარდა, მამამ ქალაქში წამოიყვანა და სასწავლებელში მისცა. ვანო და ეფემია ოჯახში იზრდებოდნენ, რომელშიაც ერთი რძალი[21] დიდი მწიგნობარი იყო და თან უშვილო... აი იმ რძალმა თავს იდო თავის მაზლის წულების ალზრდა. ქალთან... ვერაფერი გააწყო[22], ვანო კი როგორც მშვენიერი ბავშვი და გასაოცარი მეხსიერების პატრონი, პატარაობიდგანვე ისე განავითარა ყოველის მხრით და მეტადრე სამხთო მწერ(ლ)ობის შესწავლით, რომ უკვე რვა წლის ბალღი არბის ეკლესიაში სამოციქულოს კითხულობდა წირვის შესრულების დროს და ისე მკაფიოდ და იმ გვარის კილოთი, როგორც ქართულ ეკლესიაში იყო და არის მილებულად, ხალხის ალტაცებას და გაკვირვებას იწვევდა. შემდეგ ვანო... თბილისის გიმნაზიის პანსიონში იყო მილებული და როდესაც გიმნაზია დაასრულა, რამდენიმე ხანი კერძო გაკვეთილებს შოულობდა. როცა ვანოს უმფროსმა ძმამ პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ვილაც ცნობილ ადვოკატთან თანამშრომლობა დაიწყო და დიდ ფულს შოულობდა[23], იმან მაშინვე შეუწყო ხელი ვანოს და სამძლვარ გარეთ გაისტუმრა უმაღლესი სწავლის მისალებათ და სპეციალურად მეურნეობის შესასწავლად...

### ეკ. გაბაშვილი, გაგრძელება

... ვანოს მე ვხვდებოდი ხშირად გიორგი და ტასო თუმანიშვილებთან, იმათი სახლის ქვემოთა სართულში იდგა და გიორგისთან დიდ მეგობრულ განწყობილებაში იყო... ვანო ყოველთვის მხიარულ-გატაცებული მობაასე და ჩინებული კავალერი იყო ჩვენი. ტასო მორცხვი, გაუბედავი ქალი ყოველთვის ჩუმი და წყნარი და მე მიხდებოდა ორივე კავალერთან ლაპარაკი... ოჯახში, რომელშიაც გასათხოვარი ქალი იყო, ყმაწვილი კაცის ასე ხშირ მსვლელობას, მაშინ, სულ სხვა თვალით უყურებდნენ და როგორც სჩანდა გიორგის და ტასოს ოჯახიც ვანოს მეგობრობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თითონ ტასოც, რასაკვირველია, წუნს არ სდებდა მაშინ დიდად გალალებულ და საზოგადოებისგან ხელში აყვანილ გაბედულ გმირს და ტკბილს ოცნებას ეძლეოდა. მე თუმცა საეჭვოთ მიმაჩნდა ვანოსგან ამ ჯვარის არჩევანის გაკეთება, მაშინ, როდესაც მთელი ქართველი ახალგაზრდა სარძლოებში იმისთვის გიჟდებოდნენ, მაგრამ ტასოს დიდი მზითევი ჰქონდა, კარგი და პატიოსანი ქალი იყო, კარგი ოჯახის შვილი, კარგი ძმების პატრონი და რატომაც არ უნდა ყოფილიყო ვანოს შესაფერისი... ვატყობდი ტასოს, რომ დნებოდა, იკუმშებოდა, გულჩათხრობილი იყო, მაგრამ ის მე არაფერს მიმხელდა...

... ვანო ალვის ხესავით ჩამოსხმული ტანადი იყო და ფერმკრთალ სახეზედ დიდრონი მომნვანო თვალები გრძელის წამწამებით შემკულნი... მაღალს თეთრ შუბლზედ ქერა თმის კულულები ცელქად უთამაშებდნენ და ვანო ხშირი თავის გაქნევით უკუ ყრიდა იმათ და ამის გამო მუდამ მოძრაობაში იყო. ეს მოძრაობა იმის არსებას რალაც მოუსვენრობის შეხედულებას აძლევდა და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ძრიელ ჩქარი და რიხიანი ლაპარაკი იცოდა, მაშინ იმის ფიგურა მთლად მოუსვენრობის პიერით წარმოგვიდგება.

საქმიანობაც ძრიელ აჩქარებული იცოდა, გადაწყვეტილობისაც სიჩქარით უდგებოდა და მთელი სიცოცხლე რალაც აჩქარებული ტემპით ტრიალებდა. სუყოველთვის ლელავდა, ჩქარობდა, საქმიდან საქმეზე გადადიოდა, იცვლიდა სამუშაოს, თანამდებობას[24]...

### ეგნატე იოსელიანი – ჩვენი წარსული ცხოვრებიდან

ვანო დაიბადა სოფ. თამარაშენში, დაბა ცხინვალის ახლოს. დედა მისი იყო სომხის ოჯახიდან, მამა ძველი ქართული ჩვეულების მიმდევარი, ღვთის მოყვარული, სამხთო წერილის მცოდნე. ორთავ მისმა შვილებმა – ვასომ და ვანომ – შინვე ჰქონდათ შესწავლილი ქართული კითხვა და წერა, ორთავე ძმამ საშუალო განათლება მიიღეს ტფილისის გიმნაზიაში, ორთავენი მოთავსებული იყვნენ გიმნაზიის პანსიონში... ვ(ანო) მაჩაბელმა გაათავა გიმნაზია და პირველსავე წელსა გათავებისა გაემგზავრა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად. პეტერბურგში ვანოს ყვანდა უმფროსი ძმა ვასო, სტუდენტი იურიდიული ფაკულტეტისა, რალა თქმა უნდა ხელმძლვანელობას გაუწევდა ჯერ სულ გამოუცდელ ცხოვრებაში ვანოს... ვანომ აირჩია ბუნების მეტყველების ფაკულტეტი. თითქმის ყველა კაფედრა ფაკულტეტისა გამოჩენილ მეცნიერს ეჭირა: აქ იყო ა. ბეკეტოვი, მენდელეევი, რიხტერი, ვაგნერი, ფომნიცინი, პეტრუშევსკი, ვერლერი, ოვსანიკოვი. ვანო შეუდგა სწავლას დიდის გულმოდგინებით, იშვიათად აკლდებოდა ლექციებს... 1874 წ. ვანომ დაამთავრა სწავლა უნივერსიტეტში[25] ერთი თვის წინათ ჩემზე... თიბათვეში წამოვიდა პეტერბურლიდან.

... ვანო დიდი ხათრიანი და მოსიყვარულე ადამიანი იყო, ბანკშიაც და გარეთაც. თუ ვინმე გაჭირვებული მიმართავდა მას ყველა თავის ღონეს ხმარობდა შემწეობა აღმოეჩინა, დაეხსნა გაჭირვებიდან. თუ დავით ზაქ-ძემ სარაჯიშვილმა შეინარჩუნა სასახლის ქუჩაზე თავის ახლად გაკეთებული სახლი და ბანკმა არ გაუყიდა, ეს ვანო მაჩაბლის გულმტკივნობით მოხდა.

... იყენებდნენ მის ცოდნას, გამოცდილებას და როცა ამა თუ იმ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მას გვერდით ტოვებდნენ. ასე მოატყუა იგი ვლ. მიქელაძემ, როცა დააარსეს სასოფლო-სამეურნეო ბანკი: როცა წესდება დამტკიცდა და წევრებიც საკმაოდ ჩაეწერნენ და ფულიც შეტანილი ჰქონდათ, ვლ. სიმ. მიქელაძემ (მი)მართა ჩვეულებრივ ქუთაისურ ხრიკსა და ისე მოხერხებულად ისარგებლა, რომ მაჩაბელი, რომლის ინიციატორობით არსდებოდა ბანკი, თავი უნდა დაენებებინა სამეურნეო ბანკისთვის და განზე დამდგარიყო. ბანკის (მ)მართველობა ერგო მიქელაძეს.

ასეთივე ხრიკით მოექცა გიორ. ექვთ-ძე წერეთელი ვანო მაჩაბელს. ორთავე(მ) ერთად — ვანომ და გიორგიმ — განიზრახეს ყოველკვირეული ნახატი ჟურნალის გამოცემა, დაიმუშავეს პროგრამა, მიიღეს ნება გამოცემისა და როდესაც ყველა მხრით მზათ იყო ჟურნალის გამოცემა, გიორგი წერეთელმა რაღაც მიზეზის გამო დაისაკუთრა ჟურნალი, მაჩაბელი უნდა ჩამოშორებულიყო[26].

... უკანასკნელი საღამო, რომელიც ვანომ თავის სახლში გაატარა, მასთან იყო მგოსანი აკაკი წერეთელი. ნარდის თამაშობაში ატარებდნენ დროს, გაზეთების გადმოცემით — ვანო უვახშმოთ წავიდა მოსასვენებლად. რაღა თქმა უნდა, პოეტისა და ვანოს მეუღლის ნარდის თამაშობასაც ერთი-ორი საათის შემდეგ ბოლო უნდა მისცემოდა და მოისვენებდნენ მოთამაშენი. აქ მხოლოდ ერთი საკითხავი გვებადება: ნუთუ როცა მოსას(ვ)ენებლად მიდიოდა მეუღლე, არ შევიდა — თუ საწოლი ოთახი ცალკე ჰქონდა და არ დაათვარიელა: გ(ა)ეხადნა ტანისამოსი, ეძინა ლოგინში? ამ საღამოს შემდეგ აღარავის არ უნახამს ვანო...

## ალექსანდრე მიქაბერიძე — ივანე მაჩაბელი

### (მოგონებების სახით)

გიორგი მაჩაბელმა უმცროსი თავისი ვაჟი მიაბარა ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის მთელი კურსი თექვსმეტი წლის ვანომ დიდის წარმატებით დაამთავრა.

ნიჭიერი, მკვირცხლი და ამავე დროს დიდათ ბეჯითი ვანო პირველ კლასიდან დაწყებული კურსის დამთავრებამდე წარჩინებით სწავლობდა, რის გამო ამხანაგები და მასწავლებლები, დიდ პატივსა სცემდნენ და ერთერთ უსაყვარლეს მოწაფედ მიაჩნდათ.

... ივ. მაჩაბელმა რამდენიმე წლიწადი დაჰყო საზღვარგარეთ საფრანგეთისა, გერმანიასა და ინგლისში[27], საცა იგი მეურნეობის შესწავლას ეწაფებოდა.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ივ. მაჩაბელმა ზედმიწევნით შეისწავლა გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები და 1879 წელს დაბრუნდა იგი სამშობლოში სერიოზული ცოდნით შეიარაღებული.

... ივ. მაჩაბელი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ილია ჭ-მ მიიწვია „ივერიის" თანარედაქტორად. „ივერიამ" ივ. მაჩაბლის უშუალო მონაწილეობით მართლაც რომ ფრთები შეისხა. „ივერიაში" მოთავსებულმა ივ. მაჩაბლის პუბლიცისტურმა წერილებმა ფართო გზა გაიკვლიეს ქართველი ხალხის ფართო ფენებში. ივ. მაჩაბლის დასტამბულმა შინაარსიანმა წერილებმა აალაპარაკა მთელი საქართველო, რადგან ეს წერილები მეტად მწვავე და საჭირბოროტო საკითხებს შეეხებოდნენ და კიდევაც საქმის შესაფერისათ, ერის სასიცოცხლო ძალების შესატყვისათ სწყვეტდნენ ამა თუ იმ სახით წამოყენებულ საკითხებს.

... ზოგი იმასაც ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება დაიწყო სწორედ იმ ხანებში, როცა სერგეი მესხიმ „დროების" რედაქტორად ივანე მაჩაბელი მოიწვია ილიას სურვილის წინააღმდეგო.

... ილია ჭავჭავაძეს, როგორც ყველასთვის ამჟამად ცნობილია, ბანკში მუშაობის დროს მთელი საქმიანობის კამერტონი ხელში ეჭირა და იმ გეზის გამრუდებას, რომელსაც იგი ბანკის ცხოვრებაში ატარებდა, არავის მოუთმენდა.

ივ. მაჩაბელი, როგორც საბანკო საქმეებში დიდად დახელოვნებული ფინანსისტი, თავის რწმენას, თავის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხის შესახებ გაბედულად, მოურიდებლად, მეტსაც ვიტყოდი, დამოუკიდებლად ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა.

... ივანე მაჩაბელი პირადად გავიცანი 1893 წელს... მუდამ მოძრავი, მკვირცხლი, სწრაფი მოაზროვნე, მოსწრებული პასუხის პატრონი, ყველგან და ყოველთვის თავაზიანი ივანე მაჩაბელი პირველ გაცნობისთანავე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა... საკუთარ ოჯახში იშვიათ მოსიყვარულე მეუღლეს, შვილების უნაზეს მამას და სტუმართმოყვარე ივანე მაჩაბელს თავისი ეს საუკეთესო თვისებები სამსახურშიაც კი გადაჰქონდა. საადგილ-მამულო ბანკში ივანე მაჩაბლის კაბინეტის კარები მუდამ ღია იყო როგორც ბანკში მომსახურე პირებისათვის, ისე ბანკში მამულების დამგირავებელთათვის.

მარად ტკბილად და თავაზიანად მოუბარი ივანე მაჩაბელი მთხოვნელს გულისხმიერად და ყურადღებით მოუსმენდა ხოლმე და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას არ აკლებდა.

... ივანე მაჩაბელი, როცა ტბილისის საადგილ-მამულო ბანკის შესახებ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, არასოდეს თავისთავს და არც სხვა მოკამათეს ნებას არ აძლევდა ილია ჭავჭავაძის სახელი ცუდად მოეხსენებია. მართალია, კრების ზოგი მოკამათე, თუ დიდი ილიასთვის ზერელედ მაინც კლანჭი არ გაეკრა, სიტყვას ისე არ დაამთავრებდა, მაგრამ ივანე მაჩაბელი ყოველთვის თავაზიანად შეაჩერებდა ასეთ ორატორს[28].

... 1898 წლის 25 ივნისს ოლგის ქუჩაზე თავად ივანე მაჩაბლის საკუთარ სახლში დატრიალდა ისეთი ტრაგედია, რომლის მსგავსი ძნელად წარმოსადგენია. 25 ივნისს ივ. მაჩაბელს სტუმრად ეწვია ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელმაც თავისი მოხდენილი სჯაბაასით მთელ ოჯახს სიხარული მოჰფინა. თვითონ ივ. მაჩაბელი, მისი მეუღლე პატივცემული ანასტასია თავს დასტრიალებდნენ ძვირფას სტუმარს და ღამის ორ საათამდე მხიარულად შეექცეოდნენ ვახშამს.

ღამის სრულ 2 საათზე სტუმარ მასპინძლებმა მხიარულად გატარებულ ვახშმის შემდეგ წყნარად მოისვენეს.

რა მოხდა ამ საბედისწერო ღამეს, დღესდღეობითაც არავინ დანამდვილებით (არ)იცის. აშკარაა ერთადერთი ის, რომ იმ საბედისწერო ღამეს ივ. მაჩაბელი სადღაც უგზოუკვლოდ გაჰქრა და მას შემდეგ ქართველი საზოგადოება სცდილობდა და სცდილობს მიაგნოს ივ. მაჩაბლის დაკარგვის კვალს, მაგრამ ყოველივე ამ მხრით მიღებული ზომა უნაყოფოთ რჩებოდა და დღესაც ამავე მდგომარეობაშია ეს საიდუმლოებით მოცული საკითხი.

ივნისის გასულს ივანე მაჩაბელს გადაწყვეტილი ჰქონდა ზაფხული ოჯახობით აბასტუმანში გაეტარებინა და ამ მხრივ თავდარიგს იჭერდა...

... საწოლ ოთახში იპოვეს ვანოს ოქროს საათი, პერანგის ოქროს ღილები და ტანისამოსი, ხოლო ამ ნივთების პატრონი თითქოს ცამ ჩაყლაპა...

ვანოს ნაცნობები, მეგობრები ათასგვარ ხმებს ავრცელებდნენ...

ამ ათასგვარი ხმების მიხედვით, ივ. მაჩაბელი 26 ივნისს დილის 9-10 საათზე ერთსა და იმავე დროს ენახათ ოპერის თეატრთან და ვერის ხიდთან. ბუკინისტ სოსიკო მერკვილაძეს ივ. მაჩაბელი თავშიშველი, ნახევრად ჩაუცმელი, ძალზე აშფოთებული დილის ხუთ საათზე დაუნახავს იქვე მდებარე სააგურისაკენ მიმავალი[29]...

## თამარაშენელი 120 წლის გლეხის, ვანო დათაშვილის მოგონებიდან

ივანე მაჩაბელს კარგად ვიცნობდი, მხოლოდ იმის ძმას ვასიკოს კი ჩემთან მტრობა ქონდა ჩამოვარდნილი. ვასიკო მაჩაბელს ძალიან სწყინდა იმისი (ვანოსი – ჯ. მ.) თამარაშენში მოსვლა; იმის მიზეზით, რომ გლეხები მაშინვე დაიწყებდნენ იმასთან მისვლას [illegible], არა მოგვივიდარა, ჭირნახული მოგვიცდა, [illegible] რომ გადავიხადოთ ოჯახი შიმშილით დაგვეხოცება და თქვენი ძმა, ბატონი ვასო, ცოტა არის შეღავათს არ გვაძლევსო. ვანო მაშინვე აპატიებდა... ეს იყო მიზეზი, რომ ვასო მაჩაბელს თავისი ძმის მოსვლა ლახვარივით ხვდებოდა გულში. ბევრჯერ მომხდარა რომ დატვირთული ურემი ღალა ვანო მაჩაბელს უკან გამოუბრუნებია, ნაიღე შენი მოყვანილია და შენს შვილებს უფრო შეერგებაო...

მე არა მქონდა სასახლკარე ალაგი... ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე ვასო მაჩაბლის ალაგზე ამეშენებინა სახლი. დაუძახე თამარაშენში ყველა ჩემს მეზობელ გლეხებსა და ვთხოვე ყველა დამეხმარეთ მეთქი. მართლაც დამეხმარნენ, ღამით მოვზიდე ქვა ურმებითა... გათენებისას ქვა ტალახის სახლი მზად იყო... შევიყვანე ცოლშვილი და დავსახლდი.

ესე შუა დღის ჩამოიარა ვასო მაჩაბელმა და თავის ალაგში აშენებული სახლი რომ დაინახა გაუკვირდა, წინა დღეს იმ ალაგზე არაფერი იყო... ძალიან გაბრაზდა... დამიწყო ჩხუბი... ამ დროს მოვიდა ცხონებული ვანო მაჩაბელი და სიცილად არ ეყო ეს ამბავი, მერე მიუბრუნდა და თავის ძმა ვასიკოს უთხრა: „რა გაცხარებს კაცოვო, შენი გლეხია, მაშ სად უნდა წასულიყო, ცაში ხომ არ იცხოვრებდაო" და ასე დაამშვიდა. მერე მოვიდა ჩემთან ვანო და ხელი ჩამომართვა. მითხრა: „ძალიან კარგად მოქცეულხარ, რომ გეთხოვნა, ჩემი ძმა შენ არ მოგცემდა სახლის ალაგსა. ახლა ნუ გეშინიან, მე აქა ვარ". მერე მითხრა: „ამ სახლს ეზოც უნდა, შიგ ნარგავებს გაიკეთებ, რამდენი ბავშვი გყავს?" მკითხა. ერთი მეთქი, ვუპასუხე, „– ახალგაზრდა კაცი ხარ, შვილები კიდევ შეგეძინება და საჭიროა ყველასთვის ალაგი იზრუნო, ამიტომ მე მინამ აქა ვარ, გაისარჯე, თორემ ვასო შენ აღარას მოგცემს, ხო ხედავ, შენზე გაჯავრებულიაო". აიღო კენჭი და გაისროლა, აი, იქამდე შემოღობე, მანიშნა კენჭის გადაგდებით, მე ვეტყვი ჩემს ძმას, არ დაგიშალოსო. მეორე დღესვე შემოვღობე და აი, აქ სადაც ვცხოვრობ, ვანოს ნაჩუქარი ალაგია.

## ალექსი (ალექსანდრე) ჭიჭინაძე – ჩემი აზრი

... იგი (ილია – ჯ. მ.) თავის გაზეთში იშვიათად მუშაობდა: სხვებისთვის მიენდო დღიური ჭირ-ვარამის პასუხის გაცემა, მაგრამ „სხვები", ცოტა გამონაკლისის გარდა, ვერ იყვნენ განვითარების და მსოფლმხედველობის იმ ხარისხზე, რომ ჯეროვანად ეტარებინათ დროშა თავის სარბიელზე. დიდ უფერულობაში ჩავარდა იმ დროს „ივერია", გინდოდა წაგეკითხა რამე და

შიგ კი არა იყო რა. ცხოვრება სხვა და სხვა მოთხოვნილებას გვიცხადებდა; ყოველი ერი ჩვენს გარშემო, შორეული და ახლობელიც, გამუდმებით შრომობდა, ეძიებდა საშუალებას ცხოვრებასთან საბრძოლველად, ვარჯიშობდა და ძლიერდებოდა თანდათან. ჩვენში კი ამ დროს ვხედავთ ერთი მეორისგან განცალკავებას, პუბლიცისტიკის სიმჭლევეს და პრაქტიკულ მუშაობის სიმცირეს. ეს სურათი აუტანელი იყო მისთვის, ვისაც შრომა წყუროდა საზოგადო საქმისათვის, ვინც იმ აზრისა იყო, რომ კაი ხანია დროა გამოვფხიზლდეთ, შემოვიკრიბოთ საუკეთესო ძალები და გავაჩაღოთ მუშაობა, რომ ჩვენც შეგვეძლოს მტრისა და მოყვრისთვის პასუხის მიცემაო. ამ შეხედულების ჯგუფი აჩქარებულად მიაჩნდა ილიას.

აი, ამ დროს იყო გამოსული საზოგადოებრივს ასპარეზზე ივანე მაჩაბელი, რომელიც თანამშრომლობდა ილიასთან. ილია იყო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ივანე მაჩაბელი კი მისი თანაშემწე-დირექტორი... ილია ხედავდა, რომ ვანოს გული უცემდა საზოგადოებისა და ხალხის სამსახურისათვის და წინამძღოლობდა მას ამ საქმეებში... ლაპარაკობდნენ, რომ ილია ამზადებს ვანოს, რომ თავის დროზე მას გადასცეს თავის მემკვიდრეობა, ე. ი. ბანკის გამგეობის თავმჯდომარეობა და გაზეთის რედაქტორობა. მოწაფე დიდის მოწიწებით იქცეოდა თავის ხელმძღვანელთან, დიდს ანგარიშს უწევდა მის აზრს და შეხედულებას. ივანე მაჩაბელი იწრთვნებოდა და ერთგულად მუშაობდა ილიას ხელში. მაგრამ ბოლოს უთანხმოებამ იჩინა თავი ხელმძღვანელ და მოწაფის შორის. რამდენადაც ილია მძიმე და დინჯი იყო, იმდენად ვანო იყო მკვირცხლი აზრის მუშაობით, მოუსვენარი საქმის წყურვილით. ვანო ნამდვილი ვერცხლის წყალი იყო... მეტად ფრთხილს მოძღვარს შიში ჰქონდა შეცდომებისა და მოწაფეს არ უწონებდა სიჩქარეს... როდესაც ის მოგითითებდა, მაშინ უნდა გემოქმედა მისის კურთხევით; თუ დაასწრებდი, არ იამებოდა... მაჩაბელმა მოინდომა თავის წრის შედგენა და დამოუკიდებელი მოქმედება. შესდგა წრეც, მაჩაბლის გარშემო შეჯგუფულთა ერთი ნაწილი იმ პირთა, რომელთაც არ მოსწონდა ილიას მძიმე მსვლელობა. აი აქ არის დასაბამი, აქედან იწყება განხეთქილება...

...ამ გვარად, შეტაკება ივ. მაჩაბლის და ილიასი აუცილებელი იყო, მაგრამ ბრძოლა მათ შორის წარმოიშვა დროთა ვითარებისგან, მათი მოქმედების ხასიათისაგან და არა პირადი ანგარიშებისგან...

... პეტერბურლიდან უარი მოდიოდა, როდესაც შუამდგომლობას აღძრავდნენ ხოლმე გაზეთის გამოცემისას. ამიტომ ივანე მაჩაბელმა და მასთან რამდენიმე პირმა, რომელთა შორის იყო ცნობილი მოღვაწე, მწერალი გიორგი წერეთელი, მიჰმართეს ანასტასია მიხაილის ასულს თუმანიშვილის ქალს, რომ მას აელო ნება-რთვა გაზეთისა „ჯეჯილის" დამატებად... რა უნდა დაბეჭდილიყო გაზეთში და (რა) არა, ამის გასარჩევად და გადამწყვეტლად მუდმივი კომისია უნდა ყოფილიყო. წრემ დატრიალდა და მოკლე დროის განმავლობაში კაი ძალი ხელს მომწერი უშოვა გაზეთს... მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა იგი წრის ხელში. დაახლოვებით წელიწადი იყო თუ ცოტა მეტი ანუ ნაკლები, წრე იძულებული შეიქნა თავი დაენებებია. ბევრმა მითქმა-მოთქმამ შესახებ გაზეთისა და წრისა უეჭველად გავლენა იქონია პატივცემულს ანასტასიაზე და მან განუცხადა წრეს, აღარ მსურს კოლექტიურად სწარმოებდეს გაზეთიო.

... ის (მაჩაბელი – ჯ. მ.) რომ ცოცხალი იყოს ამ ჟამად, ჩვენი საზოგადოებრივი საკითხები ხშირად უფრო დროზე მიიპყრობდნენ ქართველების ყურადღებას, დროზე იქნებოდნენ განხილულნი და ბევრის რისამე განხორციელებასაც დროზე მოვკიდებდით ხელს.

## სიმონ ქვარიანი – ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. მცირე მოგონება

... 1890 წელს ღარიბმა სტუდენტმა მოვინადინე საფრანგეთს წასვლა სამეურნეო ცოდნის მისაღებად... მივმართე 1893 წელს ქუთ(აისის) სააზნაურო ბანკის კრებას და ვთხოვე მოეცათ სესხად, ან სუბსიდიად 1500 მანეთი... კრებამ შეიწყნარა ჩემი თხოვნა და მოახდინა განკარგულება, მომცემოდა ეს ფული, მაგრამ წინ აღმიდგა ბანკის თავმჯდომარე კ. ჩიკვაიძე და არ მომცა გადაწყვეტილი თანხა.

გადავწყვიტე იმავე თხოვნით მიმემართა თბილ(ისის) სააზნაურო ბანკისთვის... 1894 წ. მაისში ნასესხი ფულით წაველ თბილისს და სიამით შევალე ბანკის კარები... ჩემ პირისპირ მაგიდას უჯდა სავარძელში საკმაოდ ჩაფსკვნილი შუახნის კაცი. სწერდა რაღაცას. ასწია თავი და შემომხედა დამკვირვე თვალებით. სახეს უმკობდა თეთრად სირმული შავი წვერულვაში და თმა, შუაზე გაყოფილი. წარვდგი ნაბიჯი, ვკადრე სალამი და გრძნობით წარმოვსთქვი:

– უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ველირსე ჩვენი დიდი პოეტის ხილვას!

შემდეგ მივუახლოვდი და გადავეც ადრევე გამზადებული თხოვნა. ილიამ გადაავლო თვალი ქაღალდს და შემეკითხა:

– სადაური ხარ, ყმაწვილო?

– დასავლეთ საქართველოდან, ბატონო.

– რისთვის გარჯილხართ?

ორიოდ სიტყვით ვაუწყე მისვლის მიზანი...

– თქვენ ხომ საკუთარი ბანკი გაქვთ! რალას მორბიხართ აქეთ?!

ავუხსენ მოკლედ, რაც შემემთხვა ქუთ(აისის) ბანკში...

– აბა, რა გიყოთ, ყმაწვილო! ჩვენი ბანკი ვერც კი აკმაყოფილებს ქართლ-კახეთის მოთხოვნილებას! არა გვაქვს იმდენი სახსარი, რომ

თქვენც დაგეხმაროთ. – ამ სიტყვებით უკანვე გადმომცა ჩემი განცხადება, თვით კი ჩაუჯდა ქაღალდებს...

ეჭვს გარეშეა, ილია მართალი იყო. ის უდგებოდა საკითხს პრაქტიკული თვალსაზრისით; ბჭობდა, როგორც საქმის ადამიანი. მე კი, გამოუცდელი ახალგაზრდა, სულ სხვა რიგად ვფიქრობდი იმჟამად... გაცრუვდა ეს მეორე იმედიც! ცრემლით ამევსო თვალები... მივუახლოვდი რა გასასვალ კარებს, უკნიდან მომესმა ვილაცის ხმა:

– შეჩერდით, ყმაწვილო!

მივიხედე. მომდევდა საკმაოდ მაღალი ტანის უცნობი, შავად მოსილი. მის უფერო, გამხდარ სახეს ამკობდა შავი თმა-წვერ-ულვაში და ფართო თვალები. მომიახლოვდა და შემეკითხა საამო ხმით:

– თქვენ ეხლა ილიასთან იყავით?

– დიახ, ბატონო!

– რა საქმე გქონდათ, თუ არაა საიდუმლო?

ვაუწყე მოკლედ ყველაფერი.

უცნობი მიცქერდა თანაგრძნობით. ამან გამამხნევა.

– მომეცით ეგ განცხადება! თუ ბედი გაქვთ, ამ კრებაზე გავიმარჯვებ! მაშინ უსათუოდ მოგეცემა სუბსიდია და გასწევ საფრანგეთში!

საიმედო სიტყვებით აფრთოვანებულმა გადავეც განცხადება, თანაც შევეკითხე:

– ვინ ბრძანდებით, კეთილო ადამიანო, რომ ეგეთ მხურვალე მონაწილეობას იღებთ ჩემს საქმეში?

– თქვენი მოძმე ქართველი, ივანე მაჩაბელი! – ამ სიტყვებით მაგრად ჩამომართვა ხელი და გაბრუნდა სიჩქარით.

ჩემი აღტაცება და გულის სიღრმიდან აღმომხდარი მადლობა გაედევნა მის კვალს...

გამოველ ქუჩაზე და გავეშურე გაზ. „კვალის" რედაქციაში. ვისწრაფოდი მეამბნა ყოველივე ჩემ მოკეთე გიორგი წერეთლისათვის. ის იყო იმჟამად „კვალის" ფაქტიური რედაქტორი.

რედაქციაში დამხვდნენ ორივე ცოლქმარი, გიორგი და ანასტასია წერეთლები. უამბე ჩემი თავგადასავალი. მათ გადახედეს ერთმანეთს და გაიღიმეს; შემდეგ რაღაც წაიჩურჩულეს. გიორგიმ მომმართა:

– გსურს დაესწრო ბანკის კრებას?

– დიდი სიამოვნებით, მაგრამ ამის სახსარი არა მაქვს.

– არაფერია; ჩვენ გიშოვით. შენ ივლი კრებაზე, როგორც გაზ. „კვალის" რეცენზენტი და მოგვაწვდი სხდომის ანგარიშებს, რის გამო მიიღებ შესაფერ ჰონორარს (უნდა აღინიშნოს, რომ „კვალში" ადრევე ვათავსებდი წერილებს სხვადასხვა ფსევდონიმით).

მადლობა გადავუხადე ორთავეს. მივიღე ავანსად 25 მანეთი. მეორე დილიდან იწყებოდა ბანკის საზ. კრების სხდომები... მეძლეოდა საშუალება გავცნობოდი ახლოს როგორც ბანკის მიზნებსა და შემოსავალს, ისე მის მეთაურთა მოქმედება-საქმიანობას. იმჟამად ი. ჭავჭავაძეს უთავდებოდა ვადა. უნდა მომხდარიყო მისი ხელახალი არჩევა. ამიტომ ილიას წინააღმდეგ დარაზმული ოპოზიცია ცდილობდა გაეშავებია. ამის სათ[illegible] ბანკის დირექტორი ი. მაჩაბ[illegible] ესი მეგობარი ილიასი, ხოლო იმჟამად მედგარი მოწინააღმდეგე. ბრძოლა იღებდა მეტად მწვავე ხასიათს.

კრებამ გასტანა 12 დღეს. სხდომები იმართებოდა დილა-სალამოს ქართულ თეატრში. პარტერი მუდამ სავსე იყო ბანკის წევრებით, ლოჟები და ქანდარები კი – გარე საზოგადოებით, უმთავრესად ინტელიგენციით. გაზეთის წარმომადგენლები ვისხედით წინ, პარტერში, გრძელ მაგიდასთან. აქ მეძლეოდა საშუალება კარგად გავცნობოდი ორი დიდი მოღვაწის, ილიასა და ივ. მაჩაბლის ორატორულ ნიჭს, ცოდნასა და საქმიანობას, მათ ბრძოლის ფანდებს, პოზიცია-ოპოზიციის ძალასა და შემადგენლობას. ეს იყო ჩემთვის საგულისხმო სკოლა...

... უნდა ითქვას, რომ თბილის-ქუთაისის ორივე სააზნაურო ბანკი იყო დაარსებული მ(იმდინარე) საუკუნის 70-იან წლებში იმ თანხიდან, რომელიც მიეცათ ჩვენს თავად-აზნაურთ სახელმწიფო ხაზინიდან, როგორც ერთგვარი კომპენსაცია ყმების (გლეხთა) განთავისუფლების გამო. ორივე ბანკის მიზანი იყო გაეცა წევრთათვის **იაფი სესხი** (ხაზგასმა ავტორის. – ჯ. მ.) მათი სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. ხოლო ასეთ რამეს უჩვევი თავად-აზნაურნი სჭამდნენ აღებულ სესხს, ველარ შეჰქონდათ სარგებელი, რის გამოც იყიდებოდა საჯაროდ დაგირავებული მამულები, ან რჩებოდათ თვით ბანკებს. ამრიგად ღატაკდებოდნენ თავად-აზნაურნი და მასთან, ზარალობდა ბანკებიც.

მაგრამ ორივე ბანკს, მეტადრე თბილისისას, მალე აღმოუჩნდნენ სხვა ჯურის მსესხებელნი, – ვაჭრები, მრეწველნი, ქალაქის შენობათა პატრონები. ამათ კარგად იცოდნენ ფულის ყადრი და მნიშვნელობა – აი, ამათ გამოჰქონდათ სესხი ბანკებიდან გირაოს ქვეშ, მით აფართოვებდნენ თავის ვაჭრობა-მრეწველობას, აგებდენ გასაქირავებელ შენობებს. ამ სახით სარგებლობდნენ, დიდად და ბანკებსაც აძლევდნენ სამჩნევ ხეირს. მაგალითად, თბილ(ისის) სააზნაურო ბანკის ამ მსესხებელთა მეოხებით, წლიური წმინდა მოგება აღწევდა 400-500 ათას მანეთამდე[31]. ეს ფული მთლიანად ხმარდებოდა ქართულ საქმეებს, როგორიც იყო გიმნაზია, სკოლები, წ. კ. გამ. საზოგადოება, თეატრი, ქართული გიმნაზიის (ამჟამად უნივერსიტეტის) შენობის აგება და სხვა მრავალი. ამ ახალ მსესხებელთა დიდი უმეტესობა მხარს უჭერდა ი. ჭავჭავაძეს, თავად-აზნაურთა მეტი ნაწილი კი ი. მაჩაბელს. ამ ახალმა მსესხებლებმა მოუპოვეს გამარჯვება ილიას! ისინი გამოჩნდნენ კრებაზე მხოლოდ მაშინ, როცა დაიდგა ორი ყუთი. მოვიდნენ, რომ გაეთეთრებინათ ჭავჭავაძე და გაეშავებინათ მაჩაბელი. ასეც მოხდა!..

ოპოზიცია ბრალს დებდა ილიას უმთავრესად უმოქმედობასა და საგრძნობ შეცდომათა

დაშვებაში. ამ მხრივ მედგარი იერიშები მიჰქონდა ი. ჭავჭავაძის მიმართ თვით ი. მაჩაბელს. აქ ბრწყინავდა ამ უკანასკნელის ენამზეობა, საამო დიქცია, იშვიათი ქართული, მაღალი ნიჭი და ფართო ერუდიცია. ეს დიდი ორატორი ღელავდა, შფოთავდა, იღებდა ტრაგიკულ პოზას. მისი სიტყვა ჩქეფდა, ვით მჩქეფარე, ლურჯკამკამა ლიახვი ზაფხულის დილას. ორატორის ენამზეობა ხიბლავდა მსმენელთ, იწვევდა მგზნებარე ტაშს...

ილიას პასუხი იყო დინჯი, მდორე, ვით ალაზანი; თანაც ირონია-სარკაზმით შეზავებული. არ ქუხდა მისი სიტყვა, არ ჰქონდა შიგ ცეცხლი! მსმენელს იზიდავდა ილიას აზრის სიღრმე, სალი გონება, მკვეთრი ლოგიკა, ამავე დროს გაცინებდა მისი ხშირად მოსწრებული ოხუნჯობა. ის ესროდა მოპირდაპირეს სარკაზმის მწვავე ისრებს. ასეთ რამეში უბადლო იყო ილია ჭავჭავაძე.

დამთავრდა კრება. გაიმარჯვა ბანკში წარმოებულმა ილიას პოლიტიკამ! დამარცხდა ოპოზიცია და მისი ლიდერი ივ. მაჩაბელი! მასთან ერთად ჩაიფუშა სუბსიდიის საქმეც...

## შენიშვნები:

1. ვანოს ბიძაშვილი.

2. ვანო მაჩაბლის პაპა.

3. სვიმონ მაჩაბლის შვილები, ვანოს მამა და ბიძები. ირაკლიში ავტორი ალექსანდრეს უნდა გულისხმობდეს.

4. ვანო და მისი და-ძმა.

5. იგულისხმება ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა, რომელსაც გულდასმით ასწავლიდა პაპიდა ელენე, დიასამიძის ქვრივი ძმის შვილიშვილებს.

6. ვანოს ახლო ნათესავი. მოგონება დათარიღებულია 1924 წ. 22 თებერვლით, დაწერილია სოფ. ქურთაში (ცხინვალის რაიონი).

7. ვანოს უფროსი ძმა.

8. ავტორი ცდება: ვანო ცხრა წლისა იყო 1863 წელს, ქალაქში რომ გააგზავნეს სასწავლებლად და გამოცდების ჩაბარების შემდეგ, როგორც უნიჭიერესი და განვითარებული ბავშვი, პირდაპირ მეორე კლასში დასვეს.

9. ალბათ თვეს, ან კვირას გულისხმობს ავტორი – გიორგის იმდენი სახსრები არ ჰქონდა, წლობით რომ მიეტოვებინა სახლკარი.

10. აქ მთავარმართებელი უნდა იყოს, მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1910), რომელიც თბილისში იმყოფებოდა 1863-1881 წლებში. მამამისი, ნიკოლოზ I საქართველოში ჩამოვიდა 1837 წელს, ხოლო ძმა, იმპერატორი ალექსანდრე II, მართალია საქართველოში პირველად 1861 წ. ჩამოდის, მაგრამ იგი ამ დროს დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში არ გადმოსულა, ქუთაისიდან გაბრუნდა უკან. თბილისში ჩამოვიდა 1871 წ. 20 სექტემბერს, ბორჯომის სასახლის გახსნაზე, როცა ვანო უკვე 17 წლის იყო.

11. ვანოს დისშვილი, დარიკო მაჩაბლის და ილია ამირეჯიბის ქალიშვილი.

12. ხსენებული პერიოდი 1875 წელს ემთხვევა, როცა პეტერბურგიდან დაბრუნებული ვანო გორელ ხალხოსნებს შეხვდა, რომელთა შორის მისი ახლო მეგობრებიც იყვნენ, ხოლო შემდეგ სწავლის გასაღრმავებლად გერმანიაში, ჰოჰენჰაიმს გაემგზავრა, იქიდან კი – პარიზს.

13. ვანომ სრულყოფილად იცოდა იტალიური ენა, რასაც ადასტურებს ამ ენის სპეციალისტის, ქ-ნ ზ. სტურუას გამოკვლევაც, სადაც იგი აღნიშნავს: „კ. გოლდონი სცენის უდიდესი ხელოვანი იყო, შეუდარებელი მახვილგონივრული სიუჟეტისა და მძაფრი კოლიზიების ხლართებისა. სანიმუშოა მისი ცოცხალი, ბუნებრივი დიალოგი, პიესის შინაგანი არქიტექტონიკა, ეპიზოდების კანონზომიერი თანამიმდევრობა. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენში პიესების უბადლო მთარგმნელს, ივანე მაჩაბელს. ქართული თეატრის განვითარების საქმეში არანაკლები როლი შეასრულა მისი სხვა ენებიდან თარგმნილმა პიესებმა. მათ შორისაა კ. გოლდონის „ბუზღუნა კეთილისმყოფელი" ანუ „როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს", რომელიც პირველად 1871 წ. 4 ნოემბერს დაიდგა „კომედი ფრანსეზის" სცენაზე... 1879 წელს მან თარგმნა ეს პიესა და იმავე წლის 14 ნოემბერს დაიდგა კიდეც თბილისში საზაფხულო თეატრის სცენაზე... როგორც თარგმანის იტალიურ ვარიანტთან შედარებამ გვიჩვენა, პიესა თარგმნილია ამ ენიდან. ჩანს, ივანე მაჩაბელს, გარდა ძირითადი ევროპული ენისა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული), იტალიურიც სცოდნია". – ზაირა სტურუა, „გულითადად მოგესალმებით კოლხეთიდან", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1986 წ., №27.

14. მოგონება დაწერილია გაგრძელების სახით, პირველი მოგონების და მისი მომდევნო ნაწყვეტის შემდეგ, 1924 წ. 2 თებერვალს.

15. იგულისხმება ჟურნალის წარმოების გასამრჯელო, 75 მანეთი.

16. ლაპარაკია ბანკის დირექტორთა არჩევნებზე. იგი ამ დროს დირექტორად აირჩიეს.

17. ალ. მაჩაბელი ცდება: შექსპირის ჩამოთვლილი ნაწარმოებები ვანო მაჩაბელმა თარგმნა და დაბეჭდა „დროების" დახურვის შემდეგ, ამასთან ესპანურიდან არაფერი უთარგმნია, რადგან მან ეს ენა არ იცოდა სრულყოფილად. „ივანე მაჩაბელი შექსპირის თარგმნას დამოუკიდებლად (ე. ი. „მეფე ლირის" შემდეგ. – ჯ. მ.) შეუდგა 1885-1886 წლებში" – გვახსენებს ი. გრიშაშვილი (თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, 1965 წ., ტ. 5, გვ. 105).

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. უნდა იყოს კატეხიზმოში, რაც ბერძნულად დარიგებას ნიშნავს.

19. იგულისხმება საადგილმამულო ბანკში მამულების ყიდვა-გაყიდვა.

20. აღსანიშნავია, რომ თავის აღნიშნულ მოგონებაში ეკ. თარხნიშვილი [illegible] რიგ უზუსტობებს უშვებს, ამასთან მოგონებათა უმეტესობა არაობიექტურობით გამოირჩევა. აქ უნდა იყოს „დარიკო" და არა „ეფემია", რაზედაც მწერალი დაუდევრად აცხადებს: „ნამდვილი სახელი არ მახსოვსო" და მაინც უმახინჯებს სახელს.

21. ავტორი აქაც ცდება, როცა ვანოს პაპიდას, ელენეს, „რძალს" უწოდებს.

22. ცნობილი ფაქტია, რომ დარიკო ნიჭიერი გოგონა ყოფილა (გავიხსენოთ მაშო მაჩაბელ-ამილახვრისას და ალ. მაჩაბლის მოგონებები, დარიკოს პირადი წერილები, მიწერილი ძმებისადმი, რომლებშიაც არ იგრძნობა მისი გაუნათლებლობა), ეკ. გაბაშვილი კი მას მაინც აუგად მოიხსენიებს. ყოველივე კი დაკავშირებულია აი, რასთან: ეკ. გაბაშვილი ძალზე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში გახლდათ ანასტასია თუმანიშვილთან (შემდგომში გ. წერეთლის მეუღლე), რომელსაც ქალიშვილობაში გაგიჟებით უყვარდა ვანო. ანასტასიამ და ეკატერინემ ერთობლივად გამოსცეს ჟურნალი „ჯეჯილი" და ბოლომდე ახლო ურთიერთობა შეინარჩუნეს. და აი, ეს ბაღლამი და აგდებითი მოხსენიება ვანოს ნათესაობისა იმით არის გამოწვეული, რომ ვანომ არ თანაუგრძნო მის მეგობარს, რამაც სამუდამო წყენა და სიძულვილი დატოვა ვანოს მიმართ ან. თუმანიშვილის გულში. ამით არის გამოწვეული ეკ. გაბაშვილის ტენდენციურობაც, გამომდინარე მისი ქალური სისუსტიდან, მოგონებაში დაშვებული რიგი უზუსტობის მიმართ გამომჟღავნებული გულგრილობა, ვანოს დედისა და დის მოურიდებელი ლანძღვაც კი, რასაც ვანოს ოჯახი ჭეშმარიტად არ იმსახურებდა. სამაგიეროდ, იგი მადლიერების გრძნობით იხსენებს იმ ღვაწლს, რაც ან. თუმანიშვილმა დასდო თვით მას: „ანასტასია თუმანიშვილი რიგიანი ქალი იყო... იმან პირველმა მომცა ხელი და გამიძლვა საზოგადო საქმეთა მოსასმენათ, გასაცნობათ და დასახმარებლად... მე დატვირთული შვილოსნობით, ხელმოკლეობით ფეხშეკრული... ის დამეხმარა... თუმანიშვილი, როგორც შეძლებული ქალი, როგორც და, უკვე დავაჟკაცებული გიორგი თუმანიშვილისა... ჰპატრონობდა მას თავისთან და მეც როგორც განუყრელ მეგობარს..." და სხვ.

ეკ. გაბაშვილის მოგონებითაც ვრწმუნდებით, რომ ვანოს უარუყვია ან. თუმანიშვილის სიყვარული, რომელიც ამ უკანასკნელს წერილით გაუზიარებია მაჩაბლისთვის. ანასტასიას ამ პერიოდის თავშეკავებამ ამოფრქვეული ვულკანის ძალით იჩინა თავი შემდგომში, როცა ვანო მაჩაბელს განსაკუთრებული გაჭირვების ჟამი დაუდგა, ილიასა და მისი მომხრეების მიერ ბანკიდან და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან დევნილს და ჟურნალისტიკიდან ჩამოშორებულს; როცა გაზ. „კვალის" გამოცემაში ლომისწილმიღებული ვანო 1893 წელს საერთოდ მოკვეთეს რედაქციიდან და საზოგადოებრივი ფულის მითვისებაშიც კი დაადანაშაულეს!

23. არც ეს ფაქტი შეეფერება ჭეშმარიტებას: ვასოს წერილებიდან ჩანს, რომ იგი ყოველთვის ეკონომიურად ცხოვრობდა, მათ შორის ამ პერიოდშიც, რათა თავისი დანაზოგით ცალკე დედას და ჯერ კიდევ გასათხოვარ დას დახმარებოდა, ცალკე თავი ერჩინა, ვანოს საზღვარგარეთ გამგზავრებაზეც ეფიქრა და იმისთვისაც დაეზოგა კაპიკები, რათა უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისთვის (ბიძებთან გაყრის შემდეგ) თავშესაფარი აეშენებინა სოფელში.

24. მწერალი კვლავ ცდება, როდესაც მის „სამუშაოს, თანამდებობის" ხშირ ცვლაზე გვესაუბრება. ვანო უპატიოსნესი მუშაკი იყო და ვიდრე რაიმე დაბრკოლება გადაულახავ ბარიერად არ ექცეოდა, მანამდე არ დათმობდა სამსახურს. გავიხსენოთ მისი თავგანწირული ბრძოლა ბანკში, „დროების" აღდგენისთვის, გაზ. „სიმის" გამოცემისთვის... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად პირადი ინტერესებიდან (მეგობრის მხარდაჭერა) გამომდინარე ქალური გააფთრებისა, მწერალი მაინც ვერ იკავებს თავს გადმოგვცეს თავისი აღფრთოვანება ვანოს პიროვნებით, წარმოაჩენს მის ბევრ უნაკლო თვისებას, აგრეთვე შესაშურ გარეგნობას — მისი კალმისთვის ჩვეული ოსტატობით.

25. ეგ. იოსელიანი ცდება, ვანომ 1875 წლის გაზაფხულზე დაამთავრა სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში.

26. ავტორი გაზ. „კვალზე" გვესაუბრება.

27. ალ. მიქაბერიძე ცდება, ვანო ინგლისში არ ყოფილა.

28. როცა ბანკში ილიას: და ვანოს შორის განხეთქილება ჩამოვარდა, ოპოზიცია მაჩაბლის ოჯახში ხშირად ატარებდა კრებებს, რომელსაც ალ. მიქაბერიძეც ესწრებოდა. აქედან გამომდინარეა მისი ეს მოგონება.

29. სააგურეში, ახლანდელი ვერის პარკის ჩრდილო-დასავლეთით, ვანოს სახლის პირდაპირ, სანაპიროსკენ ჩასასვლელში მდებარე საკირეს გულისხმობს ავტორი.

30. კომისიაში იგულისხმება გაზ. „კვალის" გამოცემის ორგანიზებისთვის დაარსებული „სამეურნეო კომიტეტი" და სარედაქციო კოლეგია სამი კაცის შემადგენლობით: აკაკი წერეთელი, ვანო მაჩაბელი და გიორგი წერეთელი. „წრეში" კი მაჩაბლის მომხრე საზოგადოების ნაწილი.

31. ამავე დროს ქუთაისის ბანკის წმინდა მოგება არ აღემატებოდა 30 ათას მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ვარდიაშვილი

# რეჟისორი — მაგნიტი

## წინასიტყვაობა

დიდ ქართველ რეჟისორზე ალექსანდრე ახმეტელზე ბევრი რამ საინტერესო დაწერილა და დაიწერება მომავალში, ცნობილი ქართველი თეატრმცოდნე ქალბატონების, აწ განსვენებული ნინო შვანგირაძის, ნათელა ურუშაძის, ნადია შალუტაშვილის მიერ, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონ ვასილ კიკნაძის დიდი დამსახურება, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება შესწირა ამ დიდი რეჟისორის შემოქმედებას.

საქართველოს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია საქართველოს დამსახურებული არტისტის ანა ვარდიაშვილის პირადი საქმე (ფონდი №2, ფონდი №219), რომელშიც სათუთად ინახება მისი მოგონება სანდრო ახმეტელზე.

ავტობიოგრაფიაში ქ-ნი ანა აღნიშნავს, „ახმეტელი დიდად ხელს უწყობდა ჩემს მისწრაფებას ხალხურობაში".

მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ არქივის თანამშრომლებს, ქ-ნებს ნანა ქიქოძეს, ნათელა ბეროზაშვილს, დალი ეჯიბაძეს, ირინა მახარაძეს, მარინე სხირტლაძეს.

პუბლიკაციის სტილი დაცულია.

დავით სოლომნიშვილი

1928 წელს მიმიღეს რუსთაველის თეატრთან არსებულ თეატრალურ სტუდიაში. ამ წლებში რუსთაველის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი იყო სანდრო ახმეტელი და სტუდიასაც ის ხელმძღვანელობდა. ამ თეატრის წარსული და მასში გატარებული დღეები სულ სხვაა ჩვენთვის, ვისაც იქ გვიხარნია, გვიწვალნია და ერთი პატარა, თუნდაც სულ პატარა აგური მაინც მიგვიწვდია მის შექმნაში.

სანდრო ახმეტელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო ხანძარი თავის მისწრაფებაში და მთელი დასიც მასთან ერთად თავდადებულად და ერთგულად გიზგიზებდა. ჩვენ მოწაფენი, თეატრის მომავალი თაობა, ამავე დროს ვმონაწილეობდით თეატრის სპექტაკლებში, გამოვყავდით მასიურ სცენებში და ხან პატარა ეპიზოდურ როლების შესრულებაც გვეკისრებოდა.

დიდ ძიებაში დიდი დაძაბული მუშაობაც მიმდინარეობდა. რეპეტიციები ლამის ორ, სამ საათამდე გრძელდებოდა და ხან უფრო გვიანობამდე. განა ვისმე ჩვენგანს ეზარებოდა ეს თავბრუდამსხმელი შრომა, ისეთი ფანატიკური სულისკვეთებით ვემსახურებოდით ჩვენ საყვარელ საქმეს, თუ საჭირო იქნებოდა მსხვერპლადაც კი დავედებოდით ამ დიდ მიზანს.

უნდა შექმნილიყო ქართული ნაციონალური თეატრი და მიაღწია კიდეც ახმეტელმა თავის ლამაზ ოცნებას.

რუსთაველის თეატრი შევიდა საქ. ხელოვნების თეატრალურ ისტორიაში, როგორც უმთავრესი მარგალიტი ხელოვნების ნიმუშისა. ახმეტელი იყო მჩქეფარე ნიჭის პატრონი, არქიტექტორი, მოქანდაკე თავის საყვარელ საქმისა, გადაჭარბებით გულისხმიერი ადამიანი, ხან კი ბავშვივით მიამიტი, როგორც ეს ჩვევია დიდ ნიჭს.

თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ ის დიდი მოვლენა იყო თეატრისათვის. ამ თეატრზე და მის ნიჭიერ ხელმძღვანელზე ბევრი რამ არის სათქმელი. ალბათ „ჩვენი ერი მოგვიგონებს, როცა ამ ქვეყნიდან წავალთ" — და მაშინ სხვა მრავალ მოგონებათა შორის ჩემი მოგონებაც იქნება შინაარსით მდიდარი და ლამაზი, წარსულზე დაკავშირებული ამ დიდ ქართველთან.

ამ წერილში მინდა მოგონების სახით მოგითხროთ იმდროინდელი პატარა ამბავი: ახმეტელს მოუკრავს ყური — რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი პატარა მსახიობი ანა ვარდიაშვილი შეპყრობილია ქართული ხალხური სიმღერებით და საკრავებითო. მართლაც შეპყრობილი ვიყავი ფანდურის ტკბილი ტემბრით და მისი ეშხით. მაშინ მარტო მწყემსებში თუ ვისწავლიდი ფანდურზე დაკვრას და ჩემი გატაცება იქამდე მივიდა, რომ ზაფხულის თვეებში კახეთის იალალებზედაც კი ავედი ამ საკრავის დასაუფლებლად. ჩემი მთის მასპინძელი იყო ჩემივე ნათესავი, ცნობილი სარქალი ანდრია ვარდიაშვილი, ფანდურის და ხალხური სიმღერების დიდი ოსტატი. აი, იქ, მთაში შევისწავლე მე ფანდური.

მაგრამ მაპატიეთ, ცოტა გადავუხვიე.

ერთხელაც დამიბარა ახმეტელმა და მითხრა: „იცოდე, მალე თეატრი მიდის საგასტროლოდ მოსკოვში. აბა შენ იცი, მოსკოველებს უნდა მოვასმენინო ჩვენი ხალხური ტკბილი ჰანგები".

თუ ანაგელი სანდრო მაშინ იყო ცოცხალი, არც საბუელი ანა მასზე ნაკლები ენთუზიასტი

თავის გატაცებისა, აი, საიდან სადამდე განვალებული იყო საცოდავი ფანდური ჩემ ხელში.

პატარა დავალება ბევრ რამეს მაკისრებდა.

აი, დადგა ეს დღეც, რუსთაველის თეატრი ილაშქრებს მოსკოვისკენ. ანზორის და ლამარას გოგო-ბიჭობაც თან გაგვრეკეს. ან კი ამ დიდ საგასტროლო ამბავში სად ახსოვდა ყველა ეს წვრილმანი საკითხები ამ დიდ ადამიანს?..

გამაფრთხილა: „ფანდური არ დაგავიწყდეს, უსათუოდ წამოიღეო". რა შემიძლიან ვთქვა თეატრის გასტროლებზე. სულით და გულით მიძღვნილი სულით და გულით მიიღო მოსკოვის საზოგადოებამ რუსთაველის თეატრი და მისი ზღაპრული გამარჯვება საქვეყნოდ იყო ცნობილი.

ეს გამარჯვება თეატრმა აღნიშნა დიდი ბანკეტით. სუფრის თამადა იყო თვით გამარჯვებული სანდრო ახმეტელი.

ნიჭიერ ადამიანს ყველაფერი ეხერხება და ეს ქართული ზეიმიც დიდი ეშხით და დიდებით ჩაატარა.

აქ იყვნენ საბჭოთა კავშირისა და მთავრობის წარმომადგენელნი, ხელოვანთა კრებული, პრესის, რადიოს მუშაკნი.

ამ ზეიმზე ახმეტელმა სტუმრები გააცნო რუსთაველის თეატრის ესტრადას, დიდი წარმატება ხვდათ მსახიობებს.

ფანდურიც მაშინ პირველად აჟღერდა მოსკოველების წინაშე. მისმა მომაჯადოებელმა ძალამ დიდი მოწონება გამოიწვია მსმენელებში.

მეორე დღეს მოსკოვის ცენტრალურმა საკავშირო რადიომ მიგვიწვია კონცერტის გადასაცემად ევროპის ქალაქებში.

ღამის პირველ საათზე საზღვარგარეთის გადაცემები მიმდინარეობს. გვიან საათებში წავედით რადიოში, ახმეტელიც თან გამოგვყვა. ყველაფერი მზად იყო, [illegible]ენ. ახმეტელი შეგვიძღვა [illegible]ი-სებური მაგნიტური ეშხით.

აპარატურასთან იყო ცხრა უცხოელი სპეციალისტი. ვიდრე კონცერტი დაიწყებოდა ფირზე ჩაწერეს ხალხური სიმღერები. ფანდურს პირველად სწერდნენ და ცოტა არ იყოს, ცხვრის ლარებმა შეაფიქრიანა ჩამწერნი, ძნელად იწერებაო.

ახმეტელი ღელავდა... არ შორდებოდა აპარატურას, ჩემი გულის ამბავს ხომ ნულარ მკითხავთ – ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ვაი თუ ვერ ჩაწეროს.

მაგრამ იყოჩაღა ფანდურმა, ყველა ხიფათს გადასძლია და დიდებულად ჩააბარა დანაკისრი პირველი გამოცდა მანქანას.

ჩანაწერი იქვე სტუდიაში მოგვასმენინეს. ვუსმენდი და არა მჯეროდა, რომ ეს მე და ჩემი მეგობარი ფანდური ვიყავით. შალაურელი ბიჭის ხელით გათლილი პატარა ქართული ჩუქურთმებით შემკობილი ფანდური ჟღერდა როგორც საუკეთესო სიმფონიური ორკესტრი შეხმატკბილებულ ქართულ ხალხურ შედევრ „იავნანასთან".

სიხარულის ცრემლები ღაპალუპით ჩამომდიოდა, ახმეტელი გატრუნული გვერდში მედგა. შემეხათრა ჩემი ცრემლების, რიდით შევხედე მას. გულწრფელი კეთილი ღიმილი შემომაგება ჩემ განცდაზე და მითხრა: „Ну что сволочь, довольна?"

არ გაგიკვირდეთ, ასეთი თბილი მიმართვა იყო მისი სიყვარული და დიდი ალერსი მსახიობისადმი, როცა ის დიდი განცდის ექსტაზში იყო. გადამეხვია და მომილოცა ქართული ხალხურობის გამარჯვება.

სამშობლოში შეყვარებულმა დიდმა ქართველმა ჩემზე ნაკლებად არ განიცადა ეს დაუვიწყარი წუთები იმ შორეულ ჩრდილოეთში.

# თვალსაზრისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამილ სენ-სანსი

# დოქტორი კემბრიჯში

დროდადრო, კემბრიჯის უნივერსიტეტი ცნობილ პირებს დოქტორის წოდებას, ეგრეთწოდებულ Honoris causa-ს ანიჭებს. ინგლისის ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია, თუმცა ასე ბევრი ფიქრობს. რას იზამ, მიჩვეულები არიან, რომ აქ ხელისუფლება ყველაფერში ერევა. კემბრიჯი დოქტორის წოდებას სამართლის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და მუსიკის დარგში ანიჭებს. თანაც პირველში თავს ისეთ სპეციალობებს უყრის, დანარჩენ ორში არაფრით რომ არ შეიძლება მოხვდეს. მაგალითად 1893 წელს, სამართლის დოქტორებად აირჩიეს მაჰარაჯა ბხაონაგარა, რომელიც თავის სამეფოში საავადმყოფოსა და აკადემიის დაფუძნებისთვის დააჯილდოვეს და კარდაბარელი გენერალი, ბარონი რობერტსი, ინდოეთის არმიის ყოფილი სარდალი, რომელსაც ეს ჯილდო ძველი გამარჯვებების უკვდავსაყოფად მიანიჭეს. მუსიკის დოქტორის წოდებას საკმაოდ იშვიათად ანიჭებენ. ასე მაგალითად, 1680, 1882, 1885 წლებში საერთოდ არავინ არ დაუჯილდოვებიათ.

1893 წელს, ზემოთ მოხსენიებული ორი სამართლის დოქტორის გარდა, სიაში კიდევ ხუთი მუსიკის დოქტორის სახელი აღმოჩნდა. ესენი იყვნენ: ბატონი მაქს ბრუხი, პეტრე ჩაიკოვსკი, არიგო ბოიტო, ედვარდ გრიგი და ამ სტრიქონების ავტორი. დაჯილდოებულ მუსიკოსთა ასეთი სიმრავლე იმით აიხსნება, რომ უნივერსიტეტი თავისი მუსიკალური საზოგადოების ორმოცდაათ წლისთავს აღნიშნავდა.

ამჯერად, წოდების მინიჭების ცერემონია ძირითადად მუსიკის პატივისცემას ემსახურებოდა, ამიტომ წინ კონცერტი წაუმძღვარეს. მისი პროგრამა კი არც ისე მარტივი შესადგენი აღმოჩნდა. ხუთი კომპოზიტორის ერთად წარდგენა, უფრო სწორად ექვსის, თუ ბატონ სტენფორდსაც ჩავთვლით, ვინც მუსიკალური საზოგადოების დირექტორი გახლდათ, არც ისე იოლი საქმე იყო. რაც შემეხება მე, თავდაპირველად არჩევანი ჩემს ფსალმუნზე "Coeli enarrant" შეჩერდა, მაგრამ ის სამი მეოთხედი საათი მაინც ჟღერდა და ძალაუნებურად უარის თქმა მოგვიწია. გამოსავალი იმით მოვძებნე, რომ შევთავაზე „აფრიკა", პიესა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, რომელსაც თავად დავუკრავდი, სტენფორდი კი ორკესტრს უხელმძღვანელებდა.

კონცერტის პროგრამა ასე გამოიყურებოდა:

1. მაქს ბრუხი. „ფეაკთა ლხინი". ფრაგმენტი „ულისედან" (თხზ. 4).
2. სენ-სანსი. ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „აფრიკა".
3. ბოიტო. „მეფისტოფელის" პროლოგი.
4. ჩაიკოვსკი. სიმფონიური პოემა „ფრანჩესკა და რიმინი".
5. გრიგი. სუიტა „პერ გიუნტი" (თხზ. 45).
6. სტენფორდი. ოდა „დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ" (თხზ. 52).

კონცერტი რამდენიმე წინასწარი რეპეტიციით ლონდონში მომზადდა. უკანასკნელი რეპეტიცია უკვე წარმოდგენის დღეს, დილით ჩატარდა და ამ შესანიშნავ, არც თუ მოზრდილ დარბაზში, უკიდურესად კეთილმოსურნე მსმენელის წინაშე აჟღერებულმა კონცერტმა, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებით ჩაიარა. ადამიანებს იმისთვის ხომ არ ეპატიჟებიან, რომ გული ატკინონ.

მაქს ბრუხის შემოქმედებას საფრანგეთის საზოგადოება თითქმის არ იცნობს. მან მხოლოდ ერთადერთი სავიოლინო კონცერტი იცის, სოლ მინორი, რომელსაც თითქმის ყველა მევიოლინე უკრავს. რა თქმა უნდა, ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, მაგრამ კომპოზიტორს სხვაც ბევრი აქვს საინტერესო. მისი იდეა „ილიადა" და „ოდისეა" საკონცერტო მუსიკის ენაზე გადაეყვანა, ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა. ეს ორი ცნობილი პოემა მრავალგვარი მუსიკის შექმნის საშუალებას იძლევა, მაგრამ მისი სცენაზე დადგმა გადაულახავი სირთულე აღმოჩნდა. სპონსორმა საკუთარი მწარე გამოცდილებით გაიგო ეს რად დაუჯდებოდა.

„ფეაკთა ლხინი", სადაც რაფსოდები არფებისა და სამშობლოსმონატრებული ულისეს აკომპანემენტით მღერიან, ჭეშმარიტად მშვენიერი მოსასმენია. გუნდები აქ შესანიშნავად ჟღერენ და სწორედ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, როგორსაც კარგად მოფიქრებული და დაწერილი მუსიკა უნდა ქმნიდეს. ჩვენთან ალბათ ჩათვლიდნენ დენთი აკლიაო; კონცერტს ხომ ხშირად ფეიერვერკად აღიქვამენ და სულ ჩუმი იმედი აქვთ გაოგნებულები და განცვიფრებულები დავრჩებითო. ბატონი მაქს ბრუხი კი არც რაკეტებს უშვებს და არც ნაირნაირ მზეებს ანთებს. მართალი გითხრათ, მგზნებარე მუსიკას მეც სიამოვნებით ვუსმენ, მაგრამ თავს არასოდეს მივცემ უფლებას, შემოქმედი დავადანაშაულო, თუკი თავის საქმეს მშვიდად აკეთებს და ღირსეულ ფიგურებს მშვენიერ პოზებში, წმიდათაწმიდა თიხით ძერწავს. გერმანიაშიც კი, სადაც ხელობა ყველამ კარგად ისწავლა და სრულქმნილებასაც მიაღწია, ჭეშმარიტად კარგი მუსიკის დამწერი მაინც იშვიათად გვხვდება. ეს თვისება ბატონ მაქს ბრუხს აღმოაჩნდა და სრული უფლება აქვს ამით იამაყოს.

„მეფისტოფელის" პროლოგი, ალბათ, მუსიკის ყველა მოყვარულს ყურში უდგას. პირადად

მე, უკვე დიდი ხანია ვცდილობ ჩვენი საკონცერტო ორგანიზაციების დირექტორთა ყურადღება მისკენ მივაქციო. ნეტავ მაპატიებს ავტორი თუკი ვიტყვი, რომ თეატრისთვის შექმნილი ეს ნაწარმოები, თეატრის მიღმა უფრო თავის ადგილას მეჩვენება? სცენაზე გამოსახო ნისლი, რომლის მიღმაც ზეციური ფალანგები იმალებიან, ერთად ააჟღერო აპოკალიპსის შვიდი საყვირი და შვიდი ქუხილი — განა ეს შესაძლებლობების ზღვარს არ სცილდება? ასეთი წარმოდგენა, ვგონებ, მხოლოდ წარმოსახვამ შეიძლება შექმნას. გარდა ამისა, კონცერტში საორკესტრო ჟღერადობის ისეთ ეფექტს შეიძლება მიაღწიო, თეატრში ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევ. ამიტომაცაა, მუდამ სინანულით აღვნიშნავ ხოლმე, ჩვენი მუსიკალური საზოგადოებები თითქმის არ აცნობენ მსმენელს ისეთ განსაცვიფრებელ ნაწარმოებებს, რომლებიც თავისი ორიგინალობით, თამამი და მშვენიერი შთაგონებით, თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთ სასწაულად გვევლინება-მეთქი.

ჩაიკოვსკის „ფრანჩესკა და რიმინის", სირთულეებით აღსავსე სიმფონიურ პოემას, გრიგალივით რომ შემოიჭრა, ვერც დენთის ნაკლებობას დასწამებდი და ვერც ფეიერვერკის ცეცხლოვანების ნაკლებობას. ყველაზე რბილმა და ალერსიანმა ადამიანმა, შლეგიანი, თითქოს ჯაჭვიდან აწყვეტილი გრიგალი გამოიწვია და შემსრულებელთა თუ მსმენელთა მიმართ იმაზე ნაკლები სიბრალული გამოავლინა, ვიდრე სატანა გამოავლენდა ცოდვილთა მიმართ. მაგრამ კომპოზიტორის ნიჭი და სრულქმნილება იმდენად უკიდეგანოა, რომ ამ შეჩვენებასაც და წამებასაც სიამოვნებით ემორჩილები. გრძელი, მელოდიური ფრაზა, ფრანჩესკასა და პაოლოს სიყვარულის თემა, ამ გრიგალის მიღმაა, ამ bufera infernal (ჯოჯოხეთური ქარიშხლის) მიღმა რომ დაცურავს, ჩაიკოვსკიმდე ლისტიც კი შეაცდინა და სიმფონიას „დანტე" შეარქმევინა. ლისტის ფრანჩესკა უფრო სათუთია და უპირველეს ყოვლისა, უფრო იტალიელი, ვიდრე დიდი სლავი კომპოზიტორის ფრანჩესკაა. ლისტის ნაწარმოები უფრო ტიპიურია, მასში დანტეს პროფილი იგრძნობა. ჩაიკოვსკის ხელოვნება კი უფრო დახვეწილია, ნახატი უფრო მკვეთრი, ქსოვილი სისხლსავსე. წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით ის ლისტის სიმფონიაზე მაღლა დგას. ეს უკანასკნელი, მგონი, მხატვრებსა და პოეტებს უფრო დააკმაყოფილებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე ნაწარმოები დიდ პირველწყაროს ღირსეულად შეეფერება, ხოლო რაც შეეხება ორკესტრის გრგვინვას, აქ მგონი ორივე ერთმანეთს წინ უსწრებს.

ბატონი გრიგის სუიტამ სევდიანი შთაბეჭდილება დატოვა იმის გამო, რომ თავად კომპოზიტორი, შერყეული ჯანმრთელობის გამო, ვერ ჩამოვიდა. იბსენის ჩემთვის უცნობი დრამის, „პერ გიუნტისათვის" შექმნილ მუსიკაში მოულოდნელი არაფერია; იგი ავტორისათვის დამახასიათებელი მშვენიერი გრაციითა და სიხალისით გამოირჩევა.

კანტატა „დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ", რითიც კონცერტი დასრულდა, ბატონმა სტენფორდმა ჩიკაგოს გამოფენისათვის დაწერა. პოემის ტექსტი სპეციალურად შექმნა ამერიკელმა პოეტმა სვინბორნმა და შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ხალხებს მიუძღვნა. ამ მუსიკას განვითარება თითქმის არა აქვს, მაგრამ მაინც ბრწყინვალეა და ოსტატის ხელითაა შექმნილი. ასე შემთხვევით დაწერილი მუსიკისაგან, ალბათ, მეტიც არც უნდა მოვითხოვოთ.

კონცერტის შემდეგ მუსიკალური საზოგადოების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად ასკაციანი ბანკეტი შედგა. სამართლისა და ლიტერატურის დოქტორები არ მოუწვევიათ. მე საპატიო ადგილას, თავმჯდომარის ხელმარჯვნივ ვიჯექი და თავიდანვე გამაფრთხილეს, სტენფორდის სადღეგრძელოს მეგობრების სახელით პასუხი თქვენ უნდა გასცეთო. თუმცა ეს პატივი, სამწუხაროდ, ჩემი ასაკის გამო მხვდა წილად და არა ჩემი მოკრძალებული დამსახურების გამო. საერთოდ, ფართო აუდიტორიის წინაშე ლაპარაკს ყოველთვის ვერიდები, არც მიჩვეული ვარ და თანდაყოლილი სიმორცხვეც მიშლის ხელს, მაგრამ ამჯერად უარი არ გამივიდოდა. ასეთ შემთხვევებში უამრავი აზრი მომდის თავში, რასაც ჩემთვის ვინახავ და ხმამაღლა თქმას ვერ ვბედავ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, განსაკუთრებულად გულთბილი მიღებით გულგაკეთებულმა, გადავწყვიტე, ნახევარ საუკუნეს გადაცილებულ კაცს სიმორცხვე აღარ შემეფერება-მეთქი და რაც თავში მომივიდა, ყველაფერი ჩამოვარაკრაკე, „ერთმანეთში აღრეული სიმკაცრითა და სირბილით, მნიშვნელოვანითა და სახუმაროთი", სწორედ ისე, როგორც ინგლისშია მიღებული პატარა მიზეზის გამოც კი სიტყვას რომ ამბობენ, თუმცა არც უხვსიტყვაობით აწუხებენ ვინმეს და არც პედანტიზმით. ჩემი მეგობრები ისეთი თავაზიანები აღმოჩნდნენ, რომ ყველაფერი მოიწონეს, რაც კი მათი სახელით ვილაპარაკე.

მეორე დღეს, სამშაბათს, 13 ივნისს, წოდებათა მინიჭების ცერემონია შედგა მომცრო დარბაზში, სადაც მხოლოდ მოწვეულ პირებს უშვებდნენ. დარბაზს ირგვლივ გალერეა ეკრა, რომელიც სტუდენტებით იყო სავსე. თავდაპირველად აბრეშუმის, ფართო სახელოებიანი, ნახევრად თეთრი, ნახევრად წითელი სამოსი ჩაგვაცვეს; თავზე განსაკუთრებული ფორმის, შავი ხავერდის, ფოჩებით დამთავრებული ოქროს ზონრებით მორთული ქუდები დაგვახურეს და ასე გამოწყობილებს, თაკარა მზის ქვეშ, მთელი ქალაქი შემოგვატარეს. დოქტორთა ჯგუფს წინ მაჰარაჯა შხაონაგარა მიუძღოდა, ვისაც თავზე ძვირფასი ქვებით მორთული ოქროს ჩალმა ეხურა, ყელზე კი ბრილიანტის ასხმულა ეკეთა. გამოგიტყდებით, რომ ბანალურობისა და თანამედროვე უსახური

სამოსის პირველი მტერი ვარ და ამ თავგადასავლით ნამდვილად აღტაცებული დავრჩი.

მას შემდეგ, რაც მსვლელობის მონაწილეებმა ესტრადაზე თავისი ადგილები დაიკავეს, წოდებათა მინიჭების ცერემონია დაიწყო და გამომსვლელები ზოგი ლექსად, ზოგი პროზად, ზოგი ინგლისურად და ზოგიც ლათინურად ალაპარაკდნენ. დროდადრო რომელიღაც სტუდენტი გაიხუმრებდა და დარბაზიც მაშინვე ახარხარდებოდა. მაშინ ორატორი ჩაჩუმდებოდა, დარბაზის ჩაწყნარებას მოთმინებით დაელოდებოდა და სიტყვას კვლავ უშფოთველად აგრძელებდა. ბოლოს და ბოლოს სიტყვით გამოსვლაც დასრულდა. ამის შემდეგ ერთ-ერთი ასესორი წამოდგა და კვერთხისმტვირთველთან ერთად, ვისაც მაღალი ვერცხლის კვერთხი ეჭირა, ყველა დოქტორს რიგრიგობით მიუახლოვდა, წამოდექითო, შესთავაზა, მოკლე, ლათინური სიტყვით მიმართა და ყარყუმის მანტოთი მორთულ თავმჯდომარესთან მიიყვანა. თავმჯდომარე, თავის მხრივ, ახალ დოქტორს მიესალმა – in nomine Patris et fil et spiritus sancti (სახელითა მამისათა, ძისათა და სული წმიდისათა) და დამსწრეთა მქუხარე ტაშის ქვეშ ხელი ჩამოართვა. სიტყვები განსაკუთრებით მაღალფარდოვანი წარმოთქვა. მაქს ბრუხს ჰომეროსისა და შილერის ციტატებით მიმართეს, ჩაიკოვსკისთან პროპერტი გაიხსენეს.

წოდებათა მინიჭების ცერემონიის შემდეგ, სადოქტორო სამოსით მორთული დოქტორების საპატივცემულოდ, რექტორთან სადღესასწაულო საუზმე გაიმართა. შემდეგ ბაღში გასეირნება და „მილტონის ხის" დათვალიერება შემოგვთავაზეს. საბედნიეროდ, თავაზიანად გაგვაფრთხილეს, რომ ეს მხოლოდ ძველთა ძველი თუთის ხე იყო და „დაკარგული სამოთხის" ავტორთან საერთო არაფერი ქონია. და იმ დროს, როცა ჩემი ბედნიერი მეგობრები ჩრდილში ისვენებდნენ და მომხიბვლელ ქალბატონებს ებაასებოდნენ, მე გავემართე ცნობისმოყვარეებით გადატენილ ტრინიტი-კოლეჯის სამლოცველოში, სადაც უნდა ამეჟღერებინა ორღანი, ეს შესანიშნავი საკრავი, რომელიც საბედნიეროდ ძალიან დამყოლი და მოხერხებულია.

იმავე საღამოს გამოვემშვიდობე უკვე მეგობრებად ქცეულ მასპინძლებს და მათი მასპინძლობითა თუ ჩემი მოგზაურობით აღტაცებული ლონდონს დავბრუნდი.

თარგმნა **მანანა მიქელაძემ**

მარიო ვარგას ლიოსა
ბიბლიოთეკა

# ერთი რომანის ამბავი

გრემ გრინმა 1938 წელს რამდენიმე თვე დაჰყო მექსიკაში, ტაბასკოს და ჩიაპასის შტატებში ცხოვრობდა . მწერალი აგროვებდა მასალებს რელიგიურ დევნათა შესახებ. ეს დევნა პრეზიდენტ კალიესის დროს დაიწყო და გაგრძელდა ლასარო კარდენასის მმართველობის პერიოდში. ამ მოგზაურობის შედეგად შეიქმნა ჩანაწერების წიგნი: „იქ, სადაც კანონი არ კანონობს“ და რომანი „ძალა და დიდება“. ეს რომანი „საქმის არსთან“ ერთად გრინის საუკეთესო ნაწარმოებად იქცა.

დღესაც კი (ნახევარი საუკუნის შემდეგ მას აქეთ, რაც ეს რომანი გამოქვეყნდა და ისტორიული ვითარება შეიცვალა) ნაწარმოები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

შესანიშნავად მოთხრობილი უბრალო ამბის დრამატულ საყრდენად გრინმა გონებისა და რწმენის უძველესი კონფლიქტი აქცია. უფრო ფართო აზრით, ეს იყო კონფლიქტი ორი შეურიგებელი უტოპიისა — სპირიტუალიზმისა და მატერიალიზმისა. დევნილი, უსახელო მღვდელი და ასევე უსახელო კაცი, მისი მადევარი პოლიციის ლეიტენანტი, — ეს ორი პერსონაჟი შემთხვევით როდი დატოვა ავტორმა სახელის გარეშე, ისინი კონკრეტულ ადამიანებზე მეტად ზოგადი იდეები არიან, აბსტრაქციები, ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისებს განასახიერებენ, როგორც დღე და ღამე, მანკიერება და სათნოება. ამ პერსონაჟებში გამომჟღავნდა დაპირისპირება, რომელიც სხვადასხვა დოქტრინის და იდეოლოგიის ფორმით თავისებურ ლაბირინთს ქმნის. ეს ლაბირინთი ადამიანთა მთელ მოდგმას მოიცავს. ამასთანავე, მთხრობელის პოზიცია მეტად რთულია: ის თითქოსდა ცდილობს გაამართლოს ბოროტი ლეიტენანტი და გახელებული ესხმის თავს პატარა, კეთილი საწყისის განმასახიერებელ მღვდელს, მის სისუსტეებს წარმოაჩენს. გრემ გრინამდე ეს ხერხი ზოგიერთმა კათოლიკე მწერალმა გამოიყენა: ფრანსუა მორიაკთან და ბერნანოსთან მკითხველები შეეჩვივნენ ადამიანური სიბინძურიდან და სიბილწიდან გამონათებული სიკეთის ნაპერწკლების ხილვას. ისეთ ავტორთან, ვთქვათ, როგორიცაა კლოდელი, უკვე ნახსენები ხერხი ძალზე თვალსაჩინო გახლდათ, ზნეთადამრიგებლური ფინალი კი ნებისმიერ თხრობას ცვლიდა, ნებისმიერ პიესას იგავად აქცევდა. ისინი კარგი მწერლები იყვნენ, მაგრამ მხოლოდ მორწმუნეთათვის წერდნენ, იმათთვის, ვინც ეჭვების ტყვეობაში არ არიან. „ძალა და დიდება“ კი პირიქით, სწორედ დაეჭვებულთათვის არის დაწერილი. და თუმცა გრინის სტილური შესაძლებლობები არცთუ ისე დიდია, — როგორც, ვთქვათ, კლოდელისა, და ინტელექტუალური დახვეწილობითაც ის ბევრად ჩამოუვარდება მორიაკის ტიპის მწერლებს, — მისი წიგნი უაღრესად თანამედროვეა და დღევანდელი მკითხველისთვის არის განკუთვნილი, მაშინ, როცა კლოდელის და მორიაკის წიგნები დღითი დღე ძველდება.

ლეიტენანტი — მკაცრი და სწორხაზოვანი ადამიანია, მისი იდეები აბსოლუტურ თანხმობაშია მისსავე ქმედებებთან. მოვალეობის გრძნობა მისი ცხოვრების საზრისს წარმოადგენს. ის არ სვამს და, ახალგაზრდობის მიუხედავად, არ არის გატაცებული ქალებით. მისთვის აშკარაა სოციალური უსამართლობის ფესვები და იგი ვერ იტანს ეკლესიას და მღვდლებს, რადგან მათ უბრალო ადამიანების მჩაგვრელებად მიიჩნევს. ამასვე ეუბნება მღვდელს მისი დაპატიმრების დღეს: როგორ შეიძლება შეურიგდე იმ რელიგიას, რომელიც თავის მსახურებს აძლევს იმის უფლებას, საალმსარებლოში მოისმინონ აღიარებანი მონების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა, მიუტევონ აღმსარებლებს და შემდეგ მშვიდად მიუსხდნენ სადილის სუფრას. ლეიტენანტის ღარიბებისადმი გამოცხადებული სოლიდარობა აბსტრაქტულია, თუმცა ზოგჯერ კონკრეტულ კეთილქმედებაშიც ვლინდება: მაგალითად, იგი ჩუქნის მცირე ფულს იმ საწყალ ადამიანებს, რომელთაც მერე თვითონვე აგზავნის ციხეში აკრძალული სასმელის მიღების გამო. ლეიტენანტს სწამს კანონისა და სიცოცხლისა დედამიწაზე, სწამს, რომ შეიძლება კანონის მეშვეობით ცხოვრების შეცვლა. მაგრამ სააქაოდან სამუდამოდ რომ გაქრეს უსამართლობა და სილატაკე, საჭიროა ჯერ ის სამყარო გაქრეს, რომლის წარმოგზავნილადაც პატარა მღვდელი ითვლება. სხვა სამყაროს არსებობა, ამ სამყაროზე ოცნება წარმოადგენს გადაულახავ წინააღმდეგობას დედამიწაზე სამოთხის გაშენებაში. ვიდრე ცრუმორწმუნე ლატაკნი იმის იმედად იქნებიან, რომ ამქვეყნიურ ტანჯვათა გამო იმქვეყნად მიეზღვებათ, არაფერს არ ეშველება. უნდა ყველაფერი შეიცვალოს და სააქაო ქვეყნიერება იქცეს სამართლიანობის სამეფოდ, სადაც გონების კანონები მოქმედებს და არა შიში ან ილუზიები. ამას ფიქრობს ლეიტენანტი და შესაბამისად მოქმედებს კიდეც: დაეხეტება თავის შტატში და ეძებს მღვდლებს, მუსრს ავლებს მძევლებს, ხოლო სოფლებს კი ატერორებს. მისი პრინციპი ასეთია: მიზანი ამართლებს საშუალებას. იმისათვის, რომ დედამიწაზე ზეციური კანონები დამყარდეს, უნდა მოისპოს ზეციური მტაცებელი არსებანი.

ლეიტენანტის მოწინააღმდეგე მოკლებულია ყოველგვარ მიზანსწრაფულობას და

საკუთარ თავში დარწმუნებულობას. მღვდელს უყვარს დალევა, მან უმანკოების აღთქმაც დაარღვია — ჰყავს გოგონა გლეხის ქალისაგან, რომელთანაც შესცოდა სიმთვრალეში. მთავარი კი ის გახლავთ, რომ მღვდელი მშიშარა და დაბნეული ადამიანია. მან თვითონვე შესანიშნავად იცის ყოველივე ეს (მთხრობელიც არ ცდილობს ჩვენს მოტყუებას და არ უძებნის მორალურ და ფსიქოლოგიურ გამართლებას თავის გმირს). როდესაც შტატში ეკლესიის დევნა დაიწყო, მღვდელი არ გაქცეულა სხვა სასულიერო მსახურთა მსგავსად. რამ ითამაშა აქ გადამწყვეტი როლი — პრინციპების ერთგულებამ, მაღალმა ზნეობრივმა თვითშეგნებამ? როდესაც იგი დახვრეტის მოლოდინში განვლილ ცხოვრებას აჯამებდა, აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული გმირობა სახიფათო ადგილზე დარჩენისას მას არ გამოუჩენია. აქ თავისი სიტყვა პატივმოყვარეობამ და, როგორც საბოლოოდ გაირკვა, არასწორმა გათვლამ თქვა. ის კიდევ მიტომ არ გაიქცა, რომ ფიქრობდა, მარტოდ დარჩენილი თავის ნებაზე მოიქცეოდა, ვერავინ შეუქმნიდა დაბრკოლებებს. და კიდევ: ამ საქციელით ის სამაგიეროს უხდიდა გაქცეულ მღვდლებს, რომლებიც მუდამ ექიშპებოდნენ მას. მოგვიანებით, როცა გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ყველა სასულიერო პირს ქორწინების უფლება ექლეოდა, ყველაფერი ისე აეწყო, რომ აქაც ხელი მოეცარა თითქოს სხვა მღვდლების გამო, რომლებმაც ამ მღვდელს წამებულის როლი დააკისრეს. თუმცა სხვაც უნდა ითქვას: ეს კაცი მღვდლადაც არ ვარგოდა, ხელისცეცებით იკვლევდა გზას ცხოვრებაში, არ შეეძლო საკუთარ ბედზე ღმერთისმიერი ანაბეჭდების ამოცნობა და მისი ყოველი საქციელი ავადმყოფი სინდისის ნიშნით იყო აღბეჭდილი. მორწმუნეთათვის ამგვარი მღვდლისგან შეწევნა ნაკლები გახლდათ. მას არ ჰყოფნიდა მოთმინება, მძიმე ხასიათს ავლენდა მათდამი დამოკიდებულებაში, ვინც ნუგეშის სიტყვისთვის მიდიოდა მასთან. ამიტომ ერთხანს ამპარტავანი კაცის სახელიც გაუვარდა, ის რვა წელი ემალებოდა ხელისუფლებას და არაერთხელ დააპირა შტატებიდან გაქცევა. შიში მოსვენებას უკარგავდა.

არ არის ძნელი იმის განჭვრეტა, თუ რა შთაბეჭდილება შეექმნება მკითხველს უკანასკნელი ფურცლის წაკითხვისას. გონების და კანონის უანგარო დაცვისაგან საკმაოდ შორს მდგომი კაცი რომანში ნამდვილ ადამიანურობას განასახიერებს. ის არ იწვევს აღფრთოვანებას და თანაგრძნობას, ყოველივე ამას მისი მსხვერპლი იწვევს — ადამიანი, რომელიც თავის თავში უამრავ წინააღმდეგობას და ნაკლოვანებას ატარებს და რომლის სხეულიც დაცხრილული ტყვიებით ქალაქის პატარა მოედანზე აგდია. იმ ორ უტოპიათაგან, რომანში რომ ერთმანეთს უპირისპირდება, უფრო საშიშია და ვერაგი სახრჩობელების და დამწვარი ეკლესიების ფასად დედამიწაზე სამოთხის დამამკვიდრებელი უტოპია. კიდევ რამდენი ადამიანის დახვრეტა მოუწევს ლეიტენანტს, რათა თავისი ნაოცნებარი ახალი საზოგადოებ[illegible] აქციოს? მღვდლების განადგურების შემდეგ თანამებრძოლთა კედელთან მიყენების ჯერი დადგება. ამ თანამებრძოლთა შორის ლეიტენანტის უფროსიც იქნება, რომლისთვისაც რევოლუცია როგორც ლეიტენანტისთვის იდეალი კი არ არის, არამედ ძალაუფლების მიღწევის და იატაკქვეშა კომერციის მეშვეობით გამდიდრების საშუალებაა.

სოციალური თვალსაზრისით ლეიტენანტი ნებისმიერ ფანატიკოსზე სახიფათოა: ის პოლიტიკოსი-მეოცნებეა. ის დაჰიპნოზებულია რაღაც გამჭვირვალე ხილვებით და რეალობას ვერ ხედავს. მას ვითომდა სიკეთე სურს, სინამდვილეში კი უკეთურებას სჩადის. შესაძლებელია თავისი ქადაგებებით საიქიო ცხოვრებაზე მღვდლები, მართლაც უჩლუნგებდნენ პროტესტის გრძნობას გაჭირვებულებს, მაგრამ ლეიტენანტს არ ესმის სხვა რამ: გამათავისუფლებელი (მისი რწმენით) რევოლუცია უსამართლობის ერთ ფორმას ცვლის მეორეთი და აღაზევებს ჩაგვრის ახალ ფორმებს, ახლებურ ობსკურანტიზმს და კორუფციას.

შეიძლება ვინმემ საკამათო გახადოს ის დასკვნები, რომელსაც პატარა მღვდელი რწმენის დასაცავად მოიხმობს. ამ დასკვნების გაგონებისას ნებისმიერ თანამედროვე თეოლოგს, თავისუფლების მქადაგებელს თმა ყალყზე დაუდგებოდა. სიტყვა ეხება შემრიგებლურ განწყობილ მღვდელს: დაპატიმრების დღეს ლეიტენანტთან საუბრისას ის ამტკიცებს, რომ რადგან „ყველანი სამყაროში უბედურები არიან, განურჩევლად ღარიბებისა და მდიდრებისა, ღირს კი ეშინოდეს ადამიანს ტკივილის?" რა შეიძლება იყოს სულის ხსნაზე მნიშვნელოვანი? მღვდლის არგუმენტების მოსმენის შემდეგ ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სოციალური უსამართლობა არის გარკვეულწილად ასატანი ბოროტება. ამ ბოროტებაში ხომ სამომავლოდ მარადიული ხსნის გარანტია იმალება.

პატარა მღვდელი რომანიდან „ძალა და დიდება" სიმპათიას იმსახურებს არა თავისი განსჯებით, არამედ თავისი ბედით. ეს ადამიანი მარტოსულია და დაუცველი. სწორედ ამ ნიშნებით ჰგავს იგი საზოგადოების მსხვერპლთ — გლეხებს და ინდიელებს, რევოლუციის ქარიშხალში მძევლებად ქცეულებს... ჩვენს დროში, როცა ალერგიაც კი არის გაჩენილი ქკუისდამრიგებლური თხრობის მიმართ, რომანი „ძალა და დიდება" კვლავაც ინარჩუნებს სიცოცხლეს, რადგან მორწმუნეთ და არამორწმუნეთ ერთ რამეს სთავაზობს: იმედის შენარჩუნების უფლებას. და განა იმედი წარმოსახვის და სულიერების ნაწილი არ არის?

და კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ რომანმა დროს გაუძლო: აქ წამოჭრილი პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემები ძალიან ოსტატურად არის ჩაწნული მიმზიდველ სიუჟეტში და ამ სიუჟეტის მილმა ილანდება. სულ სხვაგვარადაა საქმე უამრავ იდეურ რომანებში, სადაც

სიუჟეტი მხოლოდ საშუალებაა გარკვეულ შეხედულებათა სისტემისა. მსგავს შემთხვევებში მკითხველი ხედავს, რომ რომანის გმირებს აკლიათ თავისუფლება, მაშასადამე, დამაჯერებლობაც, ისინი უფრო მარიონეტებს ჰგვანან, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. ასეთ დროს რა მნიშვნელოვან თემაზეც არ უნდა საუბრობდეს ავტორი და რა იდეებსაც არ უნდა სთავაზობდეს მკითხველს, დამარცხება გარდუვალია. რომანის უპირველესი დანიშნულებაა არა მკითხველის დამოძღვრა, არამედ მისი მოჯადოება. მწერალმა უნდა დაამარცხოს მკითხველის სკეპტიციზმი, დაიპყროს მისი ყურადღება, განაგოს მისი გრძნობები, რეალურ სამყაროს მოაშოროს და აიძულოს ილუზიის სამყაროში გადასახლდეს. ავტორს არ ძალუძს პირდაპირი გზით მიანვდინოს მკითხველს თავისი სათქმელი, თავდაპირველად მან უნდა დაასნეულოს მკითხველი გამოგონილი სამყაროს სიცოცხლისუნარიანობით და აიძულოს იგი (კითხვის მაგიურ სივრცეში) განიცადოს ტყუილი, როგორც მართალი და მართალი, როგორც ტყუილი.

გრემ გრინი ოსტატურად მოგვითხრობს ისტორიას. ის ქმნის ეფექტებს და აღვივებს ცნობისმოყვარეობას მოულოდნელი აღიარებებით, აგრეთვე დრამატულ სცენებში აქსოვს იუმორს, შეუძლია რამდენიმე შტრიხით დახატოს გმირის ხასიათი ან პეიზაჟი. რომანში „ძალა და დიდება“ განსაკუთრებით თვალშისაცემია გრინის სახეების ვიზუალური, კინემატოგრაფიული ბუნება...

გრემ გრინის შემოქმედება კრავს გარკვეულ ციკლს. ის აღწერს დასავლური სამყაროს გარეუბნებს, სადაც ჯერ კიდევ მეფობს პრიმიტიულობა და ველურობა.

თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**

## ხელოვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ადამია

# პრაქსიტელეს „აფროდიტე“

პრაქსიტელეს ქანდაკება უკვდავი სულის მარადიულობის ნათლად გამომხატველი სიმბოლოა, არამიწიერი სიცოცხლე და სუნთქვაა ჩასახული ნათელსა და მარად ცოცხალ მარმარილოს ქმნილებაში.

წარსულის ათასწლეულთა ნოვატორული ხელოვნების ყოველგვარი საწყისები „აფროდიტეს“ საოცარ ქმნილებაშია თავმოყრილი. პრაქსიტელეს ქანდაკება თავისი მხატვრული სიდიადით მჭიდროდ ენათესავება „ნიკეას“, „ვენერა მილოსელს“, ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“, მიქელანჯელოს „მიჯაჭვულ მონებს“. „აფროდიტეს“ ქანდაკებაში ადამიანის სხეულის პროპორციათა სასწაულებრივი სრულყოფილებაა; ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში ანტიკური საბერძნეთი ქმნის მარად უბერებელ შედევრს. გაივლის დრო და მარმარილოს ქვაში ცოცხლად შობილ ქმნილებას კიდევ უფრო დიდი ნათება, მიზიდულობა და გავლენა ექნება ადამიანებზე. მსოფლიოს ყოველი დროის დიდი ხელოვნების საგანძურში — ლუვრის ანტიკური ხელოვნების დარბაზში — ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი პრაქსიტელეს მეორე შესანიშნავ ქმნილებას, თეთრსა და მოყვითალო ფერის მარმარილოში გამოქანდაკებულ შიშველი ქალის ტორსს... ოღონდ, ჯერაც არ არის გარკვეული, ეს ნაწარმოები ორიგინალია თუ გვიანი პერიოდის ასლი, მართლაც რომ აკლია ამ ქმნილებას „აფროდიტესეული“ სულიერი ჩამოქნილობა, გენიის შემოქმედებითი სრულყოფილება და მჩქეფარე ქვისმიერი სიცოცხლე. ნამდვილი ორიგინალი, „აფროდიტეს“ ქანდაკება იმდენად სრულყოფილ სიცოცხლეს და სულიერებას იტევს, მიძნელდება ნაგრძნობისა და დანახულის აღწერა. „აფროდიტეს“ ქმნილებაში უფლის მარადიულობის სულიერი სახეა გამოქანდაკებული. ეს ქმნილება უსასრულობის შორეთიდან მოედინება და უსასრულობაში მიდის. ამავე დროს, მისგან ზეციური თვისების მქონე უცხო სიცოცხლე შემოდის შენში და მთელი არსებით გიპყრობს.

ამ ცოცხლადქმნილ გამჭვირვალე მარმარილოში, თითქოს კანქვეშ უნაზესი კაპილარები ფეთქავს. ქალის სრულყოფილი, ზეადამიანური სათნოება და მისი უნაზესი სხეულის მშვენიერება არნახულ დონეზეა მონუსხული.

კაცობრიობის ამ საამაყო ქმნილებას თავი და ხელები დაკარგული აქვს; მომსპარია „აფროდიტეს“ უმთავრესი და ულამაზესი დეტალები. ამ ქანდაკებაში, სასწაულებრივ ნიჭთან ერთად, მხატვრის უნაკლო ცოდნაა ადამიანის, კერძოდ, ქალის სხეულის პროპორციისა და ცალკეული ფორმისა, რომელიც თითქოს ღვთიური ალმაფრენით ფანტასტიკურ დონეზეა გამოქანდაკებული.

ქანდაკების სიდიადით აღტაცებული და აღელვებული, ირგვლივ ვუვლი ამ საოცარ ქმნილებას და იმდენად ვგრძნობ მისი უცხო ძალის მიზიდულობას, რომ საკუთარ თავს არ ვეკუთვნი და მთლიანად მოვექეცი მის ზემაგნიტურ ველში: ამ შეუვალსა და მკვრივ ქმნილებაში ვარ მთლიანი სულით მიზიდული და ჩასახლებული. პრაქსიტელემ თავის ქანდაკებაში, ზეციური და მიწიერი სიდიადის გამოსახულებით, ღმერთამდე აალნია და მისი სახე და ფორმა ზეციურ თუ კოსმიურ მარადიულობაში დააბინავა.

სახელოვანი ლუვრის მუზეუმის, ანტიკური ხელოვნების განყოფილებაში მრავლადაა გამოფენილი ჩვენს ერამდე შექმნილი ანტიკური ხანის მოქანდაკეთა ქმნილებანი, მაგრამ შუაღამის მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავეთში ერთ დიდ მოკამკამე ვარსკვლავადაა ანთებული „აფროდიტეს“ მშვენება. ეს ზეადამიანური ქმნილება, თითქოს სამყაროს სივრციდან რომელიღაც ცოცხალი პლანეტის მაგნიტური ძალისხმევითაა შობილი, რომელმაც ზეციური ხელოვნების უხილავი სხივით ალავსო პრაქსიტელე და შეაქმნევინა მისდა სიმბოლოდ უბრწყინვალესი ქანდაკება.

ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები, ნებისმიერი ულამაზესი ქალის ასეთ მოძრაობასა და ფორმაში ნახვა, შეათასედ მთაბეჭდილებასაც ვერ დატოვებდა, რასაც გვგვრის პრაქსიტელეს მიერ გამოქანდაკებული ანტიკური ხანის წარმართული ქალღმერთი „აფროდიტე“. შედარებისათვის მინდა წარმოგიდგინოთ გენიალური მხატვრის პაბლო პიკასოს ერთ-ერთი ტილო-შედევრი, რომელიც ექსპონირებულია პარიზის პომპიდუს მუზეუმში. მჯდომარე, შიშველი ქალის ფიგურა მომწვანო, მოთეთრო ვერცხლისფერ გამაში შესრულებული. ფიგურა „დანგრეული“ ფორმებითაა აწყობილი. პიკასომ სურათში, ქალის მიწიერ ბუნებასთან ერთად, გადმოგვცემს მის ზეციურ ბუნებას. მხატვარმა ამ გზით მიაღწია ქალის ჭეშმარიტ ორბუნებოვნებას. პიკასოს შიშველი ქალის ფიგურა, რომელიც გაშლილი ფეხებით ზის, თავისი ფიზიოლოგიური ნაკლოვანებებით თუ უსიამოვნო წონასწორობით მიწაზე გვანარცხებს, ხოლო პორტრეტის მძაფრი და შორეული მზერა, ქალის კოსმიურ კავშირთან ერთად, მაღალ ადამიანურ ძალასაც გვიხატავს. პრაქსიტელეს საოცარ ქმნილებაში კი, ყოველი მიწიერი და ცხოვრებისეული ნიშნები ჩამორეცხილია ზეცის წმიდათა წმიდა, კამკამა და გამჭვირვალე წვეთებით.

„აფროდიტეს“ ქანდაკების გავლენით უფრო და უფრო შევიგრძენი ჩვენი მარად უწყვეტი სულის არსებობა, სამყაროს სივრცის უხილავ ბადეში. ვისაც სულის არსებობისა საერთოდ ან ბოლომდე არა სწამს, ისინი აუცილებლად უნდა ეზიარონ ამ უდიდესი შედევრის, სულის მაგნიტური ველის ზე-ძალას...

„აფროდიტეს“, ქანდაკებისეული დიადი თვისებები, გონების და სხეულის ყოველ უჯრედში გამთლიანდება და მაინც შორეული, მდგრადი, უკარებაა ის... ასეთ დონეზე ნაწარმოების სიყვარულისა და ღრმა შეგრძნების შემდგომ, კოსმიურ სიცივეს და შორეულ მიუკარებლობას ტვინის შერყევამდე მიყავხარ; ზოგჯერ უცნაური შიშიც გიპყრობს მის გვერდით მყოფს, რათა „აფროდიტეს“ მზე-ქმნილება, დროთა მანძილზე, რომელიმე პლანეტასავით შორეული ხომ არ იქცევა კაცობრიობისთვის...

ანდრო ბუაჩიძე

# ამაფორიაქებელი კითხვები

რაინერ მარია რილკესთვის სიტყვაცნება „მარტოობა“ თავისებური შინაარსის შემცველია, ერთი რამ ცხადია, მის მიერ სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებული ეს სიტყვა არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკურ ან სულიერ სიმარტოვეს, ის უფრო მეტაფიზიკური, უნივერსალური, მრავლისმომცველი, იქნებ იდუმალი და ბოლომდე დაუდგენელი მნიშვნელობის მქონეცაა.

ახალგაზრდა პოეტისადმი მიწერილ წერილებშიც[1] არაერთხელ გაიელვებს ეს სიტყვა და გარემომცველ მნიშვნელობას, როგორც მთრთოლვარე შარავანდედს, ისე გაიყოლიებს. ვფიქრობ, რომ თვითონ რილკეს ესეისტიკაში გამჟღავნებული სტილია კანონზომიერი იდუმალებით მოცული. ეს სტილი ერთგვარ დაუმუშავებელ მასალას ჰგავს, რომლისგანაც, როგორც თიხისგან, პოეტური ნაწარმოებები უნდა გამოიწვას. ახალგაზრდა პოეტისადმი მიწერილ წერილებს ესეისტიკა პირობითად შეიძლება ეწოდოს. წერილები თითქოს გარდამავალი ფაზაა პროზიდან პოეზიაში. მე პირადად, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ რილკეს ყელში ჰქონდა მობჯენილი სათქმელი, თვითონვე სურდა გაეშიფრა თავის უაღრესად ღრმა მსოფლშეგრძნების წიაღიდან მომდინარე დინებები და საბაბიც მიეცა: ფრანც ქსავერ კაპუსმა მას საინტერესო და ამაფორიაქებელი კითხვები დაუსვა.

რილკე პასუხობს: „შეიყვარეთ თავად კითხვები, შეიყვარეთ ისინი დალუქული ოთახებივით და უცნობ, იდუმალ ენაზე დაწერილი წიგნებივით, ახლა ნუ ეძებთ პასუხებს, რომლებსაც ვერ იპოვით, რადგან თქვენი ცხოვრებით არ მისულხართ ამ პასუხებთან. საქმე ის გახლავთ, ვიცხოვროთ, გამოვცადოთ ყველაფერი, საკუთარი ცხოვრებით გავცეთ პასუხები საკუთარ კითხვებს. ამჟამად კი იცხოვრეთ საკუთარი ცხოვრებით და იქნებ ერთ შორეულ დღეს, თქვენმა ცხოვრებამ შეუმჩნევლად შეგიყვანოთ პასუხის სიღრმეში“.

რილკე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხანგრძლივ სულიერ წრთობას, გამოცდილებას, შინაგანი სამყაროს ფსკერზე დალექილ განცდებს ანიჭებს. მხოლოდ ხაზგასმით იმასაც დასძენს, რომ გამოცდილება პიროვნულ-ინდივიდუალური, უნიკალური, საკუთარი უნდა იყოს. თითქოს არაფერია აქ საკვირველი, დელფოსის სამისნოზე ამოტვიფრული წარწერა „შეიცან თავი შენი“ რილკეს სათქმელსაც იტევს, მაგრამ რილკე არასოდეს არავის არ ჰგავს და სხვასაც არ იმსგავსებს. მისი თვითშემეცნებაც მეტად თავისებურია, უაღრესად სუბიექტური, პიროვნულ-ინტიმური. რილკე კი არ აგებს, თითქოს სახელდახელოდ ქმნის ლირიკულ-აღსარებითი ტონალობით შეფერილ ტექსტს, რომელშიც მისი მსოფლშეგრძნება და მსოფლმხედველობა მხატვრულია, „დაბადებიდანვე“ მხატვრულ სამოსელშია გახვეული, რაც რასაკვირველია, ბედნიერების ნიშანია.

და მაინც, რატომ გასცა ავსტრიელმა პოეტმა ფრანც ქსავერ კაპუსს ასეთი გულისხმიერი პასუხები?

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის მახვილი გრძნობა გააჩნდა. მას არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო ამქვეყნიურ შეჭირვებათა ლაბირინთში ხელისცეცებით მავალი ახალგაზრდა კაცის მხურვალე აღიარებების მიმართ. მაგრამ, ვფიქრობ, იყო სხვა მიზეზიც: კაპუსის წე-

1 რაინერ მარია რილკე. წერილები ახალგაზრდა პოეტს. თბილისი, 2002, „კავკასიური სახლი“.

რილებში აღძრული ვნებათაღელვა თვითონ რილკეს სულიერ ფორიაქს დაემთხვა. რილკეს მთელი პოეტური მოღვაწეობა მუდმივი თვითრეფლექსიაა, სადაც ყველაფერს სრული წესრიგისკენ სწრაფვის ნიშანი ატყვია. ამ წესრიგისკენ სწრაფვის ყველაზე უფრო დრამატული აკორდები „დუინურ ელეგიებში" გახმიანდა. ამავე ციკლში რილკე თითქოს ეძებს ჩახლართული გორდიასის კვანძის ბოლოს, რათა ჩვენს ყოფიერებას ნათელი მოჰფინოს.

შტეფან ცვაიგი თავის წიგნში „ევროპელის მოგონებანი" გულდაწყვეტით დასძენს, რომ გაივლის დრო და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბრწყინვალე ლირიკოსების ბადალი შემოქმედნი აღარ იარსებებენ. ის იხსენებს რილკეს, სიყვარულით და მონიწებით ხატავს მის პორტრეტს. რილკე ხმადაბლა და მკაფიოდ წარმოთქვამდა საკუთარ ლექსებს, დინჯად ანაწილებდა აქცენტებს. ის უფაქიზესი ინსტრუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არ უყვარდა საზოგადოების შუაგულში ტრიალი, ყოველნაირად ცდილობდა გარიდებოდა ხალხმრავლობას. უჩვეულო კრძალვა და თავმდაბლობა გამოარჩევდა ყველგან, წვეულებებზე და საჯარო თავშეყრის ადგილებში.

ცვაიგი იხსენებს როგორ შეესწრო ერთხელ რილკეს გამგზავრების მომენტს. და აქაც წესრიგისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება იჩენს თავს. რილკე ფრთხილად, ფაქიზად აწყობდა ნივთებს ჩემოდანში და მთელი მისი არსება წესრიგს და წესიერებას განასახიერებდა, ეტყობა, შინაგანი შფოთის გრძნობას გარეგნული წესრიგი უქარვებდა. სხვათაშორის, იგივეს წერს კორნეი ჩუკოვსკი ალექსანდრ ბლოკზე. ბლოკი ვერ ეგუებოდა უწესრიგობას და ქაოსს. ის გამუდმებით ალაგებდა თავის საწერ მაგიდას, თავ-თავის ადგილს უჩენდა წიგნებს, რვეულებს, სხვადასხვაგვარ ნივთებს. შეიძლება გაგვახსენდეს გალაკტიონიც, რომლის დღიურებშიც გარეგნულ ქაოსთან გაუთავებელი ბრძოლის „ბატალიებია" დაწვრილებით აღწერილი.

რილკესთვის წესრიგი გამოცდილების, სულიერ და გონებრივ მიღწევათა კონცენტრირების გარკვეული კატეგორია. ეს ის მდგომარეობაა, რომელსაც ადამიანი თავის ინდივიდუალური სწრაფვის გამოისობით აღწევს. ამ სწრაფვის გარეშე ყოველი პიროვნება უწესრიგობისთვის და აპათიისთვისაა განწირული: „ახალგაზრდები ხშირად და მწარედ ცდებიან, ფიცხი და დაუთმენელი ბუნებისანი, მყისვე ერთმანეთს მიაწყდებიან ხოლმე, როგორც კი სიყვარული ეწვევათ, იფლანგებიან და იფანტებიან, რაც საერთოდაც სჩვევიათ თავიანთ ალგზნებულ და აპათიურ, უწესრიგო და ქაოტურ ცხოვრებაში".

ახალგაზრდა პოეტისადმი მიწერილ წერილებში განსაკუთრებით ამაღელვებელია სიყვარულზე შეთხზული პასაჟები. აქაც რილკესეული უაღრესად თავისებური ანალიტიკა იჩენს თავს. სიყვარულიც ავსტრიელი პოეტის მთლიანი მსოფლმხედველობის კონტექსტში თავსდება, რილკე ტრადიციულ-რომანტიკული ტრფიალის ბანალურ თემას ოდნავადაც კი არ ეხება. მისი მხედველობის არეში ეს თემა საერთოდ არ ფიგურირებს. ის თავიდანვე სქესთა ურთიერთმიმართების საიდუმლოებაზე ფიქრობს. რილკეს ფიქრი იმთავითვე უჩვეულო სიღრმისეულობით არის აღბეჭდილი. სიყვარული მისთვის სამყაროს საფუძველში ჩადებული უხილავი ნების განხორციელებაა. ამიტომ რაც ზედაპირულია და გარეგნული, ის ნაკლებად საინტერესოა, ბუნების მიერ სიღრმეში ჩადებული და კანონზომიერი კი ცხოველ ინტერესს აღძრავს. ვთქვათ, რილკესთვის ამ წერილებში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, არ არსებობს ულამაზო და ლამაზი ქალი, ასეთი კონკრეტიკა მისთვის უცხოა, ის უფრო ზოგად, არსისმიერ ნიშან-თვისებებს ეძიებს. აი, რას წერს პოეტი: „შესაძლოა ყველაფერზე მაღლა დგას და ძლიერია დიადი დედობა – ეს საერთო ურთიერთლტოლვა, ქალწულის სილამაზე, იმ არსების სილამაზე (როგორც თქვენ მშვენივრად ბრძანეთ), რომელსაც ჯერ არაფერი მოუმოქმედებია – მომავალი დედობაა,

მის წიაღში რომ მწიფს, ემზადება, შიშობს, წინასწარ გრძნობს და ესწრაფვის თავის მომავალს; ხოლო მოხუც ქალში ეს სილამაზე დიდ მოგონებად ქცეულა და მე მგონია, რომ ფიზიკურ-სულიერი დედობა მამაკაცშიც არის; ჩასახვა – ეს ერთგვარი სახეა შობისა, ხოლო როცა მამაკაცი თავისი შინაგანი სისავსიდან ქმნის და წარმოშობს, ესეც ერთგვარი შობაა და დაბადება, შესაძლოა, ეს ორი სქესი უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე ჰგონიათ". ცოტა ქვემოთ კი მართლაც განსაცვიფრებელი სტრიქონებია: „მამაკაცი და ქალი, ყოველგვარი მცდარი მორიდებისა და ქვენა ზრახვათაგან თავისუფალნი მოძებნიან ერთმანეთს, არა როგორც საპირისპირო არსებანი, არამედ როგორც და და ძმა, როგორც მეზობლები; მოძებნიან და შეერთდებიან როგორც ადამიანები, რათა ერთად, უბრალოდ, მკაცრად და მოთმინებით ატარონ სქესის სიმძიმე, საერთო უღელი, მათ რომ დაეკისრათ".

რაინერ მარია რილკეს „წერილები ახალგაზრდა პოეტს" არა მხოლოდ მწერალმა უნდა წაიკითხოს, არამედ ყველა იმ ადამიანმა, ვინც იწყებს ცხოვრების რთულ და ძნელადგასაგნებ გზას.

და ბოლოს, რითაც დავიწყე, იმით დავამთავრებ. სიტყვა „მარტოობას" რილკეს ლექსიკონში ძალიან ღრმა, მრავალწახნაგოვანი აზრობრივი დატვირთვა აქვს. მარტოობა სხვა ყველაფერთან ერთად ის მდგომარეობაა, რომლის წიაღში შემოქმედებითი ნაპერწკალი ღვივდება. ახალგაზრდა პოეტისადმი მიწერილი წერილებიც, როგორც პოეტი იტყოდა, „უსასრულო მარტოობით" არის დაღდასმული. ეს მარტოობის შემცველი წიგნი ქართულ ენაზე გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა.

მიხეილ მახარაძე

# ახლებურად გააზრებული XX საუკუნის ფილოსოფია*

საქართველოში ფილოსოფიის ისტორიის კვლევის დიდი და მრავალმხრივი ტრადიციაა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის ყველა პერიოდზე, ჩვენში არსებობს როგორც ავტორთა ჯგუფების, ისე ცალკეულ ავტორთა სოლიდური კურსები (ზოგიერთ პერიოდზე რამდენიმეც კი). ამასთან, თუკი ადრე აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი) ჩვენს მეცნიერებაში თითქმის არ იყო შესწავლილი, მერი ჭელიძისა და რევაზ გორდეზიანის ვრცელი კურსის – „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)" (2001) გამოცემით, ეს ნაკლიც გამოსწორდა.

ფილოსოფიის ისტორიის კურსის შექმნას გარკვეული სიძნელეები ახლავს. თუკი კურსს ავტორთა ჯგუფი წერს, სიძნელე იქმნება მასში ერთიანი ხაზის, ერთიანი მსოფლმხედველობის გატარების თვალსაზრისით; თუკი კურსს ერთი ავტორი ჰყავს, სიძნელე იმ მხრივ იჩენს თავს, რომ ერთი ავტორისთვის ძნელია თუნდაც ერთი პერიოდის ფილოსოფიის მრავალმხრივი პრობლემებისა და სხვადასხვა ფილოსოფოსთა თვალსაზრისების გადმოცემა და შეფასება. თუმცა არის გამონაკლისი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როცა ფილოსოფიის ისტორიაში აკად. გურამ თევზაძის გაწეულ ღვაწლს ვეხებით.

ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების შესწავლაში გ. თევზაძის გაწეული ღვაწლი ბევრის მთქმელია. მან შექმნა ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის კურსები, მონოგრაფიული გამოკვლევები იმანუელ კანტის, ნეოკანტიანელებისა და ნიკოლაი ჰარტმანის ფილოსოფიაზე, ცალკეული ნაშრომები იოანე პეტრიწზე, თომა აკვინელზე, მაისტერ ეკჰარტზე, დეკარტზე, ლაიბნიცზე, ჰეგელზე, ჰაიდეგერზე, სარტრზე და სხვ. ყველაფერი ეს ქართული ფილოსოფიური მეცნიერების უდავო მონაპოვარია. გარდა ამისა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები" ორ ტომად (1981 და 1984 წლები), „XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია" (1970), „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია" (1988) და „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში" (1993). გ. თევზაძეს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის" ოთხტომეულის I ტომის მომზადებასა და გამოცემაში („მეცნიერება", 1996), განსაკუთრებით კი ამავე ოთხტომეულის უკვე გამოსაცემად გამზადებული მეოთხე ტომის შექმნაში. აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონი გურამი აღნიშნული ოთხტომეულის მთავარი რედაქტორია.

აქ აღნიშნული და გაკეთებული საქმის შემდეგ გ. თევზაძე პერსონალურად იწყებს ფილოსოფიის ისტორიის ციკლის შექმნას. 1995 წელს გამოდის მისი „ანტიკური ფილოსოფია" („მეცნიერება"), ხოლო 1996 წელს „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია" (თსუ). 2002 წელს კი გამოვიდა ამ ციკლის, ვიტყოდი, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი კურსი – „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია".

როცა XX საუკუნის ფილოსოფიის სირთულეზე ვლაპარაკობთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ფილოსოფიის ისტორიის ეს, შეიძლება ითქვას, ბოლო პერიოდი ფილოსოფიური მიმდინარეობების სიუხვითა და პრობლემების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც ანტიკური, ისე შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფილოსოფიაზეც კი, შემუშავებული და ჩამოყალიბებულია გარკვეული მყარი პოზიცია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით XX საუკუნის ფილოსოფიაზე. აქედან ცხადი უნდა იყოს ის სიძნელე, რაც აუცილებლად შეხვდება მკვლევარს XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიის კურსის შექმნისას.

საკმარისია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გ. თევზაძის გაწეული შრომა ფილოსოფიის ისტორიაში, განსაკუთრებით მისი უმნიშვნელოვანესი შესავალი წერილები ზემოთ დასახელებულ XX საუკუნის ფილოსოფიის ისტ-

*გურამ თევზაძე. „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია", თსუ-ს გამომცემლობა, 2002, 603 გვერდი. რედაქტორი პროფესორი თამაზ ბუაჩიძე

ორიის ორ ტომში (ნეოკანტიანელობა, ნეოჰეგელიანელობა, ფენომენოლოგია, ექსისტენციალიზმი, რელიგიური ფილოსოფია) და ცალკეული ნაშრომები ამავე კურსებში უმნიშვნელოვანეს ფილოსოფოსებზე (კირკეგორი, ვინდელბანდი, ჰ. რიკერტი, ნ. ჰარტმანი, ჰაიდეგერი, სარტრი, მარკუზე და მრავალი სხვა) და ცხადი გახდება, რომ ავტორს XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიის დამოუკიდებელი კურსის შესაქმნელად ნიადაგი დიდი ხანია მომზადებული აქვს.

როცა ახლო წარსულში ავტორთა ჯგუფისგან უკვე შექმნილია ნაშრომები XX საუკუნის ფილოსოფიაზე და ამის შემდეგ ერთი ავტორის მიერ იწერება ახალი კურსი ამავე პერიოდზე, ბუნებრივია მათი შედარების სურვილი. წინასწარ ვიტყვი, რომ გ. თევზაძის „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია" განსხვავდება აღნიშნული გამოცემებისგან.

ჯერ ერთი, ახალ წიგნში სტატიები იმ ფილოსოფოსებზე, რომლებიც წინა გამოცემებში მასვე ეკუთვნოდა, მნიშვნელოვნადაა გადამუშავებული და ახლებურად არის გააზრებული (იხ. მაგალითად, სტატია სარტრზე).

მეორე: XX საუკუნის დასავლეთის ფილოსოფია ადრინდელ გამოცემებში რაღაცნაირად ნეიტრალური თვალით იყო განხილული და შეფასებული. ახალ წიგნში კი, ავტორი ყველაფერ ამას XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის მიღწევების გათვალისწინებით აფასებს. შეიძლება ითქვას, რომ გ. თევზაძე თითქმის ყველა ქართველი მკვლევარის წვლილს სათანადოდ აფასებს და წარმოაჩენს XX საუკუნის ფილოსოფიის შესწავლაში.

აქ გაგვიჩნდა კიდეც ერთი სურვილი წიგნის მიმართ. საყოველთაო აზრით, ქართულმა ფილოსოფიამ, იდეოლოგიური წნეხისა და კონიუნქტურის მიუხედავად, განვითარების უმაღლეს დონეს სწორედ XX საუკუნეში მიაღწია. ალბათ, კარგი იქნებოდა გ. თევზაძის ამ ახალ წიგნში ერთი თემა XX საუკუნის ქართული ფილოსოფიისადმი ყოფილიყო მიძღვნილი, განსაკუთრებით იმ კუთხით, რა კუთხითაც ქართველი ფილოსოფოსების მიღწევები XX საუკუნის დასავლეთის ფილოსოფიის მიღწევებს ეხმაურებოდა. გავიხსენოთ ისიც, რომ გ. თევზაძის „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია" დიდად იგებს იმით, რომ მასში არის ერთი ქართული თემაც — „სქოლასტიკა საქართველოში".

ამგვარი კურსის შექმნისას, კიდევ ერთი სიძნელე იყო მოსალოდნელი. მხედველობაშია ის გარემოება, რომ ბატონ გურამის კვლევა-ძიების სფერო აქამდე არ მოიცავდა პოზიტივიზმს, პრაგმატიზმსა და პოსტპოზიტივიზმს. ახალ წიგნში გ. თევზაძე, ბუნებრივია, ეხება აღნიშნულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს და აქაც ცხადად ჩანს მისი ერუდიცია, ფილოსოფიის პრობლემებში ღრმა ხედვა, რაც მას საშუალებას აძლევს მისთვის შედარებით არამახლობელი თემები არ დაზარალდეს და შესაბამის სიმაღლეზე წარმოადგინოს ისინი.

„XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია" თემების სახით არის წარმოდგენილი და ეს მეთოდოლოგიურად გამართლებულად მიგვაჩნია. საქმე ის არის, რომ განხილული თემები იმდენად მომცველია, რომ ტრადიციულად თავების სახით წარმოდგენით, რაღაც სტანდარტთან გვექნებოდა საქმე და ამით ნაშრომი იზარალებდა. აი, ეს თემებიც: სიცოცხლის ფილოსოფია; ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი, პოსტპოზიტივიზმი; XX საუკუნის მარქსიზმი; ნეოკანტიანელობა; ფიქციონალიზმი; ფენომენოლოგია; რეალონტოლოგია; ექსისტენციალიზმი; რელიგიური ფილოსოფია; პოსტმოდერნიზმი ფრანგულ ფილოსოფიაში; მსოფლმხედველობის ძიება და პირადი პასუხისმგებლობა.

საჟურნალო რეცენზიაში ამგვარი მოცულობის, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი წიგნის ვერც სრულყოფილი შეფასება მოხდება და ვერც მიახლოებითი. მაგრამ ზოგიერთ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან მომენტზე ყურადღების გამახვილებით, მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება, თუ რა სახის ნაშრომთან გვაქვს საქმე.

დავიწყოთ წიგნის შესავლით — „XX საუკუნის ფილოსოფიის დინამიკა", რომელიც სულაც არ არის მხოლოდ XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიის შესავალი. სინამდვილეში, ეს არის XX საუკუნის დასავლური კულტურის, აზროვნების, პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზი.

საყურადღებოა, რომ ავტორი შესავალში განსჯის საგნად იხდის იმ პოლიტიკურ ფონს, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის თუ ატომური იარაღის შექმნისა და გამოყენების შემდეგ აღმოჩნდა კაცობრიობა. აღნიშნულმა ვითარებამ კი განაპირობა ისეთი მსოფლმხედველობის მოთხოვნილება, რომელიც ყოველგვარ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე მაღლა დადგებოდა. ავტორს ამის ნიმუშად მოჰყავს „რასელ აინშტაინის მანიფესტი, რომელიც ზეპარტიული და ზერასობრივი დოკუმენტი იყო (გვ. 4).

დღევანდელ, პოლიტიკურად დაძაბულ საერთო ვითარებას ეხმაურება გ. თევზაძის შენიშვნები ომის ჰეგელისეულ და მარქსისეულ გაგებაზე, როცა ომი ისტორიის მამოძრავებლად არის მიჩნეული, ხოლო საერთო მიზნის მისაღწევად გამართლებულია ადამი-

ანთა მსხვერპლი. ავტორის ღრმასაფუძვლიანი შენიშვნით, „... ამ შემთხვევაში ივიწყებენ მთავარს, კერძოდ იმას, რომ თითოეული პიროვნება, რომელიც ამ ბრძოლაში იღუპება, თავის შეუცვლელ ღირებულებას ფლობს და არავის აქვს უფლება იგი ვინმეს ან რაიმეს შესწიროს. ამგვარი რამ მხოლოდ ამ პიროვნების თავისუფალი არჩევანის შედეგი უნდა იყოს“ (იქვე).

შესავალში განსჯის საგანია აგრეთვე XX საუკუნეში ორი დაპირისპირებული — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის არსებობა, რაც გარკვეულწილად, ჩაკეტილი და ღია საზოგადოების ბრძოლით იყო გამოხატული და რომელიც ღია საზოგადოების სრული გამარჯვებით დამთავრდა. აქვე გ. თევზაძე აკეთებს დასკვნას, რომელიც საყოველთაო ღირებულებებზეა ორიენტირებული (მხედველობაშია მაღალი დონის „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“) და არც მხოლოდ რომელიმე ეპოქისთვისაა დამახასიათებელი და არც მხოლოდ ისტორიის ერთი მონაკვეთისთვის: „ეს სწორი გზაა გონივრული ეგოიზმიდან, როგორც კაცობრიობის თანამედროვე დონიდან, ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი იდეალებისაკენ. მისი საფუძველთა საფუძველია ყოველი კონკრეტული ადამიანის შეუცვლელი ღირებულების აღიარება. ეს კი, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მხოლოდ საშუალება, რომ იგი მუდამ უნდა განიხილებოდეს, აგრეთვე, როგორც მიზანი“ (გვ. 5).

ავტორი ეხება საბჭოთა სინამდვილეს, კერძოდ, სტალინის შემდეგდროინდელ პერიოდს, როცა საბჭოთა ხელმძღვანელობა სისტემის გადარჩენას ცდილობდა. ამ პირობებში, სოციალისტურ სინამდვილეში მარქსიზმის ეგიდითა და ერთგვარი შენიღბვით, ფილოსოფიის ფუნდამენტური პრინციპების დამუშავება ხდებოდა. ამ მხრივ ქართველ ფილოსოფოსთაგან ავტორი გამოყოფს კ. ბაქრაძეს, ს. წერეთელს, ზ. კაკაბაძეს და მ. მამარდაშვილს.

კარგად არის ცნობილი, რომ ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე, არცთუ იშვიათად ფილოსოფიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ერთგვარი ნიჰილიზმი იჩენდა თავს. ამ მხრივ არც XX საუკუნეა გამონაკლისი. გ. თევზაძე ამ საკითხსაც ეხება შესავალში და მრავალი წიაღსვლების შემდეგ აკეთებს დასკვნას, რომელიც ფილოსოფიისადმი რწმენისა და იმედის გამოხატულებაა. ფილოსოფიის „... მიმართ გულგრილობა და უარყოფითი დამოკიდებულებაც, ცხადია, შესაძლებელია, მაგრამ კულტურისათვის ეს უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე. წარმოვიდგინოთ საკაცობრიო კულტურა შექსპირის, არისტოტელეს, კანტის, ჰეგელისა და სხვათა გარეშე“ (გვ. 15).

აღინიშნა, რომ გ. თევზაძე XX საუკუნის ფილოსოფიის საკვანძო საკითხების განხილვისას, სათანადოდ წარმოაჩენს ქართველ ფილოსოფოსთა წვლილს. ასე მაგალითად, სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელთა შეხედულებებზე მსჯელობისას აღნიშნულია აკად. ანგია ბოჭორიშვილის წვლილი ვილჰელმ დილთაისა და მისი მონაფეების არგუმენტების განხილვა-შეფასებაში. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ავტორის მიერ სიცოცხლის ფილოსოფიის მეორე უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის ანრი ბერგსონის ინტუიტივიზმის (უშუალო ცოდნა) განხილვისას ქართველ ფილოსოფოსთა პოზიციის წარმოჩენა, რაც ჯერ კიდევ პეტრიწთან გვხვდება. კერძოდ, უმაღლესი ჭეშმარიტების (ღმერთის) უშუალო წვდომის თვალსაზრისი არსებითი იყო ნეოპლატონიზმში და აგრეთვე ქართველ ნეოპლატონიკოს იოანე პეტრიწთან. ახალ დროში სავლე წერეთელს „... ინტუიცია აინტერესებს როგორც თვითდასაბუთებადი მსჯელობების არსებობის გაცნობიერების ერთ-ერთი ისტორიული ფორმა“. დიმიტრი უზნაძე კი ინტუიციონიზმს, როგორც დამოუკიდებელ ფილოსოფიურ მიმართულებას, სპეციალურად იკვლევდა (გვ. 51).

„XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიაში“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ნეოპოზიტივიზმს. მასში ვრცლად არის განხილული მისი ორი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის — ბერტრან რასელისა და ლუდვიგ ვიტგენშტაინის მსოფლმხედველობათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი მომენტები. აღნიშნულია აგრეთვე რასელის ფილოსოფიის ქართველ მკვლევართა (ა. ბეგიაშვილი, ვ. ერქომაიშვილი, ე. ბეჟანიშვილი, ლ. მჭედლიშვილი) შესახებ.

აქამდე გ. თევზაძისთვის პოზიტივიზმი, ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. მით უმეტეს, საინტერესოა მისი მხრიდან აღნიშნული ფილოსოფიური მიმდინარეობებისა და მათი წარმომადგენლების მსოფლმხედველობათა შეფასება. შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ბ-ნი გურამის მხრიდან მოსალოდნელი იყო, მაგალითად იგივე რასელთან, მისთვის მახლობელი ფილოსოფიური მიმდინარეობების (მაგალითად, ექსისტენციალიზმის) აზრთა ამოკითხვა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი მომენტი რასელის მსოფლმხედველობის შეფასებისას. რასელის აზრით, მეცნიერულ ტექნიკას, ე.ი.

ტექნოკრატიულ მსოფლმხედველობას არ უნდა მიეცეს მთელი კულტურის განსაზღვრის უფლება. მართალია, მეცნიერებამ ადამიანი ბუნების მონობისგან გაანთავისუფლა, მაგრამ მეცნიერების მხრიდან საკუთრივ ადამიანის დამონების საფრთხე შეიქმნა (გვ. 113). გ. თევზაძე აღნიშნავს რასელის ამ ერთგვარ არაპოზიტივისტურ პოზიციას, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ, რადგანაც რასელი საზოგადოების განვითარებაში აუცილებლობას უარყოფს, გამომდინარე აქედან, იგი უარყოფს როგორც ამ საკითხის ფატალურობას, ისე მოწოდებას მისი თავიდან ასაცილებლად. აქ, განსახილველ საკითხზე ამომწურავად არის გადმოცემული რასელის პოზიციის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

ნაშრომში დიდი ადგილი (გვ. 168-261) ეთმობა მარქსიზმს, კერძოდ, მარქსისტულ ფილოსოფიას (დიალექტიკური მატერიალიზმი) და დასავლურ მარქსიზმს (ფრანკფურტის სკოლა). აქ, უპირველესად ავტორის ობიექტურობაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ახლო წარსულში მომხდარი კატაკლიზმების (სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლა, მარქსისტული მსოფლმხედველობისა და კომუნისტური იდეოლოგიის კრახი და სხვ.) და ამის საფუძველზე ღირებულებათა გადაფასების შემდეგ, მეორე უკიდურესობის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით . კერძოდ, ერთგვარად დაიკარგა ობიექტური საზომი, თითქოსდა არ არსებობდა საბჭოთა სინამდვილე, მარქსისტული ფილოსოფია და ა. შ. ბატონი გურამი კი სათანადოდ მიაგებს რეალობას და შესაბამისი არგუმენტებით აჩვენებს, რომ მარქსიზმი სულაც არ იყო უცხო დასავლეთის აზროვნებისთვის და სხვადასხვა კუთხით მასთან ურთიერთობა ჰქონდათ თანამედროვეობის გამოჩენილ მოაზროვნეებს (სარტრი, მარკუზე, ფრომი, ჰაბერმასი და სხვ.).

საყურადღებოა გ. თევზაძის შენიშვნები ჰაბერმასის ორ მარქსზე – ახალგაზრდობისა და „კაპიტალის" დროინდელზე.

ჰაბერმასი უპირატესობას ახალგაზრდა მარქსის მსოფლმხედველობას ანიჭებს, როცა მან საფუძვლიანად გააკრიტიკა ჰეგელი და კრიზისიდან ფილოსოფიის გამოსვლის ერთადერთი გზა დასახა. თუმცა, მისივე შენიშვნით, „თავად ვერ გაიგო თავისი აღმოჩენის ნამდვილი ღირებულება". აქვე გ. თევზაძე ასახელებს იმ ქართველ ფილოსოფოსებს (შ. ნუცუბიძე, ა. ბეგიაშვილი, ო. ჯიოევი, გ. თევზაძე, ვ. კეშელავა, გ. ნოდია), რომელთა კვლევა-ძიების სფეროში სხვადასხვა დროს მოექცნენ მარკუზე და ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენელთა მსოფლმხედველობანი.

თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთაგან, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა ფენომენოლოგიის (ფენომენებზე ანუ მოვლენებზე მოძღვრება), როგორც ფილოსოფიის დამოუკიდებელი დარგის დამფუძნებლის ედმუნდ ჰუსერლის (1859-1938) ფილოსოფია. ჰუსერლის ფილოსოფიას, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხით ნაყოფიერად იკვლევდნენ შ. ნუცუბიძე, ა. ბოჭორიშვილი, ზ. კაკაბაძე და ა. ბეგიაშვილი. ამ ცნობილი ავტორების მხრიდან ჰუსერლის ფილოსოფიის თითქმის ყოველმხრივი შეფასების მიუხედავად, გ. თევზაძემ, ვფიქრობ, ახალი კუთხით გაიაზრა თანამედროვეობის გამოჩენილი ფილოსოფოსის მსოფლმხედველობა.

გ. თევზაძე ნათლად აჩვენებს ჰუსერლის მიმართებას (დადებითსაც და უარყოფითსაც) სხვადასხვა ფილოსოფოსებთან (პლატონი, დეკარტი, კანტი, ბოლცანო, ფრეგე და სხვ.). დეკარტთან მიმართების გარკვევისას კი, ჰუსერლის ძიებებში ოთხ ეტაპს გამოყოფს, რაც, შეიძლება ითქვას, მისი ფილოსოფიის განვითარების ძირითად მომენტებსაც მოიცავს.

ნაშრომში ჰუსერლის ფილოსოფიის არსი კარგად არის წარმოჩენილი დეკარტის მეთოდოლოგიურ სკეპტიციზმთან პარალელით. გ. თევზაძის აღნიშვნით, ჰუსერლი, მართალია მიმართავს დეკარტის მეთოდოლოგიურ სკეპტიციზმს, თუმცა კიდეც ემიჯნება მას: „დეკარტს სურდა აბსოლუტურად უეჭველი არსებობის, ყოფიერების დადგენა, ჰუსერლს კი საერთოდ ყოველგვარი არსებობის (Existenz) გამორიცხვა სურს. „როცა მე რაიმეს არსებობას ვიკვლევ, – ამტკიცებს ჰუსერლი, – ამ დროს მის არსებობას არ ვითვალისწინებ, არ ვიკვლევ მას. მე არც სკეპტიკურ პოზიციას ვიკავებ მის მიმართ და არც სოფისტურად უარვყოფ მას" (გვ. 316). საბოლოოდ, ეს არის ჰუსერლის „უნივერსალური ეპოქის" ცნების შინაარსი, რომელიც დეკარტის უნივერსალური ეჭვის ადგილს იკავებს – დაასკვნის გ. თევზაძე.

ნაშრომში აღნიშნულია ჰუსერლის ფენომენოლოგიის გავლენებზეც (სარტრი, მარსელი, მერლო-პონტი).

გარკვეული მოსაზრებით, არ შევეხებით გ. თევზაძის წიგნში განხილულ თემებს – რეალონტოლოგია, ექსისტენციალიზმი, რელიგიური ფილოსოფია. საქმე ის არის, რომ ამ თემებს ავტორი თითქმის ოთხი ათეული წელია ინტენსიურად იკვლევს. მის მრავალმხრივ და ღრმადსაფუძვლიან გამო-

კვლევებს ლასკზე, ჰარტმანზე, ჰაიდეგერზე, სარტრზე, ვაიშედელზე და სხვებზე, ვერაფერს დავამატებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ახალ წიგნში ახალი ინტერპრეტაციით პირველად არიან წარმოდგენილნი ალფრედ ნორთ უაიტჰედი – რეალ ონტოლოგიაში, კარლ იასპერსი–ექსისტენციალიზმში, გაბრიელ მარსელი და ტეიარ დე შარდენი – რელიგიურ ფილოსოფიაში.

გ. თევზაძის ახალი წიგნი დიდად იგებს იმითაც, რომ მასში პირველად ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცალკე თემად და საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი პოსტმოდერნიზმი XX საუკუნის ევროპულ ფილოსოფიაში ზოგადად და ფრანგულში, კერძოდ. საყურადღებოა, რომ ავტორი პოსტმოდერნიზმს განსჯის საგნად იხდის არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ არქიტექტურაში, ლიტერატურაში, ლინგვისტიკასა და პოლიტიკაში.

ნაშრომში განხილულია პოსტმოდერნიზმის წარმოშობის ისტორია, არსი და მისი განსაკუთრებული ადგილი ფრანგულ კულტურაში.

პოსტმოდერნიზმის ცნების დასადგენად გ. თევზაძე განიხილავს სხვადასხვა ავტორთა (ჟ. ფრ. ლიოტარი, ფ. ჯეიმისონი, მ. ფუკო, ვ. ველში) თვალსაზრისებს. ამ თვალსაზრისებიდან ზოგიერთში ჯერ „მოდერნის" ცნების შინაარსია მოცემული (განმანათლებლობიდან და რომანტიზმიდან აწმყომდე ეპოქა), სათანადო წიალსვლების შემდეგ კი ავტორი მკითხველისთვის ცხადყოფს პოსტმოდერნიზმის ცნებას, რომელიც უპირისპირდება ყოველივე თანამედროვეს, მოდერნს. იგი არა მხოლოდ უარყოფით მიმართებაშია წარსულსა და აწმყოსთან, არამედ მას, აწმყოში არსებული ნაკლოვანებების გამოაშკარავებით, მომავლის შესაძლებლობის ამოკითხვა სურს. „ამ კუთხით დანახული მისი პოსტმოდერნი არის აწმყოს მომზადება მომავლისათვის" (გვ. 521).

ნაშრომში პოსტმოდერნისტებიდან საგანგებოდ და ვრცლად არის განხილული მიშელ ფუკოსა და ჟაკ დერიდას შეხედულებები.

გ. თევზაძის წიგნი მთავრდება განხილული საკითხებიდან, ერთი შეხედვით დაშორებული თემით: „მსოფლმხედველობის ძიება და პირადი პასუხისმგებლობა". მაგრამ მისი გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ეს თემა წიგნის თავისებური რეზიუმეა, წიგნში განხილული პრობლემების საფუძველზე გაკეთებულია ისეთი დასკვნები, რომლებიც მხოლოდ ფილოსოფიას არ გულისხმობს (რაც წიგნის უდავო ღირსებაა). თემის ფინალში კი ნაჩვენებია ფილოსოფიის პოზიტიური როლი საერთოდ კულტურული ღირებულებებისა და ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი მიზნის ჩამოყალიბებაში. აქ ავტორი საუბრობს შემწყნარებლობის პრინციპზე, ადამიანთა ერთიანობაზე, რათა მათი ქმედების რეალური ორიენტირი გახდეს ზოგადსაკაცობრიო ზნეობა და ა.შ. „დღეს თითქმის არავინ ეჭვობს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის, საერთოდ, კულტურის განვითარება ამგვარი ორიენტირის გარეშე საბედისწერო იქნება კაცობრიობისათვის. ეს აზრი სულ უფრო ბატონდება მოწინავე ქვეყნების მსოფლმხედველობრივ აზროვნებაში. იგი XX საუკუნის ფილოსოფიის ძირითად დამსახურებად უნდა ჩაითვალოს" (გვ. 576).

აი, რაც შეიძლებოდა ზოგადად თქმულიყო აკად. გურამ თევზაძის ფუნდამენტურ წიგნზე – „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია". დაინტერესებულ მკითხველს კი ვეტყოდი, რომ ამ წიგნის გაცნობით იგი სათანადო ცოდნასაც შეიძენს და არც ინტელექტუალური კმაყოფილება მოაკლდება.

**P. S.** გასულ წელს ბატონ გურამს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ეს საიუბილეო თარიღი, მისივე სურვილით, თითქმის არ გახმაურებულა. ამ წიგნზე ჩემი მოკრძალებული რეცენზიით დაგვიანებით ვეხმაურები ამ თარიღს და ამით გამოვხატავ მადლიერებას მისი დიდი, როგორც საზოგადოებრივი, ისე მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლისათვის.

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125

ეროვნული ბიბლიოთეკა